534
3

[illegible] მთავრობის [illegible]

კაზმულსიტყვიერებითი ქრისტომატია

ჩვენი ახალი მწერლობა

შედგენილი

ს. რ. გორგაძის მიერ.

მეორე წიგნი.

1919

რ. ფერაძის და ამხ. სტამბა
ქუთაისი.

I

აკაკი წერეთელი

1840 1915

თავადი აკაკი როსტომის ძე წერეთელი დაიბადა 9 ივნისს 1840 წელს საჩხერეში, ზემო იმერეთს. ხუთ წლამდე ძიძის სახლში იზრდებოდა, ერთი გლეხის ოჯახში, სოფ. სავანეს. ხუთი წლიდან კი მამის სასახლეში გადაიყვანეს და აქ ზრდიდენ რვა წლამდე. ამ ხანად ისწავლა პატარა კაკომ ქართული და რუსული წერა-კითხვა. როცა კაკო რვა წლის შესრულდა, მამა მისი როსტომ წერეთელი სამსახურის გამო იძულებული შეიქნა ქუთაისში დაბინავებულიყო და შვილიც იქ ჩაიყვანა. აქ მას ამზადებდენ გიმნაზიისათვის. 12 წლისა რომ შესრულდა, აკაკი გიმნაზიაში მიაბარეს, სადაც ჩინებულად სწავლობდა. 1859 წელს, როცა აკაკი გიმნაზიის უკანასკნელ კლასში იყო, ეგზამენების წინ სწავლას თავი გაანება და გიმნაზიიდან გამოვიდა (მისი გიმნაზიის მოწმობა აღნიშნულია 1859 წლის 10 თებერვლის თარიღით). იმავე წელს მაისის დამდეგს იგი გაემგზავრა პეტერბურგს, სადაც სამხედრო სამსახურში აპირებდა შესვლას; მაგრამ ამხანაგების გავლენით ამ განზრახვაზე ხელი აიღო და უნივერსიტეტში შევიდა აღმოსავლურ ენათა ნაწილზე. მაშინდელი წესების თანახმად უნივერსიტეტის კურსი მალე დაასრულა, სახელდობრ უკანასკნელი გამოცდა 1862 წლის 31 მარტს ჩააბარა, აგრეთვე წარადგინა თხზულება „ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ“ და მოიპოვა უფლება საკანდიდატო ხარისხის მიღებისა.

პეტერბურგიდან აკაკი გადასახლდა მოსკოვში, სადაც მალე გაეცნო ერთს წარჩინებულს რუსის ოჯახს და იმავე წელს კიდევაც დაესიძა. მაგრამ სატახტო ქალაქში ცხოვრება დიდ ხარჯებსა სთხოვდა და ახალგაზრდა მგოსანი იძულებული შეიქნა ცოლშვილიანი სამშობლოში დაბრუნებულიყო.

აკაკი წერეთელი ერთადერთი მწერალი იყო, რომელმაც არ ისურვა სხვა, რაიმე სამსახურში შესულიყო და მთელი თავისი ნიჭი და მოცალეობა მხოლოდ ლიტერატურას შესწირა.

შაირების გამოთქმა მან ძლიერ ადრე დაიწყო: 6—7 წლისა იქნებოდა, როცა სოფლის ბიჭებში ჩადგებოდა და მოსწრებული შაირებით ყველას აოცებდა. ზოგმა მისმა ყმაწვილობის შაირმა ჩვენამდეც მოაღწია. ამავე დროს დაუწერია რაღაც კომედიის მსგავსი (გიორგი ერისთავის წაბაძვით) თავისი მამის მოურავის შესახებ, მაგრამ შემდეგში ეს პირველი ნაწარმოები თვითონვე დაუწვავს. 12 წლისა ყოფილა ჩვენი მგოსანი, როცა საჩხერეში, მამის ბაღში, ქვის მაგიდაზე დაუწერია ლექსი-აკროსტიხი: „ეკატერინე“, რომელშიაც იგი აქებს თავის დედას — ეკატერინეს. პირველად მისი ნაწარმოები დაიბეჭდა 1858 წელს ჟურნალ „ცისკარში“: ეს იყო ლერმონტოვიდან გადმოთარგმნილი ლექსი „რტო პალესტინისა“ (თარიღად უზის 9 აგვისტო, 1858 წელი). ამას შემდეგ არ დარჩენილა თითქმის არცერთი

ჟურნალ-გაზეთი, რომელშიაც აკაკის მონაწილეობა არ მიეღოს. ბევრი უწერია ჩვენი ქვეყნის დასაცველად რუსულ გაზეთებშიაც. 1897—1900 წლებში საკუთარს ჟურნალსაც სცემდა, სახელდობრ „კრებულს", ხოლო 1907 წელს დაიწყო გამოცემა იუმორისტულის ჟურნალისა: „ხუმარა" რომელიც მალე დაუხურეს. 1908 წელს ქართველმა ერმა დიდის ამბით გადაუხადა სამწერლო მოღვაწეობის 50 წლის დღესასწაული. მისი უკანასკნელი ნაწარმოები თანამედროვე მსოფლიო ომს შეეხება: ეს არის ვრცელი პოემა „ომი" რომლის წერის დროსაც ღრმად მოხუცებულს მგოსანს დამბლა დაეცა, და ამ სნეულებამ კიდევაც იმსხვერპლა უკვდავი მგოსანი. აკაკი გარდაიცვალა 26 იანვარს 1915 წელს იმავე სასახლეში. სადაც პირველად აახილა თვალი 75 წლის წინეთ. მადლიერმა ერმა მისი გვამი გადმოასვენა თფილისში და დაკრძალა მამადავითის მთაზე, ილია ჭავჭავაძის მახლობლად.

I ᲛᲒᲝᲡᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ:

1 ჩემი თავგადასავალი

I

ყოველი არსი სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი. ერთსადაიმავე მსოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება — იზრდება, დაბერდება — კვდება!.. წყალი რა არის?.. წყალი!.. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესსა და რიგს: დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე. მაშინვე იწყებს ჟონვას ნელნელა ახალ ფეხადგმულ ბავშივით, დაუყვება დაღმართს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაცუნცულდება რომელსამე ხევში, სადაც როგორც აღვირუსხმელი, სისხლჭარბი, თავმომწონე და შეუპოვარი, სანავარდოთ გამოსული ჭაბუკი, აღარავის ეკრძალვის... აღარაფერს ერიდება: მირბის და მიხტის ღრიალ-გრიალით!.. უძრავ ქვებს თავზე ევლება და კლდოვან კიდეებს თავგამეტებით აქეთ-იქით ეხლება. რომ გაგლიჯოს და გაიტანოს მისი მოწინალმდეგე!.. მაგრამ, ვერ შემძლები მისი, ზარითა და ზეიმით ჭალებისკენ მიექანება, აქ-კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპოტში ჩამჯდარი და გულსავსე, ვაშკაცური მედიდურობით, მშვიდობიანათ ტალღებს ტალღებით მიაგორებს!.. მიდის, მიშხუის, ზღვისაკენ თავმიცემული, შორი გზით მიმავალი და რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას როგორც მოხუცი და ბოლოს კიდეც შეჩერდება ერთი შეჩერება... ტბორავს, თითქოს უნდა რომ უკანასკნელად ერთი კიდევ მოიხედოს უკანვე, თვალი გადაავლოს თავის წარსულს, ფერადათ გავლილ შორეულ გზას და მერე-კი საუკუნოთ ჩაინთქას... ჩაიღუპოს ზღვის უფსკრულში!..

მიყვარს საზოგადოთ ბავში, უგულითადესათ პატივსა ვცემ მოხუცებულობას, ღირსეულათ ვაფასებ ვაშკაცობას, მაგრამ გული-კი ჭაბუკობისაკენ მიმიწევს და ყველაზე უფრო იმას შეფრქვევით ვეტრფიალები!..

ალბათ ამის მიზეზი უნდა იყოს რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს გიჟმაჟი ხევის წყალი მირჩევნია და მათში-კი უპირატესობას ერთ მათგანს. ჩიხურას, ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე.

[illegible] დგას ორსართულიანი ქვიტკირის სახლი.* ამ ჟამათ შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე — ციხის, მაგრამ არც ერთი მათგანს კი არა ჰგავს!.. აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში-კი 1841-თი მიწერია...

იმ თავითვე, დავბადებულვარ თუ არა, ვაჟის შეძენით გახარებულს მამაჩემს დიდიხნის გარისხული და სასახლიდან გაგდებული შინაყმა შეურიგებია და მე-კი ბებიას მაშინვე გაულახავარ. აი, როგორ მოჰყვებოდა ხოლმე ამ ამბავს გაზეპირებულ „მამაო ჩვენოსავით“ ცხონებული გადია ჩემი: „ვენაცვალე ჩემ კაკოს! (ბავშვობისას კაკოს მეძახდენ). ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყოვო: დაიბადა ერთი რაღაც დათვისბელა, ბამბისქულა და ისე გაეკმიდა სული რომ კრინტს არა სძრავდაო! ეს თურმე იმას ჰფიქრობდა: საიდამ სად მოვედიო? და ბებიას-კი გულშემოყრილი ეგონა და ჩქმეტა დაუწყო!.. ერთი ორი კიდეც შემოუცაცუნა ხელი და ძლივს ხმა ამოაღებინაო!.. ვის უნახავს ამის ტირილი? სულ იცინოდაო“.

ამას სხვებიც ამბობენ. დიაღ, სულ თურმე ვიცინოდი და ამ სიცილს ერთი კარგი უსიამოვნობაც მოუხდენია: ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მეზობლების გამდელი და, მომცინარი რომ უნახავარ, უთქვამს: „ვუიმე!.. ჩემი გაზდილი ნუ მომიკვდება, ეს ბავში ისე იცინის, რომ სწორეთ სულელი გამოვაო“!.. ჩემ გამდელს სწყენია ეს და უპასუხნია: „როგორ თუ სულელიო?! ანგელოხია და ანგელოზებს შეცინის... იმათ ეთამაშებაო!.. სულელები ზოგი თქვენსკენ მოიკითხეთო“ და სხვანი!.. წალაპარაკებულან და სცემიან ერთმანეთს. ჩვენს გამდელს ჩვენი მოსამსახურეები მოხმარებიან, მეზობლისას — მათი; ბოლოს ქალბატონებიც ჩარეულან (რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვითა და მუქარით და არა საქმით). ამ ამბავს მიუწევია ვაჟბატონებამდინაც და ჩამოვარდნილა ორ ოჯახ შუა დიდი უსიამოვნობა. აღარც თურმე ეკარებოდენ ერთმანეთს და აღარც ხმასა სცემდენ!.. მხოლოდ თევდორობის კვირაში, ზიარების წინეთ, ოქროპირ მღვდლის რჩევით შერიგებულან და მაშინაც კიდევ მამაჩემს სოფელში კაცი გაუგზავნია და შეუთვლია ძიძისათვის: „აქ გამომგვარე ჩემი ხითხითა ბიჭუნა, რომ მეზობლებმა ნახონ და მტრებს თვალები დაუყენოვო!“ გამოუყვანივართ, მაგრამ წარმოიდგინეთ ყველას გაკვირვება რომ „ხითხითა ბიჭს“ ჩვეულების წინააღმდეგ ერთი ღიმილიც არ მოსვლია. ისე თურმე ვყოფილვარ გაბრუებულსავით.

---

* აქ იგულისხმება აკაკის საშობლო სახლი საჩხერ. რ. სოფ. სხვიტორში.

აქ ცხადია რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშს სასახლეში ყოლიფერი მეუცხოებოდა და გაშტერებული ვიქნებოდი. მაგრამ ასე არ გაუგიათ და არ აუხსნიათ ჩვენებს!.. იმათ უფიქრნიათ: ეს სწორეთ შურისა და სიხარბის საქმეა, თვალი ჰკრეს, გალალესო და ისევ საჩქაროთ დაუბრუნებივართ სოფელში. ძიძასაც გზაზე ერთ ვიღაც მკითხავთან გაუვლია, გამოულოცვინებია... შეუბამთ ჩემთვის ყელზე ღინჯილა, მწარე ბალი და მიუყვანივართ სოფელში --შინ. იქ, რასაკვირველია, მომბრუნებია გული და ისევ დამიწყია სიცილი. ჩემი ძიძა დარწმუნებულა რომ სწორეთ გასჭრა შელოცვამ, გამობრუნდა ყმაწვილი, ახლა აღარა უჭირს-რაო და მახარობელიც უფრენია სასახლისაკენ.

„ძიძაობა" და ყმაწვილის სოფელში გაბარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენს ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აბარებდენ და აზრდევინებდენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები --აზნაურებს და აზნაურები კი გლეხებს; უფრო ხშირად თავადებიც გლეხებს აზრდევინებდენ! ნუ გგონიათ რომ მაშინდელი მშობლები უგულო ყოფილიყვენ და შვილები დღევანდელ დედებზედ ნაკლებ ჰყვარებოდეთ!.. აქ სულ სხვა მიზეზი და საფუძველი იყო: ეს გაზდილ-გამზდელობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვადასხვა წოდებას. გარდა ნათელმირონობისა, თითქმის სისხლხორცობა არ მიაჩნდათ ისე მტკიცე კავშირათ, როგორც გამზდელ-გაზდილობა. არა თუ ძიძის შვილები და მათი ახლო მონათესავენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზათ იყვენ ყოველ შემთხვევაში თავი დაედვათ გაზდილის გულისათვის და გაზდილიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს და მისი ბრალია რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენს ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა ვიდრე სხვა ქვეყნებში. რა თქმა უნდა, რომ ამ გონივრული ჩვეულების მიზეზი იყო სოფელში ჩემი გაბარებაც. და კურთხეულიმც იყოს ეს ჩვეულება!.. არ შემიძლია—არ გამოვტყდე რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზდებოდი.

საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რიცხვში ურევია სავანეც, ის სოფელი სადაც ჩემი ძიძა ცხოვრებდა და მე ვიზრდებოდი. როგორც სათვალდათვალოთ, ისე ჰაერის სიკეთითაც ის საუცხოვო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე", ე. ი. მოსასვენებელი ადგილი. საჩხერეზე შორს არ არის: ჩვენი სახლიდან ნახევარი საათის სასიარულო თუ იქნება. აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგია ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკა-

[illegible], მხოლოდ ორი საკვამლურით ანუ სათაფუ- [illegible] კვამლი გადიოდა და სამაგიეროთ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე, მხართეძოზე წამოწოლილი დევივით იდვა დიდი უძარ-მაძარი ჯირკვი და გაუსხლეტლათ ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდე სულ მოძრაობაშია. საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშების გრძნობა-გონება სულყოველთვის გართულია. კაცები დილითვე ადრე მიდიან სამუშაოთ ყანებში თუ ტყეში, სადილი და სამხარიც იქ მიუდით და დაღამებამდე ძვირათ ბრუნდებიან სახლში. ქალები-კი საოჯახო საქმეზე ტრიალობენ. მათ ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. ბავში რომ თვალყურს ადევნებს იმათ მუშაობას, თვითონაც ძალაუნებურათ მონაწილე ხდება და სწავლობს. ხუთი-ექვსი წლისამ მე ძალიან კარგათ ვიცოდი თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება, გაცრა-გამტკიცვა, გამოცხობა, სხვადასხვაგვარ შექამადის მომზადება და სხვანი. შესწავლილი მქონდა თუ როდის და როგორ უნდოდა: ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ, ჩემი შესაფერი ხელ-საწყო რომ მქონოდა, ყველაფერს მოვახერხებდი; არ ვიცოდი მხოლოთ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ისიც იმიტომ რომ ამბობდენ: „ქალის ხელსაქნარი კაცისთვის დიდი ცოდვა არისო“ და მეც მჯერა. მჯეროდა, მაგრამ ჩუმათ მაინც გავტეხე ცოდვა და ვისწავლე მატყლის ჩეჩვა და ბამბის პენტვა.

აი, როგორ მოხდა ეს; ჩემი ძიძის შვილი, რომელიც ჩემთან ძუძუშენაწოვარი და ჩემი კბილა იყო, არასოდეს არ მშორდებოდა, სულ ჩემთან იყო. ერთხელ ავდრიანი დღე იყო და, ქალებმა რომ ყანაში მუშებს სამხარი წაუღეს, ჩვენ შინ დაგვტოვეს, თან აღარ წაგვიყვანეს. გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდით? დავრჩით მარტო, —მოგვეწყინა. ჯერ დანასობია ვითამაშეთ, მერე კენჭობია, მაგრამ მაინც ვერ გავერთეთ, რადგანაც ამგვარი სათამაშოები მოწყენილი და მობეზრებული გვქონდა. ძიძის შვილმა მითხრა: „მოდი ერთი ბაბუას წვერები დავუჩეჩოთო!“ ჩამოიღო საჩეჩელი, მოიტანა მატყლი და დაუწყო ჩეჩვა, თანაც ასე იძახოდა: „ასე დაეჩეჩოს ბაბუას წვერებიო“. ეს ძალიან მომეწონა და მეც მივბაძე. დიდხანს ვერ ვახერხებდი ჩეჩვას; ორჯელ-სამჯელ საჩეჩელის ჩხირები მეჩხვლიტა, მაგრამ მაინც თავი არ დამინებებია. ვინ იყო ის ბაბუა, ან რას ვერჩოდით? ეს წარმოდგენილი არცერთს არ გვქონდა, მაგრამ ძალიან ალტაცებაში მოვყავდით ამ ბაბუას წვერების ჩეჩვას, ასე

რომ თითქმის დავიქანცეთ... ბოლოს ისევ ძიძიშვილმა თქვა: „კმარა ამდენი ჩეჩვა, ახლა გავპენტოთ და ქარს გავატანოთ ბაბუას წვერებიო“. ჩამოიღო ლარი, მოიტანა ბამბა და დაუწყო პენტვა. თან პენტავდა და თანაც ლარის ბაგაბუგის ხმაზე ბუქნას უვლიდა. მეც, რასაკვირველია, გავიმეორე მისი ნამოძღვრალი და ისე შეგვიყვარდა ეს „ბაბუას წვერის“ თამაში რომ შემდეგში. როგორც-კი გავიგულებდით სადმე ქალებს, სულ ამას ვთამაშობდით და ისე კარგათაც-კი შევასწავლეთ საჩეჩლის და ლარის ხელი რომ ქალებიც ვეღარა გვჯობნიდენ. ძალიან ვფრთხილობდით, რაც-კი შეგვეძლო, მაგრამ ერთხელ მოგვასწრეს ქალებმა და ჩემმა ძიძამაც ჩამოიკაწრა ლოყები: „ვუიმე! რა გიქნიათ ეგ, შვილებო? ეგ ხომ დიდი ცოდვა არის!... ქალების ხელსაქნარი რა თქვენი საქმეაო?.. და მერე, ბატონებმაც თუ გაიგეს სასახლეში, რას იტყვიანო?“ იმ დღიდან გვიმალავდენ ლარსაც და საჩეჩელსაც, მაგრამ გვიან-ღა იყო.

ყმაწვილის გრძნობა-გონება მოუსვენარია, ყოველ წუთს მოძრაობაშია. მაგრამ ფეხ-მოუკიდებელი კი არის, დიდხანს ერთსადაიმავე საგანს ვერ შერჩება. ერთგვარობა და ერთფერობა მალე ჰბეზრდება და საგნიდან საგანზე გადადის. ამიტომ ოთახში ყოფნა ეზარება, რადგანაც, რაც-კი ოთახში რამ არის, ყველაფერი ნაცნობია მისი, თვალი შეჩვეული აქვს, და ვეღარ ართობს მის გრძნობა-გონებას. ის გარბის მინდვრათ, ცა და მიწას შუა, სადაც სანახაობა მრავალფერი და უთვალავია მისთვის. შინ დარჩენა ჩემთვისაც, რასაკვირველია, დასჯა იყო: მიყვარდა ხოლმე ყანებში სიარული, სადაც მუშები იმღეროდენ, მაგრამ დიდხნობით ვერც იქ ვრჩებოდი, რადგანაც მე თითქმის ყურადღებას არავინ მაქცევდა, თავის საქმეზე იდგენ. ვინ არ იცის რომ ყმაწვილის ბუნება თანაზიარია, ყოველთვის სურს რომ თვისი გულისპასუხი სხვებსაც გადასცეს, შეატყობინოს ხოლმე; და ეს მხოლოდ შეუძლია თვის ტოლ-ამხანაგებთან. ხშირათ, როდესაც ყმაწვილი ვეღარა ჰხედავს ტოლ-ამხანაგს, უსულო საგნებს ესაუბრება ხოლმე: ქვას, ხეს, ყვავილს, ბალახს და სხვას... პირუტყვებთან ხომ რაღა! ისე სიამოვნებით მუსაიფობს ხოლმე რომ მეტი აღარ შეიძლება!.. მხოლოდ დიდებთან ვერ ახერხებენ ყმაწვილები სიტყვა-პასუხს და გულს არ უხსნიან მათ!.. და ეს კი თვით უფროსების მედიდურობისა და აუყოლელობის ბრალია. ცხადია რომ მეც ამიტომ ვერ ვრჩებოდი დიდხანს ყანაში მუშებთან. მაგიერათ სამწყესურში წასვლა, მინდვრად და ტყეში, და იქ დარჩენა ჩემთვის სამოთხეში შესვლა იყო. გათენდებოდა თუ არა, უქუდო, ფეხშიშველა გავრბოდი მწყემსებისაკენ და დაღამებამდი — იქა ვრჩებოდი. ყმაწვილი, რომელიც-კი სოფელში არ გაზდილა, ბუნებაზე სრულიათ მოსხლე-

ტილია. ის არის მოკლებული უპირველესს ბედნიერებას. ქალაქში გაზდილ ბავშს, გენიოსიც რომ იყოს მისი მასწავლებელი, სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავის საკუთარი ნახულობით. სოფლელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება, მისის სხვადასხვაფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება: ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აჰყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, — ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ. რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშს ის, რასაც სოფელში მყოფი თავის თვალით ჰხედავს? ავიღოთ, თუ გინდა, სულ უკანასკნელი: აი, მოდის. მოღრუჩუნობს დედალორი და მას ცქრიალით უკან მისდევენ პატარ-პატარა ჭყივილა გოჭები. ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის ჩრდილში სადმე და წამოგორდება მხარ-თეძოზე: მისცვივდებიან შვილები და მიეძაბრებიან ძუძუებს: სიამოვნების ნიშნათ აქიცინებენ პატარა გადაპრეხილ კუდებს და დედაც თვალდახუჭული დაჰხარის, დაღრუჩუნებს მათ... აგერ, კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან... გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალობენ და სხვანი — სულ მრავალფერობა და სხვადასხვა სანახაობა... უყურებს ბავში და თვითონაც გულშექნილი ხტის და თამაშობს!.. ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი. „გიმნასტიკაო" — მეტყვით!.. მაგრამ გიმნასტიკა მხოლოთ ტანჯვაა ბავშის და სხეულის ჯორჯვა. სხვადასხვა ნაწევრებს ადამიანის გვამისას განა ერთიდაიგივე მოთხოვნილება აქვს?.. მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვავარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუვრათ უჩვენებს. გიმნასტიკის დროს-კი წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვის ბძანებით ვიმოძრაო. მაგალითად, მე. როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთ ადგილზე, მომცემს ხელში მძიმე რკინებს და, გინდ თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნებას შეუძლია რომ დაიმორჩილოს, ე. ი. დაამახინჯოს ბუნება, მაგრამ რომ შეცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააუკეთესოს, არა მჯერა. აბა, წარმოიდგინეთ ერთი მხრით თავისუფალი, შველივით მონავარდე სოფლელი ბავში და მეორე მხრით დაჩანჩურებული ქალაქელი ყმაწვილი!.. ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები სტანჯავს... გამოსუდრულა ტანთსაცმელში, საძრაობა აღარა აქვს; ეუბნებიან: ჭკვიანი იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო!.. იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს რომ ტანისამოსი დასვაროს?.. იზრდება ბრძანებით მომავალი ჭლექი და მუმია.

ქართველებისოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არც ერთს ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოთ მისთანაა რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წრთვნის, ავარჯიშებს. ყველას არ ჩამოგითვლით აქ, რადგანაც შემდეგში კიდევ მექნება მათზე მსჯელობა განსაკუთრებით და დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას". აბა, რომელი გიმნასტიკა შეედრება მას!.. ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორათ ეჩვევა სიმარდეს. ქართულ სათამაშოებს ბავშები თავის ხელით აკეთებენ. მაგალითად, ტაფა-რიკს, თვითონ გამოჭრიან ხოლმე, შვილდ-კოდალს — აკეთებენ, ბურთს თავის ხელით ამზადებენ და ეს შრომა კიდევ უფრო აყვარებს პატარა პატრონს თავის საკუთრებას!.. ნაყიდი სათამაშოები და მუქთად ნაშოვნი ტიკინები ქალაქში მუქთახორობას აჩვევენ ყმაწვილებს და უფრო უფუჭებენ ხასიათს. ეს მე ჩემ თავზე გამომიცდია! სხვისი გაკეთებული და ნაყიდი სათამაშოები არაფრათ არ მიმაჩნდა და ჩემსას კი ვუფთხილდებოდი ხოლმე. პატარებს უყვართ დიდების მიბაძვა და მეც რომ ხუხულა სახლებსა და ბელელსასიმინდე — წისქვილებს ავაშენებდი ხოლმე, ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა. თავი მომქონდა, რომ მე თვითონ ვაკეთებდი. აბა წარმოიდგინეთ სოფლელი ბავში, რომელსაც თავის ხელით გაკეთებული ბურთი ხელში უჭირავს და თავისუფლათ გაჰკრავ-გამოჰკრავს ხოლმე ხტუნვითა და სირბილით, და შეუდარეთ ქალაქელს!.. იმ საცოდავს უჭირავს ხელში ძაფზე გამობმული ბუშტის ბურთი და შიშით ველარ ინძრევა, არ გამიფრინდესო... რომ სიტყვა აღარ გავაგრძელო, მოკლეთ ვიტყვი რომ სოფელში გაზრდილ და ქალაქში მყოფ ბავშებს შუა ისეთი განსხვავებაა როგორიც ნამდვილსა და მის აჩრდილს შუა. ეს უბედურება ბედმა თავიდან ამაცდინა მე და ექვსი-შვიდი წლის ნამდვილი ბუნების შვილი ვიყავი: ტანმრთელი, ჰალხაზი, კეთილი, ყველას მოსიყვარულე და თავისუფალი როგორც სამოთხის შვილი. დიაღ, სანამდი სოფელში ვიზრდებოდი, სრულიათ ბედნიერიც ვიყავი, თუმცა ხანდახან, კვირაში ერთხელ თუ ორჯერ, ჩემს ბედნიერებას შეაფერხებდენ ხოლმე სასახლიდან ჩემ სანახავად გამოსულები.

„დღეს ბატონები გამობრძანდებიანო!" იტყოდა ხოლმე ჩემი ძიძა: გამწმენდდა, გამბანდა, მომრთავდა თითქოს სადღესასწაულოთ და აღარ გამიშვებდა გარეთ. მართლაც იმ დღეს გამოვიდოდენ ჩემ სანახავათ დედ-მამა დიდი ამბითა და ამალით, ისე როგორც კი შეშვენოდა ბატონ-ყმობის დროს, და მთელი სოფელი ცქერათ გადაიქცეოდა ხოლმე. იმათი გამოსვლა ჩემთვის მხოლოდ სასეირნო და სათამაშო იყო. ვიცოდი რომ ისინი ბატონები იყვენ და

მე მათი შვილი ვიყავი. როგორც ისინი ისე მათი მხლებლები მოწიწებითა და ალერსით მეპყრობოდენ: მკოცნიდენ, ხელში ამიყვანდენ ხოლმე, საჩუქრებს მაძლევდენ და მანებიერებდენ, მაგრამ მაინც მე მათი მობრძანება ბევრათ არაფრათ მეპიტნავებოდა, რადგანაც გული ტყე-მინდვრისა და სამწყესურისაკენ ჰქონდა. კიდევ ჩემი ბედი რომ ისინი დიდხანს არ იცდიდენ სოფელში და მეც, გავიგულებდი ხოლმე თუ არა მათ ცოტა მოშორებით, ისევ გავრბოდი სამწყესურში. იქ სოფლის ბიჭები, ჩემი ამხანაგები, გამომკითხავდენ ხოლმე: „რა მოგიტანეს, რა გითხრეს ბატონებმა, როგორ იყვენო?“ და სხვა. ამის გამოკითხვის შემდეგ, ჩვენც მაშინვე „ბატონობიას“ თამაშს დავიწყებდით ხოლმე: ზოგი ქალბატონს წარმოადგენდა, ზოგი ვითომ ვაჟბატონი იყო, ზოგიც მხლებლები!.. გადავჯდებოდით ჯოხის ცხენებზე და ჩვენს მხიარულებას საზღვარი არ ჰქონდა.

ზემოთაც მოვიხსენიე რომ ქართველებს ურიცხვი და უთვალავი სათამაშოები გვაქვს-მეთქი. ერთი მათგანი სამუდამოთ დამრჩა გრძნობა-გონებაში, თუმც ის თამაშობა თავისთავად სახალისო არ არის. ეს გახლავთ „ქორობია“. ერთი უფროსთაგანი კრუხობას იკისრებდა, სხვები წიწილები ვიყავით. გავაკეთებდით წრეს, ჩავაბამდით ფერხულს და ვტრიალობდით. ქორი მოდიოდა წიწილების მოსატაცებლათ, კრუხი იგერებდა, სანამ ძალ-ღონე ჰქონდა. ბოლოს ქორი ხან ერთი კუთხიდან, ხან მეორე კუთხიდან მოვარდებოდა, გაგლეჯდა წრეს და გაიტაცებდა წიწილს: მაშინ წიწილები გაიფანტებოდენ, მიიმალებოდენ აქეთ-იქით და გამწარებული კრუხი კი, შვილებს რომ აქეთ-იქით მიმალულსა და მიხიზნულს დაინახავდა, თვითონ გამოუდგებოდა ქორს, დააგდებინებდა და დაიბრუნებდა ხოლმე გატაცებულს წიწილას. მაშინ ხელახლათ იწყებდა ქოთქოთს, შეიკრებდა წიწილებს და გააბამდა წრეს. მართალია, გამარჯვებული კი ყოველთვის კრუხი რჩებოდა, მაგრამ იმ საბრალოს მოსვენება არ ჰქონდა და იტანჯებოდა. ეს თამაში მე არ მიყვარდა, თუმცა ყოველდღე სხვადასხვა თამაშობას ამითი ვაბოლოვებდით ხოლმე. მეცოდებოდა კრუხი და ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე ძიძას: რა დაუშავა კრუხმა ქორს რომ წიწილებს ტაცებს და არ ასვენებს მეთქი? — „ჰამა უნდაო“, მიპასუხებდა ხოლმე ძიძა და დაიწყებდა სიცილს.

არ ვიცი, ეს თამაშობა, რომელიც სავარჯიშოთ დიდი არა არის-რა, განძრახ იყო გამოგონებული რაიმე სამნიშვნელოთ, თუ ისე შემთხვევით, უბრალოთ, მაგრამ დღეს რომ ვუკვირდები, ძალიან მაგონებს ჩვენი ქვეყნის ბედს. ჩვენი ცხოვრება. ჩვენი ისტორია სწორეთ „ქორობიას“ წარმოადგენდა: სა-

ქართველო კრუხი იყო სიცოცხლეგამწარებული და სხვა მისი კუთხეები — წიწილები!.. მტრები ქორებივით ესეოდენ... იტაცებდენ ხან ერთს მხარესა და ხან მეორეს, მაგრამ საბოლოვოთ კი საქართველო მაინც კიდევ იბრუნებდა ხოლმე დაკარგულ მხარეს და გაერთებული, ფერხულ-ჩაბმული წრე ბოლოს იქნევდა ძლიერათ. მაშინ მე ეს არ მესმოდა, მაგრამ გულზე კი რაღაც უნებურათ მკბენდა და მეჯავრებოდა „ქორობია“. რასაკვირველია, თუმცა მისი თამაშობა ყველას კი უნდოდა, მაგრამ სიყვარულით კი არავის უყვარდა. ერთხელ, სახლში რომ დავბრუნდი, მოწყენილობა შემნიშნა ძიძამ და მითხრა: რა იყო? „ქორობია“ ხომ არ გითამაშნიათო?

— ვითამაშეთ და ქორმაც მე გამიტაცა-მეთქი! — ვუპასუხე სიცილით. ძიძამ ჩამიკრა გულში და დაიწყო ტირილი. მე გამიკვირდა და ვკითხე: რა გატირებს-მეთქი? — ის მატირებს რომ ხვალ ჩემ წიწილსაც მოიტაცებენ და მომაშორებენო!.. წიწილას რა უჭირს, მაგრამ როგორ აიტანოს და როგორ-ღა გაძლოს ჭრუხმა უიმისობითო? ეს რომ თქვა, გული ამოუჯდა, მოუმატა ტირილს და უფრო ძალუმად მიმიკრა გულზე... მე, თუმცა არა მესმოდა რა, მაგრამ მივხვდი რომ აქ კარგი არ არის რა მეთქი და დავიწყე ტირილი... ვიტირე, ვიტირე და ჩამეძინა ძიძის კალთაში. მეორე დღეს კი ყოველივე გავიგე: სამუდამოთ გამომათხოვეს სოფელს და გამიყვანეს სასახლეში, სადაც სულ ახალი ცხოვრება უნდა დამეწყო.

II

სასახლეში რომ გამომიყვანეს, პირველხანებში ძალიან მოწყენილი ვიყავი. დედამ შემნიშნა ეს, მომიჩინა პატარა ბიჭები და მიმანება თავი. მე ამ ახალ ამხანაგებთან ერთად დილიდან საღამომდე სულ მინდორში დავრბოდი: მხოლოთ სადილათ დამიძახებდენ ხოლმე. თვითონ დედაჩემი მშრომელი იყო: დილიდან დაწყებული საღამომდე სულ ფეხზე იდგა; საღამოს შემობრუნდებოდა სახლში და მაშინ ჩვენც დაგვიძახებდენ ხოლმე. დაანთებდენ ბუხარში ცეცხლს, ბუხრის წინ გაგვიშლიდენ შველის ტყავს და დაგვსვამდენ ზედ. ირგვლივ შემოგვეხვეოდენ ბიჭები და მოგვიყვებოდენ ხოლმე ზღაპრებს. ზღაპარი რომ მოგვწყინდებოდა, მაშინ გავშაირდებოდით ხოლმე ერთმანეთში: ან გამოცანებს ვამბობდით და ან სხვებ როგორმე ვიქცევდით თავს ვახშმობამდე. დედა იქვე ტახტზე იჯდა ფეხმოკეცილი, წიგნს კითხულობდა თავისთვის, მაგრამ ჩუმათ-კი ყურს უგდებდა: ბიჭებს ურიგო არა წაცდეს-რა ყმაწვილებთანო.

ჩემ ამხანაგ-ბიჭებში ერთი პატარა ბიჭი ერია დიდი გამოეშმაკებული ყოველიფერში, მაგრამ გულისყური კი არა ჰქონდა. როცა დედა დაგვასწავლიდა ხოლმე ჩვენ ყველას საზეპირო ლოცვებს, ის ბიჭი ისე გამოშტერებული იდგა რომ სიტყვის განმეორებას ვერ ახერხებდა. დედა ჩემს ეს ძალიან უკვირდა: ისე ყოველიფერში მოხერხებულია და ნიჭიერიო და გულისყური-კი დახშული აქვსო!

— „გაიკეთე სამი თითი — ეტყოდა ხოლმე გამოლენჩებულ ბიჭს,—დაიდევი შუბლზე! თქვი: „სახელითა მამისათა!“ ახლა კიდევ ჭიპზე!.. თქვი: „და ძისათა!“ ახლა მარჯვენა მხარზე.... „და სულისა წმიდისათა“!... ახლა მარცხენაზე: „ამინ“!.. ბიჭი იმეორებდა თუთიყუშივით მაგრამ თავისთავად კი ვერ ამბობდა. ბოლოს, რომ ვეღარა მოუხერხა რა, სულ დაანებებია თავი და ერთხელ, ბუხრის წინ რომ ვთამაშობდით, დედამაც ვითომ ხუმრობით მიუბრუნდა იმ ბიჭს და უთხრა: „პეტრე იყო ბელატიო“ (მელოტი); უჩვენა შუბლი და დაადებია სამი თითი. „წვერი ჰქონდა აქამდიო“; დაადებია თითები ჭიპზე. „ულვაშები აქედან-აქამდე“: გაატანია მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე ხელი. ამ სიტყვების შემდეგ, რასაკვირველია, წარმოვიდგინეთ მოხუცებული პეტრე, თავტიტველა, დიდი წვერებითა და ულვაშებით... დავიწყეთ სიცილი და ზედიზედ ვიმეორებდით ზემო სიტყვებს ხან ერთი და ხან მეორე. შედეგი ამისა ის იყო რომ უგულისყურო ბიჭმა პირჯვრისწერა ისწავლა და მეორე დღეს „სახელითა მამისათაც“ გაიზეპირა. ჩვენს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. დედაც გამხიარულდა და მკითხა: „შენ არ იცი ჯერ ლოცვებიო?“ — როგორ არა, სოფელში მასწავლეს და, თუ იმას არ მათქმევინებდენ, ისე არ დამაძინებდენ ხოლმე-მეთქი და მოვჰყევი ზეპირათ:

„დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავითა დამესვენება!“..
„ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული,
ვერას მავნებს მაცდური!“

კარგი ლოცვააო, მითხრა დედამ, მაგრამ ეგ სოფლურია და ჩვენ კი სულ სხვა ლოცვები გვაქვს წმინდა მამებისაგან შედგენილიო და ის უნდა ისწავლოო. მეც, რასაკვირველია, დავეთანხმე და ერთი თვის განმავლობაში „მრწამსი“, „მიწყალე“, „მამაო ჩვენო“, „წმინდაო ღმერთო“ და სხვანი სულ ზეპირად ვიცოდი. ისე გამიგემრიელდა საზეპიროები რომ წერა-კითხვის სწავლაც მოვინდომე, მაგრამ დედამ მითხრა: „ჯერ ბრიყვი ხარ და არ შეგშვენის

წერა-კითხვაო; როცა დაჭკვიანდები და ხასიათიც კარგი შეგექნება, მაშინ გასწავლი, თორემ ჯერ შენ რა ღირსი ხარო!“.. ამ სიტყვებმა სულ ცეცხლი მომიკიდეს და ვცდილობდი დაჭკვიანებას რომ ჩემ ძმებსავით მეც წერა-კითხვის ღირსი გავმხდარვიყავი. მეხარბებოდა, ესეები რომ კითხულობდენ და ბოლოს ჩემმა ბედმაც გაჭრა. ერთხელ ჩემი ძმა, რომელიც რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო, მღვდელს მოეხმარა და წირვაზე მშვენიერათ წაიკითხა „სამოციქულო“. ნაწირევს დიდი და პატარა ყველა მის ქებაში იყო.

მე მეხარბებოდა და გული მწყდებოდა. ერთმა გლეხმა მკითხა: „შენ როდის ღა წაიკითხავო?“ ჩემ მაგიერად მეორემ მიუგო: „როდინობის კვირეშიო!“ მივხვდი რომ დამცინოდენ და მეწყინა. იმ დღეს ჩემ უფროს დას კალთა დავაგლიჯე ხვეწნით: კითხვა მასწავლე-მეთქი. იმანაც დამარიგა: დედამ არ გაგიგოსო, და ჩუმათ დამაწყებინა კითხვა. მოკლე ხანში ან-ბანიც ვისწავლე და ამოსალებიც დავიწყე. „თუ აგრე კარგათ და გულმოდგინეთ ისწავლი, მალე სამოციქულოსაც დაგასწავლი და საყდარში წაგაკითხებო მეუბნებოდა ჩემი და: დედას ძალიან გაუკვირდება და მოგიწონებსო“. მე ამ იმედით წახალისებულს დღედაღამ მეტი აღარა მეფიქრებოდა რა. რა ვიცოდით, თუ ეს სულ დედი-ჩემის ხერხი იყო რომ წერა-კითხვა შემყვარებოდა! ამნაირმა წინდახედულობამ ძალიან შემაყვარა წიგნის კითხვა და ერთი წელიწადსაც არ გაუვლია რომ მე მღვდელს ვეხმარებოდი.

დედაჩემი არ გვაქალაჩუნებდა ჩვენ. „ნამეტანი ალერსი აფუჭებს ყმაწვილსო“,—იტყოდა ხოლმე და მართლაც, თუმცა გალახვა არ იცოდა ჩვენი, მაგრამ შიშით მაინც კი ძალიან გვეშინოდა მისი. არც ერთ დანაშაულობას არ შეგვარჩენდა, რომ არ გადაეხდევინებია ჩვენთვის; მაგრამ სასჯელი კი ახირებული იცოდა, მაგალითად, წიგნის კითხვის ნებას არ მოგვცემდა: „ღირსი აღარა ხართ, როგორც დამნაშავეო!“ და მაშინ უნდა გენახათ ჩვენი მწუხარება!... „იიი! იიი!“ - დაგვცინოდენ ბიჭები და გოგოები სასახლეში: „უწიგნოთ დარჩით, უწიგნოთ დარჩითო!“ და მართლაც ჩვენს სირცხვილსა და მწუხარებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

რამდენისამე წლის განმავლობაში ხუცური ზედმიწევნით ვიცოდი; მხედრული ჩემით ვისწავლე, ანბანის წერა ბეჭზე დავიწყე. რუსული კითხვა დედაჩემმა მასწავლა, მაგრამ სიტყვები კი ბევრი არც დედას ესმოდა და არც მე. მოსკოვში ერთი ძველი დაბეჭდილი „რაზლოვორი“ გვქონდა და იმას მაზეპირებიებდა ხოლმე. დედაჩემი სულ იმას ფიქრობდა რომ ჩვენ უსაქმოთ არც ერთი წამი არ დავრჩენილიყავით და სწორეთ რომ სიხარულით გვზრდიდა.

სულ ფეხშიშველა და თავშიშველა დავრბოდით მინდორში, არც გაცივების გვეშინოდა და არც შიმშილის. „კაცი ისე უნდა იყოს დაჩვეული ბავშობიდანვე რომ ცხოვრებაში ყოველიფერი აიტანოსო“,— იტყოდა ხოლმე დედაჩემი და მართლაც რომ მისი რჩევა ბოლოს გამოგვადგა. რომ უფრო დაწვრილებით გაიგოს მკითხველმა, თუ რა ნაირათ გვზრდიდენ ჩვენ სოფელში, მე ავწერ წლიდან წლამდი რას ვაკეთებდით და ან დღეს როგორ ვაღამებდით?

დილას, გამოვიღვიძებდით თუ არა, ქვეშაგებშივე უნდა გვეთქვა ეს ლოცვა: „გმადლობ შენ, უფალო, ყოვლითა გულითა“ და სხვ .. მერე ხელ-პირს დავიბანდით, ჩავიცვამდით, წავდგებოდით ხატების წინ, საზეპირო ლოცვებს ვიტყოდით და ზედაც დაუჯდომელს მოვაბამდით. ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, ე. ი. ცოტა რასმე ვისაუზმებდით, რომ იმ დღეს, გამოსვლის დროს, ჩვენთვის ჩიტს არ დაესწრო და არ ეჯობნა: მერე მივუჯდებოდით წიგნებს, ერთხანს ვკითხულობდით, ვსწავლობდით და, რომ მოვრჩებოდით, შემდეგ კი საღამომდე, თავისუფალი ვიყავით. სადილათ მოგვიკითხავდენ ხოლმე, მაგრამ ზოგჯერ, როცა „სტუმრობია“ თამაშს მოვინდომებდით ხოლმე, გარეთ ვრჩებოდით და ერთად პატარა ფარეშებთან სუფრას ხეს ქვეშ სადმე ჩრდილში გავშლიდით. იქ, ჩვენ კერძს გარდა, მოსაკითხიც მოგვდიოდა. მასპინძლებათ ყოველთვის ყმაწვილები ვიყავით ხოლმე და სტუმრებათ კი — პატარა ფარეშები. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენი სტუმრები ძალიან უბოდიშოთ გვექცეოდენ და გვაბრიყვებდენ: გვეტყოდენ ხოლმე, დაგვახრჩვეო!.. დაგვიღებდენ პირს და რაც კი რამ გაგვაჩნდა, ვტენდით პირში. განსაკუთრებით ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს. ისინი გააბამდენ ყვირილს: „ვაიმე, ვიხრჩობით, ვიხრჩობითო“; [illegible]ეხდენ განგებ ხველას და დაიწყებდენ ფართხალს. ჩვენ სრული დარწმუნებული ვიყავით, რომ ისინი იგონებდენ ყოველიფერს, მაგრამ ეს თვალთმაქცობა მაინც ძალიან მოგვწონდა, გვიხაროდა. საღამოს, შინ რომ დავბრუნდებოდით, დედა გვკითხავდა ხოლმე: „რა ქენით? რა გააკეთეთ? რა ითამაშეთ? რა ილაპარაკეთ?“ და სხვანი... საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულათ გვზრდიდენ. არ გვარიდებდენ არც სიცივეს, არც სიცხეს, არც დარს და არც ავდარს. დილდილობით ცვრიან ველზე ფეხშიშველას უნდა გვერბინა. პირველი თოვლი რომ მოვიდოდა, ფიფქზე რამდენჯერმე უნდა გაგვერბინ-გამოგვერბინა; დასოვლებული და სიცივისაგან გაჭარხლებული ფეხები ცეცხლზე უნდა შეგვეშრო. დარწმუნებული ვიყავით რომ ამით ჯანმრთელობა მოგვემატებოდა. ახალ გაზაფხულზე რომ წვიმა მოვიდოდა, ჩვენ სახლის ღარს თავს ვუშვერდით, რომ ოქროს ხუჭუჭი ამოგვსლოდა. უმთავრესი ყურადღება ჩვენი წირვა-ლოცვაზე და მარხვაზე იყო მიქ-

ცეული. სამწუხარო დრო ჩვენთვის დიდმარხვა იყო; მთელი დღე სა[redacted] სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მეტს არაფერს მიგვაკარე[redacted] მოსაც მარტო ხმელ პურს გვაძლევდენ. არათუ შეჭამადი რამე, ღვინო, მარილი და ზეთიც კი აკრძალული გვქონდა. თამაშის ნებაც არ გვეძლეოდა. ცისკარს როგორ დავაკლდებოდით? ესეები ყველა ჩვენთვის ჯოჯოხეთი იყო და, რასაკვირველია, აღდგომას სულწასულობით მოველოდით.

საზოგადოთ დიდ ოჯახებში ყველგან ამაოდმორწმუნება იყო გავრცელებული: ყმაწვილებს ყველას სჯეროდათ რომ ჭინკები, ქაჯები, კუდიანები და ეშმაკები ქვეყნად დადიან და ადამიანებს აშინებენო. ეს სენი ჩვენს ოჯახშიაც ოდებული იყო. ახლა, როგორც ვფიქრობ, ეს სულ მოსამსახურეების ბრალი იყო: იმათ, საზოგადოთ ბიჭსა და გოგოებს, აკრძალული ჰქონდათ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა და თამაშობა: დღე ვერ ხედავდენ და, ღამ-ღამობით რომ თავისუფალი ყოფილიყვენ და ვერავის დაენახათ, ბატონიშვილებს, ყმაწვილებს განძრახ აშინებდენ და ისინიც, დაღამდებოდა თუ არა, შიშით კარში ვეღარ გამოდიოდენ. არ მახსოვს, ისე შევსულიყო ან საფარეშოში და ან სამუახლოში, რომ ათასი რამ უცნაური და საშიში არ ეთქვათ ჩემთვის. დედას რომ ვეტყოდი ხოლმე ამას, ის გაიღიმებდა და მიპასუხებდა ხოლმე: „არა, შვილო, ტყუილია! ვინც ცუდს არ იზამს და არც არას დააშავებს, იმას არაფერი არ მოეჩვენებაო“.

ამგვარი სიტყვებით დაიმედებულს გული საგულეს მქონდა და უშიშარიც ვიყავი, მაგრამ ორმა შემთხვევამ გამიტეხა გული და ხასიათიც გამომიცვალა: ერთხელ, დღედაღამის გაყრის დროს, გადა[illegible] ბოსტანში და ნესვის მოპარვას ვაპირებდი: დავუწყე ძებნა, გადავზი-გად[illegible]არდები და [illegible]ვაგენი ერთ მწიფე ნესვს; მოწყვეტა რომ დავაპირე, გამევლო გულში: არავინ მიყურებდეს-თქო. დავანებე თავი, წამოვდექი ზეზე და მივიხედ-მოვიხედე. მეორეთ რომ დავაპირე და მოვინდომე ნესვის მოწყვეტა, თურმე ხელი დავაცდინე ბარდებს და იქვე სხვა ალაგას გადავშალე ფოთლები: იქ თურმე კატა იწვა, წამოვარდა ზეზე ფრუტუნით და გაიქცა. მე მაშინვე მომაგონდა ჩვენი მოსამსახურეების სიტყვები რომ „კუდიანები, რათაც უნდათ, გადიქცევიანო“; ამას გარდა, დედის სიტყვებიც მომაგონდა: „ვისაც არაფერი დაუშავებია, იმას არაფერი მოეჩვენებაო“. ვთქვი გუნებაში: მეტი დამნაშაობა რაღა იქნება, რომ უმათ მინდოდა ნესვის მოწყვეტა-მეთქი? ალბათ კუდიანი იწვა, ნესვათ და კატათ გადაიქცა-თქო. ერთი-ორი დავიკივლე და შემიწუხდა გული.

არ გაუვლია ერთ კვირეს, რომ ამას მეორე შემთხვევაც დაერთო: ტალავერში მაღლა ყურძნის მტევნები იყო ჩამოკიდებული, მე პატარა ვიყავი და ვერ ავწვდებოდი, მაგრამ ჩემი უფროსი და კი კრეფდა ხოლმე; ერთხელ მთვარიან ღამეში შევნიშნე რომ ჩემი და ტალავერ ქვეშ იდგა და ყურძენს კრეფდა. მივიპერი და შევეხვეწე: „ანნა, ვენაცვალე, ერთი მტევანი მეც მომიწყვიტე-თქო!“ ჯერ ხმა არ გამცა, მაგრამ, რომ აღარ მოვეშვი, მომიბრუნდა, უცბათ რაღაც წაიპურტყულა და დამეჭყანა. მისთანა' თქვენმა მტერმა ნახოს, მე იქ სანახავი ვნახე: ჩემი დის მაგიერათ ვიღაც სხვა იყო! თურმე ჩემ უფროს ძმას, დავითს, რომელსაც კუჭის სისუსტის გამო ყურძნის ჭამა აკრძალული ჰქონდა, დის ტანისამოსი ჩაეცვა და ისე წასულიყო ყურძნის მოსაპარავათ. მე ესეები რა ვიცოდი, ეშმაკათ მივიღე და გული შემიწუხდა.

თუმცა ორივე შემთხვევაში ჩემი შეცდომა თვალდათვალ დამიმტკიცეს, მაგრამ ისე გამიფუჭდა ხასიათი რომ ბნელში, კარში გამოვიდოდი კი არა, ოთახშიაც ვერ ვრჩებოდი მარტო, თუმცა მერვე წელიწადში გადმომდგარი კი ვიყავი.

ერთხელ, ზამთარი რომ დადგა, მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შვილდ-კოდლების კეთება დავიწყეთ. ქორაფის ხეს რომ ვაკოპიტებდი, დავაცილე წალდი, დავიკარი კოჭზე და შუა გავიპე. ტკივილს ისე არ შევუწუხებივარ, როგორც შიშს: „ვაი თუ გამიწყრენ-თქო“. მოვაგროვეთ აბლაბუდა, დავიდევი სქლათ გაჭრილზე, ზედ ბამბა დავიდევი და შევიკარი მაგრათ. მინდოდა არავისთვის გამემხილა მაგრამ იმ ღამეს თურმე ქვეშსაგებში შემხსნოდა და სისხლის ტბა დამდგარიყო. რასაკვირველია, გაიგეს, მიაქიმეს და ნახევარ წლის განმავლობაში ტკივილი არ დამცხრობია. ბოლოს მოვრჩი, მაგრამ ძარღვები კი ისე დამისუსტდა, რომ მუხლი მომეღუნა და დავკუტდი. ბევრი მიაქიმეს, მაგრამ არა მეშველა რა. ამ ხანებში მამაჩემი დეპუტატათ დაინიშნა ქუთაისში სათავად-აზნაურო კომისიაში. დედაჩემმა ურჩია რომ მეც წავეყვანე ქუთაისში და ექიმებისთვის ეჩვენებია ჩემი თავი. რადგანაც ფეხის გამართვა არ შემეძლო, ქალის უნაგირზე შემსვეს, ქალივით გადამადებიეს შეხუთული ფეხი და ისე წამიყვანეს. ქუთაისამდის ორი დღის სავალი იყო. გზაში უნაგირზე თურმე ფეხი დამეზილა, შეკრული ძარღვი გაიხსნა, ჩავედი თუ არა ქუთაისში, ფეხი გამემართა, აღარც ექიმი დამჭირვებია და აღარც წამალი.

რვა წლის ვიყავი, როდესაც სოფელს მომაშორეს და ქალაქ ქუთაისში გადამიყვანეს*. აქ თავდება ჩემი ბავშობის პირველი ხანა: ბედნიერი, ნაყოფიერი და დაუვიწყარი. აქიდანვე იწყება მეორეც: მტანჯავი და დამჩაგვრელი.

---

* პოეტის მამა მაშინ ქუთაისში ცხოვრობდა სამსახურის გამო. აკაკის ქუთაისში ჩაყვანა 1848 წელს მომხდარა, მაგრამ გიმნაზიაში იმავე წელს არ შეუყვანიათ, არამედ 1852 წელს, როცა იგი 12 წლისა ყოფილა.

III

გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, გავცეცდი: იმდენი ბავშვი ერთად თავმოყრილი ჩემ დღეში არ მენახა. მოზდილები სკამებზე იჯდენ სულგანაბული და ახალმოსწავლე პატარაები-კი ჯგუფჯგუფათ კედლებთან იყვენ ატუზული. აქ კედლებზე ირგვლივ ქაღალდის ფიცრები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და ამოსაღები ეწერა და იმას აკითხებდენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ და, როცა სულ შემოუვლიდენ კედლებს, მერე-კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვენ ისინიც სკამზე. ამ ყოფაში იყვენ, სანამ კითხვას ისწავლიდენ. უნდებოდენ ზოგჯერ წელიწადზე მეტს. წარმოიდგინეთ 7 წლის ბავში დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდი მშიერ-მწყურვალი და მაშინ იგრძნობთ თუ რა ტანჯვაში იყვენ ის საწყლები. ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევდა.

შესვლისათანავე პირველ კედელთან დამაყენეს „ანბან“-ზე, მაგრამ რადგანაც მე ხუცური ვიცოდი, მხედრული წერა-კითხვაც შესწავლილი მქონდა და რუსულ ამოსაღებშიაც გატეხილი მქონდა თვალი ღედიჩემის წყალობით: ერთ დღეს შემოვირბინე ყველა კედლები. მასწავლებელმა თავზე ხელი გადამისვა, მომიწონა და უფროსებთან დამსვა სკამზე. კითხვით კარგად ვკითხულობდი, მაგრამ ჩემი უბედურება ის იყო რომ რუსული არ მესმოდა.

იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოთ თუნუქის ფირფიტა რომელსაც „მარკას“ ეძახდენ. ვინც ქართულათ ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდენ ხელში და თანაც გძელ ფიცარს — სახაზავს — დაჰკრავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმ რიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყმია ხელის გულზე. ამგვარათ ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოთ. ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდენ და მუნჯდებოდენ. ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა: ყმაწვილები ცდილობდენ რომ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდენ. სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი ანგელოზის სახის მქონე და ტკბილი ღიმილით

შეგობრულათ მკითხა რაღაც ქართულათ: მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულათ ვუპასუხე. ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სიხარულით მომაჩეჩა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზა მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. რა გენაღვლება შენ, მე რომ „ლინეიკა“ არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი - ვეხვეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა: მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?! მე მაინც არ დავეთანხმე. გავუძალდი და იმან ჭუჭყუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მივიდა და დამაბეზღა. დამიძახეს, გაველი შიშითა და კანკალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა: როგორ ბედავ ურჩობას? აქ შენი სახლი ხომ არ გგონიაო! მე თავის გამართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა! კარგი, მე გასწავლი ჭკუასო! დაუძახა „სტოროჟებს“ და უბრძანა ‚როზგიო!“ მე ამის გამგონეს თავში სისხლი ამივარდა და გაქცევა დავაპირე. -ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო! — ბძანა მასწავლებელმა. იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერათ და გადამეღობენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი სადაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევხტი ფანჯარაზე, გავამტვრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისკენ. გამომიდგენ „სტოროჟები“... წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდენ კიჟინით. გულგახეთქილი შევიჭერი შინ. დედ-მამამ რომ გაიგეს, რაც მოხდა, შეწუხდენ და ბევრიც მირჩიეს: წადი, რა ვუყოთ, გაგროზგონ, ეგ მარტო შენს თავზე ხომ არ არის - ყველას როზგვენო. მოითმინე, მოიჭირვე, მიეჩვიე და ბოლოს კაცი გამოხვალო; მაგათში უმისოდ არ შეიძლებაო!,. მაგრამ მე შორს დავიჭირე და გამოტეხილი ვუთხარი დედას: — თუ კიდევ გაგიგზავნივარ იმ დასაქცევ გიმნაზიაში, თავს დავიხრჩობმეთქი!.. შეშინდენ და ჩამომეთხოვენ.

ერთ კვირას აღარ წავსულვარ კლასში. იმ დროს დირექტორათ კოცებუ იყო ახალი დანიშნული. ქართული მაზრის უფროსობის დროს შეესწავლა, კარგათ იცოდა და ქართველებიც ძალიან უყვარდა. მოვიდა ჩვენსა და გამომკითხა ყველაფერი. მეც დაუფარავათ მოვახსენე, რაც გადამხდა და რასაცა ვგრძნობდი. გაუკვირდა, გადააქნია თავი, მომეფერა და მითხრა: — შენ ჩემი სახელი ახსენე და ნუღარავისი გეშინიაო; ხვალ ჩემთან მოდი პირდაპირ კანცელარიაში და მე წაგიყვან კლასშიო. მეორე დღეს მართლა წამიყვანა და შემიყვანა ჩვენს კლასში. გამოიკვლია ყოლიფერი და „მარკის“ ამბავი რომ გაიგო, გაოცდა, მოიხმო ინსპექტორი, ზედდამხედველები, მასწავლებლები და გამოუცხადა ყველას რომ დღეიდან ეგ საქციელი აღარ ჩაიდინოთო!... მოს-

პეთ „მარკა“ და უმიზეზოთ ცემა-ტყეპაზედაც ხელი აიღეთო? მერე მიუბრუნდა ჩემ მასწავლებელს და უთხრა: — განსაკუთრებით ყურადღება მიაქციე ამ ყმაწვილსო.

მართლაც იმ დღიდან ცოდვის ფირფიტა გადააგდეს, მაგრამ ცემა-ტყეპაზე კი ისე უცბათ ვერ აიღეს ხელი, უიმისობა მაინც არ ეხერხებოდათ. ტყუილა კი არ არის ნათქვამი: „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო. გიმნაზიაშიც, რასაკვირველია, პირველი ადგილი ეჭირა... დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. „როტაში“ არ მოუნდებოდათ იმდენი წკეპლა რაც თვითეულ კლასში. „სტოროჟებს“, ურმებით მოჰქონდათ ახალახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული „სტოროჟებამდე“. მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოთ... ხშირათ მოხდებოდა ხოლმე რომ ერთიდაიგივე ბავში ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს“ სხვადასხვა უფროსისაგან. მახსოვს და არ დამავიწყდება ჩემ დღეში: ერთი რუსის ბავში იყო — კრიჟანოვსკი - ძლიერ მოუსვენარი რამ, მაგრამ სხვებ. კარგი იყო. ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მოსვლა და ინსპექტორმა „გააროზგვინა“; იმ დღესვე გაკვეთილი არ იცოდა და მასწავლებელმა „გააროზგვინა“; კლასი რომ გამოვიდა, ზედამხედველმა „გაროზგა“; სახლში გიცელქნია და მეზობლის ბავშისათვის ქვა გისროლია - გიჩივლესო! ამითაც ველარ გადარჩა. ყველამ ერთად დააბეზღეს ინსპექტორს და იმანაც მოუნდომა „გაროზგვა“. ეს ინსპექტორი შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ როგორც სულთამხუთავისა. კრიჟანოვსკიმ, ტანჯვა რომ ველარ აიტანა, იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ შემთხვევით იქვე არ დასწრებოდა ერთი მეგრელი მოსწავლე, ძალიან კარგი მცურავი, დაიღუპებოდა.

ისე ცემა-ტყეპას ხომ ანგარიში არ ჰქონდა!.. ვაი მისი బრალი, ვისაც კაოგი ხუჭუჭი თმა ჰქონდა!... ერთ ყმაწვილს, გვარათ ჭაჭიაშვილს დიდი ყურები ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდი აახლიჩა ყური. გაუსივდა და მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუწყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცება!.. სტაცებდენ ხელს და ხელახლა აგლეჯდენ... ასე რომ გავიდა სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს — კლდიაშვილს - პირით დაჰკრა შუბლზე „ლი-

ნეიკა“ და თავთხლე გადაადინა, ძვალიც კი გაუტეხა. გულშემოყრილი ბავში შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია.

ამისთანები რამ უთვალავი იყო. ღვთის მადლით მე ამცილდა ტანჯვა და ერთხელ მეტათ არ გავლახულვარ, მაგრამ ეს ერთიც საკმაო იყო -- მთელი ჩემი სიცოცხლე მოეტანჯა. დირექტორმა რომ მიმიყვანა, იმ დღიდან ჩემი მასწავლებელი სულ გულაღრენილი იყო ჩემზე და, თუ კი შემთხვევა ექნებოდა, რასაკვირველია, არ დამზოგავდა. ერთხელ რომელღაც მოსწავლემ ხაჭაპურები მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპეიკათ. ყველამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლებელი და იწყინა: როგორ გაგიბედნიათ ხელის მოწერაო! აიღო დიდი, უშველებელი „ლინეიკა“ ხელში. თითო-თითოდ გაჰყავდა ხელის მომწერლები, ჰკითხავდა: რომელი ხელით მოაწერეო? და პასუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა!.. „კიდევ მოაწერო?“ -- ეკითხებოდა დაცინვით. მე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანაც ჩემი გვარი წილზეა და „ჟურნალში“ ანიდან იწყება გვარების წერა. იმ დროს საბა-ორბელიანის იგავარაკები წაკითხული მქონდა და მომაგონდა ოფოფის ხრიკი, თავის გადარჩენა რომ უნდოდა და მელა გააბრიყვა. იმ განყოფილებაში წერის გაკვეთილი იყო. მე ვიფიქრე, რომ თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამიფუჭდება და მოდი მარცხენას გავიმეტებ-მეთქი. მეც, რასაკვირველია, მითხრა: აბა, დამნაშავე ხელი გამოაშვირეო! მე მარცხენა გავუშვირე. ჯერ დამკრა და მერე ეჭვი შეიტანა. რასაკვირველია განგებ, მარცხენა ხელით როგორ მოაწერდიო? რომ გამოუტყდი, მარჯვენა ხელზედაც დამკრა და გამიშვა. ტკენა ხომ ტკენა იყო, მაგრამ მე ის უფრო მტანჯავდა რომ ჭკუა წავაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს, მაშინ როცა სხვები კი თითოთი გადარჩენ!.. ვტიროდი, ხელი მიკანკალებდა და. რასაკვირველია, კარგათ ველარ დავწერდი!.. ნაწერები რომ გაარჩია მასწავლებელმა, დამიწუნა და კიდევ დამკრა „ლინეიკა“ -- უკეთ დაწერეო! კლასის ვათავებამდი ოთხჯერ კიდევ დამკრა!.. ის დღე იყო და მას აქეთ ველარ გამოვბრუნდი. არ იქნა. ველარ გადავიგდე გულზე ეს შემთხვევა, წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლათა ვწერ. ვინც ჩემ ნაწერებს დახედავს, გაუკვირდება, რომ ზოგან კარგი ხელია და ადგილ-ადგილ კი ნაჯღაბნი და გაუგებარი. ეს მაშინ მემართება, როცა ინსტიქტურათ მაგონდება ხოლმე მაშინდელი ჩემი ტანჯვა. ეს შემთხვევა რა გასახსენებელი იყო, მაგრამ მიტომ ვამბობ რომ მშობლებმა და მასწავლებლებმა იგულისხმონ თუ რა ძნელია სათუთ ბავშებთან სასტიკათ მოპყრობა და რა შედეგი მოჰყვება ხოლმე.

ჩემი გალახვის ამბავი გაეგო დირექტორს და შენიშვნა მიეცა მასწავლებლისათვის. ის იყო და ის, ამ დღიდან ამომიჩემა მასწავლებელმა და ყურადღებასაც აღარ მაქცევდა, თითქო ერთი ჯირკი გდებულიყო იქ. არც მასწავლიდა და არც რამეს მკითხავდა. მე მაინც ზოგს ამხანაგების შემწეობით. ზოგსაც ჩემით ვსწავლობდი, რაც ძალი და ღონე მქონდა. იმდენი ნიჭი არა მქონდა რამდენიც სურვილი და ბეჯითობა. ვცდილობდი, დღე და ღამე გასწორებული მქონდა და სხვებს არათუ არ ჩამოუვარდებოდი, მეტიც ვიცოდი მათზე. ეგზამენები მოახლოვდა, ხმა გავარდა რომ „პოპეჩიტელის“ თანაშემწე მაქსიმოვიჩი მოდის, იმან უნდა გამოგვცადოს მოსწავლეებიო. იმის სიფიცხეზე და გულქვაობაზე ბევრ საარაკო რამეს ლაპარაკობდენ. ყველა შიშის ქარმა აიტანა: მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც.

მაქსიმოვიჩი ჩამოვიდა თუ არა, მაშინვე ბრძანება გამოსცა რომ, რადგანაც ყველას ვერ მოვასწრებ, თვითოეული კლასიდან სამ-სამი მოწაფე გამომგვარეთ: პირველი, შუათანა და უკანასკნელი: იმათ გამოვცდი და მით მთელი გიმნაზიის გარემოებაც გათვალისწინებული და აწონილი მექნებაო. ეგზამენებმა კარგათ ვერ ჩაიარა. წინდაწინვე დაფრთხალ ყმაწვილებს გონება ეკარგებოდათ. ჯერ იმ სამ მოწაფეთაგანს ჰკითხავდა რამე საპასუხოს და, თუ ვერ უპასუხებდენ, მერე მთელ კლასს მიუბრუნდებოდა. თუ აქაც აღარავინ აღმოჩნდებოდა - მასწავლებელს უნდა აეხსნა. ხშირათ მასწავლებლებიც წაიბორძიკებდენ ხოლმე და მაშინ თვითონ ეგზემენატორი ახსნიდა და გაამეორებინებდა ხოლმე ყმაწვილებსაც. ეს ახალი მეთოდა იყო მისგან შემოღებული. იმ დროს გიმნაზიაში სწავლობდა ერთი შესანიშნავი და სახელგანთქმული ახალგაზდა — ბესარიონ ღოღობერიძე. მასწავლებლებსაც დიდი ხათრი ჰქონდათ მისი და პედაგოგებსაც მისი იმედი ჰქონდათ: „თუ დაგვიხსნის, ის დაგვიხსნის და გვასახელებსო“. მათი მოლოდინი გამართლდა, მაგრამ სულ ისე მაინც არა, როგორც ეგონათ. ამბობდენ: „მარჯვეთ იყო ბესარიონი, მაგრამ ბევრი ოფლი კი აწურვიესო“. ასე თუ ისე, თუ იმას არა, მაქსიმოვიჩი გულს ველარ მოიბრუნებდა ქუთაისის გიმნაზიასა და მის მასწავლებლებზე. შუა კლასებშიაც ზოგიერთებმა გვარიანად მიუგეს.

ბოლოს ჯერი მიდგა უმცროს კლასებზე. ჩვენი კლასიდანაც, განკითხვის დღე რომ დადგა (ასე ვეძახოდით საზოგადოთ მაქსიმოვიჩის ეგზამენებს), სამი მოწაფე აიყვანეს და ჩააყენეს თორნეში. მესამე მოწაფეთ, ე. ი. უკანასკნელ მაჩანჩალათ, მე გამაყოლეს. ჩემი ამხანაგები ცახცახობდენ და მე კი უფრო სეირის საყურებლათ ვავედი. რადგანაც ვიცოდი რომ. როგორც უკანასკნელს.

ბევრს არას მკითხავდენ და ყურადღებას არ მომაქცევდენ. ერთ ხანს მარჯვეთ იყვენ მოწაფეები. საზეპირო როცა ჰკითხეს, იმათაც ჩაიბულბულეს, მაგრამ ბოლოს, როცა აზრით გაგებაზე მიდგა საქმე, მაშინ კი აიბნენ. საკვირველი იყო: იმ „პოპეჩიტლის“ თანაშემწის საკითხავებმა, სასახლეში რომ ბავშვებმა თამაშობაები ვიცოდით: „ბერი ჩამოხტა“, „აჩატი“, „ანზე ვისი ყმა ხარ“ და სხვანი, - სწორეთ არ მომაგონა! გამიკვირდა: ეს რა გიმნაზიის საკადრისია-მეთქი — ვამბობდი გუნებაში, მაგრამ მომაგონდა ჩვენი სახლი, დედა და ისე წავხალისდი რომ ასე მეგონა— შინა ვარ-მეთქი და ორჯელ-სამჯერ, ჩემ ამხანაგებს რომ შეეშალა, მე უკმაყოფილოდ თავი გავაქნიე. მაქსიმოვიჩმა თვალი შემატანა და მომაყვირა: - „რას აქნევ თავს ქეციან ცხენივითო!“ შევშინდი და ენა ჩამვარდა. მასწავლებელი მომეშველა და მოახსენა: — ალბათ ბუზი აწუხებს და ხელს ვერ ხმარობს... რა დროს ბუზებია! მიუბრუნდა უკმაყოფილოდ მასწავლებელს და ან „საპიროების დროს ხელს ნუ გაანძრევთ“, ვინ ეუბნება? უშლიან მხიალოთ წარამარა ხელების აქეთ-იქით ქნევას. არა, აქ სხვა მიზეზია! მომიხმო სტოლთან.

— მე შეგნიშნე რომ, როცა იმათ ეშლებოდა, მაშინ აქნევდი თავს. მართალია თუ არა? ნუ გეშინია, მითხარი!

-- დიახ, უნებურათ!...

— მაგალითად, რა შეეშალათ!

— აქლემი გაფრინდებაო — რომ მოგახსენეს, ეტყობათ, არ უნახავთ აქლემი!

-- შენ? შენ სად გინახავს?

— შარშან თათრებმა ჩაატარეს მაედანში; ძლივს მიიფხორებოდენ.

— მერე, რა იცი რომ ვერ გაფრინდება?

— ფრთები არა აქვს.

— რასაც ფრთები არა აქვს, ვერ გაფრინდება? მაგალითად, კაცი ვერ გაფრინდება?

— ვერა.

— არ გავინოია, ძველათ რომ ვინმე გაფრენილიყოს?

— ძველათ — ენოქ და ილია, მაგრამ ისინი ურმით გაფრინდენ ღვთის ძალით. ეგზამენატორმა თვალები დააჰყიტა და მკითხა:

ვინ გითხრა შენ ეგ?

— დედამ.

— კუდიანები რომ ფრენენ, იმათ ხომ ფრთები არა აქვთ?

კუდიანები არ ფრენენ.

მაშ როგორ შეუძლიათ რომ არ ფრენდენ? ასე ჩქარა ყველგან როგორ მიივლ-მოივლიან?

— მგელზე ჯიან და ისე დადიან. აქ გადიხარხარა და თავზე დამისვა ხელი. ამგვარ რამეებს მკითხავდა და თანდათან გახალისდა. მეც რომ შევატყე, აღარ წყრება-მეთქი, გავთამამდი. ბოლოს დამიწყო გამოცდა. საზეპიროები მკითხა, — კარგათ მივუგე.

— აზრიც გესმის? მკითხა.

— რასაკვირველია, მესმის!

— შეგიძლია ქართულათ გადაგვითარგმნო ეგ ლოცვები?

— რაღათ გადაგითარგმნით, ქართულათ რომ უფრო ადრე ვიცოდი?..

— სად ისწავლე?

— სახლში.

— ეგებ რუსულათაც იქ ისწავლე?

— არა, აქ. მიუბრუნდა მასწავლებელს და ჰკითხა:

— თქვენ ხომ არ შეგშლიათ რომ ეს ბავშვი უკანასკნელ მოწაფეთ წარმოადგინეთ?

— არა, თქვენო აღმატებულებავ! ერთი რომ პატარაა, მერე კიდევ არც დიდი ხნის შემოსულია და ჯერჯერობით ყურადღებას აღარ ვაქცევდით, არასა ვკითხავდით, გაკვეთილებსაც არ ვაძლევდი, ჯერ მიეჩვიოს-თქო — უპასუხა მასწავლებელმა ცოტა ფერმიხდილათ.

— მაშ თუ არა გკითხავდენ, შენ როგორღა სწავლობდი? მკითხა მან.

— სხვებს თუ აკითხებდენ და უხსნიდენ, მეც აქ არ ვიყავი? ყურს ვუგდებდი ეს რომ გაიგონა, ხედავთო? დაეკითხა ჩემ ამხანაგებს. რომ მოგენდომებიათ, თქვენც ასე ისწავლიდითო. მასწავლებელი რო კარგათ გიხსნით, ეს ცხადათ ჩანს. ხელი ჩამოართვა მასწავლებელს და მადლობა უთხრა. მე შუბლზე მაკოცა, წამოდგა ზეზე და დაიშალა კლასიც.

მივფრინდი თუ ფეხით მივედი სახლში, აღარ მახსოვს. სიხარულმა ისე ამიტაცა რომ მთვრალივით ვეღარ გამოვერკვიე. შინ რომ მივედი, სტუმრები იყვენ სახლში და მამა ჩემმა მომახალა: რა ქენი, ჩემო კაჭუაო? მეც ყველაფერი მოვახსენე, რაც გადამხდა. „მე კი არ ვიცოდი?! წამოიძახა მამამ — კვიცი ყოველთვის გვარზე მიდისო. პეტრე არხიმანდრიტს რომ ვებარე მონასტერში ბავშობისას, ყველას ვჯობდიო: რასაც სხვები ათ-ათ წელიწადს უნდებოდენ, მე ორ-სამ წელიწადს გავიარე, გავათავე; ღრამატიკა, ართმეტიკა, ისტო-

რია, ღეოღრაფია და სხვანიო. ბატებმა არ დამაცალეს, ყიყინით მაწუხებდენ, თვარა, რომ მომეცადა, არისტოტელის კათეღორიასა და ლოღიკას სულ ბდღირს გავადენდით. შენც, შვილო, ოჯახის შვილი რომ ხარ, სხვებზე უფრო მეტი უნდა ისწავლო და ვიგინდარები არ გაიტოლოვო!" სტუმრებმაც ამგვარივე დარიგება მომცეს. დედა კი თავისთვის იჯდა თავჩაღუნული, თითქო ამისთვის სულ ერთიაო და არც კი შეუმჩნევივარ. საღამოს, დასაძინებლათ რომ ჩავწექ ლოგინში, მოვიდა დედა და შუბლზე დამადვა ხელი. ჩამოჯდა ლოგინზე. მე ვიფიქრე, ვაი თუ ავათ ვარ და მატყობს რამეს, თვარა ასე სხვიმის როდის მოსულა-მეთქი. საკვირველი ზნე ჰქონდა დედას: თუ არ გამოთხოვების დროს, როცა სადმე დიდი ხნით მივდიოდი და ან ხანგრძლივ უნახაობის შემდეგ, ისე არ გვაკოცებდა ბავშვებს და მაშინაც ისე თითქო გული ნებას არ აძლევსო. ეს მეც მიკვირდა და ვერ ამეხსნა. ეს ხასიათი მთელ მის სიცოცხლეში შერჩა. შვილიშვილებსაც ასე ეპყრობოდა. ერთხელ, დაცოლშვილიანებული ვიყავი, შევესწარი რომ ჩემ პატარა შვილს მძინარს მიდგომოდა და სიფრთხილით, არ გამოვაღვიძოვო, ჰკოცნიდა და ეალერსებოდა, მაშინ მივხვდი რომ ალბათ ჩვენც ასე გვეალერსებოდა-მეთქი. ცხადათ ვინ უშლიდაო — იფიქრებს კაცი და ის თურმე იმ აზრის იყო, როგორც ერთხელ გამოაცხადა ლაპარაკში, რომ ხშირი მოფერება აფუჭებს ყმაწვილს და წარამარა კოცნასაც ფასი აღარ აქვს მის თვალშიო. არ ვიცი, საზოგადოთ ეს მართალია თუ არა, მაგრამ ჩემ თავზე როგორც გამოვცადე, მისი კოცნა რაღაც სასუფეველურ ნეტარებათ მიმაჩნდა. იმ საღამოს ავფოფინდი რომ გვერდში მომიჯდა და ალერსიანათ მითხრა: ხომ ილოცეო?...

— როგორ არა-მეთქი!

— დღეს დილას, სანამ კლასში წახვიდოდი, დაუჯდომელი პარაკლისი ხომ არ დაგვიწყებია?

— როგორ დამავიწყდებოდა!.. და მერე მით უფრო რომ განსაცდელში მივდიოდი.

— ჰო. კიდეც მიტომ უხსნიხარ ღმერთს და გაგიმარჯვნია. უღმერთოთ, რაც უნდა იცოდე, მაინც ვერას გააწყობ! მამა შენმა რაც გითხრა დღეს, ის მართალი კი ნუ გგონია, იმან ისე იცის ხუმრობა.

— რა?

— რა და სხვებმა რომ გაჯობოს, სირცხვილიაო. აბა, სხვები რომ კარგები იყონ, შენი რა სირცხვილია? სირცხვილი ის არის, როცა შენ შენდა თავათ არ ვარგხარ და არ ცდილობ სწავლას. შენ სხვებს კი არ უნდა ეჯიბრებოდე: შენ სრულიად შენთვის უნდა ცდილობდე ყოველ

გვარ სიკარგეზე და, თუ სხვებიც შენისთანები იქნებიან და კიდევ უკეთესიც. შენ მითი რას დაკარგავ? შენ კიდეც უნდა გიხაროდეს მათი სიკეთე. შენ რომ კარგათ დაგიჭერია დღეს ეგზამენი, აი რა კარგ გუნებაზე ხარ!.. ისინი კი, შენი ამხანაგები, ვინ იცის რა გულდაწყვეტილები არიან!

— ტიროდენ, დედა!...

— მერე, არ შეგეცოდა?

შემეცოდა კი არა, კინაღამ მეც ვიტირე...

— ჰო და, იმათაც რომ შენსავით გაემარჯვათ, ხომ გიამებოდა?

– ნეტავ მართლა!..

— ჰო, შვილო! სხვისი შური და სიხარბე გულში არ უნდა შეუშვა, — ესენი ორივე ეშმაკის კიბის საფეხური არიან. ეშმაკი ჯერ შეგიტყუებს ზედ ნელნელა და მერე უცბათ გაჰკრავს ხელს და გადაგაგდებს. მე პირჯვარი დავიწერე, დედამ მაკოცა მხურვალეთ, ორჯერ-სამჯერ ჩამეკონა გულში. პირჯვარი გადამსახა და მომშორდა: დაიძინეო. ჩემ ნეტარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. დიდხანს თვალი ველარ დავხუჭე..., და რომ დამეძინა, სიზმრებმა წამიღეს. სულ ანგელოზებში დავფრინავდი და ვთამაშობდი.

გათავდა ეგზამენები. წავიდა მაქსიმოვიჩი, მიწყნარ-მოწყნარდა ყოლიფერი და მეც პირველი საჩუქრით გადამიყვანეს მეორე კლასში. სულ სხვა თვალით მიყურებდენ ამხანაგებიცა და უფროსებიც. ამას მე კარგათ ვხედავდი და ვცდილობდი რომ არ შევრცხვენილიყავ. დღე და ღამე გაერთებული მქონდა, ისე მონდომით ვსწავლობდი და, იმ შრომასთან და ცოტა ნიჭთანაც რომ უკეთესი პატრონობა მქონოდა და უფრო სწორ გზაზე ვმდგარიყავ, კარგი რამ გამოვიდოდი, მაგრამ სამწუხარო ის იყო რომ იმ დროს პედაგოგია მეტათ დაბალ ხარისხზე იდგა. ბავშვებს კაჭკაჭებსავით წროთვნიდენ და არა ადამიანის შვილებათ! ყოველი საგანი უნდა მხოლოთ ეზეპირებიათ მოსწავლეებს და, აზრი ესმოდათ თუ არა, იმას არავინ ჰკითხავდა. ერთი რუსის შვილი იყო ვოლკოვი — და იმას საღმრთო წერილიდან გაკვეთილი ჰკითხეს. საბრალომ ზეპირათ არ იცოდა, მაგრამ თავისი სიტყვით შვენივრათ ახსნა. მასწავლებელმა უგდო, უგდო ყური და გაიცინა: — შენი სიტყვებით რომ ბრძანებ, განა წუნობ მაგის დამწერის სიტყვებს?! გაუჯავრდა და გააგდო, ცუდი ნიშანიც დაუსვა. მერე მეორეთ გაიყვანა, როდესაც გაეზეპირებია, და სულმოუბრუნებლათ, სულ სხაპასხუპით უთხრა, თუმცა კი არ ესმოდა, რას ამბობდა. მოუწონა: „აი როგორ უნდა დაისწავლოო“ და კარგი ნიშანიც დაუსვა.

ასე იქცეოდენ მაშინდელი მასწავლებლები ყველა. მხოლოთ მათ რიცხვში ერთადერთი, გვარათ ტროიე. სულ სხვა იყო. მაქსიმოვიჩის მეთოდი შემოიღო: საზეპიროს ცოტას გვაძლევდა, სულ რამოდენიმე პწკარს, მაგრამ მაგიერათ არათუ აზრი, ყოველი სიტყვის მნიშვნელობა უნდა გვცოდნოდა და აგვეხსნა. მის კლასში ყველა -- დიდი და პატარა -- თანასწორათ სმენათ იყო გადაქცეული. ბუზი რომ გაფრენილიყო, გაიგებდა კაცი. მაშინ იცოდენ და დღესაც კიდევ მასწავლებლები რიგ-რიგათ ჰკითხვენ მოსწავლეებს, ასე რომ მოწაფემ იცის, როდის მოუწევს რიგი და იმ დღისთვის უკეთ ემზადება, ვიდრე სხვიმის და მის სწავლაში თანასწორობა აღარ არის. ტროეს კლასში კი ყველა მზათ უნდა ყოფილიყო. ერთს რომ ჰკითხავდა, უცებ, მოულოდნელათ სხვას რომელიმეს „განაგრძეო“ - მიუბრუნდებოდა. აგრევე არ იცოდა ძველი და ახალი გაკვეთილი; მოულოდნელათ ძველიდანაც გვკითხავდა ხოლმე. თვითეულ სკამს მიუჩინა თითო უფროსი შეგირდი, ისინი ჰკითხავდენ ყოველდღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდენ. იმ უფროსებისათვის მერე მე უნდა მეკითხა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდებიც უნდა შემემოწმებია და ის ნიშნები მიმერთმია მასწავლებლისათვის. რომ შემოვიდოდა, ისიც გადაათვალიერებდა და დასამოწმებლათ გამოიხმობდა ზოგიერთებს. ერთი გაბაშვილი იყო ჩვენს კლასში, რომელიც სოფლიდან დადიოდა სასწავლებელში და კლასის დაწყებას რასაკვირველია ვეღარ მოასწრებდა ხოლმე. ამისათვის აჩოქებდენ იმ საწყალს კუთხეში კლასების გათავებამდე. ასე რომ ფეხზე მდგარი ის სწავლის დროს ძვირათ დაგვინახავს. ერთხელ დარჩენილიყო სადღაც და ქუთაისში ნათესავებში გაეთია ღამე. სამოსწავლებლო წიგნიც ეშოვნა (მაშინ არამცთუ გარეშე წიგნი, სახელმძღვანელო წიგნებიც ცოტა იყო, სულ რამოდენიმე, და ერთი მეორისაგან ვნათხოვრობდით) და გაკვეთილი კარგათ დაესწავლა: ადრე მოვიდა, მაგრამ რადგანაც დაჩვეული იყო, თავისთავად დაიჩოქა და ამისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. მის უფროს შეგირდს მისთვის კარგი ნიშანი დაესვა, მე შევამოწმე და მართალი გამოდგა. ტროიემ რომ საზოგადოთ ყველა ნიშნები გადაათვალიერა, გაბაშვილის ოთხსაც მოჰკრა თვალი. ალბათ გაუკვირდა და გამოუძახა. ჰკითხა და მისთანა თქვენს მტერს! ერთი სიტყვაც ვერ მიუგო. გადააქნია თავი და გამიხმო: „ეს ნიშანი შენ დაუსვიო?“ მკითხა: — დიახ, მე მეთქი, ვუპასუხე. — მერე რათა, რომ არაფერი იცის?

— მე რომ ვკითხე — იცოდა.

— იცოდა?! ასე მალე, ორ წუთში როგორ დაავიწყდებოდა? აქ რაღაც სხვა ამბავია! პრძანა მრისხანეთ. შევიტყობ, რაც არის, მაგრამ არ მცალია.

გაბაშვილო, წადი და შენ იქვე დაიჩოქე, სადაც იყავი და შენც, წერეთელო. მიდი მაგასთან და გვერდში ამოუდექი, სანამ ჩემი კლასი არ გათავდეს! მერე ორივეს ერთად დაგამოწმებთ. თუმცა ყველაზე მეტი ჩვენ ტროიესი გვეშინოდა, მაგრამ მისგან დასჯილი არ გვინახავს და ახლა, როგორ გამიბედეს მოტყუებაო, ზომას გადავიდა.

— შე შეჩვენებულო, რა ქენი ეგა, აკი იცოდი? დავეკითხე ჩემით, კუთხეში რომ გავედით.

ახლაც ვიცი – მიპასუხა ტირილით.

მაშ რატომ არ მოახსენე?

ფეხზე რომ ვიდექი, ველარ მოვახერხე. ეს რამდენი ხანია — სულ დაჩოქილი ვსწავლობ და პასუხსაც ისე ვაძლევ. აი, თუ არ ვიცი? მოჰყვა ზეპირათ... რომ ავდგე, დამებნევა! მასწავლებელმა მოგვატანა თვალი და მოგვაყურა. — რას ჩურჩულებთო? მე გაველი და მოვახსენე ყოლიფერი. გამოიყვანა ვაბაშვილი, დააჩოქა და ისე ჰკითხა. კარგათ მიუგო. რამდენჯერმე გაიმეორა ეს ამბავი და ისე გაუკვირდა, რომ წამოდგა ზეზე, კლასს თავი დაანება და გასწია კანცელარიისაკენ. იქ რა ჩაიდინა, ვინ იცის? მაგრამ იმ დღიდან-კი გაბაშვილი დაჩოქილი არ გვინახავს.

ერთხელ, კლასი რომ გათავდა და შეგვასვენეს, მე, რადგანაც დილას არა მეჭამა რა, შევირბინე შინ, ვიგდე ახალუხის ჯიბეში ცხელი მჭადის კოკორი და მივაშურე ისევ კლასს – არ დაგვინახოს-მეთქი. ტროიეს გაკვეთილი იწყებოდა. ფეხათ შეესწრო ჩემთვის და ხუთი მოწაფეც კიდეც გამოეხმო და გაემწკრივებინა. შევყავ თავი თუ არა, მომაყვირა: — შენ აქ მობძანდი და დადექ ამათთანაო! მივედი და გავჩერდი. ცხელი მჭადი მომედვა ბარძაყზე და მეცხუნა. მე შმაშური დავიწყე, ხელი მოვუსვი, ასე რომ ავტოკდი. მასწავლებელმა შემნიშნა და მკითხა: რა გემართებაო? დაფარვა აღარ შეიძლებოდა... ამოაყოფიეს ჯიბიდან მჭადს თავი... შეგირდებმა გადიხარხარეს. მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა მჭადი და წინ სტოლზე დაიდვა. მე სირცხვილის ოფლი გადამსკდა. დაგვიწყო გაკვეთილების კითხვა. ამ დროს, ჩემდა საუბედუროთ, ინსპექტორი შემოვიდა. მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები. ეს ისე შეუბრალებელი ვინმე იყო რომ ყმაწვილის გაროზგვას არ ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო რომ ოთხში ამოელო. ერთხელ ერთსადაიმავე დროს ორი ბავშვი გაროზგა: ერთი მიტომ რომ თმა წამოგზდიაო და მეორეც მიტომ რომ მეტათ ძირში მოგიჭრიაო! ვიფიქრე: ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი!.. მართლაც მოჰკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა: ამ მჭადს

რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო!.. ერთი მოწაფე, რომელიც ხშირათ მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა: წერეთელს ამოუღეს ჯიბიდანაო. — რათ მოგიტანია?! მკითხა მრისხანეთ. მე ენა ჩამივარდა, მაგრამ მასწავლებელმა მოახსენა: ახლავ გაიგებთო და მკითხა: ეს რა არისო? მჭადი-მეთქი - ვუპასუხე კნავილით.

- რისგან კეთდება?
- სიმიდისაგან.

— როდის სთესვენ სიმინდს? რა ნაირათ იზრდება? როგორ მუშაობენ? როდის აკეთებენ მჭადს და სხვანი. ესენი ყველაფერი გამომკითხა და. მეც პასუხს ვაძლევდი. რიმდენიმე წუთს მკითხავდა და ბოლოს თქვა: კარგიო! ხვალ ნუ დაგავიწყდება ბრინჯის მოტანაო; ხვალ იმის შესახებ ვილაპარაკოთო. ინსპექტორმა იფიქრა: აქ სწორეთ მასწავლებლის სურვილით მოუტანიათ მჭადიო და გავიდა კლასიდან ხმაამოუღებლათ. მასწავლებელმა მაბეზღარა მოწაფე გამოიხმო და ჰკითხა: შენ არა გაქვს რა ჯიბეშიო? გაუშინჯა და კოჭი უნახა. ეს რა არისო? ეს ხომ სათამაშოა, რომელიც კლასებში სრულიად გამოუსადეგარია და შენ-კი ჯიბეში გიძევსო!.. წერეთელმა მჭადი მიტომ მოიტანა რომ შიოდა და შეჭმა ველარ მოასწრო, და შენ-კი სათამაშოთ დაბრძანდები! კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდე! მე მაგ კოჭით წარვადგენ ინსპექტორთანო. იმ მოწაფეს ფერი ეცვალა და ატირდა. კლასი რომ გათავდა, მიუბრუნდა მტირალს და უთხრა: კარგი, ახლა კი მიპატივებია, მაგრამ შემდეგ-კი ფრთხილათ იყავი: რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო.

ეს ჩვენი საყვარელი მოძღვარი მხოლოთ ოთხ კლასამდი ასწავლიდა; უფრის კლასებში ნება ალარ ჰქონდა, რადგანაც უმაღლესი სასწავლებელი არ ჰქონდა გათავებული. თუ-კი რამ ვისწავლეთ რუსული, მის ხელში; და მის შემდეგ იმ უფროს კლასებში, მეოთხიდან დაწყებული, თუ რამ დაგვაკლდა, თვარა არა შევვიძენია რა. მეოთხე კლასი მეტად ძნელი კლასი იყო: სულ ახალ-ახალი საგნები და მასწავლებლები: ისტორია, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ბოტანიკა, ზოოლოგია; ლათინური, სჯულის კანონი, მეურნეობა, მინერალოგია და სხვა და სხვა - სულ ერთად მოგვაყარეს! თავ-ტანის რომ ალარა გაგვეგებოდა. გავუსვით ზეპირობას ხელი და, როგორც იქნა, კიდევ იოლათ გავდიოდით, თუმცა სრულიადაც არა გვესმოდა რა იმ საგნების. სხვისი რა მოგახსენო და მე-კი ასე ვიყავი, თუმცა პირველ მოწაფეთაც კი ვირიცხებოდი და ოქროს ფიცარზე ვეწერე.

ამ მაღალ კლასში, ცოტა არ იყოს, დავთარი შემეშალა. ერთი ვიღაც რუსული ენის მასწავლებელი დაგვინიშნეს, გვარათ საპეგა. იმისთანა ახირებული კაცი ძვირი იყო! სულ ჯავრობდა რაღაცაზე, ცხვირი ჩამოუტიროდა და, სხვაც რომ ვინმე დაენახა მომცინარი, გადაირეოდა. მე-კი ჩემდა საუბედუროთ, ისეთი მომცინარი სახე მქონდა რომ ტირილის დროსაც კი მეღიმებოდა! ამითვალწუნა ამ კაცმა და საშველი აღარ მომცა. წინა სკამიდან სულ უკანასკნელზე გადამსვა: თვალში ნუ მეჩხირებიო. ერთხელ რაღაც კაი გუნებაზე იყო, გამიყვანა და მკითხა გაკვეთილი. კარგათ მივუგე. მომიწონა: ცოდნით კარგათ იციო. მაგრამ რა მიზეზია რომ სულ იღიმები? ნუ იცინი პირუტყვივითო! მე მეგონა მცდის-მეთქი და ვუპასუხე: პირუტყვები არც იღიმიან და არც იცინიან-მეთქი. ეს რომ ვუთხარი, ისარნაკრავივით წამოხტა, მტაცა ხელი საყელოში და გამიძახა გარეთ.

უკანა სკამზე რომ ვიჯექი, მოწაფეები მოიბრუნებდენ ხელს და ზურგს უკანიდან მომაბზეკდენ ხოლმე თითს. წარმოიდგინეთ ორმოცი და ორმოცდაათი თითი ჩემკენ მოშვერილი და მაშინ დამეთანხმებით რომ სიცილი ძნელი მოსაკავებელი იყო. მეც უეცრათ გადვიხარხარებდი ხოლმე. მიზეზს ვერ ვამხელდი და ის კი მიატოვებდა გაკვეთილებს და დაიწყებდა ხოლმე ერთ ამბავს. მოწაფეებსაც ის უნდოდა. ბოლოს ამიკრძალა მის კლასში შესვლა და რჩევაში ითხოვა: ან მე აღარ ვიქნები, ან ის მოწაფე გააგდეთო. მას გარდა ყველა მასწავლებლებს ვუყვარდი, პირველ მოწაფეთაც მთვლიდენ და არ დაეთანხმენ. მიმიხმეს და მკითხეს: რა მიზეზია რომ ასე გაგიჯავრებია ეს მასწავლებელიო? მე ტირილი დავიწყე: ჩემი სიცილის ბრალია-მეთქი და იქვე სიტყვის გათავებამდე გავიღიმე. დირექტორი წამოდგა ზეზე და წავიდა საპეგას კლასში, რომ სხვებისთვისაც გამოეკითხა და შეეტყო ნამდვილი მიზეზი. ჩემდა ბედათ მისთანა გარემოებას შეესწრო რომ ხელი მომიმართა. ერთი მოწაფე იყო ჩვენს კლასში კ... ლ... სამაგალითო რამ, აჩქარება არ უყვარდა, საპეგა კი, როცა გაკვეთილს ჰკითხავდა ვისმე, ამბობდა: ნუ ფიქრობ, ისე მითხარიო. ის გაუყვანია დაფაზე, რაღაც დაუწერინებია და ახსნას უცდის. კ... ლ... ფიქრობს რომ კარგათ მიუგოს. სულწასული პედაგოგი მიეპარა უკანიდან, ჰკრა თავში ხელი და ცხვირ-პირი დაფაზე მიახლევინა: რას უცდიო? შეშინებულსა და ვაბრუებულ მოწაფეს ცხვირში სისხლი წასკდა და სწორეთ ამ დროს შეესწრო დირექტორიც. საპეგა მეორე დღეს თვალით აღარ გვინახავს, მის მაგიერ მეორე დაგვინიშნეს – პანიზოვსკი, მაგრამ ბევრით უკეთესი ვეღარც ის იყო. უკეთესი კი არა, ხმას არ იღებდა, სულ წითლდებოდა. კოშანსკის რიტორებას მოი-

ტანდა ხოლმე და ისე უხმოთ, თითით გვაჩვენებდა: აქედან აქამდის გაიზეპირეთო და ჩვენც ვასრულებდით მის ნებას. იმას „ქალ-ბიჭას“ ვეძახოდით, დავცინოდით, მაგრამ ის თვალს გვარიდებდა. არაფერი გარეშე წიგნი არ იყო, რომ წაგვეკითხა; და რომ კიდეც გვეშოვა სადმე, წაკითხვის ნებას არ მოგვცემდენ. რაც კარგი რამეა რიტორებაშია დაბეჭდილი, ის გეყოფათო. ერთხელ ერთმა თამამმა მოწაფემ ჰკითხა: რაც აქ არ არის მოყვანილი ამ წიგნში, პუშკინს არა დაუწერია რაო?—ეგ რა შენი საქმეაო? – მიუგო მასწავლებელმა. ყმაწვილი არ მოეშვა და კიდევ ჰკითხა: —პუშკინი უკეთესი მწერალია, თუ გერცენიო? წამოვარდა ზეზე შეშინებული, დაიცვა თითები ყურებში და კააბა ყვირილი: აქ არ ვყოფილვარ, არ გამიგონია რა, არცა გითქვამს რაო... და ამგვარათ გავიდა კარში.

არა ნაკლებ ახირებული იყო ლათინური ენის მასწავლებელი ძალიან კარგი, მშვიდობიანი და ბეჯითი მასწავლებელი. ბუზის ეშინოდა და მახარობელას რომ ბზუილი დაეწყო, იმას გული უწუხდა. ეს რომ იცოდენ მოწაფეებმა, თუ რომელიმე მათგანმა გაკვეთილი არ იცოდა, მოიყვანდა უცბათ მახარობელას და ჩუმათ გაუშვებდა კლასში; მასწავლებელი დაფრთხებოდა, მოსწავლეები წამოვარდებოდენ ზეზე, ზოგი ამ ბუზს დაუწყებდა ვითომდა კლასიდან გამოდენას, ხან ერთ კუთხეში მიაგდებდენ, ხან მეორეში და ამასობაში კლასიც თავდებოდა. ცხადია, რომ ამგვარ პირობებში ჩაყენებული მოზარდი თაობა ვერას გამოიტანდა ბევრს გიმნაზიიდან, რომ ამ საზარელ ბნელში ერთი ნათელიც არ გამოგვჩენოდა.

ის იყო პოლონელი როდზიევიჩი, რომელიც ჯერ პროფესორათ ყოფილიყო, მაგრამ ლოთობის გულისათვის დაეთხოვათ და სტავროპოლში ეშოვნა ინსპექტორობა. მერე იქიდანაც გაეგდოთ და ჩვენში გადმოიყვანეს მეთემათიკის მასწავლებლათ. ეს ლოთი მასწავლებელი ყურადღებასაც არ აქცევდა თავის საგნებს, არც ალგებრას, არც გეომეტრიას, არც ტრიგონომეტრიას და არც ფიზიკას; ჩვენს ნებაზე მიაგდო მათი სწავლა და ჩვენ, როცა გაგვიძნელდებოდა გაგება რამესი, მაშინ დავეკითხებოდით და შვენიერადაც აგვიხსნიდა ხოლმე. საკვირველია, რომ მისი საგანი ყველაზე უკეთ ვიცოდით. იმან რალაი შეგვატყო რომ გონება დახშული და განუვითარებელი არიანო, სულ სხვა რამეებზე გვესაუბრებოდა და ცდილობდა ჩვენს გამოფხიზლებას. იმ ხანებში გამოაცხადეს რომ, ვისაც უნდა რუსეთში წასვლა და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა, იმან ლათინური უნდა ისწავლოს და ვისაც მხოლოთ გიმნაზიის გათავება უნდა, იმან სჯულის კანონი შეისწავლოს და, თუ პირველ

შეგირდათ გამოვა, ჩინსაც მიიღებსო. ჩინს მაშინ დიდი მომხიბლავი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ყველა ჩემმა ამხანაგებმა, თუმცა ზოგი მათგანი კურს კი წავიდოდა რუსეთში სიღარიბის გამო, ლათინური ირჩიეს. ერთმა მათგანმა მხოლოდ და მეორემ მეც სჯულის კანონის შესწავლა მოვინდომეთ. ჩინის სურვილით წარტაცებულებმა. იმ ხანებში რუსული ენის მასწავლებელმა გვიბრძანა: აიღეთ, რაც გინდათ და თქვენდა თავათ თხზულება დაწერეთ, მაგრამ დიალოგებათ კიო. მე ავიღე და დავწერე ერთი ახირებული რამ. მასწავლებელმა რომ წაიკითხა, ინსპექტორს გადასცა და მას საპედაგოგიო რჩევაში წარედგინა და ეთქვა: ამის დამწერი თუ ახლავე არ აილაგმა, არ ივარგებსო! რჩევაზე როდზიევიჩს გამოედვა თავს: მაგის დამწერი კარგი ვინმე გამოვა და გაწყრომა კი არა, მოფერება ეჭირვებაო. მე ვთხოულობ რომ იმას ძალა დაატანოთ - ლათინური შეისწავლოს და მაღალ სასწავლებელში სადმე შევიდესო. გაიტაცა, გადაიყოლია ზოგიერთები სხვებიც და დირექტორმაც ბანი მისცა. შემიხმეს მეც. ეს შენი დაწერილიაო? მკითხა დირექტორმა.

— დიახ, ვუპასუხე ცოტა შემკრთალმა.

— მერე როგორ გაბედე რომ მთავრობის მოსამსახურე პირებს ასე ცუდათ იხსენიებ?

ის გადამდგარი ჩინონიკია.

— სულ ერთია, უპატიურათ შეხება მაინც არ შეიძლება. ის დამსახურებული იქნებოდა და პენსიაც ექნებოდა, დაუმატა მრისხანეთ ინსპექტორმა. წაიღე და გადაასწორე სხვანაირათ!..

თუ მხოლოდ ეგ არის წუნი, ეგ ადვილია: წავშლი სიტყვას „გადამდგარი“ და დავაწერ „გამოგდებულს“. გამოგდებული, თუ კარგი ყოფილიყო, ისევ სამსახურში იქნებოდა. დირექტორმა გაიცინა და გამიშვა. იმ დღიდან მეც ლათინურზე გადავედი. ამის შემდეგ კიდევ უფრო შემიყვარა როდზიევიჩმა და განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდა. საკვირველი იყო მისი საქმე: ისე გაჟღენთილი ჰქონდა გვამი არაყით, რომ ხანდახან რომ კიდეც არ დაელია, ისე თავის თავათ მოუვლიდა სიმთვრალე. ერთხელ მოუარა გაკვეთილების დროს და მოწაფეს, რომელიც დაფასთან იდგა და გეომეტრიულ ფიგურებსა ხატავდა, მიაყვირა: აპა, ჩამოუარე ლეკურიო! და ტაშის კვრა დაიწყო. გაშეშდა მოწაფე. ჩვენც შევწუხდით, მაგრამ იმან მაინც თავისი არ დაიშალა: — როგორ თუ შენ ნაციონალური ცეკვა გეზიზღებაო?! არ იცი, რომ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვაში მისი გული და სული იხატება? აი, ლეკუ-

რაც ხომ ქართულია. ცოცხალი რამ არისო დაუკრა ვითომ ლეკური. მერე გადავიდა მაზურკაზე: აი ესეც ჩვენი გამოგონილი თამაში და შეუპოვარი მაზურკაო და ახლა ესეც ნახეთ, რასა ხატავსო, და დაუარა ტრიპაკა, უწმაწური გინებით შეკაზმული. ბოლოს შეჩერდა, დაავლო ქუდს ხელი და გავარდა კარში. ჩვენ ღმერთს მადლი შევწირეთ რომ არც დირექტორი, არც ინსპექტორი და არც სხვა ვინმე არ შემოგვესწრებია. ისე შეგვებრალა რომ არ ვიცოდით, გვეცინა თუ გვეტირა! მესამე დღეს ძალიან დარცხვენილი შემოვიდა. დიდხანს ხმას არ იღებდა და ბოლოს დაიწყო: ყმაწვილებო! ძველ დროში საფრანგეთში და საბერძნეთში განგებ დაათრობდენ ხოლმე მონებს და მათ უსაქციელობას თავის შვილებს აყურებინებდენ რომ მათთვის თვალდათვალ დაენახვებიათ რომ რა საძაგლობაა — კაცი რომ დათვრება, გონებას დაჰკარგავს და პირუტყვს დაემსგავსება. გუშინწინ მე დაგანახვეთ თქვენ ამ გვარი რამ. ეცადეთ რომ გაუმაგრდეთ ცხოვრებას. აიტანოთ გასაჭირი და ჩემსავით არ გაგაფუჭოს. რა ვარ ახლა მე? განა არ ვგრძნობ რომ ფიზიკურათ დამახინჯებული ვარ. მაგრამ მაინც, მადლობა ღმერთს, ამ ფიზიკურმა დამახინჯებამ სული და გული წმინდათ, შეუბღალავათ შემინახა. კლასის გამოსვლამდი სულ ამნაირათ გვემუსაიფა და მოგვშორდა. ჩვენ თითქმის ყველა ვტიროდით და იმ დღიდან კიდევ უფრო გვებრალებოდა. ერთხელ კიდევ, უკანასკნელ კლასში რომ გადავედით. მე ფრანცუზულის მასწავლებლის მუსიე ტურესის სახლში ვიდექი. ამ მუსიე ტურესს ყმაწვილები მოსე ტურს ეძახდენ. ერთხელ საღამოს სტუმრათ შემოჰყვა როდზიევიჩი; დასხდენ ორი მარტო და ჩაის დაუწყეს სმა. სტუმარმა რომი მოითხოვა, თვითონაც დაისხა და მასპინძელსაც დაუსხა. შეყვენ ნელნელა მუსაიფს. შეზარხოშებულმა ფრანცუზმა დიდი რევოლიუცია მოიგონა და აღტაცებით დაიწყო ლაპარაკი. სტუმარმა პოლონეთი გაიხსენა და მოხსნეს თავი სიფრთხილეს, მით უფრო რომ იქ იმ ორისა და ჩემს მეტი არავინ იყო. მე ჩემთვის კუთხეში ვიჯექ, ასე რომ, მგონია, ვერც კი შემნიშნეს. იმათმა აბდაუბდა საუბარმა ისე გამიტაცა რომ რაღაც უჩვეულო სასუფეველი ვიგძენი, სმენათ გადავიქეცი. ბოლოს თქვა ამოოხვრით როდზიევიჩმა:

— ახლა რაღა დროს ვწუხვარ რომ სამხედრო სამსახურში არ შევედი, რომ სარდალი გავმხდარიყავ და მარჯვე დროს ქვეყნისათვის სამსახური გამეწია!.. ეს რომ ჩამეწვეთა ყურში, ჩემი თავი ვეღარ ვიცანი! იმ ღამეს აღარ დამეძინა. ვამბობდი: რა მინდა უნივერსიტეტში? რა კარგი იქნება სამხედრო სამსახური? უნდა ოდესმე სარდალი გავმხდარიყავი! რაც ადრე შევუდგები საქმეს, ის აჯობებს და ამ ერთ წელიწადს მაინც ხომ, უკანასკნელს კლასში

ახალს არას გვასწავლიან, ძველებს გვამეორებინებენ და გამოვალ, არსად წავალ-მეთქი. გადავწყვიტე და გამოვუცხადე მამა ჩემს ჩემი სურვილი. ძალიან იამა: — შენი ნებაა, შვილო! მე შენი ხნისას ცოლი მყავდა და ოჯახს ვეკიდეო. მაშინვე გამოვედი სასწავლებლიდან, რითაც ყველა გავაკვირვე და დილიდან საღამომდე როდზიევიჩს აღარ ვშორდებოდი. ოთხი თვე დავრჩი, მაგრამ ეს ოთხი თვე უფრო ნაყოფიერი იყო ჩემთვის ვიდრე რვა წელიწადი გიმნაზიაში ყოფობის დროს. დამდეგ მაისს გამოვეთხოვე დედ-მამას, იმერეთს და დავადექი გზას. სრულიად გამოუცდელს ცხოვრებაში, ბევრის არ მცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს უნდა ზღვა გამევლო, ხმელეთი გადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში, სადაც ჩემი ძმა მეგულებოდა კანვოიში მოსამსახურეთ.

1897 1898 წ.

ამაო ძებნა

მაისის ღამე ბნელთვალიანი
აგერ განთიადს ესალმება
და ვარსკვლავთ კრება უხვსხივიანი
გულდაწყვეტილი ნელნელა ჰქრება.

იწყო კაშკაში ცისკრის ვარსკვლავმა,
მთვარემ დაუთმო მას თვისი ბინა,
წყნარად დაჰქროლა დილის ნიავმა
და სუნნელება ქვეყნად მოჰფინა.

მამალთ ხმამაღლა იწყეს ყივილი,
მუშებს აუწყეს მით გათენება,
აღიძრნენ ჩიტნი და ერთხმად ტკბილი
გრძნობით ბუნებას შეასხეს ქება.

---

* 10 თებერვალს 1859 წელს. ამ თარიღით მიუღია აკაკის გიმნაზიის მოწმობა.

** თუმცა აკაკის დიდი სურვილი ჰქონდა — სამხედრო სამსახურში ჩამწესებულიყო, გრამ პეტერბურგის მოსწავლე ქართველობამ იგი გაიტაცა და გადააწყვეტინა უნივერსი-ტში შესვლა. მართლაც აკაკი შევიდა უნივერსიტეტში რომელიც დაასრულა 1862 წელს მარტს.

შემოქმედების სარკევ ბუნება,
ვინ ჩაგისახა ეგ ძლიერება?
ნეტავ თუ იყოს ღვთისა ქმნილება,
ჰჭვრეტდეს და არ ჰგრძნოს მან ნეტარება?

მაგრამ. რას ვხედავ! აჰა ჭაბუკი,
რომელიც შენ ყურს სულაც არ გიგდებს,
კვნესის და ოხრავს, სტირს უბადრუკი
და წარსულს დროებს ოცნებით ეძებს!.

მთა-კლდეთ შეჰბღავის, ჩასძახის ქვესკნელს,
წყალსა მიჰყვირის მსწრაფლმიმავლსა,
მაგრამ ვერ ჰპოებს ნუგეშისმცემელს
და უმრავლდება წყლული საწყალსა!

მთანი და კლდენი სისხლს უჩვენებენ,
ქვესკნელი საფლავს და ძვლებს გამხმართა
რომელნიც ანდერძს მოგვაგონებენ
მსხვერპლად შეწირულთ ჩვენთ წინაპართა.

საზარელ, უხმო ამა პასუხით
საბრალოს გულში სისხლი სდუღდება,
და მდინარესვე მტირალისა ხმით
წარსულის ამბავს ის ევედრება,

მაგრამ მდინარე აქაფებული
ქვე მოაქანებს ასწლოვანთ ხეთა,
ძალმალ ტალღით სცემს განრისხებული
და ჰსურს გაგლეჯა კლდოვანთ კიდეთა, —

რომ მსწრაფლ მორეცხოს მან სისხლი ძველი,
ის კიდეებზედ გადათხეული,
მაგრამ კიდეთა შეუკრეს ხელი
და მის გამოა აღელვებული.

1860 წ. აპრილი.

3 სალამური

სად ხარ, ჩემო სალამურო,
ხმატკბილო და საამურო,
რომ შენის ხმით ჩრდილოეთში
ქართველს გული გამიხარო!

როცა მწყემსი გიპყრობს ხელში
და გაჰკივის მთა და ველში,
ტკბილსა ხმასა ცაში ჰკარგავს
და სევდისას შავს ქვესკნელში,

მაშინ ფიქრი ჩემი შენ ხმას
ჯარს ეხვევა ვითა ძმა ძმას
და შენი კვნესით მაგონებს
აქართველოს მწარე მოთქმას:

ხან თათრები აკვნესებენ,
ხან თურქები აოხრებენ,
ხან სკვითები დროს შერჩევით
უდროებას უშფოთებენ!

მაშ უწყალო სალამურო,
ტირალო არ საამურო!
ად მსურს შენი ხმა ვისმინო
ქართვლის ბედს მოვეძლურო?!

მაგრამ ზოგჯერ რომ ტკბილი ხმა
სანუგეშოდ მიჰფრენს ალმა
და ჩემთ გიჟთა ოცნებათა
ხარბად ინთქავს უფსკრული ღრმა,

თავგანწირულს მამულის მცველს
წარმოვიდგენ მაშინ ქართველს:
მტერს შეჰყვირის: „ჰკა მაგასა!
გამოსული ბრძოლისა ველს.

აბა ეს ხმა, სალამურო.
ტკბილხმოვანო, საამურო,
აროდეს არ მომყირჭდება.
ძალგიძს მუდამ მომაწყურო!

ქართულად ჰკვნეს, ქართულად
სტვენ,
ქართველის გულს ამით ალხენ,
ხასიათს და ჩვეულებას
წინაპართა გვაგონებ ჩვენ.

მაგრამ, ჩემო სალამურო,
გრძნობით მსტვენო, საამურო.
ალარავინ გიგდებს დღეს ყურს,
სჯობს, ისევ მწყემსს ემსახურო!

1861 წ.

4 უდარდო კაცი

ყველასათვის კარგი მსურს,
ჩოტების მტერი ვარ,
ლში არ შევუშვებ შურს
ამით ბედნიერი ვარ!..

მე ბევრს არას დავეძებ,
რაც მაქვს, ცოტას ვჯერივარ,
ქვრივოხერს არას ვტაცებ,
ისეც ბედნიერი ვარ!.

პატიოსან ოფლსა ვღვრი.
მეც მუშაკად ვწერივარ:
უსაქმურ კაცს ვუყვირი:
„მხედავ, ბედნიერი ვარ!..“
ხან მაქვს წყალი და პური,
ხანდახან მშიერი ვარ,
მაგრამ ბედს არ ვემდური,
მაინც ბედნიერი ვარ...
ბატონიც ვარ, ყმაცა ვარ,
ჩემთვის ყველაფერი ვარ!
ხომ მხედავთ, რაცა ვარ?
ვარ და ბედნიერი ვარ!..
მიყვარს გაჭირვებული,
მეც მისებრ ოხერი ვარ!
თუმცა არ მაქვს გროში ფული,
მაგრამ ბედნიერი ვარ!..
დიდკაცებს თავს არ ვუკვრავ:
— რა მათი საფერი ვარ?
უმათოდაც, არ ვფარავ,
ჩემით ბედნიერი ვარ!...
სანამდის მაქვს ძალ-ღონე,
ვიდრე არც ხნიერი ვარ,
ვიძახებ თავმომწონე:
„ვარ და ბედნიერი ვარ!“

1865 წ. მარტი.

5 ციცინათელა

ჩემო ციცინათელა!
რად მიჰფრენ ნელანელა?
შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა!
ანათებ და კარგი ხარ,
მე თუმც არას მარგიხარ!...
ჩემი იყო ის მინდა,
შენ კი სხვისი ბარგი ხარ!..
აბრეშუმის პეპელა.
ფუტკარი და წურბელა,
შენზედ სარგებლიანი,
შენ გენაცვალოს ყველა!..
წურბელა მკურნალია,
მაგრამ ცოტა მყრალია...
მშიერი, სისხლის მტერი,
რომ გაძღება, მთვრალია!..
მაშ რად მინდა წურბელა?
მან გული დამიბნელა!
ისევ შენ და ისევ შენ,
ჩემო ციცინათელა!..
მეორე თაფლს და სანთელს
გვიკეთებს და სარგებელს
მით გვაძლევს, მაგრამ კბენით
გვისივებს ცხვირ-პირს და ხელს!..
მაშ რად მინდა ფუტკარი,
მკბენარი, მოისარი?
ისევ ციცინათელა,
უწყინარი ის არი!
მესამე ტანს გვიმოსავს,
წყნარია და არ იქმს ავს;
მაგრამ უგნურებითა
პარკში იღრჩობს თავის თავს!
მაშ რად მინდა პეპელი,
უგნურად თავის მკვლელი.
და როგორ არ მერჩიოს
მასაც ციცინათელი?

ჩემო ციცინათელა,
საით ჰფრენ ნელანელა?
მე ვარ შენი ერთგული,
სხვა მოგატყუებს ყველა.
მებრალები, კარგი ხარ!
და ვაი! სხვის ბარგი ხარ!
სხვებს ბნელშიაც ანათებ,
მე-კი დღეც არ მარგიხარ!
ნეტავ რისა გაქვს რიდი?
ჩემსკენაც გამოფრინდი,
ნათელი მომაფინე,
მეც გამინათე ბინდი!
კმა, რაც დღემდის ვიწამე:
აწ საყვარლად მიწამე,
და მაშინ შენს სიყვარულს
დამავიწყებს მიწა მე!..
ჩემო ციცინათელა,
სადღა ჰფრენ ნელანელა?
შენმა შორშორ ნათებამ
უდროოდ დამანელა!..
1871 წ. 31 ივლის.

6 ჩემო თავო, ბედი არ გიწერია

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ!
თუ მარტო ვარ, თავს მომაკვდავს ვადარებ,
თუ ხალხში ვარ, ძალით ღრუბელს ვადარებ
და მოწყენით ჩემზედ მტერს არ ვახარებ.
რომ არა სთქვან ჩემზედ: „რა ოხერია!“

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

აღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,
არვინ მაძლევს სანუგეშოდ ძმურად ხელს:
ჩემს შარბათში ნაღველს ვსქვრეტ და ვარდში გველს,
მისთვის ვწყევლი და ვემდური ამ სოფელს,
რომლისკანაც მე ვზები ამერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღეოია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ ჩემი მტერია!

რაღას ველი, დრო არს განჰქრეს იმედი:
გინდ მეწვიოს, ვერას მარგებს აწ ბედი,
დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!
აჰა ღმერთო, რა უდროოდ დავბერდი:
საფლავისკენ ფეხი, გამიშვერია!..

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

დავუძლურდი, განჰქრა გიჟი ოცნება..
ნაღვლიანად ჩემს თავზედ მეცინება
და ღმერთს ვვედრებ: „ღმერთო მომეცი ნება,
რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!...
სჯობს, სულ განჰქრეს კაცი, რადგანც მტვერია!
ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!
ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!..

1871 წ. 18 აგვისტო.

7 ჩანგური

მე ჩონგური მისთვის მინდა
რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმიდით ახურებდეს!
ერთი ჰქონდეს მას საგანი:
ჰარმონია მისი ხმების
ცხოვრებაში იყოს ბანი
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

ალტაცებით სიმთა ჟღერა
გამოსცემდეს მაგნიტის ხმას
და მაზედაც ჩემი მღერა
ორხმოვანად გამოისმის,—
რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს!..

მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ჩანგურს
ორდება უქმად გდება
და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,
ვფიცავ, არც ის მოსტყუვდება!
გამიქვავდეს მაშინ ენა,
რომ ვისმე მივეფერო,
გამიხმეს ეს მარჯვენა,
სიმრუდით სიმთ ვაჟღერო!
რაგინდ ბედით ვიყო კრული,
ინელიც მექნეს ბოლო,
არ შედრკება ჩემი გული,
გინდა ქვითაც დავიქოლო!
~~სხვისი~~ ლხინით ხომ ვიხარებ,
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად.
და მაინც არ ალვიარებ
შავს თეთრად და თეთრსა შავად!
მე ჩანგური მისთვის მინდა
რომ სიმართლეს მსახურებდეს
ვანამტკიცოს აზრი წმინდა
და გულს წრფელად ახურებდეს!
1871 წ 30 [illegible]

8 ორი სურათი

საფლავებრ ბნელი მაისის ღამე
ჰადასწოლია მძინარ ბუნებას,
რომელიც თითქმის მთლად გაუმსჭვალავს
ჯოჯოხეთურსა უცნაურ ვნებას.
ყოველგან ხელმწიფობს მკვდრული სიჩუმე.
მხოლოდ ხანდახან ისმის კივილი
და მას პასუხს სცემს რაღაც ფრთქიალით
როგორც ტვინის წვას გულის ტკივილი!
ნეტავ რა ხმაა ეს საზარელი?
კუდიანებს ხომ არ ეძახიან
ბრუტსაბძელაზედ და ისინიცა
პატონ როკაპთან მიისწრაფიან?
არა! საზარი და შავბედითი
ეს ხმა ზარნაშოს კივილი არი,
და ნანგრევიდან მელამურები
გამოფრინვიან ამ ხმით დამფრთხარი.
წყევის ბეჭედი აძევს ბუნებას!..
მთლად დაუტვირთავს ის შეჩვენებას!..
არარაობა სჯობს ამ არსებას
და ტანჯვით შფოთვა ამ მოსვენებას!..

მაგრამ უეცრად მთის გადაღმიდან
გამოჩნდა მთვარე სხივმომფინარე,
მასთანც მუდამი მისი თანმსრბოლი
მცირე ვარსკვლავი მოსხივცისკარე!
თვის შუქით ჰკურნებს ტანჯულ ბუნებას,
მშობლიურ ალერსით სჭვრეტს მომცინარე!..
მით მოუბრუნდა ბუნებას მაჯა
და სულს იბრუნებს მთლად არემარე!.
ყოველს სულდგმულსა, ყოველს მცენარეს
ერთბაში ტკბილი აქვსთ გულის ძგერა!.
ყვავილნი ფშვინვენ სურნელებასა,
და ბულბულთ იწყეს ჩვეულებრ მღერა.
ნიავი უქრის, მცენარე თავს ჰხრის,
ფოთოლთ საამოდ გააქვთ შრიალი!..
მიკვირს, ბუნება რად იტანჯოდა,
თუ თვით ჰქონია ამდენი ძალი?!
ვგონებ, მაგალითს გვაძლევს ბუნება:
ჯერ უნდა ვნახოთ ჩვენ განსაცდელი,
რომ მით გვირგვინი გამოცდილების
ბოლოს ვიხილოთ ბნელით ნათელი!..
მაგრამ ძნელი ხარ შენ, განსაცდელო,
ვინ გაგიძლოს შენ, თუ არ რჩეულმა?!
აურაცხელი და უწონელი
ვით აიტანოს ტანჯვა გლახ გულმა?!
შენი მებრძოლი, სულით ობოლი,
ბევრი გვინახავს შვილდებრ ღუნული,
და, რომელიც კი არ მოგღუნვია,
დაგიმტვრევია როგორც ყინული!!.
შემცნეული მაქვს მეც შენი ძალა,
რასაც მექადის, ვხედავ, მე ბედი,
მაგრამ დავიმტვრე, არ მოვიღუნვი,
მსურს, მატყუებდეს მისთვის იმედი!..
თუმცა კრული მაქვს აწმყო არსება,
მეხსიერებაც, ყოველს ჩემს წარსულს

ზარნაშოსავით რა თავს დამძახის,
ტვინსა მიდუღებს, მით მიშფოთებს სულს!
და მის ხმაზედა შავი ფიქრები
ვით მელამურა თავზედ დამფრენენ
და, აწმყოს წარსულს რა უერთებენ,
ბნელზედ ორკეცად უკუნს მაფენენ. —
მაგრამ მე მაინც სრულ იმედითა
ველი იმ მთვარეს და იმ ვარსკვლავსა!
მოვსტყუვდე, მაინც არ მოვიღუნვი
და ჩავალ სწორი სწორსა საფლავსა!

15 ოქტომბერს, 1872 წ.

9 სასოწარკვეთილება

ჰეი სამშობლოვ, სხვებისთვის დედავ,
ჩემთვის კი ავო დედინაცვალო,
ვიცი, დაიბან პილატებრ ხელსა
და იტყვი, რომ ხარ შენ დღეს უბრალო

ჩემს ტანჯვაში და ჩემს განსაცდელში,
მაგრამ მსურს გითხრა მე საყვედური
მხოლოდ მისთვის რომ უნდა გათავდეს
ჩემი შენდამი აწ სამსახური.

დღეს პირველათ და უკანასკნელათ
დაუფარავათ ვიტკენ შენზედ გულს
და აღარ ვმალავ იმ მძიმე ტვირთსა
დღემდის კი მხოლოდ ჩემთან დამარხულს!

სული და გული, ბუნების ნიჭი,
სიჭაბუკე და წამი ყოველი
შენ შემოგწირე და რა მივიღე
სამაგიერო მე სასყიდელი?

უსამართლობა, მტრობა და დევნა!
ცილისწამება გულის საკლავი!
და საუკუნოთ განსასვენებლათ
მოსწრაფებული შავი საფლავი!

შავი საფლავი, სადამდის მტრობა
ველარ ჩაყვება ძალმიხდილს მკვდარსა
და მცილებელთა შავნი საქმენი
ვერს ვერ უცვლიან თეთრსა სუდარსა.

უკანასკნელ ჟამს მე ეს მამხნევებს,
ეს მრწამს და სიკვდილს მიტომ არ ვნაღვლობ
და სინიდისის სიწმინდისათვის
მტერმოყვარესა ჩემს ბედსა ვმადლობ!

დეე, მან დაგმოს ჩემი საფლავი
და მან დამქოლოს წყევისა ხმითა
ვისაც ეშრომოს აქ ჩემზედ მეტათ
სიტყვით ან საქმით ან გულისთქმითა!

და მან გამკიცხოს და შემარცხვინოს
უსამართლოდ და უდროვოთ მკვდარი
ვისაც ჩემსავით აქვს სიყვარულით
სული წმინდა და გული მდიდარი!

მშვიდობით, ჩემო დედინაცვალო,
ჩემთან პირშავო ჩემო სამშობლო!
შენდობილ იყო ჩემგან ამიერ
და ღმერთმა მოგცეს კეთილი ბოლო!

1881 წ. 1 იანვარს.

10 გამოფხიზლება

ბავკაჟებივარ შავბედსა,
დავდივარ შეუპოვარი!..
ვერ შემაშინებს რისხვით ცა,
ჭირზედა ჭირის მთოვარი!

არ ვუღალატებ სინიდისს,
თავს შევინახავ წმინდადა
და ჩემ სიცოცხლეს ვიგულებ
ჩემი სამშობლოს წინდადა!

ოფლით მოვრეცხავ სამშობლოს,
იმ წმინდა სისხლით ღებულსა,
რომ შევეყარო პირნათლათ
იქ ჩვენს წინაპრებს ქებულსა!

და აქ კი შესანდობარსა
ჩავარაკრაკებ კულითა
და შემოვძახებ თამამათ
გრძნობით აღვსილის გულითა:

„ჩონგურო, ჩემო დიდებავ
და ძლიერებავ კალამო,
ზოგჯერ ფინთიხო გულისა,
ზოგჯერ წყლულისა მალამო!

ნუ გამომილევთ ძალ-ღონეს,
საბრალოს მუშას მთესველსა.
გულგაუტეხელს მებრძოლსა,
ბნელში იმედით მკვესელსა!“

1881 წ 1 იანვარს

11 სიმღერა

დაზამთრდა, სუსხმა დაგვკრა,
ტკბი[illegible]ი შეგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აორკეცა თვისი ძალა!.
ვინც თვის [illegible]მის ტყავისაგან
[illegible]კერა ქურქი[illegible]ბ
მას სიცივე ვერას ავნებს
და ცხოვრებაც ელის ტკბილი.
მაგრამ რა ქნას, ვისაც ამ გზით
არ უკერავს სამოსელი,
სიცივე რომ მიადგება
და შიმშილი კუჭის მწველი?
სჯობს, მიჰბაძოს იმან მერცხალს:
სიცივეს თუ შეუშინდეს,
გაეშუროს დასავლეთით,
ფრთა გაშალოს, გადაფრინდეს.
საზრდო მისცეს სულსა და გულს
მით სურვილი დაიმწიფოს:
და როს ზამთრის შეუპოვრად
თვისი ღონე მოიკრიფოს,
მაშინ ისევ გადმოფრინდეს,
აჭიკჭიკდეს ვით მერცხალი,
რომ სხვებმაც სთქვან: „გაზაფხული
ახლო არის მომავალი!“
დე, დაზამთრდეს, სუსხმა დაგვკრას,
ქარიშხალმაც გვბეროს ველით,
ზამთარი ვერ შეგვაშინებს,
თუ გაზაფხულს კი მოველით!

1873 წელი, დეკემბერი.

12 სიმღერა

ბულბული ვარდს მაშინ დაჰყეფს,
როცა ეშხით მთვრალია!
მერცხლის ტკბილი ჰიკჰიკიცა
გაზაფხულის ბრალია!

თუ მე გიმღერ, მშვენიერო,
ეს სულ შენი ბრალია;
და ის სცდება, ვინც რომ ჩემზედ
ამ მღერისთვის მწყრალია.

აო დაჭკნება მითი ვარდი,
რომ დააფრთხო ბულბული,
მერცხალი რომ კიდეც მოჰკლა,
მაინც მოვა ზაფხული!

მე რომ კიდეც გამაჩუმოთ,
მითი შენ რა გაკლდება?
ჩემს ადგილზედ სხვა მღერალი
ათასი სხვა გაჩნდება.

მსურს, მოვფინო, მშვენიერო,
შენი ქება ცის კიდეს!..
ვფიცავ, ლხინად მიმაჩნია
ჰირი შენს გადამკიდეს!

რომ დამიბან კიდეც ენა,
გულს ხომ მაინც ვიძგერებ!
ტურფავ, შენის გულისთვის
ქვეყანას დავიმტერებ.

ნათესავებს და მეგობრებს
შენთვის ყველას ვეყრები!
უსასყიდლოდ გმსახურებ და
მძიმე ტვირთს ქვეშ ვიხრები!

და თუ ბედმა უნებურად
მომაშორა ეგ სახე,
მაშინ, ტურფავ, შორს მყოფიცა
ერთგულ მონად დამსახე.

თვითონაც ვგრძნობ, რომ ეს ჟინი,
ტურფავ, შენი ბრალია,
და ბრიყვი კი უსამართლოდ
დღეს ჩემზედ გამწყრალია!

1875 წ. 9 აპრილი

13 ალმართალმართ მივდიოდი

ალმართალმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდეგ, ჰმუნვის ალი მენელა:
მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე ვგრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა.
შემიდუღდა მაშინ სული და გული;
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული

გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო.
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.
ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
(აწ იგი ხმა ვერ ისმინონს გაისმა).
ცის მახლობლად ფეხ ქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად მიწამე!“
და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?
გადვიხედე, ვნახე რომ სხვას ჰმონობდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: „მტერს როგორ მონებდა?
მოხიბლულა, შემცდარა, ის არი...
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“
მივაძახე: „ქინქარში ნუ ვარდები!...
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!
შეიბრალე თავი შენი, იცოდე!
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე!“
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს
და დამასო საუკუნოდ დანა გულს'
ალმართალმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?
ჩემო თავო! ველარ გკურნვენ წამალით!
დალმართდალმართ დაუყევი, წა მალით!
იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით!
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის,
ხელდაკრებით განისვენე მარადის!

1876 წ. 1 იანვარი.

14 ნატვრა

ნეტავი ჩიტი ვიყო,
ტუნია პატარა,
ცბილის ხმით მოჭიკჭიკე,
ამით მონავარდე,
რომ გავგოგდე. . ავფრინდე...
ფრთები გავშალო ჩქარა
და ცისკენ თავისუფლად
ისარივით ავვარდე!

მივფრინდები იმ არეს,
სად ვარსკლავნი კრთებიან.
სადაც ხშირად კაშკაში
გააქვს მოწმენდილ მხარეს:
იქ. სადაც მტრის ისრები
მე ველარ მომწვდებიან.
იქიდან გადმოვხედავ
ჩემსა სამშობლო მხარეს.
ვნახავ იმ ბრძოლის ველებს,
სადაც ბედი სწყდებოდა,
მტერი, მგონი, შემუსვრის
ანგარიშში სცდებოდა,
რადგანც ქართველს იმა დროს
თავი ავიწყდებოდა...
ბრძოლა!.. სჯული და ენა
კი მითი მტკიცდებოდა.
დავეცემი გულ-მკერდით...
იმ ველზედ დავეშვები,
ნისკარტით ვუამბორებ
წმინდას სახსოვარს მიწას!
წინაპრების სახსოვრად
კვნესით ჰიკჰიკს მოვჰყვები:
ქვეყანას შევაბრალებ...
შევავედრებ მათ ზეცას.
მაგრამ ვით გავარჩიო
ჩვენი მკვდარი და მტერი?
ხომ სულ ერთადა ჰყრიან
არეულ-დარეული?
წმინდა ძვლე წინაპრების
და მტრების ბილწი მტვერი
რატომ არ არის ნეტავ
გარჩეულ-გასაზღვრული?
არ დავსდევთ, მაგრამ ის კი
თვით ბუნებამ გასაზღვრა:
იქ ეკალი ამოდის,
სადაც მტერი მარხია,
და, სადაც ჩვენმა ძველმა
წმინდა სისხლი დაჰღვარა,
იქ მოდის ყვავილები
და ზოგანც ვარდის ხეა.
-ეკალს და ბალახ-ბულახს
მტრის გულზედ ამოსულსა
მივანებებ ბაყაყებს...
დეე, მათ უყიყინონ!
მე ვარდის ყვავილებზედ
ავიღელვებ ამ გულსა,
ვიჰიკჰიკებ... და მკვდრებმა
საუკუნოდ იძინონ.
ნეტავი ჩიტი ვიყო,
ჩიტუნია პატარა,
რომ ჰიკჰიკით გამოვსთქვა
ვნება ჩემის გულისა!
ვნახო ჩემი სამშობლოს
ბედნიერება ჩქარა
და ვიმღერო სიმღერა
შორის გაზაფხულისა.

1879 წ. ივ

15 პოეტი

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა:
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა!
ნუ მკიცხავ, მნახო უგნურად!
ნურც გაიკვირებ ბრძნობასა:
სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი
ამ ჩემს გონება გრძნობასა.

ეს გული სარკედ ქცეულა
ყნების ნათავხედია:
ხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალის უნახავს და ჰკურა
გაუზომ-აუწონია!
თქვენ რომ ჰგონიათ, ის არ ვ
სხვებს რომ ჰგონიათ, არც ისა!
შუაკაცი ვარ უბრალო,
ხან მიწისა ვარ, ხან ცისა.
1886 წ. ოქტომბერი

16 განთიადი

მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
ჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა:
ათობი სხივებს მაღლით ჰფენს
თავდადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთაწმინდა,
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,
მდინარე ნანას უმღერის
რაინდსა, ურჩსა მტრისასა.

მთა წმინდა გულში იხუტებს
აშვილიშვილო სამარეს,
ამა დავითსა ავედრებს,
ბარებს ქვეყნის მოყვარეს.

მგოსანი გრძნობამორევით
ვალს ავლებს არემარესა
ა გულის პასუხს ნარნარად
მღერის ტურფა მხარესა:

„ცაფირუზ-ხმელეთ ზურმუხტო
ემო სამშობლო მხარეო,
ეული დავბრუნებულვარ,
ურნალად შემეყარეო!

„ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო.
წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

„წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო.
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,
მოკაშკაშ-მოელვარეო.

„გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო, —
ია და ვარდი დამჭკნარი
ხელახლად გამიხარეო.

„ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტო,
სულისჩამდგმელო მხარეო!
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც
ცოცხალს,
ზე კალთას დამაფარეო;
და რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დაიბარეო:

„დედა-შვილობამ მეტს არ გთხოვ
შენს მიწას მიმაბარეო.
ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო!...“

1893 წ. 2 იანვარი.

17 ჭაღარა

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა...
ვეღარ გაჰკივის თამამად
ჩემი დაფი და ნაღარა.

გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე!..
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე

ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე ვით საუკუნები
სხვადასხვა მრავალ წამითა.

მაშ რაღად მინდა სიცოცხლე
მე აწმყო გამწარებულსა,
თუ ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა?

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია
ოცნებით გარემოცულსა.

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს:
მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს,
ნესტანდარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს?!
ინით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემ დაფსა და ნაღარას.

მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!..
და შენ ტარიელს მოგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო.“

მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინა უძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი!...

არა! აჰყვავდეს იმედი!...
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!...
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა?...

1893 წ. 9 იანვარი.

18 ყარიბი

ნუ კითხულობ, ვინა ვარ?
სიდან მოვალ? სად მივალ?
სულ ესა ვარ; რაცა ვარ,
რასაც მხედავთ თვალდათვალ!

თავისუფლად დავდივარ,
არც ბატონად, არც მონად!
ცა ქუდად არა მყოფნის,
დედამიწა ქალამნად.

უფროსი, არც უმცროსი
ნებით არვინ მყოლია!
ვინცა მცნობს და ვისაც ვსცნობ,
ყველა ჩემი ტოლია!?

ძმობა და სიყვარული
ფულით არ მიყიდია!...
მხოლოდ გული და სული
მათი გზა და ხიდია!

არც მქონია, არც რამ მაქვს.
არც მექნება, მგონია,
მაგრამ ჩემზედ მდიდარი
არც კი გამიგონია!

მე რომ მაქვს, ის სიმდიდრე
ღვთისგან მოცემულია:
სულია ის საუნჯე
და სიმდიდრე გულია!

ვერ მომპარავს ვერავინ:
თან დამაქვს ეს დიდება!...
განჩინების ძალითაც
ხელი არ ეკიდება?

ჩამოდექი, პრისტავო!...
ნუ მოდიხარ, მოვალე!...
სიმდიდრეც ამას ჰქვიან...
ვინც მომცა... ვენაცვალე!...

1893 წ. 13 თებერვალი.

19 ავადმყოფი მგოსანი

ბედო შავპირო, უპირო,
ამრევო გზა და კვალისა!
სულს ნუ ამომხდი, მაცალე
დახამხამება თვალისა!

აჩრდილი-ღა ვარ წარსულის
და ლანდი მომავალისა!...
ვის შერჩენია, მე შემრჩეს
გადახდა სოფლის ვალისა?

მაგრამ სურვილმა მომხიბლა
ცრუ მოიმედე ხვალისა:
ჩამიხმატკბილა ჩანგურმა
და გული გამიხალისა:

ჩანგურო! ჩემო ჩანგურო!
ოცნების ზღვაში მცურავო!
შენი კრიმანჭი წკრიალი,
ხელახლად მომეწყურაო!

ჯერ არ აქვს ია-ვარდისა,
ბულბულის ენაო:
ფოთები აოწივის გასხია.
შენ შვენის ალმაფრენაო:
მიმოფრენ, მეც თან დავყავარ.
მისწამ, კიდისკიდესო!

ველარ მერევა სიკვდილი
მე შენსა გადამკიდესო!.
დიდება შენსა მოვლენას.
ციურო, ტკბილო ძალაო!
დაადნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალაო.

1894 წ. თებერვალი.

20 მწუხრი.

მთვარიანი ღამე იყო,
წყნარი, გრილი, მომხიბლავი!.
ზეგარდამო მადლსა ჰფენდა
ძალთაძალი უხილავი.

ცა ქვეყანას,. ქვეყანა ცას
ყურს უგდებდენ ერთმანეთსა;
ხმით ორივე შეთანხმებით
ადიდებდენ შემოქმედსა!

ცის და ქვეყნის შუამავლად
სხივი იყო მთიებისა
და იმათში პირველობა
მუქურვარსკვლავს მიეთვისა.

თვით მცენარე ალმაკძევით
მიმოფენდა სუნნელებას...
სიჭაბუკე ძალსა გრძნობდა
და სიბერე გაახლებას...

წამი იყო სასუფევლის
მრავალმეტყველ მდუმარება
და ნაყოფი სამოთხისა
ამაჟრჟოლი ნეტარება.

აქ უეცრად ვარდის ბუჩქი
შეინძრა და შეირხა რტო,
ზედ ბულბული თურმე იჯდა
გამსჭვალული მარტოდმარტო.

მოერია გრძნობა მღერალს,
გულში მადლი ჩაესახა!.
ტკბილოზევსური, მწარე ზარი
ორივ ერთად შემოსძახა.

ხმა გაისმა სხივნართი რამ,
ზეამტანი, ამაძგერი!..
ყველა სმენად გადაიქცა
უსულო და სულიერი.

მოფერადე ჰანგით ჰანგის
დაიქანცა, დაიღალა,
თითქოს ჩასდნა თვის ჭიკჭიკში,
ხმა შესწყვიტა!.. გაქრა ძალა!..

ნაცვლად მისსა იქვე ახლოს
აჭიკჭიკდა სხვა ბულბული....
იგივ კილო, იგივე ხმა...
შიგ არც სული და არც გული!..

თურმე რაღაც სათამაშო
ქვეშ ეჭირა, სულს ჰბერავდა
და მანქანიც ხელოვნური
ბულბულისა ხმით უკრავდა.

მაგრამ ნამდვილს ისე ჰგავდა
ვითა მწუხრი განთიადსა,
ვით უსულო სულიერსა
და აჩრდილი მისვე ცხადისა.

შევადარე ერთმანეთსა,
შევუწონე დიდსა მცირე
და ასე ვსთქვი: „სხვადასხვაა
პოეტი და მოშაირე!“

1894 წ. 5 [illegible]

21) მომაკვდავის ჩვენება

სიკვდილ-სიცოცხლის შუა მდებარეს,
როდესაც სული ხორცს მეყრებოდა,
ცოდვილი ქვეყნის გამოთხოვება
მე მაინც კიდევ მენანებოდა!..
რასაც სიყრმიდან თვალი და გული
შეთვისებია და შეჩვევია,
გონება კავშირს ველარ გაუწყვეტს,
სიცოცხლეც მისი მონა და ტყვეა!!
ვიტანჯებოდი. ცრემლების ნაცვლად
ქირის ოფლშიღა ვიწურებოდი...
მიწა მტოებდა... ცა მიწოდებდა
და მე კი ვერც ერთს ველარ ვსწვდებოდი.
არც აქეთ ვიყავ და აღარც იქით
მე ორთა შუა გამოხიდული,
უჩინარ ბეწვით ოდნათ დაბმული
ხორცი უსულოდ, უხორცოდ სული!
უცბათ გაიხსნა ცა, მოელვარე
მაღლით ნათელი გადმოეფინა
და თანვე მოჰყვა ხმა ზეციური:
„აჰა, ოსსანა მაღალთა შინა!“
ნათლის სვეტებზე ნათლისვე კიბით
გადმოექანა ძირს ანგელოსი;
სხივით ნაქარგი თვით ელვარება
იყო იმისი წმინდა სამოსი.

მომიახლოვდა მანუგეშებლად,
ცისა და ქვეყნის შუამავალი.
დამიდგა მარჯვნით... მისმა შვენებამ
მომხიბლა სრულად და მომჭრა თვალი.
ამ დროსვე ერთად შეიძრა მიწაც,
ქვესკნელმა გრგვინვით გააპო ბნელი
და ამოფრინდა ბოროტი სახე
სრულის დიდებით თვით ბელზებელი.
იმის მედიდურ ძლიერ სახეზე
უფლება შავი ხაზით ეწერა;
დადგა პირდაპირ ანგელოსისა
და შეუპოვრად დაუწყო მზერა.
„შენ აქ რა გინდა?“ — სთქვა ანგელოსმა —
„სამარადისოდ შეჩვენებულო!..
ურჩო მეუფის!.. და ქვეყნის მტერო!..
მოუსვენარო!.. ბოროტო სულო?!!
„განა არ იცი: ვისაც ამ ქვეყნად
ვერ შეურყიე სარწმუნოება,
სიკვდილის შემდეგ რომ მიეკარო,
არ გაქვს უფლება! არა გაქვს ნება!!.“
— „ვინ მოგახსენა?!.. ჯერ ჩემ უფლებას
ვერ გააქარწყლებ შენ ასე ჩქარა!..
ჩვენ-ჩვენ საზღვარზე ვდგევართ ისევე!..“
სთქვა ბელზებელმა! გადიხარხარა:
„ჯერ სანამ სული ხორცს არ გაჰყრია,
არ დამკარგვია უფლება და დრო!..
უკანასკნელად ერთს კიდევ ვსინჯავ,
რომ მაგის სული მოვინადირო.
„და ხელის შეშლა თუ შეგიძლია,
იხმარე შენი გრძნობა-გონება,
რომ მოანატრო ის ზეციური
საოცნებო რამ ყოფა-ქონება.
„მეც გამოვიჩენ ჩემ ძლიერებას
სათვალდათვალოს და ხელშესახებს

და მაშინ ვნახავთ: ამ ორში, აბა,
რომელს აირჩევს? და რას აიღებს?
„შენ შეგიძლია წაართვა სული!
მე შემიძლია რომ დავუბრუნო!
შენ სხვის მონათ ხარ კარზე მოსული
და მე კი მმონებს თვით საუკუნო!!."

ანგელოსი

როდემდის?

ბელზებელი

სანამ არ მოიშლება
ქვეყანა მისის შვენიერებით.
არ მყავს მეტოქე, მოპირდაპირე,
არც მოხერხებით, არც ძლიერებით!

ანგელოსი

კი, მაგრამ ეგ ხომ დროებითია!
„მეორეთ მოსვლის" არა გაქვს შიში?

ბელზებელი

საუკუნეთა საუკუნოებს
არა აქვთ ზომა და ანგარიში.
„მეორეთ მოსვლა" ისე შორს არის
რომ მაზედ ფიქრი არს უგნურება.

ანგელოსი

რასაც ოდესმე ბოლო მოელის,
არ არის სრული ის ნეტარება.

ბელზებელი

ბევრჯელ წამიც კი ბედნიერების
საუკუნეზედ უმჯობესია!...

ძეც მომავალი ჩემი სიმწარე
აწმყოს სიტკბოში ჩაშილესია!!
ამას ვჯერდები და მომავალი
მე დამითმია თქვენთვის საკუთრად,
ჩემთვის შავბუნდათ წარმოსადგენი
და თქვენთვის რაღაც ნათელ-ვარდისფრად.
თქვენ აწმყოსა სცვლით იმ მომავალში,
მე მომავალზედ აწმყოს არ ვჰყიდი!..
ვინ მოსტყუვდება ჩვენში, ვინ იცის?..
სულ სხვადასხვა გვაქვს ჩვენ გზა და ხიდი:
შენ მარჯვენივ იწვევ ადამის შვილებს,
მე იმათ მარცხნით ვეპატიჟები!
არჩევანი კი იმათ ხელშია
და ნუ გასჯიან როგორც გიჟები!
სადაც ერჩიოთ, იქით წავიდენ!..
მაგალითი ახლაც თვალწინ გვაქვს:
ამ მომაკვდავთან მოვსულვართ ერთად
და ჭირისუფლად ვადგივართ მას თავს.
შენ სულ სხვას ურჩევ და მე კიდევ სხვას!.
არა სჯობს, ვკითხოთ მაგისვე სურვილს:
სიცოცხლეს ირჩევს ჩემი შეწევნით?
თუ შენი რჩევით სანატრელ სიკვდილს?

სთქვი: რას ჰპირდები?

ანგელოსი

განსასვენებელს,

სად არც ურვაა, არც მწუხარება!
და ხორცშესხმულიც ვერ წარმოიდგენს.
ოჰ რა ტკბილია ის ნეტარება!!.
მახლობლად ღვთისა, წმინდათა შორის,
ანგელოსთ გუნდში გამორეული,
ციური ძალით გაიმსჭვალება
ვალგადახდილი სპეტაკი სული!

ამიერიდან უკუნისამდე
არ მოეშლება ის ნეტარება.
მაშინ, როდესაც შენი დიდება
ამ ქვეყანასთან ერთად გაქრება.

ბელზებელი

წელანაც გითხარ, უფარსაგოა
ეგ საოცნებო რამ მოგონება:
მაგის სიშორეს ვერ წარმოიდგენს
ჭკუათამყოფლის გრძნობა-გონება.
და მე მით უფრო... რაც დღე ხელში მაქვს,
განა გიჟი ვარ, რომ შეველიო?
ნათქვამი არის: ხვალინდელ ქათამს
კვერცხი სჯობია დღევანდელიო.

ანგელოსი

ჩვენსას თუ სწუნობ, ახლა შენი სთქვი:
რა უფლება გაქვს? რა შეგიძლია,
რომ ამ მიწის შვილს შენ მიანიჭო?

ბელზებელი

რასაც კი მომთხოვს!.. სულ ადვილია!

ხანგრძლივ სიცოცხლეს და ტანმთელობას,
სიბრძნე-სიმდიდრეს და ძლიერებას!.
სიჭაბუკესაც, რომ სიყვარული
უგვირგვინებდეს ბედნიერებას.
და ამას გარდაც, ზედმეტად კიდევ
მცირე სურვილიც ვალად მედება:
ყოვლის შემძლები ვიქნები მონა
მაგისი! ნატვრა არ მოაკლდება.
ეს რომ სთქვა, მერე მე მომიბრუნდა:
„აწ მოიკრიბე შენი ღონეო

და აირჩიე, რომელიც გინდა!..
რაცა ვსთქვით, შენც ხომ გაიგონე?"
რომ მოვისმინე იმათი ბჭობა
უჩვეულობით გაკვირვებულმა,
აღარ ვიცოდი რა უნდა მექნა!..
ძგერა დამიწყო ორჭოფად გულმა:
ზეცის შელევას ვერა ვბედავდი
და ეს ქვეყანაც მენანებოდა!..
სიტკბო-სიმწარის შუა ვიყავი,
სული შფოთავდა, ხორცი დნებოდა.
ბოლოს გავბედე ხმის ამოღება
და დავეკითხე მათ მორიდებით:
„ჩემგან რას ითხოვთ სამაგიეროს,
იმის სასყიდლად, რასაც მპირდებით?
სთქვა ანგელოსმა: „მხოლოდ იმას გთხოვ,
რომ არ დაჰკარგო შენ სასოება
და ხრწნილებადი შენი სხეულის
არ მოინდომო ამაოება!"
ბელზებელმაც სთქვა: „ბევრს არც მე ვითხოვ:
რომ მოვიფხანო უბრალოდ გული,
მხოლოდ ფორმისთვის, ზეცის საჯიბროდ,
მერმისისათვის მომყიდე სული."
ჩამაგდო ამან საგონებელში.
აღარ ვიცოდი, რა ამერჩია?
ორივე კარი ცის და ქვეყნისაც
მზა იყო ჩემთვის... ორივე ღია!
პირი ვიბრუნე ბელზებელისკენ
და მოვინდომე მისი მინდობა,
თუმცა არ მსურდა არც ანგელოსის
უარისყოფა და ზეცის გმობა.
შენ პირობაზე მე მოვაწერ ხელს!
ვსთქვი — თანახმა ვარ და არც ვინაღვლებ!
იმ პირობით კი თუ შენც შენს სიტყვას
არ გადაუხვევ და შეასრულებ?!

ვფიცავ ჯოჯოხეთს! სთქვა აღტაცებით
და მედიდურად გადიხარხარა!
შეკრთა მფარველი ანგელოსიცა,
მწუხარე სახე დაბლა დახარა!!.
იუდას ტყავზე კაენის სისხლით
დაიწყო მტერმა პირობის წერა,
მაგრამ მარტო მის დანაპირებით
რომ ჩემი გული ვერ შეაჯერა,
თამამად მითხრა: მეტი, რაც გინდა.
შენვე მომთხოვე და აგისრულებ!
მე ჩემი სიტყვის გამტეხი არ ვარ!..
არც გავწბილდები! არც გაგაწბილებ!
— მართლა? მაშ კარგი! მიუმატე ეს:
რომ აწ საერთოდ ქართველი ერი,
ამაღლებული... აჰყვავებული...
ხანგრძლივი იყოს და ბედნიერი!
— აჰა, ჩავწერე!. სხვა რამეც კიდევ
ჩამაწერინო, გინდა თუ არა?
— რაღა თქმა უნდა? ჰო, ერთიც კიდევ
და მეტს არას გთხოვ. . გათავდეს! კმარა!
— სთქვი მალე ეგეც და გავათავოთ!
რა სურვილია ეგ კიდევ ერთი?
— რომ საქართველომ ქვესკნელი დაგმოს,
მოიახლოვოს ზეცა და ღმერთი,
რომ ქართველობამ მტკიცედ დაიპყროს
ქრისტეს მოძღვრება და წმინდა რჯული,
და მაშინ, დიახ, შენი იქმნება
სამარადისოდ ეს ჩემი სული!!
შეკრთა ეშმაკი, ამის გამგონე!
არ მოელოდა ამგვარ პირობას!
ფრთა შეეკვეცა იმის წამიერ
ამპარტავნობა-მედიდურობას.

გაქვავდა თითქოს, მაგრამ კანკალი
დაუწყო მხოლოდ გულმა და ხელმა.

სთქვა ვუნებაში: ვაი სირცხვილო,
რომ მომატყუა მე იმერელმა:
სულ რომ ცოტა ვთქვათ, დღეს ქართველებს
მე ორი წილი ხომ კი მერგება.
და ამ ერთ სულში რომ ის გავყიდო
რა ჰკუა არის? და რა მოგება?
გასტეხა სიტყვა, გაუჩინარდა,
ჩაძვრა ქვესკნელში სირცხვილეული
და მაშინ მხოლოდ ანგელოსიცა
კაში აფრინდა გახარებული.
მეც გონს მოვედი, მიმოვიხედე
და იმავე წამს თვალი მოვჰკარი,
რომ მარცხნივ მიდგა დიდი მკურნალი
და მარჯვნით ახლოს ჩემი მოძღვარი.*

1898 აგვისტო.

22 სულიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე.. დაკარგულიყო!
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“
ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო:
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“
ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა;
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჰყარა.
სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო.
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“
შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქოს თქვა: „დიახ, დიახო!“
დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“
დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:

აქ აღნიშნული მკურნალი [illegible] ღამბაშიძე. სამსონ თოფურია და მოძღვარი დეკანოზი [illegible]

„ეგ არის, რასაც ეძებდი
[illegible] და მოისვენეო!
[illegible] დაიღამე აწ ტკბილათ
და ღამე გაითენეო!
სამათ გაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავათ, ბულბულ, ვარდათო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
და ქვეყნად შეგიყვარდათო!“
შენიშნა. აღარ დავეძებ
ყვარლის კუბო-სამარეს,
ალო, შევრიგ ქვეყანა!
აღარ [illegible] [illegible]
ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს
ვყნოსავ
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე [illegible]
ვერ გამომითქვამს ენითა!
ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდი რომ მწარეთ კრულ
ახლა კი ვიცი. სადაც ხარ:
სამგან გაქვს ბინა, სულო
1895 წ. 5 ივლ.

23 ქებათაქება

სხვებმა სვან ღვინო! მე უღვინოდაც
მთვრალი ვარ პირად ბედნიერებით!
და ნეტარებას მიმრავალკეცებს
ჰიდამო მისის მშვენიერებით!
ვიშ ამ საღამოს
მშვიდსა, საამოს,
ტკბილნეტარებით შეზავებულსა!
რა უცნაურად,
მაღლით ციურად
სამოთხისაკენ იტაცებს გულსა,
რომ საიდუმლო,
სასიქადულო,
კაცსაც ბუნების შეატყობინოს,
და, სადაც ჰკუა
სცდება და სტყუა,
იქ მარტო, მხოლოდ გულს აგრძნობინოს!
აჰა ვგრძნობ მეცა,
რომ არის ზეცა
აღვსილი რაღაც ძალით საგზნობით,

და ეს ქვეყანა
ყოვლგნით, ყველგანა
თავს უხრის შემქნელს მადლით საგრძნობით!
დახეთ ამ მთვარეს
სხივმომფინარეს,
თითქოს ტკბილ სევდით ივსებსო გულსა;
მოკაშკაშენი,
მოთამაშენი
ვარსკვლავნი ირგვლივ აბმენ ფერხულსა!
ძალთა დიდება,
შექმნათა ქება,
არს საიდუმლო მათი ვედრება:
ქვეყნით ბუნება.
ბანს ეუბნება
და ეს ბანია „ქებათაქება“.
ყვავილთა ენა
არს სუნნელთ ფშვენა,
საგალობელად აღმაკმეული;
წყალთა ჩქრიალი,
ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი რაღაც გრძნეული,
ბუნების მაყრულს,
საქორწილოდ სრულს,
ეკავშირება, ზე ემატება;
და ახლა მეც ვგრძნობ,
საიდუმლოდ ვსცნობ,
რომ არის კაცში ღვთისა ხატება!...
რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?...
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?!..
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო,
შენ, რომლის ერთწამს, იმ სანეტაროს

მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!...
    შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა
ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ ცილს გწამებს.
და შენ მაგიერ შენის სახელით
ის აღიარებს პირუტყულ წამებს!...
    შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო
გამოუთქმელო კაცთა ენითა!..
შენგან მგოსანი ფრთებშესხმული ვარ
და მონავარდე ალმაფრენითა, —
    რომ მეც გედივით სიკვდილის წინეთ
უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო,
გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოთ
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო!
    მე მას ვუგალობ, ვისაც ვანგებამ
მშვენიერება უსხივცისკარა,
ვინც ვარდს ელფერი, იას სინაზე
და ბულბულს ენა ერთად მოჰპარა!..
    ის არის ჩემი ტკბილი სიზმარი
და მომხიბლავი მძლავრი ოცნება,
სიყვარული რომ ტახტად უდგია,
ეგვირგვინება პატიოსნება!..
    როცა ჭაბუკი გამოუცდელი
მას თაყვანს ვცემდი თავდადებულად, —
ვხედავდი ნინოს, თამარს, ქეთევანს
იმაში შენათხზ-შეერთებულად;
    და საამქვეყნოდ გულგრილ-მოხუცი
დღესაც თაყვანს ვცემ როგორც პირველად,
თითქო ჭაბუკი ვიყო მე ახლა.
და ვყოფილიყო მოხუცი ძველად!..
    სხვებმა სვან ღვინო!.. მე უღვინოდაც
მთვრალი ვარ მეტის სიხარულითა!..
ემატა სოფელს მშვენიერება
ჩემ თვალში მისის სიყვარულითა!..

1900 წ. იანვარი.

24 დიდება მაღალთა შინა

არც მყვარებია, არც მიყვარს,
არც მდომებია, არც მინდა,
არც მრწამებია, არცა მრწამს
შენს გარდა კიდევ სხვა წმინდა.
რომ გკოცნი, დედა მგონიხარ,
გეხვევი შვილი უმანკო.
„დიდება მაღალთა შინა“,
დიდება, ვინც შენ შეგამკო!!
მე შენი მსგავსის ამ ქვეყნად,
დავბერდი, არ ვარ მნახველი!..
კამიძირტკბილე სიმწარე,
თაფლად მიქციე ნაღველი!!
შენი ღიმილის ჭირიმე
შენი ამოოხვრისა,
მაღლიდან ჩამოტანილის
ციური მიხვრა-მოხვრისა!
დედა ხარ!.. დედა ობოლი,
ქართველად მზდელი შვილისა;
სამშობლოსათვის სამსხვერპლოდ
შემომწირველი წვლილისა!
იმან გამსჭვალა მგოსნისაც
უბიწო გრძნობა-გონება
და მარად გულში ჩაუდვა
თაყვანისცემით მონება.
მადლი შენს გამჩენს, ლამაზო!
„დიდება მაღალთა შინა“,
ვინც შენსა გრძნობა-გონებას
ქვეყნად ნათელი მოჰფინა!!!

1911 წ. 1 მაი

II. მშობელი ერის აწმყო, წარსული და მომავალი:

25 მოგონება

სიმნი მკვნესარნი სამარის ხმითა
ზედ დასტირიან რაღაც საგანსა
და უცნაურის თანაგრძნობითა
ეს ჩემი გულიც ეტყვის მათ ბანსა.

ღმერთო! რა მიყვარს ეს მწარე მოთქმა!..
ვეტრფიალები ამ ჩემსა ჩანგსა! —
მხოლოდ ამისი ეს მაცდური ხმა
გულს გადამფერავს მოდებულს ჟანგსა.

ეს არის ჩემი თანამგრძნობელი,
ეს ისმენს მხოლოდ ჩემს აღსარებას,

მეალერსება ვითა მშობელი
და ცრემლით აღნობს ჩემს მწუხარებას.

აი, ეხლაცა ჩემი გონება
სიმთ გააცოცხლეს, აამღელვარეს,
მომცეს წარსულთა დროთ მოგონება
და გადმიტანეს სამშობლო მხარეს.

ჰა, წარმომიდგა თვალწინ ჭაბუკი.
გაჭირვებისგან რომ ცრემლსა ღვრიდა.
მაგრამ მტკიცე და პატიოსანი
უფროსების წინ თავს არა ჰხრიდა.

პირმოთნეობით ის დაჩაგრული
არავის სთხოვდა თვის წარმატებას
და სიმართლისთვის თავგანწირული
აღიარებდა ჭეშმარიტებას.

უშლიდა მოძმეთ სულის მდაბლობას.
ჰგმობდა მათ შორის ის უპირობას;
მაგრამ ეტყოდენ რაგვარ მადლობას?
ემუქრებოდენ ტყავის გაძრობას!

„გამოახილეთ. ამბობდა. თვალი,
შეიტყეთ, გლეხიც თქვენი ძმა არი!“
და რას ისმენდა ნაცვლად საწყალი?
„ჩუ, თორემ ცხვირში წაგსკდება ძმარი“!

დაჩაგრულს გლეხებს ეფერებოდა,
დიდკაცებს ჰგმობდა პირუთნეველად,
მისთვის მას ყველა ემტერებოდა...
ყველას მიაჩნდა საზიზღარ გველად!

მაგრამ მაინცა თავს არ იხრიდა
უფროსების წინ, იმათი მტერი.
თუმც ჩუმად ხშირად ცრემლებს კი ჰღვრიდა
გაუკითხავი ყველგნით... მშიერი.

შიმშილ-წყურვილით გახდა ის ავად,
მისი დაცემა ყველამ იხარა;
მოკვდა საბრალო გაუკითხავად
და საუკუნოდ მიწამ დაჰფარა.

ოჰ, უგნურებავ! ოჰ, საძაგლობა!
ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი:
მას მოიგონებს შთამომავლობა
და მას უგალობს აწ წმინდა ქნარი.

ვინც მოუსწრაფა საწყალს სიკვდილი,
იმას კი გრძნობით არვინ აკურთხებს,
მას შეაჩვენებს მისივე შვილი
და მამის საფლავს გადააფურთხებს.

კურთხეულმცა იყოს ამგვარი შვილი!
და ამას ამბობს ეს ჩემი ქნარი:
ვინც სამშობლოსა უყო კეთილი,
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი!
1863 წ. ივნისი.

26 იმერელი ნანინა

ვუძღვნი საბატონო ყმების ახალშობილ შვილებს

ბაპუტულო გლეხის შვილო, შენ პაწაწინაო!
აგრე ტკბილად უდარდელად რამ დაგაძინაო?
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო...
დაიძინე, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!...

დედა ეტყვის: „გენაცვალოს შენი მშობელიო,
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო!
შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღვთისმშობელიო,
მამიშენის ბედის არ ხარ, შენ სხვა ბედს ელიო:

შენი ვარსკვლავი სხვა არის! — ბედმა გიცინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!...

ღმერთს შენი ბედნიერება წინეთ უსახავსო,
შენც მის ნაცვლად ემსახურე, ნურას იზამ ავსო,
დედას თმას ნუ მაწეწინებ, ნუ ჩამაცმევ შავსო!
სხვებ რა გიჭირს: ხომ შეიტყე, ბატონი არ გყავსო!

რისთვის შეჰკრთი? მართალია! რამ შეგაშინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!...

გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო;
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო:
შენს მტერსა და მოშურნესა დაუდგეს თვალიო;
ჭირისა და ავთვალისგან გიხსნის უფალიო!

ხომ გიამა, გენაცვალე! მან გაგაცინაო?
იავ-ნანა, ვარდო-ნანა იავ-ნანინაო!...

დიდი კაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებიო;
აბა შენ იცი, ბიჭოჯან, როგორ ეცდებიო:
ძველ ბატონის შვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებიო:
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო!...

შენი დაჩაგრული ძმები შენ უნდა იხსნაო,
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

ჩინოვნიკებიც არიან ჩვენი გამწვალეო:
ჩვენ საქმეზე როცა მივალთ, გვეტყვიან; „ხვალეო“,
და ჩვენ როცა დაგვსაქმებენ, მაშინ კი — „მალეო!“
ამას შენ ველარ გეტყვიან. შენ გენაცვალეო,

რომ ველარ დაგიბრიყვებენ, თუ რომ თავი სცნაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
დღეს ხომ კარგად გაიგონე, ჩემი ნანინაო?
და თუ კარგად გაიგონე, ხომ მოგეწონაო?
მაშ ნუ გძინავს! გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!

შენც შეიტყე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!
იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო!

1864 წ. მაისი.

27 «ბოდვა»

(შემოკლებით)

I

ცრემლში ნაღესი ნაღველი
მინდა რომ მელნად ვიხმარო.
საწერლად მივსცე გლახგული,
ფრთა კალმად აღარ ვიკმარო!
მის ნაცვლად ენა ჩავუწო, —
საწვერმახვილო ის არი,
ხან სამკურნალო მალამო,
ხან სასიკვდილო ისარი!
თავგანწირულად პირდაპირ
შევეჭიდები ქვეყანას!...
რას მომცემს, ან რას წამართმევს,
გული რომ დამწყდეს, მისთანას?
თუ არ სიკვდილით. სიცოცხლით
ვერვინ შემიშლის ბოდვასა
და გამოვიტან საქვეყნოდ
დაფარულს მადლს და ცოდვასა.

II

ვიცით, რომ ჩვენი ქვეყანა
ღვთისმშობლის წილნახვედრია,
ქალწულ დედისგან ნაკურთხი
ძისადმი შენავედრია!
აქ ნინო, თამარ, ქეთევან
სამარადისოდ ქებულან,
დედათ გვირგვინად ზეგარდმო
კურთხევით გაბრწყინვებულან.
აქ ჩვენი ძველი დედებიც
სამაგალითო ყოფილან:
ქვეყნისთვის თავი დაუდევსთ,
რადგანაც მისთვის შობილან!
გამოუზრდიათ გმირები
სამშობლოს მსხვერპლად, ზვარა,
და მით გვაძლევენ მაგალითს
თითქოს ზღაპრად და არაკად!
დიდება იმათ დედობას!
დიდება იმათ სახელსა!..
იმათ სხივებზე დღეს ჩვენში
ქალი თვალს ველარ ახელსა!
ვერ ახელს მიტომ რომ სხვა მხ
უჭირავს შემცდარს თვალები.

უნდა ღირსად შევამკოთ
ც დღევანდელი ქალები.

III

ურო წავიდა, სხვა·მოვიდა,
ე დაწვა და ღამე შობა.
„ზრასტის“ ვეტყვი ზოგიერთ ქალს,
არ ესმის „გამარჯობა!“
ვეტყვი, მაგრამ სად მოვნახო,
ლში რომ არ დამიხვდება?
ლას ადრე კატასავით
ხომ კარში გამოხტება!
თითქოს რამე დაჰკარგოდეს
ეძებდეს დანაკარგსა...
რამ ვისთვის? ოჯახისთვის
აძენს და განა კარგსა?
სულაც არა! სხვა რამესთვის
ქრი-მოჰქრის და ფართაშობს!
არ ახსოვს მას ოჯახი,
კ იგონებს ქმარს და ნაშობს.
აძულს წარსული, აწმყოს ეტრფის,
ჰავალში მისთვის ბნელა;
ენს ჰგრძნობს და იმდენს ჰფიქრობს
ოდენსაც ბუზ-პეპელა.
ევრი იტყვის: „ნეტავ ჩვენში
ათანა ვინ უნახავს?
ერთი მიგვითითოს.
ედა სწერს? ვის გვისახავს?“
უკაცრავად, ვერ გავამხელ
თ გვარს და იმათ სახელს,
რო მალე გავიმეტებ
აჭრელად ენას და ხელს.
არკე თვითონ გამოაჩენს
ის სახით ჩვითეულ ქალს
და, თუ ვინმე მახინჯია.
მე არ ვიღებ ჩემს თავზე ბრალს!
მხოლოდ ვამბობ: ბუნებაო,
რად შეამკე ეგრე სრულად,
თუ იმ შენს მადლს, დიდებულს ნიჭს
ატარებდენ გაბასრულად?!
თუ ქვეყანას არას არგებს,
განა არ სჯობს დაბნელდეს მზე?
ქართველ ქალის ჩვენ ამ დროში
რას გვარგია სილამაზე?
ჰეი, ჰეი! ველარ ვხედავთ
დღეს ძველებურ ქართველ დედებს.
მათ მაგიერ მომავალზე
ველარავინ გვაიმედებს!

IV

მაგონდება შაჰაბაზი
მთელს კახეთზე გულმღელვარე
და იმის წინ ტყვედ წამდგარი
ქალი ეშხით მოელვარე.
თრთის ყეენი ფერწასული,
ჰხიბლავს ქალის მის შვენება;
მოეღელვა გულზედ სისხლი,
აეშალა ვნებათ-ვნება;
და ტყვეს ჰკითხეს: „ჩვენება ხარ,
თუ ნამდვილი მიწის შვილი?
თავს გვირგვინი გეკადრება
და რას ნიშნავს ფეხთ ბორკილი?“
— „ჩვენს სისუსტეს და თქვენს ძალას!“
ქალი მტკიცედ ეუბნება:
„ალბად ღმერთთან შემცოდე ვართ...
კურთხეულ არს მისი ნება!...

„ვხედავთ, მაგრამ შენდათავად
ჩემ წინაშე რა გაქვს ბრალი?
ნუთუ მართლა ბრძოლის ველზე
გამოსულხარ სუსტი ქალი?
„რატომ არა?. ქალი რომ ვარ,
უფრო ჩვილი არ მაქვს გული!
აქ მარხია ჩემის ქვეყნის
ერთგულება-სიყვარული:
და ეს არის, დღევანდელ ჰირს
რომ მიქარვებს. მიადვილებს!...
მამა-პაპათ მიანდერძეს,
რომ გადავცე მეცა შვილებს.
მამა არ მყავს! თათრის ომში
მოკლულია ჩემი ქმარი!..
შვილები ჯერ არ დაზრდილან...
მეღა დავრჩი მეომარი.
ვერ ვაქმევდი ოჯახს სირცხვილს,
მომეხადა უნდა ვალი:
მამაკაცის მაგიერად
მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი
და ავიღე განა მიტომ,
რომ ბორკილზე გამეცვალა!..
ეჰ!.. რა ვუყოთ! ნათქვამია:
„აღმართსა ჰხნავს მეტი ძალა!“
ერთით ერთზე ვერ მოჰბედავ...
გუნდით ებრძვი ყოველ ქართველს!...
ხომ ქალი ვარ, მაგრამ ერთი
მეც ვერ დამრევს თათარი ხელს!“

V

ვით მრისხანე ანგელოზი,
მცველად მდგომი ედემის კარს,
ყეენის წინ სდგას ტყვე ქალი,
თავბრუს ახვევს და სცემს თავზარს.
გალომებულ-გავეფხვებულს,
აღელვებულს ქართველსა ქალს
მოთმინებით უსმენს სიტყვებს...
ვერ აშორებს ძლიერი თვალს!
„ბაშვადონუმ!“ ბოლოს ბრძანა,
ქალი უნდა ამისთანა!
ვხედავ რითიც მიმკლავდება
ერთი ბოხჩა ეს ქვეყანა!.
„გული მიწვევს მათ სამუსროდ..
გონება სხვას მეუბნება:
ძნელი არის ამისთანა
ხალხის ჩვენგან დამონება!
„არ შეიცვლის არც ზნეს, არც ფერ
სანამ სრულად არ გაჰქრება!..
და ცოდვაა ამისთანა
მტკიცე ხალხის აოხრება!...
ეს ბრძანა და სარდლებს უთხ
„შეაყენეთ სისხლის ღვრაო!
მზემან შუქი მომაფინა...
ვნება გულის დამიცხრაო!“

VI

„მხეცი იყო შაჰაბაზი
და პირუტყვი იმ დროს ერი;
მაშინ ყველა იტანჯოდა,
და დღეს კი ვართ ბედნიერი:
„აღარც ომი, არც სისხლის ღვრ
არც ტყვეობა. არც შიმშილი...
და რად ვიტკენ უტკივარ თავს,
ცხოვრება მაქვს როცა ტკბილი?“
ამგვარ პასუხს იძლევნება
დღევანდელი ჩვენი ქალი!..

იყურება და ვერ ჰხედავს,
გახელილი თუმც აქვს თვალი.
აბა ჰკითხეთ, ვისთანა ჰყავს
და როგორ ზრდის თავის შვილებს?
უზრდელობად ჩამოგართმევს,
უპასუხოთ გაგაწბილებს.
შვილი მიტომ გააბარა,
თვითონ მაზე არ იფიქროს;
თავს ვერ ართმევს სხვა საქმეებს.
ვერ დაჰკარგავს უბრალოდ დროს:
დავიზიტობს, ბალში დადის.
ხელოვნებას ვერ დასტოვებს,
თაყვანსა სცემს გრძნობით სავსე
ლოდებსა და ტარტაკოვებს.

VII

ქალებმაც რომ გვკითხონ კაცებს:
„თქვენ რაღა ხართ, ჩვენ რომ გვწუნობთ?
განა თქვენ კი ცხოვრებაში
ჩვენზე ნაკლებ მაიმუნობთ?
ცოლს რომ ირთავთ, რას დაეძებთ:
მეგობარს და შვილის მშობელს?
თუ ფულსა და პროტექციას,
სინიდისის დამამხობელს?
როდის იყო, რომ მოგწონდათ
და ეტრფოდით მუშა-ქალებს?
თქვენვე არ სდევთ ბუზ-პეპელებს?
ვერ აშორებთ გულს და თვალებს?!
თქვენ არა ხართ, რომ გვიჩვენებთ
შავს თეთრად და თეთრს კი შავად?
უთავბოლოთ თუ ვირჯებით,
მიტომ რომ ვერ გცნობთ თავად!“

ეს რომ გვკითხონ, რაღა გვეთქმის?
ჩავიგუბოთ პირში წყალი!
წავიყრუოთ და ჩვენს საქმეს
ავარიდოთ ჩვენვე თვალი!..
თორემ აღარ მოხერხდება
ჩვენის თავის გამართლება,
და, დრომაც რო გვიკიჟინოს,
ღირსი ვართ და გვემართლება.

VIII

გული მწყდება, მაგონდება
სიყმაწვილე გადასული!...
სხვაგვარ ვგრძნობდით, სხვას ვფიქრობდით,
სხვანაირად სძგერდა გული.
ჩვენ ვიყავით უცხო მხარეს
თავმოყრილი ერთად, სრულად;
ვამზადებდით ქვეყნისათვის
თავს მოწამე-მოციქულად.
ჩამოვედით; ვიწყეთ ბრძოლა,
მივიტანეთ იერიში;
არ გვქონია სხვისი რიდი,
არც გვდებია გულში შიში; —
სანამ ბედმა უკუღმართმა
არ დაგვსეტყვა, არ დაგვმეხა.
და სურვილით სავსე გული
უდროოდ არ გაგვიტეხა.
მაშინ მხოლოდ ცხოვრებამაც
შეგვიტოპა... შეგვითრია...
და მას შემდეგ შრომის ოფლი
ქვეყნისთვის არ დაგვიღვრია.
და რაღა ვართ? დღეს სულ სხვა ვართ;
გადვიქეცით მხოლოდ ენად,

მოყვრის გულის მოსაკვლელად
და მტერების მოსალხენად!
„ჭამა გვინდა და სმა გვინდა!“
აი ჩვენი საჩივარი!...
არ ვფიქრობთ რომ ღორმუცლობას
არც ზომა აქვს, არც საზღვარი.
საზრდო უნდა კაცს იმდენი
რომ განაგრძოს მუშაობა,
და მეტისმეტს ვინც დაეძებს,
თანვე ახლავს პირშაობა.
მაგრამ, ჰეი, ვინ არ სცდილობს
რომ კარგათ სვას, კარგათ სჭამოს,
ჩაიცვას და დაიხუროს,
თვალსა და გულს ასიამოს?..
ამ სურვილებს ვერ ასცდება
ვერც ძველი და ვერც ახალი!
თითქოს მხოლოდ ესღა იყოს
ცხოვრებაში ჩვენი ვალი!

IX

მაგალითად გინდ ავიღოთ
იმერელი კიკოლიკა:
მოციქულად მზადდებოდა,
ადვოკატად გაიტლიკა!
დღეს დასცინის თავის წარსულს!
შეცდომად სთვლის!.. სხვებსაც
სძრახავს!
გარეულებს შეურიგდა,
შინაურებს აძრობს რა ტყავს!..
ქურქს იკერავს.. აღარ სცივა,
ემატება შნო და ძალა;
ხალხსაც მოსწონს, და ტაშის კვრით
შესძახიან: „ბარაქალა!“

იქ რომ მივსწვდით კიკოლიკას,
ქართლშიც ვნახოთ ტეტიკელა:
პირობა და შორი აღთქმა
დაავიწყდა ჩვენში ყველა!.
„ამყოლს აჰყევ, ჩამყოლს ჩაჰყევ!“
დღეს ეს არის მისი მცნება;
ჩაპმულია სხვის ფერხულში
და მაღალ ბანს ეუბნება!
კაკალს შოვობს და ქვაც მზად
აქვს,
დროზედ ჰკრეფს და დროზე
ამტვრევს!
სათვალთმაქცოდ მღვრივეს სწმენდავს,
მაგრამ უფრო წმინდას ამღვრევს, —
რომ თევზები წმინდა ბადით
უფრო მარჯვედ დაიჭიროს,
უმასპინძლოს მუქთახორას,
გულუხვობით გააკვიროს,
და იმათი დახმარებით
ხმა გაიგდოს, ისახელოს,
იბურთაოს ცხოვრებაში,
გადაავლოს ბურთი ლელოს!..
ბრბო რას ამბობს? რა უნდა
სთქვას?
შენატრის მის ხერხს და ძალას!
მაგალითად მიაჩნია
და შესძახის „ბარაქალას!“

X

მხოლოდ ერთი ფეხშიშველა,
კუჭ და მუცელ-ცარიელა,
მათ უყურებს მწუხარებით
მეწალკოტე ტარიელა.

ხან იცინის ნაღვლიანად,
ცრემლებს ჰღვრის მწუხარებით
გულში კი ასე ჰფიქრობს
ოცდილის დაკვირვებით:
..ხეს როდესაც დაჰკრავს სუსხი,
ალ წვეროს დააჩნდება,
გაყვითლდება ნელანელა
და ფოთლებიც დასცვივდება!..
დროზედ უნდა მიშველება.
რომ არ გახმეს ძირიანა:
გადასხეპვა ეჭირვება,
წამალია მისი — დანა!“

1884 წ.

28 პანორამა

I

ზოგს ის მოწონს, ზოგს ეს მოწონს,
ლ სხვადასხვა ბევრი რამა,
კი ყველას მირჩევნია
აწინა პანორამა:

ჩაიხედავ — გამოჩნდება
ლა ნათლად, უტყუარად,
დ იხმარონ მელის ტყავი
ბადეთ და ხელში ფარად.

ქველგან არის... ბევრგვარია
თანა საჭვრეტელი,
რამ ჩვენში ერთი არის:
ზოგადო სარბიელი.“

ინც გინდათ და ვინც არ გინდათ,
შეხვდებით ყველას ერთად,
ერილებ-გაგუდულებს
ი მოაქვსთ რაღაც ღმერთად.

ირბადეთ და გზა-და-ხიდათ
ხდიათ სიყვარული!..
ვალთმაქცური იძახიან:
!!, სამშობლო!.., ოჰ, მამული!.“

ენაჭახრაკ-საქმეხრიკა,
საგულკოჭო ლიბერალებს,
ყველას გულში სულ სხვა უძევს,
თავში სხვა რამ უტრიალებს!

გვატყუებენ, გვაბრიყვებენ.
გზას გვიხლართვენ წარამარა!..
დროა თვალი გავახილოთ!..
რაც მოვტყუვდით, ისიც კმარა!..

ვინც იჩემებს მოღვაწობას,
მოღვაწეა განა ყველა?
ზოგჯერ თურმე ძაღლივით ჰყეფს
მატყუარა კუდამელა.

არა, არა! სხვა დრო გვინდა!..
გამოვიდეს სულ სხვა დასი,
რომ ძველსაცა და ახალსაც
ღირსეული დასდვან ფასი.

ჩვეულება-ტრადიციით
ვინ თქვა ქვეყნის სამსახური?
ვინც ღირსია, მას თაყვანი!..
ვინც არა და ... მას პანღური!..

მაშინ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის
წარმატებას დავიჯერებ...
გულს ვაძგერებ საბულბულოთ,
ჩანგს სავარდოთ ავაჟღერებ!..

მანამდი კი წინ დაგიდგამთ
გასაცნობათ. პანორამას
და გიმღერებთ იმერულათ
„გვეგონას“ და „ჩაირამას“.

აქ არიან თავმოყრილი
სულ ჩვენები და არ უცხო!..
მინდა საგზლათ თვითოეულს
„გამოცანა“ გამოვუცხო:

II

პუბლიცისტს

აი!.. ხედავთ ამ ვაჟბატონს,
ყველაზე, წინ რომ დამდგარა
და სახეზეც აწერია:
„თავმოყვარე! . მეტიჩარა“?

დღეს ერთია, ხვალ მეორე;
აქ სულ სხვაა და იქ სულ სხვა!..
აპრილივით მოიდარებს,
მარტივით კი იცის სუსხვა...

ხან მხარს აძლევს ფარისევლებს,
გოლგოთაზედ მისდევს ქრისტეს
და ყველაზე მაღლა ჰყვირის
„წაიყვანეთ! ჯვარს აცვით ეს!“

ხან კელაპტრით ლიტანიას
ქრისტიანთან უვლის ერთად
და იძახის: „ქრისტე აღდგა!
აღვიაროთ ღმერთი ღმერთად“,

ხან მტერია მოსისხარი,
ხან მორჩილი — მონა შვილი!..
არც აქ არის, არც იქ არის,
მიხტი-მოხტის როგორც რწყილი!

„ასკიკუკუს“ მოთამაშე
„ფიგაროა“ მწერლობაში!..
იმას სცდილობს, მხოლოდ იმას,
რომ ატეხოს მან განგაში!.,

შეახეთქოს ტოლი ტოლსა,
მეგობარი მეგობარსა:
მერე შედგეს მაღალ სერზე,
გადაძახოს მთა და ბარსა:

„შემომხედეთ, აი, სად ვარ
გმირი ყოვლის შემძლებელი!..
კარზე ყურით მიბმული მყავს
იუდა და ბელზებელი.

ჩემი გეგმით, ჩემი რჩევით
ეს ქვეყანა გაჩენილა!..
ზამთარ-ზაფხულს მე ვაყენებ.
ჩემით ცივა, ჩემით თბილა!..
თვით შემოქმედს ჩემი რჩევით
მოუწყვია არე-მარე!..
მე ვათენებ, მე ვაღამებ,
მე ამომყავს მზე და მთვარე!

მოდით, რაღა!.. მეთაყვანეთ!..
მე ვარ თქვენი წინამძღოლი!..

მე ვარ მხოლოდ მე! მე! მე! მე!.
არვინ არის ჩემი ტოლი!“

ამას ყვირის კუდაბზიკა!..
გაგვიჭედა ყველას ყური!..
წვერიც აქვს და „მე“-საც ბღავის
ვით თხა თხების მეთაური.

ბევრს ატყუებს!.. მის ხელშია
ჩვენი ცხვრების ბედისწერა!
მაგრამ ჩვენ-კი, უკაცრავათ,
იმისი რამ არა გვჯერა:

„მე“-ს რომ ბღავის, არ ვარგია
იმისთანა მეთაური!..
თუ გარეთ მგელს გადაურჩა,
ძაღლი შეჭამს შინაური!

ეს ცხადია, მაგრამ მაინც
გადაკვრია თვალზე ბისტი
და ყოველგან „მე“-ო ბღავის
ზოგიერთი პუბლიცისტი.

III

პოეტებს

ცოტა ნიჭი, ცოტა ცოდნა:
ზედ ქართული ანა-ბანა...
ცა ქუდად არ მიაჩნია
და ქალამნად ეს ქვეყანა!

ხან რუსთველობს, ხან შავთელობს,
ხანაც მოიჩახრუხავებს...
აძიმწარებს ტკბილქართულსა:
ხან თავს ჰრის და ხან ატყავებს.

საპირადო და საკუჭო
აზრებს აძლევს მაღალ ბანსა:
სიტყვებს გააქვს ბრახაბრუხი
როგორათაც ბარაბანსა.

წამოყაჭავს ტკბილტკბილ რითმებს:
„კუჭო - მუჭო, გულო ფულო!“
და ბოლოში მიაკერებს!
„ოჰ, მამულო დალუპულო!“

ვინც ამ სიტყვებს აბდაუბდათ
მიაკოსებს... მოაკოსებს,
პოეტია!.. სხვა რა უნდათ
ჩვენ კაჭკაჭა-კრიტიკოსებს?

ამ სიტყვებში ეხალტებათ:
ხელოვნება—პოეზია!..
ია, ვარდი და სუმბული
მათთვის მხოლოდ ჩალა-მზეა!..

ტაშს უკვრენ და იძახიან:
„ვაშა! ვაშა! — გენიაო!..
დაცემული ჩვენი მხარე
ამის აღნადგენიაო!

ზეგარდამო შთაგონებით
ცამდი აწეულიაო
და, ვინც ამას თაყვანს არ სცემს,
ის ბოროტი სულიაო“.

შეფერებულ ვითომ პოეტს
თავი მოაქვს რაღაც დიდათ
და მწერლობას ცხოვრებისთვის
ის იკეთებს გზათ და ხიდათ:

ხან აქ არი, ხან იქ არი,
მიძვრებ-გაძვრებ-გამოძვრება.
მაგრამ ყველგან მედიდურობს,
კოლოტივით იბერება.

იცის კარგად რომ ამწონი
და გამზომი არვინა ჰყავს...
რომ კრიტიკოს-კაჭკაჭები
ვერ არჩევენ ბულბულს და ყვავს.

აი, ამან გაასწორა...
მხოლოდ ამან მთა და ბარი
და მიტომაც მრავალია
პოეტობის მაძებარი...

1895 წ. 28 იანვარი.

29 თორნიკე ერისთავი

ისტორიული პოემა

(შემოკლებით)

შესავალი

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაში ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულათ
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა:
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!..
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი
და გვამღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“

I

მეფის წვეულება

მეფეს დავით კუროპალატს
ჰქონდა ერთხელ წვეულება, —
მშვიდობის დროს ჩვენ მეფეებს
ჰქონიათ ეს ჩვეულება.
საქართველოს ყოველ კუთხით
მოეყარა თავი ერსა,
ილხენდენ და გაჰკიოდენ
ერთხმათ „მრავალ-ჟამიერსა“.

და მართლადაც რომ შვენოდათ.
მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ დროს გადმოსული
იყო ქართლზე მადლი ზენა:
გარე მტერი დათრგუნვილი
შუღლს მას ველარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც
ვინ იყო რომ ვერ ხედავდა?
ამით გული უხაროდათ
პატრონს და ყმას, ყველას ერთად,
კაცსა კაცად აფასებდნენ,
ადიდებდნენ ღმერთსა ღმერთად:
საქმის დროზე მუშაობდნენ,
უქმე დღეზე მოილხენდნენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
სიამესა გულს მოჰფენდნენ.
მთვრალობა და „სადღეგრძელო“
სათვითოო არ იცოდნენ,
ჩვენი ლხინი რომ ენახათ,
სირცხვილითაც დაიწვოდნენ.
პირველ სმაზე ახსენებდნენ
საქართველოს და უფალსა,
დღეგრძელობით თაყვანს სცემდნენ
მეფესა და დედოფალსა:
ბოლოს გმირებს იგონებდნენ
მამულისთვის ომებში მკვდარს
და მღვდელმთავრის კურთხევითა
სვამდნენ იმათ შესანდობარს.
სულ ამითი თავდებოდა
მაშინდელი სადღეგრძელო.
თუმცა მათში მეტი იყო
საქები და სასახელო.
ამგვარივე იყო იმ დღეს
ხომიერი ჭამა და სმა:
მოილხინეს, გაშაირდნენ
და ერთმანეთს ტყორცეს მათ ზმა
ორაზროვან სიტყვებისა
გაიმართა გამოცანა:
ყველას მეფის ხუმარა ჯობს.
არვინ არის იმისთანა!
მაგრამ ბოლოს ორბელიძე
მოსწრებულათ, გალექსულათ,
ცალფეხ ზმების საპასუხოთ,
ეუბნება ორლესულათ:
— „მაღლით წვიმა მოდიოდა.
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან, თავიდან
ფეხებამდე ჩასხა რაო!“
ხუმარამ თქვა: „გიჯობნია,
თითს მოვკაკვავ მორჩილადო,
მაგრამ ერთს კი მოგახსენებ
მოწიწებით და ფრთხილადო:
— „ხუმარათაც ვარგებულხარ
ვაჟკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას.
თუმც მის ადგილს სულ ელიო!“
აქ თორნიკეს ხსენებაზე
მეფე შეკრთა და ეს ბრძანა:
— „თქვი ხუმარავ, თუ რას ნიშნავს
ეგე შენი გამოცანა?
რა არის რომ დღეს ჩემ გვერდით
დიდ თორნიკეს ვერ ვხედავო!...
მომიკვდა თუ დასნეულდა?...
თქვი, ტყუილს ნუ მიბედავო!“
— მოახსენა: „არ მომკვდარა,
არც სენი რამ აწუხებსო,
მაგრამ ქვეყნის სამსახურზე
დღეიდან-კი ხელს იღებსო...

თვით ვერ ბედავს მოხსენებას,
მოციქულობს ვერცა სხვაო,
რადგან უნდათ აიცილონ
თქვენი წყრომა და რისხვაო.
აწ გავბედე მოხსენება
ზმებითა და გადაკვრითო
და ნუ მრისხავ კადნიერსა.
გევედრები ცრემლის ღვრითო!“
— მეფემ ბრძანა: „არ გიწყრები,
გმადლობ, ვფიცავ ჩემსა მზესო,
მაგრამ ვნახავ ერისთავსა,
გამოვჰკითხავ მას მიზეზსო“.
სახლთუხუცესს დაუძახა:
„ხვალ თორნიკე მომგვარეთო,
მომინახეთ, სადაც იყოს,
შინ დაგიხვდესთ, თუ გარეთო!“
ეს ბრძანა და ზე წამოდგა,
ნადიმიცა მით გათავდა
და ხვალისთვის დაიბარა
სადარბაზოთ, ვინც იქ ჰყავდა.

აქ დასახელებული თორნიკე დავით კუროპალატის მთავარსარდალი და ერისთავი იყო. მან სიბერის გამო სამსახურს თავი გაანება. მეფის ნებართვით თავისი ადგილი ზემოხსენებულს ახალგაზრდა ორბელიძეს გადასცა და თვითონ კი ბერად შედგა ათონის მთაზე, საბერძნეთში.

II

ბერი-სარდალი

იმ დროს საბერძნეთის იმპერიაში აჯანყება მოხდა. ბარდა სკლიაროსმა თითქმის ნახევარი იმპერია მიიმხრო და ახალგაზრდა იმპერატორებს ბასილსა და კონსტანტინეს უკვე ტახტიდან ჩამოგდებას ემუქრებოდა. მათმა დედამ დედოფალმა თეოფანიამ კარისკაცების ჩაგონებით შემწეობა დავით კუროპალატსა სთხოვა და ამ საქმეზე სამოციქულოდ თორნიკე ერისთავი გამოგზავნა. დავითმაც შემწეობა არ დაუგვიანა.

ხმა გავარდნილა მთელ ქართლში:
ჯარებს აგროვებს მეფეო
ბერძნების მისაშველებლად,
სიკეთემოიეფეო.
ათონით დაბრუნებული
თორნიკე მოციქულობსო
და „ორივ ხელით იქმება
ქადა, თუ გული გულობსო“.
დღეს გამოჩნდება, ვინც არის
ვაშკაცი ჩვენთაგანიო,
ამაზე კარგი რათ გინდა
ბურთი და მეიდანიო?
ისარ-კაპარჭი მომართეს,
ხმალს ლესენ, ფარსა ჰფერავენ;
მათთვის სამგზავროთ ქალები
ტანისამოსებს ჰკერავენ...
ჯოჯიკ მთავარის თანხმობით
ეს უთქვამს გამრეკელსაო:
„თორნიკე თუ არ გვესარდლა,
ხმალს არ მოვჰკიდებთ ხელსაო!...

აგვიძლევს ძველი არწივი,
ვეჭ მივჰყვეთ შევარდნულადო,
ცხელი ომი ავტეხოთ,
აქები ადრინდულადო!“
ალხიც ამ აზრზე დამდგარა,
ასვე თხოვს კუროპალატსა
ა, ვინც იურჩებს, იცოდეს,
ს შესწამებენ ღალატსა.
აგრამ თვითონვე თორნიკე
აკერპდა, რადგან ბერია,
ს არჩევანი როგორღაც
ტათ შორს, დაუჯერია.
ვითონ სარდლებიც მისულან
ასთან მეფის თანხმობით
ა უთხოვნიათ სარდლობა
ხანაგობით და ძმობით.
ისუციც ამის მნახველი,
უმკა კი აღელვებულა,
მაგრამ შეუკრავს გრძნობები
და ისევ გასალებულა!
ორბელიძე და ჯოჯიკი
ორივე გააწბილაო
და გამრეკელსაც ეს უთხრა:
„ძმაო, ნუ მირჩევ ტყვილაო:
ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,
გულმკვდარი ვამბობ ვარსაო,
აწ ველარ გავცვლი ფარ-ხმალზე
ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო!
აღთქმას ნუ გამატეხინებთ,
ნუ მაქნევინებთ ავსაო;
ეკლესიისგან შეკრული,
თვით ვერ ავიხსნი თავსაო.
და მღვდელმთავარი თუ ამხსნის,
იქნება მისი ნებაო,
მაშინ ეგ თქვენი სურვილი
ჩემ გულშიც აიგზნებაო...“

მართლაც კათალიკოზმა არსენიმ თორნიკეს ჩააგონა— საქრისტიანო საბერძნეთის და-
ცველად კვლავ ხმლისათვის ხელი მოეკიდნა. თორნიკეც დასთანხმდა და მალე 12000 ქართ-
ლი მხედარი დაიძრა მცირე აზიისაკენ, სადაც მდინარე ჰალიზის პირად ბარდა სკლიარო-
ს ჯარი იყო დაბანაკებული.

III

დილა ომის წინ

ვითა ეთერი მზეთუნახავი
საყვარლის მლოდე თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდისფრათ იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,
ისე განთიადს ცისკრის ვარსკლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერმიხდილათ ნათელძლიერი
ჰზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა.
თითქოს ქვეყანაც მით მოხიბლული
გამსჭვალულიყო მის თანაგრძნობით
და უგალობდა „ციურ-ნანინას“
საიდუმლო და უცნაურ გზნობით.
სუნნელთა მფენი დილის ნიავი,
ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი
ჰანსა აძლევდენ ღვთიურ ნანინას
და ათანხმებდა მათ ძალთაძალი.
ციური ნიჭის მისაღებელათ
ვარდმა კოკობმა თავი ახარა;
ცრემლათ დაეცა გულზე მანანა,
ააელფერა და გაახარა!...
თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:
თავისებურათ იწყო მან სტვენა,
თითქოს უნდოდა მით მოეტანა
ცოდვილ ქვეყნისთვის კურთხევა ზენა.
მაგრამ აჰა დროს საზარელი ხმით
უცბათ რაღაცამ დაიგრიალა
და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ
გამოიჩინა ბოროტი ძალა:
შეიქმნა ბუკის, საყვირის ცემა,
ატყდა ჭიჭყინი ზურნის საზარი...
აჰა თენდება და ემზადება
სისხლის სათხევლად ორივე ჯარი!

IV

ომი

მაღლით ბრძოლის ველს როგორც ხელის გულს
ისე დაჰყურებს მთავარსარდალი;
წალმა, უკულმა, მარჯვნივ თუ მარცხნით
ყოველი მხრისკენ ჰრის მისი თვალი.
მოწინავე ჯარს ტურფათ დარაზმულს
ოთხიათასსა დაჰყურებს ჭაბუკს
მხოლოთ იმ წამის მოლოდინესა
როდესაც დაჰკვრენ ნაღარას და ბუკს.
ფარ-ხმალით ხელში გახურვებულებს
ძლივს-ღა უჭერენ თავს ბედაურებს:
ჭიხვინ-ხვიხვინით, ტორების ცემით,
ძუა-ფაფარშლით აცქვეტენ ყურებს;
თითქოს იმათაც სული მიუდისთ
რომ მიიტანონ თან იერიში
და როგორც იმათ მხედრების გულში
ისე არც იმათ გულშია შიში!
თავში უდგია რაზმს ორბელიძე
ჯერ ახალგაზდა გმირი სარდალი,
და იმან იცის თუ როდის ატყდეს
ბრძოლისა ცეცხლი და ომის ალი.
სკლიაროსიცა ამხედრებულა,
მტრის დასახვედრათ ამხედრებს დიდ ჯარს,
ცხენს მიაჭენებს ხან აქ, თუ ხან იქ
და ჯარასავით დატრიალებს გარს.
წინა ომებში გათამამებულს
მარჯვე ცხენოსან სპარსელების ჯარს
სიტყვით ამხნევებს მოქის თავადი
და თან უქადის მდიდრულ საჩუქარს.
იმათაც ნიშნათ შეუპოვრობის

განთიადისა დაჰკრეს საჰარი,
მაგრამ ქართველთა მის საპასუხოთ
გადუშხუილეს მაღლით ისარი.
ის იყო მარჯვნით ვამრეკელისგან
სამოციქულოთ გამონატყორცი:
მას თანვე მოჰყვენ სხვების ისრებიც
გულის გამპობი და გასაოცი.
ააგეს ფარი, მომართეს შვილდი,
პასუხს აძლევენ სომხებიც ისრით
და გაიმართა ძლიერი ბრძოლა
ყოველი კუთხით და ორივე მხრით.
უანგარიშო და უთვალავი
მოდის ისარი ვით სეტყვა ცისა...
ჯერ სიჩუმეა... მხოლოდ ხანდისხან
კვნესა მოისმის დაჭრილ კაცისა...
გახურდა ბრძოლა, გრძელდება ომი,
ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება ..
აჰა, ამოდის მხიარულათ მზეც,
მომაკვდავთ კვნესა არ ეყურება!...
თითქოს ეს იყო დანიშნული დრო:
აქ ორბელიძემ იშიშვლა ხმალი,
ჯარს მიუბრუნდა და მხიარულათ
მათ გადაავლო ნუგეშის თვალი.
მიუხვდენ სარდალს გულის პასუხსა
მხედრები, სიტყვა აღარ აცალეს,
იშიშვლეს მათაც ბასრი მახვილი
და მზის სხივებზე ააპრიალეს.
დასძახეს ყველამ ერთხმად: „ჰკა მაგას!“
დეზი ჰკრეს ცხენებს და გააქანეს
პირდაპირ ჯიქურ სპარსელებისკენ
და იერიში ზედ მიიტანეს.
მაგრათ დაუხვდა მათ აფრანიკე,
ლომი სასისხლოთ გააფთრებული,
და შეაგება ცხენოსანთ ჯარი

ფარმომართებით მომზადებული.
დასცეს კიჟინა და გაიშალენ
სახელდახელოთ ტრიალ მინდორზე:
ზოგან იბრძვიან ერთად, ჯგუფ-ჯგუფათ,
და ზოგან ერთი მიდის მის სწორზე!
კიჟინა, კვნესა, წყევა, მუქარა
და ჩახაჩუხის ხმა გულსაზარი
არეულია და ფეხით გააქვთ
ცხენებს დაჭრილი და ცოცხალ-მკვდარი!..

V

ორთა ბრძოლა

აგერ მხედარმა შავით მოსილმა
გამოახტუნა მერანი მინდვრათ,
შეათამაშა ჰაერში ხმალი
და დაიძახა თან მედიდურათ:
„სად ხარ? გამოდი, ნუ იმალები
თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძეო!
აფრანიკ მქვიან, შენისთანები,
იცოდე, ბევრი დავამიწეო!
გამიგონია მეც შენი ქება,
განთქმული არის შენი ხმალიო,
მაგრამ აწ უნდა გასინჯო ჩემიც
სიკასკასე და მკლავის ძალიო!
ჩვენ ორში უნდა ერთი და ერთი
მოკვდეს, გათავდეს მითი ომიო!
ნულარ გვიანობ, გელი, გამოდი,
თუ ამ პირობის შენც ხარ მდომიო?“
ხმალსისხლიანი, თავზე ჩაფხუტით
თეთრ ცხენზე იჯდა ერთი მხედარი,
რომელ გუნდშიაც შევარდებოდა,
მას თან მიჰქონდა მეხი და ზარი!
თვით ორბელიძე იყო ეს გმირი,
ახალ გუნდს მკაცრათ რომ შეუძახა,
მაშინ მოესმა აფრანიკის ხმა

და სიხარულმა ააცახცახა!
მისი სურვილიც თურმე ის იყო
რომ აფრანიკეს სადმე შეჰყროდა,
იმას ეძებდა და აქეთ-იქით
სხვადასხვა რაზმში მიჰქრი-მიჰქროდა.
თავი მოსწია გაქანებულს ცხენს,
ყალყზე შემდგარი მოატრიალა,
ასკუპა, ჯიქურ გამოაქანა,
მივარდა, ბევრი აღარ აცალა
და უპასუხა: — „გმირს არ შეშვენის
დაჩემება და თავის ქებაო!
აჰა ბურთი და ჰა მოედანი,
მზათა ვარ, გახლდეს თქვენი ნებაო!“
მოღუნეს შვილდი, მოსდვეს საცერე
და ერთმანეთსა ტყორცეს ისარი,
მაგრამ ორივემ სწორის სიმარდით
მას მიაგებეს მათ-მათი ფარი
და აიცილეს მითი ფინთიხი,
გულის გამპობი, ხორცის მომწყვლელი!..
მერე გადიგდეს შვილდები მხარზე
და ხმლებს მოავლეს საომრათ ხელი.
მათი ფარგება და კენწლაობა,
სიჩქარით ელვა გასაკვირვალი
მაჩხუბართ მხოლოდ ბრაზს უმატებდა
და ედებოდათ თანდათან ალი!
მოსწყინდათ ფარი და უკუაგდეს,
დაადგენ ორივ მარტო შიშველ ხმალს;
თავი გადასდვეს მათ სასიკვდილოთ,
აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს!
მიაგდო ცხენი ჯერ ორბელიძემ,
ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორა,
მაგრამ დეზი ჰკრა მხედარმა შავ ცხენს.
განზე გაუხტა და აიშორა!...
ხმალმა ჰაერში გაიშხუილა.

წახდა მოქნევა და მკლავის ძალა...
და ხელმეორეთ ხმლის მომარჯვება
მოპირდაპირემ აღარ აცალა:
თვითონ მოაგდო ზედ აფრანიკმა
მისი მერანი, მკვირცხლი, ფეხმალი,
მაგრამ მოქნეულ ხმალს ორბელიძემ
ქვემოდან აჰკრა თავისი ხმალი
და მარილივით გადაუმტვრია!...
შეკრთა აფრანიკ... დაეცა ზარი
და არ იცოდა, თუ რაღა ექმნა:
იდგა უძრავათ ვით ცოცხალ-მკვდარი!..:
გმირთა წესია ლმობიერება:
წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,
ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
ჩამოეცალა და ასე უთხრა:
—„ნუ გეშინია! ხმლიანი უხმლოს
რომ შეგეჭიდო, არ მეკადრება,
მხოლოთ თანასწორ იარაღითა
შენი დაჩაგვრა მე მენატრება!
და, აბა, ეხლა ნულა ვუდგებით
ჩვენ ერთმანეთსა ასე შორიშორს,
აწ სასიკვდილოთ უნდა შევებათ,
ხელი მოვკიდოთ ორივემ ორორს!“
მაგრამ აფრანიკ ყურს აღარ უგდებს,
მარდათ უეცრათ ზურგი უჩვენა,
დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა,
ერთი შეჰკივლა და გააქენა!
რა ნახა ჯარმა მათი სარდალი
გაქცეული და შეშინებული,
თვალი წაუხდა და ზაფრა ნაცემს
უნებლიეთად გაუტყდა გული;
შეწყვიტა ომი და გაექანა,
გონს ვერმოსული, უცბათ დამფრთხალი.
იქითკენ სითაც შავსა ბედაურს
მიაქანებდა მათი სარდალი.

VI

ჯარის დაბრუნება

გამობრძანდა ქალაქს გარეთ
მეფე დავით ბედნიერი,
თანვე ახლავს ყოველი მხრით
წამოსული ქართლის ერი.
რიცხვი არ აქვს დარაზმულსა
ქვეითსა და ცხენოსან ჯარს,
შეჰხარიან ბატონ მეფეს,
მორჩილებით უვლიან გარს.
გარეშემო მთა და ბარი
წვრილფეხობით მოფენილა,
თითქოს რაღაც დიდ წყალობას
ექადოდეს მათ ეს დილა.
ცალკე სერზე უთვალავი
გადმომდგარა დედა-წული,
სხვებზე მეტათ დატყობიათ
საზოგადო სიხარული.
წინ დგას მეფე და გვერდში ჰყავს
ბაგრატ მისი შვილობილი,
კათალიკოს-მღვდელმთავრები
იქვე დგანან კმაყოფილი.
სათვალმაქცოთ არა ბრწყინავს
ერისა და ღვთის რჩეული:
თან არა აქვს მას გვირგვინი
და სამეფო სამკაული!.
მაგრამ ისეც ვინ არ იცნობს,
რომ ის დიდი ცხებულია,
ვინც ერისგან გულის წმინდით
ნაკურთხი და ქებულია?
ყველა იცნობს მამაშვილურ...
არც რიდი აქვს და არც შიში;
მიდიან და რჩევას ჰკითხვენ,
როგორც ლხინში, ისე ჭირში,
აი, ახლაც უთვალავი
ეს ერი სულ მას შეჰყურებს
და მოელის გულის ძგერით
ნახოს, მეფე რას აპირებს.
გაიხედეს შორს მინდვრისკენ
და რაღაცას მოჰკრეს თვალი,
ძირს შავად და მაღლა ღრუბლათ
მათკენ იყო მომავალი.
ეს იყო რომ ბრუნდებოდა
საბერძნეთით ქართლის ჯარი
და ცხენების ფეხთამტვერსა
ალმა ჰყრიდა ღრუბლათ ქარი.
თავის ქვეყნის კიდევ ნახვამ
მხედრებს გული აუძგერა
და საგმირო ჩვეულებრივ
შემოსძახეს მათ სიმღერა:
„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული.
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული.
ქვეყნათ ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რაღაცა მანქანებით
გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა...
უსამართლო ძლიერებას
მონურად ქედს არ უხრიდა!...
ბოლოს მაინც გამარჯვება
დარჩა, ყველა გაოცა!
და ის ღვაწლი მაგალითათ
მიწის შვილთა მან გადმოსცა.

კავკასიის მაღალ ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი — ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,
სიხარულით შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!“
მოახლოვდენ ამ სიმღერით,
დადგენ ცოტა მოშორებით,
დაქვეითდენ, წინ წამოდგენ
და დარაზმდენ აჩქარებით.
თაყვანი სცეს ერთად მეფეს,
ცალი მუხლი მოიყარეს,
სიმდაბლის და მორჩილების
ნიშნათ თავი მოიხარეს.
წადგა მეფე და შესძახა:
— გამარჯვება მძლეველ ჯარსო!
ვაშა! ვაშა! იმათ ღვაწლს და
საუკუნო სახსოვარსო!
გამარჯვება ქართველ დედებს,
ჩვენს გამზდელსა და მშობლებსო:
მათი ძუძუ გვავაჟკაცებს
და ზრდა სულით გვამაღლებსო!..“
ამ სიტყვებმა აიტაცა,
აადელვა მთელი ჯარი,
შესძახეს და მათი გრგვინვით
ირყეოდა მთა და ბარი:
— „გაუმარჯოს ქართველ დედებს!
ვაშა! ვაშა! მძლეველ ჯარსო,
დღეგრძელობა ბატონ მეფეს
ქვეყნის თვალსა და ჯავარსო!“

VII

ძღვენი

მაშინ წარსდგა ბატონის წინ
დიდი თორნიკ ერისთავი,
წინ დაუდვა ფეხთით დროშა
და მიართვა რაღაც ტყავი.
მოახსენა: — „აჰა, მეფევ,
გრამმატაა დედოფლისო,
მაგიერი სასყიდელი
ჩვენი სისხლის და ოფლისო!
ბასილი და კონსტანტინეც
ამოწმებენ ამ წერილსო
და უთმობენ ზემო ქვეყნებს
თქვენს შვილსა და შვილის შვილსო.
მეც მიბოძეს მათ საკუთრად
საჩუქარი დიდძალიო:
სამკაული, ოქრო, ვერცხლი,
მარგალიტი და თვალიო.
მაგრამ, მეფევ, მე რათ მინდა
ეს სიმდიდრე საწყალ ბერსო?
თქვენს დიდებულ ბატონობას
შემოვწირავ ყოვლიფერსო:
ნახევარი თქვენი იყოს,
ნახევარიც ქვრივოხრებსო,
ამდენი ჯორკიდებული
ორივესთვის იკმარებსო!“
მეფემ უთხრა: „გმადლობ, ვიცი
ქვრივ-ობლები რომ გიყვარსო,
მათ ჰქონდეს და მე კი ჩემთვის
არ ვიღებ არც ნახევარსო!
შენია და შენვე გქონდეს,
მოიხმარე, როგორც გსურსო,

რაღა ძღვენი ეპირვება
შენს ღვაწლსა და სამსახურსო?"
   მაგრამ თორნიკე უპასუხებს:
-„ნუ მამგუნებ, მეფევ, ძღვენსო:
ვერ მივიღებ მე სიმდიდრეს,
ვერ ვიქმ საქმეს ღვთის საწყენსო:
ჯვარია და სახარება
მხოლოდ ბერის სიმდიდრეო,
ეს სიმდიდრე ქვეყნის არის
და თქვენც მისი მემკვიდრეო!"
   ვერ შეთანხმდნენ, თუმც სარდალი
ცრემლით თხოვდა მუხლმოყრილი
და ლაშქარიც სარდლის თანხმად
მის წინ იდგა თავდახრილი.

VIII

სალოსი

   ღრუბელზე მაღლა, ორბის საბუდარს,
არჩევ-ჯიხვების მაღალ სამთავროს,
წმინდა მამებსა გამოუქვაბავსთ
კლდეში სახლები ოდესმე, ერთ დროს.
აღარა ჩანან დღეს ის მამები,
აწ აიაზმას ვერ გვასხურებენ
და მაღლობიდან ის სადგურებიც
ჩვენს შავბედს შავათ გადმოჰყურებენ.
ვერა ოთხფეხი, ვერა ფრინველი
ვერ შედის, თუმც კი ღიაა კარი,
ვერც უწმინდური რამე ქვემძრომი:
იქ ბუდობს მხოლოთ წმინდა ფუტკარი:
და ისიც მისთვის რომ ზეცის მუშა
ხატებს უმზადებს აქ წმინდა სანთლებს,
თორემ სხვა გინდა კაციც შევიდეს,
რაღაცა შიში ააკანკალებს!...
   თორნიკეს დროსაც ამგვარ ღვიმეში
ცხოვრობდა ერთი მოხუცი ბერი,
ძაძით მოსილსა და ფეხშიშველსა,
წელზე ეყარა თმები და წვერი.
ხშირათ სოფელში ჩამოდიოდა,
არ ასვენებდა კაცთმოყვარება,

მუნჯათ ვიდოდა, ხმას არვის სცემდა,
აღთქმული ჰქონდა მას მდუმარება.
მაგრამ შრომასა და შემწეობას
გაჭირვებულებს არ ამადლიდა.
უყვარდა გლეხი, ქვრივი, ობოლი,
მამა-შვილურათ ყველას უვლიდა.-
თოხნაში, მკაში, სხვლაში და ხვნაში
ის მუშა იყო ყველაში სრული,
მისი მარჯვენის მადლს ფიცულობდა
ყოველი გლეხი გაჭირვებული.
როცა სახადი გადამდები რამ
სადმე სოფელში მოედებოდა,
იმათ მომვლელათ და საპატრონოთ
წმინდა მოხუციც იქ გაჩნდებოდა.
და სასყიდელი იმისი იყო
ხმელა პური და ზედ წმინდა წყალი;
არვის უნახავს ის მოწყენილი,
არც მხიარული და არც გამწყრალი.
ერთ გუნებაზე იდგა და იდგა,
ყველას უყვარდა, ყველა იცნობდა,
მაგრამ ის მაინც არვინ იცოდა
თუ რას ფიქრობდა და ან რას გრძნობდა.
იცოდენ მხოლოთ რომ ბერი იყო,
ცხოვრობდა კლდეში, სოფლიდან ახლოს,
და დიდი ხნიდან მათი მამებიც
მას ეძახოდენ „გაბრიელ სალოსს“.
    როდესაც მეფემ არ შეიწყნარა
თორნიკეს ძღვენი, თხოვნა, ვედრება
და გაკვირვებულ ამოდენ ჯარში
სიჩუმე იყო და მდუმარება,
ეს გაბრიელი წადგა იმათ წინ,
ამოიდგა რა პირველათ ენა,
და გააკვირვა ყოველი სული,
როდესაც ბატონს ეს მოახსენა:

—„მეფევ, სიმდიდრე და ეს საუნჯე
არც შენ გეკუთვნის და არც თორნიკეს!
ეს ნახევარი სხვებისა არის,
სისხლის სანაცვლოთ იმათ მოიმკეს!
რისთვის ივიწყებთ იმათ რომელთაც
მამულის სახელს თავი შესწირეს
და გაითხარეს სამარე ისე
რომ შორს მშობლებმაც ვერ დაიტირეს?!
რათ არ იგონებთ იმ წმიდა ადგილს
სადაც თორნიკე იმყოფებოდა?
თუ არა იმის სასწაულს და მადლს,
ქრისტიანობა ილუპებოდა!..
მთაწმინდის იყოს ეს თქვენი ძღვენი,
იქ ააშენეთ მით მონასტრები
რომ სუყოველ დღე წირვა-ლოცვის დროს
იხსენებოდენ ქართველი მკვდრები.
აუგეთ ერთიც ახალი ლავრა
ყოვლად წმინდისა დედის სახელსა
რომ მის წილხვედრი მცირე ივერი
მსხვერპლსა სწირავდეს მის მფარველ-მხსნელსა.
მეცნიერების და მწიგნობრობის
იქ აენთება ერთ დროს ლამპარი
და შვილიშვილთა სხივებს მიაფენს
იმათი მამა და წინაპარი!“.

თქვა და ისევე დადუმდა ბერი.
გაოცებული უმზერდენ მაშინ.
დათანხმდა მეფე და ერმაც მას თან
ერთხმად შესძახა ხმამაღლა: „ამინ!“

ალარვინ იყო საქართველოში
იმ დღიდან იმა ბერი[illegible] მნახველი...
მხოლოთ ერთხელ კი, როცა ქვეყანას
ჩამოსწოლოდა უკუნი ბნელი,
ორი მოხუცი ენახათ გზაზე
ხელყავარჯნებით შორს მიმავალი:

ათონისაკენ მიემართათ მათ
პირდაპირი გზა და სწორი კვალი.
ისე ვიდოდენ იმ ბნელ ღამეში
თითქო უძღოდათ რაღაც ნათელი:
ერთი მათგანი იყო თორნიკე
და მეორე კი ის გაბრიელი...

1884 წ.

30 «თამარ-ცბიერი»

ისტორიული დრამატიული პოემა

I

მოქმედება მეორე

(მდიდრულად მორთული დედოფლის საკუჭნაო. სამკაულებით აჭურვილი დედოფალი თამარი და მისი მოახლე ცირა)

თამარი

ცირა!

ცირა

ბატონო!

თამარი

ნახე?

ცირა

მივეცი!

თამარი

რო წაიკითხა, არა გითხრა-რა?

ცირა

მე რას მეტყოდა, მხოლოდ უბეში
ჩაიდვა, ჩუმად გულთან მიიკრა.

თამარი

ვინ იყვნენ მასთან?

ცირა

მარტო დამიხვდა,
რაღაცა ლექსებს იზეპირებდა
და აღტაცებულ სახეს შევნიშნე
რომ უჩვეულო რამ აკვირვებდა.

თამარი

რა ლექსი იყო, ყური ვერ მოჰკარ?

ცირა

მხოლოდ ორ სიტყვას: „ვარდსა და იას“.

(**თამარი** სიამოვნებით)

კარგი! რო მოვა, შემატყობინე
და ნუ დასტოვებ განისკარს ღიას (ცირა მიდის)

თამარი (დიდხანს დადის აღელვებული. სარკეს იღებს ხელში, თავის სახეს ეკეკლუცება. მერე სიამოვნების ღიმილით და თავმოწონებით ამბობს

როგორც რომ მთვარე თხუთმეტის დღისა
ვეღარ შემძენი სინათლის კიდე —
მისცურავს ცაზე სხივმომფინარე
ამპარტავნობით კიდითი-კიდე, —

ისე შვენებაც ჩემი სრულქმნილი
ერთსა წერტილზე შეჩერებულა,
მაგრამ ჯერ კიდევ მისი დიდება
და სხივოსნობა არ დაკლებულა!
ხანიც ვერ შესცვლის... არ გამრუდდება
ჩემის შენების ხაზი... ეს მჯერა
და სიკვდილამდე ხარკად მექნება
თვით ცის და ქვეყნის გულისა ძგერა!..
ტრფობის სურვილით გარშემობურვილს
თაყვანისცემით მმონებს მთავარი!..
მსოფლიო კრების დაკანონებულს
ალთქმას ჩემთვის სტეხს თვით მღვდელმთავარი!.
მხიბლავი ჩემი ორკეცი ძალა
ხილულთ აბრმავებს, ბრმას უხელს თვალებს:
წალმას უკულმად, უკულმას წალმად
თითისტარივით შეატრიალებს.
შორს გამჭვრეტელსა ბრძენსა გენათელს
ჩემზედ ძრახვებმა აუბეს თვალი...
დააგმობინეს წმინდა წარსული
და დაავიწყეს ტკბილმომავალი.
მჭევრმეტყველებით სახელგანთქმულსა
ლევან დადიანს ტკბილმოუბარსა
ენა ებმოდა რომ შემომჭვრეტდა
ვით საოცნებო რამ ზენაარსსა.
თვით ბაგრატ მეფე ის უსინათლო
ისე ჰხედავდა ჩემსა შვენებას
ვით თვალხილული ძილში ხედავდეს
დილის რიჟრაჟსა და გათენებას.
ეს გურიელიც მოუსვენარი,
სახელგანთქმული, ვეფხვი, ლომგული,
დღეს მოკამათედ ჩემის სურვილის
ლეჩაქის ყურზე მყავს გამობმული...
    მაგრამ მგოსანი ის უგვარტომო,
ის „უხარისხო „ვილაცას შვილი,

ვით უკვდავების წყარო მიზიდავს
და ვერ მომიკლავს მწყურვალს წყურვილი!..
ის ერთი მხოლოდ... მხოლოდ ის ერთი
ჩემსა სურვილებს უკუ უდგება...
სულ სხვა ჰანგზე ჟღერს იმისი ჩანგი;
სხვა არის მისი ქებათაქება!!
ცოცხალ თამარის იმის წინ მდგარის
თანაგრძნობითა არ იმსჭვალება
და იმ თამარსა გამქრალსა, მკვდარსა,
წარმოდგენილსა ეტრფიალება!
ჰმ... არა მჯერა! ეგებ ცბიერობს:
ყველას თვალს უხვევს... თავს ისულელებს
და იმ თამარში მხოლოდ ამ თამარს
ალმაფრენითა იხორციელებს?
ნეტავ თუ მართლა?! მაგრამ რას ვამბობ?
განა ვერ ვხედავ მის გულგრილობას?
ვადუცდენელად გულის სამზღვრისა
გონება უქრის მხოლოდ ზდილობას.
და ყურს არ უგდებს ის არც ჩემს თრთოლვას,
არც ამ თვალების ელვარებასა
და არც მისგანვე ცეცხლშეკიდებულ
ბროლის გულმკერდის მღელვარებასა!
ნაცვლად პასუხის იმის სახეზე
მე შემინიშნავს რაღაც ღიმილი,
თითქოს ჯოჯოხეთს ესწავლებიოს,
გულის ისარი, სულის სახმილი.
ოჰ, თუ შემეძლოს, მაშინ მე მისი
ქვეყნად გაქრობა, გაცამტვერება,
არც სულს და არც გულს, არც აქ და არც იქ
აღარად უნდა სხვა ნეტარება!!
მაგრამ ზოგჯერაც იმავ სახეზე
სხვაც ეხატება რაღაც ღიმილი
და გულს მიბრუნებს შეურაცხყოფილს
ვით სამკურნალო ციური ტკბილი.

დავკარგე ძალა!.. დღეს მონა-ღა ვარ
ორ ღიმილ შუა გამომწყვდეული,
ორად იყოფა მთელი არსება,
ორად მეპობა სული და გული!..
მიყვარსა და მძულს, მძულსა და მიყვარს!
მსურს დავიმონო!.. მსურს დავემონო!
სული გადმომცეს, სული გადავსცე...
რომ შევიწონო და შევეწენო! (შემოდის ცირა)

ცირა

გოჩა გიახლათ!

თამარი

შეატყობინე
რომ მას ნება აქვს ჩემთან შემოსვლის. (ცირა გადის)
ვნახოთ, ამ თამარს თუ იმ თამარში
ჩემ გვერდით მყოფიც გულგრილად გასცვლის.
ჩუ! გულმა იგრძნო... ახლოა... მოდის.
მისი ფეხის ხმა ყურს ტკბილად ესმის!
გაქვავდი, გულო! არ წაგცდეს, ენავ,
ნაწარმოები სუსტი გულისთქმის! (დაავლებს წიგნს ხელს და ვითომ გატაცებით ჰკითხულობს. მგოსანი შემოდის წყნარად და შორეახლოს დგება მოწიწებით. თამარი დიდხანს ყურადღებას არ აქცევს).

თამარი

აქა ყოფილხარ?... თუ ვერ შეგნიშნე,
მიზეზი შენ ხარ, მე ნუ დამდებ ბრალს:
ამ უკანასკნელს შენს ლექსთაკონას
ვეღარ ვაშორებ ვერც გულს და ვერც თვალს.
დიდი ხანია —რუსთველის შემდეგ
აღარ გვინახავს მსგავსი ლექსები:

მკითხველსაც ისე ააფრთოვანებს
როგორც წერის დროს თვით შენ ეგზნები...
სიტყვა აზრს თანხმობს, აზრი ლექსთწყობას,
ყველა-კი ერთად — სულსა და გულსა
და წამკითხველი დამწერს უჯერებს
ვით წინამორბედს და მოციქულსა!

მგოსანი

გმადლობთ, ბატონო!.. ღირსი არა ვარ
მე არ შემფერის ეგზომი ქება.
და მაგას ჩემზედ გათქმევინებთ თქვენ
ჭკუის და გრძნობის მხოლოდ უხვება!
თუ არ ვიცოდე რომ დაცინებას
ჩემებრ დაბალზედ თქვენ არ იკადრებთ,
სხვას ვიფიქრებდი, რადგანაც თვით ლომს
შეუხამებლად კატას ადარებთ:
მგოსანსა შობილს დიდებულ დროში
და სანეტაროთ მაღლით გამსჭვალულს
როგორ ადარებთ საბრალო მღერალს
საერო კვნესით მარად გულმოკლულს?
სამხიარულო, სალხინო ხმებით
სამოთხით იყო რუსთველის ქნარი
და ჩემი მხოლოდ სამარის კარზედ
ჟღერს... ის ჟღერაა მოთქმა და ზარი...
და თუ ხანდახან, ათასში ერთხელ,
სამხიარულოც წამცდება რამე,
ეს ჭირისუფლის ღიმილი არის,
მხოლოდ წამითი... მოკლე სიამე!

თამარი

კი, მაგრამ აქ ხომ ტკბილი ოცნება
შენც იქ მიგაფრენს; გადაგაქვს ქნარი
და რუსთველივით შენც ტრფობის საგნად

გამოგისახავს დიდი თამარი?
სხვადასხვა დროის დიდი მგოსნები
ეკამათებით ერთსავე ორი,
თუმც სარბიელი შენი და მისი
სხვადასხვა არის – ვერ თანასწორი!
მის შთამგონებელს, ზეალმტაცებელს
თვალით უჭვრეტდა რუსთველი თამარს
და შენ-კი მხოლოდ ოცნების ძალით
ახორციელებ მას გამქრალს და მკვდარს.

მგოსანი

მაგას რად ბრძანებთ, აბა, ბატონო?
ვანა თამარნი ქვეყნად კვდებიან?
საუკუნოდან საუკუნოში
ისე ვით მთვარე გაახლდებიან.
მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იწყება
მათი სიცოცხლე დაუვიწყარი
და სათაყვანოდ სამარადისოდ
საერო გულის ეღებათ კარი.
მეცა ყოველწამ თამარი სათნო
თვალწინ მეხატვის გაბრწყინებული,
იმის გამო მაქვს სულის კვეთება
და მისთვის მიძგერს სიწმინდით გული.
ის არის ჩემი წმინდა წმინდათა,
ჩემი სულის დგმა, ჩემი გულის თქმა,
ჩემი არსების გამასპეტაკი
წმინდა მირონი და აიაზმა.

თამარი (წყენით:)

ნეტავ მგოსნები რა ქმნილება ხართ?
რისგან ხართ მაგრე ახირებული?
თვალსა არიდებთ ამოსულ მთვარეს
და ჩასულ მზისთვის გიღელავსთ გული;

უკუ უდგებით დღევანდელ ნათელს,
ოცნებით ანთებთ გამქრალსა ლამპარს,
ნამდვილსა სტოვებთ უყურადღებოდ
და გულს აყოლებთ გადასულ ზღაპარს.
საკვირველია! ბრმას, უგზოუკვლოს,
გარდაქცეულსა სმენად ქვეყნის ხმას
მგოსანიც ჰმონებს და მის ცრუ ჰანგზე
აყოლებს აზრს და მაღალ გულისთქმას.

მგოსანი

აგრე რომ გახლდეს, ჩემო ხელმწიფე,
ქვეყნის წინსრბოლა შეჩერდებოდა
და უგნურება დღევანდელი დღის
ხვალის კანონად დაიდებოდა!
მაგრამ ღალადი და ამბოხება
გაურჩეველად ქვეყნად არ რჩება:
მართალი მხოლოდ ფეხსა იკიდებს
და სიზმარივით ტყუვილი ქრება...
ვითარცა პეტრე ღვთის უარმყოფი
ერთმა მამლის ხმამ გამოაფხიზლა
ისე აფხიზლებს ხალხსაც მცირე რამ
და ის მცირეა მგოსნობის ძალა.
და ნუ იფიქრებთ რომე მგოსანმა
სხვისი აყოლით ჩანგი აჟღეროს
და მისი გული ძალდატანებით
შეათამაშოს და ააძგეროს!

თამარი (ნაღვლიანის ღიმილით)

მაგას მეც ვხედავ და ეგ სიტყვები
გულსა ხვდებიან მწარე მახვილად!..
ეჰ, თავმოყვარევ ადამიშვილო,
სხვისი საძნელო რად გიჩნს ადვილად? (ხანგრძლივის
სიჩუმისა და მღელვარების
შემდეგ, თავისთვის)

მეტს ველარ ვიტან!.. ეს ყურს არ უგდებს
კრძალვით წარმოთქმულ სიტყვებს გადაკრულს!..
ვეტყვი პირდაპირ!. ხვალის იმედით
თავმოტყუება რას არგებს ბედკრულს. (მგოსანს)
მკურნალო! გრძნობით გონება მიხდილს,
ბუნება აძრულს, მხედავ, ვარ ავად
და სჯობს ერთმანეთს გული გავუხსნათ,
ვუთხრათ, რასაც ვგრძნობთ დაუფარავად.
კმარა ამდენი მალულობია...
გეყოფა თავის მოკატუნება!..
გონება შენი კერპად რომ ურჩობს,
მაღალი გრძნობა რას გეუბნება?

მგოსანი (გაკვირვებით)

მე, დედოფალო!..

თამარი

სსუ! იქ არ არის
არც დედოფალი და არც მსახური,
სადაც სხვა ძალა გახელმწიფდება
უფრო ძლიერი ვიდრე მეფური.
პასუხს მოითხოვს შენდამი ჩემის
ბუნების თრთოლვა და მღელვარება
და შენგან მხოლოდ ეძლევა ოდენ
მწარე ღიმილი და მდუმარება.

მგოსანი

ბატონო!..

თამარი

ბანზე ნუ აგდებ სიტყვებს!
შემამკობელო ქვეყნის და ცისა,

ნუთუ არ იცი თუ რაა გული
ტრფობით გამსჭვალულ დედაკაცისა?

მგოსანი (დაფიქრდება თავისთვის)

მართალი მითხრა: კმარა ამდენი
ჩემგანაც თავის მოკატუნება,
ვეტყვი პირდაპირ, დაუფარავად,
რასაც-კი გული მე მეუბნება.
არ შემარჩენენ, ვიცი, სიმართლეს:
ძნელია ქალის შურისძიება,
მაგრამ ოდესმე მოსალოდნელი
რაც არის, სჯობს, თუ დღეს გათავდება! (თამარს
გამბედავად)
ვსწუხვარ რომ ჩემგან თქვენ ვერ მოისმენთ
მისთანა პასუხს როგორსაც ელით,
მაგრამ რასაც ვგრძნობ, სჯობს, აღვიარო
აწ თქვენ წინაშე გულის სიწრფელით:
გნებავსთ შეიტყოთ ჩემგან, რა არის
შეყვარებულის დიაცის გული?
სასუფეველი და ჯოჯოხეთი
გრძნების კავშირით შეერთებული:
საუნჯე რამე ავის და კარგის
უმეტნაკლებო, ამოკრებული;
თვით უკვდავების წყარო-ნექტარი
ნაღველ-სამსალით გამწარებული;
მხიბლავი ძალა ადამანტური,
თავში საამო, ბოლოში მწარე;
წამ ერთ აკვანი სიხარულისა,
ხანგრძლივ კუბო და ცივი სამარე.

თამარი (გაოცებული)

თუ მართლა ამბობთ მაგას, მგოსნებო,
სხვაგვარად რად ჟღერს მაშ თქვენი ქნარი?

სჩანს, სიცრუეა თქვენი სალმუნი
და თქვენ ყოფილხართ კაცთ მატყუარი!
თქვენ არ უგალობთ ქვეყნად სიყვარულს
ვით სასუფეველს ძალას რამ ზენას
და მიწის შვილთა თქვენგანვე ცდენილთ
უცნაურ ძალით უხიბლავთ სმენას?

მგოსანი

ჩვენ რო ვუგალობთ, ის სხვა გრძნობაა:
რუსთველებრივი, ტარიელური!
ის ნუ გგონიათ თქვენ გულის ფხანვა
საყოველთაო... ყოველდღიური.
მხოლოდ რჩეული ცისა და ქვეყნის
აღმაფრენითა იმას მისწვდება
და დანარჩენი უმეტესობა
იმ ძალს ვერ იგრძნობს, ისე მიწდება.

თამარი (გატაცებით)

მაშ თუ მაგრეა, იმა ციურ ნიჭს
რო დაეძებდეს აქ მიწიერი,
რაღად ამტყუნებს გაუკითხავად
უსამართლო და უგნური ერი?
რო სიყვარულსაც დავუხშოთ გული,
სხვა რაღა გვრჩება აქ ნეტარება?
კაცი მაშინ გრძნობს მხოლოდ სიცოცხლეს,
როცა ისრულებს---რაც ენატრება.

მგოსანი

ჰმ... დედოფალო! მესმის მაგ სიტყვის
ჰახრაკული რამ მშვენიერება,
მაგრამ, პასუხი რო მოგახსენოთ,
იქნება მეტი კადნიერება
და ვეღარ ვბედავ...

თამარი

სთქვი! ნუ დაჰფარავ,
გინდ იყოს ჩემი გმობა... ყვედრება!
აქ დედოფალი დღეს აღარ არის,
და მხოლოდ ქალი გესაუბრება...

მგოსანი

თქვენი ნებაა!.. ვინ ჰგმობს სიყვარულს
მოპოებულსა ალმაფრენითა?..
ჰკიცხავენ მხოლოდ ცუდად მოხვეჭილს
ქვეყნის ცრემლით და სისხლთა დენითა.

(გაჩუმდება და თავს ჩაღუნავს;

თამარი (ნაღვლიანის ღიმილით)

ჰმ... მიკვირს: კაცი შორს გამჭვრეტელი
ახლო-მახლოზე რისთვის იხვევს თვალს?
ამ იმერეთის ამბოხებაზე
ნუთუ, მგოსანო, შენც მე მადებ ბრალს?
როცა ზღვა ჰღელავს, ნავ-ჭურჭლებიცა
მათ უნებურად ექანებიან . . .
ხალხიც ისეა: როდესაც ღელავს,
კერძო პირებიც აეგზნებიან.
მე იმერელი ქალი არა ვარ
რომე უარვყო ჩემი ბუნება
და ცხოვრებაში ისე ვიქცევი
როგორც ეს გული მე მეუბნება.
შენ რომ წელან სთქვი, მეც იმ სიყვარულს
ვეძებ და ვეძებ თავდადებულად...
მხოლოდ ისა მრწამს ჩემის არსების
სახელმძღვანელო უმაღლეს რჯულად:
და თუ აქამდე ვერ მიპოვია,
დამნაშაობათ რისთვის მეთვლება?..

პეპელა, სანამ ყვავილს ნახავდეს,
მყრალ ბალახებსაც თავსა ევლება!
არც ერისთავი, არც გენათელი,
არც გურიელი, არც დადიანი,
არც ბაგრატ მეფე იმერეთისა
ის უსინათლო და შავდლიანი
და არც სხვა ვინმე ჯერ მამაკაცი
არ შემხვედრია, რომ მსურს, მისთანა!..
და თავის თავზედ მდარე მამაკაცს
ქალი საყვარლად იწამებს განა!..
მაგრამ მის შემდეგ რაკი, მგოსანო,
მე შენ შეგნიშნე და გაგიცანი,
გრძნობა-გონებამ ორივემ მითხრა
რომ შენ ხარ ჩემი ტრფობის საგანი.
აწ შენ ხელთაა არა თუ ჩემი,
მთელი სამეფოს ბედისა წერა!..
მას შეუძლია ერიც განკურნოს
ვინც რომ თამარის გული აძგერა.
თუმც არ იქნები ნაკურთხი მეფე,
მაგრამ ძალი-კი მისი გექნება,
რადგანც კანონი იქნება ჩემთვის
შენი სურვილი და შენი ნება!
მეტს აღარ ვიტყვი!.. აწ შენგან ველი
სიტყვებს ვულწრფელსა, პასუხს უტყუარს
და ნუ დაჰფარავ შენს გულის პასუხს!..
ვითა სიწმინდეს, გაფიცებ შენს ქნარს.

მგოსანი

ღირსი არა ვარ მე მაგ დიდების!..
ვერც შევიფერებ მაგგვარ წყალობას!..
სხვა რამეს ეძებს ეს ჩემი ქნარი,
სხვა ბანი უნდა ჩემსა გალობას.
გამოუხატავს შენში ბუნებას
შემოქმედობის ძალა ძლიერი,

თვალტანადობა, გრძნობა-გონება,
ნიჭი ბევრგვარი გულსახმიერი.
მოუვლენიხარ კაცთა მხიბლავად!..
კურთხეულ იყოს მისი განგება!..
ენამ უძლურმა მომაკვდავისამ
ღირსშესაფერი ვით შეგძლვნას ქება?
როდესაც გიჭვრეტ, ცას ვხედავ გახსნილს
და სასუფევლის მშვენიერებას!...
შენა ჰგრეხ სიმებს ჩემის ჩანგისას
და მე უცნაურს ვგრძნობ ნეტარებას!
მაშინ ვემხობი შენ წინ სიმდაბლით
და გრძნობით გიხრი თავს, დედოფალო,
მაგრამ მე იმ დროს თვალ წინ მეხატვის
შენი ნალვაწი სისხლისა კალო:
მომაკვდავთ კვნესა, ქვრივ-ობლის წყევა,
ქვეყნის ღაღადი, ერთა ყვედრება, —
მესმის და წინა ტკბილი ოცნება
ვითა სიზმარი ისე მიქრება.
სასიყვარულოდ აღელვებული
მაშინ მე გული შურით მევსება
და გასაკიცხავ ლექსად იცვლება
მომზადებული ქებათა-ქება.
ჰა, დედოფალო, ეს არის ჩემი
სრული სიმართლე ვით აღსარება!
რომ მოგატყუო, არც ჩემ კაცობას,
არც თქვენ მზეობას არ ეკადრება.

თამარი (ხელები აქვს პირზე მოფარებული და ჰღელავს წყნარად)

წარსული ჩემი თუ ბოროტია,
თუმც მე არა მაქვს განზრახვით ბრალი,
ამიერიდგან შენ ხელთ იქნება,
და აცისკროვნე მაშ მომავალი!
მხოლოდ გიყვარდე!..

მგოსანი

არ მოხერხდება!
გულს ვერ ვაძგერებთ ძალდატანებით,
გულსა გამსჭვალულს უკვე ტრფობისგან
და აყვავებულს ტკბილის ოცნებით.

თამარი (უცბათ მიუბრუნდით)

მაშ გიყვარს ვინმე?

მგოსანი

დიალ! თამარი!

თამარი

ჩემი ასული?

მგოსანი

არა! ის არა!

თამარი

მაშ აბაშიძის?

მგოსანი

მაგას რას ბრძანებ?

თამარი (ხელს ჩაჰკიდებს)

მაშ, შენვე მითხარ: ვინ თამარია?
ჩქარა! ნუ მტანჯავ!.. ნუ აგვიანებ!

მგოსანი

ის თამარია, ჩვენი ქვეყანა
რომ გაადიდა, გააძლიერა!..

ის თამარია, ვისთვისაც შოთამ
საშვილიშვილოდ ჩანგი აჟღერა!!

თამარი

ჰა! ჰა! ჰა! მკვდრისა არა მაქვს შური,
რადგანც ცოცხლებში არავინ გიყვარს!
ამიერიდგან აქ ეს თამარი
შემოგევლება საჭირნაცვლოდ გარს! (მოეხვევა)

მგოსანი (აშფოთებული თავისთვის)

რა მემართება!.. ლამის წამერთვას
მე უნებურად გრძნობა-გონება!..
არა, არ შვენის გრძნობის მეუფეს,
მგოსანს, დიაცის ცუდად მონება (გამოუსხლტება)
მომშორდი!.. ჩემგან შორს! შორს, მაცდურო!
ჩემზედ ვერ გასჭრის ეგ ცბიერება!..
სხვები მოსძებნე და მათ დაუგე
მახეთ ეგ შენი მშვენიერება.
ვისიც წასული შებღალულია,
ვის გამოც იდგა სისხლისა ღვარი,
მას ჩემი გული ვერ მიენდობა
და შეაჩვენებს ეს ჩემი ქნარი!

თამარი (გაშმაგებით თავისთვის)

წახდა ყოველი!.. და ეს სირცხვილი
ყველა ჩემ ტანჯვებს აღემატება!..
ოჰ, ის ღიმილიც ჯოჯოხეთური
მის გველურ სახეს ზე ეხატება... (მრისხანედ მგოსანს)
მე მხოლოდ გცდიდი, შე უბედურო!
კმარა! რაც ცოდე, ისიც გეყოფა!..
ჰეი! (შემოცვივდებიან კარისკაცები) შეჰკარით! მან მოინდომა
ძალით დედოფლის შეურაცხყოფა!

(დედოფალი ლეჩაქმოხდილი, თმაგაწეწილი,
თითს მიაშვერს მგოსანზე რომელსაც კარისკაცები იჭერენ. მგოსანი გაოცებულია).

II

მოქმედება მეხუთე

(მსაჯულთუხუცესი, სახლთუხუცესი და მახსარა)

მსაჯულთუხუცესი

დღეს რაღას ატყობ!

სახლთუხუცესი

მისთანა შენს მტერს!
სევდა თანდათან უფრო აწვება,
თვალში სიყვითლეც შემოჰპარვია!...
უნდა გამოვტყდე რომ მეეჭვება!

მსაჯულთუხუცესი

მოწყალე არის ღმერთი მაღალი!
ყოფილა კვლავაც მაგგვარად ავად...
ნაღვლიანებმა ეგრე იციან...
კულს გადაიყრის თავისვეთავად.

სახლთუხუცესი

სულ კარგად იყო. როცა მდივანმა
შემოუტანა მას განჩინება,
მაშინ დიდებულ სახეზე მხოლოდ
გამოეხატა მას მრისხანება...
და მოინდომა, როგორც შევატყეთ,
იმ განჩინების სრულად დახევა,
მაგრამ იმავ წამს გაჩნდა თამარი
როგორც ადამის წინაშე ევა:
მეფეც შეჩერდა... აღარა სთქვა რა.
განჩინებაზე დასვა ბეჭედი
და მგოსნის პედთან შეერთებულად

გარდაიწყვიტა მან თვისიც ბედი.
მას ზედ დაერთო იმღამინდელი
მოულოდნელი ცუდი შემთხვევა
და იმის გამო ჰმუნვის ძაფებად
იქვები შემკრთალს გულზე ეხვევა.
არ იცის, რა ქნას!! არეულია
მისი ორგვარი გულისა ძგერა:
ხან დარწმუნდება ყოველიფერზედ
და ხან სრულიად აღარა სჯერა
დაკეტილში ზის, არც სვამს, აღარც სჭამს,
ჯერ რიგიანად არც სძინებია!
და მიკვირს რომ დღეს ჩვენი მოყვანა
ყველასი ერთად უბრძანებია.

მსაჯულთუხუცესი

ვნახოთ, რას გვეტყვის! (მასხარას) შენ რაღა გინდა?
შენც დაგიბარა მეფემ, ეგება!

მასხარა

დიაღ! და თუ თქვენ ვერა არგეთ რა,
მაშინ კი რიგი ჩემზე მოდგება!... (ხელს აშვერს მსაჯულთუხუცესს)
სულის მკურნალი, (სახლთუხუცესს) გულის ვეზირი
და სათვალყურო ცეტი, მასხარა,
სამნივე ერთად რომ განაგებდენ
საქვეყნო საქმეს... ვგონებ რომ კმარა!
თორემ, ხომ იცით, კარისკაცები
რაც რომ მეტია, უფრო ცუდია,
თავი არც ერთის არ იხედება,
ერთი მეორის მხოლოდ კუდია!
და, ერთი კუდი თუ გაქიცინდა,
სხვებიც მას ჰბაძვენ, იმ ერთს თანხმობენ,
და სასწაულიც მათი ის არის

რომ ხმელსა სწვავენ და ნედლს ახმობენ.
აი, გუშინაც მართლმსაჯულებმა
კუდის ქიცინით თავი დალალეს
და მათ გაუწყრეს წმინდა გიორგი,
რომ მათ გიორგი მეფე გალალეს!
თვალნაკრავია, მაგრამ მოიხდის,
გამობრუნდება, მაქვს ღვთის იმედი!
თუ რომ მიბრძანებთ, გამოვულოცავ!
სხვა საქმე არ მაქვს, მისთვის მოვედი.

მსაჯულთუხუცესი (წყენით)

თავ-თავის დრო აქვს სუყოველისფერს!
ნეტავი შენ რომ არაფერს ფიქრობ!

მასხარა

ფიქრი რად მინდა? დარბაისელი
არცა ვყოფილვარ და არც ვაპირობ!
ბრძენი რომ ვიყო, ადრე დავსჭკნები;
მასხარა რომ ვარ, გვიან ვბერდები!

სახლთუხუცესი

კმარა! გეყოფა! თავს ნუ აიშვებ,
თორემ უდროვოდ კადნიერდები!

მასხარა

უკაცრავად ვარ! სული მავიწყდება
რომ მასხარა ვარ დარბაისლებთან,
ისე უძლური და საცოდავი
როგორც რომ კრავი დიდებულ მგლებთან
ჩემი სიტყვები რა სიტყვებია?
ან ჩემი რჩევა ვის ეკადრება?

მაგრამ... სუ! აგერ ფეხის ხმა ისმის...
ბატონი მეფე თუ მობრძანდება?

(ადგებიან და კუთხისკენ მივლენ. შემოდის მეფე დაღონებული)

მეფე (თავისთვის)

ქალის დაკირვა! მგოსნის სიკვდილი!
ვგონებ ავჩქარდი ჩემის დასტურით!...
განა ყოველთვის მართალი არის
თვალით ნანახი, ნასმენი ყურით?!
ვურული იმ დროს დედოფლის სახლში
როგორღა გაჩნდა! ვინ შეიყვანა?
თუ რომ ღალატის გამხელა სურდა,
მე ვერ მეტყოდა წინდაწინ, განა?
ეგებ მგოსანიც... ჰმ! მაგრამ არა!
ცხადად დაედვა პირდაპირ ბრალი,
მაგრამ მე მაინც ავჩქარდი მაზე,
განრისხებული, უზომოდ მწყრალი...
როგორ გავსწირე და გავიმეტე
მესაიდუმლე და მეგობარი!...
ავჩქარდი... შევსცდი... მაგრამ რაღა დროს?
გვიანღა არი... გვიანღა არი!... (დაინახავს სხვებს)
აქა ყოფილხართ! დილა მშვიდობის!
გამარჯვება კი არავის ეთქმის
ახლანდელ დროში, როცა ყოველ კაცს
სისხლი სწყურია მისივე მოძმის.

მსაჯულთუხუცესი

ბატონო მეფევ!

მეფე

სად არის მეფე?
მე ვიყავ მხოლოდ ერთ დროს მთავარი;
ვკახაბერობდი მორჭმით მჯდომარე,

რკინის პალოზე მედვა საზღვარი,
მაგრამ, როდესაც ეს იმერეთი
ხელში ჩავიგდე და მით გავმეფდი,
მაშინ უკუღმა გადავიბრუნე
ჩემი დიდება და ჩემი ბედი.
დიდმოურავის კვალში მიმყოლი
ქართლს დავიხსნიდი მტრისგან — მეგონა;
სჯული უარვჰყავ, გავსტეხე აღთქმა
და თვით მე გავხდი დიაცის მონა.
ფუი ჩემს ულვაშს! (ჩაფიქრდება)

სახლთუხუცესი

ბატონო მეფევ!

მეფე

განა მეფობა ეთქმის ცოცხლად მკვდარს?
მეფე რომ ვიყო; სხვისი ბრძანებით
ვავიმეტებდი განა მეგობარს?!
მაგრამ ძნელია, მრუდე გვირგვინი!
ბოძად და სვეტად იდგამს ქვეყნის ხმას
და მსხვერპლად სწირავს საკუთარს სურვილს
კერძო განზრახვებს და ტკბილ გულის თქმას
(ჩაფიქრდება)

მსაჯულთუხუცესი

ნეტავ თქვენ რა, გაქვსთ სასინანულო
რომ აჰყოლიხართ შემცდარ გულისთქმას?
„გული მეფეთა ხელთა უფლისა“!
თქვენ დაეთანხმეთ მხოლოდ ქვეყნის ხმას.

მეფე

და დავიბანე პილატებრ ხელი
რომ ავიცილო თავიდან ბრალი?

ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! მაშ შინაგანი
აღარ ჰქონია სინიდისს ვალი?
ეჰ, სახლთხუცესო! სად არის ჩვენი
ის ადრინდელი სულ-ხორცის ძალა?
დრომ უკულმართმა გადაცდუნებულს
ყველა ხელიდან გამოგვაცალა!

სახლთუხუცესი

ბატონო ჩემო, თქვენს მოხუცს გამზრდელს
შემყურეს თქვენის ბედნიერების
ნება ჰქონია ყოველთვის თქვენთან
სიმართლის დროზედ კადნიერების.
ახლაც გავბედავ: უმჯობესია
რომ ჯერ დააცხროთ გულისა ვნება,
ცოტა გაერთოთ და მერე უფრო
სხვა რამეს გირჩევსთ თქვენი გონება.
არა არის-რა ხომ უსაშველო:
დღეის შეცდომა ხვალ გასწორდება,
თუ საცადისი ჭკუა-გონების
კაცს ისევ შერჩა და არ შორდება.

მასხარა

ზოგი მეც მკითხეთ რამე, ბატონო;
დარბაისლებმა რაც ბრძანეს, კმარა...
ჩანგურს ჩამოჰკრავს ჩვეულებრივად
და მოგახსენებთ რასმე მასხარა.

მეფე

შენც ნახირ-ნახირ, ჩემო მასხარა?

სახლთუხუცესი (ჩუმად)

სთქვი რამე, მეფე რომ გააცინო!

მსაჯულთუხუცესი (ჩუმად)

ისე სჯობია, სიმებს ჩამოჰკრა
და დაამღერო რამე სალხინო

მეფე

რა ჩურჩულია!

მსაჯულთუხუცესი

ამ თქვენ მასხარას
უნდა ჩანგურზე დააღიღინოს!

მეფე

კარგი იქნება, უძილარი ვარ
და ცოტა ეგებ მეც წამეძინოს. (თავს მიდებს [illegible])

მასხარა (ჩანგურზე ამღერებს [illegible])

...მაღლით ცეცხლის წვიმა მოდის.
დაბლა დგება სისხლის ღვარი.
ცა და მიწა გადაბრუნდა.
გაგვისწორდა მთა და ბარი!
მწყერს მიმინო შეუშინდა,
კურდღელს - მწევარ-მეძებარი:
შევარდენი შეაშინა
მტრედმა, დასცა შიშის ზარი!
ძმა ძმას სწირავს, მამა - შვილსა,
მეგობარსა — მეგობარი...

მსაჯულთუხუცესი (ხელიდან [illegible])

დღეს შენ, მგონია, გადარეულხარ!
რაებს იმღერი მაგას, მასხარა?!

მეფე

არა... ამ ჩემს გულს ეგ უკეთ ხვდება...
ნუ აწყვეტინებ! განაგრძე ჩქარა!

მასხარა

„ცაო! ცაო! მოიწმინდე,
დაგვიყენე ისევ დარი!
შევარდენო, ფრთა გაშალე,
ცის კამარას თავი ჰკარი!.
მეგობარო, მოიგონე
გულითადი მეგობარი:
უსამართლოდ საკანში ზის
გაწირული ცოცხალ-მკვდარი,
მოსთქვამს ქვეყნის ურიგობას,
კვნესის, სტირის მისი ქნარი!
ამას ასე მოგახსენებთ
დღეს მასხარა ენამწარი.
ნუ შერისხავთ მართლისათვის,
გესმასთ მისი ნაუბარი!“

(მეფე წამოვარდება, მსაჯულთუხუცესი და სახლთუხუცესი შემოდიან

მსაჯულთუხუცესი
სახლთუხუცესი
ბატონო!

მეფე

გესმით თქვენ ეს სიმღერა?
მადლობელი ვარ, ჩემო მასხარა!
შენმა სიტყვებმა ჰმუნვის ღრუბელი
გამიქარწყლა და გულს გადმიყარა.
ახლა კი ვხედავ, სასახლის სენი
ცუდი სახადი შესაყარია!

თურმე ეს ჩემი ჭკუა-გონებაც
იმან მოხიბლა, არივდარია.
მაგრამ აწ კმარა! ისევ მეფე ვარ,
მეფე ვარ, მეფე გვირგვინოსანი
და თანაშემწედ ორი კაცი მყავს:
ერთი მასხარა, ერთიც მგოსანი!
სახის სიცილით, გულის ტირილით
პირველი ურევს მარილსა და ძმარს.
და მეორე-კი თვისვე ცრემლებში
ილესავს ნაღველს და აწოვებს ქნარს:
სამკურნალოა სნეულ ქვეყნისთვის
მხოლოდ იმათი სიტყვა, სიმღერა!
დანარჩენების სიტყვაპასუხი
საცბიეროა და არა მჯერა!

მსაჯულთუხუცესი

მაღალო მეფე! ნუ დაივიწყებთ
რომ ერთგულები სხვებიც არიან!

მეფე

მაგრამ სიმართლეს ვერა ჰბედავენ
და ცბიერებას თავებს უხრიან!
მითხარ, სად იყვნენ ეს ერთგულები,
როცა მგოსანი ერთხმად გასწირეს?

სახლთუხუცესი

ზოგი გამოჩნდა წინააღმდეგიც,
მაგრამ რა ექნა ნაწილსა მცირეს?
სამღვდელოების უმეტესობა
პატონ გენათელს ურცხვად მიემხრო
და წულუკიძემ შორს მყოფ წერეთელს
საუკუღმართოდ შეურჩია დრო.

მხოლოდ შემთხვევით იმ სამსჯავროში
მოკროვდა ორგულთ უმრავლესობა.
და ნუ მრისხანებთ საყოველთაოდ!
ისარი ყველას გულს რად ესობა?!

მსაჯულთუხუცესი

გლოვის ზარივით გაისმა ხალხში:
„მგოსანს სიკვდილი გადუწყვიტესო!“

მეფე

და არ ამბობდენ, იმ განჩინებით
მეფესაც გული გაუხვრიტესო?

მასხარა

ვინ გაბედავდა! უცაბედათ-კი
ამას მოვკარი აქა-იქ ყური:
„დარბაისლების უწმინდურ სურვილს
როგორ მისცათ მეფემ დასტური?“

მეფე

გვიანღა არის! რაც მოხდა, მოხდა!..
სიტყვა მეფისა არ შეიშლება! (ჩაფიქრდება)

მსაჯულთუხუცესი

ბატონო მეფევ! ერთს რამეს გირჩევთ
და ნუ შემრისხავთ, მომეცით ნება!
თქვენ შეგიძლიათ სიტყვა გასტეხოთ
და სიტყვის შეცვლა როდი იქნება.

მეფე

გამოცანაა!! რაღას უყურებ?
რატომ არ გვეტყვი, თუ იცი რამე?

გოჩას გამოხსნა რომ გულით მინდა,
ღმერთია, იცი, ამის მოწამე.

მსაჯულთუხუცესი

მოგეხსენებათ, მეფევ, თქვენც, ვგონებ,
მეფე დარეჯნის ყოფა და ქცევა:
მის დროს აგვაღო უფალმა ხელი,
მოგვაკლო მაღლით მისი კურთხევა.
ის დრო საზარი მოღალატობის
დღესაც-კი უღლად აწევს ჩვენს მხარეს!
საქრისტიანოს ტკბილი სავანე
მან დაამსგავსა ოხერ სამარეს.
ასტეხა ხალხში შური და მტრობა,
უკულმა სცარა ჩვენი ქვეყანა;
გასწყდა კავშირი სისხლხორცობისა,
ძმას აღარ ჰქონდა ძმისა გატანა!
ქვეყნის გაწირვით და ორგულობით
იხვეჭდენ კერძო ბედნიერებას.
სხვადასხვა მუხლებს ბოროტებისას
სწავლობდენ თვითქოს მეცნიერებას.
ტახტზე ასული ფარისევლობა
სისხლით და ცრემლით შავ პირს იბანდა
და დღევანდელმა დღემ არ იცოდა
თუ ხვალინდელი რას მოიტანდა.
მაშინ გავიდა ხალხში მგოსანი,
საერო ცრემლით ჩანგზე დამღერა
და ხალხის გული მიძინებული
გამოაფხიზლა და ააძგერა.
მათში ერია ლასხიშვილიცა,
ჭაბუკი ვინმე, მოსამსახურე,
პირისფარეში თვით დარეჯანის,
დარბაზის მცველი და შეთვალყურე...
[illegible] [illegible] სიტყვები მგოსნის

და ჩაესახა მტკიცე სურვილი
თავის გაწირვით ქვეყნის გამოხსნის.
ყურში ჩაედგა მგოსნის ყვედრება,
ელანდებოდა საერო საბჭო,
სანამ ხანჯალი დროს შემრჩეველმა
დარეჯანს გულში მარჯვედ არ არჭო,
აღელვდა ხალხი, მაგრამ დედოფალს
არვინ იგლოვდა, არვინ სტიროდა.
„ადიდოს ღმერთმა მეფე ბაგრატი!“
ერთპირად ყველა ამას ჰყვიროდა.
დედინაცვლისგან დაბრმავებული,
უსამართლოდ ტახტჩამორთმეული,
გამეფდა ბაგრატ და სიმართლისთვის
ხალხს მოუბრუნდა ისევე გული.
ჰაშინ მიიხმო მეფემ მგოსანი
და სთქვა: „მგოსნობის ვსცანით ძალიო!
რაც გჰნდა გვთხოვე და აგისრულებთ,
რომ გადვიხადოთ შენი ვალიო!„
გოჩამ ეს ჰკადრა: „ქვეყნის დიდება
მგოსნისთვის არის მეტი ტვირთიო!
რა საჭიროა მღელვარე ზღვისთვის
რომ მიემატოს ზვირთზე ზვირთიო?“
მაგრამ ბაგრატმა გაიმეორა:
„ჩვენ მოვალე ვართ მაინც შენიო
და, თუ რამეს გვთხოვ, ჩვენც აგისრულებთ,
ეს იყოს ჩვენი განაჩენიო“. (გაჩუმდება)

სახლთუხუცესი

მერე, სხვა რაღა?

მსაჯულთუხუცესი

სხვა არაფერი!
ამით გათავდა მათი მოყვრობა.

რომ მიიცვალა მეფე ბაგრატი,
პირობად დარჩა ისევ პირობა!..

მეფე (აღტაცებით წამოდგება)

ჩემო ერთგულო და გონიერო,
გალაპარაკებს მაგას განგება;
მაშ შევასრულოთ გონზედ მოსულმა
ჩვენი სურვილი და ჩვენი ნება.
სახლთუხუცესო! ბოქაულთხუცესს
შენ გარდაეცი ჩვენი სურვილი:
საპყრობილედამ გამოიყვანოს
და აქ მომგვაროს შემცოდე შვილი. (მიდის)
ჩვენ უნდა. თვითონ გავასამართლოთ
როგორც რიგი და როგორც წესია!
ყველა მას მომკის საშვილიშვილოთ,
რაც რომ თვითონვე დაუთესია. (მასხარას)
ჩემო მასხარა! განა შევარდენს
არ შვენის, ხოხობს რომ შეუშინდეს?

მასხარა

უმჯობესია ფრთები გაშალოს
და ცხრა მთას იქით მისთვის გაფრინდეს.

მეფე

მიინავარდოს, მოინავარდოს,
ფრთა ფრთას შემოჰკრას, ცას ჰკრას კამარა!..
ეჰ, თავმან ჩემმან, შევარდნობა სჯობს!..
ძერაკუდობა ამდენი კმარა!
შენ რაღას იტყვი, ჩემო მსაჯულო?

მსაჯულთუხუცესი

„გული მეფეთა ხელთა უფლისა!“
იყავ კურთხეულ ამიერიდგან
მფარველი ქვეყნის და ქვრივ-ობლისა!

(მგოსანი შემოდის, მეფე თავჩაღუნულია. საზოგადო სიჩუმე)

აქა მშვიდობა!

მეფე

წინ წამოდექი!
იცი, რად გიხმეთ?

მგოსანი

რა მოგახსენოთ!

მსაჯულთუხუცესი

რაც რომ სამსჯავრომ გადაუწყვიტა,
რიგი თქვენია, უნდა უბრძანოთ!

მგოსანი

შეტყობილი მაქვს, საპყრობილეში
მე ცირას სიტყვებს მოვკარი ყური. (მწარე ღიმილით)
მსაჯულთ სიკვდილი გადამიწყვიტეს
და მეფემაცა დართო დასტური.

მსაჯულთუხუცესი

დიაღ. რადგანაც უმეტესობამ
გიცნო ქვეყნის და მეფის ორგულად.

მგოსანი (გაანჩხლებით)

ვინც ეგ იფიქრა ჩემზედ, ეტყობა,
რომ ის ჭკუაზედ შემცდარა სრულად.

მსაჯულთუხუცესი

როგორ? არა გაქვს დანაშაული
და ხმა ერისა ცრუდ ღაღადებდა,

როდესაც ის შენ შეურაცხყოფილს
სასიკვდილო ბრალს თავზე გადებდა?

მგოსანი

თუ ისე მკითხავთ ვით სასიკვდილოდ
გამზადებულებს მათი მოძღვარი,
მარტოობაა მაშინ საჭირო
და მოწმედ მხოლოდ თვით მაცხოვარი.
და თუ პასუხს მთხოვთ როგორც მსაჯული,
გვიანღა არის გასამართლება,
რა-კი ერთხელვე დამნაშავედ მცნეს
და მათ მეფემაც ზედ დართო ნება.
სიკვდილი მელის, გაწყვეტილია
კავშირი ჩემი საქვეყნიერო;
არვისთან რა მაქვს თავშესაწყენი,
სასაყვედურო, ან საპირფერო.

მეფე

კარგი, არ გკითხავ! რაც იყო, იყო!
სულ სხვა რამეზედ აქ მოგიწოდეთ:
უკანასკნელი შენი სურვილი
შეგვატყობინე, გვინდა ვიცოდეთ.

მგოსანი

ბრძანეთ!

მეფე

როდესაც პაგრატის ტახტი
ჩვენ დავიმკვიდრეთ და ჩვენ ვიტვირთეთ,
მეფურსა ჩვენსა მოვალეობას
მისი ვალიცა ზედვე დავურთეთ.
როგორც გვიამბო დღეს ქუთათელმა

და ჩვენ თავადაც გაგვიგონია,
ბაგრატისაგან სავალდებულო
აღთქმული რამე თურმე გქონია.
ის დაპირება ჩვენზედ გადმოდის,
დღეს ჩვენ ხელთ არის იგი უფლება,
და გვთხოვე, რაც გსურს, მეფური სიტყვა
ერთხელ ნათქვამი არ შეიშლება.

(სიჩუმეა, მგოსანი ხმას არ იღებს)

მსაჯულთუხუცესი (მგოსანს)

რაც მოგანიჭეს, ვერ გაიგონე,
ხომ გესმის, მეფე რასაც გიბრძანებს?

(მგოსანი ხმას არ იღებს)

მასხარა

რატომ არ ითხოვს თავისუფლებას?
ნეტავ ვიცოდე, რას აგვიანებს?!

მეფე

ითხოვე, რაც გსურს; ჩვენ მოვალე ვართ
რომ შევასრულოთ ის შენი ნება.

მგოსანი (ხანგრძლივი აღელვების შემდეგ)

მაშ ვითხოვ, მეფევ: ცირას ნუ დასჯი,
იმას არა აქვს დანაშაული,
მე მოვამზადე ის საღალატოდ.
მე აუღელვე უმანკო გული. (ყველა შეკრთება)

მსაჯულთუხუცესი (თავისთვის)

რა სთქვა?

სახლთუხუცესი

რას ამბობს?

მასხარა

გაგიჟდა სწორედ!

მეფე

ღალატი?

მგოსანი

დიაღ, მეც იქ ვერიე,
ვამოვტეხილვარ, ვამბობ მეორედ!

მეფე

ნუთუ შენც...

მგოსანი

დიაღ, მაგით გვინდოდა
ტანჯულ ქვეყნისა წამოყენება...
მაგრამ არ მოხდა... და ჩემზედ აწ კი
ასრულდეს შენი ძალი და ნება!

მეფე (დიდიხნის სიჩუმის შემდეგ)

მაინც ვერ გავსტეხთ ჩვენს მეფურს სიტყვას:
თუ ითხოვ, ეგეც გეპატიება.

მგოსანი

მე მხოლოდ ვითხოვ უფლების ძალით:
უბრალოდ ცირა ნუ დაისჯება.

მეფე

შენ მხოლოდ შენთვის უნდა ითხოვო,
სხვის შესახებ-კი არ შეიძლება.

მგოსანი

არა, მეფეო, უარს ვერ მეტყვით,
მონიჭებული მაქვს ეგ უფლება.

სახლთუხუცესი

კი, მაგრამ შენთვის ვეღარას ითხოვ.

მგოსანი

მე ჩემთვის რა მაქვს აქ სათხოვარი?
უმჯობესია რომ მოკვდეს კაცი,
ვიდრე სცოცხლობდეს ვით ცოცხალმკვდარი.
ჭკუით ურწმუნო და გრძნობით უნდო.
გულგატეხილი რაღა კაცია:
კაცს მაშინ შვენის ქვეყნად არსება
თუ ცხოვრებაში ის მამაცია.

მეფე

მითხარი მაინც შენში რამ აღძრა
მაგგვარი სასოწარკვეთილება?

მგოსანი (ნაღვლიანის ღიმილით)

იმანვე რამაც სხვებს გაუღვიძა
სხვის საბოროტო კმაყოფილება.
ჭაბუკობიდგან მე გულში მედვა
ერთი ანდერძი, ერთი იმედი...
ის იყო ჩემი წმიდა-წმიდათა
ჩემი სულის [illegible] და ჩემი [illegible]

ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეს.
ვფიქრობდი, ვნახავ შეერთებულსო,
დავით. გიორგის და თამარის დროს
ერთ საქართველოდ აყვავებულსო,

(მეფეს სახე ეშლება, მგოსანი შესჩერებია მეფეს)

ამ ტკბილ ოცნების და წრფელ ძრახვების
ორი სხვაც მყვანდა თანამოაზრე:
თვით გურიელი - დიდი მთავარი
და ჯუმათელი სჯულის სიმდიდრე.
თვალწინ მეხატვის მაღალი გორა,
ზედ აგებული წმინდა ტაძარი
და იმის გვერდით თავმომწონებით
შტოებგაშლილი დიდი ჭადარი.
იქ, იმ ჭადრის ქვეშ, სამივეს ერთად
საქვეყნო ბევრი რამ გვირჩევია
და სამშობლოზედ გულაჩვილებულს
ცრემლებიც ერთად დაგვიფრქვევია.
ასე ვფიქრობდით: მივეშველებით...
და ხელს მივაწვდენთ ძმურად ქართლ-კახეთს
შაჰაბაზისგან აოხრებულსა.
მხოლოდ იმისთვის გმირმა მთავარმა
სჯული გასტეხა და იქორწილა
და ცოდვა მისი საშვილიშვილო
თანამძრახველებს გაუნაწილა.

მეფე (წყენით)

ნამეტანს ამბობ! ნუ დაივიწყებ,
მოთმინებასაც რომ აქვს საზღვარი!

მსაჯულთუხუცესი (მგოსანს)

უადგილოა და უსარგებლო
ეგ მოგონება და საუბარი.

მგოსანი

რაღად დავფარო, ვის მოვერიდო
მე სასიკვდილოდ გამზადებული?
საიდუმლო ხმა მელაპარაკებს
და ეს ხმა არის ჯუმათლის სული.
ის მოკვდა, თუმცა-კი სული აქ ბრუნავს
საქართველოსთვის თავგანაწირი.
მეფე აღარ გვავს პირვანდელ მთავარს
და მე რაღა ვარ ამ ქვეყნად მწირი!
რო მოვკვდე, მიჯობს, სასოწარკვეთილს
თავი არ მიღირს არცა ერთ ჩალად,
ნეტავი სხვებსაც არ ვუყურებდე
სხვის ყურმოჭრილ ყმად და მაჩანჩალად.

(მეფე შეიჭმუხვნება)

წავალ, მივმართავ იმ წინაპართ გუნდს,
სამშობლოს მსხვერპლად რომ შეწირულან,
და თუმც საფლავიც არ ღირსებიათ,
მაგრამ ჩვენს გულში კი დამარხულან.
მეც ერთად მათთან, თუ ღირსი გავხდი,
ცრემლებს გადმოვყრი საამქვეყნო ძღვნად,
რომ ის ცრემლები აქ დანთხეულს' სისხლს
წმინდად დაერთოს ციურ მანანად;
და აღმოსცენდეს მით საარსებო
საზრდო რამ ჩვენის შვილისშვილების,
რომ ისინიცა წმინდად მიმღები
ვით ზიარების იმ ნაწილების
იმსჭვალებოდენ წინაპრებსავით
მათი სამშობლოს სადიდებელად
და ღვაწლი მათი საშვილიშვილოდ
გადასცემოდეთ საგალობელად... (სიჩუმეა)
მშვიდობით, მეფევ! შენ აქ დარჩები

სამეფო ტახტზედ მონად მჯდომარე!
მე კი მეფურად შევხვდები სიკვდილს,
დარბაზის ნაცვლად მელის სამარე!

(კარიდან შემოვა დედოფალი, გვირგვინითა და სადედოფლო სამკაულით აღჭურვილი. ცირა თან შემოჰყვება)

დედოფალი

არ შეიძლება! შეაჩერეთ ეგ!
მგოსანს არა აქვს, იცოდეთ, ბრალი!
ვით დედოფალი ახლა ვამტკიცებ
რომ მტყუანია მაგასთან ქალი!...
(ყველანი ზეზე წამოცვივდებიან შეშფოთებით

ყვილა

დედოფალია!

მსაჯულთუხუცესი

და მასთან ისიც...

დედოფალი

ვინც გამიმეტა და გამწირა!
დიაღ, ვბძანე და გამომიყვანეს
საპყრობილედან შემცოდე ცირა!!

მეფე

ამას რას ვხედავ?!

დედოფალი

კარებზე მომდგარს
მესმოდა თქვენი წრფელი მსჯელობა.
პირველად მხიბლავს ჭეშმარიტება...
ვიგრძენ სიმართლის უექველობა!...

წასრული ჩემი ბნელში მავალი
გადავაყოლე შემცდარ გულისთქმას,
მაგრამ უეცრად ბუნებაცვლილი
აწ ვემონები უმაღლეს აღთქმას.

მეფე

თამარ!

დედოფალი

მეფეო! გცოდე როგორც ქმარს
და როგორც მეფეს მოგფინე ბნელი!...
შემცოდე ცის და ქვეყნის წინაშე
შენდობას ვითხოვ მაგდანინელი!..

(დედოფალი ხელიდან ბეჭედს იძრობს. საზოგადო აღშფოთება.)

მსაჯულთუხუცესი

ღმერთო ძლიერო!...

მგოსანი (აღტაცებით)

აი სად ვხედავ
მე სათაყვანო მშვენიერებას!

დედოფალი

ის, ვინც სიცოცხლით ვერ გამაძლარა,
სიკვდილით იგრძნობს სრულ ნეტარებას.

(ახდის ბეჭედს თავს და შესწოვს)

ცირა (შეჰკივლებს და მივარდება)

საწამლავია!

ყველა

მეფე

ჩქარა მკურნალი!...

დედოფალი (ღიმილით)

ველარ მიშველის!
ამაღლდი, მეფევ! ჩემის სიკვდილით
ჩვენი ქვეყანა შენგან ხსნას ელის!... (სუსტდება)

მეფე (მივარდება აჩქარებით)

თამარ!

დედოფალი

მშვიდობით. . ეს საწამლავი
ელვასავით სჭრის... ცეცხლი მედება,
კიწვი! ოჰ, წყალი... მეფეო, მგოსანს
ნუ მოიშორებ... ქვეყნის.., დი...დება!
ოჰ, ოჰ, მშვიდობით!...

მგოსანი

რა დროსა კვდება!!

1885 წ. მარტი.

32 პატარა კახი

(სამი სცენა)

I

(ტყიდან გამოდის პატარა კახი და აღტაცებით იხედება აქეთ-იქით)

პატარა კახი

ძლივს მარტო დავრჩი!.. ოჰ რა კარგია
სამოთხის ნიჭი თავისუფლება!!
რად მინდა რომ ვარ ბატონიშვილი?
და რაღად მიღირს უფლისწულობა,
თუ ჩემს ნებაზედ ბიჯსაც ვერ გავდგამ?
უნდა მივდიო ქვეყნის მაცდურ ხმას!..
მერმე უღელი დავსდგა ჩემს სიყრმეს
და შევაკვეცო ფრთები გულისთქმას!!

(შორიდან სალამურის ხმა მოისმის)

ჩუ!... სალამური!.. მწყემსია სწორედ!
აი, სად არის ბედნიერება:
ცხოვრობს თავისთვის ბუნების შვილი
და გულს უსრულებს, რაც ენატრება.

(დაჯდება და ყურს უგდებს სალამურს)

ვიშ! რა კარგია ეს სალამური!...
როგორ იტაცებს გრძნობა-გონებას!..
სიამით ჰხიბლავს უსაზღვრო სურვილს
და აფერადებს მაცდურს-ოცნებას!!
მიგვაფრენს სადღაც ლაჟვარდ უფსკრულში,
ედემის კიდით, შორეულ მხარეს
და აქ ანათებს ნათლის კავშირით
ჩვენს სიტკბოებას და ჩვენს სიმწარეს...

(დაფიქრდება და ყურს უგდებს სალამურს)

ხმა ტყიდან

პატონიშვილო!... უუუ?

პატარა კახი (შეკრთება)

უჰ, ღვთის რისხვა!
რომ არ ჰომნახო, არ შეიძლება?!
დარბაისლურის ზრდილობით მოხვალ,
რომ მომიწამლო ტკბილი ოცნება!..
უუუ! აქ ვარ!.. აქეთ წამოდი!...

(შემოდის გივი ჩოლოყაშვილი. პატარა კახის აღმხიარულება)

გივი

პატონიშვილო, სად ბძანდებოდი?
ერთ ხანს გეძებე ამ უტეხ ტყეში
და, რომ ვერ გნახე, შიშით ვკვდებოდი!...

კახი

რამ შეგაშინა? მგელი შემჭამდა?
რისთვის ჩამომრჩი? ვისი ბრალია?

გივი

წინ შემხვდა ერთი მოხუცებული,
იმასთან შევსდექ, შემიყოლია.

კახი

მართლა?!... მეც შემხვდა... ვგონებ, ვიცი!
ან დღეს უთუოდ სადმე დამთვრალა:
ფული მიეცი მას სამოწყალო,
იუკადრისა და დამამწყრალა!

გივი

რომ სცოდნებოდა თუ ვინ ბძანდებით,
კადნიერებას ვერ გაბედავდა.

მაგრამ ბრმა არის ის, უსინათლო
და ბატონიშვილს ვერა ხედავდა!..

კახი

გლახაკი, ბრმა და ამპარტავანი?!

გივი

გლახა არ არის, თუმც კი გახლავს ბრმა:
სახელოვანი იყო ის ერთ დროს
და დღესაც სხვაა მაგის გულისთქმა!..
სხვას რამეს ითხოვს მაგისი გრძნობა,
სხვაგან მიჰფრინავს მაგის გონება!
მაგისი ღვაწლი და სამსახური
სამოწყალოთი არ იწონება...
გიორგი არის... გვარად ხმალაძე...
ჰშვენოდა სიმხნე და მამაცობა...
მტერთან საომრად მაგას დაჰყავდა
დაბალი ხალხი და გლეხკაცობა...
მთაში და ბარში სწორად ნაქებსა
დღესაც იგონებს მაგას სუყველა;
გასაოცარი ვაჟკაცობისთვის
მეტი სახელი დაარქვეს „გელა“.

კახი

ეგ არის გელა?

გივი

დიახ, ეგ გახლავს.
დაბრმავებულა ერთი ხანია.
მიკვირს აქამდის რომ ცოცხალია,
რაც მაგას ჭირი აუტანია.
ამდგარა, დადის სოფლიდან სოფლად,
წინ დაუძღვება პატარა ქალი,

და გლეხკაცობას ურჩევს რომ იმათ
გამოახილონ ამ ცუდ დროს თვალი
და მიეშველონ ძმურად ბარელებს
მტრისგან დაჩაგრულს და დამონებულს!
გულის გასახეთქ საყვედურებით
მათაც აშფოთებს და უღელვებს გულს.

კახი

ხალხი რას ამბობს?

გივი

სიტყვას უჯერებს:
ემზადებიან მტერთან საომრად
და, მეთაური თუ გამოუჩნდათ,
მან მიჰყვებიან ყველა ერთპირად.

კახი

მეთაურიო?.. მერე ბატონი
თეიმურაზი რაღასა ბძანებს?

გივი

ჯერ ლოცვაშია!.. ხალხს ღმერთს ავედრებს
და მტერთან ბრძოლას კი აგვიანებს!

კახი

მერე და არ სჯობს რომ უპატრონოს
და ყური უგდოს დაჩაგრულ მოყმებს?
ცრემლით ვედრება და წირვა-ლოცვა
მიანდოს მხოლოდ მან წმინდა მამებს!

გივი

ეგ მართალია! მაგრამ ბატონი
გულის ფრიალმა დაასნეულა...

დღეს ქვეყნის თვალი თქვენ შემოგყურებს
და მხოლოდ თქვენზე იმედობს ყველა.

კახი

მე?

გივი

დიახ, და თქვენცა გმართებთ სიფრთხილე!...
დღეს ჩაგვაშხამეთ კინაღამ დილა:
დაკოდილ დათვზე ხმალდახმალ მისვლა
ვისგან ნახულა? სად გაგონილა?

კახი

მინდოდა მკლავი გამომეცადა,
ერთის მოქნევით გამეპო — მსურდა
და ის მაწუხებს რომ ულონობით
ჩემი სურვილი ვერ შემისრულდა.

გივი

რას ბრძანებთ?! მაგრე მტერს რომ შემოჰკრათ,
თვით ბუმბერაზსაც ჩამოაგდებთ ძირს.

კახი

ნეტავ პირველად ჩემი მახვილი
მტერს მოხვედროდა და არა ნადირს.

გივი

განა მაგას კი ვერ მოესწრებით?

კახი

რაღა დროს, ჩემო მოჰირნახულე?
მეჩვიდმეტეში გადამდგარი ვარ!..,
თექვსმეტი წელი დღეს შევისრულე.
მაგრამ, მორჩილი რომ ვარ ტანადათ,
მიტომ ვგონივართ ყველას პატარა

და ნადირობით გინდათ გამართოთ!..
ტყვილა ნუ ჰფიქრობთ!.. ახლა კი კმარა!
საკუთარ ტანჯვათ მე მიმაჩნია
ჩვენი სამშობლოს უბედურება!
და ვერ ვუყურებ გულდამშვიდებით,
როცა ამდენი სისხლი იღვრება!..
რა დროს ლხინია და ნადირობა!
განა ეს არის დღეს ჩვენი ვალი?!
წადი, მშობელთან მიშუამდგომლე:
გზა დამილოცონ, მიკურთხონ ხმალი!

გივი (აღტაცებით)

გმადლობ, ღმერთო, რომ ამ დღეს მომასწარ!
ამას ელოდა მოხუცი გივი!!..
და ჭირნახული რომ არ წამიხდა,
ბედს არ ვემდური, აღარას ვჩივი!!
ბატონიშვილო, ეგ სიტყვებია,
შენგან რომ მსურდა მე გამეგონა...
მომეცი ხელი რომ გეამბორო! (იჩოქებს)
შენ წინ მუხლს ვიდრეკ ერთგული მონა.

კახი

ნუ! ნუ! ადექი!.. ჩემო გამზრდელო!
ეგ შენს ჭაღარას არ ეკადრება... (აყენებს)
მამაშვილური შენი მოხვევა
გულსა სწყურია!.. სულს ენატრება!

(გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან)

ახლა კი დროა, ჩემო გამზრდელო,
საქმეს შევუდგეთ... დრო ძვირად გვიღირს!..
რევაზმა რისთვის დაიგვიანა?
საფათერაკო ეგებ რამე სჭირს?!

გივი

არა, ბატონო, თქვენ დაკოდილ დათვს
ის გამოუდგა წელან კვალდაკვალ...
შორს არ იქნება და, თუ მიბძანებ.
მე დავუძახებ, ახლავე წავალ!

კახი

კარგი იქნება! მანდ, ვგონებ ახლოს,
მწყემსია ვიღაც, სალამურს უკრავს,
და გადასძახე რომ ჩამოვიდეს,
მაგრამ ნუ ეტყვი ჩემს ვინაობას!

(გივი გადის. კახი დაფიქრდება და ცოტა ხნის შემდეგ ამბობს)

რაები მითხრა ჩემმა გამზრდელმა?!
გული დამწყვიტა და ამიძგერა!..
ღვთისმშობლის ხვედრი საქრისტიანო
რომ ამოვარდეს - სწორეთ არ მჯერა!
მაშინ, როდესაც ბრმაც თურმე სცდილობს
რომ აუხილოს ქვეყანას თვალი,
მე თავხედობათ რათ ჩამეთვლება
რომ ავასრულო სამეფო ვალი?
თუ მამა ჩემი ნამდვილი გმირი
სახელ განთქმული და თავმომწონე
დღეს სნეულებამ ისე დასძლია
რომ მიხდილი აქვს ძალი და ღონე,
მე აქ არა ვარ?... შვილი არა ვარ!?
იმისი ვალი მე არა მხდება?
რა მშობელია მამა რომელიც
ნაშობისაგან არ იდიდება?
კმარა მონობა! კმარა მოთმენა!
დრო არის ადგეს ერთპირათ ერი:
ან ბრძოლის ველზე სული დალიოს,
ან მოიგეროს მოსული მტერი!..
მონას რათ უნდა კრული სიცოცხლე?

ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?
სჯობს მონობაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

II

(ფერდობზე ქოშის გორა მოჩანს, ზედ ეკლესიით. თემობაა გზის
პირად, მუშები სიმინდს სთოხნიან და მღერიან)

მუშები

ყანაო მუშის სამოთხე,
გლეხის დიდებავ ყანაო!
კისკრის სხივებმა შეგმოსა
და ნამმა გადაგბანაო,
დაგქროლა დილის ნიავმა,
ალერსით გითხრა ნანაო.
ქუყუნა წვიმამ ზედ დაგკრა
სურმუხტად აგამწვანაო!

მეთაური

აბა, ბიჭებო, თქეენი ჭირიმე!
ნუ შეჩერდებით ჯერ! ნუ დაღალდით.
ეს ერთიც კიდევ ჩამოვყაროთ.
სულ ჯარასავით დაუტრიალდით!..

მუშები

ნუ გეშინია! გაგვიძეხ! გასწი!
არ ჩამოგრჩებით ჩვენც, მეთაურო!..

1-ლი გლეხი

ხომ ხედავ? ისეც ალმური ავვდის...
რათ გინდა, უფრო რომ გაგვახურო?!

მეთაური

ჰო! მაგრე! მაგრე! თქვენ გენაცვალეთ!
დაჰკარით, სანამ მიწაც სველია!

მოხუცი

ეს ყველა კარგი, მაგრამ უქმს რომ ვსტეხთ,
ეს ვანა კარგი საქციელია?

ახალგაზდა

ვითომ რა იცის?

მოხუცი

როგორ რა იცის?
მაშ აღარ არის მადლი და ცოდვა?
მღვდელმა რა გითხრა?..

ახალგაზდა

მღვდელს რას უყურებ?!
ასე იციან სულ იმათ როტვა.

მე-2-ე გლეხი

იმან თუ არ სთქვა, ჩვენ კი არ ვიცით
რომ უქმის ტეხა, მართლა, ძნელია!

მე-3-ე გლეხი

ნეტავ რას ამბობ? რა დროს ეგ არის,
გეტყობა, საქმე შემოგელია!
ვერ ჰხედავ, ბარში რა ამბავია?
ფესლად მარცვალიც არსად ვარდება!
ჩვენ რომ აქ ახლა უქმეს მივსდიოთ,
ბარი შიმშილით ამოვარდება...

მე-4-ე გლეხი

ახლა სხვა დროა! ღმერთიც არ გვიწყენს:
შრომა მისივე ნაბძანებია...

ახალგაზდა

კარგია ერთი, რაებსა ჰბოდავ?
ვგონებ, სიზმარი დაგზმანებია!...

მეთაური

გაუსვით ჩქარა... ტყეილა ნუ სცდებით.
ცოდვა ჩემ თავზე მე მიმიღია!

ახალგაზდა

აბა დავიწყოთ ისევ მუშური
და ბანი გვითხარ შენ, პირაღია!..

მუშები

ყანაო გულ-ხელგაშლილო,
ქვეყნის მოკეთევ ყანაო!
მოყვრულათ შემოგხვევივართ,
მტრულად გიმეტებთ განაო?
გავმარჯვლავთ ბალახბულახსა,
გავთოხნით ყოველგანაო! (ბუკს აყვირებენ)

ახალგაზდა

რა ამბავია?

მე-2 ე გლეხი

რა უნდა იყოს?
ხატობაა და პუკს აყვირებენ.

ახალგაზდა

ვითომ რათაო?

მე-2-ე გლეხი

აყვირონ, თვარა

გელა იქნება! უთუოდ უნდა
შეჰყაროს ხალხი და უთხრას რამე...

მეთაური

აბა, ბიჭებო... გაუსვით ჩქარა....
მომყევით წყობით, (ახალგაზდას) შენც მხარი მამე.

მუშები

ზედ უფლის თვალი დაგყურებს,
შენი ბარაქა ბძანო,
აგვშორდეს გვალვა და სეტყვა
მოსავლის გამოცანაო!..
ყანაო, ოქრო-ზურმუხტო!
ყანაო, ჩემო ყანაო,
მაღალმა ღმერთმა აკურთხოს
სხვაც ბევრი შენისთანაო!..
(შემოდიან: მოხუცი გელა და ყმაწვილი გლეხი)
ჰაა... გამარჯობა! რასა იქ, გელა?
არაფერს გვეტყვი დღეს ახალ ამბავს?

გელა

გაუკრავსთ პირი თავადიშვილებს...
და აპირებენ რაღაცა ამბავს...
ამბობენ: კმარა რაც უსჯულოებს
ვემონებოდით ამდენ ხანსაო!..
ახლა კი დროა რომ მათი სისხლით
წითლად ვღებავდეთ ალაზანსაო!

1-ლი გლეხი

ეტყობა, ეხლა აღარ ხუმრობენ!

მე-2-ე გლეხი

ემზადებიან?..

მე-3-ე გლეხი

ჩვენ რაღას ვშვრებით?

მოხუცი გლეხი

რაღა უნდა ვქნათ? ჩვენც კაცები ვართ
და ქუდი გვხურავს, რათ ჩამოვრჩებით?

მე-4 ე გლეხი

განა როდისმე ჩამოვრჩენილვართ?!

მე 3-მე გლეხი

ან უკან როდის დაგვიხევია!..

მეთაური

მათ ხმალთან ერთად უჭრია ჩვენსას
და ფარიც ერთად დაგვიხევია.

მოხუცი

კი, მაგრამ ყველას რომ აღარა გვაქვს
თოფ-იარაღი?

ახალგაზდა

რათ გინდა მეტი?
ჩარეულ ომში რაღა ნაკლეა
შენს ხმალ-ხანჯალზე ქვები და კეტი?

1-ლი გლეხი

ცული და წალდი ხომ ყველასა გვაქვს!

მე-2-ე გლეხი

და ეს კი განა არ გამოდგება? . (უჩვენებს თოხს)
პირიც კარგი აქვს, ყუაც კარგი აქვს...
გამომდგარია... რათ უნდა ქება?..

ვითომ გიმტყუნოთ?! თქვენ არ მომიკვდეთ!
ნუ გეშინიანთ, დაატრიალეთ!

გელა

თქვენი ჭირიმე, ბიჭებო, თქვენი,
რომ მაგას ამბობთ! თქვენ გენაცვალეთ!

1-ლი გლეხი

ჩვენი მამები თუ კი ომობდენ,
იმათზე ნაკლე ჩვენ რიღათი ვართ?
თუ წინ წამძღოლი ვინმე გვეყოლა,
გულდაგულ მივალთ... ყველა მზათა ვართ!

გელა

წინამძღოლს ეძებთ? — მე აქ არა ვარ!
რათ გავიწყდებათ ნაცადი გელა?

მეთაური

კი, მაგრამ დღეს რომ ვეღარა ხედავს,
საუბედუროთ მისათვის ბნელა!..

გელა

ეგ არაფერი... მართალი არის,
ვეღარას ვხედავ, დამიდგა თვალი,
მაგრამ, სანამდი გვერდში მიდგია
და ხელსაც მკიდებს ეს ჩემი ქალი.
არა მიჭირს რა! ისევ გულადათ
მივეგებები ჩვენი ქვეყნის მტერს.
გელას დანახვა ჩვეულებრივათ
მას შეაშინებს და შეუცვლის ფერს...
თქვენ კი მომყევით!. მაგრამ ჯერ უნდა
ჩვენს მეზობლებსაც შევატყობინოთ
და სავაჟკაცო ჩვენი განძრახვა
წასაქეზებლათ ყველგან მოვფინოთ.
არა გვიშავს რა, ჩვენი ქვეყანა

ისე მაგრად სდგას როგორც რომ მუხა:
მტერი მუმლივით ეხვევა, მაგრამ
ჯერ ვერ გაახმო, თუმცა შეაწუხა...
„მუმლი მუხასა“ მუშურს რომ ვამბობთ,
არ ვმღერთ უაზროთ და უადგილოთ:
არა, იმაში სიბრძნეა ხალხის
გადმონაცემი საშვილიშვილოთ.

მუშები

შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ მაგრე გიჭრის ჭკუა-გონება.
ეგ შენი კარგი სიტყვა-პასუხი,
გულს რომ გვიმთელებს, სულს ეფონება!.
წავიდეთ, აბა რაღას ვგვიანობთ!

მეთაური

მართლა, აწ დროა, წავიდეთ ყველა!..
ეს გზა სიმღერით გადავიაროთ!
აბა წაგვიძეხ ისევ შენ, გელა!...

ეზს გაიღებენ მხარზე; გელა ქალს მიჰყავს წინ და სიმღერით

მუმლი მუხასათ
გარს ეხვეოდათ,
გარს ეხვეოდათ,
ვერას აკლებდათ:
მუმლი წყდებოდათ,
მუმლი ქრებოდათ,
ხე არ ხმებოდათ,
ხეთვე რჩებოდათ;
მუმლი მუხასათ
გარს ეხვეოდათ!

III

(სასახლეში დარბაზია გამართული: მეფე, დედოფალი, გივი, ბაადურ-კუდ
და სხვანი)

ბაადურ

საპყარი მოველ, ვერ გადავუდეგ
პატონიშვილის მოციქულობას:
და თქვენის რისხვით, ჩემო ხელმწიფევ,
ნუ შეურაცხყოფთ შუამდგომლობას!

მეფე

ჩემო ბაადურ! რა უნდა გითხრა?
მაგის პასუხი ახლა ძნელია!.
სიჩქარით „ჰო“ და „არა“ არ ითქმის,
როდესაც საქმე საეჭველია.
უანგარიშოთ და უფიქრელათ
საშიში არის ბედის მინდობა!
ვაი თუ უფრო გავაზვიადოთ
ახალგაზდოპის ჩვენ თავხედობა!

გივი

გვიანღა გახლავსთ ახლა სიფრთხილე!
ამდენ მუქარას და ამდენ სირცხვილს
არ გვირჩევნია ღმერთი ვახსენოთ
და დავეთანხმოთ დღეს პატონიშვილს?

მეფე

თქვენ, დედოფალო, რაღას გვიბძანებთ?

დედოფალი

გივს ვეთანხმები, რადგან ფრთხილია
და ძნელ საქმეში წინდახედული
ყველაზე უფრო გამოცდილია.

მეფე

აქამდი სწორეთ მაგრე მეგონა,
მაგრამ დღეს ეგეც კი შემცდარია:
ჯერ უმისოთაც წამხდარი საქმე
მაგან სულ უფრო არივდარია!
ვერა ხედავდა რომ ჯერ ირაკლი
აპოდენ ჯარს ვერ მოგვიგერებდა?
რათ არ ურჩია როგორც მის გაზრდილს,
მაგას ხომ სიტყვას დაუჯერებდა?

გივი

ჩემო ხელმწიფევ, ეგებ ის სჯობდეს,
ბატონიშვილი რასაც აპირებს!

მეფე

როგორ თუ სჯობდეს?! შენი პასუხი
ვერ გამიგია, სწორეთ მაკვირვებს:
ავათ თუ კარგათ დღემდის ვუძლებდით
შინ შემოსეულ მტრების მონებას
და დღეიდან კი გარისხებულნი
ვამოგვაცლიან ყოველ ქონებას.
ვერ გაიგონე, რა შემოთვალეს?
როგორი სიტყვა და რა მუქარა?
დღეიდან მაგათ დასამშვიდებლათ,
ხარკი რომ მივსცეთ, ის აღარ კმარა:
უღელზე კიდევ უღელს დაგვადგმენ,
აუტანელი გახდება ტვირთი;
თუ გავუძალდით, სრულად წაგვლეკავს
მაგათი ღელვა, მაგათი ზვირთი.

დედოფალი

ჩემო ხელმწიფევ, არც მაგრე ვარგა
გულის გატეხა და შეშინება!

ბაადურ

ბარემ სულ გავწყდეთ, ის გვირჩევნია!..

გივი

ჩვენ გავცემთ პასუხს, გვიბოძეთ ნება!
საშვილიშვილოთ რომ ამოვვარდეთ,
აგრე ღმერთს როგორ დავავიწყდებით!?
უთქვამთ: „ცდა ბედის მონახევრეა!“
ან გავიმარჯვებთ, ან სულ გავწყდებით!

მეფე

კერძოთ თუ მკითხავთ, მეც თანახმა ვარ,
როგორც მეფეს კი არ მაქვს უფლება:
ჩემ ხელში არის მთელი სამეფო, —
ბედის გამოცდა არ შეიძლება!...
როგორ გავწირო მთელი ქვეყანა,
ღმერთთან და კაცთან დავრჩე მოვალე?!
ეს დრო და ჟამი ცვალებადია!
დღეს ვინ რა იცის, რას გვეტყვის „ხვალე“?
თუ ყმაწვილობით ბატონიშვილმა
მოულოდნელათ ცეცხლში ჩაგვყარა,
რომ გაასწოროს აწ ის შეცდომა,
მოვალე არის ჩვენი ჭაღარა.

დედოფალი

რას იტყვი, გივო, ხომ გაიგონე
ბატონის მეფის ბრძნული ბძანება?

გივი

თანახმა არ ვარ, ჩემო ხელმწიფე,
და პასუხს ვკადრებ, თუ მომცა ნება...

მეფე

სთქვი და მოვისმენთ!

გივი

გმადლობ, ბატონო!
ღმერთმა გიკურთხოსთ დიდსულოვნება!
ყველა ვხედავდით, რაც ჩვენ ქვეყანას
მოადგა მტრისგან ტანჯვა და ვნება...
ყოველ სოფელში, ყოველ ციხეში
ჩამდგარი იყო იმათი ჯარი,
აღარ რჩებოდათ შეუბღალავათ
არა სიწმინდე, ხატი და ჯვარი,
სიამტკბილობა და მოთმინება
ჩვენი იმათთან არ გადიოდა.
ქვეყნის ორგულებს პატივსა სცემდენ
და ერთგულს ყველას ცრემლი სდიოდა.
ამით უნდოდათ რომ საქართველო
ზნეობით სრულათ დაცემულიყო
და საუკუნოთ მონების ჯაჭვით
მომხიბლელ მტერთან გადაბმულიყო!.
დღეს და ხვალობით ცოტცოტათ სენი
კაუჯდა მხარეს რბილში და ძვალში!
რომ ცოტა ხანი კიდევ დასცლოდა,
სიკვდილს უქადდა მას მომავალში.
მაგრამ გამოსჩნდა მკურნალათ გმირი,
რომ ზნეობითი შეევსო ნაკლი
და უწინამძღვრა...

დედოფალი

(სიტყვას აწყვეტინებს) ეს გმირი იყო
პატარა კახი! ჩემი ირაკლი?

გივი

დიახ ირაკლი! ანდამატივით
გარს შემოისხა ყმაწვილკაცობა
და მათ უჩვენა სამაგალითოდ
პირადი ღვაწლი და მამაცობა:

დაჰყო ცალ-ცალკე გუნდებათ ჯარი,.
ყველა კი მასვე ეთანხმებოდა
და, მტერს თუ სადმე შეუგულებდა,
მოულოდნელად თავს ესხმებოდა.
ციხე-კოშკებში ჩაემწყვდა მტერი,
გარეთ გამოსვლას ველარ ჰბედავდა...

მეფე (სიტყვას აწყვეტინებს)

ყმაწვილკაცობაც წაქეზებული
მწარე მომავალს ველარ ჰხედავდა!
დააგდო მტერმა სიმაგრეები
და აქ მოგვადგა შეერთებულათ,
რომ სრულის ძალით ბარემ ერთთავად
საშვილიშვილოთ გაგვსრისოს სრულათ!..

გივი

ეგ მართალია! მაგას ჰფიქრობენ
და ალისკანტიც იმათვე ჰშველის,
მაგრამ არ ჰძინავს არც პატარა კახს!..
მომსვლელს, იცოდეს, დამხვედრიც ელის!.

ბაადურ

ჩემო ხელმწიფევ, იყო დრო, როცა
დიდსულოვნებით მეც მიგდებდით ყურს...
დღეს სნეულ-საპყარს რაღა მეკითხვის,
მაგრამ არ იშლის გული სამსახურს!...
მეც უნდა გკადროთ უგნური სიტყვა,
რომ არ ჩავიკლა გულში უთქმელათ:
ამ დროში ყველა არ გამოდგება,
რაც სასარგებლო ყოფილა ძველათ.
ცვალებადია წუთისსამყარო.
რაც კი არსებობს, ყველა იცვლება:
წარსული არ ჰგავს აწმყოს, მომავალს,
სხვადასხვა არის მოთხოვნილება.

ჩვენი დროება სულ სხვა დრო იყო,
ახლა კი სულ სხვა დრო და ჟამია!
მადლობა უფალს, ავათ თუ კარგათ
ჩვენ ჩვენი პური მოგვიჭამია!
ეს დრო მივანდოთ ახალთაობას,
იმის რიგია, იმან განაგოს!
წაახდენს რამეს თუ გააკეთებს,
ღვთის და კაცის წინ პასუხიც აგოს...
წინდახედული პატარა კახი
არას ჩაიდენს სასინანულოს!
არ იკისრებდა პირდაპირობას,
თუ არ ჰხედავდეს სასურველ ბოლოს!

მეფე

(დედოფალს) თქვენ რაღას ბძანებთ?

დედოფალი

თქვენ დიდ გონებას
რაღას შემატებს სიტყვა და რჩევა!
მაგრამ სიბრძნესაც კი ეჭირვება,
ზეცის თანხმობა და ღვთის კურთხევა.
თვით მამა ჩემი, მეფე ვახტანგი,
ამის მაგალითს გვიჩვენებს ნათლათ:
სიმხნით და სიბრძნით თანსწორ განთქმულმა
თავი შესწირა მის სამშობლოს მთლად;
მისი სულის დგმა, მისი გულის თქმა
ქვეყნისთვის ჰქონდა მას შეწირული...
ყოველი მისი ბიჯის გადადგმა
თვით სიბრძნე იყო წინდახედული!..
მაგრამ შავბედის უკულმართობა
მას ხელს უშლიდა ყველგან. უეცრათ
და მის ყოველი მეფური ღვაწლი
ბოლოს რჩებოდა მტვრათა და ნაცრათ:
და უცხო მხარეს იმ ნათლით მოსილს

სიკვდილის წინეთ ეს წამოეთქვა:
„აქვე დამმარხეთ და საქართველო
გულზე მედება ვით სამარის ქვა!“
ზედ ეწერება: „სადაც ველარ სჭრის
სიფრთხილე და შორსგამჭვრეტელობა.
იქ სჯობნებია გამბედაობა
და ღვთის ნანდობი უეჭველობა!“
დღეს ამ დღეშია სწორეთ სამეფო...

მეფე

თქვენც მაგას ბძანებთ?

დედოფალი

დიახ, ბატონო!

მეფე

მაშ გაგიწირავს რაღა ქვეყანა?
მაგრამ მსურს ერთიც რამ მოგაგონო.
ჩვენს ქვეყანასთან ხომ უნდა იქმნეს
პატარა კახიც თან განწირული
და როგორც დედას ერთი შვილისას
რას გეუბნება, რას გირჩევს გული?

დედოფალი

როგორც ქართველ ქალს ჩემი ირაკლი
ქვეყნისა მსხვერპლად გამომიზდია
და სხვა დედებთან მეც ერთად ჩემი
მოვალეობა გადამიხდია!
გადახდეს მასაც გადასახადი,
ქვეყნის სამსხვერპლო სესხი და ვალი!..
და ჩვენც ღმერთს ვსთხოვოთ: აუმჯობესოს
მისი ვარსკვლავი და მომავალი!

მეფე

(დიდი ფიქრის შემდეგ)

მაშ კარგი! ახლა მეც გეთანხმები,
უკუ მიგდია ჩემი სურვილი!..
ნება გაქვს, გიჟო, ახლავ წახვიდე
და შემომგვარო თავხედი შვილი.

(შემოდის პატარა კახი ამალით)

მეფე

დარბაისლების მოციქულობამ
და დედაშენის სურვილმა გასჭრა!..
მაგრამ ხომ ჰხედავ რომ სნეულობამ
ასე უეცრათ გულს ისარი მკრა?
არ შემიძლია ჩვეულებრივათ
რაზმის დაწყობა... ომში ტრიალი...
და მოახერხებ შენ რომ იკისრო
წინ დახედულათ დღეს ჩვენი ვალი?

კახი

ვეცდები თქვენი ხელმძღვანელობით.

მეფე

კეთილი! მაგრამ რისი იმედით?
იმათი ჯარი უთვალავია!

კახი

არა გვიჭირს—რა, ჩვენც მზათა ვართ ღვთით.
მართალი არის, იმათი ჯარი
ჩვენსაზე ცხადათ უფრო ბევრია,
მაგრამ გავუძლებთ მათ ვაჟკაცობას!!
რიცხვით მეტობა არაფერია!...

გიჟი

იმათზე უფრო მე ალისკანტი
მეჩოთირება და ის მაფიქრებს:

სამიათასი ლეკით მოსულა
და მისასვლელზე მტერს ზურგს უმაგრებს.

ბაადურ

დალახვროს ღმერთმა! რა მედროვეა?!
რომ ვეღარ გაძლო ის ჩვენი სისხლით!
ნეტავ შემეძლოს, ახლაც დაველურში
რომ გამოვიხმო თქვენის სიცოცხლით.
ჩემ დროში მაგას ბევრი სხვა სჯობდა.
მაგრამ სუყველას დედა ვუტირე!..

კახი

ნუ გეშინიან... იმას ამ დროშიც
გამოუჩნდება მოპირდაპირე!

მეფე

თუში ბევრი გყავს?

კახი

სამასი კაცი!

მეფე

ფშავ-ხევსურები?

კახი

ცხრა ასიოდე!

მეფე

სარდლათ მიეცი მათ ჭავჭავაძე!
ლეკებს ეომონ მხოლოდ, იცოდე!

კახი

ჩვენც ეგ დავსკვენით.

მეფე

მემარჯვენე სარდლათ
ვინა გყავს, შვილო, გამორჩეული?

კახი

ქვაბულიძეა ლევან.

მეფე

მემარცხნეთ?

კახი

მემარცხნეთ რევაზ ბებურიშვილი.

მეფე

მიმშველი ჯარის?

კახი

ჯანდიერია!

მეფე

მოწინავესი?

კახი

მე ვარ, ბატონო!

მეფე

შენა ხარ? ეგ კი უხერხულია!
არ შემიძლია რომ მოგიწონო!..
შენ უნდა დარჩე მთავარსარდალთან,
რომ ყოველის მხრით გეჭიროს თვალი!
სარდალს არ ჰფერობს მოწინაობა,
როდესაც სულ სხვა იწოდებს ვალი...

კახი

თქვენი ნებაა!

მეფე

მაშ კარგი, შვილო!
ახლა კი დროა გზა დავილოცო!..

ეს მინდა გულზე რომ გადაგკიდო
ჯერ კი მუხლმოყრით უნდა აკოცო
ამ ძელჭეშმარიტს და ამ სასწაულს!
ეს იყოს, შვილო, შენი მფარველი!
ახლა კი ადექ, მომიახლოვდი,
გადაგეხვევი, მომხვიე ხელი!

(კოცნის)

მშვიდობით, შვილო! მაღალმა ღმერთმა
ვიწინამძღვროს და მოგმადლოს ძლევა!
ახლა დედასთან მიდი.   იახელ
და გამოსთხოვე ლოცვა-კურთხევა!

(ცრემლი ერევა)

დედოფალი

დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა
გაკურთხოს, შვილო, გზა წარგიმართოს!

(კოცნის)

გივო, გაბარებ უკანასკნელათ
და ნუ გაუშვებ საომრათ მარტოს!

(ეთხოვებიან. ირაკლი გადის ამალით, გივი გაჰყვება. სიჩუმეა. მეფე აღელვებულია და ორივე ხელები გულზე აქვს მიდებული, დედოფალი ცრემლებს იწმენდს, ქალები ჩუმათ ქვითინებენ)

ბაადურ

როგორ ბძანდები, ჩემო ხელმწიფევ?
გულის ფრიალმა გიკლოთ თუ არა?

მეფე

ლამის მომიდნოს, ჩემო ბაადურ!
ახლა კი ცოტა გადამიარა.

(სიჩუმეა)

(დედოფალს) მტერი მიიღებს პასუხს თუ არა,
უეჭველია ბრძოლაც ასტყდება.

და დედა-წულის აქ დატოვება
საშიში არის... არ ევარგება!...
ჩვენც, დედოფალო, უნდა წავიდეთ.
აქ აღარავის მოგვასვენებენ.
სუყოველიფერ აქაურ ამბავს
იქ შიკრიკები მოგვახსენებენ.

დედოფალი

ჩემო ხელმწიფევ! მე სუყოველთვის
ვყოფილვარ თქვენი სურვილის მონა.
მაგრამ დღეს უნდა სიტყვა შეგკადრო
და შემისრულეთ ეს ერთი თხოვნა:
მინდა რომ შვილის მახლობლათ დავრჩე ..
მის მოქმედებას თვალით ვუყურო
და თანდასწრებით ან მწუხარების
ან სიხარულის ცრემლები ვღვარო!

ელენე

დიდო ხელმწიფევ, ჩვენც გადავსწყვიტეთ
რომ აქვე დავრჩეთ ყველა მახლობლათ.
ჩვენის ქმრების და ჩვენის შვილების
სანუგეშოთ და გასამხნევებლათ!

ბაადურ

ბატონო მეფევ! მეც მინდა დავრჩე,
ამათი მხვედრი გავიზიარო,
რომ ფეხალაგობ შემომსევ მტერზე
ეს ძველი ხმალი კიდევ ვიხმარო.

(სიჩუმეა)

დედოფალი

პასუხს მოველით და რას გვიბძანებთ?

მეფე

რაღა უნდა ვსთქვა? (აღელვებით) მეც თქვენთანა ვარ!
(დედოფალს) ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი,
ჩემის გვირგვინის გვირგვინო თამარ!..

1880 წელი.

33 მომავალი სიხარული

I

ვის იგლოვ იერემია?
თავზე რად იყრი ნაცარსა?
რათ სტირი იერუსალიმს
და სოლომონის ტაძარსა?
ვინ იგულისხმებს გოდებას,
როცა შენ ერთი სტიროდე,
თუ იმავე დროს ილხენდეს
ათიათასი იროდე?
„ძალა აღმართს ხნავს!“ ღვთის რისხვას
ხელი არ შეეფარება!..
ძნელია, როცა მოყვრულათ
მტერი კაცს შეეპარება.
უქმია მაშინ ტირილი
და — უნაყოფო გოდება!..
იხრწნება ფარისევლობით
თანასწორ ყველა წოდება:
თავადი აღარ თავადობს.
არც სადმე აზნაურია!
აღარც მღვდელია, არც ერი...
ყველა ღვთის უმადურია!
იუდიანი იროდე
ორწილათ რომაელია:
მგელია მისის ქვეყნისთვის...
სამშობლოს გამომხვრელია!
თუმც კაიაფა და ანნა
ებრაელთ მღვდელმთავარია,
მაგრამ კი რომაელობა
მათშიაც ნახევარია.
ხალხიც შეყურებს თავადებს
და მათი მიმდევარია,
რომ ხელს უწყობს ცალკ-ცალკე,
აპრიყვებს, გაუხარია!
მოტყუებული ქვეყანა
ივიწყებს ძველსა დიდებას:
წამოაყენებს იუდას
და ჰყიდის ჭეშმარიტებას.
პონტოელი კი პილატე
ფიქრობს: „დაუდგათ თვალიო!“
განზე გამდგარი ხელს იბანს,
ამბობს: „მე არ მაქვს ბრალიო!“
ეს ყველა ერთაშორისი
ძალმომრეობის წესია:
იქ ვარდს და იას ვინ მოჰკრეფს,
სადაც ეკალი სთესია!?
აი რას ხედავს და სტირის
წინასწარ იერემია!..
ცრემლი თუმც მკვდარს ვერ აღა გენს.
მაგრამ ნუგეშისმცემია!..
იერემიას გოდებით
რომ ვინუგეშო, მეც მინდა,
თუ სევდა გადამეყარა
და თვალზე ცრემლი მეწმინდა.
მაგრამ მე რა მჯის მიბაძვას?
სად წმინდა კვერთხი! სად ჩხირი
სად ჩემი სტვირი, სად მისი
იერიქონის საყვირი?..

II

შემკრა-შემბოჭა შავბედმა,
ტანჯვება ვამიზვადა

ა მწუხარება შავკუპრი
ულზე დამაწვა ტყვიადა.
მეზარევ, ზარი აუშვი
ირან გმირის კვნესითა!
ა გრძნობას შეუთანხმე
კელ ჩვეულება-წესითა.
და ნაღველ-ქაფათ ვამილღვე
მძიმე ტვირთი გულისა,
ომ ნიშნათ გადმოვანთხიო
ომავალ სიხარულისა!
„ვაი“ და „უი“ წარსულსა,
უი“ და „ვაი“ აწმყოსა,
უ მომავალმა იმედი
ალამოდ გულს არ აცხოსა!
რომ ეს მალამო არ მქონდეს,
ა გაუძლებდა ჩემს წყლულსა
ა ჯოჯოხეთის სახნისით
ადაპრუნებულ გლახგულსა?
მაგრამ დიდება შემოქმედს!
ძლევს ქვეყნის სავალალოსა:
ანასწორ ამოაცენებს
აწამლავ-სამკურნალოსა.
მეც ცისარტყელათ მესახვის
მედი მომავალისა,
ყნარი, შვიდფერი, შვიდძალი,
კბილათ ამხელი თვალისა.
იქ ვხედავ მეთაურებსა
ანგამოცვლილათ სუყველას
ოგორც ყოფილსა მყრალ ქიათ
როშუმისა პეპელას.
აღარ არიან მათ შორის
კოლიკ-ტეტიკელები
ომ მოძმეთ გასაცარცვავათ
ფოთარონ ხელები.
მათ ნაცვლათ სხვები ჩაპმულან
მეთაურ-მოწინავეთა,
გზადაბნეულის ხალხისთვის
მოსეთ და ისუ-ნავეთა.
შრომობენ მოციქულებრივ,
თავი არ მოაქვსთ დიდათა
და კერძოს საზოგადოსთვის
აგებენ გზათ და ხიდათა!..
ეს არის მსხვერპლი საერო!
ეს არის აღთქმა და შველა!..
და ერიც „აღთქმულ-ქვეყანას“.
უახლოვდება ნელნელა...

III

ვხედავ, ვხედავ „მომავალში“:
გამოსულა მუშად ერი,
ერთმანეთთან შეთანხმებით
ძლიერი და ბედნიერი.
გზა გაჰყავს და ხიდსაც აგებს
სისხლითა და ოფლით რწყულსა
და მამულის მოიმედე
აღარ იმჩნევს წყლულათ წყლულსა.
გამარჯობა ნამდვილ მუშებს!
ვაშა, ვაშა მომავალსა!.
ის ასწორებს დღევანდლების
გამრუდებულ გზა და კვალსა.
გაასწორებს და გზას მისცემს
ტარიელს და ავთანდილსა,
ამირანის სისხლ-ცრემლებით
ქართველებათ გამოზდილსა.
ნეტავ იმ დროს და მის დამსწრეს:
ზეზეულ გრძნობს ცხონებასა!
არც ისურვებს ბატონობას
და არც ვისმეს მონებასა.

აღიარებს მხოლოდ ძმობას.
თანასწორობას, სიყვარულსა
და საზღვარი არ ექნება
მის უმანკო სიხარულსა!
შორით ვხედავ იმ ნეტარ დროს
ამ ცუდ დროში დანაბადი
და ანდერძათ მხოლოდ რჩება
ჩემი გული და ნაბადი!
დიახ... მხოლოდ ანდერძად-ღა!
მაგრამ მაინც იმედია:
მომავალი სიხარულიც
ნეტარება და ბედია!..
რა ვუყოთ რომ ვერ მოვესწარ!
სიკვდილის წინ ხომ მაინც ვგრძნო
მომავალ ბედს! და ამ გრძნობას
სულთან მბრძოლი თან ჩავიდნობ:
არ მომკვდარა საქართველო,
აყვავდება ერთხელ კიდე
და გაისმის ძველებურათ
იმისი ხმა კიდით-კიდე!

1902 წ. 2 ნოემბ.

III ზღაპრები და სინამდვილე:

34 ალექსი

ზღაპარი ყმაწვილებისათვის

I

შვილო ალექსი!
მსურს გითხრა ლექსი,
საკუთრათ შენთვის მოვმართო ქნარი.
დამიგდე ყური!..
ვით ლუკმა პური
ისე შეგერგოს შენ ეს ზღაპარი!
აბა დავიწყო:
იყო და იყო,
ღვთის უკეთესი არა იყო-რა.
აქედამ წაღმა
ცხრა მთას გადაღმა,
იდგა პატარა, ლამაზი გორა,
რომელიც მუდამ
ჯვის სიმაღლიდამ
რაღაც მოლხენით დამზერდა ჰალას.
მის წინ გაშლილსა,
სამოთხეთ ქმნილსა,
და მასში სჭვრეტდა ბუნების ძალას.
ეს აგარაკი,
გაშენდა რაკი,
აყვავდა ტურფათ, სხვადასხვაფერათ:
გაჩნდენ ჩიტები,
გაშალეს ფრთები,
დაიწყეს მღერა გულის მაძგერათ.
თქვეს: „ვნახეთ ზღუდე,
ვაკეთოთ ბუდე,
ეს ხეები სულ ჩვენ-ჩვენთვის გავჰყოთ:
ვიხაროთ გული,

ზამთარ-ზაფხული
უზრუნველათა გვიჯობს აქ დავჰყოთ".
თქვეს, გაიხარეს,
წილიც არ ჰყარეს,
დაეპატრონენ ისე თითო ხეს.
შრომა დაიწყეს,
ზარმაცი ჰკიცხეს,
ყველა უვლიდა-თავთავის კუთხეს.
მშვიდობიანს გვრიტს,
იმ უწყინარ ჩიტს,
ერგო მაღალი ხე ნაკერჩხალი:
ვერ ნახა წუნი,
იწყო ღუღუნი,
თქვა: „ხეც პურში დგას, ახლოც მაქვს წყალი:
რომ დავიბუდებ,
კვერცხებსაც დავდებ
და იქიდამა ორ ხუნდს გამოვჩეკ;
მათ გასაზრდელათ
მე ახლოს ხელათ
წყალსაც ვიშოვნი და პურსაც ავკენკ".
დასკვნა ეს რჩევა
და ღმერთს კურთხევა
შეძღვნა და ძღვენიც არ იყოს ის ცრუ:
დილა-საღამოს.
ტკბილ და საამოს
ლოცულობს გვრიტი, იძახის „ღრუ! ღრუ!"
ყვანჩალა ყვავმა,
ავმა და შავმა
ჯერ გაიცინა, მოჰყვა: „ხე! ხე! ხე!
ჩემ სამოსახლოს
ვხედავ მე ახლოს,
ძალიან მომწონს დიდი ნიგვზის ხე:
ბუდეს ვიკეთებ,
ჩიტებს ვაფეთებ,

კვერცხებს დავდებ და ბარტყებს გამოვტეხ.
შორს აღარ ვეძებ
საკენკარს: უცებ
აქვე ვიშოვი, კაკალს რომ გავტეხ".
ეს განიზრახა,
გაალო ხახა
და შემოსძახა მაღლა ხმით. „ყვა! ყვა!"
თვით მოეწონა,
ასე ეგონა
თუ მგალობელი ტოლი აღარ ჰყვა!..
პატარა მწყერმა,
იმ პურის მტერმა,
ხე რომ იხილა, „რათ მინდაო?" — თქვა
და პურში შეძვრა,
მიწას დაეკრა
და იქ დაიწყო მან ჩუმათ გოგვა.
თქვა: „რას დავეძებ!
კვერცხებს ბევრს დავდებ
და წიწილებსაც ბლომათ გამოვჩეკ.
ოხრათ მაქვს პური,
ბედს რათ ვემდური?"
გაგოგდა, იწყო პურში: „ბეკ! ბეკ! ბეკ!"
მგოგავმა შაშვმა,
არ ავმა, შავმა,
რომ დაინახა დიდ ეკლის ბურდი,
მას მიაშურა,
სხვას არ უყურა,
ისე შეძვრა შიგ როგორც რომ ქურდი.
თავისთვის ჩქარა
დაესახლკარა
და ოჯახობას მიჰყო მან ხელი.
ჭიაც იქ ჰქონდა,
საზრდოც მიჰქონდა.

საამოთ სტვენდა,
ყველას ალხენდა,
სალამურივით რა გაჰკიოდა
იმ არე-მარეს,
ტკბილათ მდუმარეს, —
სხვა ზრუნვით თავი მას არ სტკიოდა.
შავი მერცხალი
როგორც რომ მთვრალი
დაბარბაცობდა, ჰფრენდა ტრიალით.
უჭრიდა რა გზებს
მომფრინავ ბუზებს,
საზრდოთ უჭვრეტდა მათ მტრული თვალით;
რა გაძღებოდა,
შტოზე ჯდებოდა,
იწყებდა ხოლმე ჭიკჭიკს საამოს;
მერე ვით ქალი,
წყნარ პატარძალი,
შინ მიჰფრინავდა ყოველ საღამოს.
მაგრამ გუგულმა
ცრუმ და ცივგულმა
ასე სთქვა: „ბუდის არ მაქვს, ჯავრიო,
სჯობს სხვის ზღუდეში,
მე მზა ბუდეში
სხვის კვერცხებშია ჩემიც გავრიო!
მას ეგონება —
არ აქვს გონება —
მისი და ზედაც კრუხათ დაჯდება.
და, როს გამოტეხს,
თავებს დაუტეხს
ჩემი ბარტყი სხვებს, თვით გაიზრდება.
სხვებს ვიმსახურებ,
სეირს ვუყურებ,
მე ხის წვერზედა შევჯდები დილით
და მე იქიდან
ბრაწებს დავატან
გამვლელ-გამომვლელს „გუგუს“ ძახილით“.
მაშინ ბულბულმა,

ტკბილ გრძნობით სრულმა,
მიმართა ვარდნარს სიამოვნებით:
და რომ დაჰხედა,
ვარდის ბუჩქზედა
ბუდე გამართა თავმოწონებით.
კოკობი ვარდი,
იმისი დარდი,
თვალთ წინ საამოთ ეფურჩქნებოდა;
და მით ბულბული
აღელვებული
მეტი ეშხითა თითქოს დნებოდა.
ვარდი კოკობი
ბაღჩისა მკობი
ბულბულის გულსა ცეცხლს უკიდებდა:
და არემარე
მუდამ მდუმარე
ვარდის მღერალსა ყურსა უგდებდა.
ბულბული ამკობს,
ვარდიც ამაყობს,
შურით კი ჰკნება საბრალო ია:
და იადონი
თავის მომწონი
რას დასდევს იას, სტვენს: „ტია! ტია!"
ასე, ამგვარად,
მარად და მარად
სტვენდენ სხვადასხვა გვარის ჩიტები:
დღიური საზრდო
ყველას წინ ედო
და შესაქცევათ მარგალიტები.
ეს ტურფა მხარე
ტკბილათ მდუმარე
ეკუთვნოდა ერთ მშვიდობიან ცხვარს
და კმაყოფილი
ის მადლის შვილი
მადლობას ძღვნიდა თავის მაცხოვარს.

II

ეს ცრუ სოფელი
მწარსამყოფელი
ვერვის დაინდობს, არვის გაიტანს!..
უდროვოთ ალხენს,
უდროვოთ აწყენს
კაცს, აბურთავებს, სად არ გაიტანს?!
ვინ არა ძრახავს?
არვინ მინახავს
რომ ამ სოფელზე მადლობა ეთქვას!
და ეს კი მიკვირს:
სიცოცხლე თუ სჭირს,
რათ ვერიდებით ჩვენ საფლავის ქვას?..
უზრუნველათა
მწვანე ველათა
დანავარდობდა სიამით ცხვარი;
სჭამდა, ცხოვრობდა
და ცივ წყალს ხვრეპდა,
ფეხით გაჰქონდა სულ მთა და ბარი.
ვის რას უყოფდა?
მით ამაყობდა
რომ კარგი კუთხე ბედმა მას მისცა:
და ისე ხტოდა,
როგორც უნდოდა:
ცა ქუდათ უჩნდა, ქალამნათ მიწა.
მაგრამ ერთ დღეს კი
აკვნიტეს ნეკი,
როდესაც ჭორათ მოჰკრა მან ყური
რომ სხვა მხეცებსა
მის მეზობლებსა
გულში შესვლიათ საბრალოს შური!..
დიდათ ჰკვირობენ
და უპირობენ

ძალით საბრალოს დამონებასა,
თუ რომ სურვილი
და სიტყვით ტკბილით
თვითონ არ დაჰყვა იმათ ნებასა!
ჯერ თავმომწონე
ამის გამგონე
საბრალო ცხვარი მეტათ დაღონდა;
თქვა: „ცა გამიწყრა!“
ბევრი იფიქრა
და ბოლოს ხერხი მას მოაგონდა:
ის სამფლობელო
მისი სამშობლო,
სადაც კი თვალი მიუწვდებოდა,
ყოველი კუთხით
გალავნით, ციხით
შეჰკრა, — მტერი ვერ მოუხტებოდა!
და შემდეგ მარად
ის უშიშარად
აბუჩა სტუმრებს მარჯვედ უცდიდა
და თავის გულში
დამშვიდებულში
მოსისხარ მტერებს პამპულათ ხდიდა!
ერთხელ ვით მტვერი
მოადგა მტერი,
მაგრამ, რა ნახეს გამაგრებული,
გაჰკვირდენ მეტად,
შეიქმნენ რეტად
და მოულოდნათ დაწყდათ მათ გული.
ვერრა გააწყვეს,
ამოიძუეს,
დაბრუნდენ სახლში ბილწი მხეცები;
და ცხვარმაც საგზლათ
ხშირათ და ხანგრძლათ
თან გაატანა იმათ ბრაწები!

უფრო დიდებით
და დამშვიდებით
ამ საქმის შემდეგ ცხვარი ცხოვრებდა
და ის სხვა ცხოვლებს,
ვერც დათვებს, ვერც მგლებს
ძალით მომსევად ვერ უყურებდა.
ხანი გამოხდა,
ცვლილება მოხდა:
ეტკინა საწყალს ჩვენს ცხვარს მუცელი;
დასვა კრავები
ნიკორ-შავები
და გასაზდელათ მიჰყო მათ ხელი.
ძუძუსა სწოვდენ,
სხვას არას სთხოვდენ,
დედას დასდევდენ და ნავარდობდენ.
სილამაზითა
და სინაზითა,
ასე გასინჯეთ, ერთმანეთს სჯობდენ!
ჭკუა-გონება,
დიდი ქონება,
რაც ცხვრისა წესზედ კი შეიძლება,
იმათაც ჰქონდათ,
თავი მოსწონდათ;
აკლდათ მათ მხოლოდ გამოცდილება
მაგრამ ეს ნიჭი
ცხოვრების ბიჯი
დედის მუცლიდან არვის დაჰყვება:
ცრემლ-ნაღველითა
გულის მწველითა
ის მხოლოდ შემდეგ მოიპოვება.
და ერთხელ ვინცა
მას ხარკი მისცა,
ჭმუნვის ბეჭედი აზის მის სახეს!
და რაც პირველათ
ჩნდა სასურველათ,
ბოლოს იქ ჰგონებს საფრთხეს და მახეს!..

III

ხარბი რამ არი
და უმაძღარი
ვნებითა სრული, აღმშფოთი გული:
რაც რომ ჩვენია,
მოსაწყენია,
და რაც არა გაქვს, — მიგვიდის სული!
მწარისა ოხვრით
და ცრემლების ღვრით
როს ავისრულებთ ჩვენ ერთს სურვილსა,
კიდევ სხვას, ახალს
გული იჩენს ალს
და არ გვისვენებს კრულს და ურვილსა!
ჩვენს ნაცნობ ცხვარსა
შეუპოვარსა
მოწყინდა მალე ის არემარე
და მოსაძოვრათ,
ნეკრის საშოვრათ
გადააბიჯა გალავანს გარე:
და ის კრავები
საცოდავები
გალავანს შიგნით მარტოთ დაჰყარა!
მაგრამ იმავ დროს
უფროსს და უმცროსს
ორივე შვილებს ეს დაუბარა:
„ჩუმათ! ნუ ბღავით,
ფრთხილათ იყავით,
დაკეტეთ კარი, არვის გაუღოთ!
მარტო რომ გნახონ,
არ მოგატყუონ
ჩემმა მტერებმა, არ დავიღუპოთ!..
მე როცა მოვალ,
ყველაზედ უმალ
სამჯერ „ბეს“ ვიტყვი და „ბეკეკესა“

და მითი მიხვდით,
კარებს მოახტით,
ჩქარა გამიღეთ და გაჭმევთ რძესა!“
ამგვარად ცხვარმა
გულუმაძღარმა,
კრავებს ეს სიტყვა რა დაუბარა,
მინდორი გავლო,
მთებიც გადავლო,
მოუხედავათ გასწია ჩქარა.
უდედურათა,
უძუძურათა
დარჩენ კრავები და მოიწყინეს;
ვერც იკუნტრუშეს,
ვერც ინუგეშეს,
მიწვენ ჩეროში და დაიძინეს.
მათ ძილში მგელი
ის საძაგელი
მიადგა კარებს, ეცა რა სუნი.
ერთი მან გარეთ
იზუვლა მწარეთ
და დაუწყო კარს ჩქარა კაკუნი.
ძილი დაუფრთხათ
ტკბილი, მაგარი
ამ ხმაურობით პატარა კრავებს:
და რომ წამოხტენ,
მაშინვე მიხვდენ
რომ აბრიყვებდა ვილაც მათ მტრობით.
მიცვივდენ კარზედ,
მაგრამ უარზედ
დადგენ და აღარ გაუღეს კარი:
„ვილაცა ხარო,
თუ დედა ხარო,
აბა ნიშანი შენი გვითხარი!“
კუდგრძელმა მგელმა
იმ საზარელმა

ჰოსატყუებლათ შეჰქმნა ზუილი,
მაგრამ კრავებმა
ნიკორაებმა
იცვნეს და უთხრეს მათ მტერს: ტყუილი!
გსურს გაგვაბრიყვო?!
დედა რომ იყო, —
სამჯერ იტყოდი „ბეს“ და „ბეკეკეს!“
ჩვენც მივხვდებოდით,
კარს მივხტებოდით,
გაგიღებდით და შენც გვაჭმევდი რძეს.
შენ დედა არ ხარ,
სხვაგვარათ ჰყარხარ,
საიდამც მოხველ, იქვე წადიო!“
მგელი დაღონდა,
რაღა გზა ჰქონდა!
თქვა: „დამეკარგა დილის მწვადიო!
ახლა ამ კრავებს,
ეშმაკებს, ავებს,
ვერ მოვატყუებ, წახდა ფიციო,
მაგრამ მეორეთ
შევაცდენ სწორეთ,
რადგან ნიშანი მათი ვიციო!“
მართლაც მეორეთ
დაბრუნდა სწორეთ
სამხრობის დროზედ, კარი მონახა.
ასუნ-დასუნა,
დააკაკუნა,
„ბე“ და „ბეკეკე“ სამჯერ დასძახა...
მაშინ კრავები
საცოდავები
მოტყუვდენ და წამს გაუღეს კარი.
და ვაი მათ მტერს!
მგელს შეხვდენ მშიერს...
ორნივ ჩაყლაპა მგელმა უმწვარი!..

და გამძღარი
არ გასახარი
მგელი წავიდა სახლში ძუნძულით;
და ის გძელკუდა
როგორც რომ გუდა
გამოიბერა მუცლით და გულით.

IV

დაბრუნდა ცხვარი.
რომ ნახა კარი
ღია, კრავებიც აღარსად იყო,
მას ელდა ეცა,
პირქვე დაეცა
და საცოდავათ ბღავილი იწყო!
თქვა: „ეს რა მოხდა!“
ზეზე წამოხტა,
თუმცა ცრემლები ადგა მას თვალში,
და თავის მტერსა
გულის მაძგერსა
გარისხებული ჩაუდგა კვალში.
მისდია ჩქარა,
მთა გადიარა
და ერთ ღელეში ნახა მან მტერი.
შეშინდა მგელი
ის საძაგელი,
ცხვარს რომ შეხედა, წაუხდა ფერი!
ის გამძღარი
ეგდო ვით მკვდარი
და აღარ ჰქონდა საომრათ ძალა.
და მონელება,
ომის შეძლება
იმ წყეულს ცხვარმა აღარ აცალა;
დროზედ მოასწრო
იშოვნა მან დრო

ამოკრა ფაშვში მრისხანემ რქები,
გააპო ჩქარა
და გამოჰყარა
ისევ ცოცხლები თავის შვილები!
ბევრი იხარეს,
ცრემლები ჰღვარეს,
სიამოვნებით შეექნათ კოცნა...
და მერე ცხვარმა
ბედით დამტკბარმა
თავის შემოქმედს მადლობა უძღვნა.
და წამოვიდა
დიდის ამბითა
თავის სახლისკენ გულდამშვიდებით:
და ძველებურათ
ის მისებურათ
ისევ ცხოვრობდა, იყო დიდებით.
ხშირათ მტერები;
მგლები, ტურები,
დათვები და სხვა თუმც აწუხებდენ,
მაგრამ დიდ ზარალს
ვერ აძლევდენ მას,
რადგანც ციხის კარს მათ არ უღებდენ.

V

უსამართლობით,
ომით, ძალობით
არვის შეეძლო გაეღო კარი,
თუ რომ შეცდენით
და მოყვრის ენით
არ დაეღუპათ საბრალო ცხვარი!
მოულოდნელათ,
მოუწვეველათ
გაჩნდა მოყვარე მტერზედაც ავი.

ეს იყო მელა!
ცუნცულით, ნელა
მობრძანდა, თოვლში ის ნაგორავი,
და მოტყუებით,
ტკბილი სიტყვებით
მიმართა ცხვარსა კეთილ მზრუნველათ:
„კეთილო ცხვარო,
ღირს შესაყვარო,
მამაცო, სიმხნით ქებულო ძველათ!
ყოველი კუთხით
ღამითა და დღით
მტერი გყავს, არ გაქვს მით მოსვენება!
და შენ მოყვარე
არ გყავს მომხმარე, —
რომ მოგეხმარო, მომეცი ნება.
მაღალო სულით,
მიყვარხარ გულით
და მისთვის მინდა გეძმო, გემოყვრო:
და შენი მტერი,
როგორც რომ მტვერი,
ისე გავხადო, მინდა... ამოვფხრო.
მე ერთი მურა
თეთრი, შავყურა
მყავს, თუმც არ არის ჩემი ფერია,
და როგორც მელის
(ჩემგან რას ელის?)
ის უნდა იყოს დიდი მტერია:
მაგრამ სიბრიყვით
ის, ერთი სიტყვით,
რადგანაც არ აქვს მეტი გონება:
რა გაეგება,
კიდეც ექება
თავგანწირულათ ჩემი მონება!
აი, ამ მურას

მოვიყვან, ტურას
და მგელს წავიფრენ მე წინ სიმწრითა!
და მაშინ შენა
მოგხედავს ზენა:
მტერს მოიგერებ ყოველი მხრითა.
მოგაშორებ მტერს,
არც გთხოვ არაფერს
ამ სამსახურში მე გულწმინდაო!
მოწმეთ მყავს ღმერთი
მე მხოლოთ ერთი,
შენი მოყვრობა გულით მინდაო!"
ცხვარს რომ ეს უთხრა,
თავი დაუკრა
და ისე ჩქარა წავიდა შინა
რომ იმ საწყალ ცხვარს
მის სიტყვით დამტკბარს
თითქმის მადლობაც არ ათქმევინა.
დარჩა მარტო და
ამას ამბობდა
ცრვარი: „ეს მელა სით გამიჩნდაო!
ბევრიც უვლია,
შორეულია,
ჩემგნით რა აქვსო იმას სადაო!
როგორც ეტყობა,
ჩემი მოყვრობა
მას გულითა სურს, უზაკველადო.
მაშ დაამტკიცოს,
მტრისგან დამიცოს,
ომი გამართოს მტრებთან ველადო;
და მაშინ მეცა,
მოწმეთ მყავს ზეცა,
რომ არ დავრჩები უმადურიო:
კარსაც გავუღებ,
ტკბილათ მივიღებ,

რომ ნახოს ჩემგან სამსახურიო“.
რა გადასწყვიტა
ეს, შინ მივიდა.
კრავებს უამბო, უმახარობლა,
და იმავ დღიდამ
ყოვლის კუთხიდამ
მისმა ნათელმა დღემ მოიღრუბლა!..

VI

დადგა ზამთარი.
მგელი გამხდარი.
ტურა და დათვიც იერიშითა
მოადგენ ციხეს:
კრავებმა ნახეს
და გაიკმიდეს მათ ხმა შიშითა.
მაგრამ ამავ დროს
ცუდს და საზაროს
პირობისამებრ მოვიდა მელა,
თან მოჰყვა მურა,
დასძახა „ურა!“
და წაიფრინა წინ მტრები ყველა.
დათვი აბღავლეს,
ტურა აჰყავლეს,
მგელი გაბერეს როგორც რომ გუდა!..
და ვით სარდალი
მხნე და მართალი
ისე მოიქცა აქ მელაკუდა.
უბრძანა მურას:
„ნუ მზოგავ ნურას,
რაც გინდა, მთხოვე, აგისრულებო!
და მართებელათ
მე უეჭველათ
ამ საცხვარეთში შენ გიგულებო.
მაგრამ კი ჯერე

მე დამიჯერე:
ფარისევლურათ და ფრთხილათ ვიყოთ,
რომ არ შეგვიტყოს
ცხვარმა რო გვკითხოს,
ჩვენი აზრები და გავაბრიყოთ:
კარი გაგვიღოს,
ჯერ შინ მიგვიღოს,
ცოტა ხანს ვიყოთ ჩვენც ვით სტუმარი,
და მერე, როცა
ხელთ ვიგდოთ დროცა,
გავკრიჭოთ ჩვენი ცხვარი ხუმარი.
თუ იუაროს,
არ მოგვეკაროს
და არ მოტყუვდეს ჩემი ტკბილ ენით,
მაშინ შენ მალე
გადუბრიალე
თვალები რისხვით, მუქარით, ღრენით!
რომ მაშინ შიშით,
ვაგლახით, ვიშით
ენა ჩავარდეს, ჩაიწყვიტოს ხმა
და ვითომც ნებით,
ძალდატანებით
სამარადისოთ გახდეს ჩვენი ყმა.
ეს რომ დააწყვეს,
საქმე დაიწყეს;
დიდ მოწიწებით მიდგენ ციხის კარს
და სიხარულით
ვით მართლის გულით
გამარჯვებასა ულოცავდენ ცხვარს.
მოტყუვდა ცხვარი,
ვაალო კარი
და შეიყვანა ციხეში მელა.
იმას თან მურა
შეჰყვა შავყურა

და გაიზმორა სიამით ნელა.
ცხვარმა მაშინა
გამოიჩინა
რაც კი შეეძლო მას, მასპინძლობა.
და მელაკუდამ
ეშმაკის გუდამ
ნაცვლათ შემდეგი უთხრა მადლობა:
„გმადლობო, ცხვარო,
შენ უწყინარო,
თავს რათ იწუხებ მასპინძლობითო?!
შენ ველარ შეძლებ,
მე ვიმასპინძლებ,
და შენც ქირაში ყოველ წლობითო
მიხადე მადლი,
მაძლიე მატყლი
ერთი საჩოხე, საპაიჭეო
და მით მშვიდობა
და ჩემი ნდობა
მონის საფერათ მიინიჭეო?
ბევრს ნულა ფიქრობ!
რალას აპირობ?
სიამტკბილობა სჯობს იხმაროო,
რომ ბოლოს ძალით
ორივე თვალით
არ იტირო და ცრემლი ღვაროო!"
შეძრწუნდა ცხვარი,
გულს ჰკრეს ლახვარი!..
მაგრამ რალა დროს? რალას იზამდა?
მელა კუდურა
და მასთან მურა
რომლებიც წელან მეგობრათ სწამდა,
მრისხანე ძალით,
თვალის ბრიალით
ულრენდენ და თან ილესდენ კბილებს!..

და მაშინ ცხვარმა
შიშით შემკრთალმა
ცრემლით ურჩია საბრალო შვილებს:
„აწ კი გვიმართებს,
ამ მინდვრებს და მთებს
გამოვეთხოვოთ — მონა ვართ მელის...
გვაწევს ღვთის რისხვა,
სინამ აწ ჩვენ სხვა
არ გამოგვიხსნის და არ გვიშველის...
ვმონოთ ჯერ შავ ბედს,
ნუ ვკარგავთ იმედს:
სოფელი ბრუნავს აღმა და დაღმა.
რომელმაც ჩვენა
არ მოგვასვენა,
ეგებ დაჰგლიჯოს მელაც იმ ძაღლმა.
და ჩვენც მაშინა. .
ჩუ! შემაშინა
რაღაც ჩვენებამ, ამბობს: „ფრთხილადო!
ჯერ მსხვერპლი უნდა,
უმანკო, წმინდა
განსაწმენდელი შვილისშვილადო!“
ეს რა წარმოთქვა,
ყელს შეიბა ქვა
ნიშნათ მონობის... დადუმდა ცხვარი
ძირს თავდახრილი!..
იწყო ტირილი...
დღესაც არ შრება იმას ცრემლთ ღვარი!..
იმ არემარეს
ჩაგრულს, მწუხარეს
გულმოსაკლავათ რწყავს ის ცრემლთ ღვარი...
და რომ შეაშროს
ის ცრემლი ერთ დროს,
მისთანა გმირი ჯერ არსად არი...

1869 წ.

35 ღამურა

ერთმა უგნურმა თაგუნამ
იუკადრისა თაგვობა,
დასწყევლა თვისი გაჩენა,
ბუნების იწყო მან გმობა:
— „იმ უსამართლო ბუნებამ
თაგვად რად გამაჩინაო?
მე სხვაგან ყოფნა მინდოდა
მან ჭერ ქვეშ მომცა ბინაო!
ვის ეკადრება თაგვებთან
კუდის ბზეკა და ლხენაო?
მე შემშვენოდა ჩიტობა,
რომ მეწყო ალმაფრენაო.
რომ ვინმე ჩიტად მაქცევდეს,
გამომაბამდეს ფრთებსაო,
გავფრინდებოდი, ერთს წამსა
გადავივლიდი მთებსაო!
რომ დაასრულა ეს ნატვრა,
ნახა რომ ფრთები ესხმება
და მეტის სიხარულითა
საბრალოს თავბრუ ესხმება.
ზიზღით შეხედა თვის ტოლებს,
დაუყონებლივ ავარდა.
ჩიტებში გამოერია,
იმანაც გაინავარდა.
ჩიტებმა ახედ-დახედეს,
სთქვეს: „ვინ მოსულა ესაო?
რა სჯულის ცხოველი არის?
ჩვენთან ვინ გააწესაო?
თვალტანადობა თაგვს უგავს,
ფრთები ასხია ჩვენიო!
როგორღაც კეთილ სულს არ ჰგა
ჭირი არის და სენიო!
ეგებმა მტრებმა მოგზავნეს,
შემოჩენილიც იყოსო!
არიქა, ფრთხილად იყავით,
არავინ გაგვაბრიყვოსო!..
დაჭყლივლეს, ჩაუნისკარტეს,
გაჰკრეს-გამოჰკრეს ბრჭყალები.
სისხლი ადინეს ღამურას,
გამოუბნელეს თვალები!
ღალმა დაეშვა ღამურა,
მიმართა ისევ ძველ სადგურს.
მაგრამ იქ უფრო შავი დღე
დაუდგა მაშინ უბედურს:
თაგვებმა აითვალწუნეს,
აღარ მიიღეს რომ ნახეს,
მივარდნენ ერთად საკბენად.
— „ჰკა მაგასაო!“ დასძახეს..
მაშინ კი მიხვდა ღამურა
რომ ანგარიში წაუხდა
და მისი ნატვრა უგნური
საჭირბოროტოდ აუხდა!
გვიანღა იყო! გაფრინდა
გაკიცხულ-თვალაფდასხმული,
ერთ ძველ ნანგრევში შეფრინდა
და მოიბრუნა იქ გული.
მას შემდეგ ნანგრევში ბუდობ
დღედღე ვერ ჩნდება სირცხვილ
და მუდამ ამას წრიპინობს
კვნესით და გულის ტკივილით:

კრულ იყოს მისი სახელი,
ც [illegible] გასცვალოს ბარზედა!
ს ტომის დამწუნებელსა
ი შიუვა კარზედა!
ურავინ ისხამს სხვის ქურქსა
ნუ სცვლის თვისსა ენასა,
რემ ბოლოს დროს მოიმკის
ავით ცრემლთა დენასა!
ადაგვარების მოსურნე
ებისაგან კრულია!
მისი პირადი ღირსება
ყოველგან დაჩაგრულია!
ძველ ტომში გამოსხლეტილსა
არ მოუშლიან კბენასა,
და ახალ ტომშიც გაჰკიცხვენ:
დაუწუნებენ ფრენასა!
კრულია მისი ხსენება,
ვინც დაჰგმობს დედაენასა.
თვის ტომს ჰღალატობს და მითი
თვით ჰფიქრობს მაღლა ფრენასა!..“

1880 წ. 25 ოქტომბერი.

36 გამზრდელი

ნამდვილი ამბავი

I

ის ჰწვერვალზე, ცის მახლობლათ,
ცხლის ბუდეთ რაღაც მოჩანს:
ლო ისარი შენატყორცი
არჩევს მის სიგრძეს და განს.
ფაცხაა ღვიმის პირათ
ული და მიგრეხილი,
და ჟამის შესაფერათ —
არ თბილი, ზაფხულ გრილი.
ოდესაც მთა ბარს და ვაკეს
რება წარღვნა-ღელვას,
აც ღრუბელს გარს იბურავს,
ლება ჰექა-ელვას.
გრამ, როცა დაქათქათებს
იქვე მზე და მთვარე
ვალის წინ ფიანდაზათ
ება არემარე,
ინ ფაცხა უბრალობით
ბლავათ ლამაზია
და იმასთან ყველა ტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია.
გზა მოუძღვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული:
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული:
ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზდილ-გამოწრთვნილი,
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.
ამ შორეულ ფაცხა-ღვიმეს
ვინ პატრონობს, ვისი არის
და საამო კარ-მიდამოს
ვინ შეტრფის და ვინ შეხარის?
ერთი ვინმე ახალგაზდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას ამის მეტს
კაცი მისებრ დანაბადი?
მხოლოთ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოთ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.
ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა ვით რჩეული:
სიყვარულსა მის მონაშუქს
მოაშუქა სიყვარული:
ერთი თვეა, რაც რომ ცოლათ
მოიყვანა, ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცას ქვეშეთი
შეუწონა, შეუფარდა...
ნაზიბროლა — სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!..
ელფერობით ვარდი არის,
სინაზით-კი — მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველათ
გულის კარი გაუღია.
ცა და ქვეყნის შუამავლით
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს დებს, სულში სულს
ცვლის,
ხორცს ეწმახვნის სტორო-ვაზი!..
ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!..
ერთად გრძნობენ ამ ქვეყნათვე
სასუფევლის ნეტარებას...
მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს,
მტრისას მისი გამოცანა!..

II

ბნელა ისე რომ აღარ ჩანს
თითი თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ.
ნადირსაც კი უფრთხო ძილი!..
ქარი ზუის გულსაკლავათ,
წვიმა უსწრებს კოკისპირათ;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირათ.
თითქო მართლა თვით ჯოჯო
აუშვია ქვეყნათ ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!
ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკი
ეძებს ძრწოლით თავშესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვიღაც მგზავრი
სტუმრათ მოდგა აფხაზის კარს!..
დაურეკა და ხმა მისცა:
„გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა!
სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ,
ცხენს და კაცსაც გვინდა ბინა“.
გაუკვირდა აფხაზს და სთქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი!“
შეუკიდა ცეცხლს და უცბათ
გამოაღო ფაცხის კარი.
გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირათ,
უდგამს სამფეხს სკამს დაღალუ
ხმას არ იღებს ჯერ სტუმარ
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის;

პირი აქვს შებუდნული
ლახით და იცინის!..
ერ ნაბადი მიაყუდა,
კუთხისკენ მიდგა წყნარა
ბაშლიყი რომ გადიძრო,
რიალდა უკან ჩქარა.
მასპინძელო! სიცილით თქვა:
და ჩემი ხუმრობაო!..
მიცანი თუ გეწყინა
უდროვო სტუმრობაო?
—საფარ! შენ ხარ?.. ენაცვალოს
ის შვილი მაგ შენს თავსო...
თვალები რაღას ნახვენ
ს უკეთეს სანახავსო?
ოეხვია, გადაკოცნა
გორც ძმა და თვისი ტოლი
მერე კი გაალვიძა
კნით მწოლი თვისი ცოლი.
შეეხვეწა: აბა, ჩქარა
ამზადე ვახშამიო:
რი ვზა აქვს გამოვლილი,
ექნება ნაჭამიო.
—არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
მკალია იმისთვისო!
სხვა მადა მაქვს აშლილი
კანაირი გულისთქმისო...
უპასუხა და მოუყვა:
ინდა გითხრა ჩემი ჭირი:
ემდის მტკიცე პირიანსა
ეს მიტყდება, ძმაო, პირი!
„ალმასხიტს ხო კარგათ იცნობ
ვმოშწონე ინალიფას?
ს ცხენსა და მის იარაღს
რვინ დადებს ღირებულ ფასს.

„ვაშკაცია თვალტანადი,
ცხენოსანი უებარი!...
მეტოქეა ჩემი მხოლოთ
ერთადერთი საშიშარი.

„შორს გაისმის მისი [illegible]ა,
ჩვენშიც ხშირი სტუმარია:
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.

„ერთი მხოლოდ ზიახანუმ
არათ აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის რომ სხვებსავით
იმას ის ვერ იმსახურებს.

„ზიახანუმ, შენც კი იცი,
რომ შვენებით განთქმულია:
ბევრი კარგი ახალგაზდა
მისი ეშხით დაბმულია!...

„მთვარესავით ხელუხლები
სხივებს ჰფენს და არვის ათბობს:
მომხიბლავი შორეულათ
თანასწორათ ყველას ატკბობს.

„ჯერ დალალავს, მიიბირებს,
დაიმონებს, იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს თვისს მსხვერპლს განსაცდელ-
ში!.. .

„მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!...
და, თუ ქალი მაჯობებდა,
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

„დამაჩემა: „თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯი ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო.

„ინალიფა თვისს ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გაჭენს
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!
„სხვა გზა არ მაქვს; მოპარვაა
მხოლოთ ერთადერთი ღონე,
თუმც კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი თავმომწონე.
„აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო:
მე მინდა რომ ალმასხიტის
ლურჯი ლაფშა მოვიპარო!“
მოუსმინა ძიძის შვილმა,
ყველა კარგათ გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეაწუხა, დაალონა.
უთხრა: „ვწუხვარ რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია.
მაგრამ, რადგანც სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,
„გზა აღარ გაქვს!... უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის
ოფლი აღარ მოიწურო.
„მის ოცნებას, მის გულისთქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
კინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი,
მწარე სიკვდილს შეუწონო.
„ეს შენც იცი, — არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი,
სავაჟკაცოთ გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!
„მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა.
თუ სიფრთხილეც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.
„ერთმანეთის მინამგზავსი.
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე როგორც სხვადასხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.
„რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,
მაგრამ ჩვენში. როგორც უცხოს.
აგებნევა გზა და კვალი.
„შენ ეგ საქმე მე მომანდე.
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!
„შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და, თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხისქირას!“
გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროთ და გავლო კარი.
მიდის. ელვა გზას უნათებს
და დაზუის თავზე ქარი.

III

ირაჟრაჟა. ქარი ჩადგა.
გადიყარა. დადგა დარი.
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.
მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარა. ფრთხილათ.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე ტკბილათ.
აუარა გვერდი, მიდის
იქ სადაც ის ეგულება

ც სიცოცხლეს ურჩევნია,
ლს სწირავს და თავს ევლება.
გულში ამბობს: „ერთს დავხედავ
ბილათ მძინარ ნაზიბროლას,
გავუძელ გულის ძგერას,
ლის ბრუნვას, ხორცის ჟრჟოლას“...
სასოებით შედის ქვაბში
რას ხედავს იქ საკვირველს!!
ხიბროლა ჩუმათ ტირის,
რს იხოკავს, იკაწრავს ყელს!!
თმაგაშლილი ტინის კედელს
ვს ახლის და ხმას არ იღებს...
ნგრეულს და მონგრეულსა
დავს იქვე მის ქვეშაგებს!!..
მიხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
რმა დაჰკრა, ელდა ეცა!..
ა, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
ქვე უხმოთ ჩაიკეცა.
დიდხანს იჯდა რეტდასხმული,
ყურებდა ცოლის ტანჯვას;
ლოს ლონე მოიკრიფა
ა მოეგო ისევ ჰკუას.
მივიდა და უთხრა მტირალს:
ჩუ, ნუ ტირი, გენაცვალე!
აც გინახავს - სიზმარია,
აივიწყე ისევ მალე!
„ყოველგვარი მოსავალი
ცის თავზე უნებური
ვის რისხვაა და ტყვილათ ბედს
ას უჩივი, რათ ემდური?
„გადაიგდე გულიდან ეგ
რუ ზღაპარი და სიზმარი!..
და შენი სიყვარული
წმინდა არის ვით ლამპარი!“
მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით:
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.
მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გალვიძებას
არ აპირებ, მგონია, დღეს!“
წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!.
მაგრამ, როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,
გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!
„არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე.
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემ საქციელს სამარცხვინოს
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“
მერე უთხრა თვის ძიძისშვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი...
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“
„შევასრულე: მოგიყვანე.
დროა, აწ კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკადრისათ
თუ რომ ვერას გემსახურე!“
ხან ესა თქვეს, ხან ისა თქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთხანათ,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანათ.

გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ ვაუშვას
გულნაკლი და უმადური.
შეუკაზმა ცხენი, შესვა,
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.
გაახურვეს მით ცხენები,
აალელვეს, ააჩქარეს
და ვიწრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.
რომ ჩავიდენ შორიახლოს
ჰინდვრის პირათ, იქვე დაბლა,
მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:
— „საფარბეგო! პირშაობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!
არა თქვა რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება
რომ სათქმელათ საძნელოა,
არც შენდობა უხერხდება!
ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილათ? არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედათ
შენი სისხლი არ დავღვარო!“
ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის ..
ძლივს წარმოთქვა: „მართალი ხარ!.
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..
შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხელ
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოთ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...
„ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი
სჯობს...
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველ
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!..“
„არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოთ ჩემი ტყვია:
დედი ჩემის გაზდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...
„რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესათ.
რომ გატეხე. ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესათ,
„წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით
დღეიდან ჩვენ წმინდის გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!
„მაგრამ ერთს კი დაგავალებ.
ამისრულე უეჭველათ:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე რომ სულ პირველათ
„წადი, ნახე ის მოძღვარი
ვინც შვილივით გამოგზარდა
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა“.
გადმოხტა და ლურჯი ლაფში
მისცა ხელში, ჩააბარა,
ჰოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვარით, არც ვაჟკაცობით.
ც სიმდიდრით, არც ქონებით,
ი-უსუბ ცნობილია
ლოთ ჭკუით და გონებით.
ჭირში, ლხინში საზოგადოთ
ისობა არ იქნება;
ლის გულზე უწერია
ით მაჰმადის წმინდა მცნება.
ღვა და ხმელი მოვლილი აქვს,
ხველია ცა და ქვეყნის;
რ ისევე ჭანმაკია,
მც არ არის კი მცირე ხნის.
ელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის, --
ტყუილი ქადილია:
დაც კია გვარიშვილი,
ელა მისი გაზდილია.
საფარბეგიც მან გაზარდა
ე როგორც სხვები ყველა;
კრამ მარტო წრთვნა რას იზამს,
უ ბუნებამც არ უშველა?
აი, სწორეთ ამ უსუბთან
დის ეხლა საფარბეგი.
რდუობის გამტეხი და
ეულების გადამდეგი.
ეუბნება ყოველისფერს,
ებურათ რაც შეემთხვა:
ემლები სდის და ეჩრება
ერთად ყელში მწარე სიტყვა.

ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ.
სახე მოინაღვლიანა:
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალ წინ გაისიგძეგანა.
ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?
რომ გაიგო, რა თქვა ქმარმა?“
— „მაპატივა შეცოდება
როგორც ძმამ და მეგობარმა!..
„მხოლოდ ეს კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო“.
მესმის, მესმის და პასუხიც
ჩემი მხოლოდ ეს არიო
რომ ნამუსის გასაწმენდათ
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!
შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი:
მორჩილებით გულმკერდს უშვერს
საფარ მისი გამოზდილი.
მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოთ,
რომ კაცათ ვერ გამიზდიხარ!“
წარმოთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთან მბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

1898 წ. ივნისი.

გასამეორებელი კითხვები: მოიგონეთ აკაკის ბავშობა და მოწაფეობა მისი „თავგადასავლიდან“. აღნიშნეთ უმთავრესი მომენტები მისი სამწერლო მოღვაწეობისა. ჩამოსთვალეთ აკაკის პირველი ჯგუფის ის ნაწერები რომლებშიაც იხატება ავტორის პიროვნება როგორც მამულიშვილისა. მოიყვანეთ იმავე ჯგუფის ის ლექსები რომლებშიაც გამოხატულია

ავტორის შეხედულება პოეტზე. დაასახელეთ ამავე ჯგუფის ნაწერები რომლებშიაც ავტორ ხასიათდება როგორც კერძო ადამიანი და მოქალაქე.

მოიგონეთ მეორე ჯგუფის ნაწერები რომლებშიაც ავტორს გამოხატული ჰყავს ახალი დროის ქალები და განათლებული ვაჟები ანუ ინტელიგენცია და დაახასიათეთ ეს უკანასკნელი.

როგორ გვიხატავს აკაკი ჩვენი ქვეყნის წარსულს თავის საისტორიო პოემებში და დრამებში? ჩამოსთვალეთ და დაახასიათეთ აქ დასახელებულ თხზულებათა მთავარი გმირები.

რომელს ლექსში გვიხატავს აკაკი თავის შეხედულებას ჩვენი ქვეყნის მომავალზე? მიუჩვენეთ დედააზრი აკაკის ზღაპრებისა: „ალექსი“ და „ღამურა“. რა დედააზრია გატარებული პოემაში: „გამზრდელი“? დაახასიათეთ ამ პოემის მთავარი გმირები: ბათუ-აფხაზი, სუარ ბეგი და აღმზრდელი (ჰაჯი-უსუბ).

საზეპიროები. დაისწავლეთ ზეპირად პირველი ჯგუფიდან „ჩანგური“, „სიმღერა განთიადი“, „ჰალარა“, „ავადმყოფი მგოსანი“, „სულიკო“, „ქებათაქება“ და „დიდება მაღალთაშინა“; მეორე ჯგუფიდან: „იმერული ნანინა“, „ბოდვიდან“ მეოთხე და მეხუთე თავი, „თორნიკე ერისთავიდან“ მესამე თავი („დილა ომის წინ“) და მეექვსე თავიდან ჯარის სიმღერა: „კავკასიის ქედზე ვით ამირანი მიჯაჭვული“; მესამე ჯგუფიდან: „ღამურა“.

საწერი თემები და ხავარჯიშოები: 1. აკაკი როგორც მგოსანი და მამულიშვილი (პირველი ჯგუფის ნაწარმოებთა მიხედვით). 2. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენცია აკაკის ნაწერებში (იგულისხმება მეორე ჯგუფის ნაწერები). 3. ქართველი ქალი აკაკი წერეთლის ნაწერებში („ბოდვა“, „თამარ-ცბიერი“, „ბაში-აჩუკი“, „პატარა კახი“). 4. ქართველი მეფე, ფეოდალი, თავადი, აზნაური და გლეხი მამულიშვილობის საკითხის წინაშე აკაკი წერეთლის ნაწერებში („ბაგრატ დიდი“, „ბაში აჩუკი“, „პატარა კახი“). 5. ასკეტიზმის პრობლემა აკაკისა და ილიას პოემებში: „თორნიკე ერისთავი“ და „განდეგილი“. 6. აკაკი როგორც მხატვარი ბუნებისა (ამ თემის გამოსარკვევად საჭიროა შემდეგი ადგილები მოიგონოთ: „მაისის ღამე“, „ორი სურათი“, „მწუხრი“, „ქებათაქება“, „დილა ომის წინ“. გადაიკითხეთ აკაკის მოთხრობა ,,ბაში-აჩუკი'' და დაახასიათეთ მისი მთავარი გმირები.

ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია. აკაკის სრული ცხოვრების აღწერა დღემდე არ მოგვეპოვება. არის კერძო წერილები და მოგონებანი მისი ბავშობისა, მოწაფეობისა და ცხოვრების შესახებ; მაგრამ ამათში შედარებით უფრო ვრცელი თვით აკაკისავე ,,ჩემი თავგადასავალია''. რაც შეეხება აკაკის თხზულებათა გამოცემას, დღემდე არც მის ნაწარმოებთა სრული გამოცემა მოგვეპოვება. ,,ქართველთა ამხანაგობამ'' მისი ლექსების მარტო ორი ტომი გამოსცა (1893 წ.); შემდეგ აკაკი თვითონ შეეცადა თავისი ნაწერების მის მიერვე დაარსებულს ჟურნალ ,,კრებულში'' გამოეცა (1897—1900 წ..), მაგრამ დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ჟურნალი დაეხურა და გამოცემა შეჩერდა; ბოლოს ავტორმა კიდევ სცადა თავის თხზულებათა გამოცემა, მაგრამ ორი წიგნის მეტი ვერ გამოსცა (,,ჩემი ნაწერები'' 1912 და 1913 წლებში). ამჟამად აკაკის თხზულებათა გამოცემა თვით მგოსნისაგან ნაანდერძევი აქვს „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას'' რომელმაც უკვე შეუდგა ამ საქმეს და იმედია მალე გვექნება უკვდავი მგოსნის ნაწარმოებთა შესაფერი გამოცემა.

კრიტიკა. აკაკის შემოქმედების შესახებ მრავალი წერილი დაწერილა, განსაკუთრებით ბევრი დაიწერა მისი 50 წლის იუბილეს დროს (1908 წელს) და გარდაცვალების წელს (1915). მაგრამ ის წერილები საყოველდღეო გაზეთებშია გაფანტული და მკითხველისათვის ხელმიუწვდომელია. ამიტომ აქ მხოლოდ ორს დავასახელებთ: კიტა აბაშიძისას (,,ეტიუდები'' II, გვ. 1—37) და ალ. ხახანაშვილისას (,,ქართ. სიტყვ. ისტორია'' II. 134—151

II

გიორგი წერეთელი

1842—1900

გიორგი წერეთელი დაიბადა 1842 წელს, სოფ. გორისაში, ზემო იმერეთს. მამა მისი მაქსიმე წერეთელი შეგნებული აზნაური იყო და სცდილობდა შვილისათვის რიგიანი განათლება მიეცა: წერა-კითხვა შინ ასწავლა და შემდეგ ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა. აქ პატარა გიორგი ბეჯითად სწავლობდა და თან მაშინდელი გიმნაზიის ცხოვრებას ფხიზლად აკვირდებოდა. შემდეგში ამ ცხოვრების აღწერას მან უძღვნა თავისი მოთხრობა: „ჩვენი ცხოვრების ყვავილი". გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გიორგი წერეთელი შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. საბუნებისმეტყველო ნაწილზე. სალიტერატურო მოღვაწეობაც სტუდენტობის დროსვე დაიწყო.

1863 წელს სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო 1866 წლიდან მიწვეულ იქნა ახლად დაარსებულის ყოველდღიური გაზეთის ,,დროების'' რედაქტორად.

1873 წელს იგი გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში სწავლის განსაგრძობად და იქაური ცხოვრების გასაცნობად. იქ ყოფნის დროს შეირთო პირველი ცოლი ოლიმპიადა ნიკოლაძის ასული, რომლისგანაც დარჩა სამი შვილი (ერთი მათგანი ირაკლი დღეს სოციალდემოკრატიის ლიდერია ჩვენს პარლამენტში). უცხოეთში ცოლ-შვილით ცხოვრება ძალიან გაუძნელდა: იყო, დრო, როცა გაზეთებისა და წიგნების ქუჩაში გაყიდვით ირჩენდა თავს.

უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ გიორგი წერეთელმა ივანე მუხრან-ბატონთან ერთად დაიწყო (1881 წელს) ქალის მთაში (ზემო იმერეთს) ნავთის წარმოება, მაგრამ იზარალა და მალე თავი მიანება. ამ ხანებში მას მოუკვდა ცოლი, რის შემდეგაც გიორგი წერეთელი გადმოსახლდა თფილისში და აქ შეირთო მეორე ცოლი — ანასტასია თუმანიშვილისა, რომელთანაც ერთად 1893 წლიდან იწყო გამოცემა პირველი სურათებიანი ყოველკვირეული გაზეთის ,,კვალისა''. მალე ამ გაზეთში ჰპოვეს თავშესაფარი ევრეთწოდებულმა ,,მესამე დასის'' ახალგაზდა მწერლებმა (სოციალ-დემოკრატებმა). გიორგი წერეთელი გარდაიცვალა 12 იანვარს 1900 წელს და დასაფლავებულ იქმნა დიდუბის ტაძრის ეზოში.

გიორგი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობა მრავალგვარი და მრავალფეროვანი იყო: იგი სწერდა როგორც პროზით ისე ლექსით, სწერდა როგორც მხატვრულს თხზულებებს (მოთხრობებს, პოემებს. წვრილ ლექსებს), ისე საისტორიო, სამეცნიერო და პუბლიცისტურ წერილებს აქ ჩვენ იგი გვაინტერესებს როგორც მხატვარი მწერალი. ჩვენს მხატვრულ მწერლობაში გიორგი წერეთელმა უმაღლესად განავითარა ევრეთწოდებული

რეალისტური შემოქმედება. რომლის დაწყებად ითვლება გიორგი ერისთავი. ცხოვრების სინამდვილის ყოველი წვრილმანი გვიხატავს სრულიად გაუზვიადებლად, შეუფერადებლად. სა[illegible] [illegible] [illegible] [illegible] შენ [illegible]. ავტორი სცდილობს ყველაფერში ზომიერება დაიცვას. ნამდვილ ცხოვრებას თავისი საკუთარი არაფერი მოახვიოს თავზე. მისი მხატვრული ნიჭისა და შემოქმედების გასაცნობად საკმაოა ყურადღებით გადაკითხულ იქნას მისი ნაწარმოები „[illegible] წერილები" ([illegible], ნიკოლიკა და კუდაბზიკა). „[illegible] [illegible]. „[illegible] [illegible]" და [illegible] [illegible] „[illegible] ნაბიჯი".

1. მგზავრის წერილებიდან

(რამოდენიმე ნაწყვეტი)

I

კუდაბზიკა

186... წელს, 9 ივლისს, ნაშუადღევის 5 საათზედ ქ - დან გამოვედით. ჩვენ ოთხნი ვიყავით: ჩიკოლიკი, კიკოლიკი, კუდაბზიკა და მე.

კუდაბზიკა იმერულად იყო გამოწყობილი, მარდი და მეტიჩარა. იმის ქერა თმაზე, ნისკარტიან ცხვირზე და წვრილად გამოწკიპინებულს ულვაშებზე რომ შეგეხედნა, მაშინვე იტყოდი: ეს იმერელი უნდა იყოსო. ასეთი ამაყი და უკადრისი რამ იყო ეს დალოცვილი, ტყუილა ცერი რომ გეჩვენებინა, ერთ ალზე შეხტებოდა. ასეთს გახრეკილს ცხენზე იჯდა, რომ ძვლისა და ტყავის მეტი არა იყო-რა, სწორედ წყალში ამოწუმპულს ვირთაგვას ჰგავდა. კუდაბზიკა ხშირად მოსჭიმავდა ხოლმე სადავეს, რომ თავის ბედაურისთვის კისერი მოედრიკა და ამასთანავე ჰკრავდა დეზებიანს ქუსლსა, რომ ცოტაზე მაინც გაეკუნდრუკებინა, ვითამ შემხედეთ, როგორს რაშზე ვზივარო. საწყალს ვირთაგვა-ცხენს იმის დეზებისაგან გვერდები ჰქონდა გაცლილი.

მე მეცვა გასვრილი თეთრი შალის ჩოხა, ვიჯექი ოცდახუთის წლის გაუკრეჭელს ჯორზე და უკან ასეთი ხურჯინი მეკრა, რომ ქვეითს კაცს წელს მოსწყვეტდა. ჩემი ჯორი მეტად გაუწვრთნელი რამ სულიერი იყო. იმისთანა ზანტი ნურც გინახავს კამბეჩი ქიზიყისა. ასეთი თავისნება იყო, რომ თუ აზრში არ მოუვიდოდა, იფნის ჯოხიც ფეხს ვერ გადაადგმევინებდა...

წინათვე ვიცოდი ამისთანა მატარებლის თვისება და დეზებით შევიარაღდი. ქვეყანაზე ყოველთვის ასეა: როცა სიტყვა არ გავა, წნელს ხმარობენ და. თუ წნელიც აღარ იმოქმედებს, დეზებს გაჰკრავენ ხოლმე გვერდებში; მაგრამ ახლა ეს უნდა ვიკითხოთ: თვითონ ის არსება რა შვილი უნდა იყოს, რომელიც დეზებით გვერდებს აჩხვლეტინებს?.. ის სწორეთ ჩემ ჯორს ემგზავსება.

კიკოლიკს ჩინოვნიკსავით ეცვა და ჩიკოლიკს წითელსაყელოიანი სერთუკი. არ გიკვირსთ, რომ ამისთანა მცირე საგნებზე ვლაპარაკობ? — მაგრამ რადგანაც აქ ტანსაცმელით აფასებენ კაცებს, ამისთვის არ შეიძლებოდა, რომ ამაზედაც არა მეთქვა — რა, მით უფრო რომ ჩემმა ღარიბმა ტანსაცმელმა, როგორც ტრაბახა აზნაურის მოდგმას, ბევრი დამცრობა გამომარონინა...

ქ დან რომ გამოველით, მზე გადახრილი იყო, მაგრამ ის მაინც ასეთნაირად გვაჭერდა რომ ვარჩიე ჩემ დამტვრეულს ქოლგას ქვეშ თავი შემეფარებინა. ჩვენ მივდიოდით გლახათუბნის გზაზედ. ჩიკოლიკი და კიკოლიკი დაწინაურდნენ, კუდაბზიკა კი ჩემ გვერდით მოდიოდა. იმისი გახრეკილი ისე დაუძმობილდა ჩემ ჯორს, რომ უიმისოთ ნაბიჯის გადადგმასაც არ აპირებდა. კუდაბზიკა ჩემთან ძალიან ამაყობდა და ცდილობდა უკან ჩამოვერჩინე: ამის გამო ის ხშირად ასწუქრებდა დეზებით და მათრახით თავის ბედაურს, მაგრამ საწყალი ცხენი ხვნეშით თითქო ამას ეუბნებოდა: „ტყავიც რომ გამაძრო, ჩემ ძმობილს ვერ დავცილდებიო“. პატრონის თვალის მოსატყუებლად ცოტაზედ გაჩანჩალდებოდა, მერე შეჩერდებოდა და ისევ გვერდით ამოუდგებოდა ჩემ ჯორსა. კუდაბზიკას მეტის-მეტი სიკაპასით ცხვირი უწითლდებოდა; ის ჯავრობდა ჩემ გვერდით სიარულს. ჩვენში გაუკრეჭელ ჯორზე შეჯდომა ძლიერ ეთაკილებათ: თუ მოახერხა, ჩვენებური ცხენს უკან ხურჯინს არ შემოიკრავს. არც თავადი-შვილი და არც აზნაური-შვილი გვერდით არ ამოუდგება იმ კაცსა, რომელსაც გლეხურად აცვია, თუნდ კეთილშობილიც იყოს: „იმე, იმ კაცს გვერდით რავა ამოვუდგები, ვისაც ყაძახურად (გლეხურად) აცვია: რომ ვინმე შეგვეყაროს, მეც ყაძახს არ დამიძახებს...?“ კუდაბზიკაც, რასაკვირველია, ასე ფიქრობდა ჩემზე. ის გაჯავრებული სწყვეტდა და სწყვეტდა მათრახს თავის ვირთაგვა ცხენსა, მაგრამ ცხენი ყურსაც არ აპანტურებდა.

სერზედ გავედით. სამხრეთით მიეფინებოდა ჭალები, რომელზედაც აქაიქ სიმინდის ყანები მწვანედ მოელვარებდენ; ამ ჭალებს საზღვრავდა ლურჯი პაწარი მთებისა. ამ დროს ერთ ხის ძირას მუშები დავინახეთ. იმათ სამხარი ეჭამათ და ისვენებდნენ.

„შეხედე იმ დედა გ.... რავა ტყულა არიან! სულ ძინავენ! ღარიბი იქნებიან, აპა რა იქნებიან!“ — მითხრა კუდაბზიკამ.

ნეტა ერთი შენც თოხი მოგცენ და დილიდან საღამომდე ამისთანა სიცხეში გამუშაონ, ვნახავ, იტყვი თუ არა მაგისთანა სიტყვებს?

ეს პასუხი გულზედ ლახვრად დაესო ჩემს გულ-ამაყს მეგობარს. გაფიცხდა. გულში რას ფიქრობდა, ისიც ვიცოდი: როგორ გამიბედა ამ უჯიშომ. ნეტა კარგად მაინც ეცვას. რომ ვინმემ შეხედოს, გლეხი ეგონება. აბა, ერთი კიდევ გაბედე მაგისთანა სიტყვები და გაყურებინებ შენ სეირსო. თუმცა გულში ამას ლაპარაკობდა, მაგრამ ცხადად კი ჩემზედ ხელი ემოკლებოდა. იცოდა, რომ გლეხკაცის ტყაპუჭში აზნაურის-შვილი ვიყავ გამოხვეული. ამის გამო ჩემი ჯავრი თავის ცხენზედ ამოიყარა. რათიც იქნა, ოთხი ამოაღებინა და წინა-

გზავრებს დაუახლოვდა. ვითომ ამით დამიმტკიცა, რომ „შენისთანებს თავს რ გავუყადრებო“. მე მაინც ჩემთვის ვსთქვი: „მალე გნახავ, ლიახვო, დაგხვედეს კოლოები...“ მართლაც ხუთ წამს არ გაუვლია, ისევ ამომეტუზა. კუდაბზიკა როგორღაც თვალს მარიდებდა; შევნიშნე, ჩემზედ ძლიერ გამწყრალიყო. ის ძალიან შეუშინდა ჩემს სიტყვას. მგონია, კოდით სიმინდს დაჰპირებოდა თავის გახრეკილს ცხენს, ოღონდ კი დაწინაურებულიყო. მაგრა ქის საუბედუროთ ვირთაგვა ბედაურს ფეხს არ ერჩოდა

II

მასპინძელი

Დაბინდდა. გლახათუბანს რომ მივედით, ათი საათი შესრულდა. აქ ჩიკოლიკას ბევრი მეგობარი ჰყავდა. არჩია, არჩია ვისას ჩამოვხდეთო, და ბოლოს ადაწყვიტა, ერთი შეძლებული აზნაურის ოჯახში მისვლა და იქ ჩამოხტომა.

— აბა, კუდაბზიკა, წინ წადი და მასპინძელს ჩვენი მოსვლა შეატყობინო, უთხრა ჩიკოლიკამ.

— მამა ნუ წაგიწყდება, ერთი წინ წაითამაშე შენი ბედაურით-მეთქი, მეც [illegible].

—ვეი პლაც!.. შენი გაუკრეჭელი ჯორი არ გეგონოს, ყმაწვილო“! სიამაყით მომიგო კუდაბზიკამ.

ოტა ხანს კიდევ ისმოდა იმის მათრახის ტკაცუნი უმთვარო ღამეში, მე კი სულ მიწყნარდა.

ჩვენ ცოტა დუქანთან შევიცადეთ და შემდეგ მივმართეთ. აზნაურის ბიჭ- ჭიშკარი ააჭრიალა. ეზოში ჩავედით.

გზაში ძალიან დამტანჯა ჩემმა ჯორმა. იმისმა ჯაგჯაგმა და ჩემმა ქუსლის ტანში დამამტვრია, ფეხები დამეფორხა, ჯორიდან ჩამოხდომა მენატრებოდა. ვიფიქრე: „ჩემ ნივთებს მასპინძლის ბიჭები ყურს უგდებენ, ჩემს ჯორ- ც იმათ გადავცემ მეთქი“. მინდოდა რაც შეიძლებოდა, მალე ჩამომხვდარიყავ და აივანში დავწოლილიყავ. ვაი, როგორ მოვსტყუვდი! მასპინძლის ბიჭებმა, როგორც კი გლეხური ჩოხით შემნიშნეს, იფიქრეს, ეს ხლებული და იყოსო და გვერდი ამიარეს. ზედაც აღარავინ შემომხედა. «ვაი გაგი- რა ღმერთი» — ვთქვი ჩემ გუნებაში. კუდაბზიკა აქ დატრიალებდა და, სთანა გაჭივრებულს მდგომარეობაში რომ დამინახა, ძალიან იამა, ალბათ

---

*) ქვემო იმერეთში ქერს იშვიათად სთესენ; იმის მაგივრად ცხენს სიმინდს აჭმევენ.

გულში გაიფიქრა: „ჰა, მასე გირჩევნიაო“. ვითომ ვერ ვხედავო, ზურგი მაქცია. ჩემ ჯორს ხურჯინ-უნაგირი მოვხადე და მასპინძლის სადგომში ქონდა. როგორც კი ფეხი შევდგი კიბის მეორე საფეხურზედ, ფიცარი ჩამი და და ხურჯინ-უნაგრიანათ ყირამალაზედ გადავცურდი. კუდაბზიკამ ზევიდ დამძახა: „აქ მოდი და აგაყენებო“! ამისთანა დაცინებამ სულ სირცხვილი დამწვა. მე ვიყავი შთამომავლობით აზნაური. უფრო ესა მკლავდა, რომ მას პინძლის ბიჭებმა ამიგდეს მინდოდა, ისინი მათრახით დამესივებინა, მაგრ სხვის ოჯახში ვიყავი და ამასაც ვფიქრობდი: შალის ჩოხაში რომ აზნაურო აღარ გაიკითხონ და ხელი შემდვან, მაშინ ხომ სულ გავუპატიურდები-მეთქ კარჩიე, ისევ ჩემ ბედისწერას დავმორჩილებოდი. ნეტავ აზნაურის შვილ მაინც არ მიცნონ, -- ვფიქრობდი გუნებაში.

ჩემ მასპინძლის სახლს პატარა აივანი ჰქონდა, მაგრამ რიკული კი ერთ აღარ ებადა, სულ ჩაცვენოდა, ადამის წლის მოხუცებულსავით. ხარიხაც ას რიგად ირწეოდა, რომ იმის ჩაქცევას ერთი ხელისკვრის მეტი არა უნდოდ რა. ჯერ მინდოდა, აივანზედ თავისუფლად წამოწოლილიყავ; მაგრამ, რო ხარიხის სისუსტე შევამჩნიე, ისევ ოთახში შესვლა ვამჯობინე. სასტუმრო ოთა ხი ფიცრის იატაკით იყო მოგებული. ფიცარსა და ფიცარს შუა იატაკს ას ფარღალალები ჰქონდა დატანებული, რომ დიდი გაფრთხილება მართებდა კაც ფეხი არ ჩავარდნოდა. „ზამთარში აქ მგელს გაყინავს“-მეთქი, გავივლე გონ ბაში. შიგნით იდგა ორი გძელი რიკულებიანი სკამი: ერთზე შეხვეული ფარ დაგი იდვა. დალოცვილს სახლის პატრონს ისიც არ გაეშლევინებინა, ალბა უნდოდა ჩვენთვის დაემტკიცებინა, რომ ფარდაგი გვაქვსო. იქნება ეს შეხვე ლი ფარდაგი ერთხელაც არ გაშლილიყოს. გაშლა რა საჭიროა! საქმე ის არ უცხო კაცმა არა სთქვას, რომ მასპინძელს ხალიჩა არა ჰქონიაო, თორემ შ იძლება სახლში ხალიჩა სულაც არ იხმარონ. ხშირად ნახავ აქეთკენ ოჯახ იმისთანა ნივთს, რომელიც ოჯახობაში სრულებითაც გამოსადეგი არ იყოს რომლის ხმარება იქნება არც არავინ იცოდეს, მაგრამ ოჯახის პატრონს ეს ნ თი იმისთვის უყიდნია, რომ სხვის სახლში უნახავს, და რაც სხვასა აქვს, რომ იმას არ ჰქონდეს, დიდი სირცხვილია. იქნება ამ ნივთის მოპოებამ ერ წლის მონაგებიც მოინდომოს: მაგრამ ჩვენებური კაცი მაინც იმითი ინუ შებს თავს, რომ სტუმარს თავი მოვაწონეო!.. ჩვენს ოთახს ცალგვერდზე ჩარ რეული ბუხარი ეშენა. იმის წინ სამფეხა სკამი იდგა. როგორც ეტყობოდ ამ სკამზედ ოჯახის ყმაწვილებს დურგლობა ესწავლათ; სკამი სულ დანით დაჩეხილი.

ჩვენ რომ ოთახში დაგვაბინავეს, იქ რვა კაცი თუ მოთავსდებოდა, მეტი
ამას გარდა კიდევ იყო სხვა ორი ოთახი უჭერო და უიატაკო. იმაში
თონ მასპინძელი იდგა. პარასკევი ღამე იყო. პარხვაში ხორცის ჭამა ჩვენ-
იმ დროს ძალიან ცოდვათ მიაჩნდათ, მაგრამ, რადგანაც ჩვენ ლობიოთი
კლები გვქონდა დაგოდრილი, ამისთვის ჩიკოლიკმა უთხრა თავის კუდაბზი-
რომ მასპინძლისთვის ჩვენი უძლურება გაემჟღავნებინა და ვახშმად ახსნი-
მოემზადებინა. კუდაბზიკა მაშინვე დაფაცურდა. სამზარეულოში ბევრი
ერთხეს, ჩუმათ „უსჯულოც“ ბევრი გვიძახეს, მაგრამ გოჭი მაინც ააჭყვირეს.

ვახშამს ბევრი არ დაგვიანებია. ცოტა ხანს შემდეგ ოთახში ხუთი თავ-
ქველა ბიჭი შემოიტუზა: ერთს ტაშტი ეჭირა, მეორეს თუნგი, მესამეს ხელ-
ოცი, მეოთხე და მეხუთე ბიჭი კი იმათი კუდები იყო. დახედე მოსამსახუ-
უსინდისობას! ხელი დამაბანინეს და ხელსახოცი კი არ მაღირსეს, რომ
ი გამეწმინდა: „არა გიშავს-რა, ხელს ჩოხითაც კარგად გაიწმინდავო“,
ქობდენ. ალბათ აქ ასეა მიღებული: მებატონეს სახლში მომცრო კაცს
ილ-ვახშმის წინ ხელს დააბანიებენ და ხელსახოცს არაოდეს არ მიაწვდე-
ხელის შესაწმენდათ. მაგრამ ჩემი მდგომარეობა უნდა გენახათ, რანაირად
ყინა. რომ მოსამსახურემ ხელშესაწმენდი არ მომცა. ჩემისთანა წარჩინებუ-
აზნაურის შთამომავლობა გლეხკაცად ჩამაგდო! აზნაურის კანი სირცხვი-
თ დამეწვა, მაგრამ რას ვიქმიდი! უნდა მომეთმინა, ამიტომ რომ აზნაურის
ება გლეხკაცურს ტყაპუჭში მქონდა გამოხვეული. გულში კი ასე ვემუქრე-
ი მასპინძლის ბიჭებს: „მაჩვენა თქვენი თავი, როცა სირმით გატყლაპული
ა ჩაცვია, დაგიფრთხობთ ანგელოზებს!..“-მეთქი.

ჩიკოლიკს როგორც კბილები, ისე ენა არ გაუჩერებია. იმის მეტი არვინ
ხავს, რომ ერთსადაიმავე დროს ორი საქმე გაეკეთებინოს: გოჭიც გაანა-
ა და ენაც ამღერა; ვინ მოსთვლის, რაც იმან იმ ღამეს ილაპარაკა! ქვე-
ზედ ერთი საქმეც არ დარჩენილა, რომ იმისი ენა არ შეხებოდეს. რასა-
ველია, ბევრსაც უმატებდა, მაგრამ ეს ხომ ქართველის თვისებაა...

მეორე დღეს ალიონზედ ვნახე, რომ ჩემ ჯორს ქვიქვირი ჩამოეგდო, ყუ-
ი ჩამოეყარა და ლობის ძირს ატუზულიყო; მივხვდი რომ იმ ღამეს საწ-
ს არა ეჭამა-რა; ან კი რა უნდა ეჭამა! ათი ქცევა ეზო სულ მოტლეკი-
იყო. აქა-იქ გამხმარი ბალახის ღეროები ობლად ამოჩრილიყვნენ მიწიდან.
მობისაგან მიწა დამსკდარიყო, მაგრამ ეზოს თავისი შვენება მაინც არ
და. მრავალი ნიგვზის და თხილის ხეები, რომლებშიაც ყურძნის ვაზები

იყვნენ გაწნულნი, მაინც ჩრდილავდენ ამ ვანიერს ეზოსა: იმათი მწვანილი გრილი დილა გულს ატკბობდა.

ცხენებზე რომ შევსხედით, ცამ მტრედისფრად ინათლა. ამ დროს მაღ თხმელიდან მამალი გადაფრინდა მწვანედ დახავსიანებულს ოდის თავზედ დაიყივლა, თითქო გვეპატიჟებოდა: ასე ადრე სად მიბრძანდებით, ცოტა გვითმინეთო! მაგრამ ჩვენ გვეჩქარებოდა. მოსამსახურეებმა ჰიშკარი ააჭრიალ და ჩვენ მასპინძელს გამოვეთხოვეთ.

III

ხეობაში მედუქნესთან.

დილა გრილი დაგვიდგა. ცას ნისლი გადაეფარა, რიჟრაჟი და მზის მობრწყინება აღარ გვინახავს. გზა მიგვიძღოდა ფართო ქალებზედ. მდინა შხუილი ხანდახან ჰუნდათ მოგვესმოდა. მინდორს უწვიმობით მოყვითლო რი დასცემოდა: ეკლით გაბანდული მწვანე ბუჩქნარი ზოლ-ზოლებათ გად ყვებოდა. ერთი საათი მეტი ვიარეთ იმ მინდორზედ და შემდეგ შევედით სქე დობილოში: ლოტნარს თხმელის ხეებს ქოჩორა წვერები ვაზის ფოთლე ჰქონდათ შეხვეული. მაჯის სისხო შავი ვაზები ხეებსა და ხეებს შუა ბაწრე გაბმულიყვნენ და თვითონ იმათაც გველსავით შემოხვეოდენ. ამ დრო ძაც პირი გვიჩვენა, მაგრამ იმისი ცხელი შუქი ჩვენთვის უვნებილა და ხშირად გაბნეული თხმელა, ხურმა და კაკლის ხეები სქლად გვიჩრდილე თვითონ მინდორმაც ამ დობილოში ფერი მწვანედ იცვალა. როგორც ეტ ბოდა, მზის შუქს ამ ჩრდილში ბალახისთვის სისველე ვერ წაერთმია. ლოს ტყეში სუნთქვა ძლიერ გაგვიტკბა; გონებაში გავივლე, ამისთანა ნილოვანს ბაღში კაცი არ უნდა დაბერდეს-მეთქი. ხანდაზმით დედა-კაცის ხილი გვესმოდა; მიუცილებლად სადმე ახლოს სოფელი უნდა ყოფილი მაგრამ ვერც სახლი და ვერც კვამლი ვერ დავინახე; ან კი რას დაინახავ სთანა სქელს დობილოში!? კუდაბზიკა ცოტად წინ მიდიოდა. ჯორს ქუ ვკარი, დავეწიე და დიდი კრძალვით ვკითხე: „აქ რა სოფელია“-მეთქი. საკითხავი რამე მექნებოდა, მორიდებით უნდა მეკითხნა, თორემ ხმასაც გამცემდა. ჩემ კითხვაზედ იმან შუღლი მიჩვენა, თვალები ჩემსკენ გამოაპა უნდოდა შეეტყო: დაცინვით ხომ არ მკითხავსო, — და, რაკი დარწმუნდა გულკეთილობაზედ, მიპასუხა: „ცხენი-პარიას ეძახიანო.“

ამ დროს თავს წავაწყდით ერთს ტყიან მთის ცხვირსა, რომლისთვისაც
ს უნდა შემოგვევლო. კიკოლიკმა ცხენი შეაჩერა და დაუძახა თავის
ახურეს, რომელიც უკან მოგვდევდა: - დათუნა (ასე ერქვა კიკოლიკის მო-
ამსახურეს), ცხენი-პარიას წადი და ხელოსანს (მამასახლისს) შეატყობინე,
ად-ახლავე ორი ცხენი გვიშოვნოს. დათუნამ ძალიან ზანტად გააბრუნა
რამდინ დატვირთული ცხენი. ამ ტვირთში ისე ღრმად იყო ჩაფლული თვი-
ნ დათუნა, რომ თავისა და მხრების მეტი არა მოუჩანდა-რა.

მთის ცხვირს იქით ფართო მინდორი ვიწრო არშიად გადაგვექცა. ამ მწვა-
არშიას ცალმხრით დაბალი ტყიანი ქედი საზღვრავდა, მეორე მხრით ჩქარი
ნარე. მწვანე არშიაზე ბევრი არ გვივლია: ჩვენს წინ გამოჩნდა ერთი პა-
ა კლდის ნახეთქი, რომელზედაც ხიდს ჰქონდა ცალი თავი დაბჯენილი
გაღმითაც იმგვარივე კლდე ჰქონდა ბურჯად. ამ ორ კლდის ნახეთქს მდი-
ის კალაპოტი ძალიან შეევიწროებინა. იგი შეგუბებულიყო და იმ ორ
ეს გიჟურად სცემდა. ამის გამო კლდის ნახეთქები და ხიდიც ძალიან ძგერ-
ხიდს ქვეშ მდინარეს ქაფი მოელო და შხეფს ერთს ადლზედ ისროდა. ხიდ-
ვავედით. გაღმით მქისი და ქვიანი ადგილი დაგვიხვდა. ეს ალაგი იყო
ლობი და მეტად ვიწრო. აქა-იქ გვირილა და ეკლნარი გაბნეულიყვნენ,
ბალახი არა მოიძეოდა-რა. ამ ვიწრო დაბლობზედ ხიდს ახლო იდგა ერ-
ვახრეკილი დუქანი და იმის პირდაპირ მეორე. დუქანს იქით აიმართებო-
გარუჯული კლდიანი მთა, რომელსაც ასკილ-გაბანდული ჯაგები ჰმოსავდა.
კარუჯულს მთის ფერდზედ დასავლეთის მხრით ახალ-აღებული ყანა იყო,
ი ლობე ნახირს შეელეწა და შიგ ბალახსა სძოვდა. ჩემი ჯორიც იქვე გა-
ვე.

ხ-დთან რომ დუქანი იდგა, ჩვენ იქ ჩამოვხდით. დუქნის ყაფაზაზედ იდ-
ამი სავსე გობი. ერთზე ეყარა ღომი, მეორეზე სიმინდი, მესამეზე ლო-
და თავზედ ხუთი კვერცხი ჰქონდა ირგვლივ შემოწყობილი. შიგნით დუ-
ი რამდენიმე შუშა ყვითლად და თეთრად გამოსჭვეროდენ: ზოგში ყვითლად
ებილი ოტკა ესხა, ზოგში თეთრი; ზევით ბაწარზედ ოციოდე სულგუნი
ა: ამას გარდა ყაფაზას ქვეშ ორი ტიკი ღვინით სავსე ჰგორავდა. მთელი
ნის სიმდიდრე ეს იყო. დუქანში ვაჭრობდა ერთი პირტიტველა ყმაწვილი.
იავის ჟუჟუნა თვალებს მკვირცხლად აბრიალებდა. ამ პირმოგძო ყმაწვილს
ისფერი ჩოხა ეცვა და ფეხზედ წუღა-ქალამანი (წუღას ჩუსტს ეძახიან). იმის
ი იყო ჩიგუნია და, როგორც თვითონ ამბობდა, ოდიშს პირველ აზნაუ-
ითვლებოდა. ჩვენს მისვლაზედ ჩიგუნიას თვალები აუციმციმდა და პირმა

გაუღიმა, ალბათ გულში გაივლო: „ეს კაი სტუმრები მომიყვანა დღეს მიქელ მთავარანგელოზმაო, დღეს კაი დახლი მექნებაო".

როგორც კი დაველაპარაკეთ, ჩიგუნიამ იმ წამს ამნაირი სიტყვები მოვკ გება: „პატონი (ბატონო), ოდიშის როიც იქნება თავად-აზნაურობის გარჩევა ნიტე, თქვენი წყალობით მალე დეინიშნოს კამინსია... მე პირველი აზნაუშვილი ვარ: ჩემ თავს პირველათ ჩავაწერიეფ."

უყურე ახლა ამ ვაქუცულს მეგრელს წამიჩურჩულა კუდაბზიკამ—პირველი კი არა, უკანასკნელიც არ არის. დედა!.. რატომ ქვეყანა არ დეიქცევა, მაგიც რომ აზნაუშვილობას ეძებდეს!.. მაგი ჩიგუნიას ბუშია (ბუშს ნაბიჭვარს ეძახიან): მართლა ჩიგუნია კი არ გეგონოს, ბუშია, ბუში!.. სა ჯერ კიდევ ჩამძახა ყურში კუდაბზიკამ.

კუდაბზიკა სიცხარით პირზე აენთო. იმას საშინლად სწყინდა, რომ ჩიგუნიამ აზნაურობის შოვნაზედ იმედი გამოაცხადა. კუდაბზიკას შეშურდა იმის აზნაურობა, რადგანაც ის უკანონოდ შობილი იყო. „ღმერთო, კი მომკალი — მეუბნებოდა ჩუმად კუდაბზიკა - ბუშმაც რომ აზნაუშვილობა დეიმტკიცოს, მერე რათ ივარგებს აზნაურობა, მთლად წაპილწდება, გროშათაც აღარ ელირება... აზნაურობის შოვნა რავა იფიქრა მაგ ბუშმა, მაგან!..

— პატონი ჩიკოლიკი კი მიცნობს, ვინცხა ვარ. მე გამოუძიებლადაც უნდა ჩამწერონ აზნაურობის ქაღალდში — იძახოდა ჩიგუნია.

ჰო, ჰო, დარდი ნუ გაქვს. აზნაურობას მე გაშოვნიებ! — უთხრა ჩიკოლიკამ. — შენ ახლა ცოტა რამე საჭმელი გვიშოვნე!...

ჩიგუნიას რაც კი ეშოვებოდა, არა დაგვამადლა-რა. სუფრა გავშალეთ. ჩიგუნიამ ხუთი თუ ექვსი გამხმარი პურის კვერი მოგვიტანა, ამასთან სულგუნი (ყველი) და ჩარექა ღვინო. პურს კბილი ვერ დავაკარეთ: ისე გამხმარიყო, რომ დანასაც კი უჭირდა იმისი გაჭრა.

ჩიგუნია, ამის დაღეჭას დევის კბილები უნდა, — უთხრა ჩიკოლიკამ. სად გიშოვნია ეს რკინისკვერები?

— პატონი, თქვენც კი იცით, ჩვენ პურს არაფლათ ვეწყობით, ჩვენი საჭმელი ღომია. პურს, ასთე, თქვენისთანა პატიოსნეფისთვის გამოვაცხოვე და მაქვს აქანე შენახული.

სამი კვირე გეიარს, რომ პურს არავინ მეითხოვს: გახმება, აპა რა დემართება!

სადილს შემდეგ კიკოლიკამ და ჩიკოლიკამ მოისვენეს; მე კი ჩიგუნიამ გამიხმო დუქანს უკან და დამიწყო აზნაურობის შოვნის შესახებ საუბარი...

2. რუხი მგელი

„ვიშ, რა მშვენივრად მოჩანს ჩვენი საწიოკე მთა!“ წამოიძახა ერთ ზაფხულის დილას სამსონ ჯიბიაშვილმა, რომელიც გამოსულიყო თავის სახლის ანიერს აივანზე პერანგისამარა და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ იცქირებოდა, საიდანაც ამომავალი მზის სხივები ოქროს ფერად ღელავდა ჩაბურ[illegible]ს მთის კალთებში და ჯერ კიდევ ჩაბნელებული ღრმა ჰალების სინათლეზე გამოჰყვდა.

I

სამსონ ჯიბიაშვილი იყო ერთი კარგად ჩასუქებული სოფლის „ადვოკატი“, ანუ ჩვენებურათ რომ ვთქვათ, ვექილი, რომელსაც ყირიმის ომის დროს ასულიერო აკადემია გაეთავებინა და სახაზინო პალატაში „სტოლონაჩალნიკათ“ შესულიყო. იქ რამდენსამე წელს ემსახურნა და ადრე მიმხვდარიყო კანცელარიის პოლიტიკას, რომლის გულისთვისაც მას ბეღლის თაგვი უწოდეს. ბეღლის თაგვს, როგორც მოგეხსენებათ, სახრავი თავის დღეში არ გამოელევა: მაგრამ სამსონს კი მეტად ჩქარა ელეოდა საკანცელარიო მასალა, ესე იგი კალმის დანები, კარანდაშები და საწერი ქაღალდები. ხშირად იტყოდა მისი უფროსი: ეს ურჯულო სამსონი რას სჩადის, რას უშვრება ამდენს კალამ-კარანდაშებს და დანა-ქაღალდებს?!.. ეგ ისეთს ხვრას მისჩვევია, რო იქნება კანცელარიის ზანდუკები და განჯინებიც დახრასო? — სიფრთხილეს თავი არ სტკივაო — გაივლო გულში სახაზინო პალატის უფროსმა და ამისთვის (მეტი საშუალება ველარა მოახერხა რა) გადასწყვიტა სამსონის დაუყოვნებლივ „განპატიჟება“. სამსონ ჯიბიაშვილი სრულებითაც არ შეწუხებულა ამითი, რადგან, როგორც თაგვს ბასრი კბილები, ისე იმას ბასრი კალამი ჰქონდა ყურში გაჩრილი საფხაჭუნოდ. ორი თვეც არ გასულა, რომ ჩვენ სამსონ ჯიბიაშვილს ვხედავთ მაზრის უფროსის თანაშემწედ. მაგრამ ვერც აქ მოვლო დიდხანს; მისმა მსუნაგობამ და დაუდგრომელმა ხასიათმა მოთმინებიდან გამოიყვანა იმ დროს კაურავებული ზოგიერთი მებატონეთავანი, რომელთაც ხელი შესდვეს და კარგათაც გაჰქირეს გძელ-ქუსლებიან ჩექმებით. „ჩიტი ბდღვნათ არა ღირსო“ — იფიქრა გულში სამსონმა, მიანება თავი სახელმწიფო სამსახურს და კანონებში კარგად გამოჩარხული ელოდა ახალ დროს, ახალ სამართლის შემოსვლას, რომ დაჩაგრულების ვექილათ გამხდარიყო და კანცელარიის განჯინების მაგიერათ ხალხის ჯიბე გამოეხრა. იგი მისდევდა ქართულ ანდაზას:

„სმა-ჭამა დიდათ შესარგი, დება რა სავარგულიაო“.

აი, ამისთანა ხასიათს გაესუქებინა კიდეც ჩვენი სამსონ ჯიბიაშვილი.
სი მოკლე კისერი ურმის მორგვსა ჰგავდა, რომელზედაც თათრული გოგ
სიმსხო თავი დამხობოდა. მისი ბეჭებ-წახრილი ტანი კოკა-ნახევრიან გაბერ
ტიკს მოვაგონებდათ, რომელიც ორ მომსხო და მოკაუჭებულ ფეხებზე
შესკუპებული.

ტიტველი კოტიტა ფეხის თათები იმ დილას ფოსტლებში ჩაეყო სამს
ვძელ — ტარიანი ჩიბუხი ხელში დაეჭირა და როცა აივანზე მიდი-მოდიოდა,
ფეხის გულებზე ფოსტლებს ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა, თან ხვნეშოდა, თან
ბუხს აბოლებდა, თან იძახოდა: ოჰ, ჰო, ჰო!! რა სიცხე იყო წუხელი,
ბული, რა სულთა-ხუთვა!... მთელი ღამე ლული არ მომკიდებია თვალე
სულ კიტრივით ვგორავდი! მაგრამ ვისაც მისი შუადღის ძილი ენახა და
ზმუილა ხვრინისათვის ყური მოეკრა, იგი აღარ გაიკვირვებდა იმის საჩივა
სადილს უკან .რომ გაგორდებოდა, დღე-და ღამის გაყრამდის თვალებს ა
გამოაჭყეტდა. მაგიერათ მზე ვერაოდეს ვერ მოასწრებდა ამოსვლას. სამსო
სახლი ისეთს სერზე იყო გადმოჭიმული, რომ არც დილის ნიავი დააკლდ
და, არც შუადღის სიო. ირაჟრაჟებდა თუ არა, სამსონი მაშინვე აივანზე
ვარდებოდა, გაღეღილ ბანჯვლიან გულ-მკერდს დილის ნიავს მიაპყრობდ
იყო ასე ერთხანს საგრილობელზე ხარლაღსავით გაჩერებული. იგი შეს
როდა საწიოკე მთას, საიდანაც მოჰქროდა სულის ჩამდგმელი სიგრილე.
თვალ-გადუწვდენელი მამული ბარიდან მოკიდებული კავკასიის მთის ილ
დე იყო შეფენილი. ალაგ-ალაგ ისეთი ჩანჩქრები და ჩხრიალები გადმოჩ
დენ მთების ხეობებში, რომ მათის ხმისაგან ყურთა-სმენა აღარ იყო.
წყლების ძლიერება მათგან წამოღებულს უზარმაზარ ხეებს ეტყობოდა,
მელნიც მთის მიხვეულ-მოხვეულებში ერთმანეთს გადაჰქდობოდენ, გახიდ
ყვენ და ზედ ხევის წყალი აქაფებული ღრიალით ეხეთქებოდა და ჰმუსრ
უზარ-მაზარ ხეების ტოტებს. ამ გაშმაგებულ ხევის წყალს ზოგგან მთელი
რის ფერდები ზვავათ ჩამოექცია და ზოგჯერ ისეთი კლდის ნამზვლევები
გორებინა, რომ სიგანითა და სიმაღლით ორ-სართულიან ქვითკირის სახ
მოაგონებდა კაცს. მთაგრეხილები დაბურული ტყეებით იყო მოცული და
დი-ქედს გადახლართოდა. ზოგგან მთებს კალთები შეეკეცა, ქალები გაეგ
რებინა და გაშლილს ვაკე-გორებზე აქა-იქ მოჩანდა ფიცრული დარბაზები
გარემოიანად და ყანა-საბალახოიანად. შორს კავკასიის ქედი თეთრი არ
ზურგმოვარაყებული გრგვლად შემორტყმოდა ამ მთას. აი, ასეთი ქედი

გორი-გორს, ხევი-ხევს, ველი-ველს მიდგმული მთიანი ადგილები შეადგენდ საერთო გაუყოფელ მამულს, რომელსაც საწიოკე მთა ერქვა. შიგადაშიგ მთაში გაფანტულიყვენ დროებითი ვალდებული გლეხები; მათ გარდა მრავალი ოსებიც იყო ხიზნათ ჩამოსახლებული ამ მთაში. ესენი უფრო მიუდგომელს ადგილებს ირჩევდენ სამოსახლოთ კლდის ნაპრალებში, რომ საწიოკე მთის მებატონეებს მათი ხშირად სტუმრობა გასჭირვებოდათ. ისინი აშინებდენ საქონელს, გაემრავლებინათ თხის ჯოგები, ეს უწყალო მტერი ახალგამოღებულის ტყის კვირტებისა: აკეთებდენ ყველსა და ერბოს, აგროვებდენ თაფლს, თუ კი სადმე წააწყდებოდენ ფუღურო ხეში გარეულ ფუტკარს, ნადირობდენ კლდის ნაპრალებში არჩვებზე და ჯიხვებზე, მდინარეებში იჭერდენ კალმახსა და ორაგულს. ზაფხულობით მოაწყობდენ მთის ნაკადულზე სახარატო და სათლელ ჩარხებს, თლიდენ ხის ჭურჭელს: ჯამებს, გობებს, კოვზებსა და ფიცრებს.

საწიოკე მთა ეკუთვნოდა ას კომლ მებატონეს რომელთა შორის ირიცხებოდა სამსონ ჯიბიაშვილიც. ეს მებატონეები ყველანი, სამსონს გარდა, ესახლენ საწიოკე მთის შესავალში დიდ-ხევის პირად სერებზე და შიგ ჭალაში მიმოფანტულნი. ამ მთაში სხვა გზით ვერავინ შევიდოდა, თუ არ მებატონეების სოფლიდან.

თვითონ სამსონ ჯიბიაშვილი ესახლა სხვა სოფელში, ათი ვერსის მანძილზე საწიოკე სოფლიდან. მას სხვა საქმე არ ჰქონდა, ყოველთვის სასამართლოის კარზე იყო ატუზული და მოსამართლეც სასწორს იმისკენ ხრიდა. ამიტომაც მისი ხათრი ყველას ჰქონდა მებატონეს, გლეხსა და ხიზანსაც. იმას არა ერთხელ დაეწიოკებინა საწიოკე მთის მცხოვრებლები სამოსამართლო ბოქაულის წყალობით. სამსონს ეგრე რიგათ არ უყვარდა თვითონ მთაში სიარული, მაგრამ თუ მებატონეები ოსებს მიუხტებოდენ, ან თუ სხვებს ვისმე დააწიოკებდენ, არც ერთი ამისთანა ამბავი მას არ გამოეპარებოდა. როგორც კი შეიტყობდა მთაში „საქმო“ გაჩენილაო, ისიც მაშინვე ამხედრდებოდა თავის ლურჯაზე, რომ საუფლისწულო არ დაჰკარგოდა. აი ამიტომაც უყვარდა მას თავის სახლის აივანზე ჯდომა და საწიოკე მთისკენ ცქერა.

მისი პატარა ციმციმა თვალები ძლივლა ბჟუტავდა სიმსუქნით დასივებულს ლოყებში, მაგრამ სამაგიეროთ მათი სახედველი შუქი შორს სწვდებოდა. ათ-თოთხმეტ ვერსზე ლობე-მძვრალა ჩიტიც ვერ აფრინდებოდა, რომ მის თვალებს არ შეენიშნა. მას არ გამოეპარებოდა საწიოკე სოფლიდან გამოსული ცხენოსანი. იმას ჰყავდა საწიოკე მთის მებატონეებში ერთი გულითადი მეგობარი აზნაური ავთანდილ კვიმატაძე. იმის სისვა ცხენსა ათას ცხენში გამოიცნობდი.

II

ავთანდილ კვიმატაძე საწიოკე მთის ერთი მებატონეთაგანი იყო. ც
ნებულს მამა მისს მეასედი მონაწილეობა ერგებოდა საწიოკე მთაში: მაგ
რადგან მის სიკვდილს შემდეგ ოთხი ვაჟკაცი დარჩა, ამისთვის ავთანდილ კ
მატაძეს გაუყოფელს მთაში მეოთხასედი და თუ ექნებოდა. ძმები რომ გა
რენ, მას აქეთ ათი წელი მეტი იყო, მაგრამ ავთანდილ კვიმატაძე მაინც ჯ
კიდევ ვერ დასახლებულიყო, როგორც შეეეფერებოდა ჩაქვირითებულს აზ
ურის ოჯახსა. მისი გამოწყებული იმერული ოდა თუმცა წაბლის გულისა
იყო აშენებული, მაგრამ სახლის დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა.
სამთვალიანი სახლი ცხრა მუხის ბოძზე იყო შესკუპებული; მხოლოდ ერ
თვალს ჰქონდა იატაკი და ჭერი: მაგრამ იატაკის ფიცრებს ისე დაელოთ პი
რომ თუ კაცი გაფრთხილებული არ იყო ზედ სიარულის დროს, შეიძლებო
ფეხის ცერი ჩავარდნოდა ფარღალალში. სხვა ოთახებს და აივანს ჯერ არ
ჭერი და არც იატაკი არ ღირსებოდათ, ისინი უჭერ-იატაკო და კარებ-ანჯ
ლები გამოიცქირებოდენ. აივანზე ორი სამი ფიცარი იყო გადებული იატ
დაგებულს ოთახამდის, რომ აქ შესვლა შეძლებულიყო. კიბის მაგიერად ო
ხე იყო აივნის ღირეზე აყუდებული და ზედ საფეხურების მაგიერად მსხვ
ჯოხები იყო ირდი-გარდით დაკრული. სტუმარი თუ მოისურვებდა ამისთ
კიბით ოდაში შესვლას, ცოტა ჯამბაზობაშიაც გავარჯიშებული უნდა ყოფ
ლიყო. თვით ოდის იმ ერთს თვალს, საცა ჭერ-იატაკი დაგებული იყო, არ
შუშები ჰქონდა ჩასმული, არც ბუხარი მიშენებული. მხოლოდ გძელი ფიც
ბი იყო გაჭიმული ერთი კედლიდან მეორე კედლამდის და ერთ კუთხეში
წარ-გადაფარებული ქვეშაგები ელაგა. ავთანდილს ჰქონდა კარვი ძელური
ჯალაბო სახლი, შუაგულ კერა-გაჩაღებული, საცა სახლობა ჰყავდა დაბინ
პული. სტუმარი რომ მოვიდოდა, იატაკიან ოთახში შეიყვანდა და როცა სტ
უმარი თიკანსავით კვინტრიშით შეირბენდა ციცაბო კიბეს, ავთანდილ ბოდ
მოჰყვებოდა: „უკაცრავათ, ჩემო ბატონო, რომ ჯერ ოდა კიდევ რიგიან
არა მაქვს მოწყობილი; მაგრამ ახალი მოსახლე გახლავარ. სულ ათიოდე
ლიწადია, რაც დავესახლე. თუ ღმერთმა მომასწრო ამ სახლის მოთავება, ვე
ნებ, კარგი შენობა უნდა დადგეს, თქვენ როგორ გგონიათ?“ ცნობისმოყ
რეობით შეეკითხებოდა სტუმარს, რომელსაც თან ვულის კანკალი მოსდ
და, ოჩაფეხა კიბეზე არ დავიმტვრეო და თან ზრდილობის ნიშნათ პასუხს უგ
და: „დიაღ, კარგი შენობა უნდა დადგეს, თუ მოათავეთ: მაგრამ, ვგონ

ყანამდის სახურავის გამოცვლაც დაგჭირდებათ“. რამდენათაც ზაფხულობით სასიამოვნო იყო ღამის სიგრილის გამო იმ იატაკ-მოგებულს ოთახში მოსვენება, იმდენათ კბილებ-საკანკალე ხდებოდა ზამთარში იქ დგომა. ამის გამო ნათესავები და მეგობრები — ყველანი ერიდებოდენ ავთანდილთან ზამთრობით სტუმრობასა, რადგან იცოდენ, რომ უბუხრო და შუშა-ჩაუსმელ ოთახში გაათევინებდა ღამესა. როცა მამის დანატოვარი ნივთები გაიყვეს. ავთანდილს ერგო ერთი კბილ-ჩამტვრეული ძველი ხმალი, რომელსაც არც დღე, არც ღამე აღარ იშორებდა. „ეს მამის ჩემის ხმალი ბედნიერ ხელზეა ნაშოვნი. დიდი აპაშ ერისთვის ნაქონები ხმალიაო“ — იტყოდა ავთანდილი გულ-ამაყად. „ცხონებულმა მამაჩემმა ამით ნახევარი საწიოკე მთა შემოჰკოდაო“!

III

საწიოკე მთის მონაწილეთ ერთი ახირებული საქმე სჭირდათ. დილიდან საღამომდის ერთმანეთს გზირათ უდგენ, იტყობდენ. ვინ რას აკეთებდა. ვთქვათ, ერთი ვინმე მეპატრონე მთაში წავიდა სათევზაოთ. მეორე და მესამე უეჭველათ მას აედევნებოდა დასაზვერავათ. ამავე გვარად მოიქცეოდენ სხვებიც, თუ რომელიმე მათგანი წავიდოდა მთაში ან ნაცნობ ოსთან, ან ვინმე გლეხთან საქმისათვის. ხშირათ მოხდებოდა, რომ ერთი მეორეს გაუდარაჯდებოდა გზაზედ, დაესხმოდა თავზე ნაშოვრის წასართმევათ; მოჰხდებოდა ჩხუბი, ხანჯლების ტრიალი და ზოგჯერ კაცის კვლაც. მაგრამ ყველაზე უფრო მძიმე შეტაკება შეემთხვეოდათ ხოლმე საწიოკელებს „ნაკოდობაზე“, რადგან ვისაც მეტი ნაკოდობა ჰქონდა, ის მეტს მონაწილეობას და სარგებლობას სჩემობდა, თუნდ რომ მემკვიდრეობითი უფლებით და კანონის ძალით ნაკლები მონაწილეობაც ჰქონოდა. „ნაკოდობას“ ეძახოდენ ერთნაირ ძალ-მომრეობას, რომლითაც ყოველი მეპატრონე, დიდისა, თუ მცირის მონაწილეობის მექონი, თანასწორად იჩემებდა საუკეთესო მთის ალაგებსა. საწიოკე მთა იყო უდაბური, სადაც ადამის წლის ხეები იდგენ. ხანდახან ისეთს ხესაც შეხვდებოდა კაცი, რომ სამი ოთხი საჟენი სიმსხო ტანი ჰქონდა. ტყე იყო აუარება, ფასი არ ედვა. ამისთვის მონაწილეები ცდილობდენ ტყე მოესპოთ და ტყის ალაგას საყანე ახოები გაეჩინათ. ამის გამო თითოეული მათგანი ცდილობდა საყანე ალაგები და გაუკაფავი ახოები დაემისებინა. ამ ანგარიშით რომელიმე მეპატრონე წავიდოდა თავის გლეხიანათ, ან შეიძლებოდა, გარეშე ბარის კაციც მოეპატიჟებინა: წაიღებდენ ხელსაწყო რკინეულობას ცულს. ნაჯახს და

სხვ., რამდენისამე დღის საგძალს, ამოირჩევდენ რომელსამე ხეობას, მოჭყ ბოდენ და ყოველს უზარმაზარს ხეს - თუნდ წვრილმანი ხეც ყოფილიყო, სუ ერთი იყო - შემოაქდობდენ გარშემო ცულით, რომ კანი და ცილა შემო რათ. აი, ამ მოქმედებას ეწოდებოდა „შემოკოდვა“. ყოველი ხე, რომელს გარშემო ქერქი და ცილა ჰქონდა შემოჭრილ-შემოსერილი, უსათუოდ უნ გამხმარიყო ერთის წლის განმავლობაში. შემდეგ ამ გამხმარს ვეება ხეებს შ უნთებდენ ცეცხლს და ამ სახით იწვოდა, ოხრდებოდა ეს მშვენიერი ტყ იკარგებოდა ხელ-გამოუბრუნებლათ ამდენი სიმდიდრე. ავთანდილ კვიმატ საკვირველი დახელოვნებული იყო სოფლის დარაჯობაში. დილიდან საღამო დის საწიოკე მებატონების თვალყურის დევნებაში იყო. ვინ რას განიზრახ და, ვინ სად წავიდოდა, ვინ ვის დაელაპარაკებოდა, შეუტყობელი არ მოუ ჩებოდა: მუდამ ტყეში დარბოდა მშიერი მგელივით, ეძებდა მხოლოდ სად რ უაწყდომოდა, ვისთვის რა წაერთმია. მამისეული ხმალი მუდამ გვერდზე ეკი და, თუ ვინმე შემოკოდდა ტყეს საყანედ, ისიც იქვე იყო გაჩენილი. როგორ კი მებატონე შინ დაბრუნდებოდა, ავთანდილ მისვე შემოკოდილს ხეებს ხელ მეორეთ დაუწყებდა თავის ხმლით შემოსერვას, რომ თვითონაც იმ საყანე წილი დაედვა, ან სადაოთ გაეხადნა მისი დამამტკიცებელი საბუთი ყოვე ხეს ზედ აჩნდა კბილ-ჩამტვრეული ხმლის შემონაკრავი. ეს ისეთი საბუთი იყ რომ აღარავითარი მოწინააღმდეგე მოწმობა აღარ გადიოდა, რადგან მისი ხმლ შემონაკრავს ყველა იცნობდა.

IV

საწიოკე სოფლის მებატონეებს ჰქონდათ საკუთარი ძველი ეკკლესია წმ დის გიორგისა. ეს იყო ერთი პატარა საყდარი, რომელშიაც ორმოცდაათი კ კი თუ მოთავსდებოდა, მეტი არა. ამ საყდრის კედლები ძველი მხატვრობ იყო აჭრელებული. ჩრდილოეთის მხარეზე მეთოთხმეტე საუკუნის ერისთავ ერისთავი, მისი მეუღლე და ძმები იყვენ დახატული. მხატვრობა წელზევ კარგათ ეტყობოდა, წელქვემოთ-კი სურათი წაშლილი იყო მუდამ კედლებ ხახუნით. წირვის დროს ამ ალაგს დგებოდენ საწიოკე სოფლის უფროსი ღრმა მოხუცებული კაცები, რომელთაც კედელზე მიყუდება ჩვეულებათ ჰქონ დათ. მხატვრობის მოშლა წელქვემოთ იმათი ბრალი იყო, თუმცა ისინი ვე დროს ძალიან მოწიწებით შესცქეროდენ თავიანთ წინაპრის სურათებს, რო მელთაც ამისებდენ წმიდა გიორგის ეკკლესიის აშენებასაც. იგი იდგა შუაგ

სოფელში მაღლობზე და გარშემო დიდი ბზის ბუჩქნარით იყო შემოვლებული. კარს ხევის პირად დაეფინებოდა მინდორი, რომლის შუაგულს ას-წლოვანი კაკლის ხე იდგა. ამ ალაგებიდან ვერავინ გაბედავდა რისამე წაღებას, წკირის მოტეხაც არავის შეეძლო წმინდის გიორგის შიშით. კაკალ ქვეშ ოთხი ადლი სიგძე და ორ ადლნახევარი ბრტყელი ქვა იდვა: წირვა რომ გამოვიდოდა, საწიოკე მთის მებატონები ამ კაკალ ქვეშ მოიყრიდენ თავსა და დადგებოდენ რიგისა და წესისამებრ. დიდ მონაწილეთაგანი პატივცემული მოხუცებულები განიერს ქვაზე ჩამოსხდებოდენ, დანარჩენები ირგვლივ ჩამორიგდებოდენ მწვანე მოლზე და იყვენ სოფლის საქმეების განსჯაში.

ბატონებო, აი, თქვენთვის მომიხსენებია, ჩამომეთხოვოს ავთანდილი, თვარა სისხლი დაიღვრება, — წარმოსთქვა რიხიანად ერთმა ტან-მორჩილმა მოხუცებულმა.

— რაო, ბაანა, - ჰკითხა ქვაზე მჯდომარე მებატონემ, რომელიც იყო მოხდენილი მოყვანილობისა, განიერ-ბეჭებიანი და კაბაქულაჯიანი. წელზე ერტყა ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, ეცვა ქართული განიერი შალვარი, გვერდზე ეხურა ქართული კალმუხის ქუდი და ყელზე ბაღდადი ჰქონდა ჩამოგდებული. წითლად დაბრაწული მსხვილი თვალები პირ-მოპარსულ სახეზე ნათლად ამჩნევდენ, რომ ამ მებატონეს ყანწების ტრიალი უნდა ჰყვარებოდა. ამასთანავე მისი დასივებული კისრის ძარღვები ამტკიცებდენ, რომ კარგი მომღხენი უნდა ყოფილიყო და მაგარი ხმის მეპატრონეც ქართულ სიმღერებში.

— როგორ თუ რაო? — გუშინ მთაში ავედი ჩემი საახოვეს დასათვალიერებლათ. ყოველ ჩემ შემოკოდილს ხეს მისი ხმლის კვალიც ეტყობოდა! აქ თქვენ კრებაში გამომიცხადებია, თუ თავი არ დამანება, ან ის უნდა იყოს, ან მე. მეორეთ რომ ვნახო ჩემ ნაკოდობაში; ცოცხალს არ გავუშვებ. ეს გატენილი თოფი თან დამაქვს, -- გაათავა ბრაზმოდებულმა ბაანამ ლაპარაკი.

— რამდენი ხანია მაგრე გატენილს თოფს ატარებ? ჰკითხა ქულაჯიანმა.

— ეს ერთი წელიწადია მაგის თოფის ხმა არ გაგვიგონია, -- წამოიძახა ვიღაცამ.

— მაშ, აქამდის სულ ჩაიჟანგებოდა შიგ ტყვიაწამალი, — დასძინა ქულაჯიანმა.

— ბაანა, ვაი თუ საფალიეზე წამალიც არ მოგიყრია? — ჰკითხა ხუმრობით ერთმა ახალგაზდა მებატონემ, რომელიც მართლა მივიდა ამ დროს, ფალია გადუშალა და გადუპნია წამალი, - აკი, მართლა ერთი მარცვალიც არ ყოფილა? სიცილით წამოიძახა ისევ იმანვე.

- მე არაფერი მელაზლანდარება! გაჯავრებით უთხრა ბაანამ. ისევ დააყარა თოფის წამალი საფალიეზე და ფალია შემართა.

— ნიგუზალიც რომ დაადვა პაანას თოფს, მაინც არ გავარდება, - აგდ ბით უთხრა მესამემ.

ხალხში სიცილია.

-- იქ მობძანდით მთაში, როცა ყანას ვუდგივარ და მაშინ ნახავთ, თ არ გავარდება.

— ხუმრობა იქით იყოს და მართლაც ამ მცირე მონაწილეებმა მთა გაგვიფუჭეს - გადუკრა სიტყვა დინჯმა მოხუცებულმა, რომელიც ქულაჯიან გვერდით იჯდა ქვაზე და ორივე ხელებით ჯოხზე იყო დაბჯენილი.

— მაგათ, ასე გასინჯე, ჩვენი საკუთარი დროებითი ვალდებული გლეხებიც კი გაგვიორგულეს. ერთხელვე გადაკრილ შეშის ფასსაც აღარ გვაძლევენ — დაუმატა მესამემ.

— იმ დღეს ავთანდილს ჩემი ნაყმევი გაებრიყვებინა, ეთქვა, შე ს ლელო, ბატონი შეშის ფასათ თუმანს არ გჯერდებაო, ჩემთან, მოდი, ექვს მანეთად გაგირიგდებიო, მთა თუ მისია, ჩემიც არისო. მცირე მეპატრონეების წყალობით დღეს ნაყმევები თითქმის აღარ გვემორჩილებიან. ისინი ბევრნი არიან, ჩვენ დიდი მონაწილეები კი ცოტანი ვართ. ისინი მუდამ მთაში ჰყრიან; ვისაც შეისწრებენ, ყველას ჰგლეჯენ, ჩვენ კაცებსაც აწიოკებენ.

— ეგ ყველა ავთანდილის ბრალია, — დაუმატა რამდენმამე ხმამ, — ის არი ყველა უქუდოებისა და ხელმოკლე მონაწილეების მოთავე.

ჰეი, ჰეი!.. უკაცრავათ გახლავართ, —წამოჰყვეს თავი ბარე ათიოდ მონაწილეებმა, — ვინ გიშლით, თქვენც იარეთ ტყეში, თქვენც ისარგებლე ვინც ხელსა და ფეხს გაანძრევს საერთო მთაში, სარგებლობაც იმისი უნდა იყო

— დიაღ, როგორ არა! — დაიყვირა ქულაჯიანმა: — მამაპაპისეულს თქვ გაგატანთ. იქ მობრძანდით სასამართლოში და დაგველაპარაკეთ. კანონია ჩვე მონაწილეობის გამრჩევი.

— აბა, თქვენც მობრძანდით და ჩვენი ნაკოდობა წაგვართვით. რაც გაგვიკაფავს და ყანებათ გადაგვიქცევია, იმას ვერავინ შეეხება.

— რამდენიც შეგხვდესთ მონაწილეობისამებრ, იმდენი გაჰკაფეთ, მე ვინ დაგანებებთ - უპასუხა ქულაჯიანმა.

— ჩვენ რა ვიცით, სად თავდება ერთის მონაწილეობა და სად მეორე მთა ხომ საერთოა. ვისაც გული და მაჯა ერჩის. რამდენიც უნდა, იმდე ისარგებლოს.

ეგრე რომ იყოს, მაშ მთელი მთა ავთანდილ კვიმატაძეს წაუღია

, არის! ერთი ხეც აღარ არის მთაში, რომ ავთანდილ კვიმატაძის კბილჩამ- ვრეული ხმალი არ მოხვედროდეს.

ამ კაცის სახელის გაგონებაზე ყველანი შედგენ, თითქოს მოპირდაპირენი ერივდენ, ერთმანეთში დავა შესწყვიტეს და მოჰყვენ ავთანდილის ქვედურს.

— იმ დღეს ავთანდილმა ჩემი შეყვანილი გლეხი გამიცარცვა, -- თქვა ერთმა.

— საწიოკე მთის ხევზე რომ წისქვილებია, წასულა იქ ავთანდილი და ერთო მინდი აულია მეწისქვილეებისაგან! — განაცხადა მეორემ.

-- შარშან ჩვენ შეყვანილ მეცხვარეებს რომ მატყლი მოსტაცა, ის რა ყო? საქმე სასამართლოშია; მეცხვარეები გაცარცვას უჩივიან, — გაიხსენა მესამემ.

გუშინწინ მთაში ჩემს გლეხს მიხტომოდა და სადილი მოეთხოვა. მამა აცები შინ არ ყოფილიყვენ: დედაკაცს გამოეტანა ხელათ ხონჩა, კარგი ცხელ- ხელი მჭადები, ყველი და ღვინო. ავთანდილს მადლობის მაგიერათ, წიხლი კრა სავსე სუფრისათვის და გადაეყარა: „რატომ შემწვარი ქათამი არ მომარ- ვიო?“ დედაკაცს თავზარი დასცემოდა, ბოდიში მოეთხოვა: „უკაცრავათ, ემო ბატონო, ასე უცებ ვერ მოვასწრეთ. თუ მოგვითმენთ იმასაც მოგართ- ევო“. ერთი სიტყვით, საღამომდის სუფრა აღარ აეღო. ერთი დიდი დოქი ვინო დაელია, ჩაბრუქებულიყო და წამოსულიყო. აბა, ჰკითხეთ, რა ნება ქონდა, რომ ჩემი ნაყმევის ოჯახში ასეთი ძალა მიიტანა. მე ის აღარ მემსა- ურება. აწ ავთანდილს გაიხდის ბატონათ? — თქვა მეხუთემ. — სულ ვფიქრობ ა ვერა მომიხერხებია-რა, როგორ გადავაჩვიო ჩემ გლეხებში წანწალს.

სასამართლოში ბევრიც რომ ვეცადოთ, მაინც ვერას მოვუხერხებთ— თქვეს რამდენმამე: -- იქ ცალმხრით სამსონ ჯიბიაშვილი ამოუდგება გვერდით, ეორე მხრით ორი ცრუ მოწამე: მამუკა და შიუკა! გინდა ხატზე დაუფიცნიათ მათ, გინდა ჯოხზე. როგორც სამსონ დაარიგებს, ისინიც მისთანა ჩვენებას ისცემენ მოსამართლეს.

— გაჩერდეს ის სამსონი ატუნკატი, ის მაჩვი, ის ხარაბუა, ის რაჭველე- ის გუდა, თვარა მის ატუნკატობას მისსავე ტყავში გამოვხვევ, რთხში ამო- ილებ და ისე ჩავაბარებ თავის პატრონს. მე ვიცი, ავთანდილსაც წინ გავუძ- ოლებ, -- თქვა ერთმა შავწვერა მებატონემ, რომელიც ხატის შერისხულსავით ფეთებდა თვალებს.

-- სამსონმა და ავთანდილმა ჩემ გლეხს ცხრა თუმანი გადაახდევინეს ამას ინეთ ტყის მოჭრის ფასი, — თქვა მეორე მებატონემ.

— რამე უნდა მივუხერხოთ მაგათ. ჩვენი საქმის ამრევ-დამრევი, სულ ეგ რი კაცია, —ერთხმათ წარმოსთქვეს ყველამ.

V

ამ დროს ერთმა ვიღამაც წამოიძახა: „მოდის, მოდის!" ყველამ ერთადხმა გაკმიდეს და დაიწყეს ცქერა დასავლეთისაკენ. მოშორებით დიდ ხევის ხიდზე გამოდიოდა სამი კაცი. რომელიც წინ მიდიოდა, ის იყო პირხმელი, ჭაღარა კაცი. მას ეცვა რუხი ჩოხა, უკან მოსდევდა ორი ახალგაზდა ახლად ამწვანებული წვერულვაშიანები.

— აბა, არ გაგიწყრეს ღმერთი, ის წირვაზე არ წამოსულიყოს. იცის, რომ იმაზე გვექნება ლაპარაკი და უნდა დაგვზვეროს, — თქვა ერთმა.

წირვა-ლოცვის მადლი გაუწყრა მაგას. მგონია, ერთი წელიწადიც არის, წირვა-ლოცვა არ მოუსმენია, — დაატანა მეორემ.

— ეს ხუთი წელია, ეგ აღარ ზიარებულა ჩვენ საყდარში, თქვა მესამემ

— ქუდი რომ შეუგდო საყდარში, მის გამოსატანათაც ვერ შეიტყუებ შიგ, ხატების ეშინია.

— ეშმაკის ფერცხალს ღვთის ტაძარში რა უნდა? თქვა დინჯათ ჯოხზე დაბჯენილმა მოხუცმა.

— ნამდვილი რუხი მგელივით მოწანწალობს შენიშნა ქულაჯიანმა.

ყველამ გაიცინა.

მართლაც ამ კაცის სახე რაღაც დაუნდოლობას და თვალთმაქცობას გამოხატავდა. პაწია ჭროღა მისი თვალები ვეცხლის წყალსავით დაუხტოდენ თვალის უბეებში. მოგრძო პირხმელი სახე მისი მგელსავით წამწვეტებული ცხვირით იყო დამშვენებული. ჭაღარა თმა და წვერი ძალიან შეხამებული იყო მის რუხ შალის ჩოხასთან. წელზე მაგრათ შემოჭერილი ქამარი მიმხმარს მუცელს კიდევ უფრო აკრავდა ფერდებზე. ის მოდიოდა სწრაფად, ფეხ-აკრეფით, თითქო საშოვარს რასმე ეპარებაო.

— ნამდვილი რუხი მგელია, თქვა ბაანამ.

შვილებიც რომ მგლის ლეკვებს ჰგვანან, დიდება შენდა ღმერთო! დაიწერა პირჯვარი ჯოხიანმა მოხუცებულმა.

სულ ტყეში ჰყრიან მამასთან, თითქოს მგელი ლეკვებს ნადირობას აჩვევდესო.

იმ დღეს მაგათ ოსისთვის თიკანი წაერთმიათ და შეეჭამათ; პატრონს მხოლოდ თავ-ფეხი მიუყარეს, — სთქვა ბაანამ.

„რუხი მგელი" ზედ გამოჭრილი სახელია ავთანდილისა, — თქვა ქულაჯიანმა. ნეტა ვიცოდე, პირველად ვინ დაარქვა მაგას ეს სახელი?

— ოსებმა დაარქვეს,—წამოიძახა ერთმა,—არ შეიძლება რომ მაგას სახა- ო ჩარხი დაემალოს. საცა უნდა მომართონ, გინდ უდაბურ ტყეშიაცა. მ არ ეგონოს, ისე წაადგება თავზე და დასჭყივლებს: „ჰატ, შე, ქუჯო, ო! ეგ რა ამბავია, რომ ჩარხი მოგიმართავს წყალზე უჩემოთ იაბახებსა და მებს თლი და ჩემთვის კი აქამდის არ შეგიტყობინებია. მოიტა ხელათ ხუთ- ერთი! ისე არ წავა ტყეში ოსებისკენ, რომ ოცი და ოცდა-ათი თაბახი არ ოიტანოს. მაგის სახელით ოსის დედა-კაცები ბალღებს აჩუმებენ. ..გაჩუმდი. ირემ რუხი მგელი მოვა და წაგიყვანსო“.

ამ დროს ავთანდილიც მოვიდა თავის შვილებიანათ.

- ბატონებს გაუმარჯოთ. შეგეწიოთ წირვის მადლი.

მებატონეები ზრდილობის ნიშნათ ფეხზე წამოდგენ და მიესალმენ.

— ნუ ირჯებით, ბატონებო, დაბძანდით.

ყველანი დასხდენ, ავთანდილიც დაჯდა.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— სად ბძანდებოდით, ავთანდილ? —გამოელაპარაკა დარბაისლურად ქუ- აჯიანი.

— არსად, ბატონო. სამსონ ჯიბიაშვილთან გახლდით. ორშაბათს სასამართლოში საქმე მაქვს დანიშნული. ვთხოვე, დაეცვა ჩემი საქმე.

— ავთანდილს სასამართლოში საქმეს რა გამოულევს,—შენიშნა ბაანამ.

— ნეტაი დამაყენებდენ, თვარა სასამართლოს კარებს თვალითაც არ დავი- ახავ. ყველა მე მემტერება, უსამართლოთ მდევნიან. მეტი რა ღონე მაქვს, ნდა ვიწანწალო თავის დასაფარავად.

— ნეტა შენ არავის ემტერებოდე, თვარა შენ ვინ გაგიბედავს დამ- ერებას—უპასუხა ბაანამ და შემართა ჩახმახი, თითქო საომრად ემზადებაო.

— არა, ჩემო ბაანა. მე ყველას ფეხქვეშ ვეგები. მაგრამ არავინ გამიტა- ა, ყველა მე მძალადობს.

ზოგიერთებმა ამ სიტყვაზე ჩუმ-ჩუმათ დაიწყო სიცილი.

— შე, კაი კაცო, იმ ჩემ შემოკოდილს რომ მივარდნიხარ, სხვაგან ვერ შოვე?—ჰკითხა ბაანამ.

— ჩემ ნაკოდს ყველა იცნობს, ჩემო ბაანა. ჩემ კბილჩამტვრეულ ხმლის შემონაკრავს ვინ არ იცნობს?

— დიაღ, ვიცანი და ამიტომაც მოგახსენებ.

- თუ ჩემი ხმლის შემონაკრავი იცანი, ჩემი ნაკოდი ყოფილა და შენ, ჩემო აანა, ძალიან დაგიშავებია, თუ ჩემ შემდეგ მოჰყევი ჩემი ადგილის შემოკოდვას.

ამ წმინდის გიორგის ხატზე შემოვფიცავ პირველად თუ მე არ შემომეკოდოს ის ალაგი.

— მაგას, ჩემო ბაანა, სამართალი გაარჩევს.

— არა, ჩემო ავთანდილ, სულ სამსონი ვერ დაგიფარავს. დღეს შენ და სამსონის წყალობით სამართალი ველარ სჭრის სამართალს. სულ უმართლო მხრისკენ იწევს სასწორი.

მე და შენზე უფრო იმათ ესმისთ, ჩემო ბაანა. ჩვენ იმათ სამართალს ვერ გავუსწორებთ.

— ამ საზოგადოების წინაშე გთხოვ, ავთანდილ, დამეხსენი, ნუ გადამკიდებიხარ, ჩემ ნაკოდს თავი დაანებე, თუ არა სისხლი დაიღვრება.

— თუ დაიღვრება, ისევ შენკენ დაიღვრება, ჩემო ბაანა.

როგორ თუ ჩემკენ?.. წამოვარდა ბაანა და თოფი მოიმარჯვა.

ხალხი ავარდა ზეზე და შემოეხვია ბაანას.

– მომეცალეთ, ერთი დამანახვეთ ეგ რუხი მგელი, ბარემც ჩავაძაღლო და მოვასვენო ქვეყანა მაგის ტაციობისაგან.

ქულაჯიანმა უცბად უტაცა ხელი დამიზნებულს თოფსა და შესძახა: „ბაანა, რა შენი საკადრისია მაგნაირი გაფიცხება!“.

ავთანდილი უცბად მოშორდა იმ ადგილს, გადგა წრეს გარეთ და იქიდგან დაიყვირა: „აი, ბატონებო, ხომ ხედავდით, ბაანა მოკვლას მიპირებდა თოფით. თქვენ ყველანი მოწმეთ უნდა იყოთ. შვილებო, წამოდით, გამოეცალეთ მაგ ავაზაკს, - დაუძახა ვაჟებს და ფეხმარდათ გაჰქუსლა შინისკენ. ისინი უკან გაჰყვენ.

დამაცა, შე რუხო მგელო, თუ კაცი ვყოფილვარ ჩაგაძაღლებ შენცა და იმ შენ სამსონსაცა, –მიაძახა ბაანამ.

ხალხი ამშვიდებდა გაფიცხებულს ბაანას. ზოგი ასე ამბობდა: სანამდის ავთანდილს კარგათ არ დავზელთ და სისხლს არ წამოვაღებინებთ შიგნეულიდან, მანამდის ეგ რუხ მგლობას არ მოიშლის. ცოტას ხანს იქით ყველანი წავიდ-წამოვიდენ. დარჩა მარტო გძელი საჯდომი ქვა კაკალ ქვეშ დადუმებული და დაღვრემილი, თითქოს გულში ასე ჰფიქრობდა, ვაი თუ ამ ცოტას ხანში ვისიმე გულმკერდზე დამადვან და დამატენინონო. ამ დროს ხევიდან მოჰბერა სიომ და შორს გადაწვდილი კაკლის ტოტები ერთბაშად შეანძრია. თვითონ კაკალიც დინჯათ აღელდა, აბუტბუტდა, თითქო ღრმა მწუხარებას მისცემოდეს ამ სოფლის დაუდგრომელობაზე და კაცების გაუტანლობაზე.

VI

ბაანა იყო ერთი ხელმოკლე აზნაურთაგანი, რომელსაც ცხენი აღარ ჰყოლია მას აქეთ, რაც ცოლი შეირთო. ცხენი მოკვდომოდა ქორწილში გალოხულობით, მომეტებული ჭიმვა-გრეხით და ჭენებით. შემდეგ რაღაი წვრილშვილი დაეხვია, სადღა ჰქონდა ცხენის ყიდვის თავი. იმ დროს, როცა ბაანას ავთანდილთან ჩხუბი მოუხდა, ის სამოცდახუთის წლის მოხუცებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგათ იყო და მთაში სიარულით მუხლები არ სტკიოდა. ორ კოდ-ნახევარს ხორბალს სამ ვერსტის სიშორეზე ამ მოხუცებულობაშიაც ციმციმით მიარბენინებდა. როცა მთაში წავიდოდა, თავის სტამბოლის პირ-რგვალი* მუდამ მგლის ტყავის ბუდეში ჰქონდა და მხარზე ეკიდა. ბაანა ისეთი ჩქარი და დაუღალავი ქვეითი იყო, რომ კარგი ნაბიჯის ცხენი ვერ გაასწრებდა. ერთი ხელი საგარეო ტანისამოსი: მაუდის ჩოხა, ყანაოზის ახალუხი და ერთი წყვილი მაღალქუსლებიანი ჩექმები შინ ჰქონდა შენახული; წელიწადში სამჯერ, ოთხჯერ თუ ჩაიცვამდა, მეტად არა, ისიც მაშინ, როცა დღეობაში წავიდოდა მოყვარესთან, ან სამარიობოთ, ან საგიორგობოთ, აგრეთვე აღდგომას და შობას; სხვა დროს კი შინ ნაკეთები შალის ჩოხა ეცვა, ლურჯად შეღებილი ხამის ახალუხი, ხამის პერანგი, შავი ლაზლის პაჭიჭები და თვლებიანი ქალამნები. მისთანა თვლებ-ასხმულს ქალამნებს სოფელში ვერავინ შეჰკერავდა. როცა სადღესასწაულოთ გამოეწყობოდა, ის გადიკიდებდა მხარზე თავის ჩექმებს, ტანისამოსს ფუთაში გამოიხვევდა და გაემგზავრებოდა წინა დღით მოყვარეში. მასპინძლის სახლს რომ დაუახლოვდებოდა, ჯერ წყაროზე ჩავიდოდა, ხელპირს დაიბანდა, ტანისამოსს გამოიცვლიდა, ახალს ჩაიცვამდა, ძველს ისევ ფუთაში გაახვევდა, ულვაშებს გადიკრავდა და როცა მასპინძლის ეზოში შევიდოდა, ულვაშაკრს მოიხსნიდა და გამოწკიპინებული ულვაშებით მიეგებებოდა სახლის პატრონს.

ჩვეულებრივათ ბაანა ძალიან მოუწყინარი მუშა იყო თავის ოჯახში. იმას ჰყავდა ორი კომლი უროებით ვალდებული გლეხი, რომელთაც ძმურად ეპყრობოდა და გლეხებიც არ აკლებდნენ თავის გადასახადს, ამ ორი გლეხით ბაანას თავი მოჰქონდა მეზობლებში და ათას თუმნისათვისაც არ დაახსნევინებდა თავს. ბაანას არ უყვარდა სასამართლოს კარები და იქ წასვლა სიკვდილივით ეზარებოდა. სხვისი არა უნდოდარა და არც თავისას გაატანდა მტერს აგრე ახირებულათ.

---

*) ე. ი. თოფი

ერთს დღეს ხმა გავარდა საწიოკე სოფელში, რომ ბაანას გამომძიებელი იბარებსო. მართლაც უწყება მოსვლოდა. ბაანას ნაცრის ფერი დაედვა სახეზე; მისი ოჯახობა ჯავრში ჩავარდა. თვითონ მისთვის დანა რომ ყელში გაეყარათ, ცვარი სისხლი არ გამოუვიდოდა. საწიოკე სოფელში დიდი მითქმა-მოთქმა შეიქნა. ზოგი ამბობდა, ავთანდილმა სასამართლოს მოსამსახურენი კალმახით დაალალაო. ეს კი იყო, რომ ბაანასა და ავთანდილის ჩხუბს შემდეგ, მეორე კვირეს მთაში ერთ ხევის წყალში ავთანდილს საპალნე კირი ჩაეყარა და ორი ბათმანი კალმახი ეშოვნა. სად გააქრო, სად არა ამდენი კალმახი, კაცმა არ იცოდა. ზოგი ამბობდა, ბაანას დაჭერას უპირობენ და საქალაქო საპყრობილეში წაყვანასაო, რადგან სამსონს საჩივარი შეუდგენია მაზე და სამძიმო სისხლის სამართლის კანონის მუხლები უჩვენებიაო. საჩივარში გამოუცხადებია, რომ ბაანა ავთანდილს დღე და-ღამე მოსაკლავად დარაჯობსო და ამის გამო ავთანდილს თავის ოჯახში მისვლაც ველარ გაუბედნიაო. შიუკასა და მამუკასთვისაც ჩვენება ჩამოურთმევიათ და იმათაც ფიც ქვეშ უთქვამთ, რომ ბაანა გატენილი თოფით ავთანდილს მოსაკლავათ დასდევდაო. ეს ჩვენი თვალით ვნახეთო.

როცა ბაანა დაიბარეს, იმ დღეს რამდენიმე მებატონეც საწიოკე მთისა დაბარებული იყო მოწმეთ, დამსწრეთ იმ ჩხუბისა, საცა ბაანას ავთანდილს თოფით მიეწია. მოწმეები საღამოსვე მობრუნდენ სოფელში, ბაანა კი იქვე ჩერებინათ ..

ერთ კვირას შემდეგ საწიოკე სოფელში გავარდა ხმა, რომ ბაანა. როგორც მძიმე დამნაშავე, საქალაქო სატუსაღოში წაუყვანიათო. მეტად საზარელი იყო ამ ამბის გაგონება. ბაანას ცოლშვილმა ისე შეიცხადა, თითქოს ბაანა მოკვდომოდესო. მთელი დღე მისი სახლიდან კივილ-ქივილი ისმოდა. ცოლი მეტი სიმწარით თავს არახუნებდა კედელზე და მოთქმიდა: „ვაი, ჩემს ბედის წერას, როგორ ერთ დღეს გამიცუდდა ყველაფერი! ოჯახის საძირკველი გამომაცალეს და ოჯახი თავზე დამანგრიეს. მე რომ ჩემი უბედურის ქმრის ამბავი ვიცი, სანამდის ქალაქის სატუსაღოში მიიყვანდენ, მანამდის ჩიტსავით გული გაუსკდება. ის იქიდგან ცოცხალი აღარ დაბრუნდება, ისემც ნუ მისულა ცოცხალი ავთანდილი თავის ოჯახში“. საწიოკე სოფლის მცხოვრებლები მეტად ააშფოთა ასეთმა უსამართლობამ. ვისაც ავთანდილის გულის ჯავრი სჭირდა, იმისმა გაიძვერობამ კიდევ უფრო გააფიცხა ისინი: ბაანას ჰყავდა ერთი ცხრამეტის წლის ვაჟი და ორი ქალვაჟი ჩჩვილი წლოვანებისა. უფროსი ვაჟი ოჯახის მოვალეობაში გამოუცდელი იყო. ის ახლა სულ მარტო

ლი დარჩა და თავისი წვრილი და და ძმა მოხუცებულ დედიანათ თავზე დააჯდა სარჩენათ.

საწიოკე სოფელში რამდენიმე მარჯვე ახალგაზდა შეითქვა, რომ ავთანდილისთვის უსათუოდ ამის სამაგიერო გადაეხადნათ. ისინი უწინაც უპირებ დენ მობრევგას; მაგრამ ახლა, რომ თვალით ნახეს ბაანას ოჯახის უბედურება, ავთანდილზე ბრაზი იმ ახალგაზდებს გაუორკეცდათ და ამას იქით დაუწყეს ავთანდილს მთაში დარაჯი.

ბაანას დიდი ხანი აღარ უცოცხლია საპყრობილეში. მთის წმინდა ჰაერში დაბერებული მისი აგებულება ერთბაშად მოსხლტა მძიმე და მყრალ სატუსალოს ჰაერში. ოჯახის მოცილების მწუხარებამ კიდევ უარესი დამართა. გალიაში ჩამწყვდეულს ბაანას მთის ნადირსავით გული გაუსკდა. ორი კვირაც არ გასულიყო მას აქეთ, რაც საპყრობილეში შეაგდეს და საოფლე დამართნოდა. ბაანამ საავათმყოფოში დალია ვაგლახი სული. იმის სიკვდილის ხმამ მალე მიაწია საწიოკე სოფლამდის და ყველანი შეაწუხა. ბაანას ცოლს, უმისოთაც მეტად შეწუხებულს, აღარ ეპირვებოდა ახალი უბედურების გაგონება. ყველანი უმალავდენ ამ ამბავს მის სახლობას. მხოლოდ ამას შემდეგ მეზობლები ძალიან გულ-ლმობიერად ექცეოდენ მის ობლებს. საკუთარი გლეხები მაინც ერთი ორად გაუერთგულდენ. ბაანას უფროსმა ვაჟმა ამასობაში ხელი წამოიწყო და კარგი ცხენი იყიდა. და-ძმა კარგათ დამოსა და სოფლის შკოლაში გაგზავნა სასწავლებლათ. დედამისს თანდათან ეძლეოდა შვილის იმედი: ცოტა არ იყოს, გულიც დაუმშვიდდა და შეურიგდა თავის მდგომარეობას.

VII

ერთ დღეს სამსონ ჯიბიაშვილმა იხმო ავთანდილი და უთხრა: „მოდი რთი მთაში წავიდეთ სათევზაოთო“. ავთანდილი დიდი სიამოვნებით დაეთანხმა ა სიჩქაროდ მოახდინა განკარგულება. იმას უნდოდა სამსონისათვის კარგი რო გაეტარებინა. როგორც დაბრუნდა შინ, იხმო თავისი შიუკა გლეხი, ომელიც თევზაობაში განთქმული იყო. მოამზადეს სასროლი ბადე, დააცხო-ნა ავთანდილმა შინ ჩინებული შოთები, ნაზუქები, მოახარშვინა დედლები ა გაგზავნა შიუკა სამსონთან, რომ კვირა საღამოს მიეყვანა იგი ავთანდილის ჯახში. სამსონს ჯერ უნდა გამოევლო საწიოკე სოფელში ავთანდილთან და რე იქიდან ერთად გამგზავრებულიყვენ მთაში. მზე ერთ ცულის ტარზე იდგა ასავლით, როცა სამსონ ჯიბიაშვილმა თავისი ლურჯა შეაქროლა საწიოკეს

ხეობაში. უკან მოსდევდა მას ძუნძულით ფეხდაფეხ შიუკა, რომელსაც თავ სასროლი ბადე ზურგზე გადაეგდო და ჩოხის კალთები აეკეცნა. კალთაში ქ ყო რამდენიმე ახლად გამომცხვარი მჭადი და ორი კბილა ყველი. სამსონ მოხდა ავთანდილის ოჯახში ჩაის დასალევათ. მასპინძლის ეზოში მწვანე კ ლინდარი მუხლამდის იდგა. შუაგულ აიმართებოდა ერთი დიდი კაკალი ქვეშ ფიცრის ტახტი იყო გამართული. მასპინძლის შვილებმა ცხენი ჩამოარ ვეს და კაკალ ქვეშ მიიპატიჟეს პატივცემული ვექილი.

— ავთანდილ, აბა, სუფრა გამოატანინე, კაკალ ქვეშ დავლიოთ ჩაი. შენს ეზოში ყოფნას არა სჯობიარა.

— ბატონი ბძანდებით. შენი ნახვა ეღირსა ჩემს ოჯახს და მე რა იქ ბა ისეთი, რომ არ მოვახერხო—უთხრა ავთანდილმა მხიარულად და თან ნიერს ხის სუფრას მოარბენინებდა.

— ავთანდილ! არ დაგაგვიანდეს, მალე მოახერხე ჩაი.

რას მიბრძანებთ?.. განა მე კი არ მინდა, მაგრამ რაც სიგრილით ვალთ, ის გვირჩევნია. ახლა ღამით მოგზაურობას მთაში არა სჯობიარა. მოკაშკაშებული იქნება. მთვარე ღამეში ისე ანათებს, როგორც დღე. ჩ უნდა ვინადიროთ ქინქლილებით, ბადეს ხან მე ვესვრი და ხან შიუკა. კა მახი ღამით უფრო ჰხვდება ბადეს. ქინქლილებს რომ ავანთებთ, თევზი მაშ ვე სინათლეს მოაშურებს და თითო ბადის სროლაში ოთხი-ხუთი კალმახი იძლება ამოვიყვანოთ.

— აბა, შენ იცი, ჩემო ავთანდილ, როგორ დროს გამატარებინებ.

— შიუკა!—მიუბრუნდა გლეხს მასპინძელი. შენ დროს ნუღარ ჰკ გავ. გასწი ახლავე შენი ბადით და ქურდის ხეობაში მოგვიცადე. საცა დ ცაცხვი დგას, იმის მახლობლათ რომ ერთი მორევია, ხომ გინახავს?

როგორ არა, ბატონო. იქ ძალიან ბევრი კალმახი იცის, თუ ვისმე არ უნადირნია ამ ცოტას ხანში.

— არა, მე განზრახ შევანახვინე ის მორევი ჩემ ვაჟებს. ერთი თვე ტია, რაც შიგ არავინ ყოფილა.

რაკი ეგრეა, სწორეთ კარგი სათევზაო იქნება, ბატონო.

— იქ რომ მიხვალ, ერთი კარგი პატარა კარავი დადგი. ხელსაც. გ წია ქვაბიც თან წაიღე, თევზის მოსახარშავათ დაგვჭირდება.

— ოჰ, რა კარგათ მოიფიქრე, შე წყეულო! ხელად რომ ცოცხალ-ც ხალ კალმახებს ჩავყრით ქვაბში და უცბათ მოვხარშავთ, იმის ჭამას არა ს ბიარა. ყოველიფერი რიგზედ იცი, ავთანდილ. იმიტომაც მიყვარხარ, კი

ჰავისთვის დაგიჩაგრე მტრები! — შეიტყე, ავთანდილ, ბაანა რომ მომკვდარა?

— მის მეტი ნუ რა მომკვდომია-რა. შენი ჭირი წაუღია, ძაღლი იყო ა ძაღლსავით გადაათრევდენ...

— ავიცა ხარ, ჩემო ავთანდილ, და კარგიცა.

შენ თუ ცოცხალი მეყოლე, მეტი რა მიჭირს. ამ საწიოკე მთას ხელ- ი დაგაჭერინებ. ოღონდ ის აღსრულებითი ფურცლები დაატაკე საწიოკელებს. ამოსამართლო ბოქაული ჩაუყენე ყველას. კაპეიკი არავის მოეძევა. ავუწე- ოთ მთაში მონაწილეობა და გავუყიდოთ: მაგ ძაღლების ჭამას, მე და შენ ჭამოთ, არა სჯობია?

— ჰო, ჩემო ავთანდილ, ეგრეც იქნება.

ამ ლაპარაკში საჯალაბო სახლიდან გამოვიდა დიასახლისი, ავთანდილის ეუღლე, თავისი ქალით და მოწიწებით მიესალმა სამსონს.

— ოჰ, ნათლიდედას ვახლავარ. როგორი გაზრდილა ჩემი ნათლული, ამშვენებულა! ისეთს კაცს უნდა მივათხოვოთ, რომ „ბლამანჟე“ და „მაროჟ-ები“ არ გამოულიოს: სულ ხავერდში და ატლასის „ბათინკებში“ ატაროს.

ამ ლაპარაკზე ავთანდილის ქალს თავი ჩაეღუნა და სიამოვნების ღიმილი ოსდიოდა პირის სახეზე.

— შენი მოწყალება ღმერთმა ნუ მოუშალოს შენს ნათლულს, ჩემო ბატონო.

— დედაკაცო, აბა, გამოიტანეთ სტაქნები, სამოვარი. ამდენი კი აღარ ცალიან. ეგ შენი ქალიც მოიხმარე, — შესძახა ავთანდილმა.

ქალები ისევ უკან გაბრუნდენ საჩქაროთ საქმეზე.

— როგორი კარგი ქალი გამხდარა ჩემი ნათლული! ავთანდილ, ერთი ენი ქალი სამოსამართლო ბოქაულს უნდა ვაჩვენოთ. თუ მოეწონა, შენი თის მონაწილეობა უნდა ამზითვო. აქვე ჩამოგესახლება.

— ნეტა შენი მოწყალებით ეგ კი მოხდებოდეს და საწიოკე მთის მო- აწილეობას ძალიან კარგს ვუშოვნი, — თქვა ავთანდილმა, რომელიც ამ დროს აის ასხამდა.

მზე უკანასკნელი სხივებით ემშვიდობებოდა კაკლის ხეს და მთელი სოფლის ხეობაც ოქროსფერად შეეღება.

ამ დროს საწიოკე სოფლის სერზე ზოგიერთს სახლში რაღაც საიდუმლო ოძრაობა იყო. ორი თუ სამი ახალგაზდა ვაჟი, შავნაბად-ჩაბალახში გამოხვეული. ჩამოდიოდა ძირს და იცქირებოდა. ხან ერთმანეთს დაუახლოვდებოდენ, ითქოს რაღაც მოლაპარაკება ჰქონებოდესთ, ხან ისევ გაშორდებოდენ ერთ-

ჰანეთს და თავთავიანთ სახლში შედიოდენ. ბოლოს, ცოტა რომ მობინდდა და გაბადრულის მთვარის შუქმა იმატა, ერთმა მათგანმა ჩამოირბინა სერი და ჩავარდა მოშორებით ხეობაში; ის მიეშურებოდა მთაში: სხვა ორი მისი ამხანაგი კი აღარსად ჩნდა.

VIII

— დროა, ბარემ წავიდეთ, სამსონ,— დაცალა თუარა ჩაის სტაქანი, წამოდგა ავთანდილი.

— მეც მზათ ვარ,— შესძახა სამსონმა.

— შვილო, გამოიყვანე ცხენები,— დაუძახა ავთანდილმა უფროსს ვაჟს.

სამსონი გამოეთხოვა დიასახლისს, გაჰკოცნა ნათლული და შეჯდა თავის ლურჯაზე. ავთანდილი ჩამორჩა უკან და შვილს დაუძახა, ხვალ კარგი სადილი დაეხვედრებინა იმათთვის და მეზობლებიც მოეპატიჟებინა. მერე შეჯდა ცხენზე, ხურჯინი და ბადე უკან შემოიკრა და ცხენი გააქენა. ავთანდილი ძალიან თავდარიგიანი კაცი იყო მგზავრობაში. საგძალს გარდა, იმას არც სტაქანი, არც მარილი და არც დანა არ დავიწყებია. ცალ ხურჯინის თვალში რომ პური და ხორცეულობა მოაქცია, მეორე თვალში ერთი ტიკჭორა ღვინო ჩასდო.

ისინი გაკვრით მიდიოდენ დიდ-ხევის პირათ რიყიან-ქვიან გზაზედ. ბუნება დამყუდრებელი იყო, ოდნავ სიოც არ ჰქროდა, მხოლოდ დიდხევის შხუვილს მოეცვა იქაურობა. ჭალა თანდათან ვიწროვდებოდა. შავი მთის ქედები ჰუმბერაზებივით იყვენ დიდხევის პირად გაწკრივებული. მთვარე ზევიდან დაქათქათობდა ამ დიდებულს ბუნებას, ცხენების ფეხის ხმა ხევის შხუილს ისეთ რიგათ შესწყობოდა, თითქოს ჭიანურზე დოლს აყოლებდენო. სამსონი და ავთანდილი ხმა-გაკმენდილები ყურს უგდებდენ ხევის შხუილს: მთები [illegible] ხმით ბანს აძლევდა და თან ცხენთა ფეხების ბაკა-ბუკი სასიამოვნო საკრავის ხმათ მოისმოდა. ბუნების ღრმა საიდუმლოება ამ თავისებურს მუსიკის კვრაში გამოიხატებოდა. ჩვენს ორს მგზავრს ღრმა ფიქრი დასწოლოდა თავზე. ვერც ერთი, ვერც მეორე ვერ ბედავდა ამ დროს ერთმანეთის ხმის გამოცემას, რომ არ დაერღვიათ საშიში ბუნების დუმილი. მთვარის შუქზე კლდის ნამზვლევები ათასნაირ მოჩვენების სურათებათ ეხატებოდა თვალწინ ავთანდილს. იმას წარმოუდგა ბაანას აჩრდილი, რომლის სიკვდილი რაღაც ახირებული გულცივობით განუცხადა სამსონმა წამოსვლის წინათ. მაშინ კლდე

ღელესაც არ მიუქცევია და ახლა რაღა დაემართა?!.. ამ მთებითა და ტყით დაბურულს ხეობაში რომ მიდიოდა ღამით, უცბათ გაუცოცხლდა დატანჯული ჰაანას პირხმელი სურათი თვალწინ ის წყალდაწყალ ხტებოდა ქვიდან ქვაზე. ხელში თოფი ეჭირა და, დიდება შენთვის ღმერთო, სულ ავთანდილს უმიზნებდა! ავთანდილი ცდილობდა არ მიეხედნა წყლისკენ და ვერც მოეშორებინა.

— ეს რა ამბავია! აკანკალებული ხმით უთხრა მან სამსონს. რომ ამ ხევის წყალში დიდრონი ქვები კაცის სურათებათ გვეჩვენება?

— როგორ, ავთანდილ, ღამით ხომ არ გეშინიან?—ჰკითხა ხუმრობით სამსონმა.

— ჩემს დღეში ეს არ დამმართნია. ისეთი ბურუსიანი ღამეები მახსოვს ამ მთაში, რომ თვალთან თითი ვერ მიმიტანია. ბევრჯელ ნადირიც შემფეთებია წინ, მაგრამ ჩემი გული არ შედრეკილა როგორც კი შორიდან შევნიშნავდი ორს ბრიალა წერტილს - ღამე ნადირის თვალები ცეცხლივით ანათებს —მაშინვე გავკრავდი ტალკვესსა და ისიც გზას მიტევდა. ბევრჯელ თოფიც დამიყოლებია ზედ. ახლა კი, ამ წუთას, არ ვიცი, რა მემართება? ყოველ ფეხის გადადგმაზე ხევში ქაჯები მეჩვენებიან. ჩემი გული ვერხვის ფოთოლივით თრთის.

ჰაი, ჩემო ავთანდილ, მოხუცებულხარ. შიში შეგპარვია გულში, თორემ ამ წყალში ლოდების მეტი არა ყრია-რა, ხანდახან ტოტებიანი ხეების კუნძებიც გვხვდება. განა ვერ შეამჩნიე, რომ მათი ტოტების ჩრდილი ბევრნაირ სურათებათ გვეხატება თვალწინ მთვარის შუქზე?

ვაიმე. სამსონ, სამსონ, მიშველე! დაიყვირა ამ დროს ავთანდილმა და თავი ძირს დაიღო.

რა იყო, კაცო? ფუ შენს ვაჟკაცობას! ზარნაშომ როგორ შეგაშინა ეგრე?... ის არ იყო, რომ ამ წუთას თავზე გადაგვიარა?.. ეგ ღამის ფრინველია, თრითინებს იჭერს და იმითი ირჩენს თავსა.

— სწორეთ ცუდს ფეხზედ წამოვედით, ჩვენ ამაღამ კარგი არა მოგვივა, ბატონო, წამოიკვნესა ავთანდილმა. ცხონებულის მამიჩემისაგან მაქვს გაგონილი, რომ ღამით ზარნაშოს თავზე გადაფრენა უბედურებას მოასწავებსო.

— დაუჯერე შენც სოფლის ჭორებს. როგორ ვერ გაგწურთნე, ჩემო ავთანდილ, ამდენი ხანი?... მაგისთანა ამბები სულ სოფლის მკითხავების მოგონილია, რომ ხალხი შეაშინონ და ფული გამოსტყუონ.

სამსონი რაკი დარწმუნდა, რომ ავთანდილი შეშინდა, მოჰყვა სხვადასხვა ამბავს მის გასართობათ. ხან ბაიათებს იმღეროდა, ხან რამდენიმე მოტივიც

იგალობა ტფილისის თეატრში გაგონილი ოპერებიდან. იარეს ასე ერთხანას, სანამ ბოლოს ცეცხლი არ დაინახეს. ავთანდილმა, ცოტა არ იყოს, გული გაიმაგრა და წამოიძახა:

-- ძლივს არ მივედით!.. უკივლა კიდეც შიუკას. იმანაც ხმა მოაწვდინა და ამ გარემოებამ ავთანდილი კიდევ უფრო განამხნევა.

— მე კიდეც მომშივდა, - თქვა სამსონმა.

— ისეთი მსუქანი დედლები წამოვიღე, რომ უკეთესი არ იქნება. მასთან ერთი ტიკჭორა საფერის ღვინოცა. ცოტა სიგრილემაც დაჰკრა. ვახშამი ძალიან გვიამება, - მიუალერსა ავთანდილმა სამსონს.

— ჰაი, შე ლაჩარო, ახლა გამხიარულდი!? წეღან, აკი, ქაჯები გებლანდებოდენ.

დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი. კინაღამ გავგიჟდი!

ამ ლაპარაკში მივიდენ კიდეც კაკალ ქვეშ, სადაც შიუკას პაწია კარავი გაეკეთებინა ნედლი ხის ტოტებისაგან და წინ ჩინებული ცეცხლი დაენთო.

— შიუკა, ცხენი ჩამოართვი სამსონს! -- შესძახა ავთანდილმა.

ისინი ჩამოხდენ ცხენიდან და დასხდენ ცეცხლაპირს. კარგათ რომ დაისვენეს, ჰერე ავთანდილმა მიითრია სავსე ხურჯინი, ამოალაგა რგვლათ მოხარშული ორი დედალი, შოთები, ნაზუქები, და გაშალა ქაღალდი, რომელშიაც მარილი გამოეხვია. შიუკამ ცხენები საბალახოთ გარეკა იქვე, მოტეხა ნოშოიანი ტოტები, სუფრად დააფინა ბალახზე და ზედ საჭმელი დაალაგა. ავთანდილმა მოხსნა თითი ტიკჭორას და ჩამოასხა წითელი საფერის ღვინო სტაქანში.

— ასე გემრიელათ ჯერ ვახშამი არ მიჭამია, წამოიძახა სამსონმა.

— ამისთანა ღვინო საწიოკეში ჩემს მეტს არავისა აქვს. ძალიან კარგი ღვინო დამიდგა წელსა, ბატონო სამსონ.

— მართლაც რომ კარგი შუშხუნა ღვინოა, — წამოიძახა სამსონმა -- და გადუსვა სავსე სტაქანი.

სამნივე მადიანათ შეექცენ ვახშამს. გაახშირეს სადღეგრძელოები და ღვინით სავსე ჭიქა გადადიოდა ერთი ხელიდან მეორე ხელში. მგზავრებს ღვინო კარგათ გაუჯდათ ტანში. შეხურდენ და კიდეც შეზარხოშდენ.

IX

აწ კი დროა კალმახების ჭერას შევუდგეთ თქვა ავთანდილმა.

შენ იცი, ავთანდილ, როგორ სეირს მაჩვენებ.

შიუკა! – დაუძახა ავთანდილმა, – ჟინჟლილები ხომ კარგები დაამზადე?

— რვა ჟინჟლილი ისეთი მაქვს, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, რომ თი- სამსამი ადლია და დღესავით გაანათებს მთელს მორევს.

— მთვარეც ჩავიდა. დილის იჟრაჟი შორს აღარ უნდა იყვეს. ცეცხლი ნელე, შიუკა, და ჟინჟლილი აანთე. მე ხურჯინში ჩავდებ ჭურჭელს, ფეხს ვიძრობ. შენ ბადეს ჩემსავით ვერ ისვრი. ჯერ მე დამაცალე. შენ მხოლოდ ნჟლილი მომინათე ხოლმე. რაკი მთვარე ჩავიდა და ცეცხლიც ჩაქრა, ჟინჟლილი უფრო გაანათებს მორევს, კალმახიც სინათლეზე დაიწყებს დენას. ღმერთმა ქნას, თითო ბადის სროლაზე ხუთი-ექვსი ცოცხალი კალმახი არ ამოვიყვანო.

— ჰაი, აი, შენი ღმერთის ჭირიმე, ავთანდილ! მეც უნდა გიყურო; რომ ბადეში კალმახის ფართხალსა ვნახავ, მიამება!

თქვენ, ბატონო, აი, აგერ კიდეზე დაბრძანდით. მე კალმახებს გად- გისვრით და არ გაუშვათ. საშინელი ეშმაკია ახალი დაჭერილი კალმახი: ორ საჟენზე ახტება და ისევ წყალში ჩავარდება, თუ მარჯვეთ არ იყავით.

ცოტას ხან იქით, შიუკას გძელი ანთებული ჟინჟლილი ეჭირა და ზედ [illegible] მორევზე ჰქონდა გაჩერებული.

ბატონო, ბატონო, გამოდის კალმახი. უჰ, ერთი როგორი დიდი კალმახი დაიზლაზნება! — წამოიძახა შიუკამ, რომელიც ჟინჟლილით წყალში იცქირებოდა.

ავთანდილმა ბადე გაშალა, დაიწერა პირჯვარი და ნელა, თითქოს ეპა- ებაო, ისე შევიდა წყალში. სამსონ წყლის ნაპირზედ იჯდა, წყალში ჩასცქე- ოდა, უნდოდა მცურავი კალმახი დაენახა. ავთანდილმა ისროლა ბადე და ელს მორევს გადააფარა. ბადე ზღართანით ჩაეშვა წყალში. ცოტას ხანს შემ- ეგ მეთევზემ მოშუპა ბადე და ორი კალმახი, თითო მტკაველ ნახევარი სიგ- ე, ამოისროლა იქითკენ, საითაც სამსონი იჯდა. ცოცხალი კალმახები ხტო- ენ მინდორზე. სამსონმა სიხარულისაგან ჭყლოპინი დაიწყო, უნდოდა დაჭე- ა, თავი ველარ შეიმაგრა და მინდორზე ყირამალა წაკოტრიალდა.

— ოჰ, შენი ღმერთის ჭირიმე!... თუმცა დავეცი, მაგრამ ხომ დაგიჭი- ე მაინც, ჰი!...

ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ აღმოსავლეთისაკენ ცა უკვე წითლად შეი- ება ჩაბნელებული ტყე გადანარიჯდა, გადახალისდა, დილის იჟრაჟი მოტა- ებული იყო.

ამ დროს უეცრად მოხვდა შიუკას ხელზე მსხვილი ქვა და ჟინჟლილი ხე- იდან გავარდა, ჩავარდა წყალში და დაიწყო შუშხუნი.

ვაიმე, ბატონო, წყლის ქაჯები დაგვეცენ, თავს ვუშველოთ!—გააბა გლეხმა ყვირილი და თავდაღმა მოკურცხლა.

სამსონმა და ავთანდილმა მიხედვაც ვერ მოახერხეს: ერთი ქვა ბეჭის ფრთაზე დაეცა ავთანდილს და წყალში თავი წაარგვევინა, მეორე ქვა მოხვდა სამსონს მსხვილს კისერში და დათვივით დააწყებინა ღრიალი. ამას შემდეგ რა იყო და რა არა, ვეღარც ერთმა გაიგო, ვეღარც მეორემ. შავათ შეფუთვნილნი არსებანი დაესხენ თავზე ორსავე. ავთანდილი ნაპირზე გამოიტანეს და მოურთეს კეტები. მათს ზურგს, ბეჭებს, მუცელს და კისერს დოლაბანდივით გაჰქონდა ბრაგა-ბრუგი. სცემდენ ორსავე უწყალოთ და კრინტიც არ ისმოდა მათგან. ბოლოს, ცემით რომ მოიღალენ ეს ქაჯები, შიუკას სიტყვით, დაზღველ ყური გალახულებს. უნდოდათ შეეტყოთ, კიდევ სუნთქვენ თუ არაო, როცა დარწმუნდენ, რომ სამსონ და ავთანდილ. თითქოს გრძნობაში აღარ იყვნენ, უცბათ მოშორდენ და გაჰქრენ დაბურულს ტყეში.

X

მშვენიერი დილა გათენდა. ავთანდილის ოჯახში დიდი სადილის მზადება იყო. მის ცოლსა და შვილებს მოეპატიჟნათ მეზობლები, უნდოდათ სამსონისათვის კარგი დრო გაეტარებინათ. გაერთოთ, მოელხინათ, ემღერნათ და ეთამაშებინათ იმ სოფლის ქალვაჟები. საჯალაბო სახლთან, იქვე ეზოში, დიდი ცეცხლი გიზგიზებდა ცალმხრით მსუქანი გოჭი ტრიალებდა შამფურზე, მეორე მხრით რძის ბატკანი. სოფლის სადილობა კარგა ხანი იყო გადასული. სტუმრები დიდი ხანია, მოგროვილიყვენ ავთანდილის ეზოში. მის ვაჟებს მწვანით შეფოთლილი გძელი ფანჩატური გაეკეთებინათ და შიგ სუფრა გაეშალათ სტუმრებისათვის. ყველანი მომშეული იყვენ და აღმოსავლეთისაკენ იცქირებოდენ, თვალ-გაფაციცებით ელოდენ: სამსონი და ავთანდილ. აი, აგერ გამოჩნდებიან და, აი, აგეროო. სტუმრებს იმედი ჰქონდათ, რომ აუარება ახალ დაჭერილს კალმახებს მოიტანდენ და წინდაწინ იტკბანურებდენ გულსა მისი გემოვნებით. უეცრად მოისმა ხმა-მაღლა ტირილი. ყველანი განცვიფრებაში მოვიდენ, შეჯგუფდენ და ერთად გაექანენ ჭისკრისაკენ, რადგან ეს გოდების ხმა თანდათან უახლოვდებოდა ავთანდილის სახლს. ბოლოს დაინახეს, რომ ძვირფასი სტუმრის მაგიერათ, მოდიოდენ ცხენები, რომლებზედაც დაკლულ ღორებსავით გადაეკიდნათ სამსონ და ავთანდილი. იქით-აქეთ ამოდგომოდენ გლეხები, რომ ისინი ცხენიდან არ გადმოვარდნილიყვენ. უკან მოსდევდა ტირილით შიუკა და მოიძახოდა: -ქაჯებმა, წყლის ქაჯებმა, დამიბეგვეს ბატონები! რომ არ გავქცეულიყავი, მეც მომკლავდენ ცემით. ჩემი თვალით ვნახ-

რომ ქაჯები იყვენ, ბანჯვლიანი პირისახე შავი მურივით უჩნდათ, თავზე რქები შევნიშნე... პირველად მე მომარტყეს ქვა და ყინქლილი წყალში ჩამავლებინეს. მაშინვე მოვკურცხლე, ენა პირში აღარ მედვა, ისე მივირბინე შინამდის. ჩემი ძმები გაეშურენ მეზობლებთან, ისინიც თან გავიყოლიეთ. იქნება მივუსწროთო ვამბობდით; მაგრამ რომ მივედით, თქვენი მტერი იყოს, რაც ჩვენ სანახავი ვნახეთ. ორივე ასე დალილებული და დაბეჟილები ეყარენ მინდორზე და კვნესოდენ. მოვძებნეთ ამათი ცხენები, შევდევით ზედ და წამოვიღეთ“.

ავთანდილის მეუღლემ ისე შეიცხადა ეს ამბავი, თითქოს ქმრის ცხედარი მართლაც სახლში ჰსვენებოდეს. დედა-შვილის გაპოტნამ და მათმა კივილმა ის მოწვეული სტუმრებიც ააშფოთა. სამსონს მსხვილი კისერი რუმბივით გახდომოდა. მაშინვე აფრინეს კაცი მღვდელთან, რომ ზეთი ეკურთხებინათ. ექიმი და გამომძიებელიც მალე მიიყვანეს. ექიმმა გაშინჯა. თავი გადააქნია, სამსონის მორჩენაზე იჭვი განაცხადა, ჯიგარი აქვს დაბეჟილიო. ავთანდილს კიდევ უფრო ეტყობოდა გალახულობა. კეტების ცემით ზურგზე, წელზე და მკლავებზე ხორცი ჰქონდა დამსკდარი და სისხლი სდიოდა.

გამომძიებელი შეუდგა საქმის გამოკვლევას, მაგრამ ვერა ახსნა-რა. ბოლოს ავთანდილის ვაჟებმა ბაანას უფროს შვილს დააბრალეს ეს საქმე, რადგან იმ ორ ოჯახს მტერობა ჰქონდათ ერთმანეთში. საწიოკე სოფლელებს სრულებით არ სჯეროდათ მისი დანაშაულობა. ის იყო მეტად მშვიდობიანი, უწყინარი და მხოლოდ თავის ოჯახის ერთგული მუშა; მაგრამ ხალხს ვინ დაუჯერებდა?.. ავთანდილის შვილებმა შიუკას ძალა დაატანეს და გამომძიებელთან ათქმევინეს: „ბაანას ვაჟი ვიცანი იმ გამლახველებშიო“. ამ მიზეზით ბაანას ვაჟს ტომსკში ამოაყოფინეს თავი. მისმა მოხუცებულმა დედამ ეს მეორე უბედურება ველარ გადიტანა. დარჩენ პატარა და და ძმა, ბაანას შვილები უპატრონოთ. მაგიერათ სოფელმა გამოიღო ხელი. მეზობლებმა და ბაანას გლეხებმა იკავეს ობლების გამოკვება ყველანი ეწეოდენ, რაც შეეძლოთ და ბაანას პაწია ქალ-ვაჟები ისე დაზარდეს, როგორც იმათი ალალ-მართალის მამის კაცობას შეეფერებოდა.

სამსონ ჯიბიაშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია. მას მოერია სიყვითლე და ექვსის თვის განმავლობაში მოკვდა. ავთანდილი თუმცა მორჩა, მაგრამ სისხლის ფურთხება დააწყებინა. ის სახლიდან აღარ გამოდიოდა...

მთაში დანადირობდენ მხოლოდ მისი ვაჟები და ვისაც წაეწეოდენ. გაუცარცველს არ უშვებდენ...

„თვითონ რომ იყო, იმაზე კიდევ უფრო ავი ლეკვები დაზარდა რუხმა მგელმა. სენი წილიმე!“ იძახოდენ დანაღვლიანებული ოსები.

ვ მამიდა ასმათი

მოთხრობა

(შემოკლებით)

I

ივანობისთვე იყო. ჭიჭინობელა ტყემალზე ჭიანურს უკრავდა. მიწა გოლვისაგან ღრმად დამსკდარიყო: შიგ გომფაშოები ისხდენ და გრილობდენ; ზოგი მათგანი ულაზათოდ ყიყინობდა, თითქოს ზეცას შესჩივოდა: ცოტა ცვარი გადმოგვიგდეო. ერთს ფერდობზე პატარა სამთვალიანი ოდა, ხის ბოძებზე შეკუპებული, გადმოჰყურებდა. ყავრით დახურული ფარდულები ძერის ფრთასავით ჩამოეშვა, თითქოს ძირულის ხევში ეპირებაო ჩაფრენას. წინა ფარდული აივანზე ჰქონდა გადაშლილი და ოთხ ბოძზე იყო დაბჯენილი. ერთ კუთხეში გძელი ხის სკამი იყო კედელზე მიდგმული და ცალი თავი სასთუმლად ჰქონდა მომორილი. ამის გამო სკამს სავარძელს ეძახდენ. იმაზე იჯდა ერთი შუა ხანზე გადასული ქვრივი, შავებით შემოსილი; ლურჯი ლაინის პერანგი ეცვა და საყელო თეთრი ზონრებით ჰქონდა მარყუჟათ შესკვნილი. გვერდით მოესვა თმა-გრუზნა პირ-რგვალი გოგონა. ამას კალთაში ძველი დაჭმუჭნილ-დაფლეთილი ბარათები ეწყო. ერთი მათგანი მუხლზე ჰქონდა გადაფენილი, სტრიქონებს თითს აყოლებდა და წკრიალა ხმით გასძახოდა: „ჩ...ე. .მ...ო ს...ა...ყ...ვ...ა...რ ..ე...ლ...ო!..“ და სხვა. თუ ხანდახან შეეშლებოდა, ქვრივი მაშინვე გაუსწორებდა, თუმცა შიგ ბარათში არ იხედებოდა. მისი მსხვილი თვალები ხშირად ლურჯ ცას შეჰყურებდენ; ეტყობოდა, ქვრივი ღრმათ იყო ჩაფიქრებული, ხელში ეჭირა თითისტარი და ბამბის ფთილას ართავდა. ხანდახან თავს ახირებულათ გაიქნევდა, თითქოს დახვეულს ფიქრებს იგერებსო. პატარა მოწაფე არ იყო მაინცდამაინც სუფთათ ჩაცმული; მუხლებქვეშ, როცა ფეხმოკეცილი იჯდა. ტიტველა ფეხის ცერები უჩნდა, კაბის სახელოები შავათ ჰქონდა გალიფული, რადგან მათ ცხვირსახოცის მაგიერათ ხმარობდა. შავი წარბები, გძელი შავი წამწამები და მელნის ტბა თვალები მეტად აცოცხლებდენ მის სანდომიანს სახეს. მისი შეთლილი და ცოტათ გაფუთქული ცხვირის ნესტოები ბალის ვაშლის კვიჭიჭებს მოგაგონებდა, როცა ისინი მწვანე ფოთლებ ქვეშ ლამაზათ გამოიჭვრიტებიან. თუმცა მომუზნული სახე იმ ცხრა წლის გოგონასი ბევრს ბუნებითს შნოს ჰკარგავდა, მაგრამ ვინც ნახავდა, ყველა ასე ამბობდა: „როცა მოჩიტდება. მაგის ნახვას არა ემჯობინება-რაო“.

მზე დასავლეთისაკენ გადაწეულიყო და სავარძელს ჩრდილი მიდგომოდა. აივნის მეორე კუთხეს მზე ისევ აჭერდა და პაპანაქება-სიცხე ჯერ კიდევ არ დაშვებულიყო. ძირულის ხეობიდგან ცოტა სიომ მოჰბერა და სავარძელზე მსხდარნი მამიდა-ძმისწული გააგრილა. მაგრამ აივნის მეორე მხარეზე, საცა მზე აჭერდა, მაინც მყუდრო იყო. ბუზებიც აქვე მოგროვილიყვენ და თითქოს სიცხისაგან გარეტებული ერთმანეთს ებრძოდენ.

აწ, კარგი, შვილო, გეყოფა კითხვა, შეინახე, — უთხრა ქვრივმა და თითონაც მიდვა სავარძელზე თითისტარი და ბამბის გორგოლაჭი.

პატარა ქალი ელვაზე უმალ წამოვარდა, დახვია ხელი ბარათების ნავლეჯებს და შევარდა განის ოთახში.

— ნათელა! — დაუძახა ქვრივმა პატარა ქალს. უჩემოდ ნურსად წახვალ. ბარათები რომ შეინახო, ისევ აქ მოდი. ორიოდე სიტყვა მაქვს შენთვის გადასაცემი...

— აი, მამიდა! აგერ ვარ, რა გინდა? გამოეჭიმა ცოტა ხანს შემდეგ ნოიანი გოგონა და სიკეკლუცით წელში იხრებოდა.

— შენ გენაცვალოს შენი მამიდა, ჩემი მერცხალა გოგონა! — შემოხვია ავზე ორივე ხელები, მიიზიდა და დაუწყო კოცნა თვალებში, მერე დაისვა მუხლზე და ასე ეუბნებოდა:

— ვაი, თუ აღარც-კი გაგახსენდე, ქმარს რომ წაჰყვები?...

— არა, მამიდა, მე ქმარი არ მინდა. არც წავყვები.

— მამიდა გენაცვალა ქალი რომ გაიზდება, ქმარს უნდა წაჰყვეს, უსათუოდ, ისეა წესი. მეც მყავდა ქმარი. კარგი კაცი იყო. მე, შვილო, მისი ღირსი არ ვიყავი, ღმერთმა არ მომცა, თორემ... დედაშენსაც ჰყავდა ქმარი; ცოლ-ქმრობა ღვთის გაჩენილია. თუ ქმარს არ წაყვა, ქალი ისე რა შვილია?

— მე ხომ ჯერ ქალი არა ვარ.

— წრეულს, მარიობისთვეს, ათი წელი შეგისრულდება, მეთერთმეტეში ჩადგები. მერე ქალობა დაგეტყობა. თორმეტის წლის არც-კი ვიყავი, მე რომ გამათხოვეს. ტანით თურმე შენხელაც არ ვყოფილვარ, მაგრამ, რომ გავათხოვდი და ერთს წელს შემდეგ ისევ საყოლში (მამის ოჯახში) დავბრუნდი, შინაურებმა ვეღარც-კი მიცვნეს. შოლტივით დედაკაცი შევიქენი. ქმარს რომ წაყვები, შენც გაიზდები, შვილო, გაკეთდები.

— აჰ, არა, მამიდა, — თავი გაიქნია ნათელამ. ასე მგონია, გძულვარ და გინდა თავიდგან მომიშორო: თუ შეგძულდი, ბიძაჩემთან გამგზავნე.

- მის მეტად ღმერთმა არ შეგიძულოს!.. მოხვია ორივე ხელები ძიძის წელს, ჩაიკრა გულში და ხელმეორედ დაუწყო კოცნა. ეგ რა თქვი? მძულხარ-კი არა, შენზე ამომდის მზე. მე შენს მეტი ვინ მყავს ქვრივ-ოხერს. დედაშენი რომ კვდებოდა, შენი თავი მე ჩამაბარა, იმ სულ განათლებულმა: „შენ იცი და შენმა ქალობამო, თუ ჩემს ნათელას გამიზდიო“. მას აქეთ შვილად მყავხარ აყვანილი. რაც შენს გამოზდაზე წვალება და მწუხარება გამოვსცადე, დედა როგორ გამოსცდის იმდენს? ორი დასკვნილი წელიწადი ამ ხელებით ნატარებიხარ. ძირს ფეხი არ დამიდგმევინებია შენთვის, მეშინოდა არ გამცივებოდი. .

- - აბა, რათ მეუბნები გაგათხოვებო. მე წვერებიანი კაცების მეშინია.

— რათა, შვილო, კაცის რათ გეშინია?. ბიძაშენი კაცი არ არის წვერებიანი? სხვა გარეშე კაცებიც მისთანები არიან... არ გახსოვს, მამაშენი რომ კაშლებს და კანფეტებს მოგიტანდა. კალთაში ჩაგისვამდა, გკოცნიდა, ეალერსებოდა?.. ქმარი კიდევ უფრო ბევრს საჩუქრებს მოგიტანს: ოქროს ბეჭედს, ოქროს სამაჯურს, ოქროს საყურეებს, ოქროს ძეწკვს, ფარჩის კაბას, აპრიალებულს პოლისაპოჟკებს და, ვინ იცის, რამდენს რას არ მოგიტანს.

არა, მამიდა, არასფერს არ გამოვართმევ. არც მივეკარები. ძიძა ყოველთვის ჰარიგებდა, კაცს არ მიეკაროვო, თვარა მაშინვე მოგიტაცებსო... ტყუილათ რომ გვერდით გაუარო და მისი ჩოხის კალთა მოჰედვასო. მაშინვე... ვაუბედურდებიო. მას აქეთ შემძულდენ მე კაცები.

— იმას დაუდუმდეს ის ბოროტი ენა! . მოვიდეს აქ, მე გავსცემ საკადრისს პასუხს. ის ავ-სული! როგორ გაბედა შენთან მაგისთანების ლაპარაკი!

-- არა, მამიდა, ნუ გაუწყრები. მე ძიძა ძალიან მიყვარს. ხომ არ უწყრები, ჩემო მამიდა.—ნათელა უცებ ახტა, მოეხვია ქვრივს კისერზე და დაუწყო კოცნა.

— კარგი, შვილო, არ გავუწყრები, მაგრამ როგორ გაბედა იმ საძაგელმა შენი დაშინება. განა, შვილო, მე შენი სიკვდე არ მინდა? ქმარი რომ ცუდი იყოს, როგორ გირჩევ? მაგრამ შენ ახლა მოზდილი ხარ. ერთსა და ორ წელს იქით გასათხოვარი შეიქნები. ახლავე მინდა, შვილო, შეგაჩვიო ამ აზრს, კარგი საქმრო გამოგირჩიო. მე შენთვის სულ პირტიტველა ბიჭი მყავს გამორჩეული. აბა, ბიძაშენი რომ ფიქრობს, ის კი არ მინდა შენთვის: შავტუხა ყაძახი (ალეხი). შავი წვერ-ულვაშიანი. უთვალტანადო. უსახო. იმისთანას არც მე ვირჩევ.

— მაშიდა, წავალ ლეტიასთან კოწიასთან სათამაშოთ, — მოუთმენლად ჩაეკითხა ნათელამ, რომელსაც მობეზრდა ცოლ-ქმრობის ფილოსოფია. კოწიას ერთი ყელ-მომტვრეული დოქი უშოვნია, ქვევრად უნდა ჩაფლას მიწაში. წყლით გაავსოს, თავი გადუგლისოს, ვითომ ქვევრია და შიგ ღვინო. მე მინდა იქ დავესწრო.

— წადი, მაგრამ არა იწყინო-რა.

ნათელამ მოკურცხლა მეზობლებისაკენ ფეხშიშველა თავმოხდილი: თავსაფარი ყელზე ჩამოვარდნოდა და მიაფართფაშებდა.

ქვრივმა გაუშტერა იქითკენ თვალები, საითკენაც ნათელა გაფრენილიყო: ხელში შერჩენოდა მხოლოდ თითისტარი და ბამბის ფთილის ნარჩენი. ცოტას ხანს იქით ქვრივმა ამოიხვნეშა და ასე დაიწყო: „ვინ იცის, იქნება არც-კი მოხდეს! ბევრი მტრები მყავს. პირველი ჩემი მტერი ჩემი ძმა როსაფია. იმას უნდა ნათელას წყალობით ისარგებლოს. რა ენაღვლება, ამდენი მიწა-წყალი ხელში ჩაიმუჰნა; ობლის ლუკმა გემრიელია. ვინ არის პასუხის მომკითხავი? . აპეკუნობა ქრთამით დაიმტკიცა. იმ დღესაც ობლის მამულიდგან ერთი ახო ოცი თუმნათ გაუყიდია. სანამდის ჩემი ნათელა წამომეზდეპოდეს, იმის ადგილ-მამულს გაანახევრებს... არა, უნდა დავაჩქარო ნათელას გათხოვება. მერე-კი მე ვიცი. თუ ქალი ვარ, პირში ლუკმას გამოვაცლი იმ დღესაც ქართლიდგან მოვიდა ნათელას მაშვალი. შეუტყვიათ, მამულიანი ქალი არისო, მოტაცება კანუზრახავთ, თუ აპეკუნი არ დათანხმდაო. აბა, რას დათანხმდება? ათას ორასი თუმნის მამული ხელში უჭირავს. იქნება იმას სულაც არ უნდოდეს ნათელას გათხოვება. იმ დღეს მითხრეს, ცოლის ძმისწულისათვის უნდაო. თურმე როსაფსა და იმის ცოლის ძმას მოლაპარაკებაც ჰქონიათ. ორმოც თუმანს დაჰპირებია როსაფსა, ოღონდ ჩემს შვილს მიეცი ნათელაო. მანამდის არ ადგა ჩემის ძმის გვერდები, მე იმას ეს იმედი არ ავუსრულო. თანდილაანთს იოთამს შემოუთვლია, თუ ჩემს შვილს ჰიჰიკოს შერთავ შენს ძმისწულს ნათელასაო, სამოც თუმანს გასამრიგლოს მოგართმევო. ოთხმოც თუმანსაც ადვილად მომცემს. ხვალ უნდა შევუთვალო პასუხი, საკუთარს ნაყმევს გავაგზავნი და წიგნსაც ასე მივწერ: ოცი თუმანი ხელათ გამოგზავნოს და სამოცის თუმნის ვექსილიცა ერთის წლის ვადით. მაგრამ ესეც არის, თუ არ მოვატაცებიე, ნებაყოფლობით არავინ დამანებებს ნათელას ჩემს ავსულს ძმას გზირები ჰყავს ყოველგან დაყენებული. მაგრამ თუ მოვინდომე, ჩემს მტერს ნურა გაუგია-რა, მაგათ ჩემი ასავალ-დასავალი ვერ გაიგონ. თვალსა და თვალს შუა ბეწვს გამოვაცლი... თუთხმეტი ცხენოსანი-კი იქ უნდა გამოგზავნონ, საცა მე დავუ-

ნიშნავ. დანარჩენი მე ვიცი“. გაათავა თუ არა ეს ფიქრები, ასმათმა თითისტარი დააბზრიალა და ჩაჰიუშვა ძაფად პამბის ფთილა. მერე ხელით ჩასწორება დაუწყო.

II

ასმათი იყო ერთი მკვრივათ ჩასხმული დედაკაცი, ორმოცის წლისა. მისი მსხვილი ბრიალა თვალებისა ყველას ერიდებოდა, მეტადრე როდესაც რამე ეწყინებოდა, ან ეოცებოდა; ის მაშინ წარბებს აიგრეხდა და თვალებს გადმოკარკლავდა. ამ დროს მისი თვალები მოაგონებდა კაცს ზღაპრულს ალმასი გველის თვალებს, რომელიც ყოველისავე ახმობდა და აშეშებდა, რასაც-კი ხედავდა. მეზობლის დერეფნის წინ ქვა იყო ჩამოკიდებული, რომ ასმათის თვალების ანდამახტი პირველად ამ ქვას დასტეხოდა. თუ ვისმე ბატის ჭუკები დაეხოცებოდა, ან ახალ-გამოჩეკილი წიწილები ავათ გაუხდებოდენ, ან ძროხას თვალი ეცემოდა, ან ხბო დაიხუთებოდა, პატრონი მაშინ ასმათის ეზოს გამორბოდა, სამჯერ გადააფურთხებდა და ასე იტყოდა: „შენი თვალი ქვას, შენი არჩივი ძაღლსო“. მაგრამ არც სულ ისე ავი იყო ასმათი, როგორც ჰგონებდენ. უნდა გეყურებინათ ასმათის ალერსი, როცა თავის ძმისწული ნაზილა კალთაში უჯდა. ამ დროს იმისი ქცევა ვეფხის სიყვარულს მოაგონებდა კაცს, როცა ზურგზე კნუტები უსხედან. ასმათმაც სიყვარულიც გადამეტი იცოდა, სიძულვარეცა. თუ ვისმე კბილს ჩაასობდა, მის ნიადაგზე ნერგიც აღარ გაიხარებდა: მაგიერათ იმისი მეგობრობა, თუ-კი ვისმე გაიმეგობრებდა, სწორეთ ღვთის მოწყალება იყო. აი ამის გამო იმ სოფელში, საცა ასმათი ცხოვრებდა, პარტიობა განუწყვეტელი იყო. ერთი მხარე რომ ასმათს აძაგებდა, მეორე მხარე ყოველთვის ქომაგათ ჰყავდა.

ასმათი და იმისი ძმა როსაფი დიდის ხნიდან იყვენ ერთმანეთზე გაჯავრებული: და ემდუროდა ძმას იმის გამო, ვითომც ზოგიერთი დედის ნაქონი ნივთები მამის სიკვდილის შემდეგ როსაფს გადაემალოს და ანდერძიც დაეხიოს, ვითომც ანდერძში წერებულიყოს. ერთი საპარტახე ადგილი ასმათისათვის დატოვებიათ.

იმ სოფელში, საცა ასმათი ცხოვრებდა, ერთი შეუძლო აზნაურიც ლა, კარგი თვალ-ტანადი. მომლხენი და მომღერალი. მას ერქვა ოთარი. ყოველფრად კარგი ვაჟკაცი იყო. მხოლოდ ერთი ნაკლულევანება სჭირდა: მუშაობა არ უყვარდა. მამა-პაპეულ ქოხისთვის ერთი ტკოჩი ფიცარიც არ

ებინა. მის სახლის სახურავზე ხავსი მოითიპებოდა. მას ჰყავდა ერთი ძმის
ლი დროებით კალდებული გლეხი და ათი ურმის ყანა და მამის დანატო-
ი ერთი კუდა ხმალი, რომელსაც ფრანგის რკინას ეძახდა. ასი თუმანი რომ
ქმლია, ხმლის ფასად კიდევ ცოტა იყო. წლის სარჩო ქრისტეშობის
ლოქვამდისაც თუ გაჰყვებოდა. მერე კარდაკარ დაიარებოდა. დღეს ერ
ნ მივიდოდა, ხვალ მეორესთან. ხშირად მოხდებოდა, რომ ერთს რომელ
აზნაურის ოჯახს ამოიჩემებდა და დაუწყებდა სტუმრობას: ასაც ალხ
თვითონაც ლხინობდა. არც სულ მართლა ხელ-ცარიელი შედიოდა მე-
ბრის ოჯახში: არ ვიცი, საიდან შოულობდა, მაგრამ საკლავ-შეჭამადი ბევ-
შეჰქონდა მის ოჯახში. თუმცა ოთარი განიერი მხარ-ბეჭის პატრონი იყო.
რამ, თუ დასჭირდებოდა, გველის ხვრელშიაც სრიალს გაადენდა. მეზობ-
ები ხშირად ჩიოდენ საქათმოსა და სათხებოს კარის გატეხას... დღეს ერთს
ზობელს დააკლდებოდა მსუქანი დედლები, ხვალ მეორე მეზობელს საში-
ო გასუქებული ინდოურები, ზეგ მესამე მეზობელი გააბამდა „ვიხარ მამაცს“!*
უჩელი სანათლილებო ქვევრი მომიხადეს და სამი კოკა ღვინო მომპარესო“.
ლას ოთარზე ჰქონდა ეჭვი მიტანილი, მაგრამ ვინ რას გაბედავდა!... „ხმა-
ი სწყვიტესო, თავი კოტილარესო“ — იცოდა ოთარმა ხუმრობით ხალხში წა-
ძახება. „ღმერთო, უარესისაგან დაგვიცევო“, - ჰფიქრობდენ დანაკლისებულ-
ოთარს ყველა მისებური ცალ-ხელა აზნაურები მომადლიერებული ჰყავდა.
წვევას აღდგომასავით შეხაროდენ. კარგათ იცოდენ, რომ ოთარი ხელცა-
ელი არ ეწვევოდა მათ უმთვარო ღამეში. იმისი ცოლშვილი ღვთის ანაბა-
თ იყო მიგდებული. ვინ იცის, რამდენს გაჭივრებას და შიმშილ-წყურვილს
მენდენ მის კარდაკარ სიარულითა. ხშირად მოხდებოდა, რომ ოთარი ორს,
ს კვირას შინ არ მივიდოდა და როცა შეაღებდა კარს მამა-პაპეულს ქოხში,
მინაკ დღე ნიადაგ გაუსხლეტელი ჩხუბი ჰქონდა ცოლშვილთან. ისინი მუ-
ნ შიშველ-ტიტველნი ეყარენ, მაშინ როდესაც ოთარს ყოველთვის კარგი
ნსაცმელი ეცვა და კარგს ცხენზე იჯდა. მაგრამ საკვირველი იყო! მის ცოლს
თარის შინ მისვლა მაინც აღდგომასავით გაამხიარულებდა. ის ოთარის წყრო-
აც სიამოვნებით ითმენდა, ოღონდ-კი იმას ორი, სამი დღე ცოლშვილთან
ეოა. აი ეს ოთარი დაუმეგობრდა ასმათს და შეიქმნა მისი ყურმოჭრილი
ა და მოსამსახურე.

---

* ვიხარ მამაცი! — ვინ ხარ მამაცი!

III

როგორც მამა დამარხეს, ასმათსა და როსაფს დიდი ალიაქოთი შეუდგ

— მე შენ არ შეგარჩენ დედის ჩემის დანატოვარს ჭულის-ქინძისთავს ბეჭედს. ჯერ მამა არ მანებებდა თავის სიცოცხლეში და ახლა შენ გადა ლე. მომეცი ჩემი, რას მეჭიდები, -- ეკაპასებოდა ასმათი თავის ძმას. კვირა ე თი იყო და ასმათის ანჩხლობა დღენიადაგი. მისმა გესლიანმა ენამ რა ცუდი არ აკადრა როსაფის ოჯახს? მის ცოლს, თავის საკუთარს რძალს, რო კიპობას სწამებდა, თვითონ მას ათას ნაირს ქურდობას, ცრუმოწმობას, ქრთა ხაზინის გატეხას და ვინ მოთვლის, რამდენს სხვა სიცუდკაცეს. როსაფმა ჯ ბევრი უთმინა, ბოლოს რომ ვეღარა მოახერხა-რა, ასმათი ვერ დათოკა, ე ამგვარ ჩხუბის დროს, წამოავლო მათრახს ხელი და ერთი ორიოდე უჭირა ვის დას. მაშინ იკადრა ასმათმა მოკურცხლვა შინისკენ, მაგრამ იქვე დაექა ნა: „თუ ქალი ვყოფილვარ, ძვირათ დაგიჯდენ ჩემს გალახვასაო". აი, ამას შ დეგ ოთარმა ხშირად დაიწყო სიარული ასმათის ოჯახში. მისთვის იქ მუ მზათ იყო კარგი ლადარში ჩასმული პურები, კარგი მწვანის ღვინო, კარ შემწვარი ვარია. როცა ოთარი შეჟინჟლილდებოდა, მერე მოჰყვებოდა როს ხე მუქარას: „ასმათო, დარდი ნუ გაქვსო, მე ვიყრი იმაზედ შენს გულის ჯავ სო". ამასობაში სოფლად გავარდა ხმა ასმათისა და ოთარის საიჭვო დამო დებულებაზე: ვინ იცის, რამდენს რას არ აჭორებდენ. ზოგი ამბობდა, სო ლის ვახშმობას შემდეგ ოთარი ასმათის სახლში მიიბუზება ხოლმეო და მ ლის ყივილზე შინ ბრუნდებაო. ამ ჭორებმა მიაღწია ასმათის ყურებამდის: ოთ რის ცოლმაც შეიტყო. თუმცა ეს ამბავი არ სჯეროდა, რადგან ასმათთან კარ განწყობილებაში იყო. თითოეული ჭორი ისე უშვერად იყო შეთხზული, რ ოთარის ცოლს ძალიან ადვილათ შეეძლო მისი სიცრუე დაემტკიცებინა. ოჯ ქვრივის სალმა მოქმედებამაც ცხადათ დაანახვა ოთარის ცოლს თავის უბრალო

ერთხელ ქვრივმა შეიკერა დიდი განიერი პერანგი, რომელშიაც ორი ცი კარგათ მოთავსდებოდა. დაიბარა მოძღვარი, მოიპატიჟა ოთარის ცოლ და მეზობლები. ოთარიც იქ იყო. ასმათმა უთხრა ოთარს: „მე დედა და შვილიო". მერე გადაიცვა ტანისამოსზე დიდი პერანგი, შიგ ოთარი გაა ნა, შემდეგ გადმოაგდო ძუძუ და ზედ კბილი დაადგმევინა. მოძღვარმა მის წყალი უკურთხა. ამას შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ოთარი ასმა ნამდვილი შვილობილი ყოფილა. ამიერიდგან ოთარის ცოლიც ასმათის რძ იგდებდა თავს. მტრები-კი მაინც იჭვის თვალით უყურებდენ ამ ამბებს.

ეს მეხუთე წელი გადიოდა, რაც ასმათი დაქვრივდა. ქმრისაგან კარგი მა-
ი დარჩა და უშვილოც იყო. ბევრს უადგილ-მამულო აზნაურს რჩებოდა
ლი მის ქონებაზე, მაგრამ მის შერთვას მაინც ვერავინ ჰბედავდა, რადგან
ივის სიავე ყველგან იყო ცნობილი. ქმრის უდროოთ სიკვდილს ყველა
ლს აბრალებდა. „მოინელა ის საწყალი კაცი, უდროოთ ჩასდო საფლავ-
ი“, ამბობდენ მეზობლები. თვითონ ასმათი კი გულახდით სწუხდა მის და-
გვას. მის ოჯახს უკაცობა უფრო ახლა დაეტყო, როცა ასმათი ნაყმევებმა
ბრიყვეს და შემოსავალს სრულად არ აძლევდენ. მას ეჭირვებოდა ერთი
ე ფხიანი მოურავი თუ ნადელების ასაღებათ, თუ ადგილების გასაცემათ,
საჩივრების ასატეხათ. ამაებში ოთარი ძალიან მარჯვე იყო! ასმათიც არ
ბოდა ხელცარიელი. ამიერიდგან ოთარის ცოლ-შვილი სულ ასმათის წყა-
ბით რჩებოდა...

IV

აღდგომის მიწურული იყო. ოთარი ემზადებოდა თანდილაანთსა სტუმ-
ბას იმას ერთი ახირებული ჩვეულება სჭირდა. როგორც გაზაფხულის სუ-
მოაწევდა, ისიც ნავარდს ჰკრავდა თავის სოფლიდან!.. გორიდამ ფოთამ-
მისი სანავარდეთი იყო განსაკუთრებით უყვარდა ზესტაფონში და ქუ-
სში ყოფნა. ნაგაზი რომ საყასბოზე მიეჩვევა, ისე იყო ოთარი სამიკიტნო-
ი გაწუწკებული. ერთხელ რომ ვისმე სალამი მიეცა, მეორეთ გულის ბი-
ვილათ გაუხდებოდა. დღე არ გავიდოდა, რომ ის სამიკიტნოში ვისმე პუ-
ქამათ არ შესწრებოდა. ოთარმა იცოდა დრო და კაცი. იმ დროს მიად-
ოდა, როცა მასპინძელი ღვინით იყო შეჟინჟლილებული და სტუმარს ნატ-
ბდა. „ოჰ, ოთარ, ღმერთმა ბევრს კარგს შეგასწროს, მობრძანდი, მობრ-
დი!“ - უძახოდა გამხიარულებული მასპინძელი. ოთარსაც ეს უნდოდა. მი-
ოდა, მოუჯდებოდა გვერდით და სტუმრული მორცხობით შეჰყვებოდა საქ-
მასპინძელი-კი თანდათან იწვევდა ოთარს მხიარულობისათვის. ბოლოს
ენზე მივიდოდა საქმე, რომ სანამდის მასპინძლის ჯიბეს სიქა არ გავარ-
ოდა, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს არ გაშორდებოდენ. როცა ორივე კარ-
ლოზათიანად გამობრუჟდებოდენ, ოთარი ერთ-ორ მანეთს დაესესხებოდა
ინძელს და მერე სხვა მხრით შეუტევდა. იმერეთიდან ქართლს გადავიდო-
იქიდან ცხინვალის მხარეზე იცოდა გამგზავრება. იქ ახლო-მახლო ოსების
ვლებში ლუდისა და არაყის გემო ჰქონდა გაღებული. ხატობისა და ღვთა-

ოჰის ანგარიშები მამათ ჩვენოსავით ჰქონდა დაზეპირებული: სად რა დღეს წასული იყო, ან ოსეთში არაყის ხდა როდის იცოდენ, ან ლუდს როდის დ აყენებდენ. ოთარი ყოველთვის იმ დროს მიადგებოდა კარზე მასპინძელს, ო ცა იმას ყოველი სტუმარი უფლისაგან მოგზავნილი მოციქული ჰგონია. ამიტომაც უყვარდათ ოთარი გარეთ ყოველგან, მაგრამ მაგიერად შინ არ აცდიდენ მეზობლები, რადგან ოთარი ოთოთაანთ ქორწილით ირჯებოდა: ო ცა გარეთ ლუკმა შემოაკლდებოდა, შინაურებს დაუტრიალდებოდა.

აღდგომის დღესასწაულები შავში გაითენა ოთარის ცოლ-შვილმა.

ამის მეტათ არ მახსოვს, ოთარი რომ აღდგომას გარეთ დარჩენილ ყოს, თვალ-ცრემლიანმა ოთარის ცოლმა მიუწუწუნა ასმათსა...

მაგრამ ოთარის მოუსვლელობას მის ცოლზე უფრო ასმათი სწუხდა...

ამ დროს უეცრად შემოიღო კარი და ოთარი შემოიჯგიმა. ქალებს უცბათ გადაავიწყდათ საყვედური. ცოლი გადაეხვია.

კაცო, ასე უნდა? .. შენმა ლოდინმა მოგვკლა, ვინ იცის რა დღე რა წამოიდგა! მე მეგონა, ცოცხალს ველარც-კი გნახავდი.

ჩემი მომკვლელი კაცი ჯერ არ დაბადებულა, უპასუხა ოთარმა...

ამ დროს შემოცქრიალდენ ოთარის ბავშები. პერანგის მეტი ტანზე არ ებადათ-რა.

— მამა, მამა! შესძახეს შვილებმა, შეახტენ კისერზე და დაუწყეს კოცნ

როგორ დატიტვლებულხართ? სააღდგომოთ განა არა შეგიკერავთ დედამ?..

— რა მოგვიტანე, რომ დედას შეეკერა? უთხრეს მხიარულათ შვილებმა.

აი თუ არ მოგიტანეთ! გახსნა ხურჯინი და ამოიღო სამშაურიანი ჩითები.

— ვაი, ვაი, რა ლამაზი პრიალა ჩითებია! — გაიხარეს ბავშებმა. ეს ჩემი საახალუხე იყოს, ამოირჩია ვაჟმა.

— არა, ეს ჩემი საკაბე იყოს, — დაემუშტრა ქალი.

აი, დედა! — წამოიძახა ვაჟმა. მამას რომ ემდური, ჩვენთვის არა მოაქვს-რაო. აბა, რა არის ეს?...

— კაი შვილია! ღიმილით გააპარა თვალები ცოლმა ოთარისკენ.

ძალიან ვეცადე — იმართლა თავი ოთარმა, — რომ სააღდგომოთ დაბრუნებულვიყავი, მაგრამ რას გინდა?.. რაი ერთხელვე იმ ტეტიების ხელში კაცი ჩავარდება, თავს როგორ იხსნი?!.. დღე და ღამე სულ ლხინში ვიყავით, თარი, ჭიანური, დუდუკი. სიმღერა!.. ზურნის ჭიჭყინმა ყურები დამ

ერე გიორგობას წამიყვანეს, იქიდან გორს ჩამიყვანეს. ძლივს აქ დავაღწიე თავი ეს ჩითები გორში ვიყიდე... მართლა! , თანდილაანთ იოთამმა შენი იგნი გამომატანა, რაც დამაბარე, მანდ სწერია იმის პასუხი, გაუწვდინა პარასი

— იოთამის პატარა ქიქი არ გაზდილა?.. ეშმაკური ღიმილით ჰკითხა ასმათმა.

— მარიამ!.. ასე ერქვა ოთარის ცოლსა, ხომ იცი. ოთარი ნამგზავრია. შიერი იქნება, ბიჭს დაუძახე, ღვინო ამოაღებინე, იქ თაროში ერთი ლორის ანჭი ძევს და გაფუებული პურები

მარიამი საჩქაროთ წავიდა თავდარიგის მოსახდენათ.

რაო, რა თქვა იოთამმა? ჰკითხა ასმათმა.

— ასე შემოგითვალა, შენ ოღონ ჩემს ქიქის შენი ძმისწული შერთეო და რასაც დაგპირებივარ, აგისრულებო: ოც თუმანს ნაღდათ მოგართმევთ. ოცსა ქალს ხელში მოგვცემთო, სამოცის თუმნის ვექსილსაც დაგიწერთ ერთის წლის ვადითო.

- ჯერ კიდევ წელიწად-ნახევარი ვადა აქვთ, — ჩაიცინა ასმათმა. სანამდის თორმეტის წლის არ გახდება ჩემი ნათელა, მანამდის მისი ჯვარისწერა არ მოხერხდება.

ამ დროს მარიამი შემოვიდა და სუფრას გაწყობა დაუწყო. იმათ უცბათ აწყვიტეს ლაპარაკი.

შე, უბედურო, უთხრა ქმარს მარიამმა, - ამდენი ხანი ოჯახში არ ყოილხარ, რატომ არ იკითხავ, რა გვქონდა, ან რა გვითბებოდა? შენს ამარა ადგა ჩემი მტრის ოჯახი.

დედაკაცის საყვედურის რა მეცოდინება, შენიშნა მკვახეთ ოთარმა, ნუ გეშინია, ჩემი დედობილი შენ არას გაგიჭირვებდა.

მის მეტი შენს მტერს ნუ მიეცა, რაც შენს დედობილს ბევრი არა ქონდეს-რა. მეც შენი შემჩერე ვარ. რაცლა ორი კვალი ადგილ-მამული მაქვს, ისიც უპატრონოთ მიხდება. წრეულს ნახევარი ნადელიც არ წამომიღია გლეხისაგან. თუ ქირნახულის მოწევის დროს გლეხს თავზე არ ადგიხარ, მეამედსაც არ გიჩვენებს! განა ტყუილად მოგანდევე ჩემი მამული?.. ყოველერს ყური უნდა უგდო. ნეტავი დედაჩემს, შენ თუ კარდაკარ იარე!.. მე ა?..

კარგი, დედი, გაათავე ამდენი საყვედური. ეს იყო და ეს. აწ გაიმცის გარეთ აღარ გავიხედავ. სულ ოჯახობაში ვიქნები. აბა, ნახე, თუ ისე გამოვტენო ეს სასიმინდეები, რომ წყნავილი გაჰქონდეს.

— შე, უბედურო, — შენიშნა მარიამმა: — რატომ ხარ მაგისთანა ტრაბახი

-- შენ, დედაკაცო, ენა ნუ წაიგძელე. ჩემი ამბავი ხომ იცი.

— ამბავი, თორემ ყურზედ ხახვი არ დამაჭრა, — ღიმილით უთხრა მარიამმა.

— დაგაჭრი-კი არა, მეტსაც გიზამ.

— მასხარა!.. წაუბუტბუტა ცოლმა სიყვარულით.

ოთარს მართლაც მოშივებოდა. ის ჩინებულათ შეექცა ღორის კანჭს ერთი მორჩილი ხელადა ღვინოც ზედ დააყოლა. შვილები გვერდით უსხდენ ისინიც დააძღო, თვითონაც კარგათ გამოიტიკნა. როცა შექეიფიანდა, მერ მოჰყვა თავის გარდასავალს ქართლში...

ღამე შემოიპარა. ბავშვები წამოხტენ და მამას ეზიდებოდენ შინისკენ ერთი ზურგზე შეახტა, მეორე მუხლზე დაუჯდა და წვერებზე ეპოტინებოდ ხელებით. ორივე ერთნაირათ ჩასძახოდა: წამოდი, მამა, შინ, წამოდიო.

— დასწყევლა ღმერთმა თქვენი ეშმაკი, როგორ დაგიჟდენ! მოიცადეთ შვილებო, ცოტას ხანს კიდევ, მოიცადეთ.

— წამოდი, მამა, შინ, წამოდი, — მაინც კიდევ დაუჟინეს შვილებმა. ერთ სახელოში ჩაევლო ხელი, მეორე კისერში ჩაჰფრენოდა.

ოთარი წამოდგა ზეზე, გამოემშვიდობა ასმათს და დაუბარა, რომ ბიჭებ იმის ცხენისათვის მოევლოთ. მერე ჩაჰკიდა ხელი შვილებს და წავიდა შინ. მისი ცოლი უკან გაედევნა. იმ წუთას მარიამის ბედნიერებას საზღვარი ა ჰქონდა.

V

ასმათს მეექვსე წელი გაუხდა ქვრივობაში. ათი წელიწადი მეტი სცხოვ ბოდა ცოლ-ქმრობის სიყვარულით, მაგრამ შვილი მაინც არ გაუჩნდა. პატა რათ დაებადა თუ არა მის ძმას სამსონს ნათელა, მაშინვე ასმათმა ხელში ა ყვანა და როგორც ნაშობს შვილს უვლიდა. სამსონის ცოლი ლოგინობა დაავათმყოფდა და ერთს წელიწადზე სული განუტევა. რძლის სიკვდილს შემდეგ ასმათს თავისი სახლი აღარ უძებნია. სულ თავის ძმის სამსონის ოჯახშ იყო, მარტო მის ოჯახზე და პაწია ნათელას აღზრდაზე ზრუნავდა. რამდენათაც უფროსი ძმა, როსაფი, სძულდა, იმდენათ უმცროსი ძმა სამსონი ეწყალებოდა და უყვარდა. ხშირად წამოიძახებდა ხოლმე ასმათი გულ-გახეთქილ „მოინელა იმ წყეულმა ჩემი ძმა სამსონი. რაც კარგი ადგილები და სადგო

ი იყო, გაყოფის დროს სულ თვითონ ირგო. სამოსახლოც არ გაუზიარა. სა-
აც ღვიძლ-ნადები ძმა არ გაიტანა იმ არ გადასარჩენმა, მე რას დამეძებს ქვრივ-
ხერს და თავიდან მოცილებულს. ჩემი ძმა სამსონი გულკეთილი კაცია და
ნგელოზი, მაგრამ არც მეტი გულკეთილობა ვარგა. ყველა დაგიბრიყვებს,
ურგზე შეგჯდება. საწყალი ჩემი სამსონი სუსტი ხასიათის არის; არავისი წყე-
ა არ უყვარს. იმიტომაც დაიბრიყვა იმ მხეცმა, არაწმინდამ. ნაფუზვარზ
ომ შეედავა, მე ის ყოფილვიყავი, თავს გავუხეთქდი. ასე, ტყულა-უბრალო
ნდოდა წაგლეჯა. მაგრამ ვერ მივართვი. სიცოცხლე გაქვს, ჩემს სამსონს
გროთ უშოვე მოწმები და დავადგენიე მოსამართლეს სამსონის სასარგებლო
ანჩინება. როცა სასამართლოდან გამოვიდა როსაფი, მიწის ფერი ედვა. იქვე
ამემუქრა, თუ კაცი ვარო, იმ შენს ჩამოჰვარტლულს ქოხს თავზე დაგანგრევო.
ეც კარგი ბრაწები დავაყოლე“.

ცოლის სიკვდილს შემდეგ სამსონს ბევრი აღარ უცოცხლია. მას დარჩა
ათელა სამის წლისა. შეიქნა ყმაწვილი ლიტონი ობოლი. ბევრი ეცადა ასმა-
ი, რომ ნათელას მამულის აპეკუნობა როსაფს არ ჩავარდნოდა ხელში. ამის
ულისთვის ქვრივმა სამჯერ მოიარა ქუთაისი, ზესტაფონი და საჩხერე. ნათე-
ას თავის ძიძიანა თან დაატარებდა. ყოველგან თითო არძა მიართვა მთავ-
ობას თავის ძმის როსაფის უსვინდისობაზე. იმას სწამებდა ობლის მამუ-
ის აფორიაქებას, ცხენის ქურდობას, ავაზაკებთან ამხანაგობას და ვინ იცის,
ამდენ რასა? ითხოვდა, რომ ის არამცა და არამც აპეკუნათ არ დაენიშნათ
ბლის მამულზე; მაგრამ ყოველმა მისმა წადილმა ამაოთ ჩაუარა. როსაფს
ველითგანვე იცნობდენ და თითო-ოროლა მეგობარი მას ყოველ სასამართ-
ლოში ჰყავდა. იგი მაინც დანიშნეს ობლის მამულზე აპეკუნათ. აპეკუნათ რომ
დაამტკიცეს, შემდეგ პირველი მისი განზრახვა იყო, ნათელა წაერთმია მამი-
დისათვის, მაგრამ ვერას ღონისძიებით ვერ მოახერხა. ქვრივი ისეთი გაავთრე-
ული შეიქნა ნათელაზე, როგორც ძუ ლომი თავის ლეკვებზე. ნათელაც ხომ
ომეტებულათ ჩაკლული იყო მამიდას გულში. სიკვდილის მეტი ვერა მოჰ-
ლეჯდა-რა მას იმის მკერდზე. ძმის სიკვდილის შემდეგ ასმათი გადმოვიდა
სევ ოჯახში, ნათელა ძიძიანა თან გადმოიყვანა და შეუდგა თავის მივიწყე-
ულის ოჯახის გამოსწორებას. დაძველებულს ორ-თვალიანს ოდას ერთი ოთა-
ი კიდევ მიადგა, ძიძა და ყმაწვილი იქ დააყენა და თვითონაც იქ გაიკეთა სა-
ოლი. ღამით სამს ნაყმევს არ იცილებდა თოფ-იარაღითა. ისინი იქვე დერე-
ანში წვებოდენ საყარაულოთ. როსაფი ძალიან სწუხდა ამ გარემოებას, მაგ-
ამ თავი ვერსიდგან შემოევლო...

VI

როსაფი იყო ერთი იმ აზნაურთაგანი, რომელსაც 1850 წელს გაეთავე
ბინა ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებელი და შემდეგ შორა
ნის უეზდის გამგეობაში შესულიყო მწერლად. თავის დროს ის ჩინებულ
მკვირცხლი ახალგაზდა იყო, კარგი მომღერალი, ქეიფის მოყვარე და ქართუ
ლად არზის დამწერი. ვინც ძღვენს მიართმევდა, ისეთს არზას დაწერდა, „ქვა
ვახეთქდაო“ იტყოდენ გლეხები. ის მალე დაიახლოვა უეზდის სასამართლო
სეკრეტარმა. ეს ისეთი სეკრეტარი იყო, რომ უიმისოთ უეზდში არცა-რა გაკეთ
დებოდა-რა, არც-არა წახდებოდა-რა. გასამგებო იყო თუ სამოსამართლო,
ყოველივე საქმე მის ხელთ იყო. უეზდის მმართველადა ერთი ვიღაც რუს
თიდან გადმოსული შტაბს-კაპიტანი ბრძანდებოდა: არც ქართული ენა ესმოდა
არცარა ჩვენი ქვეყნის ვითარებისა გაეგებოდა. ის დრო იყო, როცა ჯერ კ
დევ ქართულად იწერებოდა არზები და ზოგჯერ განჩინებაც ქართულად დგ
ბოდა. ამის გამო ყოველივე საქმე უეზდის გამგეობისა სეკრეტარს ჰქონდა ჩ
ბარებული და მის უდასტუროთ არა გადაწყდებოდა-რა. თვით უეზდის მმარ
თველმა მალე იგრძნო, რომ სეკრეტარი მისი მარჯვენა ხელი იყო, მისი მო
სიამე, მრჩეველი, მოურავი, სახლთ-ხუცესი. ხორაგის მყიდველი, ოჯახი
გამგე, სამზარეულოში რიგის მიმცემი, სასამართლოში მისი ქაღალდის დამწ
რი. ერთი სიტყვით, შინ და გარეთ სეკრეტარი იყო უეზდის მმართველის გა
ჭირვების ტალკვესი. შტაბს-კაპიტანი ქაღალდებზე ხელის მოწერის მეტს არა
აკეთებდა. სეკრეტარმა მალე დააჯერა უეზდის მმართველი, რომ იმერლებ
მთავრობის წინაშე ძღვნით ხელის დამშვენება იციანო და, თუ მთავრობის კაც
მა მათი ძღვენი არ მიიღო, დრტვინვას დაუწყებენ, აღარ მიეკარებიან და, მე
ძლება, ბოლოს საჩივრებიც გაუმართონო. ძღვენი წმინდა იოანეს მოწყალე
ბაო. შტაბს-კაპიტანმა მალე დაიჯერა თავის სეკრეტრის მოძღვრება. ბოლო
ამ ძღვენს ისე მიეჩვია, რომ როცა ხურჯინიანი კაცი ჰიშკარს არ შეაღებდ
ის დღე დღეთ აღარ მიაჩნდა. ცუდ გუნებაზე შეიქმნებოდა და სევდის გა
ქარვებლათ სეკრეტარს დაუძახებდა: **„Ну, братъ, св. Іоаннъ забылъ насъ
Свѣчку бы надо поставить“**. ეს ამბავი მით უფრო სტკენდა გულს უეზდ
მმართველს, რომ ფურცხუნა ღვინოებს მიჩვეოდა და, რადგან ოტკის სმა გ
დაეგდო, ახალ-ახალი ჭაშნიკებით გულს იოხებდა. წყალს აღარ იკარებდა
სამწყურვალოთ სხვადასხვა ღვინოები ედგა ღრაფინებით: ცოლიკაური, მწვან
კრახუნა, საფერი და რკოს ღვინო. თუ რომელიმე გამოელოდა, მაშინვე წ
და იოანეს დაუწყებდა საყვედურს დავიწყების გულისათვის.

როსაფი მალე შეიქნა სეკრეტრის მესაიდუმლე, იმის შემწეობით ძალიან გაიწაფა არზების წერაში. ერთი მოზდილი სკივრი სულ სხვადასხვა ფორმის არზებით და აპელაციებით ჰქონდა გავსებული. ვისაც უეზდის სასამართლოში საქმე ექნებოდა, ყველანი როსაფთან მიდიოდენ, რადგან იცოდენ, რომ იმის არზებს თვით სეკრეტარი ასწორებდა. შრომის გულისთვის წითლიანი და ფრიანი ქაღალდები სცვიოდენ როსაფის ხელში. მაგრამ სეკრეტარს ერაი რებული საქმე სჭირდა: რაც უნდა მიეტანა როსაფს იმისთვის. გინდა წითლიანი, გინდა ცისფრიანი, ის ყველას ჩაჯიბამდა ამ სიტყვებით.

— ჩემო როსაფ, ამას ნუ გამიტეხ, ეს ჩემი იყოს, შენ სხვა გამოართვი კიდევ.

— შე, დალოცვილო, აღარ მომცეს მეტი. დავრჩი მე ყოველთვის ვირის მიმდევი! უსაყვედურებდა ხანდახან როსაფი. მაგრამ სეკრეტარი იტყოდა გულში: „ყურსა ბამბისასაო," და ჩაივლიდა.

მეტი რა ჩარა იყო. როსაფი ისევ უნდა დატრიალებოდა მთხოვნელს და თავის გასამრჯელო ცალკე მოეთხოვა. ხშირად მოხდებოდა, რომ გლეხი გაწიწმატდებოდა და შეექნებოდათ დავა. ზოგჯერ ლაწანიც ისმოდა გლეხის ყბაზე ატყდებოდა ხოლმე ერთი ალიაქოთი უეზდის სასამართლოს დერეფანში. საცა არ გინდა, სეკრეტარი უცბათ იქ გაჩნდებოდა, შეარიგებდა მოჩხუბრებს და გასამრიგლოთ ორი-სამი მანეთი მაინც კიდევ ამოვარდებოდა გალახულის გლეხის ჯიბიდან როსაფის სასარგებლოთ. ამ ყოფნით გაატარა როსაფმა რამდენიმე წელიწადი უეზდის სასამართლოში.

ის თავის ტოლ-ამხანაგში პირველი დარდიმანდი იყო. ტანს ეცვა ბუზმენტებით გაწყობილი ქართული ყურთმაჯებიანი კაბა, წითელი ხავერდის ბეწვმოვლებული ქულაჯა, განიერი შალვარი, ბუხრული ქუდი, იჯდა ყოველთვის პატარებელს ბედაურზე და ყელზე ჩამოგდებული აბრეშუმის ბაღდადი ლამაზათ მიფარფაშებდა. არც ერთს დღეობას არ დააკლდებოდა, ყოველგან ლხინის თავი იყო; თემში რომ გამოვიდოდა, მანდილოსნებს მაზედ რჩებოდათ თვალები. მაგრამ ყოველთვის ერთი დრო არ შერჩება კაცს. მოხდა უბედურება. რევიზიის კლანჭი შორაპნის უეზდის სასამართლოსაც მისწვდა. თურმე ხაზინის ფულს ოთხასი თუმანი დააკლდა. სეკრეტარს საპყრობილეში ამოაყოფინეს თავი, შტაბს-კაპიტანს ფეხი აალგმევინეს და ისევ პოლკში გაგზავნეს. როსაფმა ძლივს დააღწია თავი ამ საქმეს და მიბრუნდა თავის ოჯახში.

მამის სიკვდილის შემდეგ მას დარჩა ოცდა-ხუთი კომლი გლეხი, ბლომათ ადგილ-მამული და ხუთასი მანეთი გავალებული.

ის მაინც გამოჩენილი ოჯახის აზნაურიშვილი იყო თავის კუთხეში, კარგი პურადი და სტუმრის მიმღები; მტრებიც ჰყავდა, მაგრამ მეგობრები კიდევ უფრო ბევრი: არავის შიში არ ჰქონდა, მხოლოდ თავის დას ასმათს ვერა მოუხერხა-რა და ბევრი სიმწარეც გამოსცადა მისი ქიშპობით ცხოვრებაში.* როსაფს ის უფრო აწუხებდა, რომ მისი სააპეკუნო ძმისწული ნათელა მის დას მიეთვისებინა და ვერას ღონისძიებით ველარ დაჰგლიჯა ხელიდან. როსაფი მაინცდამაინც არ იყო დიდი ხნის: ასე ორმოცდა-რვა წლის თუ იქნებოდა: მაგრამ ასმათის მტრობას უდროოთ გაეთეთრებინა.

მისი ძმისწული ნათელა მეთორმეტე წელში იყო ჩამდგარი და ყური მოეკრა, რომ ასმათი ქართლისაკენ უპირებდა გათხოვებასა: „მართლა რომ იმ კუდიანმა ხელიდან გამომაცალოს ის ბავში, დავიღუპები: ვინ იცის, რა კაცს მიათხოვებს. სიძემ რომ სააპეკუნო ანგარიშები მომთხოვოს სამართლის წესით, ჩემი საცხოვრებელიც ველარ აუდგებაო!“

ბოლოს, მტრობით რომ ვერა მოუხერხა-რა, თათბირი გაუმართა. მან განიზრახა თავისი ცოლი მზეხათუნი, რომ ის რამენაირათ თავის მულს ასმათს დაახლოვებოდა.

გაიმართა მიწერ-მოწერა, მოციქულობა და მალე შემდურებულნი შერიგდენ.

VII

ერთი თვე გავიდა. რძალ-მული და წაკიდებული და-ძმა ძალიან დამეგობრდენ. ორ დღესაც არ გაუშვებდენ, რომ ერთმანეთის ამბავი არ ეკითხათ, ან ერთმანეთისას არ ყოფილიყვენ. ასმათს მართლაც დაუბრუნეს ძირულას გაღმა რომ ყანა იყო. თვითონ როსაფი ხშირად ჰკითხავდა ხოლმე რჩევას თავის დას სააპეკუნო საქმეებზე. ერთი, ორი სააპეკუნო გლეხები, თვით ასმათის მეზობლათ რომელიც ესახლენ, მას მიუჩინა. „რადგან ნათელა შენთან არისო, უთხრა როსაფმა: სჯობია ის გლეხები შენ დაიჭირო ხელში და როგორც გინდა, ისე მოიხმარეო“. ამისთანა მოქმედების გამო ასმათმა გული დაანდო როსაფსა. ნათელაც ძალიან დაუმეგობრდა როსაფის ქალს, რომელიც მისი ხნის იყო. როცა ასმათი და ნათელა როსაფისას გავიდოდენ ხოლმე, ყმაწვილები სულ ერთად იყვნენ, ერთად სწავლობდენ, ერთად ქსოვდენ, ერთად კერავდენ და მეზობლებშიაც ერთად დაიარებოდენ. მზეხათუნი მუდამ თვალებ-

---

*) ასმათის წყალობით მოხდა, სხვათა შორის, რომ ოთარმა და მისმა ამხანაგებმა როსაფს სახლკარი გადაუწვეს.

ში შესცქეროდა ნათელას და მის სიტყვას მიწაზე არ დააგდებდა ეს მეოთხე წვევა იყო ასმათისა და ნათელასი როსაფისას. მზეხამ ახალი საკაბე დაუჭრა ნათელას და თან დაატანა: „ეს საკაბე ნათელამ და ჩემმა ქალმა ერთად უნდა გააწყონო“. ნათელას ძალიან მოეწონა ხალისი ფერი კაბისა და საკუთარი ხელით თავის კაბის შეკერვა მეტად იამა, რადგან პირველი შემთხვევა იყო.

მაგდენს ხანს სად მოვიცდით? — დაატანა ასმათმა, — ამ საღამოს ისევ შინ უნდა დავბრუნდეთ, ხომ ნათელა!..

— მე კაბის შეკერვა მინდა, — უპასუხა ნათელამ.

— მე რომ წავალ, მერე შენ უჩემოთ დარჩები აქ?...

— ბეჩა, რა იქნება მერე, ორი დღე რომ თავის ბიძისას დარჩეს? კაბას შეაკერავს და მერე, მე თვითონ ჩამოგიყვან.

ასმათს, ცოტა არ იყოს, გულზე ეკლათ ეჩხვლიტა ეს ამბავი. იმას არ იაცა, რომ ნათელა შინისაკენ აღარ იწევდა.

— შენმა სიცოცხლემ, ასმათო, ისე მოუვლი, აი, იმ ჩემს შვილზე უკეთ. თვალ-წინ არ მოვიცილებ; ღამით ჩემთან დავაწვენ. ფიქრი ნუ გაქვს ნათელასი. ისე გეგულებოდეს, როგორც შენ თავთან.

— ნათელა, არ წამოხვალ? - განუმეორა ასმათმა. ამ დროს თვითონ როსაფის ქალი გადაეხვია ქვრივს: „ჩემო მამიდა, დაანარჩინე ნათელა ორი, სამი დღე ჩვენთან; ერთად ვისწავლით ჭრა-კერვას. ამ ახალ კაბით გამოვაწყობთ და მერე ერთად გეწვევით“.

— კარგი, გენაცვალე, იყოს. მერე მოეხვია ნათელას და დაუწყო გაშმაგებული კოცნა, თითქოს საუკუნოთ ეთხოვებოდა, თვალებში ცრემლი მოერია და ერთი კურცხალი ნათელას ლოყაზედაც დაადინა. ძმისწულიც თანაბრათ ჰკოცნიდა მამიდას და თან ანუგეშებდა:

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, მალე წამოვალ.

ასმათი წავიდა შინ მარტოდ-მარტო, მაგრამ ნათელას ჯავრი მაინც გულში ნაღვლათ ჩაიყოლა. გზაზე რაღაც გამოურკვეველი ზაფრა დააწვა გულზე.

— ეჰ, დასწყევლოს ღმერთმა ჩვენი გაჩენის დღე! წამოიძახა ბოლოს ასმათმა, როცა თავის ეზოში შემოდგა ფეხი: არაფერი მკვიდრი ამ სოფლათ არ არ არის. ვინ იცის, იქნება, ნათელას, აწ სულაც დავავიწყდე. ჩიტის ბახალაც ასეა: ფრთებს რომ შეისხამს, ბუდიდამ გადაფრინდება და მწვანე ტყეში შეიმალება. მერე ბუდისკენ პირს ვეღარ აქნევინებ.

VIII

ასმათმა ნათელა რამდენჯერმე მოიკითხა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზი მოუდვეს: ყმაწვილი არ გამოუგზავნეს. ერთს საღამოს ასმათი საჯალაბო სახლში კერას მიფიცხებოდა და მოწყენილი იყო. ამ დროს ერთმა ოთარის ამხანაგმა აზნაურმა ფეხი შემოდგა საჯალაბო სახლში. ასმათს ძალიან იამა მისი დანახვა.

— უი, შენ გაგახარა ღმერთმა, როგორც მე შენი მოსვლა მიამა, რასა იქ. საიდან მოდიხარ?.. რა ღმერთი გაგიწყრათ, რომ ჩემს ნიადაგზე აღარ გაჭაჭანეთ. მოგვძულდით განა ქვრივ-ოხერი?

— ღმერთს ნუ შეძულდი. ასმათ, შენ ჩვენ არ გვძულდე, მაგრამ ხომ იცი ჩვენი გვარის კაცის ამბავი. ხან აქეთ კლდეს უნდა ვეცეთ, ხან იქით, რომ მშიერ მგლებსავით რასმე წავაწყდეთ. შინ რა შავი ქვა ვაკეთოთ? აქ არც არა გვიცხუნდება-რა, არც არა გვიკვდება-რა. ის დაჯდა სკამზე არხეინათ და ჰკითხა ასმათს:

— ახალი ამბავი არა გაგიგონია – რა?

— როგორ, რაო? შეუტევა ასმათმა: მე რას გავიგონებდი, მუდამ შინ ვჯდივარ, უნათელოთ თავი მკვდარი მგონია. ვუთვლი და არ მიგზავნიან. ან-და ხვალ წავიდე და წამოვიყვანო.

— გვიანღაა, შენ იმას აღარავინ დაგანებებს.

— როგორ თუ არავინ დამანებებს?..

— ათხოვებენ.

— უი ჩემს თავს?..

უი არა მაქვს მე... დღეის სწორს აქვთ ხადილი. ასმათმა ერთი ისეთი იწკლიცა, რომ გეგონებოდათ, ყბა მოექცაო.

— ვის აძლევენ?

მზეხას ძმისწულს, ილიკოს.

— ის დღე რატომ ბნელათ არ მექცა, ჩემი ნათელა რომ მე იმას ადარზე გავატანე. თუ ამის გულისთვის გამეგენ ფეხქვეშ ის არაწმინდები!... არიქა, დედა-შვილობას, ახლავე გაფრინდი. ჩემი ოთარი მომგვარე. აწ მე ვიცი, რასაც ვიზამ.

ასმათი გალომდა, მისი თვალები ბუდიდგან ამოვარდნას აპირობდენ. ის აზნაური მაშინვე გამოვარდა გარეთ და გაიქცა ოთარის მოსაყვანათ.

— ოოსაფის წინ უნდა დავიკლა დანით ჩემი თავი. უფალ ამ ჩემი სისხლით შევღებავ მის წვერებს, სანამდის ის ნათელას გამიათხოვებდეს! ქადაგობდა ასმათი თავისთვის ამან ოდასა და საჯალაბო სახლს შუა დაიწყო რბენა...

ძუ ლომს რომ ლეკვს მოპარავენ, იმასაც ასე სჭირს აქეთ-იქით რბენა და უმიზნო ხტომა, თითქოს სურდეს, მტაცებელს კვალში ჩაუდგესო. თუ მტერი შეეკდა ამ დროს იმას წინ, ყოველსავე დაფრეწს.

გამდელი საჩეხში საქონელს უვლიდა. ის რომ საჯალაბო სახლში შემოვიდა, ასმათი კერას გარეშემო დათარეშობდა. გამდელს ძალიან გაუკვირდა ასეთი აღელვებული ბორტიალი.

— ქალბატონო, რა ამბავია, ცუდი ხომ არა შეგიტყვიათ-რა? ასმათს შეუდგა და მსხვილი თვალები დააშტერა მოხუცებულს. ასე ეგონებოდა კაცს, ნახტომი უნდა ქმნას და დაფრინწოსო.

— ქალბატონო დამშვიდდით. ეგ რა ამბავია? კრძალვით განუმეორა გამდელმა.

— რა დროს დამშვიდებაა, დანა რომ გულზე დამცე, წვეთი სისხლი არ გამომივა.

— ბარემც ბძანეთ, ქალბატონო, თორემ შიშისაგან ლამის გადვირიო?

— რაღა რა ამბავია, ჩემი ნათელა მომტაცეს!

— ნათელა აკი როსაფთან იყო, ვინ მოიტაცებდა?

— ათხოვებენ...

— ვის აძლევენ?

— ილიკოს, ჩემის რძლის ძმისწულს!

— ისემც კარგი დაგემართოს, კარგი ახალგაზდა ის იყოს...

— ჩუმათ, ბებრუცანა! თავი ხომ არ მოგძულებია?..

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი კილოთი წარმოსთქვა ასმათმა, რომ გამდელს შიშისაგან ენა ჩაუვარდა. მაგრამ გულში მაინც ასე ფიქრობდა:

— რამ გადარია ეს ჩემი ქალბატონი? იმისთანა ბიჭს, ახალგაზდას, მდიდარს, კარგს ოჯახის შვილს სხვას ვის იშოვნის ნათელასთვის?..

ჩამოვარდა სიჩუმე... ამ დროს ოთარი შემოვიდა, თან შემოყვა ამხანაგიცა. ასმათი მივარდა ოთარს: „მოდი, ჩემო შვილზე უტკბესო შვილო! შენ იყავი და შენ იქნები ყოველთვის ჩემი გაჭირვების ტალკვესი“.

— წამოდით ჩემთან ოდაში, — წაუძღვა წინ ასმათი.

დღე და ღამე იყრებოდა. ვარსკვლავები ცაზე დაენთენ. თექვსმეტი წლის ქალწული ვერ აირბენდა ისე სწრაფათ, ასმათმა რომ კიბის საფეხურები შეიარა. ის დადგა აივანზე ორთავეს წინ.

— ოთარ, შენზეა დღეს ჩემი სიცოცხლე დამოკიდებული. დროს ნუღარ კარგავთ. შენ ჩემი საჯდომი ცხენი შეკაზმე. შენ, მიუბრუნდა აზნაურს, —

მეორე ცხენი. დილით უთენიათ მოჰკურცხლეთ ქართლისაკენ, მიიჭერით თან დილიაანთსა და უთხარით: თუ შაფათს საღამოს არ მოსულხართ და ქალი არ მოგიტაცებიათ, კვირა დილას ქალს გაათხოვებენ-თქო. შაფათს ვახშმობისას ძირულის პირას უნდა იყონ. იქიდან უნდა დაადგენ გზას, ნელ-ნელა შემოუდგენ შემოღმართს ძირულის ჰალებზე. მეც ჩემი ნათელათი იმ დროს იმ გზითვე წამოვალთ და დავეშვებით დაღმართზე. ქალს ხელში მივცემ და წაიყვანონ. მაგრამ წინდაწინ პარასკევს დილას ეს ჩემთან უნდა მოიჭრეს,—უჩვენა აზნაურზე: --ამან უნდა შემატყობინოს, მოდიან თუ არა!.. დანარჩენი მე ვიცი. აბა, წადით ახლა შენ-და მამლის ყიულზე გამოეწყვეთ.

იმ ღამეს ასმათს არ უძინია. მეორე დღეს ჩავარდა საწოლში და პარასკევამდის ლოგინი აღარ აუღია. ასმათი თავს იტკენდა მეტის-მეტად. გამდელი ქალბატონს აღარ მოცილებია. ის მალმალ ჩაჰკითხავდა: ან რა წამალი მოუხდებოდა, ან რა იამებოდა. მაგრამ ქვრივი კრინტს არ იღებდა.. მხოლოდ ხანდახან ეტყოდა ჰარხლის ფოთლების მოტანას, თავის ტკივილს შველისო. ამ სამს დღეში მას სამი ლუკმა პირში არა ჩაუდვეს გათენდა პარასკევი. წირვის დრომდის აზნაურიც გაჩნდა. ასმათს გულზე ელხინა, მაშინვე წამოდგა ლოგინიდან და გამდელს უბძანა, ქათამი შეგვიწვიო. აზნაური შევიდა ასმათის ოთახში მხიარული სახით. ის მაშინვე მიხვდა, საქმე კარგათ იყო. მართლაც, აზნაურმა მოუტანა ამბავი: „ოთარი და თანდილაანთიანი შაფათს პირველს ძილზე ძირულის სერს ამოუდგებიანო თუთხმეტი ცხენოსნითაო“. ასმათს მეტი არა უნდოდა-რა. სახეზე გამხიარულდა. ისინი ერთად დანაყრდენ, ღვინოც კარგათ დალიეს. ასმათს გულზე მოეშვა, ჯანზე მოვიდა. ნახევარ საათს შემდეგ ცხენზე იჯდა და როსაფისას მიემგზავრებოდა. აზნაურიც თან იახლა.

IX

ჯერ კიშკარშიაც არ შესულიყო, მზეხათუნმა იცნო ასმათი და ნათელას აცნობა მამიდას მოსვლა. ახალგაზდა ქალი უეცრად წამოვარდა ზეზე, ხელსაქნარი იქით მიაგდო. ცხენიდან ჩამოხტომაც ვერ მოასწრო ასმათმა, რომ ნათელა ყელზე ჩამოეკიდა. არც ათის წლის გაშორებული დედა--შვილი შეხვდებოდენ ერთმანეთს ასე აღტაცებით. ნათელას მთელი თავისი სიყმაწვილე მოაგონდა ამ წუთას, მამიდას კალთაში გატარებული. „ჩემი მამიდა, ჩემი!..“ უალერსებდა ნათელა და თან ყოველ ნაწილს პირის სახისას ცალკე უკოცნიდა. ასმათს სიხარულისაგან ცრემლები მოერია თვალებში.

— ნათელა, აქამდის რამ გაგაძლებინა აქ უჩემოთ? მაგას მოველოდი შენგან?

-- მინდოდა წამოსვლა, მაგრამ შენგან კაცი არ მომივიდა.

რამდენჯერ მოვწერე მზეხას!..

— მე არც ერთი წერილი არ მინახავს. ახლა წავიდეთ. გადია რას შვრება?.. ჩემი თეთრი ქოჩორა ქათმები არ დაიზარდენ?..

კი, გენაცვალე, ყველანი კარგათ არიან.

მამიდა-ძმისწული მხიარულათ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ამოვიდენ კიბეზე. აივანზე რძალ-მული ჩვეულებრივის სიყვარულით შეეგებენ ერთმანეთს. ასმათი ისე გულ-ღიათ ექცეოდა თავის ძმას როსაფს და მის ცოლს, რომ მთელი დღე ერთის ძარღვსაც არ აღმოუჩენია მის პირის სახეზე, თუ რა განზრახვით მოვიდა ის თავის ძმის ოჯახში. არც ამათ შეუნიშვნინებიათ-რა ქვრივისათვის, რომ მეორე დღეს ნიშნობას აპირებდენ. ნათელა სრულებით არას გრძნობდა. ის ახლა მხოლოდ შინ წასვლის ფიქრებში იყო გართული, ისწრაფდა მალე ენახა თავისი ნაცნობი კუთხეები, გარეოდა მეზობლის ტოლ-ამხანაგებში, დილით ვალიასთან ერთად დაეძახნა „ჯურრ!..“ თავის ქოჩორა ქათმებისათვის და მერე საუზმე მიერთმია. მისი ნორჩი ყმაწვილური გამოხატულება სულ ამისთანა სურათებს დასტრიალებდა გარს. იმ დღეს მამიდას გვერდით აღარ მოსცილებია.

არც როსაფს და არც მზეხას არაფრათ ეპაშნიკათ ნათელას ამგვარი განახება, მაგრამ ცდილობდენ ასმათისთვის არა შეენიშვნინებინათ-რა. სადილს უკან ასმათმა აზნაური შინ დაითხოვა ცხენებიანა. მის ძმას ეს კიდეც იამა, ეგონა ასმათი ნათელას წაყვანას მოინდომებდა, ეშინოდა გაძალების დროს რაიმე უსიამოვნობა არ შემთხვეოდა. თუმცა ასმათის დარჩენა სასიამოვნოთ მიიღო ცოლ-ქმარმა, მაგრამ გულში დაფარული მაინც ვერ განუცხადეს.

ამასობაში ასმათი და ნათელა დარჩენ აივანზე მარტოდ-მარტო.

— შვილო, შენ სად წვები! ---ჰკითხა მამიდამ ნათელას.

— მე ბიცოლასა და ჩემ ბიძაშვილ შუა ვწვები, მარა ამაღამ შენ გვერდით მინდა დავწვე, --უთხრა ნათელამ.

არა, შვილო, ისევ შენ ბიცოლას გვერდით დაწექი. მე რაც გითხრა, დამიჯერე, არავისთან გაამხილო. ბიცოლა - შენს როდი უნდა შენი გაშვება, თუ ჩუმათ არ წავიყვანე! ამაღამ ისევ ბიცოლასთან დაწექი და როცა ფეხზე ხელი მოგისვა, უცებ ჩამოძვერი ლოგინიდან, ბიცოლა არ გააღვიძო. ტანისამოსი რომ გაიძრო, ჩემსკენ დაალაგე. თვითონ მე ჩაგაცმევ. მერე ჩუმათ გავიღოთ კარი და წავიდეთ შინისკენ.

— კარგი, მამიდა, ამაღამ სულ არ დამეძინება. ისე გამოვძვრები საბნიდან, რწყილმაც ვერ შემიტყოს.

— აგრე, შვილო.

ამ დროს კარებში გამოჩნდა მზეხათუნი. მამიდა-ძმისწულმა უცებ შესწყვიტეს საუბარი. მზეხას არა შეუმჩნევია-რა.

— უკაცრავათ, ჩემო მულო, რომ მარტო დაგტოვე. ოჯახის საქმეებისაგან მოცლა აღარ მაქვს. ხვალ სტუმრებს მოველი, ნათესავები მომივლენ; ხომ იცი, თუ თვითონ არ გააკეთე ყველაფერი, მოჯამაგირე არას დაგეძებს.

— განა არ ვიცი, ჩემო რძალო, — უპასუხა ასმათმა: — ახლა იმისთანა დროა. თუ მოჯამაგირეებს ნიადაგ არ მიყვებ-მოყვები, არაფერი გაკეთდება. ერთი თხის მწყემსი მოჯამაგირე მყავს და იმისმა ქაქანმა თავში ტვინი ამომართვა. ორიოდე თხა მყავდა და იმ დღეს ერთი შენი მოწონებული დედალი თხა მგელს შეაჭამა. თუ ვუთხარი რამე, ასე მეტყვის: „ქალბატონო, თუ არ კინდებვარ, დამითხოვე, ანგარიში გამისწორე და შინ წავალო“... ორი კვალი ბოსტანი მქონდა, ისიც თხებს გადააკვრეხინა. შენი მოძულებული მოვკვდე, ჩემო რძალო, თუ ახლა პრასის კვიჭიჭი ჩემს ბარობაზედ მოიძებნებოდეს.

— ჩემი მტერი ჩავარდა მოჯამაგირეების ხელში, — დასცა დასტური მზეხათუნმა:

თუმც ასე გულ-მარტივათ სჯიდა ასმათი, მაგრამ მის ცოცხალ თვალებს მაინც არ ეპარებოდა-რა. აი საჯალაბოს წინ შეუბეს ხარები და ტომრებით დატვირთული ურემი გაგზავნეს წისქვილზე. აი, ერთმა კაცმა მოიყვანა უშობელი, როსაფმა დაათვალიერა შეატყო მსუქნათ იყო და უბრძანა, ბოსელში დაებათ. აი, ორი ბიჭი გამოვიდა საჯინიბოდან, ჩოხის კალთები შეიკეცეს და დაუწყეს ეზოს გვა. გამდელმა ხელები დაიკაპიწა და დაუწყო ვძელს ხის სუფრებს დადუღვრა.

„ქორწილს ემზადებიან“, — გაივლო გულში ასმათმა და ჩაიქრიტინა. „სეირი იქნება სიძე რომ მოვა, დედოფალი აღარ დაუხვდება. წაგიხდა, ძმაო როსაფ, ყოველივე სიკეთე, როგორც შენ ხვალინდელი ქორწილი წაგიხდეს“.

მზე ჩადიოდა. ჭიშკარში ორი ცხენოსანი კაცი შემოვიდა.

— უი, ჩემი ბიძაშვილი! წამოიძახა მხიარულებით მზეხათუნმა და გასწია შესაგებებლათ.

— მამიდა, გავიქცეთ შინ, იმ კაცის დანახვა არ მინდა, — ნათელამ მაგრათ მოსჭიდა ხელი ასმათის კაბაში.

— ნუ გეშინია, შვილო, ამაღამ გავიპარებით.

„ესენი ალბათ მექორწილენი და მაშვალნი არიან“, თქვა გულში ასმათმა: „უნდათ შეიტყონ, მზათ არიან ხვალისათვის თუ არა. ითათბირ[illegible]ოგერთმევათ ჩემი ნათელა, როგორ არა!“..

ერთი სტუმართაგანი საკვირველი მსხვილი და წარმოსადეგი აზნაური [illegible]ანიერი მხარ-ბეჭით, წვერ-მოპარსული და შავათ შეღებილი ულვაშები კ[illegible]ობათ ჰქონდა სახეზე დაყენებული.

– უი, მამიდა, რამსისხო კაცია!.. დევსა ჰგავს! საიდუმლოთ წასჩურჩულა ნათელამ ასმათსა.

– ჩვენ თუ ამაღამ არ გავიპარეთ, მაგ კაცს გაგატანებენ და ვინღაც [illegible] წვერ-ულვაშიანს მიგათხოვებენ, —ჩაულაპარაკა ასმათმა.

ნათელა შიშისაგან აკანკალდა.

ამ დროს მსხვილი კაცი მზეხათუნთან ხელი-ხელ ჩაკიდებული ამოვიდენ კიბეზე, მზეხას ბიძაშვილი თავით ფეხებამდის შეიარაღებული დარბაისლურად მიესალმა ასმათსა. ნათელამ თავი ჩაღუნა: ხუჭუჭი სქელი თმა სახეზე მობურ[illegible]ოდა, ხელი ასმათის კაბაში ჩაევლო, თითქოს შიშობდა, იმ დევმა არ მომიტაცოსო. ასმათი მხიარული სახით გამოელაპარაკა იმ მსხვილს კაცს, ეს-კი მისჩერებოდა ნათელას, უნდოდა მისი სახე დაენახა. ნათელამ თითქო იგრძნოვო მსხვილი კაცის განზრახვა, კიდევ უფრო ჩაქინდრა ძირს თავი.

ნათელა, როგორ დაირცხვინე? აიღე ზევით თავი, ბავშვი-კი აღარა ხარ, თორმეტის წლის გასათხოვარი ქალი ხარ. შენი ბიცოლა ხომ გიყვარდა, რატომ აღარ მეკარები? მამიდა მოგივიდა და მიღალატე განა?.. მოუალერსა მზეხათუნმა.. ის მივიდა, ნათელას შუბლზე აკოცა, უნდოდა თავისკენ წაეყვანა, მაგრამ ქალი მამიდას კაბას მაგრათ ჩაფრენოდა.

– დარცხვენილია უცხო კაცთან, მოუბოდიშა ასმათმა. ნათელა, როგორ სოფლის გოგოსავით ირჯები, რას ჩაგიღუნავს თავი? ვითომ წყრომით უთხრა ასმათმა. მერე წამოდგა და ოთახში შევიდა. ნათელაც თან გაჰყვა.

მზეხამ სიცილით უთხრა ბიძაშვილს:

— ჯერ არა გვითქვამს-რა ნათელასთვის, არც ასმათისათვის გაგვამხელია, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ იციან. ჩვენ დროს რომ თექვსმეტის წლისას ესმოდა, ახლა აკვნის ბავშვს ესმის იმდენი.

– ისე დარცხვენილია, რომ სწორეთ შეტყობილი უნდა ჰქონდეს, ნათელას, – დაჰკრა კვერი სიცილით მსხვილმა კაცმა.

დაღამდა. როსაფმა და ახალმოსულმა სტუმრებმა ცალკე ოთახში შეიკე-

ტეს კარები. „ალბათ ქორწილის რიგს აწყობენო“, ფიქრობდა ასმათი. მზეხა საჯალაბო სახლში დატრიალებდა. მისი ქალიც მასთან იყო. დარჩენ ასმათი და ნათელა მარტო. ქვრივმა იფიქრა: „მართალია, ამაღამ ნათელას გავაპარებო, მაგრამ მალე რომ გაგვიგონ, უსაცილოთ დაგვეწევიანო“. არ იცოდა, რა მოეგვარებინა. უეცრათ ერთმა მოხერხებულმა აზრმა გაუელვა: „მოდი, ცხენების უნაგრებს და აღვირებს გადავმალაო. სანამდის მონახავდენ, ჩვენს ბინაზე მივალთო“.

ეზოს გადაღმა მზეხათუნს ბოსტანი ჰქონდა შერაგვული. იქ კვლების პირად, ღობის გაყოლება, მაღალი შამბნარი ჩაუდევდა.

ასმათი შევარდა კარ-დაფელილს სალაროში, გამოიტანა ყველა უნაგრები სათითოვოთ და ღობეს გადაღმა შამბნარში ჩაამწკრივა ოთხი უნაგირი თავის აღვირებიანა.

ვახშამზე როსაფმა ჩვეულებრივათ მოულხინა თავის სტუმრებს. იმათაც კარგათ ასვა, თვითონაც შექეიფიანდა, სიმღერებიც თან მოაყოლეს. მერე როცა მოსასვენებლათ წავიდ-წამოვიდნენ, შუაღამე შეიქნა.

შინაურები როსაფის საწოლის ოთახში ტახტზე ჩამორიგდენ. ნათელა გაჯიუტდა, აღარ წვებოდა. მზეხა ეფერებოდა, რას არ პირდებოდა, ნათელას მაინც არ უნდოდა ბიცოლასთან დაწოლა.

— დაწექი, გენაცვალე, ბიცოლაშენთან, — არიგებდა ასმათი: — მეც აი, აგერ მივწვები. ხელი მაინც შენთან მექნება. ჩემსა და შენ შუა მარტო შენი ბიძაშვილი იწოლება. ერთად ვიქნებით. რათიც იქნა დაითანხმეს ნათელა. იმან გაიძრო ტან-საცმელი და შეგორდა მზეხას ლოგინში, ბიცოლამ მოუქალაჩუნა და ხელებს წელზე სდებდა. ნათელა ცდილობდა ბიცოლას ხელები იქით წაეღო. ახლა მისი ალერსი აღარაფრათ ეპრიანებოდა.

— კარგი, გენაცვალე, თუ არ გიამება, აღარ მოგეხვევი. მშვიდობით, ძილი ნებისა, — უთხრა მზეხათუნმა, გადაბრუნდა და ცოტას ხანს იქით ხვრინი ამოუშვა. ყველამ დაიძინა, ვინც იმ ოთახში იწვა. მხოლოთ ნათელას და ასმათს ლული არ მოკიდებიათ. ბიჭების ფეხის ხმაც მიწყნარდა. ასმათი გაინაპა, მაგრამ გარეთ ხიდან ფოთლის ჩამოვარდნაც არ ეპარებოდა. ცოტას ხანს კიდევ ასე იყო გაყუჩებული. მერე ხელი გადააპარა ნათელას. ის მაშინ რწყილსავით ჩაძვრა ლოგინიდან, ასმათმა ლანდზე ჩააცვა და მამიდა-ძმისწული ფეხაკრეფით გამოილალენ ოთახიდან.

X

შუაღამე გადასული იყო. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა. მათი კრიალ ის ღამეს ციაგსა სცემდა. გზა კარგათ იხედებოდა. სასწორი სამი ვარს ავი —გადაწეული იყო, ხომლი ცის გუმბათს გადაცილებოდა. იერუსალი- გზა რძის ნაკადულათ სდიოდა ჩრდილოით სამხრეთისკენ.

— შეხედე, შვილო, ცა როგორ მოქარგულა და ბრწყინვალეთ მორთუ- აი, ეგერ, პაწია მშვენიერი ვარსკვლავი რომ მოკიაფობს, იმას კუროს ი ჰქვია. ის არის შენი ვარსკვლავი, შენი ბედი. იერუსალიმის გზის პირს გომია, ის შენსკენ მოეშურება ნათლად გატკეცილის გზითა. ჩვენც იმის- გვაქვს გზა, იმას უნდა შევეყაროთ. მისი საეტლო ძირს ძირულის პირათ სკენ მოისწრაფის, პირ-ტიტველა შენსავით თმა ხუჭუჭა ბიჭი.

— მამიდა, ჩქარა გავსწიოთ, თორემ რომ გამოიღვიძონ, მოგვეწევიან.

— გავსწიოთ, გავსწიოთ!.. იმათ გადაირბინეს ეზო და დაადგენ დაღ- იზე. ძაღლები დაედევნენ წკმუტუნით. ახლოს რომ მივარდენ, იცნეს ას- და ნათელა; იმათ გალოკეს მამიდა-ძმისწული და ჩამოცილდენ. შემდეგ იარეს ასე აჩქარებით კარგა მანძილზე ხმა გაკმენდილი. ნათელა წამის- შესცქეროდა ცაზე მოკიაფე პაწია ვარსკვლავსა. ის უფრო და უფრო რწმუნ- ლდა, რომ ვარსკვლავიც მისკენ მიისწრაფოდა. მას თითქმის იმ წუთას ჩა- ლდა გულში პირ-ტიტველა ვაჟის სიყვარული.

ხომ არ დაიღალე, ჩემო კურდღლის ბოცვერო? - ჰკითხა ასმათმა.

არა, მამიდა, გავუჩქაროთ. მალე მივიდეთ.

— მალე, მალე იქნება ყოველიფერი.

— ვინ მოდის?—უცებ მოისმა ბოხი ხმა უმთვარო ღამეში.

ნათელა შეკრთა, დაიხია უკან და გაეხვია ასმათის კალთაში.

ნუ გეშინიან, გენაცვალე. ისინი სოფლის გზირები არიან.

ვინ ხართ, ამ დროს რომ მოდიხართ?—კიდევ მოისმა წყრომის ხმა.

- ვინ ვიქნებით? ქალები ვართ, ზურუკეთლები. ყანაში ვიყავით და და- ვიანდა, - უპასუხა მხნეთ ასმათმა.

გზირები დაუახლოვდენ. ერთი მათგანი სოფლის ხელოსანი იყო, ასმათის ობი. მეორე ასმათმა ღამეში ვერ იცნო. ამოიღო საჩქაროთ სამ მანეთია- უჩიტა ხელში და უთხრა:

ჩუმათ იყავი, ნურავის ეტყვი, თუ ჩვენ გვნახე.

გზირებმა გაუშვეს მამიდა-ძმისწული, ისინი დაეშვენ საჩქაროთ დაღმართზე. მეორე გზირი ყოფილიყო როსაფის ნაყმევი. იმან იცნო ასმათი და ნათელა. მაშინვე მიხვდა, გამოპარული იქნებიანო, გაექანა და როგორც მიახლოვდა, მორთო როსაფის ეზოსკენ ყვირილი: „არიქა, ქალი გააპარეს, ქალიო!“ ძაღლებმა შეჰქნეს გაბრაზებული ყეფვა, გამოვარდა მოურავი და შეძახა: „ვინ ხარ მაგ ღამეში, რომ ყვირიო?“

ნათელა მოიტაცა ასმათმა.

როგორ თუ ნათელა? – გაოცებით შესძახა მოურავმა.

— აი, ამ წამს შეგხვდენ ისინი ძიროულის დაღმართზე. მოურავი შევარდა როსაფის საწოლს ოთახში, საცა კარები დაფეთილი იყო და, როგორც შეეძლო, ისე დაიყვირა.

- ბატონო, ნათელა გააპარეს!

როსაფი წამოვარდა თვალების ფშვნეტით.

— რაო, კაცო, რას ამბობ?

ნათელა გააპარეს, ნათელა!..

როსაფმა ჰკრა ჯლიგვი მზეხას.

— ქალო, ნათელა რა უყავი?

— ჰა!.. ჰა! . წამოიკრინა მზეხათიუნმა, ძილისაგან გაბურბუსალებულმა მოუსვა ხელი თავის ქალს, რომელიც ძილში დედას გვერდით მიგორებოდა.

— ბეჩავ, რამ გაგაგიჟათ, აგერ არის, აგერ.

აანთეს სანთელი, გადახადეს საბანი, ნახეს... რაღას ნახავს მათი თვალები! აღარც ასმათი იყო, აღარც ნათელა. მათ მაგიერათ მხოლოდ მათი ქალი შერჩათ ხელში.

— არიქა, ცხენები! - დაიყვირა როსაფმა. ყველანი წამოცვინდენ: სტუმარი და მასპინძელი. გამოიყვანეს საჩქაროთ ცხენები, მერე შევარდენ სალოროში!.. სადღაა ან უნაგრები, ან აღვირები!.. ვინ ეზოში დაეძებდა, ვინ ბეღელში, ვინ ბოსელში და საჯალაბო სახლში, ვერ ნახეს და ვერა.

არიქა, ბოსტანიც დაათვალიერეთ! — შეჰყვირა ბიჭებს როსაფმა. ბიჭები გადაეშვენ ბოსტანში და ერთმა მათგანმა შამბში წამოჰკრა ფეხი უნაგირს. „აგერ არის, აგერ!..“ დაიყვირა ბიჭმა.

დაკაზმეს ცხენები. ყველაზე უმალ მზეხას ბიძაშვილი შოახტა ცხენს დ როსაფს შეჰყვირა: „მე წინ გავსწევ, შენ უკან მომდიე შენი ხლებულებით დიდ შარაზე. მეზობლებს გადაძახეთ, იქნება ერთი ხუთიოდე ცხენოსანი კიდევ გამოიყოლიოთ“.

მზეხას ბიძაშვილს კურდღლის კვალიც არ დაემალებოდა ზურუკეთის ახლომახლო. იმან იცოდა ერთი მოკლე ბილიკი, მეტად ფრიალო და ჩაკიდული. ის იყო მარდი ცხენოსანი და თვითონ ცხენიც ნაჩვევი ჰყავდა კლდეების ღადა-ღუდაში თრევასა. ის დაადგა იმ ბილიკს, იქნება ან ასმათს თავი დაურჩინო, ან ცხენოსნებს დავეწიოვო, რომელთაც ქალი მიჰყავთო.

მზეხას ბიძაშვილი ერთ ლანდზე ჩავარდა ძირულის პირად და დაადგა შარაგზას, რომელიც ქართლის გზატკეცილზე გადიოდა ცოტა კიდევ წინ წაიარა. უეცრათ მოესმა ცხენების ფეხის ხმა. კარგათ ვერ შეიტყო: ქვეიდგან მოდიოდა ცხენების ფეხის ბაკუნი, თუ ზევიდან? გადმოხტა ცხენიდან. დაადვა ყური დედამიწას და დარწმუნდა, რომ ფეხის ხმა ქართლის გზატკეცილით მოდიოდა. მან გადასწყვიტა, ასმათი და ნათელა ჯერ კიდევ უკან არიანო. გამოაბრუნა ცხენი და შემოუდგა აღმართსა. ცოტას ხანს შემდეგ შენიშნა, რომ რაღაც ლანდივით გამოჩნდა ზევიდან მონავალი, წინ დიდ ლანდს პაწია მოუხტოდა „თუ არიან, ესენი უნდა იყონო,“ - იფიქრა გულში და წამოუჩქარა.

რაკი ასმათმა დაინახა ცხენოსანი, ღამეში მისკენ მინავალი, იამა. „ეს უსათუოდ ოთარი უნდა იყოსო, წინდაწინ მოდის ნათელას წასაყვანათო.“ ქალს უთხრა: „შვილო, ნუ გეშინია, ეს ჩვენი ოთარია, შეუჯექი ცხენის ტახტაზეო.“ ნათელა მზათ იყო გასაყოლათ.

-- ოთარ, შენ ხარ? -- ჰკითხა მზეხას ბიძაშვილს ასმათმა. იმან პასუხის მაგიერათ ხელები გადმოუწვდინა, ნათელა ცხენზე აიტაცა, ასმათიც მოეხმარა. შემდეგ დაჰკრა მათრახი ცხენს და ოთხ-ამოღებით შეღმართი შეარბენინა.

ასმათი გაშტერდა. „თუ ოთარი იყო, ზევით რა უნდოდა?..“ უეცრად მოისმა ჟივილ-კივილი და ცხენების თქრიალი. ვერ წაგვიხვალთ, ვერა! - მოისმა როსაფის რიხიანი ხმა.

ამ დროს მოვარდა ქვედა გზიდგან ოთარი.

— ასმათო, ქალი რა უყავი?..

— აკი შენ მოგეცი?..

— რას გაგიჟებულხარ! მე სად მომეცი?. ეს არის მე ახლა მოვდივარ ქვეიდან. უკან თუთხმეტი ცხენოსანი თანდილაანთიანთი მომდევენ.

— ვაი ჩემს უბედურებას! - იტკვლიცა ასმათმა თავში ხელი. სწორეთ იმ წყეულებმა წამგვარეს ნათელა!..

ზევიდან ხმაურობა უფრო და უფრო გაძლიერდა. გავარდა თოფი... ერთი... ორი... სამი. . ოთარმა იფიქრა, აქ დგომა აღარ ვარგაო, გააბრუნა ცხე-

ნი და მოკურცხლა ისევ ქვეითკენ. თანდილაანთიანი დარწმუნდენ, რომ ს მე წაგებული იყო, გააბრუნეს და დაეშვენ ძირულის მდინარეს დაღმა. დროს მოვარდა როსაფი. იმას გზის პირად ქალი დაუხვდა, რომლის კბილ საც მეტის შიშისაგან წაკა-წუკი გაჰქონდა. როსაფმა იცნო ასმათი და ერ თუ ორი მათრახი უშიშვლა.

— უი!.. უი!.. უი!.. მოვკვდი!.. იკივლა ასმათმა და იქვე მუხლები ჩ კეცა.

— ეგეც შენი ჯილდო, ჩემო დაია, - დაცინვით უთხრა როსაფმა: - წ დი ახლა და გამოუდექი შენს ნათელას. ჩემმა ცოლის ბიძაშვილმა მოგ ბრაწი შენს საქმეს!

— ვაიმე, ვაიმე! — გულგახეთქილი წამოიკრინა ასმათმა.

როსაფს და მის ხლებულებს იქ აღარ მოუცდიათ. რაკი გული არხეინ ეგულებოდათ, ჰკრეს ქუსლი ცხენებს და გამოუდგენ შინისკენ ..

გაბრაზებულმა და შეურაცხყოფილმა ასმათმა ბევრი იარა საჩივრით ამ საქმის გა თუ ეპისკოპოსთან, თუ საერო მთავრობასთან, მაგრამ ვერაფერი გააწყო და ბოლოს ურიგდა გარემოებას.

XI

სამი წელი მეტია მას აქეთ, რაც ილიკო გოგორიშკილი სტკბება თავ ძვირფასი ცოლ-შვილის შემხედვარე. ის ძალიან მარჯვე ახალგაზდა შეიქნა ოჯახის ეროგული. მამა მისი ბიჭია გოგორიშვილი იმდენათ მოხუცდა, რო გარეთ აღარ გამოდის. ოჯახის საქმეები თავის შვილს ილიკოს გადასცა. ეს მომჭირნეთ შრომობს და დღითი დღე იცდება ცხოვრებაში. ილიკო თავ სოფელში მოწონებული ვაჟკაცი დადგა, თავმდაბალი, უწყინარი, ტოლსა ამხანაგში პატივცემული. შეუძლებელია, რომ იმან ან ლხინში მომეტ ღვინო დალიოს, ან ვისმე წაეჩხუბოს. მან ძველს მამის ოდას სამი ახალი ო ხი მიადგა და იქ გაიკეთა საკუთარი ბინა.

ბიჭია გოგორიშვილს დიდ ბატონს ეძახიან. ზალაში დიდი ტახტი აქ გაშლილი. სხვადასხვანაირი გძელტარიანი ჩიბუხები აქვს გაწყობილი და პ თასა სცემს. რა დღესაც სტუმარი არ მოუვა, იმ დღეს მოწყენილია. მისი მხ რულება მაშინ არის, როცა როსაფი ესტუმრება ხოლმე. ისინი ზამთარში ლაში იშლიან სუფრას, ზაფხულში დიდ მუხის ძირში, სმენ აურაცხელს ღ ნოს და მუდამ გაჯიბრებული არიან: ვინ ვის დაათრობსო. როცა კარგა

ზარხოშდებიან, ბიჭია მოითხოვს ჩიბუხს და დაიწყებს ძველის დროის ამბებს. დიდ სასიამოვნოთ მიაჩნია ერთი ამბავი თავადის რომანოზ ერისთავისა. რომელსაც ყაბახის გადმოგდების გულისთვის ერთი ქულაჯა ეჩუქებია ბიჭიასთვინ და ერთი ბუხრული ქუდი. ის ბუხრული ქუდი დღესაც აკოსია თავზე, მაგრამ მეტის სიძველისაგან ბეწვი გასცლია და მარტო ტყაპუჭი დარჩენილა. ბიჭია სულ იმ დროს ქებაშია და ახლანდელი დრო აღარ მოსწონს

— ეჰ, კარგია, თუ ღმერთი გწამს, ბიჭია, ნუ იცი ეგ ტრაბახი. ის დრო ახლანდელ დროს როგორ სჯობდა: მზე რომ ჩავიდოდა, გარეთ ვეღარ გამოხვიდოდით და ჩექმის მაგიერათ ქალამნები გეცვათ, — ეტყვის გასაჯავრებლათ როსაფი და ეშმაკურათ გაუღიმებს. ბიჭია წყრომის ნიშნათ თავს გაიქნევს, ბოლს გამოუშვებს ჩიბუხიდან.

— ეჰ, რა ეშველებოდა ამ წუთისოფელს, ბიჭია, მე და შენ რომ არ გავჩენოდით, — წაუხუმრებს როსაფი და მიაწოდებს ღვინით სავსე დიდ-ყურიან სტაქანს.

მოყვრები ისევ შერიგდებიან და განაგრძობენ მხიარულებას...

მამიდა ასმათმა თავისი ადგილ-მამული ნათელას დაუმტკიცა. ის დგას იქვე ბიჭია გოგორიშვილის ეზოში, ორ-ოთახიანი ოდა აქვს გაკეთებული: ერთი გოგო ჰყავს ხელზე მოსამსახურე.

ასმათი ძვირათ თუ ვისმე ეჩვენება. ხანდახან შეძვრება მხოლოდ ნათელას ოთახში, როცა ილიკო შინ არ არის, და უალერსებს მის ვაჟს. ნათელას უწინდულათვე უყვარს მამიდა და ისე დღეს როგორ დააღამებს, სამჯერ, ოთხჯერ რომ არ ნახოს თავისი საყვარელი მამიდა. ნათელას ყველა თავს ევლება და მისი პატივისცემით ასმათსაც მოწიწებით და მორჩილათ ექცევიან. მამიდა ასმათი ძალიან დაბერდა; მისი დიდრონი თვალები აღარ სცემენ უწინდელ სინათლეს, კიდეც ჩასცვენიან. თვითონ გამხმარა, შვილდსავით წელში მოხრილა; მისი წითური ლოყები დამჭკნარი ვაშლის ჩირსავით ჩამოჭმუჭვნილა და ყვითელი ფერი დასდებია. იმას აქვს პატარა დაუჯდომელი ლოცვანი და დავითნი: დღეში სამჯერ ლოცულობს. რადგან თვალებს დაჰკლებია, სათვალებს ხმარობს, რომელიც ბამბის ძაფით აქვს შეკრული და ლოცვანში უძევს.

ილიკო, როცა მოიცლის საქმეებიდან, მუდამ შინ არის. მაშინ არის მისი აღდგომა. ის მუდამ თავის ცოლს ნათელას და მის ვაჟს შეტრფის. ესენი არიან მისი განუსაზღვრელი ბედნიერების წყარო. ნათელა, როგორც მანამდის, ისე ახლა ექცევა თავის ქმარს ილიკოს. პატივს სცემს, მისი ნახვა ყოველთვის გაამხიარულებს, მაგრამ, საკვირველია, რომ აქამდის უწინდელი გრძნობა არ

შეცვლია მაზე, თუმცა მასთან უკვე ვაჟი ჰყავს: ის იმას ძმური სიყვარულით უფრო ექცევა, ვიდრე ცოლქმრობის სიყვარულითა.

ნათელამ ამ სამს წელიწადს შოლტივით ააგდო ტანი, მაღალი, გადაშლილი გულმკერდით და შავი თვალწარბით: სქელი შავი თმა წელზე სცემს; მისი წითური ლოყები ორი თურაშაული ვაშლია; როცა ვაჟი ჰყავს აყვანილი ხელში, მისი მოხარული და მცინარე სახე ვარსკვლავებით მოკრიალებულ ცასა ჰგავს. აი, ის ხშირად შეჰყურებს უმთვარო მოწმენდილს ღამეში იმ მოჭედილს ცას, იმიტომ რომ მას იქ ეგულება „თავისი ბედის ვარსკვლავი" აქამდის ელის მას და ჯერ კიდევ ვერ შეხვედრია ..

1888 წ. 22 დეკემბერი

გასამეორებელი კითხვები და სავარჯიშოები: მოიგონეთ გ. წერეთლის ცხოვრების მთავარი ფაქტები. რა მიმართულებას ადგა იგი მხატვრულ მწერლობაში? დაახასიათეთ კუდაბზიკა („მგზავრის წერილებიდან") და ოთარი („მამიდა ასმათიდან"), როსაფი და ასმათი (იქიდანვე). გადაიკითხეთ ყურადღებით მოთხრობა „ჩვენი ცხოვრების ყვავილი" და აღწერეთ სწავლა-აღზრდის უკუღმართი წესები ძველს გიმნაზიაში. წაიკითხეთ რომანი „პირველი ნაბიჯი" და ეცადეთ გამოარკვიოთ თუ რათ უწოდებია ავტორს ასეთი სახელი თავისი რომანისათვის (ამასთანავე დაახასიათეთ ბახვა ფულავა, ესმა, იერემია წარბა და ვალიდა).

საბიბლიოგრაფიო შენიშვნები: გ. წერეთლის ბელეტრისტული ნაწერები გამოცემულია ქუთაისის ამხანაგობის მიერ სამ ტომად 1893—1903 წლებში: I ტ. „მგზავრის წერილები"; II ტ. „ჩვენი ცხოვრების ყვავილი" და III ტ. „პირველი ნაბიჯი". მოთხრობები „მამიდა ასმათი" და „რუხი მგელი" ცალკეა რამოდენჯერმე გამოცემული. ცალკე გამოიცა აგრეთვე მისი ზღაპრული პოემა „ლომ-კაცი".

კრიტიკა. ალ. ხახანაშვილის მოკლე მიმოხილვის გარდა გ. წერეთლის შესახებ ჩვენ მივუთითებთ კიტა აბაშიძის წერილზე („ეტიუდები..." ტ. II. 38—78), მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველი გავაფრთხილოთ რომ ეს უკანასკნელი წერილი ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელი და ობიექტიური კრიტიკის ნიმუშად: ავტორს წინასწარი ყალბი აზრი აქვს შედგენილი გ. წერეთლის შესახებ და არ ზოგავს სიტყვებს მის დასამცირებლად. ამ მხრით ალ. ხახანაშვილი უფრო მეტს მიუდგომლობას იჩენს („ქართული სიტყვიერების ისტორია", მეცხრამეტე საუკუნე. ტფილისი 1913 წ., გვ. 226—243).

III

ალექსანდრე ყაზბეგი

1847—1893

ალექსანდრე ყაზბეგი დაიბადა 1847 წელს, 14 ნოემბერს. მამა მისი მიხეილ გაბრიელის ძე ყაზბეგი (ჩოფიკაანთ საგვარეულოდან). ხევისა და მთიულეთის უფროსად იყო გამწესებული რუსის მთავრობისაგან, ბატონკაცად ითვლებოდა და მართლა ბატონურადაც ცხოვრობდა სოფ. სტეფანწმიდაში (ყაზბეგში). რადგან შეძლება ნებას აძლევდა, თავის შვილს რამოდენიმე ძიძა და შემდეგ აღმზრდელ-მასწავლებელი მიუჩინა. მათი ხელმძღვანელობით იზრდებოდა პატარა სანდრო თორმეტ წლამდე. თორმეტი წლისა რომ შესრულდა, თფილისში ჩამოიყვანეს და ერთ კერძო პანსიონში მიაბარეს, საიდანაც გიმნაზიაში გადაიყვანეს. აქ იგი სწავლობდა 1865 წლამდე. ამ წელს კი მისი მშობლები რაღაც მიზეზისა გამო თფილისში არ ჩამოვიდენ და ალექსანდრეც მოსცდა სწავლას. შემდეგ როცა გიმნაზიაში გამოცხადდა, უეგზამენოდ აღარ მიიღეს და დარჩა სკოლის გარეთ. 1866 წელს სანდროს მამა გარდაიცვალა და ახალგაზდა კაცი დაუბრუნდა ოჯახს. მეგობრების ჩაგონებით, მან განიზრახა პირდაპირ უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო თავისუფალ მსმენელად და მართლაც 1867 წელს გაემგზავრა მოსკოვს, სადაც პეტროვის აკადემიაში შევიდა; შემდეგ იგი ფიქრობდა ეგზამენის დაჭერას და ნამდვილ სტუდენტად ჩარიცხვას; მაგრამ იქ იგი გაერთო რუსის მაღალ საზოგადოებაში, დაიწყო ფულების ფლანგვა, დავალიანდა, დასნეულდა და 1870 წელს დაბრუნდა სამშობლოში.

რადგან სახელმწიფო სამსახური არ უნდოდა, ალ. ყაზბეგი დაუტრიალდა ოჯახს და მეურნეობას მიჰყო ხელი: ერთხანად მეცხვარეობას მისდევდა, შემდეგ საქართველოს სამხედრო გზაზე იჯარადრობა დაიწყო და სასმელების დუქანიც გახსნა, მაგრამ იზარალა, დიდ ვალებში ჩაეფლო და იძულებული შეიქნა სოფელზე სრულიად აელო ხელი. 1879 წელს იგი საბოლოოდ გადმოსახლდა თფილისში, სადაც 1880 წელს შევიდა ქართულ დრამატიულ დასში; აქ იგი იღებდა მცირეოდენ ჯამაგირს და გაჭირვებით ირჩენდა თავს. ამავე წელს დაიწყო ბეჭდვა თავისი ნაწერებისა გაზეთ „დროებაში“. მაგრამ უზომო შრომამა და მძიმე ცხოვრებამ მალე მოჰქანცა მისი ორგანიზმი და ბოლოს წერაზედაც ხელი აიღებინა. მას გამოაჩნდა სულის ავადმყოფობის ნიშნები, რის გამოც საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც გარდაიცვალა 1893 წელს, 10 დეკემბერს. მისი გვამი თფილისიდან სტეფანწმიდაში გადაასვენეს და მამაპაპეულ სამარხოში დაკრძალეს. დღეს მის საფლავს ძეგლი ამკობს, რომელიც კონსტანტინე მუხრან-ბატონმა აუგო თავისი ხარჯით.

ალ. ყაზბეგის სალიტერატურო მოღვაწეობა არ იყო ხანგრძლივი: იგი სულ რაღაც ექვსიოდე წელს გაგრძელდა (1880—1885), მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში მან ბევ-

რის გაკეთება შესძლო. თავისი კალმის საგნად მან დაისახა საქართველოს ერთი მიყრუ
ლი კუთხის, მთიულეთისა და ხევის, მხატვრული აღწერა მისი მცხოვრებლებითა, ჩ
ადათ-ჩვეულებით, ზნე-ხასიათითა და თავისუფლებისადმი სიყვარულით. კერძოდ მისი საყ
რელი თემაა იმ ბრძოლის აღწერა, რომელიც გამოსცადა მთიულეთმა ამიერკავკასიაში რუ
თა მფლობელობის დამყარების დროს. ამ ნიადაგზეა აღმოცენებული ყაზბეგის უკვდავი ნაწ
რობები: „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ელისო“ და სხვანი; მაგრამ ამას გარდა ზოგჯ
ყაზბეგს უყვარდა უფრო შორეული წარსულიდანაც ამოღება თემისა თავისი შემოქმედ
სათვის; ასეთია მაგალითად მოთხრობა „ხევის ბერი გოჩა“ და დრამა „კოსტანტინე ბა
ნიშვილი“. საზოგადოდ თავის ნაწერებში ყაზბეგი უმთავრესად მთის ხალხს ეხება, გმ
რად ჩვეულებრივ მთიულები გამოჰყავს, მაგრამ, როცა მის გმირებს ეცნობით, სრულ
გავიწყდებათ რომ იგინი უბრალო გაუნათლებელი პირები არიან: მათი გრძნობა აზრ
ნება და მოქმედება უფრო ინტელიგენტი კაცის გრძნობასა და მოქმედებასა ჰგავს, ვი
ცხვრის ტყავში გახვეულის გლეხისას. ყოველსავე ამასთან ალ. ყაზბეგი შეუდარებელი მ
ტვარია მთის დიადი ბუნებისა და გრძნობათა მეფის, სიყვარულისა, რომელსაც და
მისი ჩანგი თითქმის ყოველ ნაწარმოებში.

ელისო

მშვენიერს დაცემულს მინდორზედ, ვლადიკავკაზის მახლობლად, მოჩანდა ალყად შემორტყმული ურმები, გაქედილი სახლის ავეჯულობით. ამ ალყის შუა აქა-იქ გაჩაღებულს ცეცხლებზედ ჩუხჩუხებდა ქვაბები, რომლებსაც მისხდომოდნენ მოხუცებული დედაკაცები და საჭმელს ამზადებდნენ. იქვე მიმსხდარიყვნენ დანარჩენი მოხუცი ხალხი და გაჩუმებულნი ყალიონს სწევდნენ. იმათი მხნე და გმირული, თუმცა დაღონებული, სახე ცეცხლის შუქზედ რაღაცა საოცნებო სურათს წარმოადგენდა. ყმაწვილი ხალხიც, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი, თუმცა სცდილობდა ერთმანეთის გამხნევებას, მაგრამ იმათი დაფიქრებული სახე ისევ ისე გაუღიმებლად რჩებოდა.

აქ იყო რაღაცა იდუმალი სიჩუმე, რაღაც იდუმალი სევდა, რომელიც ნება-უნებლივ სიტყვას აწყვეტინებს და ხმას აკმენდინებს კაცს.

ხანდისხან ისეთი წუთებიც შეჰხვდებოდათ, რომ თვით სუნთქვაც შეუწყდებოდათ და ასე, სამარის მსგავს სიჩუმეში რჩებოდნენ რამოდენიმე ხანს.

საღამო იყო ჩინებული, თბილი, ერთი იმისთანა საღამოთაგანი, რომელსაც კაცი ნეტარებაში შეჰყავს და სიამოვნების ნექტარს აღუძრავს ყოველის ძირღვის ხვეულში.

როგორც ბუნებით მხნე, ისე მხიარული ჩეჩნები, დღეს ისე გაჩუმებულიყვნენ, როგორც ქარიშხლის წინად ჰაერი, რომელიც ემზადება ამ სიმშვიდიდგან ერთბაშად გრგვინვად გარდაქცევას.

რას გაეჩუმებინა ეს სიცოცხლით სავსე ხალხი? რას გაეწყვიტა მათთვის პირში სიტყვა? რომელ უბედურებას დაემორჩილებინა ისინი, ვინც ისე სიცილით და უზრუნველად სიკვდილს წინ ეგებებოდა ამ რამდენისამე წლის წინად?

აქამდის კიდევ აქა-იქ მოისმოდა თითო-ოროლა სიტყვა, ეხლა ისიც შესწყდა და ჩამოვარდა სრული სიჩუმე... ამ საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში, რომელიც მკვდართ სამფლობელოს მოგაგონებდათ, ერთბაშად გამოისმა ჰიანურის წყნარი ხმა და მას მოჰყვა წყნარივე ზუზუნი. მაგრამ, ღმერთო ჩემო! რა ხმა იყო ის? მე არ შემიძლიან გადმოგცეთ! აშკარადა სჩანდა, რომ ეს ხმა სწყდებოდა გულის საძირკვლიდან, რომელიც ენთებოდა, სდუღდა, სწვავდა მთქმელს და გამგონს!.. იფანტებოდა შორს, შორს მინდორზედ, სადაც მსუბუქს ნიავს მიჰქონდა ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან, ყოველ ბალახთან და, რა მიეკარებოდა, თითქოს იქამდის ძლიერად აგრძნობინებდა თავის ძალას, რომ მთლად აათრთოლებდა. ჩქარა ზუზუნი ერთის კაცისა გადიქცა საერთო ზუზუ-

ნაღ, რადგანაც იმას ხმა მოსცეს სხვებმა. და მთელი ეს ადგილი მოიფინა მტანჯველ სევდიან გოდებით და გმინვით. ეს ხმა, უსიტყვოდ აღმომხდარი იმათ პირითგან, ისეთ წარმოუთქმელ სატანჯველს გამოსთქვამდა, რომ სიტყვებზედ ერთი-ათად მეტს გაგრძნობინებდათ, პეტად კვესებდათ სევდით და ნაღველით ვულს, ნება-უნებლივ თანაგაგრძნობინებდათ იმათ უბედურებისათვის. თქვენ გტანჯავდათ, გაწუხებდათ ეს ხმა, მაგრამ ყური ვერ მოგეშორებინათ.

ეს იყო უკანასკნელი გამოსალმება სულთ-მობრძავის შვილისა, რომელიც სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის საყვარელს მშობელს, რომელთან ალერსს უსპობს შეუბრალებელი და შეუწყალებელი უსამართლო ძალა! ეს იყო გოდება სანატრელთან დაშორებულისა, რომელიცა ჰგრძნობდა, რომ უიმისოდ ველარ იხარებს, ველარ იცოცხლებს!..

ეს გმინვა, ეს ოხვრა, ეს გოდება მით უფრო მწარედ გეჩვენებოდათ, რომ ეს არ იყო მარტო ერთი კაცის წუხილი თავის უბედურებაზედ, ეს არ იყო ტირილი მარტო ერთის პირისა თავის დაკლებულზე აქ გამოითქმოდა საერთო ვაება, საერთო წუხილი, საერთო ტანჯვა, აქა სცემდა საერთო ძარღვი, და ერთის გმინვაში გამოითქმოდა გრძნობა და მდგომარეობა მთელის ხალხისა.

ეს მამულის მოსიყვარულე, იმისთვის თავგანწირული ჩეჩნები, ესალმებოდნენ თავის სამშობლოს, რომლის შესარჩენად და ასაღორძინებლად მამას შვილი არ შეუწყალებია, ცოლს — ქმარი და იმდენის ბრძოლის და მსხვერპლის შემდეგ ისინი უნდა მოშორებულიყვნენ იმას!

— ღმერთო! სადა ხარ?.. იძახდა იმათი ცისკენ მიპყრობილი თვალები, მაგრამ მაშინვე დედამიწას დაეშვებოდა პასუხ-მიუღებელი.

ყოველი ბუჩქი, ყოველი ადგილი, ყოველი კუნჭული ამ ადგილებისა იმათ მოაგონებდა თავიანთ მამაცურ სივაჟკაცეს, რომელზედაც სისხლი დაენთხა რომელსამე გულის გამგლელს მახლობელს. ყველა ადგილებთან მიკარება, ყოველი ნაბიჯის გადადგმა იმათ აგონებდა მწუხარე სურათებს, ეს უვლიდა გულში გახურებულს შანთებად და უსიტყვოდ მარტო გმინვას წარმოათქმევინებდა. არის ხოლმე ისეთი წამი, როდესაც სიტყვას ადგილი აღარ აქვს კაცის მწუხარებაში.

ვისაც ეს ხმა არ გაუგონია, იმას არ უგრძვნია, არ გაუგია გოდება ნამდვილად შეწუხებულის გულისა, იმას არ წარმოუდგენია, რა მწვავი ხმის აღმოხდენა შეუძლიან ნამდვილს მგლოვიარე გულს და რამდენად მეტს გაგრძნობინებდათ ეს ხმა ათას გვარად შეხამებულს სიტყვებზედ.

ყველას თვალები სევდიანად გასცქეროდა თავიანთ ნასოფლარს, [illegible]ყის ქედებს, სადაც როდესლაც ისე ამაყად იბრძოდენ ეს წამებულნი და სადაც იმდენი სიტკბოებით სავსე წუთები გამოეცადნათ.

მაგრამ რა მიზეზი იყო იმათი გადასახლებისა, რა დაეშავებინათ ისეთი, რომ ეს სატანჯველი მიეყენებინათ, ასე უკაცურად დაესაჯათ?

იმის მეტი არაფერი, რომ იმ დროს ჩეჩნის მმართველებმა ისურვეს ერთბაშად გამდიდრება, ისურვეს გაუმაძღარი თვალების გაძღომა და მოიწადინეს ჩეჩნელთა მდიდარი მიწების ხელში ჩაყრა; ამისათვის ძველ მემამულეთ მოშორება დაინახეს საჭიროდ და კიდეც მოიშორეს.

II

ამ გადასახლებულთა საერთო გოდებას მოშორებოდა ერთი ყმაწვილი ქალი წარმოუთქმელის სილამაზისა, გასულიყო წყლის პირად და იქ დამჯდარიყო მარტოკა. იმისი ნაზი, მშვენიერი სავსე, მაგრამ გაცრეცილი სახე დაყრდნობილიყო ხელებზედ და ქუჟუნა თვალები სევდიანად მისჩერებოდა ერთს ადგილს. ის წასულიყო ღრმა ფიქრში, რომელიც მით უფრო მძიმე ასატანი იყო, რომ იმის თვალებს ცრემლი არ მიჰკარებოდა და გულის ცეცხლს კი მეტად ჩაეწითლებინა ისინი.

იმას თითქოს საკმაოდ არ დაენახა საერთო გოდება და მწუხარება, რომელიც ამხანაგებთან ყოველთვის მეტის სიმსუბუქით აიტანება, და განგებ გაცალკევებულიყო, რათა მომეტებულად დაჰკვირებოდა თავის მდგომარეობას და მომეტებულად ეგრძნო თავისი მწუხარება, თავისი უბედურება.

ეს გახლდათ შამილის განთქმულის ნაიბის ქალი, ელისო, რომლის მამაც ანზორა ჩერბიჟ, ეხლა მოხუცებული, მოტეხილი, როდესლაც გულადობის მაგალითი იყო.

ანზორა მოხუცებული, დავრდომილი, რომელმაც მთელი ყმაწვილ-კაცობა გაატარა მამულის დასაცველად ბრძოლაში, რომელმაც შესწირა სამი შვილი სამშობლოს თავისუფლებას, აწ თავის მარტო ერთი ქალით-ღა ესალმებოდა თავის ქვეყანას.

შუბლ-შეჭმუხვნილი ანზორა, დაღვრემილის სახით და მფეთქავის გულით იდგა თავიანთ ურემთან და ხანჯალზე ხელ-გავლებული ყურს უგდებდა მკვნესარე სიმღერას.

იმას რამდენჯერმე ვადუარა შუბლზედ ცივმა ოფლმა. რამდენჯერმე გადაიწმინდა ეს ოფლი მთრთოლარე ხელით. მაგრამ ჰმუნვარება მაინც ვერ მოიშორა თავითგან და აღძრული მოგონებანი წარსულის ცხვრებითგან მწარედ უდალავდა გულს.

იმას თვალწინ ეხატებოდა წარსული ყმაწვილ-კაცობა. მკვირცხლად დაცემა აქა-იქ რუსის ჯარზედ. მოაგონდა იმათი ჯოგების გამორეკა, მოაგონდა რუსებისგან წამოღებული და ნადავლი, ჩეჩნის ქალების გახარება ამ შემთხვევით; მოაგონდა ის დღეები, როდესაც ქარსავით ხან აქ გაჩნდებოდა, ხან იქ, როდესაც მთელს ჩეჩენში ლექსს ლექსზედ გამოსთქვამდენ, ქებას ქებაზედ შეასხამდნენ იმას.

ბოლოს წარმოუდგა თვალწინ თავისი ცოლი მშვენიერ ყმაწვილ-ქალად, რომელიც თვალსა და წარბში შესცქეროდა. რომ იმის სურვილისამებრ მოქცეულიყო; წარმოუდგა თავისი შვილები, რომელთაგანაც შენახვას და დამარხვას მოელოდდა, მაგრამ რომელნიც მამულის დაცვის დროს იმის თვალწინ იქნენ განგმირულნი მტრის შეუბრალებელის ხელით, და მოხუცმა კიდევ ძალზედ გადაისვა ხელი შუბლზედ და მწარის ამოოხვრით შესძახა:

— ლაი ლაჰა, ილ ალაჰ!.

იმან მიიხედ-მოიხედა, თითქოს მწუხარე თვალები გასართობს, ანუ სანუგეშო საგანს, ეძებდა და დაუძახა ერთს პატარა ბიჭს, რომელიც იქვე გარბოდა.

კორა, ელისო არ გინახავს?

— ჰაი, ჰაი, რომ ვნახე, უპასუხა ბიჭმა: — ის ა-იქ წყაროსთანა ზის, მე იქ ვიყავ, პირი დავიბანე... მარტოკა არის, ისეთი დაღონებულია, ისეთი, რომ... ბიჭმა აღარ გაათავა და გაიქცა.

დაღონებული, დაღონებული! მწუხარებით წარმოსთქვა ჩეჩნელმა: — დაღონებული იქნება, მა რა!

ამ სიტყვებზედ ის უმეტესად დაფიქრდა, ჩაჰკიდა თავი და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ მწარედ წარმოსთქვა:

იმას უყვარს, უყვარს და მე კი მინდა გადავავიწყო, მე კი მინდა გავაშორო!

ანზორა გაბრუნდა წყაროსაკენ და გასწია წყნარის სიარულით.

ელისო, რომელიც წყაროსთან იჯდა, ეძლეოდა თავის მწუხარებას, უფრო მეტს, რომ ის მამულთან ერთად სტოვებდა თავის საყვარელ ვაჟიასაც.

ელისოს გაგიჟებით უყვარდა მოხევე ვაჟია, რომელსაც დაუახლოვდა იმის მეცხვარეობის დროს.

განთქმული გულადობით ვაჟია, მშვენივრად შეყრილი და კაი შეძლების ონი. არავისგან დაირიდებოდა საქმროდ, მაგრამ რადგანაც ვაჟია ქრისტიანი ო. და ელისო კი მაჰმადიანი, ამისთვის ქალმა კარგად იცოდა, რომ ნათე-ობა არ დასთანხმდებოდა იმათს შეუღლებაზედ.

ელისოს არამც თუ ვაჟიაზედ გათხოვების ნებას მისცემდენ, არამედ ლა-რაკსაც კი ვერავისთან ჰბედავდა ამ საგანზედ. ის ვერავის გაუშლიდა თავის ულ. ვერ ჩაახედებდა იმის მოძრაობაში, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ნამგრძნობელს ვერ იპოვიდა თავის მოძმეთა შორის.

უწინდელს დროში რომ მომხდარიყო ამგვარი შემთხვევა და მაჰმადიანს თილი" ქრისტიანი შეჰყვარებოდა, მაშინდელის იქაურის ჩვეულებით, სარწ-ნოება დამაბრკოლებელ მიზეზად ვერ შეიქმნებოდა იმათ შეერთებისთვის; გრამ ეხლა, როდესაც ქართველები. ე. ი. ქრისტიანები „გიაურებს", ანუ უსებს. წინ მიუძღოდნენ და გზებს უჩვენებდნენ, როდესაც ისინი გიაურებ-ნ ერთად ებრძოდნენ დამოყვრებულს მეზობლებს, - ეხლა სულ სხვა იყო. ქრისტიანების" შემწეობით დაიმორჩილეს „მშიშარა გიაურებმა" ისინი და ის შემდეგ რაღა ერთობა შეიძლებოდა ამათ შორის?

ასე ჰფიქრობდა, ასე ამბობდა ყოველი ჩეჩნელი და, რასაკვირველია, ამის მდეგ იმათ და მეზობელ ქართველებს შორის, ყოველი კავშირი უნდა მოს-ბილიყო და ოდესმე დამეგობრებული ორი ტომი, ეხლა მოსისხლე მტრად ნდა გადაქცეულიყო.

ნაიბ ანზორა იყო ჭკვიანი და პოაზრებული, როგორც მომეტებული წი-ი მთის ხალხი, თუმცა ცოტათი უფრო სხვა რიგად უყურებდა ქართველე-ს და ჩეჩნელთ წინააღმდეგობას და იძახდა: „ჩვენგან დაშორებული ქართვე-ები კინც არიან, ისინი სტყუვდებიან სხვადასხვა დაპირებით, მთის ქართვე-ები კი ძალად გამოჰყავთ ჩვენზედ"; მაგრამ ესე იყო თუ ისე, „გიაურების" მარჯვებას მაინც ქართველებს მიაწერდა და ნება-უნებლივ გულით უნდოდა ჰშორებოდა იმათ.

მაგრამ, დახე იღბალს! .. თითქოს განგებ, მეტს სატანჯავად, იმის მარ-ი ერთის ქალს მოხევე ვაჟია შეჰყვარებოდა!

იმან, მართალია, ზედმიწევნით არ იცოდა ეს, მაგრამ ეჭვი კი დიდი ონდა.

მერე რა დროს მოჰხდა ეს საქმე? როდესაც ის ჰშორდებოდა თავის მა-ლს, როდესაც უკანასკნელი მშვიდობა უთხრა თავის სახლს და მთრთოლა- ხელით, ფერ-მიხდილმა და გულ-დაწყვეტილმა, ცეცხლი წაუკიდა! ამ დროს,

ამ მწუხარებისა და ტანჯვის დროს იმის ქალის. მარტო ერთი ნუგეშის, გული დაესაკუთრა ქართველს, რომელსაც ნება-უნებლივ უნდა დაეშორებინ მშობლისათვის!...

იმან იცოდა, რომ ელისო, როგორც ჩეჩნის ქალი, მალე არ დამშვიდდებოდა, მალე ვერ დაიმორჩილებდა თავის გულს, რადგანაც ჩეჩნელი ძნელად შეიყვარებს, მაგრამ, თუ ერთხელ შეიყვარა, იმან არ იცის ნახევრად სიყვარული — ის ამ გრძნობას ეძლევა სულით და გულით.

ის თუმცა ასე ჰფიქრობდა, დარწმუნებული იყო თავის გარდაწყვეტილებაზე, მაგრამ მაინც დროს ელოდა, რომ იქნება აღძრული გრძნობა როგორმე გულითგან გადაჰვარდნოდა იმის ქალს, მაგრამ დაღვრემილის სახით უყურებდა ელისოს დღითი-დღე მეტად დაღონებას, და თუმცა ეს ყველა უსიტყვოთ და უჩივლელად ჰხდებოდა, მაგრამ მით უფრო მეტის ძალით და მეტის სიჩქარით უმოკლებდა მას დღეს.

ანზორა დღემდის მაგრობდა და არც ერთხელ არ გაუგებინებია თავის ქალისათვის, რომ ის ამჩნევს ამ მწუხარებას, მაგრამ დღეს, როდესაც უკანასკნელად ჰხედავდა თავის სამშობლოს მთის წვერებს, როდესაც, როგორც ავაზაკები, ტყვეები ჩააბარეს უგულოს და გაუთლელს სალდათებს, გულმა მოითხოვა თანამგრძნობელი, მარტოებას ველარ გაუძლო და სწორედ ამ მინუტში გასწია თავის ქალისკენ.

ელისო ისე გართული იყო „გულის საყვარელზედ“ ფიქრით, რომ მამის მისვლაც კი ვერ შეამჩნია.

ელისო! მისვლის უმალ მხარზედ ხელის დადებით უთხრა მამამ.

ქალი შეკრთა და წამოსადგომად წამოიწია.

იჯექ, იჯექ! არ აუშვა ანაროზამ და თითონაც გვერდით მოუჯდა

ისინი კარგა ხანს გაჩუმებულნი იყვნენ: ელისო დაღონებულის თვალით გასცქეროდა ტრიალს მინდორს, რომლის იქითგანაც სივრცეში იკარგებოდ ტყიანი მთის წვერები, მამა კი იმას დაჰკვირვებოდა, თითქოს უნდოდა იმის გულითგან ამოეკითხა ყოველი იმის სულის მოძრაობა.

ბოლოს ამოიღო ნაკუწების ქისა, გაფშვნიტა თამბაქო ხელის გულზედ გააკეთა ყალიონი და დაუწყო კვესება: აბედი დანოტივებულიყო, თუ ცუდად იდო ტალზედ, არ ეკიდებოდა და ამისთვის ანზორამ რამდენჯერმე გადმოიღო გაუძენძა ნაპირები და ისევ ხელ-ახლად შეუდგა კვესებას. ბოლოს, როცა იყ გაედო აბედს კვესისგან გადმოცვივნილი ნაპერწკლები და ანზორამ მოუკიდ ყალიონს. ის სწევდა კარგა ხანს, შეუწყვეტლივ და ძალზედ, თითქოს ბოლი

ნდოდა გაებრუებინა გულის მოძრაობა, მოეკლა იმისი გრძნობა და გაექარებინა მწარე ნაღველი, რომელიც გარს შემოჰხვეოდა.

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, იმან დაღონებით წამოიძახა:

მოგიკვდა მამა! რად ჰნაღვლობ აგრე?

— მე არა ვნაღვლობ, უპასუხა ქალმა და მიაპყრა სევდიანი თვალები.

— ვხედავ, ვხედავ! თავის ქნევით და წარმოუთქმელის მწუხარებით უპასუხა მამამ და მერმე დაუმატა: — სწუხარ, იტანჯები და მე ბედშავს კი კეღარ ეშველია!

ჩემთვის ნუ სწუხარ, მამაისი! უპასუხა ქალმა და დაუწყო ნაზად ალერსი.

— ხომ სწუხარ, ხომ იტანჯები?

რად მიგატყუო, მართალი ხარ.

— მაშ, რატომ არ მეუბნები, რად მიმალავ?

შენ კი ცოტასა სწუხარ?... ნეტავი შემეძლოს შენი მწუხარებაც მე მეხვია თავზედ, უთხრა ელისომ და მოეხვია ანზორას.

მე! მწარის ჩაცინებით წამოიძახა ანზორამ: — მე... ჩემი დღენი განვლე. მარეში ფეხი ჩავდგი, ბევრი გადამხედია თავზედ, მაგრამ შენ კი ეხლა შეს- იხარ ცხოვრებაში... ვინ იცის, რა იღბალი მოგელის... ე, ჰე, ჰე!... ღმერ- ი დიდია, გაათავა ოხვრით მოხუცმა.

— შენ იყავ მშვიდობით, მოსვენებით და მე სხვა არა მინდა რა.

მოხუცმა შეჰხედა თვალებში, მაგრამ არ უპასუხა და მცირე სიჩუმის შემ- ეგ დაიწყო:

რატომ არ მიხვალ შენ ტოლ-სწორებთან, რადა ჰმარტოვდები?

— რა მინდა, რა გავაკეთო?

— რა გააკეთო!.. განა ისინი კი არ იტანჯებიან?... განა იმათ გულ- ი კი არა ჰბრუნავს ჯოჯოხეთის ცეცხლი?... ჰბრუნავს, მაგრამ მეზობლებ- ან ჭირიც ლხინია!... აგერ ისინი ჭიანურს უკვრენ, ლხინობენ... ხანდისხან ტირიან კიდეც — შენც იტირე, ტირილი გულს გიპოვის..

— ბედნიერები! იმათ ტირილი მაინც შეუძლიანთ! დაღონებით წამოი- ხა ელისომ.

ანზორამ თანაგრძნობით შეჰხედა ქალს და წარბებშეჭმუხვნით წამოიძახა:

— დიაცთა უნდა იტირონ — მამაცთა შური იძიონ! და ამ სიტყვებთან ივლო ხანჯალს ხელი.

ანზორას ჩაცვივნული, სიცოცხლე გამქრალი თვალები, თითქოს ერთბაშად აენთო და რამოდენიმე ხანს ისე ელვარებდა, რომ კაცს უნებურად თავ მოახრევინებდა. ბოლოს თანდათან დამშვიდდა, შეჰხედა თავის ქალს და ტუჩები აუთრთოლდა.

— ელისო! წარმოსთქვა იმან ბოლოს და ხმაში კანკალი დაეტყო: რა გაწუხებს აგრე, რა ვლევს?

არ ვიცი.

შენ კიდევ სხვა ნაღველი გაქვს და მიმალავ.

— მე არაფერს გიმალავ.

— შენი აგრე ყოფნა გულს მიწამლავს, უდროოდ სიცოცხლეს მარ

— მე ხომ არა ვჩივი, სხვა რაღა გინდა?

ღმერთო! წამოიძახა მოხუცმა, — შენი მოსვენება!

მე მოსვენებული ვარ.

— არა ხარ. არა! და ეგ არის ჩემი უბედურება!

მაშ როგორ მოვიქცე, რა ვქნა?

— მითხარ ყოველისფერი, გაუშალე შენს მშობელს შენი გული, ხომ იცი, რომ იმას მზე და მთვარე შენზედ ამოსდის. ჩემი გული უდროოდ და ნა, დაიწვა... თუ შენც აღარ გებრალები?!

— მამავ, მამავ!.. რას მეუბნები?.. მითხარ, რითი დაგიმტკიცო სიყვარული, მითხარ, თუ ჩემი სიცოცხლე გამოგადგება რამე და ჰნახავ, რამდენად უყვარხარ შენს ქალს... ოღონდ კი მითხარ და...

ამ სიტყვებით ის მოეხვია მოხუცს და დაუწყო კოცნა.

დიდის ხნის შეგუბებულს ცრემლებს ანზორას სიტყვები-ღა აკლდა, რო ვზე მოსცემოდა და ელისოს თვალებს გადმოსდენოდა მდუღარე ნაკადული.

— ვიცი, ვიცი, რომ გიყვარს და ეგა მკლავს უმეტესად! გიყვარვარ არ მეუბნები, რა გტანჯავს: გიყვარვარ და ვერაფრით მიშველია შენთვის!.. იქმნება ჩემის მიზეზით ეძლეოდე მაგ სატანჯველს?

შენთვის ტანჯვაც სიხარულია!

მაშ რაზედ-ღა ჰკვდები, რაზედ-ღა სდნები?

— არ ვიცი, არა, და უფრო მეტად მოეხვია ქალი.

იქმნება გიყვარს ვინმე? სიბრთხილით გაუტარა სიტყვა, ცოტა სიჩ მის შემდეგ.

— მე ეგ არ მითქვამს, უპასუხა ქალმა.

მაგრამ ამ სიტყვებზედ ელისოს მთრთოლარე ხელები უფრო ათრთოლ

ნეს და გულმა ისე ძალზედ ცემა დაუწყო, რომ ანზორას აშკარად ესმოდა იმისი მოძრაობა. ის მიეკრა მამას, რომელიც თითქოს საფრად ამოერჩია და თუმცა თავის გრძნობის გამოთქმა ვერ გაებედა, მაგრამ უნდოდა კი, რომ ანზორა თითონ მიმხვდარიყო.

— შენ ეგ არ გითქვამს, მაგრამ ეგ აგრეა! თავის ქნევით წარმოსთქვა ანზორამ: - რა ვუყოთ!!.. ეგ არის წესი... დრომ დაჰკრა, ბარტყი უნდა გავაფრინო!.. გაუხსენ შენი გული შენს მამას, შეატყობინე იმას, ვინ ართმევს შენს თავს და გეფიცები ჩემ წინაპართ საფლავს, ჩემი გული წინ აღარ გადაეღობება შენს სურვილს... ვინ არის, ვინ გიყვარს?

ამ სიტყვებზედ მამა მთლად სმენად გარდაიქცა და გულის ძგერით ნატრულობდა მოხევის სახელი არ გაეგონა.

— მამავ, მამავ! რად გინდა ყველაფერი მათქმევინო? რად გინდა, ჩაალწიო ჩემის გულის საძირკვლამდის? გეფიცები, რომ, ვინც უნდა მიყვარდეს, ჩემს გრძნობას გულში მოვიკლავ, გულში დავიმარხავ და შენ კი თავს არ დაგანებებ!

გახარებული მამა მოეხვია თავის ქალს, იგრძნო, რომ თავის ნაშობს უყვარდა, სიკვდილის ჟამს თვალებს დაუხუჭავდა, სხვა რაღა უნდოდა? მაგრამ პირველის სიამოვნების შემდეგ იმან მოიშორა ქალი და უთხრა:

— დაიცა, ნუ სჩქარობ! უბრალოდ ნუ ჰფიცულობ!.. როგორც ბალახს უნდა დილის ნამი, ისე ქალს გათხოვება .. ყველას თავისი დრო აქვს... მითხარ ვინ გიყვარს?

— რად გინდა? ვინც უნდა იყოს!

— ვაჟია? გულის კანკალით მოელოდა პასუხს მამა, რომელსაც კიდევ რაღაცა იმედი ჰქონდა, რომ ელისო რომელსამე ჩეჩენს დაასახელებდა.

ქალი პასუხის მაგივრად გადაეხვია თავის მშობელს, რომელსაც სიტყვა გააწყვეტინა პირში ამ შემთხვევამ.

— კიდეც მაგისთვის არ მეუბნებოდი? ძლივს წარმოსთქვა იმან.

— რა გინდა, მამავ? რას დასდევ, ვინც უნდა იყოს?.. მე შემოგფიცე და არ მოგშორდები.

— ყოველი დღე კი ოხვრით და მწუხარებით გაატარო?

— ვეცდები — დავივიწყო...

— ვერ დაივიწყებ, ვერა! პირზედ ხელების დაფარებით უთხრა მამამ.

— ვაჟია ქრისტიანია და მე ჩეჩნელი — უნდა დავივიწყო.

უნდა, თუ კი შესძლებ.

გითხარ, რომ შევძლებ მეთქი.

ელისო! ყური დამიგდე... მე მყავნდა ჩემი ჯოგი და მთელს ჩეჩნის მინდორზედ დამიდიოდა უშიშრად, — მოვიდნენ გიაურები და წამართვეს... მე მყავნდა ჩემი ცხვარი და ჩემს სახლს წინ სტუმარს არ გაუვლია, რომ არ მომეპატიჟა, საკლავი არ დამეკლა, — გიაურები დამეცნენ და წამართვეს... მე მქონდა სახლი და ის თავშესაფარი იყო ყველა შეწუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა, — მოვიდნენ გიაურები და დამიწვეს... ყველა ეს ქართველებისაგან მოხდა, ისინი მოუძღვებოდნენ ბელადად გიაურებს, ისინი უჩვენებდნენ გზას. ისინი გვეომებოდნენ!.. შემრჩა სამი ვაჟი, შენ და ჩემი იარაღი. მე გავიქეცი მთებში, იქიდგან მინდოდა გადამეხადა ამ უსამართლობისთვის, მაგრამ, რა ღმერთი კაცზედ ერთხელ ხელს აიღებს, ტყუილი-ღაა იმისი ცდა!.. აქაც გიაურები ქრისტიანების შემწეობით მოვიდნენ და სამივე შვილი რიგ-რიგად თვალწინ დამიხოცეს... მაღალო ღმერთო! რა დღე იყო ის დღე!.. მე როგორ-ღა დავრჩი ამის მნახველი!.. ერთი ეს-ღა მქონდა სანუგეშო, რომ ვაჟკაცნი ვაჟკაცად დაიხოცნენ: სამთავ მკერდი ჰქონდათ გახვრეტილი. ჩემს შვილებს ზურგი არ ეჩვენებინათ მტრისთვის ..

აქ მოხუცს შეჩერება დასჭირდა. ძალზედ ამოიხვნეშა ანზორამ, გადისვა შუბლზედ ხელი და კარგა ხანი მოუნდა, სანამ ლაპარაკის გაგრძელებას მოახერხებდა.

— შვიდჯერ იერიშით მოსულნი გიაურები, შვიდჯერვე გავაბრუნეთ უკან და აქაც თუ ქრისტიანები (ქართველები) არ ყოფილიყვნენ, გიაურები ვერ აიღებდნენ ჩვენს სოფელს!.. ერთი მე, მე-ღა გადავრჩი ჩვენის სახლიდგან და ისიც იმისთვის, რომ ყოველი გვარი ჯოჯოხეთის ცეცხლი დაბრუნებულიყო ჩემს გულში!.. დავბერდი, მოვუძლურდი და, როდესაც მოსვენება მეჭირვება, მომვლელს ველარ ვპოულობ, ვშორდები ჩემის მამა-პაპის საფლავს, ვშორდები ჩემის შვილების ძვლებს, რომელთაც ჩემი ძვლები ველარ შეეხება!.. ძნელია, ძნელი ჩემი ცხოვრება! მოძმეთა ცრემლიც კი აღარ ელირსება უპატრონო ცხედარს... ეხლა მარტო შენ-ღა უნდა იყო ჩემს ნუგეშად, მარტო შენგან-ღა მოველი თვალების დახუჭვას, მაგრამ... თუ ვაჟია მართალის გულით გიყვარს, თუ ვერ დასთმობ იმას, მითხარ-და... მაგ უკანასკნელს ნუგეშსაც... დავთმობ.

— არა, მამა, მე არ მოგშორდები, ასჯერ მომეტებულადაც რომ მიყვარდეს, მე არ მოგშორდები!.. დრო გაივლის... დამავიწყდება... განა დამავიწყდება, მამავ?..

მამამ მიიკრა გულში ქალი და მთრთოლარეს ტუჩებით დაუწყო კოცნა, მერმე მიაპყრო ზეცას თვალები, დაწყნარდა, მაგრამ გულმხურვალედ წარმოსთქვა:

— გმადლობ შენ, ღმერთო, რომ ამ უკანასკნელს ნუგეშს მაინც არ წამართმევ!

ანზორამ ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც ერთი მოწიფული ბიჭი, კოხტად თოფ-გადაგდებული მხარზედ და გვერდზედ თუშურ ქუდ-მოგდებული, — თავს წამოადგა.

-- მარშიოლულ!* — შემოსძახა იმან მოსვლის უმალ.

ელისო ფეხზედ წამოვარდა ამ ხმაზედ, მთლად გაწითლდა და თავდახრილს ხმა ველარ ამოეღო.

- გაგიმარჯოს, უპასუხა ანზორამ ფეხზედ წამოდგომით. სტუმარი ღვთისაა, წავიდეთ ბინაზე, რაც ღმერთმა მოგვცა, იმით ვახსენოთ იმის სახელი.

— ჩეჩნელნი პურადნი არიან, იმათი გულ-უხვობა შორს არის განთქმული. მაგრამ პური არ მშიან...

— მგზავრი ყოველთვის მზად უნდა იყოს პურის საჭმელად, ვინ იცის, მერმე წუთს ექნება-ღა პურის საჭმელი დრო?

— ჰაი, ჰაი, რომ აგრეა, მაგრამ გზას მივეშურები... აქ იმად მოვბრუნდი, განთქმული ანზორა ჩერბიჟის სოფლელები თუ იქნებოდნენ, იმის ამბავს ვკითხავდი.

— ანზორა ჩერბიჟ?.. ანზორა ჩერბიჟ მე ვარ, მაგრამ, შენ ვინა ხარ, ვერა ვიცნობ! ბნელა.

— ანზორ! დაიძახა უცნობმა და წინ მოიწია.

ვაჟია! წამოიძახა გაკვირვებულმა მოხუცმა.

— ღმერთო! ელისოც აქ არის! მცირე სიჩუმის შემდეგ წარმოსთქვა ვაჟიამ: — რა ამბავია? გამგზავრებულხართ? ხატობას თუ მიხვალთ? დააცქერდა ელისოს.

— ქალაუ! ჩემი მხრის ქალები ხატში ლხინით და თამაშით მიდიან, შენ რაისთვის-ღა მოგიწყენია?

— ჩემის მხრის ქალებმაც ლხინის დროს ლხინი ვიცით და გლოვის დროს — გლოვა, უპასუხა გულ-ჩათუთქულმა ელისომ.

ამ სიტყვებზედ შეჰკრთა ვაჟია, რომელიც საზამთროდ ბინის დასაჭერად მიდიოდა ანზორას სოფელში და რომელმაც ამათი გადასახლების ამბავი არ იცოდა:

---

*) გამარჯობა!

ის ემზადებოდა ამავე ზამთარს ელისო ეთხოვა. ვაჟიამ წყნარად მოავლო თვ ლი იქაურობას და გადასწყვიტა, რომ იმათი სამზადისი ხატობაში წასვლას ა შეემსგავსებოდა.

— ანზორ, რა ამბავია? იკითხა იმან შეშინებულის ხმით.

სტამბოლს მივდივართ, ყრუდ, მაგრამ გარკვევით წარმოსთქვა იმან

ეს სიტყვები ისე მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო ვაჟიასთვის რომ სიტყვა გამშრალს კარგა ხანი მოუნდა, სანამ ხმის ამოღებას მოახერხებდ

სად მიწვალთ? როგორ სთქვი? -- ბოლოს წაულუღლუღა იმან.

სტამბოლს, მოკლედ მოუჭრა მოხუცმა.

— სტამბოლს? გაიმეორა ვაჟიამ დაფანტვით და ჯერ კიდევ აზრები ვერ მოეკრიფა: სტამბოლს?.. ეგ საით იქნების? მეხუმრები, ანზორ, განა?.. ოო ელისო! შენ მაინც მითხარ მართალი.

— ანზორ მართალს ამბობს, სტამბოლს მივდივართ.

— ელისო რას, რას ამბობ?.. იფიქრე კარგად... მერე მე რაღა პასუხ ვაძლევთ?

შენ?.. ჰკითხა მოხუცმა და სიტყვა ველარ გაათავა.

ჰო, მე, მე!.. მაგრამ რაიღა დამალვისაა!.. ელისო მიყვარს, ელისოსთვის ჰდნების ვაჟიას გული! შენ კი ამბობ სტამბოლს მივდივართო!

ჩემი ქალი გიყვარს, მაგრამ...

— მიყვარს, ღვთის მადლმა, და ისე მიყვარს, როგორც თევზს წყალი როგორც ფრინველს ჰაერი!.. ოო! ანზორ! მე უმაგისოდ ვერ გავძლებ... რაისთვის მირღვევ ბედნიერებას, რად მართმევ სიცოცხლეს?!

მოხუცი მთლად კანკალებდა და პასუხი ვერ მიეცა.

იმას თვალწინ ედგა ოცი წლის ყმაწვილი კაცი და თექვსმეტის წლი ელისო: ისინი ითხოვდნენ ბედნიერებას, იმათ უფლება ჰქონდათ ამ ბედნიერებაზედ. რა საბუთი, რა უფლება ჰქონდა მოხუცს იმათ საწინააღმდეგოდ?.

ელისო, გესმის? უპასუხე შენ თავად, უპასუხე!

— ელისო! მითხარ, მითხარ, თორემ ნაღველი მისივდების, გული მელევის!...

თუმცა მამაც და ვაჟიაც ორნივ იწვევდნენ ელისოს სალაპარაკოდ, მაგრამ ის ისე გაქვავებულს სურათსავით იდგა, თითქოს მოლაპარაკეთა სიტყვები იმას არ შეეხებოდა

ორნი მკითხველნი გულის ძგერით მოელოდნენ ელისოს პასუხს, თუმც ორთავეს სრულებით სხვადასხვა პასუხის გაგონება უნდოდათ.

ელისო ჩუმად იდგა და ხმა-ამოუღებელს ეტყობოდა, რომ გულში ორს მოპირდაპირე გრძნობას წარმოუთქმელი ბრძოლა ჰქონდა. ერთკენ იდგა მამა და შვილის მოვალეობა იმის წინაშე, მეორესკენ — სატრფო და იმისი [illegible]. ამ ერთის წუთის წინ ელისოსთვის გადაწყვეტილი იყო, რომ გრძნობაზედ მოვალეობას უნდა გაემარჯვა, მაგრამ, რა თვალი შეჰკრა ვაჟიას, რა უხილავმა ძალამ გაირბინა იმის სხეულში, რა ვაჟიას ხმა გაიგონა, — ის მაშინვე გადაიქცა იმად, რადაც უნდა ყოფილიყო — დედაკაცათ. და თუ ჯერ სიყვარულის გრძნობას სრულიად არ დაემორჩილა იმისი გული, გამარჯვება მოვალეობისათვინაც არ დაეთმო მას.

— ელისო! გაიმეორე ისა, რასაც წეღან მეუბნებოდი... თუ ველარ გაგიჟედნია, რა ეს კაცი დაინახე?

მამავ! ძლივს გამოსთქვა ელისომ და გაჩუმდა ისევ...

- რაღასა გკითხავ! გულ-დაწყვეტით წამოიძახა მოხუცმა: დღე საით დაიმალება!? მომატყუე განა? წყენით დაუმატა ანზორამ და მუხლები ჩაეკეცა. ისე დარჩა რამოდენიმე ხანი და სხვებიც გაჩუმებულნი იდგნენ. მშობლის უბედურებას დაემონებინა, თავი მოეხრევინა ყმაწვილურის გატაცებისათვის.

მოხუცის გული ილეოდა, ილეოდა ვაჟიას და ელისოს გულიც იმის ცქერით. ბოლოს მოხუცმა აიღო თავი და უნუგეშოდ მოათვალიერა იქ მყოფნი: მთრთოლვარე თითები თითქოს ხელ-მოსაკიდს საშველს საგანს ეძებდენ. ბოლოს დაიფარა თვალებზედ ხელი და წარმოუთქმელის მწუხარებით სთქვა:

— მაშ ყველაფერი გათავდა ჩემთვის, ყველაფერი... სრულიად მარტოდ, მარტოდ უნდა ვიარო?.. არც შემბრალებელი, არც დამტირებელი? არც სამშობლოს მიწა-წყალი... ყველაფერი წამართვეს, ყველაფერი...

შენ, შენ, ვაჟიაუ, გეხვეწები! შენა გთხოვ, გემუდარები!.. გესმის, ანზორა ჩერბიჟი გეხვეწება, ანზორა ჩერბიჟი, რომელიც თავის დღეში კაცს არ შეჰხვეწნია... შენ ვაჟკაცი ხარ, გაიგებ ჩემი ხვეწნის ძალას... გაიგებ მოხუცის გულს .. ნუ წამართმევ ამ სიბერის დროს მაგ მარტოდ ერთს ნუგეშს!.. შენ რა გიჭირს, ბედნიერო! შენ სახლი გაქვს, კარი, მამული, შენი მიწა-წყალი!.. შენ ძმები გყავს, ნათესაობა, შენ ყმაწვილი ხარ და კიდევ ბევრი ბედნიერება მოგელის — კიდევ ბევრს იპოვი თვალ-ჟუჟუნა ქალებს, რომელნიც შენ გაგახარებენ და მე?.. აბა შემომხედე.. მე მოვხუცდი, ცალი ფეხი სამარემდის მიმიღწევია, ყველაფრით ცარიელი დავრჩენილვარ და ეს ქალიც რომ წამართო, რაღა მრჩება?..

ამ სიტყვებზედ მოხუცს სული შესტაცა მღელვარებამ. იმან დაიწყო ნაყვეტ-ნაწყვეტად ქშენა, რადგანაც სული ველარ ამოექცივა და უსიტყვოდ, ხელების მოძრაობით-ღა ანიშნებდა თავის სატანჯველს. აშკარად გამოხატული პირის-სახეზედ ამ აღგზნებულის [illegible] ძალი, რომელიც ანზორის გულში ენთებოდა.

ვაჟია გულკეთილი იყო და ამის მაგალითი არაერთხელ ენახათ, მაგრამ ელისოს დაიმედება იმისათვის შეუძლებელი იყო, რადგანაც თავისი არსებობა ვერ წარმოედგინა უიმ-ქალოდ.

ელისოს შეანანა თავისი მამა, ამ სურათმა მეტად მოულბო გული. ვეღარ დაიკავა პასუხი და აშკარად მღელვარებით და ხმის კანკალით, რომელიც წამდაუწუმ უწყდებოდა, წარმოსთქვა:

— ვაჟიაუ! იყოს თავდები ზევით ღმერთი და ქვეშ დედა მიწა, რომ ელისოს შენს გარდა არავინ ჰყვარებია, არ უყვარს და არ ეყვარება!.. თავის დღეში შენს გარეშე სხვა კაცს იმის ქმრის სახელი არ ერქმევა.

ამ სიტყვებზედ მამამ მწარედ დაიკვნესა. ვაჟიამ სიხარულით წინ წამოიწია.

მაგრამ... მაგრამ ელისო თავის მამას თავს არ დაანებებს!

ამ სიტყვების შემდეგ მოძრაობა შეიცვალა, — მოხუცი მთრთოლვარე ხელებით ეპოტინებოდა ქალს, რომ იმისი სახე მიეზიდა თავისს გახურებულს გამშრალს ტუჩებთან, მაშინ როდესაც ვაჟია ზარდაცემულსავით იდგა და გარუებულს არ ესმოდა, რა ხდებოდა იმის ირგვლივ.

იმას თვალები თითქოს ენთებოდა და ზედ წითელი რაღაც გადაბლანდულიყო და, რომელიც წამდაუწუმ გაწითლებულს ცეცხლსავით ჰფეთქავდა: თითქოს რკინის სალტები შემოეჭირათ და მით სისხლის და აზრის მოძრაობა შეეყენებინათ.

მე ასე მგონია, რომ ვაჟია სწორედ იმ მდგომარეობაში იყო, რომელიც სიგიჟის წინა წუთებს მოასწავებს.

ბოლოს იმან ძალზედ ამოიქშინა, თითქოს ამითი უნდოდა განთავისუფლებულიყო მძიმე ტვირთისაგან: გაიქნია რამდენჯერმე თავი, მოიკრა გულზე ხელი და „ოხ-მე“-ს წამოძახებით საკინძე წელამდის ჩაიტანა.

ანზორა წამოდგა და ქალზედ დაყრდნობილი ცახცახით გაბრუნდა. [illegible] შედგა. მოუბრუნდა ვაჟიას და უთხრა:

— მშვიდობით, ვაჟიაუ!.. ღმერთმა კეთილი მოგცეს, იღბალს შეგახვედროს, და ამ სიტყვებით გაბრუნდა, რადგანაც მეტი ველარა მოახერხა-რა

— მოიცა ანზორ! წამოიძახა მოხევემ ერთბაშად და ხელებ-გაწვდილმა რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინ.

ანზორა შედგა.

შენ ამბობ, რომ ელისო გიყვარს, მაგისთვის კეთილი გინდა... მერმე ეგ კი არ მიყვარს, მე არ მინდა კეთილი?... ღთის მადლმა, მე შენზედ მეტად მიყვარს! მე შენზედ მეტად გავიტანჯები უმაგისოთ!... თუ ეგ არ მეყოლება, რაღამ უნდა მაცოცხლოს?

— ელისო! წაჰყევ, თუ გინდა! უთხრა მამამ.

მამავ! მე გითხარ თავს არ დაგანებებ მეთქი, რაღად მაწვალებ?!

— ვაჟიავ! ხომ გაიგონე, რომ ჩემი ქალი ჩემთან რჩება?

— და ის კი ველარ გაიგონე, რომ მე ვუყვარვარ? მიატანა ვაჟიამ: — მე უყვარვარ და შენთან კი რჩება! ვერ გაიგონე, რომ ჩემის მეტი ქმარი არ უნდა?.. რაისთვის უმწარებ სიცოცხლეს?... იმად, რომ მარტო შენ ისიამოვნო?... აჰუ!.. შენ ჩემზედ ცოტად გყვარებია!

— მე ჩემის სიხარულისთვის მაგას ვერ გავტანჯავდი, ვერა, ღთის მადლმა!

— ო-ო, წყეულო, წყეულო, კბილების ღრჭიალით წარმოსთქვა მოხუცმა: ვველი გარედგან არის ჭრელი და ადამიანი შიგნითგან!... შენ გინდა სიტყვებით დამათმობინო ქალი?... ო-ო, წყეულიმც...

— მამავ! გააწყვეტინა ელისომ: — ნუ სწყევლი. მე გითხარ, თავს არ დაგანებებ მეთქი და...

მაშ არ გიყვარვარ? შესძახა ვაჟიამ და მთლად გაფითრდა.

— მიყვარხარ? ღმერთია მოწამე. მაგრამ მამას თავს არ დავანებებ.

— მაშ უშენოდ თავი რაღად მინდა! წამოიძახა ერთბაშათ მოხევემ.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მარდად წამოიტრიალა თოფი, წამოაყენა ჩახმახი და წვერი მიიბჯინა გულზედ, ისე რომ სასხლეტს ფეხით მისწდომიყო.

ელისომ დაიწივლა და გულ-შემოყრილი დაეცა, ანზორა მიჰვარდა და თოფს ხელი აუკრა სწორედ იმ დროს, როდესაც მოხევე ფეხით დაცემინებას უპირებდა ჩახმახს. თოფი გავარდა, მაგრამ ანზორას წყალობით ტყვიამ ჰაერში გაიტანა გრიალი.

— რას სჩადი, შე ცოდვით სავსევ! შესძახა ანზორამ.

რად მიჭერ თავი მოვიკლა... უმაგისოდ ჩემი სიცოცხლე მაინც არ [illegible].

ნუ გამრევ შენს ცოდოში, შენ შენი ღმერთი, დადექ ..

ამ დროს დაინახეს გულ-შემოყრილი ქალი და ორნივ იმისკენ გაქანდნენ. ორთავ თავიანთი თავი გადაავიწყდათ და ცდილობდნენ ელისოს მობრუნებას. ბოლოს, როდესაც კარგა ხანმა გაიარა, ქალმა ამოიქშინა და იმის ამოქშენასთან მამამაც და ვაჟიამაც ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს

— გადარჩა! წარმოსთქვა მოხუცმა

— მადლი უფალს! დაუმატა ვაჟიამ.

იმათ ორთავეს გადაჰვიწყებოდათ თავიანთი წინააღმდეგობა, თავიანთი განსაცდელი, თავიანთი თავი და საზრუნველად მარტო ელისო-ღა გაჰხსომოდათ — იმის მეტი აღარა ახსოვდათ-რა.

ელისომ წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი, კიდევ ამოისუნთქა და წყნარად წარმოსთქვა:

- სადა ვარ?... რა მომდის?

— ნუ გეშინიან, ნუ, ელისო!.. აქა ხარ, ჩემთან, უპასუხა ანზორამ.

— ოჰ! მამავ!... რა ამბავი იყო?.. რაღაც მოჰხდა, მაგრამ არ მახსოვს

— არაფერი, თოფი გავარდა და შენ შეგეშინდა...

ჰო, თოფი!? წარმოსთქვა იმან და წამოიწია, მერე ერთბაშად მოაგონდა ყოველისფერი და საშინელის წივილით წამოვარდა: — რა იქმნა, ის?.. შენ მოჰკალ! მამავ! შენ... ვაიმე დალუპულმა!

ამ სიტყვებით იმან გაიკრა თმებს ხელი, მაგრამ ვაჟის გაშლილი მკლავები ჩქარა მოეხვია იმას და მიიკრა გულთან.

— ნუ გეშინიან, აქა ვარ შენთან, ცოცხალი, კარგა მყოფი.

ღმერთო ჩემო!... მითხარ, ხომ არა იტკინე-რა, ხომ არ დაიჭერი... მართლა, ცოცხალი ხარ, მართლა?... ო-ო, შე უღმერთო, თავი რომ მოგეკლა, მე რაღას მეუბნებოდი?.. აღარ გებრალებოდი მაინც?! ხვევნითა და კოცნით ეუბნებოდა ელისო!

— ჩემო ყველავ! იყო ვაჟის პასუხი, რომელსაც სხვა სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა.

იმათ ყოველისფერი გადაავიწყდათ, რადგანაც მარტო სიყვარულის გრძნობამ-ღა შეიპყრა.

საცოდავი მამა, რომელიც სიყვარულს გადაევიწყებინა იმის შვილებისთვის, იქვე იდგა და ხმის ამოღებას ვეღარ ჰბედავდა. დარწმუნდა, რომ იმათ შვილებისთვის შეერთების მეტი გზა აღარ იყო და ამისმა წინააღმდეგობამ კინაღამ ორივე ხელითგან გამოაცალა, — ეხლა ვეღარ ჰბედავდა იმათ ბედნიერების შეხებას...

რამოდენიმე ხნის შემდეგ, მამა ჰლოცავდა იმათ და მას უკან პირობასა დებდნენ, რომ ხვალ „ძაუგში“ (ვლადიკავკაზში) გამოეცხადებინათ, რომ ანორა თავის ქალით აღარ მიდის „სტამბოლს“. ამის მაგივრად ისინი წავიდოდენ კაჟიას სახლში, სადაც მოხევე იქორწინებდა ელისოსთან და მოხუცი მამა ქ გაატარებდა დანარჩენს სიცოცხლეს.

ამის შემდეგ ისინი გაბრუნდნენ ბინაზედ, საითგანაც ისევ ის გულსაკლაი ჭიანურის ხმა მოისმოდა, რომელსაც აყოლებდნენ იმავე შესაზარს გმინვას, ზუზუნს და გოდებას.

წელან კიდევ მზისგან გახურებულ მიწას სითბო მისდევდა, მაგრამ ეხლა ხმელს აეშვა თავისი სიო და ასობით ავადმყოფები, დაყრილნი მინდორზედ, ჭარდახოდ, უექიმოდ, მწარე სურათს წარმოადგენდნენ. ერთს ალაგს ჰხედავდით გაქვავებულს მშობელს, რომელსაც შვილი ხელიდამ ეცლებოდა და საბრალო დედა მწუხარე თვალებს აბრუნებდა აქეთ-იქით. თითქოს უსიტყვოდ ხვეწებოდა, რომ ეშველათ რამე იმის ნაშობისთვის, რომელიც ასე უპატრონოდ, უნუგეშოდ სულსა ჰლევდა მშობლის ხელში.

მეორე მხარეს კიდევ მშობიარე იკლაკნებოდა წარმოუთქმელის ტკივილებისაგან, კბილების ღრჭიალით იწვევდა ღმერთს ამ უსამართლობის მოწმად; მესამე ადგილას მამა მიხრწნილის ხმით ესალმებოდა თავის შვილებს და გულისეთქით ჰფიქრობდა, რომ სრულიად და სამუდამოდ შორდებოდა იმათ და გამარტოვებული უნდა დამარხულიყო. ყოველ ადგილს მწუხარება, ყოველ ადგილს ვაჭირვება, კვნესა და ამის ბანად ჭიანურის სევდიანი ხმა და მწარე უსიტყვოდ გმინვა და ზუზუნი!

III

ამ ზუზუნით და გმინვით დაალამეს და ამავე ზუზუნით და გმინვითვე დაჰხვდნენ ალიონს ეს ტანჯულნი...

ვაჟია. თავის აღზრდით და ცხოვრებით შეჩვეული გაჭირვებას და მოთმინებას, რაღაცა აღელვებულის და გაკაპასებულის გულით წარმოუთქმელად მოელოდა მზის ამოსვლას, როდესაც შეიძლებდა ამ შესაზარის სურათის მოშორებას.

და ან ვინ დარჩებოდა ისე უგულოდ, რომ არ ეგრძნო ამ საერთო ხარების ძალა, გარდა იმ სალდათებისა, რომლებიც მიჩენილი ჰყავდათ სახლებულთ წესისა და მშვიდობიანობის დასაცველად.

მარტო ისინი იდგნენ მხიარულად, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ ამ ვოდ ხალხის წუხილზედ. შეჩვეულნი მუდამ გარეთ ცხოვრებას, მოშორებ ნი საკუთარს სამშობლოს, სახლს, კარს, სახლობას, გულგაქვავებულნი მწუხარებისადმი, არ გრძნობდნენ და არ ესმოდათ, რაზედ იკლავდნენ ეს პატიოსანნი და ყოვლის სიკეთით სავსე მამულის-შვილნი. შეჩვეულნი დამ ხეტიალს და წადილს მოკლებულნი და ძალდატანებით დამონებულნი, დამ სხვის წადილით და სურვილით მცხოვრებნი ჰფიქრობდნენ, რომ ისე უნდა ყოფილიყვნენ და ვერ გაეგოთ, რომ სხვის სურვილით და მბრძან ბლობით ცხოვრება ყველასაგან ერთ რიგათ ვერ აიტანება.

მზემ წვერი ამოჰყო, მინდვრის მახლობელ ტყიდგან მოისმა ჭიკჭიკი გალობა სხვადასხვა ფრინველებისა, ბუნებამ გაიღვიძა და ყოველი სულ ლი ქებას ასხამდა მის ძლიერებას. თვით ნამი, რომელიც მცვრად და და ზურმუხტოვანს მინდორს, შემკულს ფერადოვანის და სურნელიანის ლებით, შესთამაშებდა მზის სხივებს, რომლის მიკარებისთანავე ათას იცვლიდა ფერს.

რამდენადაც მშვენიერი იყო ეს ადგილები, რამდენადაც შაეძლო ამ კოს, ძლიერს სურათებს კაცის გულის გამხიარულება, იმდენად მეტს ნაღ უსხავდა გადამსახლელებს გულში, იმდენად მეტად აგრძნობინებდა მათ ანთ უბედურებას. გაიღვიძეს, ვინც კი ძილი შესძლო, წამოდგნენ და ზარმაცად მიჰმართეს თავთავიანთს ურმებს, თავთავიანთს საქონელს. მელიც იქვე პატარა ბიჭებს საძოვრად დაუდიოდათ.

იმათი მოქმედება იქამდის დადუნებული და დადამბლებული იყო, ყოველ ნაბიჯზედ ავიწყდებოდათ, რისთვის მიდიოდნენ, რა უნდა გაეკ ნათ? ათასჯერ თავსბრუ-ხვევამდის ეძებდნენ ტაბიკს, ანუ კიდევ სხვა რომელსამე იარაღს, მაშინ როდესაც ის იარაღი ხელში ეჭირათ. ან კიდ მავალს რომელსამე საქმეზედ, ერთბაშად უხილავი ძალა შეაყენებდა, და რებდა და ისე დაღვრემილი რჩებოდა იმ წუთამდის, ვინემ რომელიმე კეთილი მეზობლის, ან მბრძანებელის სალდათის ხმა არ გამოიყვანდა დავიწყებითგან.

ანზორ, ახლა კი წავალ „ძაუგს“, უთხრა ვაჟიამ გათენებისათანავე

— კარგი.

სანამ შენ ამოხვალ, ყოველისფერს მოვამზადებ, ვითხოვ...

კარგი.

— ელისო მენახა?.. გაუბედავად დაუმატა იმან.

— ელისოს ძლივ ჩაეძინა ურემში, დაეხსენ ცოდოა.

ვაჟიამ პასუხი აღარ მისცა, ამოიოხრა და გას . ვლადიკავკაზისკენ, სა- ც პირდაპირ ნაჩალნიკთან მივიდა.

კარგა ლოდინის შემდეგ, „დიდმა ბატონმა“ ნაჩალნიკმა ძლივს აღირსა ვისი ხილვა და გამობრძანების უმალ ვაჟიას ქუდის მოხდაზედ იკითხა:

შენ ვინა ხარ?

მე მოხევე გახლავარ, შენი ჭირიმე.

- რას ამბობს? ჰკითხა თარჯიმანს, რომელიც იქავე ახლოს იდგა. იმა- კ გადუთარგმნა მოხევის სიტყვები.

- რა უნდა?.. უთუოდ ქურდობაზედ დაიჭირეს ეგ ავაზაკი!.. ახ, ღმერ- ი ჩემო! როდის იქმნება ერთი თავიდგან მოგვაშორონ ეს მოუსვენრები?

-- მე „ცხო გორისა“ ვარ, ქურდობაზედ ვერ დამიჭერენ... ამაყად უპა- ხა ვაჟიამ, რომელსაც ცოტცოტად ესმოდა რუსული.--მე საქმე მაქვს, იმად ვედ.

-- რა საქმე? ჩქარა მითხრას, არა მცალიან.

-- ერთი მოხუცებული ჩეჩნელია, იმას აღარ უნდა გადასახლება და იმის კივრად გთხოვთ, რომ გაუშვათ.

— გაეთრიე! დაუყვირა ნაჩალნიკმა, რაწამს შეიტყო ვაჟიას მისვლის მი- ზი.

— რად მიწყრები? პატრონი არავინა ჰყავს, ერთი ქალის მეტი და...

მე რომ შემეძლოს, სუყველას, გესმის, გადაგასახლებდით, თავიდგან გიშორებდით და შენ კი მთხოვ, ვინც ჩაწერილია, ისიც გავანთავისუფ- ო?... წადი, წადი, მომშორდი თავიდგან!

--- შენი ჭირიმე, ბატონო...

მომშორდი მეთქი, გეუბნები. . შენთვის არა მცალიან,

მაშ ვისთვის გცალიან? უპასუხა გულ-მოსულმა ვაჟიამ: ---საქმე მე მაქვს ჩემთვის არა გცალიან?

— ეი! ყაზახებო! დაიძახა ნაჩალნიკმა და უჩვენა ვაჟიაზედ: --კაი-კაი მათ- ები მაგას!

ვაჟია მალად გაფითრდა და უკან გადახტა.

თქვენ ცოდოში ნუ გამხვევთ! დაუჭყივლა იმან ყაზახებს და გადმოიჭრიალა თოფი.

ყაზახები, რომელთაც მიიწიეს ვაჟიასაკენ, ერთბაშად უკან მიაწყდნენ, გულ-გახეთქილი ნაჩალნიკი კი ყვირილით ოთახში შევარდა.

ყაზახები, რომელნიც პირველში ისე შეფრთხნენ და ველარ მოჰკარებოდნენ ვაჟიას, ისევ გონს მოვიდნენ და შერცხვათ, რომ ერთს კაცს შეუშინდნენ.

დაიჭირეთ, დაიჭირეთ! დაიძახეს იმათ, მიიწიეს ვაჟიაზედ, რომელმაც ჩახმახი წამოაყენა და ისე ელოდა.

ჩამომეხსენით, რაი გაქვსთ ჩემთან გასაყოფი! შესძახა იმან.

-- დაჰყარე იარაღი, დაგვნებდი! უყვიროდნენ ყაზახები.

- სანამც გიკვნესიათ, სანამ ცოცხალს ვაჟიას იარაღი ვერ დააყრევინოთ!

— თოფები, თოფები! დაიძახეს ყაზახებმა და რამდენიმე იმათგანი გაიქცა ბრძანების აღსასრულებლად.

რადგანაც ეს საქმე ბალკონზედ მოჰხდა და ვაჟია ისე მოემწყვდა, რომ ჩასავლელი კიბე ყაზახებს ჰქონდათ დაჭერილი, მიჰხვდა რომ ცოცხალი ვერ [illegible] კავიდოდა და ძვირად უნდოდა გაეყიდა თავისი სიცოცხლე.

-- აი, ძაღლებო!.. ოცი ერთზედ გულადები ხართ განა?... აბა თუ ვაჟკაცები ხართ, თითო-თითოდ მოდით და ჰნახავთ, ვისი დედა ატირდება!...

ვაჟიას ნების-ნებად არ უნდოდა კაცის სისხლში გარევა, მაგრამ არ უსვენებდნენ იმას და ისიც მოემზადა ძვირად გაეყიდა თავისი ყმაწვილ-კაცობა.

ამ დროს მოიხედა უკან და გაღებული ფანჯარა დაინახა, რომელიც გზას გადაჰყურებდა: ერთის თვალის დახამხამებაზედ ის შეხტა ფანჯარაზედ და გზ[illegible] დახტა. ქვეით ერთი ყაზახი ცხენებს ატარებდა, რომელიც ნაჩალნიკისთვის მოემზადებინათ, რადგანაც მინდვრად, ჩეჩნელთ დასათვალიერებლად, გასვლას აპირებდა.

ვაჟია მივარდა ყაზახს, რომელიც ბავშსავით აილო და დასცა, წაართვა საუკეთესო ცხენი, წუთზედ მოაჯდა და დაჰქუსლა ტყისაკენ.

გამტერებული ყაზახები მისცვივდნენ ფანჯარას, მაგრამ გადახტომა ვერავინ გაბედა. ამ დროს მოიტანეს თოფებიც და ორი სამი სროლა ძლივს მიასწრეს, სანამ ვაჟია სახლის კედელს მოეფარებოდა.

სხვა ყაზახები ჩაცვივდნენ, მოასხდნენ ცხენებს და გამოეკიდნენ ვაჟიას, რომელიც მინდორზედ გავიდა და მიაჭენებდა ტყისაკენ.

იმას მისდევდნენ ყაზახები, ჯერ ჯგუფად და თოფის სროლით, მერმე რამდენიმე ცხენი დაწინაურდა, ცოტას ხანს შემდეგ ორი ცხენი გავიდა წინ და. ბოლოს, ერთმა დაიგდო ყველანი.

თოფის სროლა შესწყდა, რადგანაც უკანანი ველარ ჰბედავდნენ, რათა წინა ამხანაგები არ დაეჭრათ და ყველაზედ მოწინავეს კი თოფი არ გაჰყოლოდა. მაგრამ იმისი მხეცსავით ჩასისხლებული თვალები აშკარათ ამბობდნენ, რომ თუ მოეწეოდა ვაჟიას, ის ისე არ შეიწყალებდა, როგორც უკანასკნელს მხეცს.

ვაჟია მიაჭენებდა ცხენს და ხანდისხან დასჰყივლებდა ქუდის მოხდით და ქნევით, მაგრამ ნამთევს, გასუქებულს ცხენს ქშენა მალე მოეკიდა და ერბაშად უკლო, მაშინ როდესაც ყაზახის ცხენი ისევ ისე მირბოდა, რადგანაც გამოწვრთულს და მომზადებულს თითქმის ფერდები ერთმანერთს გაჰკროდა.

თანდათან ყაზახის ცხენმა მოჰკრიფა ვაჟიას ცხენი და ამან კი დაინახა, რომ ტყეში ველარ შეუსწრობდა. სხვა ყაზახები, რომლებიც ყიჟინით ამხნევებდნენ ამხანაგს, კარგად დაშორებოდნენ მას

ვაჟიამ მოიხედა უკან და ისე წინ-მიუხედავად უყურებდა; ყაზახს გაეძრო ხმალი და წუთით-წუთს ელოდა ვაჟიას წამოწდომას. ვაჟიამ გადმოიბრუნა თოფი და დაუმიზნა, ყაზახი სწორედ იმ წამს გადაწვა ცხენზედ, როდესაც თოფმა გრიალი მოილო და ტყვიამ მარტო ქუდი-ღა გაუკენწლა. ის გაიმართა ისევ ცხენზედ და დასჰყივლა. მოხევეს დრო აღარა ჰქონდა თოფის ხელახლა გასატენად და ამისთვის მხარზედ გადაიგდო, როგორც იმ ჟამად გამოუსადეგი იარაღი, და გაიძრო თვითონაც ხმალი... კიდევ წუთი და დასაკრავათ შემალლებულის ხმლით ყაზახი წამოეწია; ვაჟიამ სწორედ იმ დროს წაიბრუნა გვერდზედ ცხენი, როდესაც ყაზახმა ხმალი მოუქნია, ყაზახის ცხენი ოდნავ გასცდა ვაჟიას ცხენს, მაგრამ იმ წუთში იელა მოხევის ხმალმა.

ეს ყველა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ კაცი ძლივს მოასწრობდა თვალს. ყაზახის ცხენი გავიდა წინ, ვაჟიაც გაიმართა. უთუოდ ორნივ კადარჩნენ!... რამოდენიმე ხნის შემდეგ ყაზახის ცხენი ყალყზედ შედგა, თითქოს პატრონმა ჯილავს მოსწია ძალზედაო. ყაზახი შეტორტმანდა, გადმოიზნიქა უკან, კიდევ წუთი და ის ჯერ გადმოეკიდა ცხენს, მერე ავჟანდიდან ფეხი დაუსხლტა და გაგორდა მიწაზედ: ვაჟიას ხმალს თავი შუაზედ გაეჩეხა იმისთვის.

განთავისუფლებული ცხენი მოუსვენარ პატრონისგან შესდგა და ხან-გამოშვებით ფრუტუნით ბალახს წიწკნა დაუწყო: ვაჟია, რომელიც იმას გაუსწორ-

და, გადასწვდა ჯილაგს, დაიჭირა ცხენი და ერთს წუთში თავის ცხენიდან იმას მოექცა ზურგზედ.

რამდენსამე თოფის ხმაზედ, რომელიც მიმართეს ვაჟიას ყაზახებმა, მოხევემ დასჭყივლა ცხენს და შაეფარა ტყეში... საიდგანაც ყაზახები ბევრი ძებნის შემდეგ ცარიელები დაბრუნდნენ და ამ შემთხვევამ კი ნაჩალნიკი წამოაძახა:

— აკი მოგახსენებთ, რომ ყველანი ღვთის რისხვა და გარეგანი არიან!... რაც შეიძლება და რითაც შეიძლება, საჭიროა მაგათი ჩქარა მოშორება თავიდგან!

— მართალსა ბრძანებთ, მართალს! თავის კანტრუშით ეთანხმებოდნენ, თუ ეჩვენებოდნენ თანახმად იქ მყოფნი, რომლებიც ჩეჩნელთ გადასახლებით ისე გახალისდნენ, რომ ქართველობასაც ამასავე უპირებდნენ.

IV

ჩეჩნელები მიუახლოვდნენ ვლადიკავკაზს. გამწკრივებული ჭრიჭინა ურმები ზარმაცად მოგორავდნენ და გულს უწვრილებდენ ადამიანს. ურმებს მისდევდნენ ფეხ-შიშველა ბავშვები, რომელთათვისაც სიცხეს და წვრილს ქვაქვიშაში არეულს, ყავარ-ყავარ დაეხეთქათ ტიტველა ხორცი, შიგ ჩაჭდომოდათ მტვერი და წალმა-უკუღმა ლურჯათ დაეხაზათ. უექველია, წარმოუთქმელ ტკივილსა ჰგრძნობდა იმათი კანი, რადგანაც ჭამდაუწუმ კელობდნენ, ატაცებდნენ ფეხს და, თუ არ შესტირებდნენ, მწარედ მაინც არის იღრიჯებოდნენ.

იმათ გაიარეს ძაუგი, *) სადაც ხალხი მიეგება და იმათ ნახვაზედ ხმაგაკმენდილი გულის დუღილით შესცქერდნენ, ვინ იცის ვისის მიზეზით წამებულებს, მაგრამ რა იყო იმათ ხელს? რითი შეუმსუბუქებდნენ ვარამს?

ელისო იტანჯებოდა ამ სურათის ცქერით და ვაჟიას ლოდინით, რომელიც არსად სჩანდა, თითქოს გადავიწყებოდა თავისი სატრფო, რომლისთვისაც გუშინ კინაღამ თავი მოიკლა.

ანზორამაც არ იცოდა ვაჟიას თავ-გადასავალი და ამისთვის უკვირდა, რომ მოხევე არ დაჰხვდა იმათ ქალაქის ბოლოს და არ წაიყვანა ნაჩალნიკთან, როგორც წინადვე პირობა ჰქონდათ დადებული.

ქალი და მამა დახოცილებსავით იყვნენ და ერთმანერთს თვალს არიდებდნენ, რათა უცაბედო კითხვით თავიანთ უნებლივ მწარე საგანს არ შეჰხებოდნენ.

---

*) ქალაქი კავკავი.

ან რა ლაპარაკი-ღა უნდოდათ იმაზედ, რაც ისეც აშკარა იყო?

ა დაჰხვედროდა ძაუგის ბოლოს და ისინი აგერ მეორე ბოლოშიაც გავი- ნ. მაგრამ მოხევე არსადა სჩანდა.

აი იმ ადგილამდისაც მიაღწიეს, სადაც ღამე უნდა დამდგარიყვნენ დ ერეს ურმები, შემოარტყეს ისევ ალყა და იმათ გარეშემო დააყენეს მცვე- ად სალდათები და ყაზახები.

მზე ჯერ არ ჩასულიყო, როდესაც ამ ადგილების ნაჩალნიკი თოლმაჯებით ყაზახებით მოვიდა იქ, გამოიხმო კაცები და უთხრა:

— თქვენ თქვენის სურვილით მოიწადინეთ ოსმალეთში გადასახლება და ნება მოგეცით. ეხლა ჩემს ყურამდის მოაღწია ხმამ, რომ ზოგიერთს დარჩენა მოუწადნია. გიცხადებთ, რომ, ვინც ერთხელ ჩაიწერა გადა- ებულთ სიაში, იმისი აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია; რომ გაქცევა გაჰბედოთ, თქვენი მცველები ერთი-ორად გავამრავლე და.. იცოდეთ. გაქცევას მოიწადინებს, იმას შეუბრალებლად მოჰკლავენ. აგრე აქვსთ რძანები.

ამ სიტყვებით ის უკანვე გამობრუნდა და იორღა ცხენით ამაყად გასწია ადიკავკაზისკენ.

ხალხი რამოდენიმე ხანი ისე ჩუმად დარჩა და უსიტყვოდ, წყნარის ოხვრით შალა. ან რა უნდა ეთქვათ?. ვის რას გააგონებდნენ!?

ყველანი მოჰყვნენ თავიანთ ბინის გამართვას.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც ოსმალეთში მიმავლების ბინა ვ უწინდელს სურათს წარმოადგენდა. აქა-იქ ცეცხლები, რომელთ შუა ილსავით დადიოდნენ კაცები და დედაკაცები ერთი განსხვავება ეს-ღა ა, რომ ხალხი ეხლა მეტად დაღონებულიყო... ქიანურის ხმაც კი აღარ ისმოდა. არ შეწყვეტილიყო მხოლოდ უსიტყვოდ ზუზუნი, უსიტყვოდ ესა, უსიტყვოდ სულის გმინვა და გოდება!.

ესენი გასცქეროდნენ თავიანთ მინდვრებს, თავიანთ მთებს, რომელნიც ის სივრცეში ცის კიდურზედ იხატებოდნენ. იქეთგან უგზავნიდნენ ჩუმს, ღიანს სალამს და დანარჩენი კი ისევ კვნესასა და ზუზუნში გამოითქმოდა.

ერთბაშად ავარდა ერთს ადგილს კორიანტელი, თითქოს მიწიან ადგილს მა დაჰბერაო გაჩნდა კვამლსავით პატარა ნისლი და მაშინვე განქრა. გაჩნდა ორე ადგილს და განქრა. მასუკან რამდენსამე ადგილს ერთად გამოჩნდა ნისლი, რომელიც თითქოს მიწითგან იზრდებოდა, და აირია ჰაერი.

ქარი ზუზუნით დაუბერავდა და უერთდებოდა ხალხის ზუზუნს: უნუგეშოდ დარჩენილს მშობელს გული ველარ მოებრუნებინა თავის პირმშოს დაკარგვით! კიდევ წუთი და ცა ტყვიის ფრად მოიქცა! აშკარად გაავდრებას აპირებდა; ეტყობოდა ბუნებაც შეირყა ამდენის საცოდავობით და იმ ადგილს ცას უნდოდა თავის ქვეყნის შვილებთან უცრემლოდ გამოსალმება.

ჩავარდა ქარი, ჩამოცხა. გაჩუმდა ყოველისფერი. ჰაერი დამძიმდა, სუნთქვა გაძნელდა!.. ჩამოვარდა წვეთი, მოჰყვა მეორე. იჭექა ერთბაშად და წამოვიდა წვრილი, მაგრამ გამუდმებული წვიმა. ერთს წუთში მწვანე მინდორი დაიფარა წყლით, რომლითგანაც დაბალ ბალახებს თავები ამოეყოთ და წყნარად მღელვარებდნენ. წყალი გუბდებოდა ოღრო-ჩოღროებში, რადგანაც გამძღარი მიწა ველარ ისუტავდა. ქარი ისევ ამოვარდა, ხანგამოშვებით, ზუზუნით უბერავდა და აყინულებდა ყველაფერს. წამდაუწუმ ელვა და ქუხილი უერთდებოდა იმის ზუზუნს.

ბავშვები ტიროდნენ შიშით და სიცივით. მშობიარე დედაკაცები გოდებით წარმოსთქვამდნენ იმათ წყევას, ვინც ისინი მიიყვანა ამ დღემდის. და წყევლასთან ერთად ჰლევდნენ სულს კაცები წარბებ-შეჭმუხვნილი, ხანჯალს ხელ-გავლებულნი. ჩუმად იდგნენ და უყურებდნენ თავიანთ დღეს, თითქოს სამართალს ელოდდნენ, მაგრამ ვისგან?

ერთს ადგილს ავადმყოფი მოხუცებული დედაკაცი მიწოლილიყო და მწარედ კავკავებდა სიცივისაგან. შემოფლერთილი ტანისამოსი, რომლიდგანაც აქა-იქ დაწითლებული ხორცი გამოსჩენოდა, ამტკიცებდა, რომ ის უპატრონო და ლატაკი უნდა ყოფილიყო, საცოდავი წუმპეში მწოლარე ებრძოდა სიკვდილს და ამ უკანასკნელს სულის ბრძოლაშიაც ვერ ეპოვა მოსვენება. წვიმა დასდიოდა ზედ. ანზორამ შეჰკრა თვალი და გადააფარა თავისი ტყავი; ბავშვები მიეხვივნენ და ცახცახით მოუწვნენ აქეთ-იქით, როგორც ანგელოზები, რომელნიც თითქოს ლოცულობდნენ ამის სულისთვის... არ გაიარა რამდენმამე წუთმა, როდესაც წამოიწია დედაკაცმა და სული დალია.

ნუ თუ უზენაესი არ გაიგონებს, არ გადმოჰხედავს იმათ?..

დაბნელდა ძალზედ, წვიმამ ცეცხლებიც ჩააქრო და სიჩუმე დაირღვეოდა მხოლოდ განრისხებულის ბუნების გრგვინვით და ჩეჩნელთ ჩქარ-ჩქარის კვნესით და ღვთის ხსენებით.

იქნებოდა ღამის ათი საათი, როდესაც მგზავრების ბინისკენ, ბალახებში ჩაწოლილი წყნარად და სიბრთხილით ვიღაცა კაცი მიცურავდა. ის წამდაუწუმ ამოჰყოფდა ბალახებიდამ თავს და ათვალიერებდა იქაურობას, მაგრამ

ვე გაწვებოდა მიწაზედ და ისევ გაცურდებოდა; როდესაც მიუახლოვდა გილს, სადაც ყარაულების წრე იყო შემორტყმული, მან წყნარად აილო და ღამეში დაჩვეულის თვალებით სწრაფად გაარჩია, რომ ის ერთს აათს მეტად მიახლოვებოდა და გამობრუნება ამ მცველის შეუმჩნევლად ოდებოდა.

ართლაც, სალდათი, რომელიც ავდრის წყალობით მობუზულიყო და ებ-დახუჭული ელოდდა თავის გამოცვლას, ერთბაშად, შეინძრა, გაახილა ები და უკან წარსდგა. ეტყობოდა, რომ მეტად ახლო მიცურებული შეამჩნია და, რა პირი დაალო დასაყვირებლად, ვაჟიამ სწრაფად ხანჯალი ა ყელში და ხმა გაუწყვიტა; რუსი იქვე დაეცა და დაიწყო ფართხალი.

ვაჟიამ წყნარად ამოაძრო ხანჯალი, გაწმინდა სველ ბალახზედ და ისევ ვით წავიდა ჩეჩნელებისკენ.

როდესაც მიუახლოვდა ურმებს, ის წამოდგა და უშიშრათ შევიდა ჩეჩნეთან, სადაც კითხვა-კითხვით ჩქარა იპოვა ანზორას ურემი, რომელშიაც რს შეჰფარებოდა ელისო.

იმისი მამა თავშიშველი და თმაგაწეწილი, თითქოს ველარა გრძნობდა ვლარს, მთლად მისცემოდა თავის ფიქრს, თავის მწუხარებას.

ეხლა, როდესაც თავის ქალის და ვაჟიას ასეთი თავგანწირული სიყვარუშეიტყო, როდესაც დარწმუნდა, რომ იმათი გაყრა სიკვდილს ეთანაბრეა. წარმოუთქმელის ძალით მოუნდა დარჩენა და ამ წადილის ალსასრულოდ თავსაც აღარ შეიწყალებდა.

ჰე, ჰეი! შესძახა მოხუცმა, რა მიახლოებული კაცი დაინახა: – ვინა ხარ?

ანზორ? წყნარად და ჩუმად იკითხა მისულმა.

ვაჟია! სიხარულით წამოიძახა მოხუცმა და მოეგება.

გვიანობისა აღარაა, უნდა გავიქცნეთ!

ქვეითები?... სად წავუვალთ? პირდაპირ დაიწყო ჩეჩენმა, რადგანაც ვოებამ შეაჩვია, რომ უბრალოდ დრო არ დაეკარგა.

— აქვე. განაპირებით ცხენები მყავს, მხოლოდ ჩქარა!

ანზორა რომ მარტოკა ყოფილიყო, მაშინ ის დაუფიქრებლივ გაჰყვებოდა ას, მაგრამ ეხლა იმასთან იყო უკანასკნელი იმისი იმედი, რომლის ხიფათში ქმას სიკვდილს ირჩევდა.

ქალი როგორ წავიყვანოთ? ვაი თუ...

— მე მზადა ვარ, გააწყვეტინა ელისომ, რომელიც ურმითგან გადმოვი-
მე ყველაფერი გავიგონე, წავიდეთ.

ელისო! შესძახა ვაჟიამ და გატაცებით მიიკრა მკერდზედ.

ანზორა ცრემლიანის თვალებით შეჰყურებდა იმათ და ეშინოდა სი ჯარევით არ დაეშალა იმათი ბედნიერება.

— ღმერთი გაერთებსთ, კაცი ველარ გაგყრისთ! ბოლოს წარმოსთქ გაბრთხილებულმა მოხუცმა, რომელიც ყოველს წუთს აფასებდა: — აჩქარდით რაკი აგრეა.

ამ სიტყვებმა შეყვარებულნი გამოიყვანა თავდავიწყებიდგან და მოაგონ სამწუხარო ჭეშმარიტება.

— მართალს ამბობ, გვიანობა აღარ ვარგა, — უპასუხა მოხევემ, შეიბერტყა და ქუდის მოხდით დაუმატა: — ხევის ჯვარ-ანგელოზნო, თქვენ დაგვეხმარენით, თქვენ მოგვიმართეთ ხელი!

ვაჟიას წინამძღოლობით გასწიეს იმათ იმ გზითვე, რომლითაც მოვიდ ყმაწვილი მოხევე და, რა ურმებს გასცდნენ, ვაჟიამ წყნარათ უთხრა ანზორა

— აქეთგან მუცლით უნდა ვიცუროთ.

ორივე კაცი აქეთ-იქით გაწვნენ, შუაში ჩაიწვინეს ქალი და ისე ცურვი გასცილდენ ყარაულთა წრეს.

თერგის პირთან იმათ ნახეს სამი ცხენი, რომლებზედაც ამხედრდნენ და მთებისაკენ გაჭქუსლეს.

V

ისინი მიაჭენებდენ ცხენებს და ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ჩქარ გასცილებოდნენ ლარსს და დარიელს, ამ ყველაზედ ძნელს ადგილებს, სადაც კლდეები გახეთქილან და თითქოს განგებ ჩამოლესილან, რომ გაჭირვებულ კაცს ყოველი საშუალება მოუსპონ თავისუფალ სიარულისთვის.

აქ გავლა იმ ხანებში მით უფრო ძნელდებოდა, რომ მთელს გზაზე გარდიგარდმო, უკეთა ვსთქვათ, ჯვარედინათ, ღამე რუსის მცველებს აყენებდნენ და ამით კი საშვალება ეძლეოდათ ყოველგვარი უსამართლობისა, რადგანაც იმათი მოქმედება ღამე უმოწმოდ ჰხდებოდა და, მაშასადამე, უცხო თვალი ვერ დაესწრებოდა, ვერვინ გაარჩევდა, ვერვინ გაამტყუნებდა.

იქნებოდა საათის თორმეტი, როდესაც ვაჟია და მისი ამხანაგები ლარსის საფრთხეს მიახლოვდნენ. ვაჟიამ, რომელიც წინ მიუძღოდა, ცხენი შეაყენა მსწრაფლად გადმოხტა. ანზორამ და ელისომაც შეაყენეს ცხენები.

— რა ამბავია? — იკითხა მოხუცმა.

— ჩამოხტით ცხენიდგან! — მოკლედ უთხრა მოხევემ და მიეშველა ელისოს

ანზორამ, რომელსაც ცხენის სადავეები მისცა ხელში, კითხვა აღარ გაუმეორა, რადგანაც მოხევის სიბრთხილე, მოკლე სიტყვები და ბრძანების კილო ამტკიცებდა, რომ ისინი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და მეტი კითხვა კი მეტი დროს დაკარგვა იქნებოდა.

ვაჟიამ ახსნა თავის უნაგირიდგან ნაბადი, ამოიღო დანა და პატარ-პატარა ნაჭრებად დაუწყო ჭრა, მასუკან პატარა აბგიდან ამოიღო წვრილი თოკი და იმით ცხენებს ქაჩაჩზედ ნაბდის ნაჭრები მაგრად ამოაკრა. ანზორას, როგორც მინდორში აღზრდილს, არ ესმოდა ეს სიბრთხილე და ამისთვის გაკვირვებით უყურებდა მოხევის მოქმედებას.

— რას შვრები?—მოხუცს ველარ გაუძლო გულმა და ჰკითხა მოხევეს.

— აქ მცველები დგანან და ადგილი კი რიყიანია!

ამ სიტყვებით ანზორა მიხვდა, რომ ცხენის ფეხებს ამოკრული რბილი ნაბადი სიარულში ხმას აღარ გამოაღებინებდა და, როგორც ძველს მეომარს, ჯარის წინამძღოლს, მოეწონა ეს მოსაზრება.

— შენ მოსაზრებული ხარ!.. ბრალია შამილის დაჭერა, იმასთან სახელს ბალღ გაითქვამდი.

— შესხედით! - - დასძახ ისევ ვაჟიამ და წუთის უკან გაემართნენ გზას იმავე წყობით.

მართლაც, აქამდის ცხენების ფეხებს ისეთი რაკი-რუკი გაჰქონდათ ქვითა და ქვიშით გატკეპნილს გზაზედ, რომ მკვდარსაც კი გამოაფხიზლებდნენ. მაშინ როდესაც ეხლა სრულიად აღარ ისმოდა იმათი მოძრაობა.

ვაჟია მით უფრო დარწმუნებული იყო მოატყუებდა მცველების სიფრთხილეს, რომ, როგორც ეტყობოდა, გამოდარებას არ აპირებდა და დაბლად ჩამოწოლილი ნისლი კი ისე აბნელებდა იქაურობას, რომ კაცი თვალთან მიტანილ თითს ვერ გაარჩევდა.

აქამდისინ ჩქარი სიარული მოხევემ ეხლა შესცვალა წყნარით; ის გაბრთხილებული, ყურებ-დაცქვეტილი, თითქოს სმენად გადაქცეულიყო, რათა არავითარი ხმაურობა არ გამოჰპარვოდა. ვაჟიას რამდენჯერმე მოესმა რაღაც ხმაურობა, რამდენჯერმე შეაყენა ცხენი და კისერ-წინგაწვდილი კარგა ხანს უგდებდა ყურს, მაგრამ დარწმუნებული, რომ საშიში არა არის—რა, ისევ აგრძელებდა გზას.

ისინი მიახლოვდნენ ბოგირს, რომელიც იქვე ჩარხის წყალზედ არის გადებული და ცხენმა ერთბაშად დაიფრუტუნა, შეფრთხა და უკან დაიწია. ვაჟია გაუჯავრდა ცხენს და წყნარად მათრახის დაკვრით მიაგდო ბოგირს, მაგრამ ცხენი, რა მიახლოვდა, ისევ უკან გამოხტა.

— ტიალო! რა ჰნახე? — ძლივს მოასწრო წარმოეთქმა იმან, როდესაც სავით გამოიელვა რაღამაც და მოისმა რამდენიმე თოფის გრიალი.

— ოო! ძაღლებო, ძაღლებო! — დასჭყივლა იმან და ზედ მიაგდო სადაც ელვამ გაანათა ათიოდე თუ უფრო მეტი თოფიანი რუსი. მოხევ ზედ გაიძრო ხმალი და პირველსავე მივარდნაზედ ერთს ისე ძალზედ და რომ მხარ-იღლივ გადასხიპა, მაგრამ იმ წამსვე იგრძნო შუბის წვერი, მაც გულში ცივათ გაუარა. ის დაბარბაცდა, გაქრქოლდა და დაეცა.

— ულმერთონო, უსამართლონო, ურჯულონო! . ელი... ელისო! — ამ სიტყვებზედ აღმოხდა სული.

ანზორა და იმისი ქალი, რომლებიც ცოტა მოშორებით მოდიოდ თუმცა სრულებით დაეცხავებინა ტყვიებს, მაგრამ მოხუცს სიკვდილამდ დევ მოესწრო თავისი ქალის მკერდში ჩაკვრა და ისე დაელია სული...

ამ შემთხვევის შემდეგ მესამე დღეს, სწორედ ამ ადგილზედ, სად ხოცილები ჯერ კიდევ გზის პირად ეყარნენ და არავინ ჰფიქრობდა ი საფლავებას, გამოიარეს ანზორას ამხანაგებმა; ისინი უწინდელზე მეტათ ხებულიყვნენ!.. ისევ ის ზუზუნი, ისევ ის შემაძრწუნებელი გლოვის ხ ის გოდება და გმინვა; რომელიც სწყდებოდა გულის საძირკვლიდან და გებოდა ჰაერში!..

გასწიეს ამ საცოდავებმა ოსმალეთისკენ, მაგრამ ბევრმა ჩააღწია ნულს ადგილს?

2 ხევის ბერი გოჩა

I

იქმნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც სოფელს ყანობს რამდენიმე შეიარაღებული ცხენოსანი და ორიოდე მარხილი მიუახლოვდა.

მხედრები სულ ყმაწვილები, ნარჩევი და ერთი-ერთმანეთზედ ლაზათიანები იყვნენ. ისინი მიდიოდნენ მხიარულად, სიმღერით და თოფის სროლით. აშკარად ეტყობოდათ, რომ ესენი სამტროდ არ მიემგზავრებოდნენ, რადგანაც არც სიფრთხილე ეტყობოდათ და არც ისე ბევრი იყვნენ, რომ ასე გულადად და [illegible] შესულიყვნენ სხვის სოფელში, რომელიც თავისთავად მთელს, ძნელად ასაღებს სიმაღლეს წარმოადგენს.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, იმათ გამოეგებნენ იქაური ყმაწვილი ბიჭები და ორივე ცხენოსანთ გუნდი ერთმანეთისკენ ყიჟინით და თოფის სროლით გაექანნენ. ცხენები მიდიოდნენ თავბრუს დამხვევის სიჩქარით. მისი პატრონები ელვასავით ატრიალებდნენ თოფებს, ხან გადიზნიქებოდნენ, მიწას დაცემდნენ ხელს და ხან ისევ ისარსავით სწორედ გამართულნი, ნაზის, გულისმტაცებელის რჩევით ერთმანეთისკენ მიესწრაფებოდნენ.

აგერ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ცხენების თავები თითქმის ერთმანეთს წვდებიან, საცაა შეეჯახებიან. მაგრამ სწრაფად, თითქოს მანქანებით, ერთბაშად შეჩერებულნი, ქვისგან გამოჭრილს სურათებს დაემსგავსნენ და ჰაერში გაისმა მხიარული მისალმება:

— გზა მშვიდობისათ!

— მშვიდობითაც გივლიათ!

ამის შემდეგ მოკითხვა, სალამი, ქალამი და ყველანი, ერთმანეთში არეულნი, გაემართნენ გაცალკევებულის სახლისკენ, სადაც სარკმლებიდგან გაჩაღებული ცეცხლის შუქი და მხიარული „ტაშ-ფანდურას“ ხმა გამოდიოდა.

კარებთან გავარდა კიდევ თოფები და დამბაჩები, და ამ გრიალს შეუერთდა იქავ მოგროვილის ბავშვების ყიჟინის ხმა, და ცხენოსნები ჩამოხტნენ.

პატარეები მისცვივდნენ ცხენებს, ჩამოართვეს და დაუწყეს წინ და უკან ტარება, რადგანაც გაოფლიანებულს ცხენებს ოფლი კორიანტელსავით ასდიოდა და სიარულში შეშრობა ეპირვებოდათ, რომ ცივს ნიავს არ დაეკრა და არ დაებუთა.

სტუმრები მოგროვდნენ კარებთან. შუაში ჩაიყენეს ერთი წამოსადეგი, ახლად წვერ-ულვაშ-აშლილი ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც ნაბადი ჰქონდა წამოსხმული და გვერდს მოუყენეს მეორე ყმაწვილი ბიჭი. უფრო მდიდრულად ჩაცმული და მთლად ოქრო-ვერცხლით შეჭედილი.

ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით.

ცოტა ხანიც და გაისმა წვრილი. წკრიალა ხმა „ჯვარულისა“. მას მისცეს ბანი და ჰაერი დაიფარა მედიდურის. ძლიერის და ამ ერთად-ერთის სავაჟკაცო სიმღერის ხმით, რომელიც თავის ჰარმონიით კაცს გაიტაცებს, ძლიერებით ძვალსა და რბილს აუთრთოლებს, სისხლს აუჩუხჩუხებს და სახელის გამოჩენას მოაწყურებს. ამ სიმღერას მხოლოდ მთაში მღერიან, მხოლოდ იქაურს მედიდურს ბუნებას შეეძლო ამისთანა ჰარმონიული ხმის დაბადება!..

ამ სიმღერას მღერიან ხოლმე მხოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქორწილში. ეხლა ქორწილი გახლდათ. ნაბდიანი კაცი, გელა ფიჩიტაური, იყო სასიძო და მის გვერდით მყოფი ყმაწვილი, მდიდრულად ჩაცმული — ონისე, შვილი განთქმულის „ხევის ბერისა“ გოჩასი. რომელიც გელას ხელის მომკიდედ, მეჯვარედ მოჰყოლოდა.

II

სტუმრები შევიდნენ ხალხით გამოჭედილს სახლში, სადაც უფროსი კაცები მოეგებნენ, დაულოცეს სასიძოს გზა, შემოატარეს კერა და „ხელის მომკიდესთან“ და სახლის უფროსთან ერთად კერის პირას თავში დასხეს. აშლილი ხალხიც ისევ დალაგდა, გაიმართა ისევ ლხინი და თასების გაგზავნ-გამოგზავნა ჩვეულებრივის „სმურებით“.

აქ იყვნენ მარტოკა კაცები, ქალები არსად სჩანდნენ. მათი ხმა მოისმოდა სახლის უკანა კუთხიდგან, სადაც სენა იყო გამართული. იქ გაემართაი ტაშ-ფანდურა და იქვე მიეზიდათ ყმაწვილი ბიჭები, რომელნიც გატაცებით შესცქეროდნენ ლაზათით სავსე მოლეკურე ქალებს. ყველანი მხიარულად თამაშობდნენ, მაცდურად გამოუხტებოდნენ ყმაწვილ ბიჭებს, რომელსამე „შავ ბიჭს“ ეშმაკურად ჩაუკრენტდნენ თვალსა და ესეც, აღგზნებული რაღაცა ძალით, წახალისებული გაეკიდებოდა ხან წყნარად დამშვიდებულს წყალსავით — მიმდინარე და ხან მთის მდინარესავით გაკოფებულს და გაშმაგებულს ქალსა. აგერ მირბის დამკრთალს არჩვსავით მოხევის შავთვალა ქალი, იმისი სახე სრულს შიშს გამოსთქვამს, რადგანაც არწივსავით მკლავებ-გაშლილი კაცი მისდევს თავის მსხვერპლს. ნაზი ქმნილება თანდათან დუნდება, კაცი უყურე

აი წუთიც და გულში ჩაიკრავს შეშინებულს, ქედანსავით აკანკალებულს ქალს, მაგრამ მოლოდინი არ უმართლდება: ერთბაშად გატრიალებული ქალი ხელიდგან ეცლება და, მეორე მხარეს გამხტარი, ფეხებს ათამაშებს. გულდაწყვეტილი კაცი დასცქერის და ხედავს თავის მსხვერპლს მომხიბლავის ღიმილით და მოჟუჟუნე თვალებით, რომელნიც იმას იწვევენ, იპაჭუკებენ და თითქოს ეუბნებიან: „დამიჭირე და მე გაგრძნობინებ სიცოცხლის სიტკბოებას!“

ონისე და გელა, რომელთაც დღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩინათ, ისხდნენ გაუნძრევლად, თუმცა გული და სული გამხიარულებულ ყმაწვილებთან ჰქონდათ და ჩუმჩუმად გასცქეროდნენ იმ მხარეს, საიდგანაც ლხინი და თამაშობის ხმა მოდიოდა. გელა იწოდა სურვილით, რომ თავის სანატრელის ძიძიასთვის თვალი შაეკრა და ონისე კი, რომ ქორებრივი თვალი გაეყარა ვისთვისმე განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო ისა, ოღონდაც არის მის თვალებსაც ელვარება ჰქონოდა, ტუჩებს მიმზიდველობა, ლოყებს სიყმაწვილის ელფერი და გულს სისხლის ამაჩუხჩუხებელი ძალა.

არ გაუვლია რამდენსამე წუთს, როდესაც ხალხი გაიპო და მათ შორის გამოჩნდა ვიღაცა მოხუცებული დიაცი. ყველანი ზეზე წამოდგნენ და მიესალმნენ მოხუცს, რომელიც პირდაპირ „ხელის მომკიდესთან“ მივიდა, ჩაიკრა გულში და უთხრა:

— აბა, ჩემო ყველავ, ჩემ ქალა-შავას შენ გაბარებ... შენ უნდა მოუარო. შენ უპატრონო, იმის გამჯავრებელი შენ უნდა გააჯავრო!

— ღმერთს არ მოეტყუების, ხაზუავ, რომ რაიც ხელიდგან გამამივა, თავს არ შევიშურებ, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა და დაუმატა არა სახუმრო კილოთი: ვინც მაგას აწყენინებს, იმას ჩემთან ექნების საქმე და, ღთის მადლმა, ჩემთან მასხარობას კი არცვის არ ვურჩევ.

— გელაი, ბალღია, — დაუმატა მოხუცმა, -და სოფელი კი ჭრელი... კაცის ენას რაი არ შეუძლიან, დაარიგოდე ეს ბალღი, ცხოთა ენას ნუ მიჰყვების, ქვეყანაზედ მტერი არ დაილევის და იმათ სიტყვას რომ მიჰყვეს, ე მაგ ქალა-შავას ჩამომიდნობს, დამილევს...

— რაისთვი, რაისთვი ანბობ მაგას, ხაზუაისი! — გააწყვეტინა ონისემ: გელაი, მართალია, ბალღია, მაგრამ არაა ლოთი და ავარდნილი კაცი... ამხანაგებს თავის მარჯვენა თოლსავით უყვარსთ; ყველა თავს დასდებს მაგისთვი, ამიტომ რომ თავად გელაც ეგეთია მეზობლისთვი... გელაი ვაჟკაცია და, ღთის მადლმა, ჯალაბობაშიაც თავს არ შეირცხვენს.

— შენს პირს შაქარი, ჩემო ყველავ, შენს პირს შაქარი! — უპასუხა მოხუცმა და დაუმატა: ნუ დამარხავ, ონისესი!.. ცას შევბერდი, ადამის ქმნ შევიქენ და მაგ ერთაი ქალაის მეტი არა გამაჩნია-რა... მაგაზედ ამოდის მზ და მთვარე, მაგაზედ-ღა ვიბრუნებ სულსა.

-- კარგი-ღა, ხაზუასი, სტუმარი ნულარ შეაწუხე, — დასძახა ვიღაც მოხუცებულმა კაცმა და დაუმატა: — წაიყვანე და პატარძალი ჩააბარე.

— აგრე, აგრე, შენაი ჰირაიმე... იარე, ონისე! — მოხუცი დედაკაცი კა უძლვა ონისეს და გელამ კი შურით ავსებული თვალები გაადევნა, რადგანა იქ უნდა დარჩენილიყო და ძიძის ხილვამდის კიდევ რამდენიმე საათს უნდ გამოევლო.

III

დაბნელებულს სენაში, რომელსაც ოდნავ ანათებდა მბჟუტავი კვარ კასრებსა და ქილებს შუა იჯდა პატარძალი ძიძია თავის რამდენიმე ამორჩ ლის მეგობრებით, რომელნიც მის გართობას ცდილობდნენ.

ძიძია იყო თექვსმეტის წლისა, მაშასადამე, ასაკში მოსული ქალი, სრუ ლიად გაშლილი და გადაფურჩნული, სიტყვით, იმ ხანში, როდესაც ძარღვებ ში აღელვებული სისხლი ქაფდება, სდუღს და ჩუხჩუხით მომდინარეობს, როდესაც გული მიილტვის რაღაცა ჯერედ უცნობის ბედნიერებისაკენ და თვა ლით შესთამაშებს ყვავილებს და ბუნებას, სიცოცხლე ედემად ეშლება, ცხოვ რება სიამოვნების ნექტარს ექადის. ის იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერად და კოკრებულის ლამაზის თხელის ტუჩებით, რომელნიც თითქოს საკოცნელად მომზადებულიყვნენ; თეთრ-ყირმიზს, ატლასის მსგავს სახეზედ დასთამაშებდა მხურვალების ნიშანი ელფერი, რომელიც თავის დღეში გატყაპულს სიწითლეზე არ გადადიოდა; მოჟუჟუნე, ლურჯი ცისფერი თვალები მაცდურად უკაშკაშე და და გულის გამგმირავს ისართ ისროდა; შავი გრძელი წამწამები გარს შეუკ ლებად მოსდგომოდა და წვრილი, ხავერდისებრივი წარბები გრძლად გადაჰყო მოდა; სქელი შავი თმა ორს ნაწნავად თეთრ ბროლივით ყელს სუროსავ შემოჰხვეოდა, — სიტყვით, ძიძია ნახატი მშვენიერება იყო და მისი მნახვე ვერ გასძლებდა, არ ეთქვა: „ცხონდეს შენი მშობელიო“.

ძიძიას შესტრფოდნენ ბევრნი, ძალიან ბევრნი, რამდენჯერმე მისი მო ტაცებაც კი სცადეს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მისი ბედ-იღბალი ვე იყო და მას დარჩა.

რაკი გელამ თავისად დაასახელა ძიძია, რაკი ქალმაც პირობა მისცა, იმას ისე ადვილად ველარავინ გაუბედავდა რასმე, რადგანაც ამგვარს შემთხვევაში გელას ხუმრობა არ უყვარდა და მალე დააბნელებდა იმის მზეს, ვინც წინ გადადგომას მოიწადინებდა.

თუმცა ძიძია თხოვდებოდა თავის სურვილით, თუმცა მოსწონდა თავისი გელა და არაერთი ღამე გაეთენებინა მასთან ჩქარა შაერთებაზედ ფიქრით, არაერთხელ მოზმანებოდა მისი ლომებრივი, ვაჟკაცის სახე, მაგრამ დღეს, როდესაც ის უნდა გამოსალმებოდა თავის სახლს, მეგობრებს, ჩვეულებას, როდესაც ქალობიდგან დედაკაცობაში პირველი ნაბიჯი უნდა შეედგა, გული როგორღაც აუკანკალდა და წარსული შენანდა. ამ წარსულს ის კარგად იცნობდა, კარგად ჰქონდა იგი შეთვისებული! ის იყო ყოველთვის და ყველასთვის განებივრებული, ყველას უყვარდა, ყველა უალერსებდა და, ვინ იცის, მომავალიც ამასვე მისცემდა?

ქალი ჰგრძნობდა რაღაცა ინსტიკტიურს მღელვარებას და ანგარიში ვერ მისცა თავის თავისთვის. ამ მდგომარეობას მოეპარა მისთვის ფერი, ნაზად გაფითრიცა და ამ ფერს კიდევ უფრო მეტად დაემშვიდებინა მისი ანგელოზებრივი სახე.

მეგობრები ანუგეშებდნენ, ეხუმრებოდნენ, როდესაც მოისმა ხმა:

— „ხელის მომკიდე“ მოდის, „ხელის მომკიდე!“ —და ყველანი ზეზედ წამოცვივდნენ. ძიძიამ იგრძნო, რომ თითქოს მას გულში რაღამაც უჩხვლიტა, მთელს სხეულში გაურბინა რაღაცა უსიამოვნო გრძნობამ და ფეხზედ წამოდგომით საჩქაროდ ჩამოიფარა პირბადე.

ოთახში შემოვიდნენ ხაზუა, ვიღაცა მოხუცებული კაცი, ონისე და ყმაწვილი ქალები, რომელნიც შემოეხვივნენ ძიძიას. დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგრძნობელის სიტყვებით ყმაწვილს ქალს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასალმებდნენ და ტირილით და კოცნით თითონაც ესალმებოდნენ.

ბოლოს, შესწყდა სიმღერა, მოხუცმა კაცმა აანთო წმინდა სანთელი, წყნარად გადაიწერა პირჯვარი, მივიდა ქალთან, გამოართვა ხელი, ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზები და მიუბრუნდა ონისეს:

— ონისევ! აჰა, ჩაგვიბარებია თქვენთვის ქალი წრფელი და შეურცხვენელი... დღეის ამას იქით შენ აგვირჩევიხარ ამის ძმად.—ამ სიტყვებზედ იმან გადასცა ონისეს ქალის მთრთოლვარე და გახურებული ხელი.

ონისემ რაწამს ამ ხელის მიკარება იგრძნო, როგორღაც შეკრთა, დაიბნა და თითონაც გაჟრჟოლდა, თუმცა ამგვარი მდგომარეობის მიზეზი ვერ აეხსნა.

— აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც დღეის ამას იქით მოუვლი და უპატრონებ... თქვენს სოფელში შენს მეტი პატრონი არავინ ეყოლების, შენ უნდა გაუწიო ძმობა.

— აბა, ღმერთს არ მოეტყუების, რომ თავს დავდებ მაგისთვის.

მოხუცი მივიდა, წყნარად ასწია პირბადე სწორედ იმ დროს, როდესაც ონისე ამბობდა.

— ეგ და მე ძმა...

მაგრამ სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა, მთლად გათრთოლდა და მთვრალსავით წაბარბაცდა, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

— რაი მოგივიდა? — მიეშველა მოხუცი.

— არც-რა, არც-რა, დამცხა, თავსბრუ რასმე დამეხვა, ძლივს-ღა წარმოსთქვა ონისემ.

— ბევრი თუ არა სვი? მაიტა-ღა წყალი, — მიუბრუნდა მოხუცი იქ ყოფებს.

— არ მინდა, შენი ჭირიმე, — უპასუხა კაცმა, რომელსაც ქალის ხელი ჯერ კიდევ არ გაეშვა, თუმცა ჰგრძნობდა, რომ ეს ხელი სწვავდა, სდაღავდა მას, უღელვებდა სისხლს და გონებას აფანტვინებდა.

ონისემ მოისვა შუბლზედ ხელი, მაგრად მოიწურა ოფლი, პირდაპირ შეხედა ქალს და ხმა-მაღლა მტკიცედ წარმოსთქვა:

— იყოს თავდებად ზევით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ძიძი დასავით შეყვარება, გავუწევ ძმობას, მაგისთვის ძმაზედ უფრო მეტი ვიქნები! —

ამ სიტყვებზედ ქალის ხელი კიდევ ერთხელ შეკრთა, კიდევ წყნარად გაჟრჟოლდა, ერთი შეხედა და მაშინვე თავი დახარა. წყნარმა, მაგრამ ძლიერმა ოხვრამ ონისეს სიტყვა გაუწყვიტა პირში და გული მოუსვენრად გაუფართხალა.

IV

ონისემ იგრძნო, რომ მას ზღვასავით მოაწვა აღელვებული სისხლი. რომელიც ჩუხჩუხით ხან გულისკენ გაქანდებოდა და აატოკებდა, როგორც ზღვის ზვირთები უალქნო ნავს, ხან თავს ეძგერებოდა და ნისლსავით ეხვეოდა. უბნელებდა თვალებს და გონებას.

ყმაწვილი ბიჭი ჯავრობდა თავის თავზედ, ჯავრობდა, რომ აღძრული გრძნობა ველარ შეემაგრებინა, ცდილობდა ქალისთვის დასამშვიდებელი

ყვა რამ ეთქვა, მაგრამ პირ-გამშრალი, თითქოს ყელში რაღაცა გახირებოდა, ენას ველარ იბრუნებდა. იმან საუკეთესოდ დაინახა, მალე მოშორებოდა იმ საფრთხეს, სადაც მისი არსება ასე სწრაფად იქმნა დამორჩილებული. გული ასე მოულოდნელად გაქელილი.

ონისე გამოეთხოვა ქალსა და გავიდა სამყოფო სახლში, სადაც დანარჩენი სტუმრები მხიარულობდნენ: ყმაწვილი ბიჭები ერთმანეთს ებაასებოდნენ და მოხუცი ხალხი კი საქართველოს მომავალს მდგომარეობაზედ ლაპარაკობდა.

ჩქარა მოიტანეს „სიფროები“, გაავსეს „ფუნთუშებით“* და მოვლილის ქედილების მსუქანი ხორცით.

რადგანაც ეს ამბავი ზამთარში ხდებოდა და იმ ღამეს კი თოვლი მოდიოდა, ამისთვის ყველანი ჩქარობდნენ, რომ პურის ჭამა მალე გაეთავებინათ და შინ დაბრუნებულიყვნენ, რათა ჩამოსულს ზვავებს სადმე გზა არ შეეკრა და ახალ ჯვარდაწერილები გარედ ცის ქვეშ არ დარჩენილიყვნენ.

საყველაწმინდო თასმაც ჩამოიარა; გვარის უფროსმა, სუფრის თავს „მარტო-შკამხედ“ მჯდომარემ აანთო წმინდა სანთელი, ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზნი და მექორწილენი ღმერთს შეავედრა, მერე მიუბრუნდა ონისეს და რამდენიმე სიტყვით მოაგონა „ხელის-მომკიდის“ მოვალეობა ქალისადმი და მოითხოვა მზითვის ყუთი, რომელიც ჩააბარა მაყრებს.

არ გაიარა წუთმა და „ხელის-მომკიდე“ ხელახლად წაიყვანეს სენაში, სადაც პატარძალი უნდა ჩაებარებინათ.

ონისეს ჯერ კიდევ ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის და გაბრუებული, რაღაცა უცნაურს მდგომარეობაში მყოფი, სრულიად დაფანტული აღსრულებდა, რასაც კი ეუბნებოდნენ.

ის შეიყვანეს, მისცეს ქალის ხელი ხელში და მოისმა ისევ ჯვარული. „ხელის-მომკიდემ“ და ქალმა გამოსწიეს სამყოფო სახლისკენ, სადაც სიძე იყო, ამ სიმღერის ხმაზედ, რომელიც ონისეს დასაფლავების გალობის ხმად ეჩვენებოდა. იმათ გამოსვლაზედ გელა მთლად აინთო, ნაღვერდლად გაუბრწყინდა თვალები, შეკავებულმა სიამოვნების ღიმილმა შეუთამაშა ტუჩები და მორცხობამ თავი დაახრევინა.

ონისემ მიიყვანა ქალი და გადასცა სასიძოს, რომელმაც გაშმაგებით საჩქაროდ მიაშველა თავისი ხელი. მხოლოდ საკვირველი ეს იყო, რომ ქალი თითქოს რამდენჯერმე შეჰკრთა და „ხელის-მომკიდის“ ხელის გაშვება ეძნელებოდა, მაგრამ გელამ გაავლო ხელი და ისეთ რიგად მოუჭირა, რომ ქალს

---

*) ფუნთუშა — ერთგვარი პურია, რომელსაც ღუმელში აცხობენ.

ძლებმა ქახქახი დაუწყეს და ტკივილისაგან კინაღამ შეჰყვირა. ონისე გაუძღვა წინა და მას მიჰყვა მეფე-დედოფალი, სადაც საქმროს მარხილამდე უნდა მიეცილებინა, და იქ კი პატარძალზედ ზრუნვა ისევ ხელის მომკიდესათვის უნდა მიენდო. პირველ მარხილში ჩასხდნენ, ჩვეულებისამებრ,* მხოლოდ „ხელის-მომკიდე“ და პატარძალი. მეფე ცხენით უნდა წამოსულიყო, რადგანაც ქალს ჯვარის-წერამდის ვერ მიეკარებოდა. მეორე მარხილზედ დაუწყეს მზითევი და ამ სახით, მაყრების სიმღერით, თოფის სროლით და ყიჟინით გამოსწიეს შინისკენ.

V

ღამე იყო ცივი და ნისლიანი, თუმცა თოვლის გამო საკმაოდ განათებული. ხანგამოშვებით ქვენა ქარი ზუზუნით უბერავდა და წვრილი, მაგრამ ხვრიში თოვლი მიმავლებს პირისახეს უწკეპლავდა.

პატარა ბიჭი, მთლად ტყავში, ნაბადში და ყაბალახში გახვეული, ცხენს მიერეკებოდა, რადგანაც თოვლს გზა ჩაეჩუმქრა და ცხენს სიარული უძნელდებოდა და გასავლელი გზა კი ჯერ ბევრი ჰქონდათ.

მაყრიონი, გახურებული ჯირითობით და წარსულის ქეიფით, მარხილს კარგად დაჰშორებოდნენ და ხან ცხენების ერთმანეთზედ მიგდებით, ხან ერთისაგან მეორის ქუდის გატაცებით და გადაგდებით, მესამისაგან კიდევ გაჭენებულის ცხენიდგან გადაზნექით და ისე აღებით კიდეცა თბებოდნენ და დროსაც ატარებდნენ.

ონისე იჯდა მარხილზედ, გადაეგდო თავიდგან ყაბალახი, გადაეწია ქუდი და გახარებული შუბლი და სახე გამყინავის ქარისთვის მიეშვირა.

წმინდა ჰაერმა, თუ ხანის გამოვლამ იმას თითქოს მოაზრების საშუალება მისცა და მხოლოდ ეხლა დააკვირდა თავის მდგომარეობას. მხოლოდ ეხლა იგრძნო პირველად გაღვიძებულის გრძნობის სიტკბოება და მასთან ის მტანჯავი მდგომარეობა, რომელიც ვალად სდებდა გვერდით მყოფს სატრფოს სრულიად სხვა გვარად მოჰქცეოდა.

იმას მიექცია პირი ქარისა და თოვლისაკენ, რომელთაც აღარაფერი უშლიდა და სხაპა-სხუპით სცემდა პირისახეში; ის მათგან მოელოდდა რაოდენადმე შეღავათს და დამშვიდებას.

---

*) ეს ჩვეულება ეხლა შეიცვალა: ამ ბოლოს დროს მეფე-დედოფალი და „ხელის-მომკიდე“ ერთად სხდებიან ქალის სახლიდამვე, რადგანაც ჯვარის-წერა უმეტეს შემთხვევაში ქალის სამშობლოში ჰხდება.

იმას ეგონა, რომ შუბლის გაგრილებისათანავე სისხლიც დაუმშვიდდებო- და ავარდნილი გული თავისავე დონეში ჩავარდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, რი ატყუებდა და დაღონებული ჰხედავდა, რომ მის გულში აღმოუფხვრე- ი ჩასახულიყო ძიძიას სახე და წყნარად, ფრთხილად და სიამოვნებით არ- ა. იმ სიფრთხილით და მზრუნველობით, როგორც მშობელი თავის პირ- ს. როგორც ყაჭის პარკს ნაზი ნიავი, რომელსაც ძვირფასის ქმნილების რძინება ბუნებისაგანვე ჰქონდა მინდობილი.

ონისემ სიტყვა მისცა თავის თავს, რომ ქალისკენ არ მოეხედნა, არ დაჰ- არაკებოდა მას, რადგანაც იცოდა, რა საშიში განსაცდელი იყო მისთვის ვარი საქციელი.

იმას არამც თუ მიხედვისა და დალაპარაკებისა ეშინოდა, არამედ განძრე- მომეტებულს ამოქშენასაც კი ვერა ჰბედავდა, რათა რომელიმე მოულოდ- ლობით არ შეეწყვიტა ის ხაიათი, რომელზედაც თავშეკავება ეკიდა.

ძიძიაც იჯდა გაჩუმებული, თავდახრილი და ხმას არ იღებდა. ვინ იცის გულში რა მოძრაობდა, მისი აზრები რა გვარს ტალღებს ააგორებდა, კენ და რა ძალით მიაქროლებდა. ან რომელს საგანს ჩასცივებოდა, რა ათი წარმოსდგომოდა თვალწინ და გაწამებული ზედ დაჰკდომოდა.

მაყურებელისათვის მისი გული ამ წამში იყო ბნელი უფსკრული, სა- ც კაცი ვერაფერს გაარჩევდა, საიდანაც ვერას ამოიკითხავდა, და მისი გუ- ს მოძრაობის შეტყობის მსურველი პასუხის მიუცემლად, იმედ-გადაწყვეტილი ნვე უნდა დაბრუნებულიყო.

ძიძია იჯდა გამოქარგულს თხელს ახალუხში და ზეიდგან წამოგდებული ნდა შალი, რომელიც ავდრისა და ქარისგან საკმაოდ ვერ იფარავდა. ის ალიან თოშდებოდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა, თუმცა სიცივე ძვალ- და რბილში გასჯდომოდა და მეტად აწუხებდა.

იმის „ხელის-მომკიდეს“ ეს შემთხვევა თავში არც კი მოსვლია, იქამდის თულიყო თავის საკუთარის მდგომარეობით. იმას ცოტა ფიქრი არ უნდო- რადგანაც ნათესაობამ სათემოდ ძიძიას მომავალი მის სინდისს და მზრუნ- ობას ჩააბარა. ამ ქალის სახელი და პატივი, ქმრის წინაშე დაცვაც კი მი- მოვალეობა გამხდარიყო, ხოლო მთიელთ შეხედულობით, „ანაბარი მგელ- კი იცის“. და ამ დროს, როდესაც თითონ მას შესდგომოდა მაცდურად ქნობა, ჩასვლოდა სულის საძირკვლამდის და ძვალსა და ტვინს უწოვდა, უბრალებლად უღრღნიდა, ონისეს ამისთანა ძნელად შესასრულებელს მო- ეობასა სდებდნენ.

ქარმა, ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს: ქალმა ველარ გასძლო და გათრთოლებულს ცახცახი დააწყებინა. მის პირველსავე მოძრაობაზედ ონისე გველის ნაკბენსავით შეკრთა და თავისავე უნებურად კისერი ქალისაკენ მიაღრიჯა. იმან დაინახა თხელს ტანისამოსში ქალი და გული მოუკვდა. ძიძია, იმის ღმერთაი, სალოცავი, სიწმინდე ამ გაჭირვებაში იყო და იმას არც კი მოჰგონებოდა იმაზედ ზრუნვა!

ერთი თავის მიბრუნება, ერთი შეხედვა, ოდნათი მიკარება საკმარისი იყო, რომ თოფის წამალსავით ეფეთქა და მთელს სხეულს ცეცხლი მოსდებიყო.

— ქალაუ, მოგიკვდა ჩემი თავი!.. მთლად გათოშილხარ და მე კი არც კი მომაგონდი! -- წარმოსთქვა ონისემ და ხმა ისე აუკანკალდა, რომ მღელვარება დაიწყო.

არა მიშავს-რა, შენაი ჭირაიმე. წარმოსთქვა ქალმა ნაზის და, ვინ იცის, რა მიზეზის გამო ცრემლ-მორეულის ხმით.

— ბეჩაუ, არა მიშავს-რა რაია?... შენ რომ ავად გახდე, მე რაიღა მეშველების?--ამ სიტყვებით ონისემ აიწია ნაბადის კალთა, წამოახურა ძიძიას, რომელსაც სველი შალი მოხსნა და იქვე მარხილში ჩააგდო. მერმე მაგრა მოიჭუჭკა ნაბადი და ნაზს წელზედ ხელ-მოხვეული ქალი მკერდზედ მიიკრა. ამ ქალის მიკარებასთან ერთად ონისეს გული მეტისმეტად გათრთოლდა, შეკუმშა და შესდგა. გათრთოლდა კიდევ, კიდევ და ერთბაშად აძაგძაგებულმა გულმა მისცა გამოქანებულ ადუღებულ სისხლს, რომელიც მწვავად და სანეტარო ალმაშფოთებლად მთელს სხეულში დაიმქრა, რომელმაც სხეულის ყოველს ძარღვში დაჰკრა. ძიძიაც გაჩუმებული, გაწამებული და გაყუჩებული, თითქოს ამ კაცის მდგომარეობას შაეშინებინა, დაემონებინა, თუ გაეგებინებინა მისი გაჭირება, არ ეწინააღმდეგებოდა ონისესა. ამ კაცს დაეკარგნა მოაზრება. დავიწყებოდა თავისი თავი, თავისი მოვალეობა და თანდათან უფრო და უფრო იკრავდა გულში და ყოველ მოძრაობაზედ გონებასა ჰკარგავდა.

ის შეეპყრო მხოლოდ ერთს გრძნობას, რომელიც ტკბილად ჩასჩურჩულებდა, რომ ის ბედნიერია, რომ ამ ბედნიერებას ქვეყანაზედ არა შეედრება-რა. რაღა საქმე ჰქონდა ან ხალხთან, ან ქვეყანასთან, სადღა ეცალა ძალზედ საფიქრებელად. ონისეს თავი წყნარ-წყნარად იხრებოდა, უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, რომელსაც ძალზედ სწვავდა კაცის გახურებული ქშენა. ის თანდათან უახლოვდებოდა და ჩასჩურჩულებდა წარმოუდგენელის სიტკბოებით, იმ სიტკბოებით, რომლითაც მართლა წრფელის გულით შეყვარებულს შეუძლიან; როგორც შეყვარებულს კაცს, რომელსაც მრავალ-სიტყვიერება გადაჰვიწყებია.

— ცივა, კიდევა ცივა... ჩემო ყველავ! მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ონისე, მაგრამ ამ ორიოდ სიტყვაში ხმას იმდენი მიხვრა-მოხრა ქონდა, ისეთის ჰარმონიით იმკობოდა, რომ აშკარად შენიშნავდ[illegible] [illegible]ხნეულს საკირეს, მის გულში ანთებულს, გამხეცებულს სიყვარულს, მის [illegible]ებლად გამხდარს.

ძიძია, კურდღელსავით განაბული, კაცს მიჰკრობოდა მკერდზედ და მისი ორჩი გული შიშ-გარეულის სიხარულის ფართხალით უპასუხებდა ქალის მდგომარეობას. აქამდის ჰფარავდა თავშეკავება, ამ წუთებამდის ძალა კიდევ შესწევდა გრძნობა დაეფარა, მაგრამ ეხლა, როდესაც ონისეს თავი თანდათან იხრებოდა. როდესაც იმისი სახე თანდათან უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, უკანასკნელი ჰგრძნობდა კაცის გახურებულს ქშენას, ძიძიას გაუწყდა ხაიათზედ ჩამოკიდებული მოთმინება, თვითონაც მოუთმენლად ამოიქშინა და მადლიერი თვალები მისკენ მიაქცია.

შეპყრობილთ ერთის გრძნობით, აღგზნებულთ ერთ რიგის წადილით, რაღაცა უხილავი ძალა ერთმანეთისაკენ იზიდავდა. წუთიც და სიტკბოებით დამთვრალთ-დაბნედილთ ტუჩები მათსავე გაუგებრად ერთმანეთს ჩაეწებნენ.

VI

ვინ იცის, შეყვარებულთ ალერსი სანამდის გაგრძელდებოდა, თუ ერთს მოულოდნელს შემთხვევას არ დაეშალა. ერთს მაყარს მეტად შესცივნოდა და მოეწადინა არაყით გათბობა, ამისათვის შეეყენებინა ცხენი და მარხილს ელოდდა, რომელშიაც ტიკჭორები ეწყო.

როდესაც მარხილი გაუსწორდა, დაინახა, რომ ონისეს, რომელიც თითქოს სიცივეს მოჰფარებოდა, თავი ნაბადში ჩაეყო. ამ გვარი საქციელი მთის კაცს არ მოეწონა, რადგანაც მამაკაცს სიმხდალე დედაკაცისთვის არ უნდა ეჩვენებინა: ეს, მთიელთ შეხედულობით, სირცხვილიც იყო და დამამცირებელიც, და ამხანაგის საქციელი კი დანარჩენების სახელსაც იმდენად შეეხებოდა, რამდენადაც თითონ მომქმედს.

ამისთვის მაყარმა გადუქნია ონისეს მათრახი და თუმცა შეხუმრებით, მაგრამ საგრძნობლად უთხრა:

რას სჩადი, გუგრიანო, თუ არ გაიყინე?

ონისე შეკრთა და გაჟრჟოლდა. იმან წამოიხედა და ჯერედ კიდევ წარსულის წუთებით დაფანტულს თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა. პირველში ის ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ მას დაურღვიეს სიტკბოება, დაუშალეს წუთის ბედნიერება, მაგრამ რადა, ვინა?--ამაში ანგარიში ვერ მიეცა.

მაგრამ ამგვარს მდგომარეობაში მხოლოდ ერთს წუთს იყო. ონისე ჩქარა გონს მოვიდა და აშკარად დაინახა შეუწყალებელი ჰეშმარიტება, რომელიც უსპობდა არამც თუ ამ წუთის სიამოვნებას, არამედ მომავალს მოსვენებაზედაც კი იმედს აკარგვინებდა, და ცივი ოფლი დაასხა. წუთის წინ ის იყო შეპყრობილი მხოლოდ ერთის გრძნობით: მას უყვარდა ანგარიშ-მიუცემლად, ხარკს აძლევდა ამ ძალას; მაშინ ყველაფერი გადაჰვიწყებოდა, ყველაფერი: ხალხიც, თვით მოაზრებაც და მარტო მთრთოლვარე გულის ფართხალს მისცემოდა, მით უფრო სასიამოვნოს, რომ ამითვე პასუხს აძლევდნენ; --ეხლა კი ის იყო კაცი, რომელიც სჯიდა, ანგარიშს აძლევდა თავის მოქმედებაში და სწონავდა თავის მდგომარეობას.

ონისემ აშკარად დაინახა შეცდომა, აშკარად იგრძნო თავის წადილის აღსრულების შეუძლებლობა და სინანულის ნაპერწკალმა მწვავად გაჰკრა გონებაში: -- ..მაშ ტყუილად თრთოდა მისი გული სანეტარო მომავლის მოლოდინით? მაშ ტყუილად ენთებოდა და მოუსვენარად ტოკავდა მისი გული? ამაოდ სტკუედებოდა და ამ გრძნობითვე აღელვებულს ძიძიასაც ტყუილად იწვევდა საალერსოდ?“ ეს კითხვები სწრაფად ებადებოდნენ თავში, მსწრაფადვე სცვლიდნენ ერთმანეთს და ერთს გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, ერთი სიტყ შეეფეთებოდა და ყურში მწარედ თითქოს ვიღაცა ჩასწივლებდა: „ტყუილად იკლავ თავს“.

- ბიჭო, რაი მოგსვლია, დამთვრალი თუ არა ხარ? გასწყვიტა სიჩუმე მაყარმა, რომელსაც ონისე გაშტერებით შეჰყურებდა.

ჰა, რაი? წარმოსთქვა ონისემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გაჰშორებოდა გულსა და გონებაში ჩაჭედილს გრძნობას.

ავად თუ არა ხარ? რას სჩადი?

არ ვიცი, ღთის მადლმა!.. ისე უგუნებოდ რასმე შევიქენ.

მაყარი მიუახლოვდა მარხილს, გადაიზნიქა ცხენიდან და პირდაპირ პირისახეში შეხედა ონისეს, რომელმაც თავი იქით მიიბრუნა და გაბრაზებით წარმოსთქვა:

-- რას მიყურებ, რაი გინდა ჩემგან?

არც რაი, გაიკვირვა მაყარმა და დაუმატა: -- მინდოდა მენახა, სიცხე ა არ გქონდა, გაწითლებული თუ არ იყავი?

ღამეში რაი უნდა დაინახო, ღ[illegible]ის მადლსა? — იმავე კილოთი უთხრა ისე და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — სიცხეცა მაქვს, თავიცა მტკივა მიბრუვდება.

მაყარმა ისე შეხედა, თითქოს არ უჯერებდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგ- მ თავშეკავებულმა ცხენს მკერდზედ მათრახი-და გადაჰკრა ეტყობოდა მას ნებაში რაღაცა აზრმა გაურბინა, რადგანაც სიცივეც გადავიწყებოდა და ყიც, რომლის დასალევადაც აქ მოვიდა.

კარგა ხანმა გაიარა საერთო სიჩუმეში, ყველა თავის გულისთქმა ჩაჰბრუნებოდა, თავის საკუთარს აზრებს დაჰკვირვებოდა და რაღაცა უცნაურს დუღილში ჩავარდნილიყო.

ისინი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც ჰაერში გაისმა მხიარული სიმ- რის ხმა და მას მოჰყვა ლექსი:

„ გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჰიანურიაო;
მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო“.

ამ სიტყვებმა მწარედ გაკენწლეს ონისეს გული, რომელსაც სიმღერა თან-თან უახლოვდებოდა, რადგანაც წინ წასული მაყრები შემდგარიყვნენ და ხილების მოლოდინში ლხინი დაეწყოთ.

გაიარა რამდენიმე წუთმა და გამოჩნდნენ ცხენოსნები, რომელთაც მარ- ლი მიუახლოვდა.

ყმაწვილი მაყრები ხუმრობდნენ ერთმანეთში, ეხუმრებოდნენ ონისესაც, რამ იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ, რადგანაც პირველად მოსულ-მაყარმა შეატყობინა, რომ ონისე ავად არის და იმათი ხუმრობისა არა ელა.

ამისთვის მაყრები დაშოშმინდნენ, მაგრამ მარხილს კი მაინც არა ჰშორ- ბოდნენ.

მხიარულება ერთბაშად შესწყდა და მის მაგიერ რაღაცა ჰმუნვით სავსე უმე ჩამოვარდნილიყო; ხვრიში წვნიკი თოვლი განუწყვეტლად მოჰქროდა ნა ქარისაგან გამოტაცებული და მთლად ათეთრებდა ნაბდიან მგზავრებს.

ამგვარად მიდიოდნენ გაჩუმებული მაყრები, გულ-[illegible]ხურული და ჩაბნე- ბული „ხელის-მომკიდე“ და მიჰყვანდათ გამოუცდელი ქალი, რომლის გულ-

საც ნამდვილი სიყვარული პირველად ეგრძნო, მისი სიტკბოება ნახევრად კ მოეცადა და ის კი არ იცოდა, მისი მომავალი რას შეამთხვევდა

რამდენიმე წუთი და ხშირს ნისლში გაიბჟუტა შუქმა და შენობების ს რათები ბუნდად გამოჩნდა. კიდევ წუთიც და ყველამ შეამჩნია, რომ სოფელ მიახლოვებულან, მარტო ონისე იჯდა გაფითრებული, თავდაღუნული და მწ რე ფიქრებისაგან წაღებული ვერაფერს ამჩნევდა.

მაყრებმა იგრძნეს, რომ მაყრიონს ასე ჩუმად მისვლა არ შეჰფეროდა, ა იქაურს ჩვეულებას და ამიტომ დასჰყივლა ერთმა, გავარდა თოფი და მეო გაქანდა მახარობლად. ყველა შეინძრა, აღელდა, სიცოცხლე გამოიჩინა. ჰაე ში გაისმა სიმღერა და ყიჟინა, მიმავლებს სიცოცხლე დაეტყოთ.

გამოფხიზლდა ონისეც, მაგრამ ის სრულიად განშორებოდა დანარჩენებ იმისმა გულმა სრულიად სხვა იგრძნო. იმან იცოდა, რომ სოფელში მისვლი თანავე ჰკარგავდა სატრფოს, რომლის გამოუცდელობაც და სირცხვილიც ხა ხის ჩვეულების წინააღმდეგ ვერ წაიყვანდა და მასთან ერთად დაჰკარგავდა მ სვენებასაც...

VII

აგერ შევიდნენ სოფელში, მიუახლოვდნენ საყდარს, რომლის წინაც ი გა ვიღაც წამოსადეგი მოხუცი, გათეთრებული როგორც თოვლი, და ხიამ ლად შეჰყურებდა მომავალთ. იმისი კეთილი სახის გამომეტყველება ლი იყო რაღაცა გვარის ხაზებით, რომელნიც პირველსავე შეხედვაზე პა ვისცემას გაგრძნობინებდათ და ჰკვიანი თვალები გულკეთილობის გარე ბრძანებლობით გამოიყურებოდნენ.

გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულობით, ბრძანებელის მიხვრა-მოხვრ და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით ელოდდა ხევის ბერი გუ მმართველი მამა თავის სახლისა, ახალგაზრდებს. იმას პირველს უნდა დაელო მექორწილენი და მშობლიურის ღმობიერებით ესურვა მათი ბედნიერება. ონ სემ შეხედა თავის მამას, რომლის წინაშეც მთელი ხეობა თავს იხრიდა და ო ლის სიტყვაც გადაუბრუნებლად სრულდებოდა, და ფერმა მეტად გადაჰკ პირი მომეტებულად გაუშრა.

მარხილი შესდგა, მაგრამ ონისე იქამდინ დაფანტულიყო, რომ გად სვლაც კი ველარ მოეხერხებინა, სანამ მამამ არ დასძახა:

გადმოხე, რაღას ელი?

ყმაწვილი ბიჭი ჩამოხტა ანგარიშ-მიუცემლივ, დადგა იქავ და, მკვდარს მსგავსებული, გაქვავებული შეჰყურებდა ხალხს, რომელიც იმის თვალში უზსავით ირეოდა.

პატარძალს მიეხვივნენ დედაკაცები, ჩამოსვეს და გოჩასთან მიიყვანეს, რომელმაც მოიხადა ქუდი, ახსენა ლმერთი და უთხრა:

- გაკურთხოს უფალმა —-ხელი გამოართვა და მაშინვე დაუმატა: ბედაუ. მთლად გაყინულხარ... მთლადა კანკალებ.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მიაშველა მეორე ხელიც და ქალის ნაზს ხელებს ისე დაუწყო სრესა, თითქოს მათი გათბობა უნდოდა. მერე მოაშორა ერთი ხელი, გაუშვირა იქავ მდგომს გელას და საცოლეს ხელი ხელში ჩაუდო.

უფალმა შეგაერთათ, კაციმც ნუ გაგაშორებსთ! —მტკიცედ წარმოთქვა მოხუცმა.

ამ სიტყვებზედ ქალი თითქოს უმეტესად გაჟრჟოლდა და ქშენას მოუმატა, ონისე კი წატორტმანდა, მაგრამ იქავ მყოფმა ვალაცა კაცმა დაიჭირა. ხალხმა დაიძახა „ჯვარული“ და მეფე-დედოფალი საყდარში შევიდნენ, სადაც შემოსილი მლვდელი ელოდდათ და გოჩა კი შვილს მიუბრუნდა.

რაი მოგსვლია? —ჰკითხა იმან და გამომცდელის თვალით დაუწყო ყურება.

— არც-რა, მოკლედ უპასუხა ონისემ და თავი დალუნა, რადგანაც მამის ცქერისათვის ვერ გაეძლო.

რალა არც-რა, რომ ადამიანის ფერი ალარ გაძევს და ფეხზედაც ძლივღა სდგეხარ?

— უგუნებოდ რასმე შევიქენ.

უგუნებოდ? —გააგრძელა მამამ და კიდევ დააკვირდა: - მაშ ქორწილში რაი გინდა? შინ წადი და დაწექ... „ხელის-მომკიდე“ სხვა იქნება ვინმე.

ამ ლაპარაკში ჩამოერივნენ გელას ნათესაობა, დაუწყეს ონისეს ხვეწნა, რომ ამისთანა დროს თავი არ დაენებებინა და თვისი მეგობარი გელა მარტოკა არ დაეგდო, მაგრამ ონისეს გაუხარდა, რომ მისთვის მეტად სატანჯავს სურათს მოჰშორდებოდა და თავის უბედურებას თვალით მაინც ალარ უყურებდა. გაბრუნდა და ლასლასით გასწია თავიანთ სახლისკენ, სადაც ბნელა „საოლში“ პირქვე დაეგდო.

გოჩა კი შევიდა და ჯვარის წერასთან ერთად უყურებდა პირ-ბადე ჩამოფარებულს ქალს, რომელსაც წამდაუწუმ აჟრჟოლებდა და ხანგამოშვებით ქშენას ძალზედ უმატებდა.

რამდენიმე კაცი, რომელიც გოჩასთან იდგნენ, მიუბრუნდებოდნენ ე ხუცს და გულმტკივნეულად ეუბნებოდნენ.

— ბეჩავი, როგორ შესცივნია!..

მაგრამ, გოჩა პასუხის მაგივრად, შუბლზედ ხელს გადაისვამდა და ის შეჭმუხვნილს წარბებს მეტად შეიჭმუხვნიდა.

ჯვარისწერა ჩვეულებისამებრ მიდიოდა: ონისეს მაგიერად „ხელის-მო კიდედ“ სხვა ვიღაცა ყმაწვილი ბიჭი გამოიყვანეს. ყველაფერი მომზადდა. მღვდ ლი მივიდა ჯერ კაცთან და ჰკითხა: სურვილით ირთავს ამ ქალსა და ჰსურ ჯვარის წერა, თუ არა? კაცმა გაიღიმა, შერცხვა და თავის დაქნევით თანხმ ბა გამოაცხადა. მერმე ამავე კითხვით მიუბრუნდა ქალსა, რომელსაც სიცოც ლის ნიშანი მარტო სუნთქვაზედ და სულის მოძრაობაზედ ეტყობოდა.

ქალმა პასუხის მაგივრად მარტო თავი დაღუნა და მის მაგივრად სხვა დე დაკაცებმა, ყოველთვის სხვის მაგიერ მოპასუხეთ, — ყაყანი დაიწყეს.

— ჰაი, ჰაი, რო სურს! .. რაიღა კითხვა უნდა?... თუ არ სდომებოდ აქ რაღად მოვიდოდა?... ართმევდნენ ერთმანეთს სიტყვას, მაგრამ ძალია ჩუმად იყო.

— მაშ შენის ნებით იწერ ჯვარსა? — განიმეორა მღვდელმა.

— თავის ნებით იწერს, ჩემო ყველაო! — თორემ მოძალადე ვინა ჰყავ - მოისმა ისევ დედაკაცებისაგან და დაკმაყოფილებული მღვდელი შეუ მეშვიდე საიდუმლოს აღსრულებას.

VIII

ჯვარისწერამ გაიარა ჩვეულებრივის მხიარულებით: მოგროვილი ხალხ მაყრები და მეტადრე დედაკაცები არ ისვენებდნენ და ყოველთვის სა ლო მასალას პოულობდნენ და, ერთხელ მომზადებულნი სამხიარულოდ. შემ ვევას არა ჰკარგავდნენ, რომ არ გაეხარხარათ, თუნდა სასაცილო არა მომხ რიყო-რა.

მარტო პატარძალი იდგა ქვასავით დამუნჯებული და გოჩა, რომლის ს ხეც რაღაცა დამყარებულის, პატივისცემის სხივით ბრწყინავდა. იმას აშკა ეტყობოდა, რომ გულწრფელის რწმუნებით იყო გატაცებული და მთლად მ ცემოდა თავის გრძნობას და უზენაესს გულწრფელად ევედრებოდა.

გოჩა იყო მშობელი მამა თავის ხალხისა და, მაშასადამე, იმისთანა მ სამჩნევ შემთხვევის დროს, როგორც ქორწინება არის, თავის შვილებისა

ომ არ ელოცნა, არ იქნებოდა. ამასთანავე მას სწამდა, რომ ხალხისგან ამორ-ული, ღმერთისაგანაც ამორჩეული უნდა ყოფილიყო, რადგანაც, აღზრდილს ეულებათა შორის, ანდაზად გარდაქცეული რწმუნებაც, „ხმა ღვთისა და ხმა ისა“, სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა. გოჩა დარწმუნებული იყო, რომ ის გულწრფელს ვედრებას უზენაესი შეისმენდა და, რწმუნებით დაიმედებუ-ი, იმ კაცის სახე, გულმხურვალე ლოცვის დროს, რაღაცა ძლევა-მოსილს, ლხის დამმორჩილებელს სურათს წარმოადგენდა.

ასეთი იყო მოხუცებულის გოჩას სახე, რომლისთვისაც განუწყვეტლივ რუნვას, ფიქრს, გამოცდილებას და ზონებრივ მუშაობას უფრო უმეტესის პა-იოსნების, ჭკუის და ადამიანობის ბეჭედი დაესვა. ეს სახე ხანდისხან იცვლე-ოდა იმის კვალობაზედ, თუ მისი აზრები და გონების მიმდინარეობა რა სა-ანს შეეხებოდა და ამგვარად ეცვლებოდა ფერი პირისახეზედ.

ხანდისხან რაღაცა მჭმუნვარება შეუხრიდა წარბებს, შეუკრავდა შუბლს, აგრამ ეს იყო ერთს წუთს მზეზედ გადაფარებული ღრუბელი, რომელსაც მხო-ოდ წუთით შეეძლო მოჩრდილება, — მლოცველის თვალები, ცისკენ მიპყ-ობილნი, ისევ ძლევა-მოსილის, გამარჯვებულის შუქით აინთებოდნენ.

გოჩას აშკარად ეტყობოდა, რომ მისი მრავალგვარად გამოცდილი გული აღაცა უბედურების მოახლოვებასა ჰგრძნობდა, მისი გამოცდილის თვალების-ვის შვილის ერთი დანახვა კმაროდა, რომ მის საქციელში, ავადმყოფობის აგიერ, სხვა მიზეზი დაენახა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, საიდანა ჰქროდა ნია-ი, რომელიც მას, როგორც ნადირს, სუნს აყრიდა და აკრთობდა, მოხუცი ერ მიმხვდარიყო.

გათავდა ჯვარისწერა. მეფე-დედოფალი წაიყვანეს სახლში, შემოატარეს ერას და გააშორეს, რათა დედოფლისთვის ქალებში მისვლით რაოდენიმე თა-ისუფლება მიეცათ, და ხალხი კი გოჩას თავმჯდომარეობით ვახშმად დალაგე-ულიყო.

რასაკვირველია, სიძეც, თავზედ ფოჩებიან გვირგვინით, იქვე შუა ადგი-ლას დაესვათ, ტოლ-სწორები გარს შემოჰხვეოდნენ და, ლაზლანდარობით გარ-ულს ბედნიერებით გახარებულს, დროს ატარებინებდნენ.

დაიწყო საერთო მხიარულება, სმა, სიმღერა და „სმურები“ ხანგამოშვე-ით: რომელიმე მოხუცი გადმოიღებდა ფანდურს და თითების ჩაკვრით სევ-იანს სიმებს ააჟღერებდა და ზედვე სევდიანად, მაგრამ საგრძნობლად დასძა-ებდა რომელისამე გმირის ლექსად მოთხრობილს მოქმედებას.

ამ წუთებში გამხიარულებული, აყაყანებული ხალხის ხმაურობა ერთბაშად შესწყდებოდა, ჩამოვარდებოდა სრული სიჩუმე და გულის ძგერით ყურს მიაპყრობდნენ სახალხოდ წარმოთქმულს სიტყვას, სადაც ქვეყნისთვის თავდადება და სამსახური, სივაჟკაცე და პატიოსნება ისე უხვად ჯილდოვდებოდა და სადაც კაცის მოვალეობა ცხოვრებაში ისე ნათლად იხატებოდა და შეისწავლებოდა...

ამას ისევ შესცვლიდა „სმური“, მერე „გოგონა“ და ასე გრძელდებოდა გათენებამდის.

IX

ამ საერთო მხიარულების დროს, როდესაც გელას სახლში თავმოყრილი გულები მხიარულად ყინულზედ გამოსულს უზრუნველს ბატკნებსავით თამაშობდნენ, ონისე პირქვე ეგდო და დამძიმებული, გახურებული თავი ბალიშიდგან ვერ აეღო. მას სისხლი მოსწოლოდა თვალებში და დროგამოშვებით ბრჭყვიალებით უელავდა, თავი ძალზედ გაჰბრუებოდა და საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩებსა სცემდნენ: ყურებში ხუილის ხმა გაისმოდა და ტანი ცეცხლსავით გახურებული რაღაცა მოუსვენლობაში ამყოფებდა. ჩქარ-ჩქარა და ძალზედ ქშენა აშკარად ამტკიცებდა, რომ რაღაცა აწუხებდა და იმის მოშორება თითქოს მკლავების უაზრო წყვეტებით უნდოდა.

ამ მდგომარეობაში მყოფი ონისე ხან მთლად გაცვივდებოდა და ცივ ოფლსავე დასხმული წამოტრიალდებოდა, წამოჯდებოდა, უსაგნოდ გაუშტერებდა რასმე თვალებს, თავი და მკლავები ჩამოუცვივდებოდა და, ნახევრად ტუჩებგახსნილი, რაოდენსამე ხანს ასე დარჩებოდა. მერე ისევ მოუსვენრად მიეგდებოდა და თვალწინ დაუწყებდნენ თამაშს სხვადასხვა სურათები, ერთი მეორეზედ უფრო საოცნებო, უფრო გასაშტერებელი, მაგრამ იმათ არავითარი ვადასაბამი, შემაერთებელი ნასკვი არ მოსდევდა.

მაგრამ ეს თავდავიწყება იყო წუთისა, რადგანაც ონისემ ერთბაშად დაიკივლა და გაფითრებული ფეხებზედ წამოიჭრა. შესდგა, წუთზედ მოიფშვნიტა გახურებული თვალები, რომლებშიაც ეკლებსავით რაღაცა სჩხვლეტავდა და სიტყვებით: „არ იქნების, არ მოხერხდების!“ კარებისკენ გაქანდა.

— სად მიხვალ? — იქავ შეაყენა ვიღაცას ხმამ და კარების ზღურბლზედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც ანთებული კვარი ხელში ეჭირა.

— გოჩა! მოულოდნელობის გამო უკან მოწყვეტით წამოიძახა ონისემ და შესდგა.

მოხუცმა შეხედა შვილსა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, შევიდა სახლში და ჩამოჯდა.

— დაიჭი, კედელში გაამაგრე, — გაუშვირა მამამ კვარი, რომელიც ონისეს გამოართვა და ბუხრიდგან გამოშვერილს ქაჭზედ დადო.

— სად მიდიოდი? — ისევ იმ მბრძანებელის, თუმცა დამშვიდებულის კილოთი გაიმეორა ხევის ბერმა.

— არცსადა, — ვეღარა მოახერხა-რა ონისემ.

— ეგ პასუხი არაა, — შეიჭმუხვნა წარბი მოხუცმა, რომელსაც უნდობლობა არ უყვარდა.

— ქორწილში ვაპირობდი წასვლას...

— რაიღა ქორწილისაა, ეხლა იქ გალექებული ხალხის მეტი ვინღაა?

— მთები ჩამოთოვლა და ნადირებს ქვევით ჩამოჰყრიდა; ვამბობდი, ქორწილში ვინმე მონადირე იქნებოდა, „ნამგალად“ გავიხდიდი და სანადიროდ ერთად წავიდოდით.

ონისემ ეს სიტყვები ხელად მოიგონა, რადგანაც მამა ჩასცქეროდა და მას კი გულის გადახსნა არ უნდოდა.

— ბალღო, რას ხუმრობ?

— რაისთვის ვხუმრობ? — მოუთმენლად შეხედა ონისემ, რომელსაც გადაჭიდებოდნენ და აღარ ეხსნებოდნენ.

— ამ ფიფქს თოვლში სანადიროდ საით გაისვლების?... ზოვმა სადმე ჩაგმარხოს, ის თუ არ გინდა?

ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა. რომ ფიფქს თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო და ამისთანა მოუაზრებლობა, უმიზეზოდ ძალად გაჭირვების თავს მოხვევა გამოცდილს მოხევეს არ მოეწონებოდა.

— რაისთვი? — მოიწადინა შვილმა შეცდომის გასწორება: — ქარი იყო და ქედებზედ თოვლებს აღარ დააყენებდა.

მოხევემ კიდევ შეხედა და ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა:

— იყუჩ, ბალღო! შენ ცხო რაიმე გაქვს გულში.

— რაი უნდა მქონდეს? - აჩქარდა ონისე.

— არ ვიცი და ამას არცა გკითხავ, - მტკიცედ უთხრა მოხუცმა და დაუმატა — შენ ისა სთქვი: იცი, ვისი გორისა ხარ?

ამ სიტყვებზედ რიგი ონისეს შეხვდა, - გაკვირვებით შეეხედა მოხუცისათვის.

— ჰაი, ჰაი, რო ვიცი.

— აბა, მაშ მაგას ნუ დაივიწყებ, — თითის ქნევით უთხრა მოხუცმა და სწავლების კილოთი გააგრძელა: — ვინძლო ქვეყანა არ გააცინო...

ყმაწვილმა ბიჭმა თავი ჩახარა, თითქოს დანაშაული იგრძნოვო, და ლოყები წითლად აენთო.

— აბა, მაშ წადი, — წამოდგომით გააგრძელა მოხუცმა: — წადი, სადაც გინდა, ოღონდ ჩემს სიტყვებს ნუ დაივიწყებ .. გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი.

ამ სიტყვებზედ მოხუცმა კვარს ხელი დაავლო და შვილთან ერთად დერეფანში გავიდა. იქ კიდევ შესდგა, შეხედა შვილსა, თითქოს რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმაამოუღებლივ გაბრუნდა და სამყოფო სახლში შევიდა

ონისე კი რამდენსამე ხანს იმავ ადგილს დერეფანში იდგა და ანგარიშმიუცემლად ადგილიდგან ვერ დაძრულიყო.

იმას ესმოდა, რომ შვილის მდგომარეობას მამა მიმხვდარიყო. მაგრამ სადამდე მიუღწევია ამ მდგომარეობას, მოხუცს ჯერ ვერ გამოერკვია. თუმცა ესმოდა, რომ ეს მდგომარეობა მის სახელსაც შეეხებოდა.

მამა ეუბნებოდა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“, და სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთს პირს მთელ სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახობის გამაპატიოსნებელი თუ დამამცირებელი არის. მაგრამ, თუნდა ასეც არ ყოფილიყო, ონისეს კარგად ესმოდა თავისი ვალი, წუთის თავდავიწყებას საკმაო დანაშაულად სთვლიდა. ფიცულობდა, რომ აღძრულს გრძნობას გულიდგან აღმოიფხვრიდა და სწორედ ამ წადილმა წამოაძახა:

— წავალ. შევალ ქორწილში... ულვაში მაქვს, ქუდი მხურავს და ქალიც უნდა დამმორჩილდეს.

ამ სიტყვებთან ერთად ის გაბრუნდა კიბისკენ, რამდენიმე გადახტომაზედ ჩავიდა ქვევით და მივიდა გელას სახლში, სადაც ჯერ კიდევ გაცხარებული ტაშ-ფანდურა და მხიარულება იყო, თუმცა გათენებას უკვე მოეღწია.

ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს, რომელიც მისვლის შემდეგ ყველაზედ მეტს მხიარულებდა, ყველაზედ მეტს მღეროდა, ყველაზედ მეტს ოხუნჯობდა...

X

გათავდა ქორწილი. მხიარულების პირველმა დღეებმა გაიარეს. პატარძალიც სწორებმა წაიყვანეს, ჩვეულებისამებრ, წყლის მისატანად. იქ გაუჭრეს ხაბიზგინები და უმღერეს ამ შემთხვევისთვის შემოღებული ლექსი:

„ჩემო ხელის-მომკიდეო,
ტაგანაი მომკიდეო“...

და ცხოვრებამ მიიღო ჩვეულებრივი სახე.

ძიძია გამოდგა ჩინებული, მორჩილი ქალი, რომელიც არასოდეს არა ზარობდა და საქმესა და სახლს მუყაითად ექცეოდა. მისგან არც ჩხუბი, არც წინააღმდეგი სიტყვა არ მოისმოდა და უფროსი რძლები, ყოველთვის უმცროსის დამჩოლოფოტებელნი, ძიძიას ნამდვილს დასავით უვლიდნენ.

გელა, რომელიც შესტრფოდა თავის ცოლს, ისე შინ არ შემოვიდოდა, რომ ცოლისთვის ან ჩურჩხელის ნაჭერი, ან წითელი ვაშლი არ მოეტანა და გატაცებულის გრძნობით არ დაეკოცნა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ საზოგადოდ გაჩუმებული ძიძია, ყოველთვის მარტოობას ეძებდა. იმისი ფერდაკარგული, გაცრეცილი ტუჩები თავის დღეში არ გაიღიმებდა.

ყველანი ცდილობდნენ მის გამხიარულებას, შედარებით ხევის სხვა რძლებთან თავისუფლებას აძლევდნენ, დაჰყავდათ ხატობაში და სატრიალზედ, იმ ერთს თავმოსაყრელს ადგილს, სადაც მთელის წლობით დაშორებული ნათესავები და მეგობრები ერთმანეთს ხვდებიან და დიდხანს შეგუბებულს შთაბეჭდილებას სხვასთან გასანაწილებლად გზას აძლევენ. მაგრამ ძიძია მაინც ისევ გულჩათხრობილი რჩებოდა, თუმცა მას ყველაფერი ჰქონდა: საჭმელიც, სასმელიც, ჩასაცმელიც; არ აკლდა არც მზრუნველები, არც მოსიყვარულე გული, მაგრამ მის არსებას რაღაცა სჩაგრავდა, რაღაცა აღონებდა და ჰლევდა.

პირველში ბევრსა ცდილობდნენ გაეგოთ, რა მოსდის საბრალო ქალსა, მაგრამ ჩქარა იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ, რადგანაც მის გულის სიღრმეში ვერ ჩასწვდნენ და გადასწყვიტეს, რომ ასეთი ხასიათისა ყოფილაო.

ამ ხანში ონისე კი ფშავს წასულიყო, სადაც დედის ძმები ჰყავნდა და იქ ნადირობაში და მეცხვარობაში აპირობდა დროს გატარებას და ნაღველის გაქარვებას, მაგრამ, როდესაც სადმე ქედზე გასული თავის ბედს დააკვირდებოდა, მაშინვე ძიძიას სახე განმანათლებლად ჩაეშუქებოდა გულში და სანეტარო ტკბილს მკვნესავს ოხვრაში შეიყვანდა.

ცა, ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე ბუნების მდიდარი სურათები ონისესთვის მდიდარნი და სიტკბოებით სავსენი მხოლოდ იმიტომ-ღა იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათი, მათ სატრფოსთან შედარებით თავდავიწყებამდის ეალერსებოდა.

XI

გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ტყვიის ფერი ღრუბელი, რომელიც მწუხრის ზეწარსავით აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს. მასთან ერთად გაჰქრნენ ჩრდილოეთს ცივი ქარებიც, რომელნიც ჰაიყუშურის ზუზუნით გაყინულს თოვლს აყრიდნენ დედამიწის გაცოცხლებულს სურნელოვანს ფარდაგს და სულშეხუთულს ახმობდა, ფშვნეტდა და მტვრად აქა-იქ აბნევდა. ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიავმა დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა, წამოიწია და თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარი ჯერ დედამიწას ააშორა და მალე, მზის დახმარებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვევით ხევებში ხრიალით და უგზო-უკვალოდ გააქანა. მძიმე, უსიამოვნო ტვირთისგან განთავისუფლებულმა კავკასიის მთებმა თითქოს თმები შეიბერტყეს და დამასევდიანებელის ყინულის მაგიერ მწვანე ხავერდი გადაიფარეს. გაიღვიძეს ყვავილებმა და ნაზად თავის გადაგდ-გადმოგდებით დაუწყეს ერთმანეთს არშიყობა. გაშმაგებული მზის სხივი მოუსვენრად ჰლამოდა მათის მშვენიერებით დატკბობას, მაგრამ მდელოთ კეკლუცნი მორცხვად პირს არიდებდნენ. მარტო დაუსვენარს ფუტკარს ვერ ემალებოდნენ და ნებას აძლევდნენ სურნელიანი ფერფლი მოეკრიბა თავის ნაზის, რბილის, ბუსუსიანის ფეხებით და გაშმაგებულს ამოეწოვა აქ სანეტარო ნექტარი.

დილის ნამი მარგალიტსავით ესხმებოდა სიცოცხლით სავსე მწვანე ფოთლებს და მზისგან მეტად გახურებულს მცენარეთა რაოდენადმე აგრილებდა.

ჰაერში გაისმა გალობა და ჭიკჭიკი ფრინველებისა, რომელთაც მთელი სამოთხის ნეტარება მოელოდათ; ტკბილის ძახილით მოუსვენრად იწვევდა ამხანაგი ამხანაგს ამ ნეტარებისთვის. ყველა გაცოცხლებულიყო, ყველას გული სცემდა და მიიბრძოდა ტოლთან საფართხალოდ.

ბუნების ამ საერთო მეჯლიშს დაჰყურებდა ონისე, რომლის გულსაც ჯერ გაზაფხული არ სწვეოდა და ზამთრის ღრუბელსავით ნისლ-მოხვეული [illegible] ჩაბნელებულიყო.

ყველასთვის ტკბილი, გასახარებელი იყვნენ ეს მედიდური სურათები. მაგრამ ონისეს გულს კი მარტო ნაღველს აწვეთებდნენ და სიტკბოების მაგივრად ძირმწარეს აპკურებდნენ.

ონისე ოხრავდა, ჰქშინავდა, მოსვენება ვერ ეპოვა და დაჭრილი ~~ლომ~~სავით გამედგრებული გმინვით დადიოდა მთა-ბარად.

ისა სწუხდა და ღონდებოდა, უნდოდა თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, უნდოდა თავიანთი ანკარა წყაროს ჩუხჩუხი გაეგონა, რადგან სხვა ქვეყნის წყალის არამც თუ გემო, არამედ ხმაურობაც კი ისეთს მოალერსედ აღარ ეჩვენებოდა, როგორც ვეფხსავით გააფთრებულის, კლდიდან კლდეზედ მხტუნავი თერგისა. ონისეს ეხლა თავის ქვეყნის იმ ადგილების ნახვაც კი სანეტაროდ გაჰხდომოდა, რომელნიც უწინ თვალდასანახად ეჯავრებოდა, მაგრამ თავის მხარეში მიბრუნება ვერ გაებედა, რადგანაც ეშინოდა, ლონეს არ ელალტნა და მამის სიტყვები: „იცი, ვისი გორისა ხარ?.. ქვეყანა არ გააცინო“ რომელსამე უცაბედო შემთხვევას არ გადაევიწყებინა.

ონისეს იმედი ჰქონდა, რომ ძიძიასთან დაშორება გულის ცეცხლს გაუქარვებდა; ამავე აზრით ეარშიყებოდა თუშის ტანად ქალებს; იმედი ჰქონდა, რომ მათი ალერსი დააკმაყოფილებდა, მაგრამ რაწამს ტკბილს სიტყვას ვისმე ეტყოდა, რაწამს მიუახლოვდებოდა რომელსამე თვალ-ჟუჟუნას, მაშინვე ძიძია მაცდურად დაებადებოდა თვალწინ და კეკლუცის, ჭკუის ამრევის ღიმილით დაუწყებდა ცქერას! დაუწყებდა ცქერას, აღუშფოთებდა სისხლს, გულს, მთელს არსებას. ის შემოსცინებდა და ამ ღიმილში გამოიხატებოდა სიტყვები: „თავს უბრალოდ აწყვეტ, ვერსად წამიხვალ“ და ეს საკმარისი იყო, რომ ანგელოზის სახე ონისეს ეშმაკად მოსჩვენებოდა.

ამგვარად ატარებდა ონისე დროსა და უიმედოდ, უბრალო ბრძოლაში ჰკლევდა ყმაწვილკაცობის გრძნობას და ცეცხლსა.

ძნელი და მწარე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი ფიქრები ერთისა და იმავე გადაწყვეტილებით თავდებოდა და ეს გადაწყვეტილება იყო, რომ ძიძია არ უნდა ჰყვარებოდა და უნდა დაევიწყა.

XII

ერთ დღეს, არხოტის ერთი მთის ძირას, სადაც თუშებს საზაფხულოთ ცხვარი ედგათ, მწყემსები შეყრილიყვნენ და სალმროთო გაემართათ. მწყემსთა შორის მრავალი მოხევეები იყვნენ, რომელთაც თუშების ცხვარი „დაეზიარებინათ“ და აქ ელოდნენ ყავლის გასვლას.

საკლავები მოხარშულიყო და მოგროვილი ხალხი ერთმანეთს ეთავაზებოდნენ, რომ რიგზედ უფროსობით დამსხდარიყვნენ; ნახევარი წილი ხალხი-

სა კიდეც დალაგებულიყო, როდესაც ქედზედ გამოჩნდა ვიღაცა კაცი გაშიშვლებული თოფი გადაეგდო მხარზედ, წამოეკეცა ჩოხის კალთები და გამალებული მოაბიჯებდა; მოხდილი ქუდი ხელში ეჭირა და მით ჩქარჩქარად იწმენდდა შუბლსა, რომელზედაც ხვითქი ჩამოსდიოდა.

როგორც ეტყობოდა, მომავალი შორის გზიდგან უნდა ყოფილიყო და უეჭველად საჭირო საქმეზედ წასული, რადგანაც ყოველ ფეხის გადადგმაზედ ცდილობდა ნაბიჯისთვის მოემატებინა და მით გძელი გზა შეემოკლებინა. მთაზედ მყოფმა ხალხმა მომავალს შეჰკრა თვალი და ყურება დაუწყო. მთაში მგზავრი ძნელად ჰხვდება, და ამისთვის ახლად-მოსულისაგან ყველა ახალს ამბავს მოელის ხოლმე; ყველას იმედი აქვს რომ თავის სოფლის, თუ სახლობის მდგომარეობაზედ რასმე გაიგონებს და ამის გამო მომავლის ყოველ ნაბიჯს მოუთმენლობაში შეჰყავს მომლოდინე და გულის ძგერით ასურვებს მის ჩქარა მოახლოვებას.

სწორედ ასე იყო ეხლაც. ყველანი წამოიშალნენ და სიტყვებით: „ვინ იქნება? ძალუმ ჩქარა კი მოდის...“ – დაუწყეს ყურება.

მზე მომავლის მხრიდგან იყო და, რადგანაც მწყემსებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდა, ამისთვის იმათაც ხელებით მოეჩრდილებინათ თვალებისთვის და ისე გასცქეროდნენ. მაყურებელთ შორის ონისეც ერია, რომელსაც მოუთმენლობა ყველაზედ მომეტებულად დასტყობოდა და ყველაზედ წინ გასულიყო; რომ უცნობს სხვაზედ ადრე შეჰყროდა.

უცნობი ჯერ შორს იყო და ღელე ჰქონდა გამოსასვლელი, რომელშიაც ჩქარა ჩაეფარა. ონისე თვალს არ აშორებდა იმ ადგილს, სადაც ის კაცი უკანასკნელად დაინახა.

მომავალმა ამოიარა ღელე, თავი ამოჰყო ფერდობზედ და ონისემ ერთი შეჰკივლა და სიხარულით მომავლისკენ შავარდენსავით გაქანდა. იცნო თავისი მეზობელი და თავისთან ერთად შეზრდილი მოხევე.

— გზა მშვიდობისა, დათაუ! – შორიდგანვე შესძახა გახარებულმა ონისემ.

— მშვიდობა მოგცეს უფალმა, — გადაუხადა სალამი დათამ.

ორნივ მიახლოვდნენ ერთმანეთს, შესდგნენ და გადაეხვივნენ. მასუკან გაშორებულნი რაოდენსამე ხანს ჩუმად დარჩნენ. ონისეს ვერ მოეხერხებინა ეკითხა რამე, რადგანაც ძალზედ მოწოლილი სურვილი ათასის ამბის ერთად შეტყობისა ნებას არ აძლევდა, რომ ერთ-ერთიდგან დაეწყო გამოკითხვა და დათა კი თითქოს გასჯიბრებოდა და განგებ არას ეუბნებოდა.

ახლად მოსული მეტად დაფიქრებული იყო, რომ მის მხრით ეს სიჩუმე ონისეს ხუმრობად მიეღო; უეჭველია, იმას რაღაცა უბედურება მოელოდდა და დათა იმიტომ აგვიანებდა ხმის ამოღებას.

ონისემ შეჰხედა და ფერი ეცვალა.

— რაი ამბავია, მითხარ?——თითქმის ხვეწნით და კანკალით წარმოსთქვა ონისემ და უანგარიშოდ ხელები წინ გაიშვირა, თითქოს ეშინოდა არ წაქცეულიყო.

— ამბოვი... მივიდეთ ბინაში და გეტყვით. ყველას გიამბობთ.

ონისეს, როგორც მარტო ერთს საგანზედ დაფიქრებულს, სხვა ვერა წარმოედგინა-რა, რომ საქმე ძიძიას შეეხებოდა და ეგონა, რომ ახლად მოსული სიბრალულით არ უმჟღავნებდა.

იმ წუთებში ონისე ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ დათამ იმის მდგომარეობისა არა იცოდა-რა და, მაშასადამე, მის სიბრალულსაც ვერ იგრძნობდა.

ალგზნებული გონება ფარვანად გადაჰქცეოდა, მისთვის მხოლოდ ერთს ადგილს ანათებდა სიწმინდის ლამპარი და მას დასტრიალებდა, მას ევლებოდა თავსა. სხვა საგანი არც მის გულს, არც მის აზროვნებას არ ეკარებოდა.

— მითხარი, ბალღო, ნუღარ მიმალავ,— ძლივს წარმოსთქვა ონისემ და დაუმატა: დასაკლავს ხარს რაიღა ყურება უნდა?

ახლად მოსულმა შეხედა ონისეს და დაინახა, რომ სამარის ფერი დასდებოდა. იფიქრა, რომ ონისეს უეჭველად ეგონა, შინ რაიმე უბედურება შეემთხვა და ამისი შეეშინდაო.

— ბეჩა, რაი მოგსვლია. ყველანი მშვიდობით არიან.

— ნუ მომატყუებ, ღთის მადლსა!

— არა, სპარს ანგელოზის მადლმა, აბა რაისთვი მოგატყუებ.

ლაპარაკი ისევ შესწყდა დათა გაბრუნდა მწყემსებისკენ და ონისეც ინსტიკტიურად უკან გაჰყვა.

— დათაუ, მაშ რად არ მეუბნები, რაი ამბავია?—ისევ ეჭვმა გაურბინა გულში.

— მშვიდობის მეტი არა ვიცი-რა.

— მოიცა-ღა! - შეაყენა ონისემ, მაგრამ ლაპარაკის გაგრძელება კი ვეღარ მოახერხა; სიტყვა ძიძაზედ უნდოდა ჩამოეგდო, მაგრამ მისი სახელის წარმოთქმა ვერ გაებედნა. დათა იდგა და ლაპარაკის გაგრძელებას ელოდდა.

— რაი გინდა? - ჰკითხა იმან ბოლოს.

— მე... მე... მამაი კარგადაა? - ძლივს გაიგნო ენა.

ახლად მოსულმა კოლცებით შეჰხედა.

გონსა ხარ, ბიჭაუ, თუ არა?

— მაშ მიამბე, მითხარ... მითხარ ყველაფერი, ყველას ამბავი, აჩქარებით დაიწყო ონისემ და ისეთის მუდარებით შეჰხედა, რომ კაცს შეეცოდებოდა.

-- გოჩაც მშვიდობითაა, შენი ბიძაცა, ღთის მადლით შენი ჯალაბობა ყველა მშვიდობითაა... ისრე არიან, ღთის მადლმა, თიკნის ყურიც არ დაჰკლებიათ.

– მაშ რაი ამბავია?

რა ამბავია და ნუგზარ ერისთავს ჩვენი ყმად გახდომა გაუზრახავს.

-- რაო? --გაიკამათა ონისემ ისეთის ხმით, თითქო არ სჯეროდა.

თუ არ დამმორჩილდითო, ლაშქრით თავს დაგესხმით და ამოგწყვეტავთო.

სანამ ნურას სჭამს, სანამ ხევი ვერც ამოსწყვიტოს და ვერც ყმად გაიხადოს, — ამაყად წარმოსთქვა ონისემ და შუბლი შეიჭმუხვნა.

ამ ლაპარაკში მოვიდნენ სხვა მწყემსებიც.

— აბა ეგ ნიადაგ ეგრე იქნების, მაგრამ ნუგზარის მოუსვენრობა სამუდამოდ გავარდნილია... რაკი ერთს იტყვის, თავადაც იცით, რომ უსისხლოდ ალარ დადგების...

— მაშ ხევში რას აპირობენ? იკითხეს იქეთ-აქეთ.

-- ემზადებიან... თუ ძალა მოინდომეს, უჩხუბრად ვერ მოვრჩებით: მთაში ყველგან ბიჭები გაგზავნეს, რომ საცა ჩვენი მწყემსები არიან, მოაგროვონ, მეც აქ გამომგზავნეს. მთელი მთიულეთი შეუყრია. ოსებიც მას მისდგომიან და ჩვენზედ წამოსულან... ეხლა თრუსოს ხეობაში თურმე დგანან.

— წავიდეთ, წავიდეთ! – გაისმა რამდენიმე კაცის ხმა, რომელთაც იარაღს გაივლეს ხელი, თითქოს ეხლავ ომში უნდა შერეულიყვნენ.

ოსებს რაიღა უნდათ? — იკითხა ონისემ, რომელსაც ამ საქმეზე ძალა ერთის წუთით დაავიწყა.

— ოსები ვითომ შუაკაცობენ და საქმით კი წყალს ამღვრევენ... [illegible] ჩვენთან ვერა გაუწყვიათ-რა და ახლა ნუგზარის იმედი აქვსთ.

— აბა, ბიჭებო! გვიანობისა ალარაა! დაიძახა ონისემ და დაუმატა: — რაც ამბავია, იქაც გავიგებთ.

წავიდეთ, წავიდეთ! მისცეს პასუხად და გაქანდნენ თავიანთ ბარგისა და თოფებისაკენ.

VIII

ბარიერაში იყო. თერგის ხეობაზედ ხშირი და ბამბასავით გაპენტილი ნის- ემოწოლილიყო, მოებურა მთელი მიდამო სოფლები, თითქოს შიგ გა- ლიყვნენ. რამდენიმე ადგილს ნისლი ამოეგლიჯა უმაღლეს მთის წვეროებს სე მოჩანდნენ, თითქოს ჰაერში დგანანო. მათ ზევით ლაჟვარდოვანი ეწითლებულიყო მზის მოახლოვებულის შუქ - ვარსკვლავებს ეგრძნოთ მოახლოვება და შემკრთალ[illegible] სხივით ძლივსღა ციმციმებდნენ. ირებული მოხუცი კავკასიისა ამაყად გადმოჰყურებდა სამების წვერს, რო- ედაც ამავე სახელის ტაძარი, ძველი და საკმაოდ მოზრდილი, გამწვანე- ყვავილიან ველზე წარსულის მოსაგონებელ ნაშთად დარჩენილიყო. ქვემ ყარს თანასწორ ნისლს წმინდა სახსოვარი ჩვენის წარსულისა თითქოს ღე- ისაგან განეშორებინა.

ამ ადგილიდგან ყველაფერი მედიდურად მოჩანდა, ყველას ეძინა, — გაყუ- ლიყო და თვით ეს გაყუჩება რაღაცა სევდიანს დუმილს ჰბადავდა. თვით გრომელს ნიავსაც კი სული გაენაბა და ცელქად აღარ შესთამაშებდა უც სურნელებს. ათასში ერთხელ დამკრთალი ჯიხვის ფეხით გადმოგო- ლის ქვის ხმაურობა თუ დაარღვევდა საზოგადო სიჩუმეს და შეუერთდე- მთებიდგან გადმონადენის ჩანჩქარის ჩხრიალს, რომელიც დაძინებულს ბას მშობლიურს ნანას ეუბნებოდა.

ერთბაშად გაისმა გაგრძელებული სტვენა: ეს რომელსამე მოუსვენარს ხს ეგრძნო გათენების სიახლოვე ან სიზმრად ტოლი მოჰლანდებოდა.

გაწითლდა ყირვან-წვერის თავი, მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი გადმო- ს, თეთრმა უმტვერო თოვლმა ნათლად ბრჭყვიალი დაიწყო. მას მოჰყვა ს კაკანი, რომელიც გაშმაგებით ეძახდა გულის მეგობარს, რადგანაც ბუ- მშვენიერებით მარტო დატკბობა არ ესმოდა. შეფრთხა ჯიხვიც და არ- ღამემ საკმაოდ დაუღალა მარდი და მკვირცხლი ფეხები, ვარჯიშობა ვებოდათ; თეთრი ათასფერად მოკამკამე თოვლი სათამაშოდ იზიდავდა. მოვნო სურნელება ტვინს უმღელვარებდა, თავბრუს ახვევდა და დაჰარ- ლი სიტკბოება ფრუტუნით უნდა მოეშორებინა. შორი-ახლო მყოფს „დათ-ტყეში“ შაშვმაც გრძნობით შესჭიკჭიკა ბუნების სიტკბოებას. ერთბაშად რა ზარმა და მისი ხმა ლტოლვით და თანდათან მისუსტებით ამოვარდ- ა ნიავმა გაჰფანტა მთებში. მოისმა მეორეჯერ და მას მოჰყვა ჩქარჩქარი

და ხანგამოშვებით რეკა. ეტყობოდა. სამების ტაძარში მყოფს ყარაულებსა გაეღვიძნათ.

დილის ნიავმა დაჰქროლა, ნისლი შეარყია, შეაღელვა, მოეშველა მზის შუქიც და ნისლმა აღშფოთებულს საყვარელსავით, რომლისთვისაც განი[illegible] მოესწრო, წყნარწყნარად მთამთა დაიწყო გაპარვა.

გამოჩნდა ხეობა და მასთან ერთად გველსავით დაკლაკნილი, გამხეცებული და აქაფებული თერგი. სოფლებიც მოძრაობაში მოსულიყვნენ. ყველა ხალხი მიდი-მოდიოდა, სოფლების წინ ჯგუფდებოდა და რაღაცას მღელვარებდა. ყოველს სოფელთან ხალხის შუა მოჩანდა სასოფლო დროშა, რომელი ნიავისაგან წყნარად ფრიალებდა.

ამ ხანში წმიდის სამების სამრეკლოზედ ზარების რეკა არა სწყდებოდა. ერთბაშად ხალხი შეიძრა, გაისმა „გერგეტულას“ სიმღერა და გრგვინვასავით ბანის მიმცემმა ხალხმა ქუდები მოიხადა. მედროშენი დროშებით გაუძღვნენ წინა; უკან წამოჰყვა მოწიწებით ხალხი, რომელიც თავის პატივის და სახელის ნიშანს, სახალხო წმინდანს, ცეცხლშიაც წარბშეურხევლად გადაჰყვებოდა.

ყველანი სამებისკენ გაემართნენ; ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც ერთხელ ხალხისაგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა.

მათ სამების საბჭოში მოელოდა ორის კვირით „საწმენდად“ გასული ხევის ბერი გოჩა და მისნი თანაშემწენი, რომელნიც ორი კვირის მარხულობაში და ლოცვაში იყვნენ, რომ სათემო „დროშის თავის“ შეხების ღირსნი გამხდარიყვნენ.

„დროშის თავი“ მათთვის სახუმრო არ იყო: მის წინაშე ნათქვამი სიტყვა ვეღარ გადაბრუნდებოდა: ყოველი მოხევე სიკვდილს ირჩევდა, მოშორდებოდა დედას, ძმას... გულის საყვარელსაც კი, მაგრამ ამ სათემო კავშირის ნიშნის წინ მიცემულს სიტყვას კი ვეღარ უღალატებდა.

არც სახუმრო საქმისთვის იყრებოდა დღეს თემობა. თავისუფალთ ყმობას უქადდნენ, დამოყვრებული მეზობლები ომს უცხადებდნენ, გაუმაძღარი ნუგზარ ერისთავი ლომსავით ბრდღვნიდა, მის განუსაზღვრელს წადილს ხალხის დამონებისას მარტო მთიულეთი ვეღარ აკმაყოფილებდა, მისი ბატონური მოთხოვნილება თავისუფალ მეზობლებთან ვეღარ თავსდებოდა, იმათი დამორჩილება უნდოდა და უნდა დაემორჩილა, თუნდა ამისთვის მოძმეთა სისხლით შეღებილიყო.

მოხევეებს ესმოდათ, რომ საქმე სახუმრო არ იყო და ღირსეულს ღირსეულად დახვედრას უპირობდნენ.

XIV

სამების ტაძარი სდგას ყირვან-წვერიდგან თავქვეშ მინდვრად გამოსულს ქედის ბოლოზედ, სადაც პატარა გორას მრგვლად და მოხდენილად თავი აუმართავს და თერგის მხარეს კი ერთბაშად მძიმე დაღმართად დაშვებულა სოფელ გერგეტამდის. აშენებული თლილის ქვით, საკმაოდ დიდი ტაძარი, სამრეკლო და საბჭო, რომლისთვისაც ჯერ ბუნებას შემოუვლია მაგარი კლდის კედელი და მერე ზოგიერთს ადგილებში კაცის ხელს კიდევ უფრო შეუმაგრებია, ამაყსა და სასიამოვნო სურათს წარმოადგენს.

ამ ადგილს ახლო-მახლოდ არა აქვს სათალი ქვა, რომლითაც ტაძარი აშენებული არის, წყალიც საკმაო სიშორეზედ ქვევით ხევში ჩამოუდის. გზად მხოლოდ ერთი პატარა ხვეული ბილიკი შესდევს, რომელზედაც ქვევითი კაციც კი გაჭირვებით ადის. ასე რომ პირველსავე შეხედვაზედ კაცი განცვიფრებაში მოდის და ნება-უნებლივ თავის თავს ეკითხება: საიდგან მოუტანიათ ამ ჩინებულის შენობისათვის მასალა, ან რითი მოუზიდნიათ?

საკმაოა ამ შენობის ნახვა, რომ კაცმა გაიგოს, რა შეუძლიან ხალხის შეერთებულს ძალას და მათ ამაღლებულს სულიერს მდგომარეობას. ტაძრის კედელში მხოლოდ ერთს ადგილს ჩატანებულია მარმარილოს ქვა, რომელზედაც ქარსა და ნიაღვარს ჯერ ვერ მოუსწვრია სრულიად ამოეშალა ზედწარწერა და მწიგნობარს კიდევ შეუძლიან გაარჩიოს სიტყვები „...ხარი ლომა. . მწყემსი თედორე ..“ — ეს ორი სახელია, რომელთაც უეჭველია, დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ამ ხევის წარსულის დიდების აშენებაზედ. მიმავალი ხალხი შეეფინა მთის გვერდოზედ და სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხი შეგროვდა მინდორზედ, ტაძრის გალავნიდგან ჯერ წვერი ამოჰყო დროშის ჯვარმა და მერე მთლად დროშაც გამოჩნდა, რომელიც გაშლილიყო და წყნარად ფრიალებდა. წუთზედ მთელი ხალხი მუხლზედ დაეცა და მიწასთან გაერთიებით თაყვანი სცა სახალხო წმინდანს.

კედელზედ გადმოჩნდა ქუდ-მოხდილი კაცი, გძელის გაშლილის თეთრის თმით და წვერით. ხამის უმტვერო თეთრი პერანგი, რომელზედაც უბრალო თოკი ქამრად შემოეჭირა, რაღაცა საოცნებოდ მოგაჩვენებდათ მოხუცს. გაბრწყინვებული, მაგრამ დამყარებული მოხუცის სახე, ზრუნვითა და ჭმუნვარებით სავსე, ყველას გულს იგებდა და მისვე უნებურად იმორჩილებდა. ხალხს მოჰშორდა სასოფლო დროშები, რომელნიც ტაძრის გალავანში შეიტანეს თეთრ-ჩოხა მედროშეებმა და რამდენსამე წუთს შემდეგ დროშის თავს გარს შემოა-

ხვიეს. ყველა გაჩუმდა, დაწყნარდა. ჰაერმაც კი იგრძნო, რომ უნდა დამშვიდებულიყო, თავი მოეხარა ამ სახალხო ყრილობის წინაშე, რომელსაც დღეს უნდა გადაეწყვიტა ხევის ბედი. მოხუცმა შეანძრია დროშა და ამ საერთო სიჩუმეში გაისმა პატარა ზარების წკრიალი, რომელმაც შეაკრთო მუხლმოყრილი ხალხი და ძარღვებში ჟრუანტელსავით გაურბინა.

— ამწყალობებენ, ამწყალობებენ! -- გოჩა ამწყალობებს! ჩურჩულმა ხალხში ნიავსავით გაირბინა და შესწყდა.

გოჩამ კიდევ შეანძრია დროშა, კიდევ გააწკრიალა ზარები და პირჯვრის გადაწერით მოჰყვა წყნარად, ტკბილად და დინჯად ხალხის დალოცვას. საერთოდ ხალხის დალოცვის შემდეგ დაიწყო იმათი დამწყალობება, ვისაც საომოდ თავი გამოიჩინა და შრომა და ჯაფა არ დაეშურებინა თავის ხალხის კეთილდღეობისთვის. დაამწყალობა ისინი, ვინც მტრის განსადევნად მდევარში პირველი გასულიყო, დაამწყალობა ის ვაჟკაცნი, რომელნიც იარაღს გამართულს ინახავდნენ და გაათავა უფლის ვედრებით, რომ მას ხევზედ ხელი არ აეღო და ყოფილიყო მისი მფარველი ყოველს გაჭირვებაში მრავალჟამიერ.

დამწყალობების დროს გოჩას ყოველს შესვენებაზედ ხალხში გრგვინვასავით გაირბენდა: „ამინ, შენს მადლსა“. ამ ხმას მთები მისცემდნენ ბანსა და ათასგვარად შეცვლილ ხმად ჰაერში დაფანტავდნენ.

როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი.

აქამდის მშვიდად და წყნარად მყოფი ხალხი ერთბაშად შეინძრა, ერთბაშად აღელდა და უკმაყოფილების გამო კარგა ხანს ბორგავდა.

— გაჩუმდი! — რამდენჯერმე გაიმეორა ხმამაღლად გოჩამ და ცოტა ხნის შემდეგ, დაიწყო

-- ღმერთი დიდია და გულუხვი! . თავის გაჩენილს კიდეც დაარჩენს... ჩვენც არ დაგვკარგავს... რაი უნდა ჩვენგან ნუგზარაის, რაისთვი გვეჩრება ოჯახობაში?... ჩვენც ვიცნობთ ქართველთა მეფეს და დღემც გაშვებია ამ მოხევეს, უკულმართადამც მოჰქცევია იმ ქართველის დედას წუთი, რომელმაც მეფის გაჭირვებაში შვილი შეიბრალოს, ხალხისთვის სახლიც, ნაშობიც არ გასწიროს!.. ვემსახურებით ჩვენთა მოძმეთა და აგრემც უნდა იყოს... მაშ ძმა რაისია, თუ გაჭირვების დღესაც ძმას არ მიეშველების?.. მაგრამ ნუგზარაი კი თავს იგდებს და, დღეს გაძლიერებულს, გაუმაძღარი თვალი ჩვენკენ მოუქცევია, ორი მეზობელი ერთურთს უნდა წაჰკიდოს, მოხევე და მთიულნი ერთურთს შეახოცოს და თავად კი გაბატონდეს... რას იტყვით, ჯამაათნო?.. ნუ

ხართან ბრძოლა ადვილი არაა, მთიულთაც ძმობა დავიწყებიათ და ჩვენზედ გამოლაშქრებას აპირობენ... დავმორჩილდეთ?

დამშვიდებული ხალხი ისევ შეირყა და აღელდა; გრგვინვასავით გუგუნი ხალხისა გაერთებულიყო და ჰაერს მხოლოდ ერთი მედგარი სიტყვა არყევდა.

— არა, არა, არა! — განუწყვეტლად ისმოდა ხალხში.

ერთბაშად მინდორზედ ხალხის წინ ერთი ყმაწვილი ბიჭი გამოვიდა, რომელმაც ხელით ხალხს გაჩუმება ანიშნა და დაიწყო:

— გოჩაუ! რაისთვი გვეკითხები მაგას!.. ხევმა ძმობა იცის და, ღთის მადლმა, მოკეთედ მყოფ მეზობლისთვის ჩვენგანი ყველა თავს გადასდებს... მოკვდეს ის კაცი, ვინც მოძმეს ვერ გაიტანს, შერცხვეს ის ქუდოსანი, ვინც მეზობელს ღალატად შეადგების!.. მაგრამ ის მოხევეც დაიმარხოს, ვინც ყმად გახდომა ისურვოს!.. ნუგზარაი ცხოგან გახელებულა და ჰგონია ჩვენი დამორჩილებაც ადვილი იქნების. მთიულთაც დავიწყებიათ ჩვენი კაცობა და პურ-მარილი: ჩვენზედ მოდიან... ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდის სიკვდილი... გავწყდეთ, ხალხო, და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!

— გავწყდეთ, გავწყდეთ, — იყო ამ სიტყვების საერთო პასუხი.

მოლაპარაკეს მიუახლოვდა ვიღაცა მოხუცი, დაეყრდო ჯოხზედ და მიუბრუნდა:

— ონისევ! ღთის მადლმა, კარგი მამის შვილი ხარ და თავადაც კარგი ვაჟობა გეტყობის... ჰაი, ჰაი, რომ ვაჟკაცს შერცხვენილს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიან, გაწბილებას — ცოცხლივ მიწაში ჩამარხვა... რაიც სთქვი, ღთის მადლმა, კარგადა სთქვი და აგრეც უნდა ყოფილიყო!.. მაგრამ მთიულნი ჩვენი ძმები არიან, იმათ მაცდურად შესდგომია ნუგზარაი, ჯერ ვეცადნეთ მათთან მორიგებას და ოსებისა კი რაი მორიდება გვინდა. ამ სიტყვებზედ ხალხი ორ დასად გაიყო. ერთი ითხოვდა პირდაპირ შებმას განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო მოწინაამდეგე, მეორეს კი მოძმედ შეცდომისთვის მორიგების უცდელად შებმა არ უნდოდა.

ხალხი კარგა ხანს მღელვარებდა და არავითარს გადაწყვეტილებას არ ადგებოდა.

გაისმა ისევ ზარების წკრიალი, რომელმაც ხალხში ისევ სიჩუმე ჩამოაგდო.

— ხალხო! — დაიწყო გოჩამ, — გვიანობისა აღარაა, მტერი კარს მოგვდგომია, გამოვიდნენ თემის თავები... მტერსა და მოყვარესა ყველას დახვედრა უნდა... თემის კაცი! — დაიძახა იმან.

ამ სიტყვების შემდეგ ხალხიდგან გამოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად ამორჩეულები და გასწიეს წმიდის სამების საბჭოში, სადაც „ხევის ბერის გოჩას" თაოსნობით, ხევის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

XV

მოთავეთ დიდხანს ლაპარაკი არ დასჭირდათ, რადგანაც ყველას წინადვე ან სიკვდილი, ან თავისუფლება ჰქონდათ გადაწყვეტილი. იქნენ ამორჩეულნი ჯარის მოთავენი, ბელადნი, ქამანდარნი და შუაკაცნი, რომელნიც მთიულებთან მოსალაპარაკებლად უნდა გაეგზავნათ.

ყველაზედ უფროსობა და განკარგულების მიცემა კი უფლებისამებრ გოჩამ მიიღო თავის-თავზედ.

ამ ჩვეულებრივი მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების შემდეგ, რომელშიაც ხალხის სურვილი და წადილი გამოითქმოდა, გოჩამ შუა-კაცები მთიულეთს გაამგზავრა და ყრილობა კი დაითხოვა, რათა სამის დღის განმავლობაში მომზადებულიყვნენ, მოწყობილიყვნენ და ქუდზედ კაცი სიონის მინდორზედ გამოსულიყო, რადგანაც მტერს ამ ადგილებში უპირობდნენ გზის შეკვრას.

ხალხი დაიშალა და წავიდ-წამოვიდა, გოჩასა და სოფლის მედროშეთა გარდა, რომელთაც უკანასკნელად უნდა ელოცათ და ხევის კეთილდღეობა შეევედრებინათ ღვთისთვის.

მომავალ ხალხში, სხვათა შორის, ონისეც ერია და ძალზედ გამალებული მოდიოდა თავის სოფლისკენ, სადაც დიდი ხნის უნახავს ძიძიასთან შეხვედრის ნეტარება მოელოდა.

ტოლ-სწორნი, რომელნიც ონისეს გარს შემოჰხვეოდნენ, არ უსვენებდნენ თუშების და ფშავლების ამბის გამოკითხვით. მაგრამ ონისე მხოლოდ ეროს საგონებელს წაელო და ამისთვის უსიამოვნოდ და მოკლედ უპასუხებდა.

ისინი ჩამოვიდნენ იმ ადგილს, სადაც ხევის ქალი და რძალი სამების ქედს მოსდებიყო: შავხილსა, ხახამასა და ქუბსა ჰკრებდა.

— უყურე-და, ონისევ! ქალები ცხორსავით არ მოსდებიან ამ ველსა, — უთხრა ონისეს ვიღაცა მოხევემ და გაიშვირა ქალებისკენ ხელი. ონისემ მხოლოდ იმისთვის მიიხედა იქით, რომ თავიდგან მოეშორებინა თავის-მომძულებელი მოსაუბრე, რომელიც უშლიდა თავის ფიქრებს დაჰკვირვებოდა და მთლად გულის მოძრაობას ჩაჰბრუნებოდა. მაგრამ, რაწამს მიიხედა, რაწამს თვალი გადაავლო იქაურობას, გული როგორღაც შეუთამაშდა, რამდენჯერმე გაიბრძოლა და შესდგა. ონისე შეჩერდა, გაფითრდა და შუბლზედ ხელი გადისვა.

რა მოგივიდა? ჰკითხა ამხანაგმა, რომელმაც პირისახეზედ ცვლილება შეატყო.

-- არც რაი, არც რაი...—საჩქაროდ უპასუხა ონისემ და ბოლო! დაუ- ტა: —ქაჭმა ბანდული გაგლიჯა და ფეხიც გამიჭრა.

ამ სიტყვებით კოჭლობით მივიდა ქვასთან, ჩამოჯდა და ფეხსაცმელის ნა დაიწყო.

— მაი, მე გაგხდი, —მიუახლოვდა პირველი მოსაუბრე.

— არა მინდა-რა, შენაი ჭირაიმე, არა!.. მე თავად გავიხდი. —უპასუხა ნისემ, რომელმაც აღარ იცოდა, რა საშუალება ეხმარა, რომ მარტო დარჩე- ლიყო.

— ბეჩაო ჩემო თაო, --დაიწყო ისევ უცნობმა: —რას მეხათრები, ბალღი ომ არა ხარ?... მაი, გაგხადო!. გაიშვირა ხელები.

— არ მინდა, მე თავადაც გავიხდი. ვეღარ მოითმინა ონისემ და შეუ- ყია. მაგრამ ჩქარა ისევ თავი შეიკავა და დამშვიდებით უთხრა:

— აგერ მზე გადიწვერა, ნუღარა გვიანობ... მე დაღალული ვარ და პა- ყარას დავისვენებ.

მეორე მოხევემ შეჰხედა, აღარა უთხრა-რა, ჩამოიფხატა თვალებზედ ქუ- ი და გასწია.

ონისე კი ღორღიანებში გადავიდა და იქ ისე მიიმალა, რომ ჩამომვლე- ებს ვერ შეემჩნიათ, თუმცა თითონ იმათაც ჰხედავდა, და მოხილე ქალებ- აც, რომელთ შორის ძიძიაც იყო, უთვალთვალებდა...

სამებაში მყოფი ხალხი მალე ჩამოიკრიბა, რადგანაც ყველა შინ მიეშუ- ებოდა, რომ დანიშნულ დროისთვის მომზადება მოესწრო და ზოზინობის- ვის ამხანაგების სასაყვედურო არ გამხდარიყო.

ონისე იჯდა თავის საფარში და გულის ძგერით გასცქეროდა ქალებს, დაც ხილსა ჰკრებდნენ და თავისუფლად ერთმანეთს ელექსებოდნენ.

მარტო ძიძია განმარტოებულიყო ამ საერთო მხიარულებას და ცალკე სული, ფერწასული და დაღონებული თავაუღებლივ ხილსა ჰკრებდა.

შორიდგან რომ შეგეხედნათ ქალებისთვის, მაშინათვე იფიქრებდით, რომ ძია იმათ თაბუნს არ ეკუთვნოდა, იმათთან საერთო არა ჰქონდა-რა და არც რაფერი აკავშირებდა მათთან. ონისე გულამღვრეული, გონება დაფანტვით ესცქეროდა მოხევის გოგოს და ჰგრძნობდა, რომ მისი ფიქრების მიზეზი ის ყო: უნდოდა დაეძახნა: აქა ვარ, აქ მოდი, მე ვარ შენი ტოლი, მხოლოდ შემიძლიან შენი გახარება, მაგრამ სიტყვა პირში უწყდებოდა, რადგანაც ძიას ამხანაგებისთვის არ უნდოდა შეეტყობინებინა არც თავისი სიახლოვე არც თავისი გულის პასუხი. ის ერიდებოდა ძიძიას სახელის გატეხას, მო- ვენებას ქვეყანაში.

ქალები თანდათან უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც ონისე იყო დამალული, და მათს მოახლოვებაზედ კი მოხევეს ცახცახი ეკიდებოდა. ისა გრნობდა, რომ ძიძიას მოახლოებასთან ერთად რაღაც ძალა ემატება, რომელიც თანდათან მაგრადა ჰკრავს და ბოჭავს მოხევის გულს, თანდათან მეტის სიმძლავრით და მედგრად იზიდავს თავისკენ.

ერთბაშად ქალები გაბრუნდნენ სრულიად სხვა მხრისკენ და ონისე კი სიხარულით კინაღამ შეჰკივლა, რადგანაც დაინახა, რომ ძიძია დანარჩენ ამხანაგებს გამოშორდა და პირდაპირ მოხევესკენ წამოვიდა.

ონისეს ქშენამ იქამდის მოუმატა, რომ გულმა ძალზედ დაგადუგი დაუწყო და განუწყვეტლივ სულსა სტაცებდა.

ძიძია გადმოვიდა ღორღებზედ, დასდგა კალათა და ჩამოჯდა იქვე მოჩუხჩუხე წყაროსთან, რომელსაც მიაპყრო სევდიანი თვალები და დაფიქრდა.

ონისე მიიბრძოდა ქალისკენ, მაგრამ რაღაცა გრძნობა ძალას ართმევდა და გაუბედაობაში აგდებდა. ხანდისხან იმ მდგომარეობამდისაც კი მიდიოდა, რომ პირმოკუმულს სუნთქვაც კი ველარ გაებედა, რათა ჰაერის მცირედი მოძრაობითაც არის მისთვის მყუდროება არ დაერღვია და ნაზი ქმნილება არ დაეკრთო.

ძიძიამ ერთბაშად ამოიოხრა, მოერია თვალზედ ცრემლები და წყნარი ზუზუნით მღერა დაიწყო. მერე მარგალიტსავით გადმოეკიდა გძელსა და შავ წამწამებზედ ცრემლი; იმას მოჰყვა მეორე და ქალმა წყნარად ტირილი დაიწყო.

ონისემ სატანჯავს ველარ გაუძლო და ჩუმად მიახლოვდა.

— ქალაუ, რაი გატირებს?—ნიავსავით ჩუმის ხმით ჩასჩურჩულა ონისემ, მაგრამ ეს ხმა იქამდის ძლიერად ეჩვენა ძიძიას, რომ მხოლოდ შემოხედვა მოასწრო და გაშეშდა. ძიძია იჯდა გაქვავებულსავით, შესცქეროდა ონისეს და მხოლოდ ტუჩების მოძრაობა უმტკიცებდა, რომ რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

— მითხარ, ქალაუ, მითხარ...—დაიწყო ისევ ონისემ და ძიძიას წინ ჩაიჩოქა:—რაისთვის მერიდები, განა შენი „ხელის მომკიდე“ არა ვარ?..

ძიძია შეინძრა, მის ლოყებს სიცოცხლის ნიშანი დაეტყო, ელფერი შეუთამაშდა, თვალებმა ბრწყინვა დაუწყეს და გაოცებულს ტუჩებზედ სიხარულის ღიმილი დაეტყო. ძიძია კარგა ხანს იყო იმ მდგომარეობაში, როდესაც კაცს გაოცება ნებას არ აძლევს თავისი გრძნობა გამოირკვიოს. ბოლოს ჩ გამოიშვირა ხელები და წყნარად, მაგრამ გარკვევით, წარმოსთქვა:

— ონისე!.. საით მოხვედი?

ონისე თანდათან უახლოვდებოდა ქალსა, რადგანაც ნახევრად მიწოლილი ხელებზედ დაყრდომილიყო და ხელები კი ცახცახით თანდათან ქალს უახლოვდებოდნენ. მოხევე შესცქეროდა ძაძიას ალგზნებულის თვალებით და აშკარად სჩანდა, რომ ამდენი ხნის განშორებას მის გულში ტრფიალების ცეცხლი არამცთუ ვერ გაექრო, არამედ უფრო გაეძლიერებინა და მისი გული სატრფოსთან შეყრის სურვილს უფრო გაეკაპასებინა. მისს მეცადინეობას ამაოდ ჩაევლო, რადგანაც მხოლოდ ერთი შეხვედრა ძიძიასთან, ერთი თვალის მოკვრა საკმარისი იყო, რომ ყოველისფერი ხელახლად გადაევიწყებინა და აკანკალებულის ხმით და მთრთოლვარე ტუჩებით მარტო ამ ქალის სახელი შერჩენოდა, თითქოს მისთვის ქვეყანაზედ ამის მეტი სიტყვა აღარ მოიძებნებოდა...

— ძიძიაუ, ძიძიაუ!...- - იმეორებდა ის მეათასედ და ხმა ისეთ გვარად ტრიალებდა, ისეთ გვარად გაისმოდა, რომ მართლადაც თავის გრძნობის გამოსათქმელად უკეთესს ვეღარას მოიგონებდა.

ეს სახელი ონისესთვის მეტად ძვირფასი იყო, რომ მის თანაბრი სხვა სიტყვა კიდევ რამ ჰქონოდა, ან ისეთის ძალით წარმოთქმა შესძლებოდა. აშკარა იყო, რომ ძიძიაცა ჰგრძნობდა ამ სიტყვებს, რადგანაც გაკვირვება თანდათან შორდებოდა; მისი ნაზი სხეული ონისესკენ იხრებოდა და კეკლუცი სახე, რომელიც თანდათან მეტად ენთებოდა, მოხევეს უახლოვდებოდა.

გაიარა წუთმაც და ორი დაბნედილი ქმნილება, ერთმანეთის სუნთქვისაც კი ერთმანეთში გადამნერგავნი, მიუახლოვდა და გაშმაგებული შესცქეროდა ერთმანეთს. სწორედ ამ დროს ცელქმა და მოუსვენარმა ნიავმა დაჰქროლა და ძიძიას მოჰგლიჯა თავშალი. ხშირი და გრუზი შავი დალალები გადმოსცვივდნენ და ონისეს სახეს ციგლიგი დაუწყეს. ეს-ღა აკლდა, რომ ორთავეს უკანასკნელი ძალაც მიხდომოდათ და მათი ტუჩები წუთზედ შეწებებულიყვნენ...

ვინ იცის, სადამდის გასტანდა მათი ტფრიალი, თუ მოახლოვებული ქალების ხმაურობას შეყვარებულნი თავდავიწყებიდამ არ გამოეყვანა.

ძაძიას მოაგონდა თავისი მოვალეობა, რომელიც ხალხის რწმუნებით „ხელის მომკიდეს“ ანათესავებდა, და ამ ფიქრმა გასჭვალა: წარბები შეეკრა, სახე დაეპრანჭა და მეტისმეტმა ტკივილმა, რომელიც გულსა და ღვიძლში უვლიდა, გააფითრა. ქალმა ხელის კვრით მოიშორა ონისე და ფეხზედ წამოიჭრა, გაბრუნდა და უკან — მოუხედავად გაემართა ამხანაგებისკენ. ონისე კი იმავ ადგილს დარჩა გაწამებული და დაღონებული, რადგანაც ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა მიზეზი იყო ძიძიას ისე წასვლა.

ძიძია შეუერთდა ქალებს, რომელთაც ჩამოიარეს ღორღიანი ადგილი და ონისე კი გულის ძგერით უცქეროდა თავის სანატრელს, რომელსაც ქორწინების შემდეგ ტუჩებზედ პირველად გადაჰშლოდა ვარდი, თვალებში გაჰბრწყინვებოდა სიამოვნების ნაპერწკალი და ჯეირანსავით ყელ-მოღერებული კოხტად მიგოგავდა.

ონისე უყურებდა გულის ძგერით. ნება-უნებურად გუნებაში კითხვა ებადებოდა: ასე თავი რად დაანება, რატომ არა უთხრა-რა, ან კიდევ შეჰხვედრებოდა როდისმე მასთან ალერსი?

ქალები გასცდნენ და ონისეც წამოდგა ზეზედ. ის გაიზმორა, მედიდურად მიიხედ-მოიხედა და რაღაცა ძალი იგრძნო, რომელსაც თავის თავს დღემდის ვერ ამჩნევდა. ძიძიას უყვარდა — ქვეყანა თავისი ეგონა..

XVI

სადაც ეხლა საქართველოდგან ჩრდილოეთისკენ გზა მიდის, სოფ. კობის ქვეიდგან, რაკი სამტვეროს მინდორს ჩამოსცდება, გზა გრკალსავით იხრება და სამ-მხრივ ჩამოლესილს სიონის კედელს სარტყელსავით ერტყმება. ზედ კლდის წვერზედ ამაყად ამართულა მაღალი კოშკი, რომელიც მედიდურად და მტრის გულის გასახეთქად სდარაჯობს იმ ხეობას. ეს ადგილი მბრძანებლობს იქ გასავლელს ადგილებზედ და მოსავლელი მხოლოდ ნაროვანის ულელტეხილიდგან აქვს. შემკობილი მშვენიერის საძოვრით, წყალითა და ტყითა, ბუნებითვე ძნელს გასატეხს სიმაგრედ შექნილი, ხევისთვის წარსულს ცხოვრებაში ერთსა და უპირველეს სანუგეშო ადგილად ითვლებოდა. სიონის კლდის თავზედ გადაშლილიყო პატარა მინდორი და ზედ გაეშენებინათ ქაჰით და ბასრი ქვით აგებული სახლები, რომელნიც ბუნებისაგანვე გამაგრებულს ადგილს უფრო მეტად ამაგრებდნენ.

აი ეს ადგილი გახლდათ, სადაც ხევი იკრიბებოდა, რომ წარსულის დროის მტარვალის წადილს წინ გადასდგომოდა და მისი მოსისხლე სურვილი შეემუსრა.

რადგანაც გოჩას ხევის დასაცველად მეტად ბევრი ხალხი სჭირდებოდა, ამისათვის ხევის ბერმა გასცა განკარგულება, ვისაც ხევში იარაღის ტარება შეეძლებოდა, ყველა ბრძოლის ველზედ გამოსულიყო, ხოლო რათა დედაკაცებიც უსაქმოდ არ დარჩენილიყვნენ ამ საერთო საქმეში, ვალად დაედოთ მ[illegible]ბიდგან, სადაც ცხვარი საწველად ედგათ, ჯარისთვის ყველი, ერბო და რძე ეზიდათ. პური კი ყველას თავთავიანთ სახლიდგან უნდა მოსვლოდა.

ამგვარად მოზიდული ხორაგი ყველას თანასწორად ეძლეოდა, თუმცა ძიმეები შორის ისეთნიც ერივნენ, რომელთაც საკუთარი ცხვარი სულაც არა ჰყვანდათ.

ტყვია საკმარისი ჩამოჰქონდათ „ხდიდგან“, გვარჯილას ჰკრებავდნენ შიგვე სოფელს სიონში გამოქვაბულს კლდეებში, სადაც თეთრ მარილსავით მიწაზედ ეყარა და გოგირდი კი წინადვე ჰქონდათ დამზადებული. იქვე სწვავდნენ არყის ხესაც და ამგვარად ამზადებდნენ თოფის წამალსა.

მოხევენი ამაგრებდნენ აგრეთვე სიონის წინ მდებარე სამტვეროს ტყესა და საზოგადოდ ისე ემზადებოდნენ, თუ ბედი უკუღმა დაუბრუნდებოდათ, ძვირად დაესვათ თავიანთი დამარცხება.

ერთს ბნელ ღამეს, როდესაც კაცი თვალთან მიტანილს თითსაც კი ვერ გაარჩევდა, სამტვეროს თავში მოისმა წყნარი ხმაურობა რამდენისამე მომავლის კაცისა. ისინი მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ბილიკი ტყეში შედიოდა, მაგრამ ერთბაშად იძულებულნი იქმნენ შემდგარიყვნენ, რადგანაც გაიგონეს რამდენისამე კაცის ხმა.

— ვინაა? შესდგეს, თუ თავი ებრალება.

ამ სიტყვებთან ერთად მომავალთ იგრძნეს, რომ მათ მკერდებს თოფის ტუჩები შეეხოთ.

ისინი შესდგნენ.

— ვინა ხარ? — იკითხა ისევ იმ უცნობმა, რომელიც პირველში გამოელაპარაკა.

— ჩვენა: წმიდა სამების ყმები, — იყო პასუხი.

— სად მიხვალთ?

— გოჩასთან.

— საიდგან მოსდიხართ?

უშიშრად უპასუხა ერთ მომავალთაგანმა, რომელმაც დაუმატა: — ონისე, შენ არა ხარ?

— ჰო, მე ვარ, — უპასუხა ონისემ და პირისახის ახლო მიტანით ჩააკვირდა უცნობს: — აჰუ, ველარ გიცან, თოლიკაუ!.. მოხვედ მშვიდობით.

— მშვიდობა მოგცა უფალმა, — უპასუხა ახლად მოსულმა და დაუმატა: — გოჩა სადაა, იმისი ნახვა გვესწრაფის.

— იარეთ, მიუგო პასუხად ონისემ და გაუძღვა წინ.

თოლიკე იყო ერთი იმ შუაკაცთაგანი, რომელნიც მთიულებთან იყვნენ გაგზავნილნი და ყოველი მოხევე გულის თრთოლით მოელოდდა მათს დაბრუნებას.

რასაკვირველია, ონისესაც გულით უნდოდა შეეტყო, რა პასუხი მისცემს მთიულებმა, მოუხდებოდათ დამოყვრებულ ხალხთან ჩხუბი, თუ მშვიდობიანად მოშორდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო საიდუმლოება არ გამოაშკარავებულიყო, კითხვას ვერც კი ჰბედავდა.

იმას არც კი შეუმჩნევია, რომ ამ გამოკითხვის სურვილი ჰქონდა და თავის სიმუნჯით ამ საგანზედ ამტკიცებდა, რამდენად პატივსა სცემდა ხალხის სარგებლობას და რაოდენად ესმოდა სიჩუმის საჭიროება.

შუაკაცები ქვასავით გაჩუმებულები მისდევდნენ ონისეს და იმ წუთს რომ ასო-ასოდ დაეჭრათ, მინდობილს პასუხზედ საჭიროებამდე ხმას ვერ გააწყვეტინებდნენ იმათ კარგად ესმოდათ, რადგანაც საუკუნოებით შესჩვეოდნენ, ერთს მომეტებულს სიტყვას ხანდისხან რა ვნების მოტანა შეუძლიან.

ისინი მივიდნენ გოჩასთან, რომელიც მოსულთ დანახვისთანავე ფეხზედ წამოიჭრა. შეიყვანა შუაკაცები „საწოლაში“ და დასხა უბრალო ფიცრის ტახტზედ, რომელიც ხევის ბერს სარეცლადა ჰქონდა გაკეთებული.

ონისე, რომელიც იქვე იდგა, ელოდა გოჩას ბრძანებას და მოხუცმაც დიდხანს არ დააგვიანა.

— ბალღო, ამათ მოჰყევ? -- ჰკითხა იმან ონისეს.

— ჰაი, ჰაი, - იყო პასუხი.

— კარგი, წადი, მიჰხედე შენს ამხანაგებს. ვინძლოთ, ფრთხილად იყვნენ, უთხრა გოჩამ და მბრძანებელის კილოთი დაუმატა: — არავინ გამოგეპაროსთ, თორემ თქვენის თოლების მეტი ველარა გიხსნით-რა.

--- ბეჩაო ჩემო თაო! — ამაყად წამოიძახა ონისემ და მედიდურად დაუმატა: — ქუდები არ გვხურავს?! მშვიდობით. — ოდნავ თავი დაუკრა და გამოვიდა.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს, დალოცეს ახლად მოსულებმა და მამამ კი თუმცა ხმა არ გასცა, მაგრამ ისეთის სიყვარულით გააყოლა თვალი. იმდენი სიამოვნება გამოიხატებოდა იმის სახეზედ შვილის პასუხის დროს, რომ ყველა აშკარად დაინახავდა, — მოხუცს მზე და მთვარე ონისეზედ ამოსდიოდა.

XVII

მიდრე მოხევენი სამზადისში იყვნენ და თავიანთ ადგილებს ამაგრებდნენ, ნუგზარ ერისთავიც არ იყო გულზედ ხელდაკრებილი და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა თავისი ჯარი გაემრავლებინა, რათა აუარებელის რიცხვით,

ხევს თავს დასხმოდა და ერთბაშად ძლიერის შეტევით მოემტვრია მოხევეთა სიკერპე.

ის არ კმაყოფილდებოდა ოსების და მთიულების უმრავლესი ჯარით, იმას უნდოდა საქმეში ჩაერია ხანდოს-ხეველნი, ქართლელნი და გუდამაყრელნი, რომელთანაც კაცები გაეგზავნა და დღე-დღეზედ პასუხს მოელოდდა. ამათ გარდა ის მოელოდდა კიდევ ლეკებს, რომელთა დაპირებაც დიდად აიმედებდა.

ნუგზარ ამგვარს საქმეებში გამოცდილი იყო, კარგად იცნობდა ხევსა. თავს არ აიმედებდა, რომ საქმე სახუმროდ გათავებულიყო, ის ვაჟკაცი და შეუბრალებელი იყო, სისხლის ღვრა მისთვის დროს გასატარებელი იყო, მეჯლიშში, მაგრამ მას გოჩასი ეფიქრებოდა, რადგანაც ამის მოაზრების და გამოცდილების სახელიც მთელს მთაში გავარდნილი იყო.

ერთს დილით გარიჟრაჟზედ მთიულების ურდოში შევიდა ტანად მოსული და კარგად ჩასხმული ვიღაცა წვერიანი კაცი. იმისი ჯაჭვის პერანგი, თულეპი და მძიმედ ოქროთი შეჭედილი ხმალი, ოქროთივე ნაჭედი ჩაჩქანი ამტკიცებდა, რომ ის უბრალო მთიულებს არ ეკუთვნოდა და რომელიმე გამოჩენილი გვარისა უნდა ყოფილიყო. იმის ტლანქი პირისახის ნაკვთები, სქელი და რაოდენადმე გადმობრუნებული ტუჩები, მსხვილი მოგძელო ცხვირი, ჯანიერის ნესტოებით და პატარა ქუთუთოებ შეშუპებული თვალები ამტკიცებდნენ მის შეუბრალებლობას და დაუდგრომელს მხნე ხასიათს. ხშირი და გაერთებული შავი წარბები ნაოჭად შეკრულს შუბლთან ერთად უფრო მომეტებულს სიმკაცრის ბეჭედს ასვამდნენ იმის ისეც უსიამოვნო სახეს და რამდენიმე ხაზი, რომელიც თვალის კილოებიდგან სხვადასხვა მხარეს შუქსავით იბნეოდნენ, აშკარად გიჩვენებდნენ, რომ ცხოვრებაში მოთმინების მიმყოლი არ უნდა ყოფილიყო. იმის მისვლასთან ერთად მთიულების ურდო შეიძრა და უფროსი კაცები მისალმებით მიეგებნენ.

ხალხი მისვლის უმალ ქუდს უხდიდა და მდაბლად თავის დაკვრით ეუბნებოდა:

— „ბატონს ნუგზარს გაუმარჯოს, ბატონს ნუგზარს ვახლავართ!“ და ისიც სიამპარტავნით და მედიდურად ოდნავ თავის მოხრით სალამის ღირსად ძლივსა ჰხდიდა.

ნუგზარ მივიდა იმ ადგილს, სადაც ურდოს შუაგულში ცეცხლის პირას ნაბადი იყო დაგდებული და ზედ მოიკეცა. მთიულთა ჯარის უფროსნი გარს შორი-ახლო შემოეხვივნენ.

— დასხედით, სიტყვა მაქვს, – მოკლედ, მაგრამ მბრძანებელის კილოთი და ბოხის ხმით დაიწყო ნუგზარმა.

მთიულებმა მოიკეცეს ბალახიანს ველზედ და მოთმინებით ელოდნენ. რაც ეტყოდა იმ ხანებში ქართლში ნათესავების შემწეობით გამძლავრებული ერისთავი.

— ხალხო! — დაიძახა ნუგზარმა და ხმაში მრისხანება დაეტყო: — გულდამყრელებსა, ხანდოსხეველებსა და ქართლელებს უარი შემოუთვლიათ ჩვენს დახმარებაზედ, და ვფიცავ ანანურის ღვთის მშობელს, რომ მკაცრად გადავუხდი მაგ უარისთვის, გავუმწარებ სიცოცხლეს და მზეს დავუბნელებ... ვეცდები, რომ მათ სოფლებში იმდენი ყვავილი არ გაწითლებულიყოს, რამდენსაც მათი სისხლით შევღებავ, იმდენი ყორანი არ მოიპოვებოდეს, რამდენსაც შავად შევმოსავ... იმათ მოთავეებს ჩემის ხელით ამოვგლეჯ გულებს, სიამოვნებით გამოვწურავ სისხლს და ჩემი გული მაშინ დამშვიდდება, როდესაც ხელი იგრძნობს მათს უკანასკნელს ფართხალს...

აქ ნუგზარ შესდგა რაოდენსამე წამს. მისი თვალები ბოროტების ცეცხლით აინთნენ და ჩასისხლიანდნენ. მსმენელთა შორის ბევრნი ისეთნი იყვნენ, რომელნიც პირზე ღიმილით სიკვდილს ათასჯერ პირმოცინარი შეჰგებებოდნენ და განუწყვეტლივ ბრძოლაში გული კაჟად გადაჰქცეოდათ, მაგრამ იმათაც კი ველარ შეიმაგრეს თავი და ნუგზარის სიტყვებზედ რაღაცა ალშფოთებამ უსიამოვნო ჟრიანტელად გაურბინა სხეულში. ხალხში სრული სიჩუმე იყო, ყველას სული გაენაბა.

— მაგრამ ეგ შემდეგისაა!... მოხევეებისთვის ჩვენცა ვკმარვართ... მე არ მინდოდა ბევრი ბრძოლა, ვფიქრობდი ერთბაშად გამესრისა ისინი, მაგრამ არა უშავს-რა... ხმლის თითო მოქნევის მაგიერ, ოროლჯერ მოვიქნიოთ და ისევ ის იქნება... ნულარ ვიგვიანებთ, წავიდეთ დღესვე!

ნუგზარ, რომელიც თანაგრძნობის ყიჟინს მოელოდა, ერთბაშად შესდგა; ხალხში სიჩუმე ოდნავის შერხევითაც არ დარღვეულა. ნუგზარმა შეჰხედა იმათ და სახეს სიბრაზის ალმურმა გადაჰკრა.

— ხალხო, ეს რა ამბავია? - წარმოსთქვა იმან ცოტად დაფარულის თავშემაგრებით.

ამაზედაც სრული სიჩუმე იყო პასუხად. ნუგზარმა ველარ მოითმინა და მრისხანედ წამოიძახა:

— აქაც ღალატია, თუ შიში!?.. ლაჩარო დიაცებო... ვინ გაჰბედავს, ჩემს წინ უარს?!.. ვინ არ გამომყვება? — ნუგზარ დადგა განზედ და კრებას

ისეთ რიგად დაუწყო ყურება. თითქოს თვალებით შეჭმას უპირებდა.

მთიულთა მოთავეთ შორის გამოვიდა ერთი და პირდაპირ ნუგზარს გაედგა.

— მე, შენი კვნესამე!... მე არ გამოგყვები.

ამ სიტყვებზედ ნუგზარმა თოფის წამალსავით იფეთქა, გაივლო ხმალს ხელი, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

— შენა?... შენ ამბობ მაგას... მაგრამ მართალი ხარ... შენი კაცობა ვის გაუგონია, შენი საქმე მანდილოსნებთან ყოფნაა... წადი შინ, მოუჯექ დედაკაცებს, ბრძოლის ველზე შენ რა ხელი გაქვს?... შენს მაგიერ შენი ჯარი მოთავედ სხვას ამოარჩევს და, უეჭველია, ის შენზედ გულადი იქნება.

მთიული, რომელიც მოთმინებით ელოდა ნუგზარის სიტყვების გათავებას, ერთბაშად გაიმართა წელში და მხოლოდ ხმის მცირედს კანკალზედ შეატყობდით, რომ საწყენი სიტყვები გულამდის ჩასწვდომოდა.

— ჩვენი თავი, ნუგზარაუ, მეფემ შენ ჩაგაბარა... შენი სახელი დღეს მეფის სახელია და იცი, რომ იმის სახელი გიფარავს, მთიული ქართველთ მეფის წინ ხელს ვერ გასძრავს? რად მლანძღავ?... ჩვენგან არც ერთი არ წამოვა, არც ვინ არ მოგექომაგება... რაი გვაქვს გასაყოფი მოხევეებთან?... არა, ხალხო! — მირბრუნდა მთიული დანარჩენებს.

— მართალია, მართალი, ლომისის მადლმა! - გრგვინვასავით გაირბინა ხალხის ხმამ. ამის ნახვაზედ ნუგზარი რაოდენადმე შეჰკრთა და აირია, რადგანაც ამგვარად საქმის დატრიალებას არ მოელოდდა. მაგრამ, როგორც გამოცდილმა კაცმა, თავი მალე შეიკავა და უფრო დაწყნარებით ჰკითხა:

— მაშ სიტყვა რად მომეცით, რადა მპირდებოდით?

— შენ გვითხარ, რომ პირ-იქითელს ოსეთზედ უნდა გავილაშქროთო, გვითხარ, რომ ჩვენს მეფეს ეწინააღმდეგებიანო, მოგვატყუე, რომ მოხევეებს ოსების მხარე უჭირავსთო და იმად წამოგყევით...

— მართალი არის... მოხევეებს ოსების მხარე უჭირავსთ, უნდა გადავახდევინოთ.

— ტყუილია, ტყუილი? — ერთხმად იგრიალა ხალხმა.

ნუგზარ სიბრაზით ტუჩებს იკვნეტავდა და გულით უნდოდა შეეტყო, ვინ შეატყობინა მთიულებს ეს ამბავი.

— ვინ გითხრათ, რომ ტყუილია? - ერთბაშად წამოიძახა ნუგზარმა, რომელიც იმედობდა, რომ მოღალატის სახელს გაიგონებდა.

— თავად გვითხრეს, თავად! — მოისმა რამდენისამე კაცის ხმა.

— და თქვენც დაუჯერეთ?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — ბოროტად გაიხარხარა ნუგზარმა.

— რად არ უნდა დაგვეჯერებინა?

იმიტომ, რომ თქვენი შეშინებიათ და უნდათ თავიდგან მოგიშორონ.

— ტყუილია, ტყუილი! განიმეორა ხალხმა საერთოდ.

ნუგზარ მთლად გალურჯდა სიბრაზისგან, რადგანაც ამგვარ პასუხს ის დაჩვეული არ იყო. იმ წუთში იმას რომ შესძლებოდა, იქავ ყველას გასწყვეტდა, გაანადგურებდა, მტვრად აქცევდა და ქვეყანაზედ გაჰფანტავდა, მაგრამ ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ ნება-უნებლიედ თავი უნდა შეეკავებინა.

— მაშ იმათი სიტყვა გჯერათ? — იკითხა ნუგზარმა.

— გვჯერა, ლომისის მადლმა! — მისცა რამდენმამე კაცმა პასუხი: გვჯერა იმად, რომ მოხევის კაცები იყვნენ, შემოგვფიცეს და ჰდე დასდეს... [illegible] საით ეღალატებით! არა, ხალხო?

არ ეღალატების, არა!... წავიდეთ, დავბრუნდეთ შინა! — ყვიროდნენ მთიულები, რომელნიც აიშალნენ, აირივნენ და თავიანთ ბინას ხელი წამოავლეს.

კარგა ხანს გრძელდებოდა ჟლავილ-ჟლუილი და ჩოჩქოლი, რომელიც მხოლოდ მაშინ შესწყდა, როდესაც მთიულები პირველს ბეგობს გადაეფარნენ დაცარიელებულს მინდორზედ მარტო ერთი კაცი-ღა დარჩა იმისი დაღვრემილი სახე ღრმა ფიქრს წაელო და მთლად გაფითრებულიყო.

კარგა ხანმა გაიარა, რომ ეს კაცი ასე გაქვავებული იდგა, თითქოს განძრევის თავიც აღარა ჰქონდა. მერე ერთბაშად აიქნია თავი, დააღრჭიალა კბილები და მუქარით წამოიძახა: — თქვენი ფეხი დამკარით, თუ დღევანდელი დღისთვის არ გადაგიხადოთ!

XVIII

თრუსის ხეობის გამოსასვლელში, სადაც თერგი ვიწრო ხეობიდგან თავს აღწევს და იშლება კობის გადაჭიმულს ვაკეზედ, ოსების უკანასკნელს სოფელს ოქროყანასთან, საკმაოდ ხალხი მოგროვილიყო და მხიარულის სიმღერით დროს ატარებდა. თუმცა ეს მხიარულება და განუწყვეტელი ყიჟინა ამტკიცებდა, რომ შეკრებილი ხალხი რაღაცა სიამოვნებაში იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ისინი არც რომელსამე დღეობას შეეყარა, რადგანაც არც ერთი ქალი

არ ჩანდა მათ შორის. და არც რომელსამე სახალხო დროს გატარებას: ყველანი თავიდგან ფეხებამდე შეჭურვილნი იყვნენ და ურიცხვი [illegible]-აკიდებული ცხენები ჰიხვინით ტოტებსა სცემდნენ მიწას და აქეთ-იქით მოუთმენლად მიიწიდებოდნენ.

ხალხი მოძრაობდა და რაღაცა მღელვარებაში იყო, ეტყობოდათ, რომ აქ დაბინავებას არ აპირებდნენ და მალე გზად უნდა გამართულიყვნენ.

ესენი ამ ლხინში იყვნენ, როდესაც თრუსოს ხეობის ხვეულს ბილიკზედ კორიანტელი ავარდა და მომღერლების ყურადღება მიიქცია

ყველანი გაჩუმდნენ, გაიშალნენ და იმ ადგილს დაუწყეს ყურება, საიდგანაც მოჩანდა მტვერი. მტვერი თითქოს მოძრაობდა, ადგილს იცვლიდა და შეყრებილს ხალხს თანდათან უახლოვდებოდა.

აშკარა იყო, რომ რამდენიმე მხედარი ცხენებს მოაჭენებდა, მაგრამ ცხენების ფეხით ავარდნილი მტვერი და გზის ნაპირას მყოფი ქვები მაყურებელთ უშლიდა მომავალნი დაენახათ. ცოტა ხანმაც ამ მდგომარეობაში გაიარა და ერთს ჩამოლესილს კლდის ნაპირზედ ერთბაშად თითქოს მიწიდგან ამოიზარდნენო, გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი. ამ ადგილს ბილიკი ისე ვიწრო იყო, რომ გეჩვენებოდათ, თითქოს მომავალნი კლდიდგან ცხენებს გადმოხტომას უპირობენო: ისე ჰქონდა კლდეს ცხვირი წამოწვდილი, რომ მომავალთა სურათი ცის ტატნობზედ იხატებოდა, მედიდურს და გულის შემტაცებს ოცნებად მოგეჩვენებოდა და გასურვებდათ მათთვის თვალი არ მოგეშორებინათ, მაგრამ სწრაფად გამოჩენილები სწრაფადვე ჩაიმალნენ ამაღლებულს ქედის უკან, ისე თითქოს წუთზედ ამოჩენილნი წუთზედვე მიწამ ჩანთქაო.

თუმცა ამ სურათის ცვლილება წუთზედ მოხდა, მაგრამ შეყრილის ხალხისათვის ეს მცირე ხანიც საკმარისი იყო, რომ მგზავრები ეცნო.

— ნუგზარაი, ნუგზარაი მოდის! — დაიძახა სიხარულით ხალხმა და სიამოვნების ღიმილმა გაურბინა პირის სახეზედ.

დიაღ, ეს გახლდათ ნუგზარი, რომელიც მოაჭენებდა თავის ერთგულის ოსების ურდოსკენ, სადაც პირობისამებრ ისინი უნდა მოგროვილიყვნენ, აქ შეერთებოდნენ მთიულებს და საერთო ძალით ხევზედ გალაშქრებულიყვნენ.

სიტყვა არ უნდა, რომ იმათ გულით უნდოდათ გადახდევინება იმ ხალხისა, რომელიც მათსა და ქისტეთს შუა სოლსავით შეჭედილიყო და დამეზობლებულ ხალხთათვის საშუალება მოესპო გადაუხდევინებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს დასცემოდა..

ოსებს უნდოდათ გასრესა ამ ხალხისა, რადგანაც, შუაში შეჭრილი, ყოველ მხრივ მტერ-შემორტყმული თვალშეუწყვეტლივ იცავდა საქართველოს ალაყაფის კარს და მარჯვნივ, თუ მარცხნივ მამულის სადიდებლად პას „ვორდას“ იქნევდა.

რაღა თქმა უნდა, რომ ნუგზარის მიშველება იმათ წადილს ეთანხმებოდა და ამ ბრძოლის შემდეგ ისინი იმედობდნენ, რომ ფართო ასპარეზი დარჩენოდათ თავისუფალის ავაზაკობისათვის.

ოსებს ძალიან გაეხარდათ ნუგზარის დანახვა, მაგრამ მისგან ისე ცოტა ხალხით მოსვლა მაყურებლებს მეტად აკვირვებდა, რადგანაც ნუგზართან ერთად მთიულებსაც მოელოდნენ; ოსებმა სრულიად არა იცოდნენ-რა მთიულების შინ დაბრუნებისა, რადგანაც უკანასკნელები პირდაპირ ლომისის მთაზე გადასულიყვნენ და ოქრო-ყანას მოგროვილ ოსებს ველარ შეჰხვდებოდნენ.

— მარტო რად მოდის? საკვირველია, ღვთის მადლმა! იძახდნენ ოსები, მაგრამ ისევ მალე მშვიდდებოდნენ ზოგიერთების პასუხით:

— ალბათ ჯარი უკან მოდის და ეგ კი თავდარიგის მისაცემად წინ წამოსულა.

ამ სიტყვების შემდეგ ოსების ურდოდგან განცალკევდა რამდენიმე გამორჩეული მხედარი, ამხედრდა და თავს-ბრუ დამხვევის სისწრაფით ნუგზარის მისაგებებლად გაჰქუსლა.

ყველანი მიაჭენებდნენ სიმღერით, თოფის სროლითა და ყიჟინით და თანდათან უახლოვდებოდნენ ერისთავს, რომელსაც ამხანაგებთან ერთად მთის ბილიკებიდგან ჩამოსვლა მოესწრო და გათქვირებულს ცხენს, მთლად ოფლში გაქანებულს, მოაქროლებდა.

ოსები და ნუგზარ გაექანნენ ერთმანეთისკენ და ცხენებს ჯილავი მხოლოდ მაშინ მოსწიეს, როდესაც მათი შუბლები თითქმის ერთმანეთს შეეხო. პირდალრენილი ცხენები უკან მოაწყდნენ, უკანა ფეხებით ჩაიჩოქეს და გაქვავებულსავით შესდგნენ.

— და ფანდაგ რასტ! (გზა მშვიდობისათ) — მიესალმა ნუგზარ და პასუხად მიიღო.

— და ყუტა რასტ!

— სხვა?!.. როგორა ხართ, რასა იქთ?

— კარგად ვართ ღვთისა და შენის წყალობით.

— ჯარი მოგროვდა?

— მოგროვდა: ყველანი იქ არიან, — უპასუხა ერთმა, რომელიც მოსულს ოსებში თავობდა.

— ხომ არავინ დაჰკლებია? — მზრუნველობით კითხულობდა ნუგზარ და ცდილობდა მხიარულად სჩვენებოდა, თუმცა შუბლი შესჭმუხვნოდა და პირისახეხედ მწარე დუმილის ბეჭედი დასტყობოდა.

— თუ კი შენ დაუძახებ, უარს ვინ იტყვის? „მოუქასუხა ოსმა და დაუმატა: — ყველანი აქ არიან, შენი ჭირიმე, ყველას შენი სამსახურისთვის თავი გადაუდვია.

ნუგზარს სიამოვნების ნაპერწკალმა გაურბინა გულში. სახე რაოდენადმე გაუღიმდა, მაგრამ მაშინვე ისევ გაფითრდა, შუბლი შეიჭმუხვნა.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო ნავრუზ!

- აბა რა მადლობას მიბძანებ, შენი ჭირიმე, შენი სამსახურის ღირსიც კი არა ვართ, არა ჩემა მზემ!.. არა, ბიჭებო? მიუბრუნდა ოსებს.

— ჰაი, ჰაი, რო აგრეა, — დაუმოწმეს სხვებმა.

ნუგზარ გაჩუმდა, რადგანაც მისი გონება მეტად სატანჯავს საგანს დააკვირდა. მისი მდგომარეობა ადვილი არ იყო, რადგანაც ოსების გულადობა მხოლოდ მთიულების დაამხანაგების გამო წარმოსდგებოდა და კარგად იცოდა, რომ, თუ იმათ მოშორებას თრუსოელები გაიგებდნენ, მათი დაჭერაც ძნელი და იქნებოდა.

მაშ როგორ მოქცეულიყო, რომ ოსები არ შემოჰფანტოდა და მათზედ გავლენა არ დაეკარგა, როდესაც ეს უკანასკნელები ჭეშმარიტებას შეიტყობდნენ? ეთქვა ყველაფერი პირდაპირ, თუ დროისთვის მოეცადნა?

აი ეს იყო ის მწარე ფიქრები, რომელთ გადაწყვეტასაც ნუგზარის მთელი არსება შეეპყრო და, ყოველთვის ამაყად მოსაუბრისთვის, დღეს პირში სიტყვა გაეწყვიტა.

— მართლა, შენი ჭირიმე, სულ არ დამავიწყდა! დაიწყო ნავრუზმა.

— რა ამბავია? მოკლედ იკითხა ნუგზარმა.

— ლეკებში გაგზავნილი კაციც დაბრუნდა!

— დაბრუნდა?! სად არის? მიჩვენე ჩქარა? — მოუთმენლად წამოიძახა ნუგზარმა და თვალები გაუბრწყინდა.

— იქ, ბინაზედ არის.

— რა ამბავი მოიტანა?.. მითხარ, მითხარ ჩქარა!..

— ლეკებიც ამალამ გადმოვლენო, — უთხრა ოსმა და ნუგზარ სიხარულ აინთო.

— მართალს ამბობენ, მართალს?! — დაფანტვით მივარდა ოსს, მაგრამ ს ქაროდ თავი შეიკავა, გასწორდა, გაიმართა ცხენზედ და კბილების ღრჭიალი წარმოსთქვა: — „ახლა კი მე ვიცი“.

ამ წუთის შემდეგ ნუგზარ ისევ გამოიცვალა და თუ წეღან რაღაცა მოლ ბობილი და თავმდაბლობის კილო გამოითქმოდა მის საუბარში, ახლა სრულ მბრძანებელი შეიქნა.

— მაშ გავწიოთ ბინაში და ხვალ მოხევეთა მზე დავაბნელოთ! — ეს წ მოსთქვა, შეიბერტყა, გასწორდა და გაათამაშა ცხენი მათრახის შემოკვრი წუთს შემდეგ ისინი ოქრო-ყანის ბანაკში გაჩნდნენ და ნუგზარ მბრძანებლო და სრულის თავის მედიდურობით.

ნუგზარის მოძრაობა მოხევეთათვის ფარულად არა რჩებოდა, რადგან ერთის მხრით ოსებს უთვალთვალებდნენ თავგამოდებული მოხევეები, რომე ნიც უშიშრად ხან საიდგან მოექცეოდნენ მტრის ჯარს და ხან საიდგან. დ წვრილებით ტყობულობდნენ მათს მდგომარეობას და ყოველ დღევე ხევი ბე გოჩას უამბობდნენ; მეორეს მხრით ენის ტანტალს დაჩვეული ოსები საიდუ ლოს ვერ ჰფარავდნენ და ყოველ ამბავს სიხარულით თითო კანძ მატყლ ჰყიდდნენ.

ერთს საღამოს მზე ჯერ არ ჩასულიყო, როდესაც გოჩამ შემოიკრიბა თ ვისი ხალხი და დამწყალობების შემდეგ დაიძახა:

— ხალხო და ჯამაათო! ნუგზარისგან მთიულების გაშორებამ ო ვიდგან არა აგვაცილა... მათ მაგიერ ნუგზარს ლეკის ჯარი მოსვლია... რას დაგიმალოთ, ბრძოლა გაცხარებული იქნების. ბევრის დედაი ჩაიცვამს შა ბევრი მშობელი გულში ველარ ჩაიკრავს თავის ნაშობს... იმად, რომ მტ ძლიერია და ნუგზარ კი სისხლით გაუმაძღარი... იცოდეთ, სახუმრო საქ არაა, მაგრამ რამდენადაც ბრძოლა გაცხარდების, რამდენადაც საქმე გაჭირ ბის, იმდენადაც გამარჯვებას მეტი ფასი ექნების... რაი ვუყოთ, რომ ერთ ათი მოვა?!.. ასიც რომ მოვიდეს, მაინც გამარჯვება ჩვენი იქნების, იმად რ ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი ვართ... ჩვენ გვიცვივიან სახლ ჩვენ გვიპირობენ აკლებას, ჩვენს დედაკაცებს გაწბილებას და ამგვარი საქ

ნაალმდეგოდ სიკვდილი, ღვთის მადლმა, სანეტაროც არის!.. ვინა ხართ ნიერი, ვის გიცემსთ ქუდოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი?.. ყველა ერ-თვის და ერთი ყველასთვის!

— დედამც შეურთამს ცოლადა, ვინც კარზე მომდგარს მტერს გამოექ-, ვინც სიკვდილს შეუშინდეს... მოღალატეს რისხავდეს სამება!

— „ო-ომენ“! იყო საერთო გრგვინვასავით პასუხი, რომელიც ახლო ფმა მთებმა ბანსავით რამდენჯერმე გაიმეორეს. ხალხი აღელდა და აიშალა, ჩას თვალებს კი ცრემლი მოერია და გულმა ვეღარ გაუძლო, რომ შურით წამოეძახნა.

— ნეტავი თქვენ, რომ ყმაწვილები ხართ, ჯანი და ღონე გერჩისთ. ნე-ვი თქვენ, რომ იბრძოლებთ. ნეტავი იმას, ვინც ამგვარს საქმეში მოკვდე-. სასუფევლის გზა გაკაფული აქვს.

ამ სიტყვების შემდეგ ყველანი შემოჯგუფდნენ საყდრის გალავნის კე-ლთან, სადაც საარაყე ქვაბებში საკლავები იხარშებოდა, რათა საერთო პუ-ს ჭამის დროს ერთმანეთს გამოსალმებოდნენ და თავიანთ ადგილებზედ გა-ლნი თავის მოვალეობას შესდგომოდნენ: ვინ იცის, ხვალ ვისი მზე დაბნელ-ბოდა, ვისი თვალი დაიხუჭებოდა, ვისი დედა ატირდებოდა მდუღარე ცრემ-ით.

XX

ბინდ-ბუნდი იყო; დღე წყნარად ჰქრებოდა. მზის უკანასკნელი შუქები ლიანად ესალმებოდნენ მთის წვერებს. გაგულისებული ნისლი უშიშრად დიოდა დედა-მიწიდგან და ოშხივარსავით ეფინებოდა მწვანე მინდორს. სო-ლის სიონის სამრეკლოდან ღამის გუშაგებს თავთავიანთ ადგილებზედ გასვ-ანიშნეს. ზარის ხმა დანოტიებულს, გაჟენთილს მძიმე ჰაერში როგორღაც უხარედ ჟღრიალებდა. მოხევეთა გუშაგებს რაღაცა განსაკუთრებული მოუ-ნებლობა ეტყობოდათ. ყველას პირისახეზედ მზრუნველობის ბეჭედი და-ყობოდა; გაფრთხილებულნი სმენად და ჰვრეტად გადაქცეულიყვნენ; მცი-დი მოძრაობა არ გამოეპარებოდათ და თუ თვალით ვერ დაინახავდნენ, მოძ-ობის ხმას ყურს მაინც არის მოჰკრავდნენ. ასეთია მდგომარეობა კაცისა, დესაც იგი აღელვებულია, მოელის რასმე. მოხევეთაც გამოეცხადათ, რომ მავალს ღამეს ნუგზარ უნდა დასცემოდა და ყველანი ემზადებოდნენ, გაუ-თხილებლობით არა წაეგოთ-რა და სხვა კი ღმერთსა და შემთხვევაზედ მი-

ამ საერთო მზადების დროს, გოჩას საწოლის კარები ვიღამაც შეაღო ღ იქავ კარებში შეჩერდა. მოხუცი ქუდ-მოხდილი პატარა ჯვარცმის წინ იდ და მხურვალედ ლოცულობდა. მას მაღლა აელო თავი და თვალები ზეცის მიეპყრა. შეხურებულ გულს სისხლის მოძრაობა აეჩქარებინა. მუდამ სწორე დალაგებული თმა, ახლა ძარღვთა ქრიამულს აეშალა. გადაჭიმულს ყელზე გამაგრებული და სისხლით გაჭედილი ნეშტვები ხნიერებისაგან მოღმენ კანს ქვეშ ამობურცებოდა. ის ხმას არ იღებდა, მაგრამ სახის მოძრაობაზე აშკარად ეტყობოდა, რომ გრძნობის ალს მთლად მოებურა მისი არსება. შ მორტყმოდა გულსა და სისხლს უჩუხჩუხებდა.

შემოსულმა ვერ გაბედა ამ წმინდა მყუდროების დარღვევა, წყნარ-წყნ რად თითონაც დაემორჩილა ამ სურათის ძალას, ჯერ გახევდა, მერე წყნა წყნარადვე თავი მოეხარა, მუხლები ჩაეკეცა და დაჩოქილი დარჩა. მან იგრ ნო, რომ მოხუცის ვედრებაში მისი სახელიც ისმოდა; კიდევ ერთი წუ და აშკარად გაიგონა: „ღმერთო, პირნათლად ამყოფე ჩემი ონისე!“ და სიტყვებზედ კარებთან მყოფი შეკრთა. შეჰკრთა მოხუციც მის მოძრაობაზე მოიხედა და დასუსტებული წყნარად წამოდგა. მივიდა შვილთან ლასლასი დაადო თავზედ ხელი და აღელვებულმა მთრთოლვარეს ხმით განიმეორა:

ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლათ ატარე!.. ადრევე მოუსპე სიც ლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს?..

ამ სიტყვებზედ მოხუცს გამხდარ ლაწვზედ გადმოედინა მდუღარე ცრე ლები, რომელნიც საჩქაროდ მოიწმინდა და გაფრთხილებით აქეთ-იქით მიიხ ~~და, თით~~ქოს ეშინოდა, რომ არავის დაენახა. ონისეს გულმა ველარ გაუძლ მოხუცის მოჩვილების ხილვით თითონაც მოლბა და თვალები წვიმაში მზ მსგავსად გაუბრწყინდა. იმან იგრძნო, რა რიგად უყვარდა მამას, რა უნ ეგრძნო მის გულს, როდესაც შვილი განსაცდელში იქნებოდა და ეს განსა დელი კი იქავ ახლოს ზურგს უკან ედგა; რამდენიმე წუთის შემდეგ მთ მუქზედ მახვილი გაკრიალდებოდა და ჰაერში სტვენით და ზუზუნით წამ სული, ვინ იცის, ვის პირზედ ღიმილს გააცივებდა, ვის გრძნობის მოჩუ ჩუხე წყაროს ყინვასავით მოასწრობდა.

-- მამაისი, რაი ვატირებს?

-— ვინ იცის, რაი შეგემთხვევა, — ჩურჩულით წარმოსთქვა მოხუცმა.

— რაი უნდა შემემთხვას? - გაუმაგრა გული ონისემ, ღმერთი მოწ ლეა!.. მტერს გავაბრუნებთ და თავად მშვიდობიანად დავრჩებით.

— ბრძანოს უფალმა, — წარმოსთქვა მოხუცმა და ხელები აუთრთოლდა: — წადი, ონისე, დროა... ღმერთიმც იქმნების შენი მფარველი... თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც უფლის ნებაა... ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდება!.. მაგრამ ვაჟკაცად კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს.

— მაგას ნახავ!

— არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, აქაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟღენთავს... ახლა თქვენ იცით, რასაც იქთ..

მოხუცი შესდგა, დააცქერდა შვილსა, რამდენჯერმე სცადა კიდევ რაღაცის თქმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა და მხოლოდ ცოტა ხანს შემდეგ ხელი გაუქნია და ძლივსლა წარმოსთქვა:

— წადი, კარგია...

ონისე სწრაფად გამოვიდა და გაემართა დანიშნულ ადგილისკენ, მოხუცი კი იმავ ადგილიდგან თვალს ადევნებდა იმ დრომდის, ვიდრე შვილი სახლის კედლებს არ მოეფარებოდა.

მერე ოდნავ ამოიხვნეშა, გადისვა შეჭმუხნილს შუბლზედ ხელი და წარმოსთქვა:

— ახლა ჯარს უნდა მივხედო.

XXI

Oნისე გასვლის უმალ გაემართა ნაროვანისკენ, სადაც მთის ბილიკებზედ უნდა გასულიყო და თავისი გუნდის უფროსის ბრძანებით მტერზედ თვალი დაეჭირა და მათი მოახლოვება დროზედ შეეტყობინებინა.

ის მიდიოდა ჩვეულებრივის სიფრთხილით, როდესაც მის წინ რაოდენიმე მანძილზე ქვა ვიღამაც შეანძრია. ონისე ვეფხვსავით გადახტა გზას იქით, ამოეფარა ქვასა და ღამის მშვიდობიანობის დამრღვევს მოელოდა.

კარგა ხანმა გაიარა, სანამ ხვეულს ბილიკზედ გამოჩნდებოდა ვინმე, მაგრამ ფეხის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, აშკარად ესმოდა. წუთიც და გზაზედ ქალი და კაცი გამოჩნდა, რომელთაც ერთი დატვირთული ვირი მოჰყავდათ. აშკარად ეტყობოდა, რომ ესენი მწყემსები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც მთიდგან ჯარისთვის ყველი მოჰქონდათ.

ონისე დარწმუნდა, რომ მომავლები მოხევენი უნდა ყოფილიყვნენ და ის იყო თავის საფარიდგან გასვლას აპირობდა, როდესაც აშკარად გაიგონა თავის სახელი და სული განაბა.

მომავლები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და თითქოს მათ შორის უკმაყოფილება ეტყობოდა.

ორნივ გაუსწორდნენ ონისეს და დასასვენებლად ქვაზედ ჩამოსხდნენ.

— ქალაუ, — დაუწყო კაცმა, ღვთის მადლმა, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან... ჩამოვდნი, დავილიე შენის ლოდინითა და შენი გული ვერ გალხვა.

— რაი ვქნა, თუ კი არ მიყვარხარ.

— ვითმენდი და აბა... აქამომდის ზღვას დააშრობდა, რაც გულში ცეცხლი მენთების.. მომკვდარვიყავ მაინც, გზა მოგეცემოდის.

— რაისთვი თავს არ მანებებ!... რაი გინდა ჩემგან?.. ძალად ხომ ვერ შევიყვარებ?

— თავი საით დაგანებო? ცოლი ხარ, ქვეყანაში მეც ქუდი მხურავ...
მაშ რაი გიყო?

— რაი მიყო და ცოლობა უნდა გამიწიო.

— კარგი-და, ღთის მადლსა, ბიჭაუ!... გითხარ არ მიყვარხარ მეთქი და გათავდა!

კაცი გაჩუმდა რამოდენსამე ხანს და თავ-ჩაკიდებული იყო. შემდეგ უცნარად წამოიხედა, მისი თვალები ელვარებდნენ.

— იყურჩე, ქალაუ!... შენი თავი მაინც შეიბრალე, თუ მე აღარ გებრალები.

ქალმა შეხედა და მხრების აწევით უპასუხა:

— შესაბრალებელი რაი მაქვს! — მომკლავ და გული დამშვიდდების...

— მაშ აღარ იქნების?... არც როდის არ დამიბრუნდები, არ შემიყვარებ?

— არა.

კაცმა ხანჯლის ტარს გაივლო ხელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავა.

— მაშ იმისი უნდა იქმნა?... გგონია, რომ დაგანებებ? .. დაგითმობ იმას?. . ღთის მადლმა, შენც მოგკლავ, იმასაცა, ჩემს თავსაც ზედ დაგაკლავთ და შენით კი არავის ვახარებ.

— აი, მომკალ!.. ცხვებს რაისთვი ექადი, რას ემართლები! — ქალმა გაუშვირა მკერდი და სიბრაზისაგან აღგზნებულის თვალებით დაუწყო ყურება.

კაცი აიმღვრა და წამოვარდა.

— მაშ სიკვდილი გინდა?... კარგი, მოგკლავ, მაგრამ მოგკლავ მაშინ, როდესაც ონისეს თავს მოგიტან...

ამ სიტყვებით კაცი გადახტა გზას იქით და უგზო-უკვლოდ ონისეს ბინისკენ თავქვე დაეშვა. ქალმა დაიკივლა, მივარდა იმ ადგილს, სადაც კაცი ბექობას გადაეფარა და მწარედ შესძახა:

— გუგუაუ, გუგუაუ!... ნუ დამღუპავ, რას ჩადი!... ვაიმე დაღუპულმა! — წამოიძახა იმან და გაჰქანდა ფრიალო კლდისკენ.

ისიყო მიუახლოვდა კლდის ნაპირს და გადავარდნას აპირობდა, როდესაც ვიღაცამ ხელი გაავლო და გულში ჩაიკრა.

ქალმა მოიხედა და ღონე-მიხდილმა ძლივსღა წარმოსთქვა:

— ონისე! — და კაცის ხელზედ მიელუშა...

XXII

კარგა ღამემ გაიარა. მოწმენდილს ცაზედ მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და ნათის სხივით იქაურობას ეკამკამებოდა.

ონისე და ძიძია იმავ ადგილს ისხდნენ, სადაც ტრფიალების ცეცხლმა დაჰკა და დაიმონა; ორნივ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ და დაბანგულებსავით სიტკბოების ნეტარებას ეძლეოდნენ. მთვარის შუქი ნაზად შესთამაშებდა ძიძიას დათენთილს სახეს, რომელსაც ონისე არ უსვენებდა და მთვარეზედ მობრუნებულს ხან გაშმაგებით ჩასცქეროდა, ხანაც გიჟსავით ჰკოცნიდა და ეხვეოდა. ყოველი მათი ერთმანეთთან მიახლოვება, მიკარება ათრთოლებდა, როგორც მოუსვენარი ნიავი წნორის ფურცელს, და კვნესა შერეულის სიტკბოებით ალსავსე გულს აფართხალებდა. ორთავ დავიწყებოდათ სად იყვნენ, დავიწყებოდათ თავიანთი თავი და მხოლოდ ერთს-ღა ცდილობდნენ, რომ ერთი მეორეში გადაქცეულიყო.

ესენი ამ თავ-დავიწყებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გავარდა თოფი და შეყვარებულები ფეხზედ წამოცვივდნენ.

ბედნიერებით გატაცებულს და თავდავიწყებულს ონისეს მხოლოდ ეხლა მოაგონდა თავისი ვალი და სამწუხარო ჭეშმარიტებამ გულზედ მწარე ჭახრაკი მოუჭირა. მის თვალ-წინ წუთზედ გაირბინა მლოცავი გოჩას სურათმა, მოაგონდა იმის სიტყვები და თავმოყვარეობამ ცრემლები გადმოადინა მას თვალწინ გადეშალა შემაძრწუნებელი სურათი მისის ამხანაგების ამოჟლეტისა, რომელნიც ონისეზედ დაიმედებულიყვნენ და უზრუნველად დაეძინათ.

ქვეით გაიმართა მკვირცხლი თოფის სროლა. თოფები ელავდნენ, ცეცხლები ენებსავით გძელდებოდნენ და გრიალით განაქრობდნენ ლომებრივ ვაჟკაცთა სიცოცხლეს.

ონისემ შეხედა ძიძიას, გული აუდუღდა და გუნებაში გაურბინა სიტყვებმა: მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა!... მშვიდობით, ჩემო ვაჟკაცობავ!

ამ სიტყვებით ის გაჰქანდა თავქვე, რომ თავის ამხანაგებთან ერთად თავი დაედო და გამოესყიდა წუთიით თავის დავიწყება, მაგრამ გვიანღა იყო: მტერს მათი სანგალი, სიმაგრედ გაკეთებული, აეღო და მათი დროშა ონისეს დახოცილი ამხანაგების ხროვაზედ ფრიალებდა.

XXIII

Ონისე თავ-გადაგლეჯილი მირბოდა თავქვე და გონება-დაფანტულმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა.

მტრის ლაშქარს აეღო მოხევეთ პირველი სანგალი და მისი დამცველნი თითქმის მთლად გაეწყვიტა. საცოდავი ჰგრძნობდა, რა ძვირად დაუჯდა წუთის თავდავიწყება, რომლის გამოც იმდენი მამაცი ბედის უცდელად, ბიქობის გამოუჩენლად შეიმუსრა, და სინიდისის ყვედრებამ მწარედ დაუწყო ჯანჯვა. გონება სინანულის მეტს ვეღარაფერზედ ვეღარას ფიქრობდა და დაქმარებულს გულს კი უწყალოდ რაღაცა ჰკუწავდა და ანადგურებდა.

ის გარბოდა და პირისახე გიჟს დამსგავსებოდა; ქუდი მოხდოდა, თმა ასწეწიყო და ტანისამოსი არეოდა. ამღვრეულს თვალებს თუმცა უნუგეშოდ, მაგრამ როგორღაც უცნაურად აქეთ-იქით ატრიალებდა. კაცი ვეღარ იტყოდა, იმ წუთში რას გამოსთქვამდა მისი სახე, რადგანაც მისი აზრის ტრიალი ელვასავით მკვირცხლი იყო და წუთზე ათას რიგად იცვლებოდა. ის მირბოდა გამარჯვებულის მტრის რაზმისკენ, რადგანაც გონება პირველი აზრის გაელვებას შეეპყრო და მხოლოდ იმას მოჰყავდა მოძრაობაში საკუთარს წადილს მოშორებული მოხევე. ეს იყო სიკვდილის წადილი და სიკვდილი უეჭველად იმ ხელით, რომელმაც მისი ამხანაგების სიცოცხლე გააქრო, იმ მახვილით, რომელიც იმისი მეზობლების უბრალო სისხლით შეღებილიყო.

ისიყო ონისე იმ ჭალაში ჩავიდა, სადაც გამარჯვებული ოსები მხიარულის „ვარაიდათი“ ფეხქვეშ ჰქელავდნენ მამულის დამცველთ პატიოსანს გვა-

ქებს და აპირობდნენ თავიანთ ბანაკისკენ გაბრუნებას, როდესაც წინ შეეფეთა რაოდენიმე მოხევე; ალეპულის სანგალის გუნდიდგან გადარჩენილნი.

ვინა ხარ? - ერთბაშად ონისეს წინ გადაეღობნენ მოხევენი, რომელთაც თოფის ტუჩები დაადვეს გულზედ.

— მე ვარ! — გაბრაზებით, მაგრამ თითქმის ტირილით შესძახა ონისემ, — მესროლეთ, მომკალით... მადლია თქვენთვის!

— აბაიმე, ონისე! წამოიძახა ერთმა და ყველამ თოფები ჩამოუშვეს.

— მადლი უფალს, ცოცხალი გადარჩენილხარ, – დაუმატა მეორემ.

ონისემ დაღონებით შეხედა, მაგრამ მაშინვე თვალები ელვასავით გაუბრწყინდა: იმას ეგონა, რომ მოლაპარაკემ იცის მისი საქციელი და დასცინის, მთლად აენთო და იწოდა უხილავის ცეცხლით, რომელიც მით უფრო ძნელი იყო, რომ არ დარჩენოდა სახსარი, სადაც ძალზედ არ აღგზნებიყო და თავისი ძალა არ ეგრძნობინებინა.

— მომკალით, ღირსი ვარ, მომკალით! . ღთის მადლსა, ნუღარ დამინდობთ! – ემუდარებოდა ონისე და მდუღარება გადმოსდიოდა, – მომკალით, გეუბნები, მადლია თქვენთვის!.. თუ დაბრმავდით, რომ ვაჟკაცი დიაცსავით ვტირი!..

მოხევეები გაშტერებულნი შეჰყურებდნენ ონისეს და ვერ მიმხვდარიყვნენ მის საქციელს.

– მაშ აღარ გებრალებით, აღარა?!.. გინდათ ასე ვეწვალო?!.. მოსტყუვდით, ღთის მადლმა! ეგრე არ იქნების... ონისე ქვეყნად აღარ ივლის, მტერს არ გააცინებს!.. გიხარიანთ, გიხარიანთ განა?! ჰა, ჰა ჰა, ჰა! - მწარედ გაიხარხარა ონისემ და გაჰქანდა მტრის ბინისკენ.

პირველის გაშტერების შემდეგ, იქ მყოფნი მოხევენი გონს მოვიდნენ, გამოეკიდნენ ონისესა და დაიჭირეს.

— სად მიხვალ, რას სჩადი, ბეჩაუ!.. „გონთ-გამოსულხარ“, თუ რაია?!.. —

ეუბნებოდნენ ონისეს, რომელიც ძალზედ იბრძოდა და ცდილობდა გაშვებინებოდა.

— რაი გინდათ, რად მიჭერთ... სადაც ამხანაგები დამილიეს, მეც იქ უნდა ჩავეკაფეინო... მაშ, თუ ეგრეა, თავად მოვიკლამ თავს, — წამოიძახა ონისემ და ჩახმახ-წამოყენებულის დამბაჩის ლულა პირში მიიცა, მაგრამ ვიღამაც ხელიდგან გამოსტაცა და სიკვდილს ასე გადაარჩინა.

იქ მყოფთ ეგონათ, რომ ონისე მეგობრების გაწყვეტას აერია და, რადგანაც გონს ველარ მოეყვანათ, ამისთვის აჰყარეს იარაღი, შეჰკრეს და თან წაიყვანეს.

— ულმერთონო, რას მემართლებით? — გულსაკლავად წარმოსთქვა ონისემ და ჯავრისაგან გამოწვეული მდუღარე გადმოედინა: — რაი გინდოდათ, მოვეკალით... ჩემი სირცხვილი თქვენ რას შეგმატებთ?

კიდევ ბევრსა ლაპარაკობდა ონისე, რომელიც თანდათან სუსტდებოდა და წყნარდებოდა, მაგრამ იმას ყურს აღარავინ უგდებდა, რადგანაც ყველანი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და იმ ადგილისკენ მიესწრაფებოდნენ, სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო.

XXIV

ისინი მიდიოდნენ ჯგუფად, გაჩუმებულნი, დახოცილნი. პირისახე ზაფრანად გარდაჰქცეოდათ, ტუჩები მოჰკუმოდათ და თვალები ცეცხლებსავით ანთებოდა.

მეტისმეტად ძნელი იყო მათი მდგომარეობა, რადგანაც მტერთან შებრძოლებაც კი ვერ მოესწროთ და ისე უნდა დამორჩილებულიყვნენ, ან დიაცებრ გამოქცეულიყვნენ, ან არა და ცხვრებსავით კისერი მიეშვირათ, რომ სისხლით გაუმაძღარის ნუგზარის ჯარს შეუბრალებლად ხანჯალი, ან ხმალი გამოესვა.

ბრძოლას გულით მოწადინებულებს, თითო სროლაც კი ვერ მოეხერხებინათ, ისე დაეცნენ თავზედ და ვინ იცის რამდენი სალექსე ქება-შესასხმელი ბიჭი, მეზობელთ იმედი, ამხანაგებისთვის თავმოსაწონი, უცდელად გაფუჭებულიყო.

ვინც გადარჩნენ, ან იმათ რაღა მოელოდდა? სათემოდ მოყივნება, რადგანაც მთაში გაუფრთხილებლობით საქმის წახდენა მასხარად ასაგდებია, დამარცხება კი უბედურება!.. პირველ შემთხვევაში ყველასგან ზიზღი, დამცირება მოელის, მეორეში კი სიბრალული და თანაგრძნობა.

მიმავალნი მოხევენი იქამდის დაეხოცა თავიანთ უბედურებას, რომ თავიანთ თავს იმის ანგარიშსაც ვეღარ აძლევდნენ, თუ როგორ მოეპარა მათ ნუგზარის ჯარი ისე, რომ მოძრაობა ვერც კი გაეგოთ?

იმათ მხოლოდ ერთი დასამშვიდებელი ის-ღა ჰქონდათ, რომ სამი კაცი შეკრული მიჰყავდათ და მათის აზრით ესენი იყვნენ ოსების და ლეკების გზის მჩვენებლები. ამათ შემოეპარებინათ იმათი ჯარი და მოხევეთათვის გარს შემოერტყათ.

ამ დაჭერილთ შორის იყო ორი ოსი, რომელნიც თავიანთ ხალხს ადრიდგანვე გამოჰქცეოდნენ და ხევს შემოჰხიზნებოდნენ; ამათგან გაცემა და ჯაშუ-

შობა შესაძლებელი იყო, მაგრამ მესამე დაჭერილი უხეთქავდა მათ გულსა. ის იყო მოხევე და მისი საქციელი მთელს ხევს ჩირქად ეცხებოდა.

დაღონებული, ძასუსტებული და სულიერად დაცემული ონისე მისდევდა ამ ხალხს და თვალი ვერავისთვის გაესწორებინა.

— ონისე, შენც დაგიჭირეს? — ერთბაშად გაიგონა იმან, შეჰკრთა, მიიხედა და გაშტერდა.

იმის თვალწინ იდგა გაფითრებული და აღელვებული გუგუა, რომელიც მთლად კანკალებდა.

— გუგუა! — ბოლოს ძლივს მოახერხა ონისემ და ანიშნა შეკრულს ხელებზედ: - რაი მოგსვლია, რაისთვი შეუკვრიხართ?

— ღალატს მაბრალებენ, — ყრუდ წარმოსთქვა იმან და მეტის სიბრაზით გადააფურთხა.

ონისე ამ კაცს კარგად იცნობდა, გამოცდილი ჰყვანდა და დარწმუნებული იყო, რომ მისგან ამხანაგების ღალატი შეუძლებელი იყო. ამის გარედ, ამ უბედურების შემთხვევის წინედ, გუგუა ძიძიასთან ერთადა ნახა, თავის ყურებით გაიგონა მათი ლაპარაკი და დაინახა, რომ სრულიად სხვა აზრით გასწია მოხევეთა ბინისკენ. გუგუას ონისეს სიკვდილი უნდოდა, ონისე იყო მისი მტერი, მისდამი აღვსებოდა გული მძულვარებით.

„მაგრამ იქნება“... — ერთბაშად გაურბინა ონისეს თავში: „ამ კაცს ჩემი მტრობა ედო გულში, მაგ ჯარის მშვიდობიანობა მე მქონდა მონდობილი და შურისძიების გრძნობამ მოღალატედ გახადა?“ ონისეს წარბები შეეჭმუხნა და უსიამოვნო გრძნობა კბილების ღრჭიალზე დაეტყო.

— რაისთვი არას მეუბნები? - დაიწყო ისევ გუგუამ.

— რაი-ღა გითხრა?

— მაშ არა გაქვს-რა სათქმელი? მწარედ წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: — იყოს, მეც გავჩუმდები... უფალს მადლობა უთხარ, რომ თავს ველარსაით ვიმართლებ, თორემ, ღთის მადლმა, მზეს დიდხანს არ გაცქერინებდი... ეხლა დღე შენია. შენი ყვავილი გაიშალა, შენი მზე გაბრწყინდა... ალბად უფალს ეგრე უნდა და დეე გაბრწყინდეს... სიკვდილს არ ვნანობ, მაგრამ ვაი ამითი, რომ ყველასათვის მოძმეთ მოღალატე დავრჩები.

ამ სიტყვების შემდეგ გუგუამ ჩაჰკიდა თავი, თითქოს მძიმე ტვირთი დააწვა კისერზედ, მწარედ ამოიხვნეშა: „ოჰ ჰ!“ და განშორდა ონისეს. ონისეს გულს კი ერთი წვეთი ნაღველი-ღა აკლდა, რომ გავსებულიყო და გუგუამ დამატებით ჩაუწვეთა.

XXV

ჯერ კიდევ დღე-ღამე არ გაყრილიყო, როდესაც სიონის სიმაგრეში მთელი ხევის ჯარი მოძრაობაში მოვიდა, მათ შეეტყოთ, რომ ნუგზარის შეერთებულს ჯარს მათი სანგალი აეღო, და შიგ მყოფ მოხევეთა გუნდისაგან მხოლოდ მცირე რიცხვი-ღა გადარჩენილიყო. ყველა აღგზნებულიყო გადახდის სურვილით და თვალებანთებულნი, პირგამეხებულნი ხმამაღლად გადახდევინებას ითხოვდნენ.

— სისხლი. სისხლი! -იძახდა მთლად ხალხი და ამ სიტყვის მეტი მათგან სხვა არა გაიგონებოდა-რა. მათ შორის მხოლოდ ერთად-ერთი კაცი იყო, რომელსაც არაფერი არ ავიწყდებოდა, როგორს მდგომარეობაშიაც უნდა ჩავარდნილიყო და ყოველთვის დროსა პოულობდა საქმის ყოველივე მხრისათვის ყურადღება მიექცია.

ეს გახლდათ გოჩა და ამისთვისაც იმან დაიბარა სანგალზედ გადარჩენილი მოხევენი.

გოჩას დიდი იმედი ჰქონდა თავის შვილისა და ის კი იქ იყო; მაშ როგორ მოხდა, რომ მტერი შეუმჩნევლად დაეცა?

— მითხარით, ჩქარა მითხარით: საქმე როგორ იყო? დაიწყო გოჩამ, რაწამს დაბარებულები დაინახა.

-- რაილა როგორ იყო, -დაიწყო ერთმა მოსულთაგანმა: — ოსი ბეგ[illegible] და თაფსიროუყო წასულიყვნენ მტრებთანა, მოსავლელი გზა ეჩვენებინათ და მტერი სანამ თავს არ წამოგვადგა, ვერა გავიგეთ-რა...

მოსაუბრე გაჩერდა და გოჩა კი მთლად სმენად გადაიქცა. მისი გული თრთოდა და თითქოს რაღაცა უსიამოვნებას მოელოდდა.

-— ცხო? ცხო თუ აღარვინ ყოფილა? -იკითხა გოჩამ ცოტა სიჩუმის შემდეგ და წარბები შეეკრა.

-- ბარემდის, რომ იმის მეტი არვინ ყოფილიყო?

— ცხო ვიღაა?-- საჩქაროდ იკითხა გოჩამ და თვალები აენთო

ის ჩააცქერდა მოსაუბრეს, რომელსაც მოღალატის დასახელება თითქოს უჭირდებოდა.

ვინაა, მეთქი?—მკაცრად გაიმეორა გოჩამ.

--- გუგუაი.

როგორა, როგორ, სთქვი? -ზარდაცემულსავით წარმოსთქვა მოხუცმა და ყელმა ხრიალი დაუწყო. გოჩას ეგონა, რომ სმენამ უღალატა.

— გუგუაი, --გაიმეორა მოხევემ.

მეტისმეტად ძნელი გასაგონი იყო გოჩასთვის თავისი მეზობლის დასახელება, იმ მეზობლისა, რომელიც იმის სამწყსოს ეკუთვნოდა და, მაშასადამე, გუგუას ზნეობრივს მიმართულებაში მასაც წილი უნდა სდებოდა.

— უფალო, რაი შეგცოდეთ, რომ მოძმეთ ღალატიც გვაჩვენე! წარმოსთქვა მოხუცმა და თვალები ზეცას მიაპყრო.

მის გულს მწარედა სდაგავდა ამგვარი შეურაცხყოფა მთელის ერობისა და კარგად ესმოდა, რომ შესაძლებელი იყო ამ მაგალითს ხალხზედ მეტად ცუდი გავლენა ჰქონოდა.

მოხუცი ისევ ჩაფიქრდა, გაჩუმდა და დიდხანს ხმაამოუღებელი იდგა. იმის პირისახე ამ ხანში მთლად მოძრაობდა და ააშკარავებდა, რომ მისი გონება შეუწყვეტლად მუშაობდა და მოაზრებაში იყო.

ბოლოს მოხუცმა გადაისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი, რამდენჯერმე შეხედა გამომცდელის თვალით მოსაუბრეს და პირველად დაეტყო გაუბედაობა. მისი თვალები თითქოს ხვეწნასა და საყვედურს ერთად გამოსთქვამდნენ. მაგრამ რა გასჩენოდა ხევის ბერს, ხევის მმართველს უბრალო მეომართან ან სახვეწარი, ან სასაყვედურო? გოჩას ერთად ერთი შვილი ჰყავნდა, ონისე დალუპულის სანგალის დამცველთა შორის იყო და ის არსადა სჩანდა... მაშ რა იქნა, რატომ არ ეუბნებოდა რასმე მოსაუბრე უბედურს მამას?.. თუ მოკვდა, რატომ მის გმირულის სიკვდილის ამბით არ ანუგეშებდა მშობლის სევდა-მოცულს გულს?

ყველა ეს მოხუცს სწრაფად წარმოუდგა გონებაში და მედგრად მიწყვეტ-მოწყვეტა დაუწყო მის გულსა. მოხუცმა ველარ მოითმინა და კიდევ წყნარად შეხედა, მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და წარმოსთქვა:

-- ონისე რაიღა იქნა, რას მიფრთხილდები?

— ონისე, ბეჩავი!.. კინაღამ გაგიჟდა... ჩვენ რომ არა ვყოფილიყავით, მტერს თავს შეაკლავდა, ღთის მადლმა.

გოჩა ამ მხრით რაოდენადმე დამშვიდდა: იმისი შვილი ცოცხალი იყო და კაჟკაცადაც ეჩვენებინა თავი. სხვა რაღა უნდოდა?

— ეხლა სადღაა?

— ეხლა ბატარაია დამშვიდდა და ამხანაგებთანაა? —უპასუხა ისევ იმ მოსაუბრემ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: —ასეთია ბეჩავი, რომ დანა პირს ვერ გაუხსნის.

მოხუცი დაკმაყოფილდა ამ კითხვებით და დამშვიდდა, რაოდენადაც მის მდგომარეობაში დამშვიდება შეიძლებოდა.

უთხარ, დამნაშავენი დაამწყვდიონ და კარგად თვალ-ყური ადევნონ. ჩვენც კი ღმერთი ვახსენოთ და მტერს მოძმეთ სისხლი მოვთხოვოთ, — წარმოსთქვა გოჩამ და გამოვიდა გარედ, სადაც ჯარი უკვე მოგროვილიყო და მოუთმენლად ელოდა მტერზედ გალაშქრების წამს.

XXVI

გოჩას გამოსვლაზედ ხევის ჯარი წყნარად შეინძრა, გაიყო სამ რაზმად და ბელადების წინამძღოლობით მტრისაკენ გაემართა. იმათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ნუგზარისგან დაჭერილს სიმაგრეს სამ მხრივ დასცემოდნენ და საერთო იერიშის მიტანით მტრისათვის გადაეხადნათ. ყველასათვის აშკარა იყო, რომ ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ხევის მომავალი მდგომარეობა და ბედ-იღბალი.

ყველა მიდიოდა პირზედ ღიმილით, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ წმინდა მოვალეობას ასრულებდა და, თუ სიკვდილი შეემთხვეოდა, მისი სახელი ხალხში დიდხანს მოიხსენებოდა და შორს მთებში გაითქმებოდა. სააქოს მოელოდა სანეტარო ხსენება და საიქიოს ზეციერი ჯილდო; მაშასადამე, ამგვარი რწმუნების ხალხისთვის ბრძოლა თვითმყოფელობისთვის, თავის მიწა-წყლის დასაცავად მეჯლისში წასვლას ემსგავსებოდა. ბრძოლისა და მტერთან შეტაკების სურვილს უმეტესად უცხოველებდა მოძმეთ წამების მოგონებანი, რომელნიც გულს ძალზედ უმღვრევდა და სისხლისთვის სისხლს მოაწყურვებდა.

მიმავალთ მოხევეთა შორის ონისეც იყო, რომელსაც მხიარული, მუდამ მოღიმარი სახე ჰმუნვარებით შესცვლოდა, და ძალზედ მოკუმულს ტუჩების გამო სახის კანიც გასჭიმოდა. თვალებ-ალგზნებულს ღაწვები თითქოს გამობურცებოდა და სიბრაზის ნიშნად ლოყების ძარღვები ძალზედ უცემდა.

ონისეს, ბუნებითვე ვაჟკაცს და თავგანწირულს, დღეს მეტი მიზეზი ჰქონდა ერთი ორად გადაქცეულიყო, რადგანაც თავის შეცდომას და თავდავიწყებას ჰგრძნობდა და უნდოდა მეტის თავგანწირვით ცოდვა რაოდენადმე შეემსუბუქებინა.

იმასა ჰყვანდა ჩაბარებული რამდენიმე კაცი, რომელიც მოხევეთა ერთის გუნდის მოწინავე ჯარს შეადგენდა და მინდობილი ჰქონდა, რომ ყოველი ღონისძიება ეხმარა მტრისგან სადარაჯოდ გამოყენებულს კაცებს შეუმჩნევლად მიჰპარებოდა და ან შეეპყრა, ან დაეხოცა. ამასთანავე ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ მტრის უმთავრესს გუნდს ვერ შეეტყო, რათა მათ მოხევეების დასახვედრად მომზადება ვერ მოესწროთ.

ონისე მიუძღვებოდა თავის პატარა რაზმს და ყოველგვარად ფრთხილობდა. ბრძანება „გადაუბრუნებლად“ აღესრულებინა. ყველაზე წინ მიდიოდა სმენად გადაქცეული ონისე და შემდეგ მწკრივად მისდევდნენ დანარჩენები, რომელნიც სიფრთხილით აბიჯებდნენ და ფეხს თითქმის იმავე ადგილას ადგამდნენ, რომელზედაც წუთის წინედ მათი ბელადის ფეხი მდგარიყო.

რიყიან ადგილზედ. მეტად დიდი გაფთხილება და ფეხის სიმარჯვე უნდოდა, რომ ქვების შენძრევით ღამის მყუდროება არ დაერღვიათ და მით თავიანთ მოძრაობაზედ მტრის ყურადღება არ მიექციათ. ბანდულებ-ჩაცმული მოხევენი მოპარებოდნენ და, სანამ დედამიწაზედ მაგრად დააბიჯებდნენ, რაოდენსამე ხანს ადგილს სიმკვიდრეს ფეხით სცდიდნენ. ერთბაშად ონისე შესდგა და იმ ადგილზედვე ჩაწვა. სხვებიც ხმის ამოუღებლივ ამ გვარადვე მოიქცნენ და მიწას გაკრულებმა ხანჯლები ამოიღეს.

გაიარა რამდენმამე წუთმა ამ სიჩუმეში და მოპირდაპირე მხრიდგან ხუთი კაცი გამოჩნდა, რომელნიც ამ გვარადვე სიფრთხლით და გაჩუმებულნი მოდიოდნენ. ონისემ დააცალა, სანამ უკანასკნელი გაუსწორდებოდა და, რა მიახლოვდა, ფეხზედ წამოიჭრა. მასთან ერთად წამოცვივდნენ დანარჩენებიც და წუთს შემდეგ ადგილის დასათვალიერებლად გამოგზავნილი ოსები მიწაზედ ფართხალებდნენ, და რამდენადაც სისხლი აკლდებოდათ, იმდენად სიკვდილს მეტის გამწარებით ებრძოდნენ.

ყველა ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ოსებმა დაყვირებაც კი ვერ მოასწრეს. რაკი მოხევეებმა ამათგან მოიცალეს, ისევ თავიანთ გზას გაუდგნენ და ალიონის აწევასთან ერთად მტრის ბანაკს მიუახლოვდნენ. იქ ჩასაფრდნენ და ამხანაგებს ლოდინი დაუწყეს. მტრის ბანაკში სრული მყუდროება სუფევდა, რადგანაც ერთის მხრით გაზვიადებულნი პირველის გამარჯვებით და მეორეს მხრით დარწმუნებულნი თავიანთ დარაჯების სიფრთხილეში თავისუფალს, დამშვიდებულს განსვენებას მისცემოდნენ. ნუგზარ დარწმუნებული იყო, რომ მოხევენი შეშინდებოდნენ და მეორე-მესამე დღეს შუაკაცებს გამოუგზავნიდნენ. ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ხევის ერთი მუჭა ხალხი მასთან შებრძოლებას გაბედავდა, მით უფრო, რომ მას ახლდა საკმაო რიცხვი ლეკთა გარაზმული და კარგად შეიარაღებული ჯარი.

მოხევეთა სამივე მხრიდგან წამოუარეს და შეუმჩნევლად მტერს გარს შემოერტყნენ.

გავარდა ერთბაშად თოფი და ნიშანი იყო საერთო იერიშისა

წამოცვივდა ნუგზარის ჯარი, მაგრამ მოულოდნელობის გამო მთლად აირია და გონება-დაკარგული მებრძოლნი უაზროდ დარბოდნენ. შესეული მოხევენი დროს არ აძლევდნენ, რომ გონს მოსულიყვნენ და უწყალოდ ჰხოცდნენ. ამ საერთო არეულობაში, მხოლოდ ერთის ადგილს მოჩანდა თეთრი ცხენი და მაზედ ამხედრებული ნუგზარ, რომელსაც ხელში ხმალი ეჭირა და მარჯნივ, თუ მარცხნივ სხეპავდა. მას გვერდს მოსდგომოდა რამდენიმე გამოჩენილი ლეკთა ვაჟკაცი და ღირსეულს მხარს უშვენებდნენ; აშკარად სჩანდა, რომ მათს გულში ვაჟკაცობის ცეცხლი უმეტესად ინთებოდა, ვიდრე იმ თრუსოელებისაში, რომელთაც შებმას გაქცევა ერჩიათ.

ამ საერთო არეულობაში ონისე დამთვრალსავით დადიოდა და ვისაც კი შეეყრებოდა მზისთვის დიდხანს აღარ აცქერინებდა. ის ეძებდა გაცხარებულს ბრძოლას და, სადაც იგი გაჩნდებოდა, სწრაფად შუაგულში მოექცეოდა, თუმცა სიკვდილის მძებნელი მოჯადოებულსავით ყველგან უვნებლად რჩებოდა.

მისი სიმამაცე, გულადობა და თავგანწირულება მაყურებელთ აოცებდა და ქებას წარმოათქმევინებდა.

ერთბაშად გორაზედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც თეთრი თმა გაშლოდა და ნიავი უმღელვარებდა. დროშის თავი, რომელიც ხელში ეჭირა, სანუგეშოდ ფრიალებდა და წვერზედ გაკეთებულს ოქროს ჯვარს კრიალი გაჰქონდა.

გოჩას ცხენი ამაყად და მედიდურად მიაბიჯებდა, თითქოს ჰგრძნობდა, რომ მისი მხედარი ხალხისაგან იყო არჩეული და მას არც ერთხელ თავის ამრჩევთაგან საყვედური არ მიეღო.

მოხუცმა შეუტია ცხენსა და გააქროლა იმ მხარისკენ, სადაც ნუგზარ რამდენიმე კაცით ჯერ კიდევ იბრძოდა.

აბა, ბიჭებო!... მომყევით, ვისაც გული გერჩისთ! — დაიძახა გოჩამ და ხალხი სწრაფად შეჯგუფდა, ბურთსავით შეიკრა ნუგზარის გარშემო.

ავარდა კორიანტელი; ყველა მტვრით დაიფარა, მზის შუქიც კი თითქოს მიბნელდა. აქამდისინ მოყიჟინე, ეხლა გაჩუმებულიყვნენ და მყუდროებას თითქოს კბილების ღრჭიალი, იშვიათი დაკვნესება და იარაღის ჩახაჩუხის ხმა დაარღვევდა.

ხანდახან ნიავისაგან გაფანტულს მტვერში გოჩას დროშა გამოჩნდებოდა, რომელიც ისევ უვნებლად ფრიალებდა და მებრძოლთა გულებს ფოლადად უწრთობდა. ერთბაშად შეკუმშული ხალხი როგორღაც წამოტრიალდა, გაშალა და ასტყდა ისევ ყიჟინა.

ქარმა გაჰფანტა ბრძოლის მტვერი და წუთს წინედ სიცოცხლით სავსე მებრძოლთაგან კოშკად აშენებული დახოცილები-ღა გამოჩნდა! მათ შორის იდგა გოჩა, დაღონებული, გაფითრებული და სევდიანი თვალები ზეცისკენ მიეპყრო! შორს გზაზედ მტვერი მოჩანდა და იმის შუა ხანდისხან გამოჩნდებოდა ხოლმე ნუგზარ და რამდენიმე ცხენოსანი, რომელნიც სიკვდილს რაღაცა მანქანებით გადარჩენოდნენ.

XXVII

ხალხი დაწყნარდა; დაასაფლავა თავიანთი დახოცილები, მაგრამ ჯერ არ იშლებოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ნუგზარ ასე მალე ველარ მოუბრუნდებოდა და საკმაოდ დაფრთხობილს ოსებს ისე ადვილად ველარ დაიყოლიებდა მოხევეებზედ გასალაშქრებლად.

ამ გორაკის ერთს ადგილას რგვლად შემოწყობილს ქვებზედ მოგროვილიყვნენ დეკანოზები სასოფლო დროშებით და ხევის ბერს გოჩას გარს შემოხვეოდნენ. ეს წრე მხოლოდ ერთის მხრით იყო გახსნილი და იქ დანარჩენი ხალხი მოგროვილიყო. ყველას პირისახეზედ რაღაცა ჰმუნვარება ეტყობოდა: კაცი ვერ გაარჩევდა, ეს იყო გლოვა თავიანთ დაკლებულობისა, თუ რომელიმე უსიამოვნობის მოლოდინი. გოჩას და მასთან ერთად თემის უფროსებს თავები ჩაეკიდათ და ხმა-ამოუღებელნი რაღაცა ფიქრს ეძლეოდნენ. მეტისმეტი მძიმე მდგომარეობა იყო, სურათი შავად და ბნელად მოცულიყო, მაყურებლის გული ჰკვნესოდა მოლოდინით.

ერთბაშად გოჩამ აიღო თავი და იქაურობას სევდიანი თვალი მოავლო. ონისე, რომელიც ხალხში იდგა და გოჩას შეჰყურებდა, გაქრქოლდა, თვალი ველარ გაუსწორა მოხუცს და თავი დაჰხარა.

გოჩა დააკვირდა ონისეს, მაგრამ ჩქარა ისევ თვალი მოაშორა და წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

— მოიყვანეთ დამნაშავენი.

ხალხი შეინძრა, გაიპო ორად და თემისაგან არჩეულის მსაჯულების წინ წარსდგნენ ორი ოსი და გუგუა.

ხალხი ცახცახით უყურებდა ამ სურათს და მოელოდა იმ წუთს, როდესაც უზენაესის უფლება უნდა მიეღო და ვინ იცის რა უნდა გადაეწყვიტა.

— გაუხსენით ხელები, — ბრძანა გოჩამ და მისი ბრძანება მსწრაფლად აღსრულდა.

ამის შემდეგ გოჩამ, ხევის ბერმა, იდაყვი დაიდო მუხლზედ, ხელით მიიბჯინა და, მთლად სმენად გადაქცეული, ისე დარჩა.

თემის თავებიდგან ყველაზედ უფროსი წამოდგა, გავიდა შუა ადგილ დაიჩოქა და წარმოსთქვა:

— ხალხო და ჯამაათნო!.. სმენა იყოს და გაგონება... აი, თქვენს სდგას ორი ოსი... ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში ვიდნენ, შეგვებრალეს თავი და შეგვატყობინეს, რომ თავიანთ ხალხში ეცხოვრებათ, რადგანაც კაცი შემოჰკლომოდათ და სდევნიდნენ... ჰაი, რომ ნებისნებად კაცის სიკვდილი არ ვარგა, ცოდოც არის, მაგრამ როცა გაუჭირდების, არამც თუ ცხოსა, თავსაც კი მოიკლავს ხოლმე... კაცის მოკლომა უბედურებაა და უბედურები ითხოვდნენ ხევისაგან ლუკმა თავშესაფარსა... ხევი ჩვეული არაა სტუმარს დაემალოს, მთხოვარაი არ კითხოს; ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითი-ღა გადაგვიხადეს მადლობა? ჩვენს მტერს უჩვენეს მოსავლელი ბილიკები, ჩვენს ჯარს მოულოდნელად წამოაყენეს და ვინც ამათ ლუკმა მიაწოდა, საკიდელი ჩამოაკიდებინა, ღალატით გააწყვეტინეს... რას იტყვით, ხალხო და ჯამაათნო!.. ყველა ტყობინეთ, ყველა გაგაგებინეთ, სახუმრო არ არის კაცის სიკვდილი.

მოხევე წამოდგა, დაუკრა ყოველს მხარეს თავი და თავის ადგილას

— იმართლეთ თავი, თუ შეგიძლიანთ, — წარმოსთქვა გოჩამ, მდგომარეობა არ შეუცვლია.

მაყურებელნი მოუსვენრად ტოკავდნენ, მაგრამ საქმეში კი არ ოსების დანაშაული მეტად აშკარა იყო, რომ კიდევ თავის მართლებას ლოდნენ და ამისათვის დაეცნენ მუხლებზედ და ტირილით ეხვეწებოდნენ ტიებას, მაგრამ მსაჯულნი მათ მუდარისადმი ყრუდა რჩებოდნენ. ისინი გუფდნენ გოჩასთან, ცოტა ხანს რაღაცა არჩიეს და ისევ თავთავიანთ ლას დასხდნენ. მცირე სიჩუმის შემდეგ, გოჩამ აიღო თავი და წარმოს

— ორნივ ჩაქვავდეს!

ამ სიტყვებმა ხალხში ქრიამულად გაირბინა და ოსებს ფერი დააკარგვინა. ერთი მათგანი მიუახლოვდა გოჩას, რომელმაც გადაწყვე ბის წარმოთქმის შემდეგ ისევ თავი ჩაჰკიდა და ღრმა საგონებელში

— გოჩავ, გემუდარები! — დაიძახა ოსმა: — ყმად გაგიხდები, ოღონდ მიხსენ.

— ჩაქვავდეს! — იმავ ხმით გაიმეორა გოჩამ.

— მაშ უნდა მომკლან, ჩამაქვავონ?!.. დაიძახა ოსმა და ფეხზედ წამოვარდა. — დეე მომკლან, მავრამ შენც აღარ გაცოცხლებ!

ამ სიტყვებთან ერთად, ოსის ხელში გაიელვა ხანჯალმა, რომელიც ჩოქვეშ ჰქონდა დამალული. ხალხი ერთბაშად მიაწყდა იმ ადგილს, ბურთივით შეიკუმშა და როდესაც გაიშალა, გოჩა ისევ ისე მედიდურად იჯდა! ადგილიც კი არ შაეცვალა მოხუცს. მხოლოდ ზიზღი აღძროდა თვალებში, რომელიც იქავ ჩახოცილს ოსებს დაჰყურებდნენ.

XXVIII

როდესაც ოსებისგან მოიცალეს, გოჩა ისევ ჩაფიქრდა და წყნარად და ამყიდებით წარმოსთქვა.

— მოიყვანეთ გუგუა.

რამდენიმე კაცი მიუახლოვდა გუგუას, გაუხსნეს ხელები და წინ წააყენეს. პირველსავე განძრევაზედ მოხევეს თვალთდაუბნელდა, წატოტმანდა, წაიბარბაცა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა და შედგა.

ბრალდებული გუგუა მთლად გაფითრებული და პირგამომშრალი იდგა ხალხის წინ და უაზროდ თვალები ერთის ადგილისკენ მიექცია.

ხალხი სწყევლიდა, ლანძღავდა და ერთმანეთს თითით უჩვენებდა ამ ავაზაკზედ. როგორც წელან, ეხლაც გამოვიდა ერთი თემის თავთაგანი და შეუდგა გუგუას გამტყუნებას.

აღმოჩნდა, რომ როდესაც მტერი მოხევეთა ბინაზედ იერიშით მოდიოდა, გუგუა მათ წინ მოუძღოდა და, უეჭველია, ნუგზარის ჯარს გზას უჩვენებდა.

— `გაიმართლე თავი, თუ შეგიძლიან„ — უთხრა გოჩამ და გაჩუმდა.

გუგუამ ამოიხვნეშა, მოავლო იქაურობას თვალები და ონისე, რომელიც ისევ იმ ადგილზედ გაქვავებულსავით იდგა, დაინახა. გუგუას თვალები გაუბრწყინდა, პირისახე გაუწითლდა, გაიბრძოლა იმისაკენ, დატორტმანდა და თავი შეიმაგრა. გუგუა მობრუნდა მსაჯულებისკენ და მწუხარებისაგან დაღრეჯილი სახე შეაქცია. ბოლოს მოიგლიჯა ქუდი, რომელიც თითქოს თავსა სწვავდა და დედამიწაზედ დაახეთქა.

— სთქვი, თუ სათქმელი რამე გაქვს? — გაიმეორა გოჩამ და ხმამ მხოლოდ ერთს ადგილას ულალატა, ერთგან გაისმა დანჟღრეულ სიმად.

რაი ვთქვა, რაი გითხრათ?... — მწარედ წარმოსთქვა გუგუამ: — უფალმა იცის, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ მტერის წინ მომძღოლი მნახეს და

ვინ დამიჯერებს... რაისთვი-ღა მაწვალებთ, რაისთვი მალაპარაკებთ?.. მოჰკალით და თქვენც მოისვენებთ!

— ბალღო, სიკვდილი ძნელი არაა... - ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ გოჩამ და ხმაში აღგზნებული სიყვარული დაეტყო: — მაგრამ გულს არ სჯერა, რომ ხევის მიწა-წყლის კაცი, ხევის ძუძუთი გაზდილი მოძმეთ უღალატებდა, ამხანაგთ გაჰყიდდა, მიწას შეარყევდა და ცას ჩამოანგრევდა!.. გული სამუდამოდ იკვნესებს, სევდა არ დაელევის, ნისლს ველარ გაიცლის. თუ მართლა მოძმეთ გამსყიდავად გიცნო.

გუგუას ამ სიტყვებზე გული მოულბო, იმან დაინახა, რომ მოხუცის გული მშობლიური მზრუნველობით ექცეოდა და გულით უნდოდა პატიოსნებით სავსე კაცი მაინც დაერწმუნებინა, რომ მართალი იყო.

— გოჩავ, უფლის მადლმა, დიდებულის წვერის სპარსანგელოზის მადლმა, ვფიცავ ყმაწვილკაცობის სიყმეს, ვფიცავ შენს სახელსაც, რომ დამნაშავე არ ვარ, მაგრამ თავს ვერაფრით ვიმართლებ და უნდა დავისაჯო, უნდა მოვკვდე.

— მტრის ჯარში საიდგან გაჩნდი?

— საიდგან?.. გინდა ყველაფერი მათქმევინო?... თავი დამანებე, გოჩავ!.. ნუ მალაპარაკებ!.. ხომ ხედავ, რომ ლაპარაკი მიძნელდების?.. ყოველთვის გულკეთილს, დღეს ჩემი წვალება რაისთვი-ღა მოგიწადინია?

— ჩემი გულიც არ არის მოსვენებული, გუგუავ, უწყის უფალმა!.. ყოველ სიტყვაზედ, ყოველ კითხვაზედ ლახვარი მიტრიალებს გულში, მაგრამ თემი და მისი საქმე შენზედაც დიდია და ჩემზედაც... მაშ გვითხარ ყველაფერი.

— ვითხრათ?.. კარგი... წამოიძახა მოხევემ და საჩქაროდ მიბრუნდა იმ მხარეს, სადაც ონისე იდგა.

საცოდავს სახე მთლად დაჰპრანჭოდა და მძიმე ტვირთს თითქოს ოთხად მოეხარა. გაყვითლებულს პირისახეზედ სიცოცხლის ნატამალი აღარ ეტყობოდა. გუგუა ისევ შესდგა, შეიმაგრა თავი და მსაჯულებისკენ გამობრუნდა.

— გამიგონეთ... სიკვდილისა არ მეშინიან, თუნდა გამამართლოთ კიდეც, ღთის მადლმა, თავს აღარ ვიცოცხლებ. რაისთვი-ღა მინდა ერთხელ გაწბილებული სიცოცხლე . მაშ გამიგონეთ... ყველას მართალს გეტყვით, — მე მთიდგან მოვდიოდი და, როდესაც ჩამოვივაკე, მტერს შევეფეთე... გამოვიქეც, რომ საფარში შემეტყობინებინა, მაგრამ მტერი ფეხდაფეხ მომდევდა და ველარ მოვასწარ... ისინი თოფს არ მესროდნენ, რომ ხმაურობაზედ ჩვენი მდევარი არ გამოსულიყო და მე კი თოფ-ტიელას, ჩახმახი მოეშალა... ჩვენებმა მტრის ჯარ-

ხან დამინახეს და მოღალატე გამხადეს .. თუ ვსტყუოდე, მიწამც გამისკდეს... და თან ჩამიტანოს.

— მთაში რაი გინდოდა?—ჰკითხა ერთმა მსაჯულთაგანმა.

— საქმე მქონდა.

— მარტო იყავ?

გუგუამ არა უპასუხა-რა და ამისთვის კითხვა გაუმეორეს.

— მარტო იყავ?

მოხევე ებრძოდა თავის გრძნობას და არ უნდოდა იმ ქალის სახელი მოეყვანებინა, რომელიც მაინც კიდევ ქვეყანას ერჩივნა.

— რაი ბედენაა, მარტო ვიყავ, თუ არა, - ბოლოს წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: - თქვენთვის იმის გამოკითხვა იყო საჭირო, რომ გაგყიდეთ, თუ არა... მე გეუბნებით, რომ არ გამიყიდნიხართ, არ მიღალატნია თქვენთვის, ჩემს გაჩენაში გულშიაც არ გამივლია თქვენი წინააღმდეგობა, მოწამე ღმერთია!.. ცხოს ნულარას მკითხავთ, პასუხი არ მიშველის და სიკვდილის წინა წუთებს კი მომიწამლავს.

ამის შემდეგ გუგუა გაჩუმდა, დაიკრიბა გულხელი და გაჩუმებული დადგა. ყოველ კითხვაზედ ის მუნჯად რჩებოდა და მისი სიჩუმე მძიმე ლოდად აწვებოდა ონისეს.

ხალხი გაჩუმებული იყო და სულგაკმენდილი ელოდდა თემის მოთავეთა გადაწყვეტილებას, რომელნიც გოჩას შემოხვეოდნენ. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ.

ერთბაშად გაიშალა კრება, და მსმენელთ გულის ძგერამ უფრო იმატა. მოუთმენლობამ უკანასკნელს საზღვრამდის მიაღწია. ყველამ თავთავისი ადგილი დაიჭირა და საერთო სიჩუმის დროს წარმოდგა გოჩა.

— ღმერთო, მოგვიტევე, თუ ვცდებით რაშიმე!.. რაც შენ გვაგონე, იმას წარმოვსთქვამთ... ხევის მშვიდობიანობა მოითხოვს, რომ გუგუა გაწირული, მოშორებული იყვეს თემისაგანაც და ნათესაობისაგანაც... მარტო იმის ცოლს ეძლევა ნება თან გაჰყვეს... დღეის შემდეგ, არც ვის არა აქვს ნება მას მიაწოდოს ცეცხლი, თუ უცეცხლოდა ნახა, მიაწოდოს წყალი, თუ მწყურვალი ნახა, მიუშვიროს პური, თუ მშიერი ნახა... ყველას სახლის კარი დახშული უნდა იყოს მისთვის, ყველა დამუნჯებული უნდა იქმნეს მისთვის პასუხის მისაცემლად, ყველა დაყრუებული უნდა იყოს მის ხვეწნის გასაგებად... ხევის ჯვარ-ანგელოზნო, თემის პურის გამტეხს და გადამბრუნებლებს შენა რის...

— შესდეგ! ერთბაშად ვილამაც ხელი გაავლო გოჩას და სიტყვა გააწყვეტინა.

ხალხმა გაკვირვებით შეხედა ხევის ბერის ხელის შემხებს, ნამეტნავად იმ დროს, როდესაც მას ხევის სიწმინდე, დროშის თავი, ხელში ეჭირა. მათ თვალწინ ონისე იდგა.

— შესდეგ, ხევის ბერო! გუგუა მართალია! — დაიძახა ონისემ, რომელსაც თმა აჰბურძგნოდა და თვალებში სისხლი ისე მოსწოლიყო, თითქოს წამოცვივნას აპირობენო.

ხალხი აიშალა, აირია და ყაყანი დაიწყო, გოჩამ შეარყია დროშა და ხარების ხმასთან ერთად ხმამაღლად, მბრძანებლის კილოთი დაიძახა:

— იყუჩეთ! და ამ ხმის გაგონებაზედ ერთბაშად ყველა გაჩქურდა:

სთქვი, რას ამბობდი?

— გუგუა მართალია მეთქი, ტყუილად ნუ დასჯავთ... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს ერთმანეთის მოსისხლენი შევქმნილიყავით... ეგ მთიდგან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ...

— ეგ ვილამ გიამბო? — ერთბაშად წამოიძახა გუგუამ და ეჭვისაგან თვალები აენთო.

— ჩემის ყურით გავიგონე... როდესაც შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ ჩასაფრებული... რაიღა დავმალო?.. მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა... გუგუა უბრალოა! ლაპარაკობდა გაჩქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა. ონისეს სიტყვები ხალხს მეხსავით მოხვდა და გაშტერებული შესცქეროდა.

ზარდაცემული მოხუცი მთლად კანკალებდა და კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო.

ბოლოს ძალზედ ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზედ ხელი და ყვედრებით წარმოსთქვა:

— მაშ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებულო, დედმამის საფლავიდგან ამომგდებო!.. რა სასჯელი არის, რომ შენ გადგიწყვიტოთ... ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულებს მიუბრუნდა: — მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო. — კარგა მღელვარებისა და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას და წყნარად წარმოსთქვეს:

— გოჩავ! შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია...

— მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... კაცს ულვაში ნამუსისთვის გამოუვა.. ონისე ეხლავე მკვდარია .. მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა!

— გოჩაუ, —სცადეს მოხუცის შეყენება, მაგრა პირგამეხებული ხევის ბერი ცეცხლებსა ჰყრიდა თვალთაგან.

— უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებლად.. და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოექცეთ... მე მიყურეთ... მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისკენ და შესძახა:

— მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!

ამ სიტყვებთან ერთად იელა ხანჯალმა და ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო; მოხუცის მახვილს შვილისათვის გული ორად გაეპო. ეს მოძრაობა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ უბედურიპის შეყენება ველარავინ მოასწრო.

ხალხი შემოიფანტა და ახლო ველარ მიჰკარებოდა მოხუცს, რომელსაც ძარღვები ძალზედ უღმეჭავდნენ და უცნაურად უთამაშებდნენ სახეს.

— გოჩა! - ცოტა ხანს შემდეგ ვიღამაც ხელი გაავლო მოხუცს.

— ჰაი? - ანგარიშმიუცემლად წამოიძახა მოხუცმა და მოიხედა.

მის წინ იდგა გუგუა.

— გოჩავ! —განიმეორა იმან ხმა მაღლა: —წეღან გითხარ, რომ დამნაშავე არა ვარ, მეთქი, მაგრამ ერთხელ მაგ გვარის ცილისწამების შემდეგ აღარ ვიცოცხლებ მეთქი... ვაჟკაცი ერთხელ გადაფურთხებულს ველარ ალოკავს... მშვიდობით გოჩავ, მშვიდობით, ხალხო! - ამ სიტყვებთან ერთად მან გაიძრო დამბაჩა, მიიცა ლულა პირში და ტვინი ჰაერში შეასხა ..

მოხუცმა მხოლოდ ამოიკვნესა, მიიხედ-მოიხედა შეშინებულის თვალებით და შეკრთა. ბოლოს დააწყებინა ცახცახი და გასისხლიანებული ხანჯალი, რომელიც ხელში ეჭირა შორს გადასტორცნა... რაოდენსამე ხანს ისე ჩუმად იდგა. დაესხა თავსბრუ და ჩაიკეცა; ის დაეკონა შვილს და რამდენჯერმე წყნარის ხმით წარმოსთქვა.

— „შვილო, შვილო!“ - და ზედ გაეკრა.

კარგა ხანს დასტიროდა ონისეს გაყინულს სხეულს; ბოლოს წამოიხედა, ველურად დაიწყო აქეთ-იქით ყურება და ერთბაშად შეშინებული წამოვარდა:

— შორს, შორს!.. — დაიძახა იმან და ჰაერში ხელები გაიშვირა: — სისხლი, ხანჯალი... შვილი, შვილი! რაიქნა ჩემი შვილი! — ძალზედ შეჰკივლა და ვეფხვივით ღრიალი დაიწყო...

გაიარა კარგა ხანმა, ხევი დამშვიდდა. ცხოვრებამ ჩვეულებრივი მდინარეობა მიიღო.

მხოლოდ სამტვეროს ტყე გადაიქცა ყველასთვის მოსარიდებლად, რადგანაც ჭკუაზედ შემცდარი გოჩა გამვლელ-გამოვლელს თავის შვილზედ ამბის კითხვით არ უსვენებდა. ის ყველას ეპატიჟებოდა თავის სახლში და უამბობდა, რომ შვილს მოელოდა შორის გზიდგან. მერე დაუწყებდა მუქარას, რომ შეეტყობინათ, რა მოუვიდა ონისეს, და ბოლოს შემზარავის ღრიალით გაათავებდა.

ასე მიდიოდა მოხუცის დღეები იმ დრომდის, სანამ ერთს ზამთარს თოვლს ვიწრო ხევში არ ჩაეჩუმქრა.

რაც შეეხება ძიძიას, ის იმ ღამიდგან, რაც ონისეს გაშორდა, აღარავის უნახავს.

3 ელგუჯა

შესავალი

დაჰკრა 1864 წელს საქვეყნოდ სასიამოვნო საათმა, და გამოცხადდა გლეხკაცების განთავისუფლება — ბატონ-ყმობის გადავარდნა! ხალხის ერთი მხარე — გლეხ-კაცობა და იმათი თანამგრძნობელნი გატაცებულნი იყვნენ სიამოვნებით და მეტის-მეტად გადაჭარბებულს სარგებლობას და სიკეთეს მოელოდნენ ახალის წესებისაგან. მეორე მხარე — მებატონეები კი გულის კანკალით უყურებდნენ იმ დამოკიდებულების მოსპობას, რომელიც საუკუნოებით არსებობდა ბატონსა და ყმას შუა.

განთავისუფლებულს გლეხებს ეგონათ, რომ ამ დღიდგან იმათი კეთილდღეობა, გამდიდრება და მოსვენება შეიქმნა უეჭველ მოვლინებად; მებატონეები კი ჰფიქრობდენ, რომ დღეიდგან ლუკმა გაუწყდათ, და გუშინდელი იმათი მეხრეები დღეს მბრძანებლად გაუხდებოდნენ.

გაიარა პირველმა აღტაცების ჟამმა და ხალხი ცოტა დამშვიდდა. გლეხებმა დაინახეს, რომ იმათი იმედი მეასედადაც არა მართლდება და მებატონეებმაც, — რომ იმათი ისეთი შიში ამაო ყოფილა, რადგანაც ახალ „დებულებას" ისეთი კუდები გამოუჩნდა, რომელიც ნაყმევს კეთილდღეობას პირდაპირ ნაბატონარის სურვილზედ აგდებს.

მცირე მემამულე-მებატონე არ დაავალა ახალმა „წესდებამ", რომ თავის ყმეებისათვის მამული მიეცა, და გადასახლება კი რაც ღირს, — ნამეტნავად ჩვენის გლეხ-კაცობისათვის, — თქვენ თითონ კარგად მოგეხსენებათ.

დიდი მამულების პატრონები თუმცა დაავალა ამ „წესდებამ", რომ მიეცათ „ნადელი", მაგრამ ტყე მებატონის განკარგულებაში დარჩა და გლეხ-კაცი, რომელიც უტყეოდ ვერ გასძლებს, დააყენა ისევ მებატონისაგან დამოკიდებულებაში.

გლეხკაცებმა დაუშვეს ისევ თავები; მებატონეები კი გაიმართნენ წელში.

მაგრამ ამათი დამოკიდებულება კიდევ, როგორც იქმნება, გასაძლებია, გასაძლებია მისთვის, რომ ახლო მომავალზედ იმედი გვაქვს. მაგრამ წარმოიდგინეთ ერთგვარი განთავისუფლებული ყმების მდგომარეობა, იმ განთავისუფლებული ყმებისა, რომელთაც არავითარი მამული არ არგუნა კანონმა.

ესენი გახლავან შინა-მოსამსახურეები, რომელთაც არ ეჭირათ მამული, არა ჰქონდათ თავიანთი სახლკარი.

წარმოიდგინეთ, მეთქი, იმ ხალხის მდგომარეობა, რომელსაც არც სოფელი იკარებს, არც მებატონე აძლევს რასმე და არც თავისუფალს სახელმწიფო მიწებზედ ასახლებენ...

მთაში საზოგადოდ იყო ჩვეულებად ტყვეების მოყვანა და იმათი დამონავება: იმათ აყენებდნენ თავიანთ სახლში და ხმარობდნენ თავიანთ ბატონურის ძალის დასაცველად. ამის გამო კარგა ბლომად გროვდებოდნენ მთის მებატონეების სახლში ამგვარი ყმები, რომელთაც არც მიწა ეჭირათ, არც ცალკე სახლი ჰქონდათ და მუშაობდნენ მებატონის საკუთარს მამულზედ უსასყიდლოდ, მარტო ლუკმა პურისათვის და ზედ ჩასაცვამის კონკ-ძონძებისათვის! მთელი იმათი შრომიდგან არ შენახულა იმათთვის იმდენი, რომ ერთი ფეხის დადგმა მიწა ან ერთი ძროხა თავის საკუთრებად დაენახათ

ამ მდგომარეობაში იყვნენ ეს ბედისგან განწირულნი, როდესაც განთავისუფლების ხმამ გრგვინვასავით გაიარა საქართველოში და ამ საცოდავებსაც, სხვებთან ერთად; ქუდი მოახდევინა და მადლობა შეაწირვინა ღვთისათვის.

მოდი და ნუ გაუხარდებოდათ საცოდავებს, როდესაც ზოგს იმათგანს კიდევ ახსოვდა, რომ მამა ჩერქეზში, დედა ქისტებში და თითონ საქართველოში ყოფილა გაყიდულ-გამოყიდული'...

მოდი და ნუ გაუხარდებოდათ ახალი დებულება, რომლის ძალითაც დღეს თავის საყვარელ შვილს, ცოლს, დედას, სატრფოს ველარ გააშორებდნენ!

მართლაც სასიხარულო იყო, მაგრამ დიდს ხანს გასწია იმათმა სიამოვნებამ და სიხარულმა? თავისუფლების შემდეგ დაინახეს, რომ, თუმცა დედას შვილისაგან, საქმროს საცოლესაგან, ცოლს ქმრისაგან ველარ განაშორებენ, ველარ გაჰყიდ-გამოჰყიდიან როგორც პირუტყვებს, მაგრამ ამათ ყველას ჭამა, სმა, ცხოვრება უნდა. და ისინი კი ახალმა წესდებამ დააგდო ხელგაშვერილ ლატაკებად! იქამდის შემაძრწუნებელი იყო იმათი მდგომარეობა, რომ ზოგს ზედ დასახური საბანი და ქვეშ გასაშლელი ნაბადიც კი არ გაჰყოლიათ მებატონისაგან.

ეს ხალხი გაიფანტა სხვადასხვა ადგილებში და აქამდისაც ისევ ისე ხელგაშვერილები დადიან და თავის შესაფერებელი ადგილი ვერ უპოვნიათ, მაშინ როდესაც ათასი თავისუფალი ადგილი არის, რომელზედაც ადვილად შეიძლებოდა იმათი დასახლება და, ახლა უსარგებლო სახელმწიფოს წევრთაგან გაეშენებინათ სარგებლობის მომცემი ხალხი. ვინ იცის, საიდგან გადმოკარ-

გულს „სკაპცებს“ (ხოჯებს), დამახინჯებულს ზნეობითაც და კაცობითაც, აძლევენ ადგილებს, — ამ საცოდავთ, ღვთისაგანაც და კაცისაგანაც შეძულებულთ, დასახლება უფრო მადლი არ იყო?

აი ამათ ცხოვრებიდგან მინდა ვუძღვნა მკითხველს რამდენიმე მოთხრობა. ხოლოდ ეს წინასიტყვაობა საჭიროდ დავინახე, რადგანაც საქართველოში ბევრმა არც კი იცის, რომ ამგვარი ყმებიც იყვნენ და ასობით ხალხი ამ დებულებამ ასეთს განმლატაკებელს და უნუგეშო მდგომარეობაში ჩააყენა.

I

დარიალის ვიწროებში, სადაც ახლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება, უწინ მარტოკა ბილიკები იყო, რომელზედაც ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა. ეს გზა მიდიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში ჯერ ვიწრო ლარსის ხეობაზედ, მაგრამ რაკი დარიალის კლდეებს მოადგებოდა, იქ კლდე იყო გახვრეტილი, გზა ქანქანით გაყვანილი, რომლის სათაურშიაც მოხევეების ყარაულები იდგნენ და იცავდნენ საქართველოს დაუპატიჟებელ სტუმრებისაგან.

ერთს ცივს ღამეს, როდესაც ნისლს მოებურა და უფრო მომეტებულად დაებნელებინა იქაურობა, ამ ქანქანის ნაპირას გაეჩაღებინათ ცეცხლი რამდენიმე ყარაულს და გარს შემოსხდომოდნენ. იქვე დაერთოთ ნადირის (ჯიხვის) მწვადები და ვახშმის მომზადებას ელოდნენ.

ამ დროს მოისმა ცხენების ფეხის ხმა. ყარაულებმა დაავლეს თოფებს ხელი, ერთს წუთს ჩაესაფრნენ გზის აქეთ-იქით მდებარე ქვებს უკან. ეს ისე სწრაფად და ჩუმად მოჰხდა, რომ კაცი ვერ გაიგებდა იმათ მოძრაობას, და გულდანდობილი მგზავრი ადვილად ჩაუვარდებოდა ხელში...

გაიარა რამდენიმე წუთმა ამ მდგომარეობაში, როდესაც ერთი ცხენოსანი გამოჩნდა და გულადად შემოვიდა ჩასაფრებულების შუაში. აქამდის ჩუმი ყარაულები, რომელთაც თოფები გადმოეშვირათ ქვებზედ და თითონაც გაქვავებულს სურათებს დამსგავსებოდნენ, ერთბაშად წამოცვივდნენ და ცხენოსანს გარს შემოერტყნენ.

— ვინა ხარ? - ჰკითხა ერთმა ყარაულთაგანმა

— მე, ოსი მახამეთა, სენი წირიმე! - მიუგო ცხენოსანმა...

— საიდგან, ან სად მიხვალ?

— ცოფიკასვილთან... მე იმის სტუმარი ხარ.

— ეგ? ნაბადში რაღა გაქვს გახვეული? — ჰკითხა ისევ იმ ყარაულმა, რომელმაც ცხენოსანს უნაგირზე გარდიგარდმო გადებული, ნაბადში შეხვეული, რაღაც შეამჩნივა.

— ეს, ქალია, სენი წირიმე, ესეც იმასთან მიგყავს.

— სად გინადირნია, სად?.. — ჰკითხა ღიმილით.

— ჩერქეზეთიდგან მოიტაცე, — იცრუა ოსმა ჩვეულებრივ...

— აი, შენი ხენცელაის მადლი კი გამიწყრეს!.. — დაცინვით გაიკამათა მოხევემ.

— სენმა მზემ, ცერქეზეთიდგან.

— კარგია-და, ვიცი, ჩე!.. არ გიცნობ, რაიცა ხარ? ე მანდ სულთნაანთგან (ოსის მებატონეები) იყიდდი, აქ კი იმას იძახი, ჩერქეზში მოვიტაცეო.

— არა, ცემა მზემ.

— კარგია, კარგი! — მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა მოლაპარაკე ყარაულმა და გაუბრუნდა თავის ამხანაგებს:

— აბა, ღმერთს არ მოეტყუება, რომ ეს ჩერქეზში ვერ გავიდოდა.

— ოსი არაა, შენაი ჰირაიმე, ჩერქეზში საით გავიდოდა? — უპასუხა ერთმა.

— რაი არიან ოსები?.. კატები არიან, ცხო რაი?

— ელგუჯა! — წამოიძახა ისევ იმ ყარაულმა, რომელმაც პირველად დაუწყო მახამეთას ლაპარაკი და რომელიც თავობდა იმათში.

— რაი გინდა?

— წადი, წაჰყე ემასა, მიიყვანე ჩოფიკიანთასა და, თუ აქ მოგვატყუა, ძაღლსავით მოჰკალ და გადააგდე.

— აგრე.

— გზაზე თუ გაქცევა დააპირა, მაშინაც არ დაინდო.

— აგრე! — იყო ისევ პასუხი.

ელგუჯა იყო ყმაწვილი ოცდაოთხი წლისა, ტანადი, წამოსადეგი, ხევში განთქმული იყო თავისი ვაჟკაცობით და „ქამანდრობით“*. ამასთან, როგორც მოშეტებული წილი მოხევეებისა, გულწრფელი და საიმედო. ელგუჯამ გაიდო თოფი მხარზე და შესძახა მახამეთას:

— იარე!

მახამეთამ გასწია წინა, ელგუჯა კი მიჰყვა უკან სიბრთხილით, რომ სიტყვით-სიტყვამდე ნამდვილად შეესრულებინა თავისი უფროსის ბრძანება. იმ დროს ღმერთსაც ნუ ექმნა, რომ მახამეთას ოდნადაც არის ცხენი გაებრუნებინა და

---

*) ქამანდარი—კარგად მსროლელი

დაეყენებინა გზის იქით, — ელგუჯა იმას ძაღლსავით მოჰკლავდა და გადააგდებდა.

ამგვარად მიდიოდნენ ისინი ჩუმად, ხმა-გაკმენდილები; მახამეთა დარწმუნებული იყო, რომ მცველს თვალი ბრთხილად უჭირავს და მცველიც დარწმუნებულია, რომ თუ მახამეთამ გაბედა რამე, მაშინ იმის ტყვიას შორს ვერ ჰყვა და, თუნდაც რომლისამე მიზეზით ტყვია დასცდებოდა და მახამეთას აქცევა მოეწადინა, მაშინ მაინც ადვილად წინ მოექცეოდა ელგუჯა, რადგანაც ის ქვეითი იყო და საქვეითო ბილიკი ერთი ოთხად ამოკლებდა ცხენისთვის მიხვეულ-მოხვეულ გზას.

მიაღწიეს სოფელს სტეფან-წმინდას და მივიდნენ პირდაპირ გაგი ჩოფიკაშვილის კარებზედ, სადაც ელგუჯა წადგა წინ და ხმამაღლა დაიძახა:

— გაგი!.. ჰა გაგიიი!.. გაგი!

ამ სიტყვებზედ თოფი გადმოეშვირა ღერეფანზედ საფრად გაკეთებულის კედლიდან და მოისმა ხმა:

— ვინაა მანდ, ვინ ჰკივის?

— მე ვარ, ელგუჯაი.

— რაი ამბავია, ამ შუაღამისას?

— აი ერთი კატაი მოვიყვანე, თქვა ელგუჯამ და გაჰხედა ოსს.

— მარტოა?

— არა... ქალაი რაიმე ჰყავს.

გაგი წყნარა გაბრუნდა, გააღვიძა ბიჭები, რომლებიც იმის ძახილზედ შეიარაღებულები გაშიშვლებულის თოფებით გამოვიდნენ.

ეს დრო ის დრო იყო, როდესაც საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა და, მაშასადამე, დრო არეულობისა და მუდამ ბრძოლისა ამ მფარველობის ქვეშ შესვლის მსურველთა და მოწინააღმდეგთა შუა. ამიტომ, რასაკვირველია, უიარაღოდ არავინ დადიოდა.

-- ონისე, გადი-ღა, გაჰხედე!.. სტუმარი სასტუმროში შეიყვანე, ტყვე რომ მოუყვანია, ის კი დედა-კაცებს მიაბარე... იცოდნენ, თუ გაქცეულა, თავიანთი თოლების მეტი აღარა იხსნით-რა.

ონისემ გასწია ბრძანების აღსასრულებლად, მაგრამ გაგიმ ისევ შეაყენა, რაღაც წაიბუტბუტა და ხმამაღლა დაუმატა:

-- მოიცა, მე თითონაც ჩამოვალ.

გაგიმ მაშინვე იცნო მახამეთა, რომელთანაც არა ერთხელ ჰქონია ამგვა-

რი ვაჭრობა, ამისათვისაც ისინი ერთმანეთს მიესალმნენ, ჩამოართვეს ხელი და ტკბილად დაიწყეს ლაპარაკი.

მახამეთა გამოუტყდა, რომ ეს ქალი ჩერქეზი არის, და ერთს ქისტს მოუყვანა ოსებში გასასყიდად, სადაც მახამეთა შეჰხვდა და გაგისთვის იყიდა. ამ სიტყვებს დაუმატა ქალის ქება, რომელიც ტანადობით ისარს ემსგავსება და ტუჩები ახლად გადაშლილს ვარდს მიუგავს.

გაგიმ ქალს მოჰხადა ყაბალახი, მიუახლოვდა პირისახესთან და მუშტრის თვალით დაუწყო შინჯვა

— მართლა ლამაზი უნდა იყოს! წარმოსთქვა იმან ბოლოს და მოუბრუნდა ელგუჯას:

შენ მაინც დალალული ხარ, ეგ ქალი ამ საწოლში შეაგდე და შენც გარედ მოუწექ ამაღამ... კარის გადმორაზა კი არ დაგავიწყდეს.

ელგუჯამ ქალი წაიყვანა, გაგი კი მახამეთას გაუძღვა სასტუმროში, სადაც უნდოდა ძვირფასის სტუმრისთვის თავი მოექონა, რათა ცოტაც არის უფრო იაფად დაესვა ახლად მოყვანილი ქალი.

ელგუჯამ მიიყვანა ქალი „საწოლში“, აუნთო ჩირაღი და, რა შეხედა ქალსა, გაშტერებული დარჩა. იმის თვალს წარმოუდგა ისეთი მშვენიერი მომხიბლავი თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუდუღა. რასა ჰშვრებოდა, სად იყო — იმას სრულებით გარდაავიწყდა. ის შეეპყრო მარტო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში. ქალი კი იდგა [illegible] მიხრილი, დაღონებული, თვალებდაშვებული და გატაცებული რაღაცა ღრმა ფიქრით.

ელგუჯას აწუხებდა იმისი მდგომარეობა. უნდოდა დასამშვიდებელი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა არ იცოდა და, თუნდა სცოდნოდა კიდეც, ძნელად შეეძლო იმას სიტყვის წარმოთქმა. არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა კაცის ცხოვრებაში, როდესაც ჰგრძნობ, იტანჯები, გინდა წარმოსთქვა რამე, მაგრამ ენა აღარ გემორჩილება და სიტყვები ვეღარ გიპოვნია. სწორედ ამგვარს მდგომარეობაში იყო ელგუჯა.

ბოლოს, როგორც იყო, გონს მოვიდა, გაამაგრა კედელში „ჩირაღი“ (კვარი). უჩვენა იქვე დალაგებულს საბან-გობანზედ და ანიშნა იმათი გამლ[illegible] კიდევ ცოტა ხანს დარჩა, შეჰხედა, ამოიოხრა და გამობრუნდა. კარებთან რომ მოვიდა, ერთი კიდევ მიიხედა, დაინახა, რომ ქალის თვალები ელგუჯასაკენ

რი მოქცეული და ისეთის სახით უყურებენ, თითქოს იმათაც უგვრძვნიათ ელგუჯას გულის მოძრაობა და ისინიც თანაუგრძნობენ, მადლობას ეუბნებიან...

ელგუჯამ ვეღარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შეშინებული და აღელვებული, რაღაც გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებული, ძალზედ ეკვროდა მკერდზედ.

ამ წუთებში გამოიხატებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულ გრძნობასთან, მაგრამ იმათგან ვერც ერთი კი ვერ [illegible] -რა მოსდის, რასა ჰშვრებიან, ან ასე რად იქცევიან და სხვარიგად არა?

ელგუჯამ უკანასკნელად მოუჭირა მკლავები, აღგზნებულად აკოცა, გამოვარდა გარედ მთვრალსავით, გიჟსავით და გულის ძგერით მიწვა კარებთან.

ეზოში გამოსულიყო გაგი და განკარგულებას აძლევდა ბიჭებს, რომ სტუმარს რიგიანად დაჰხვედროდნენ.

რაკი ბიჭები გაგზავნ-გამოგზავნა, სახლის პატრონმა გამოსწია იმ „საწოლისკენ“, სადაც ტყვე იყო დამწყვდეული. მახამეთამ იმას იმდენი მშვენიერება [illegible]მბო ამ ქალისა, იმდენ გამტაცებელ სურათებით დაუხატა იმის მიხვრა-მოხვრა, იმის ტუჩები, თვალები, თმები, რომ გაგი სრულებით დაიბნა და ათასმა უპატიოსნო აზრმა შეიპყრო იმის გარყვნილი გული... გაგიმ ვეღარ მოითმინა გათენებამდის და იმ ღამესვე უნდოდა დამტკბარიყო ჩერქეზის ქალის მშვენიერებით.

მივიდა იმ ადგილამდის, სადაც ელგუჯა იწვა, შესდგა ცოტა ხანს და ყური დაუგდო. ელგუჯა ხვრინავდა, თუმც ძილი არც კი მიჰკარებოდა. ამან გაამხნევა გაგი: წყნარად გადააბიჯა ელგუჯას, შეაღო კარები და შევიდა საწოლოთახში. რაწამს კარი მოიხურა, ელგუჯა ფეხზედ წამოვარდა და გაშმაგებულის თვალებით დაუწყო სარკმლიდან ყურება

ქალმა დაინახა თუ არა უცხო კაცი შესული, ცახცახით კედელს მიეკრა, გაგი კი, რაწამს შეჰხედა, მაშინათვე შეიპყრო პირუტყულმა გრძნობამ და ჩასისხლიანებული თვალებით გასწია ქალისკენ.

ქალს შეეშინდა, შეჰყვირა და უფრო მიიკუნჭა კედლისაკენ. ელგუჯას თვალები აენთო, გული აემღვრია, წაავლო ხანჯალს მთრთოლარე ხელი და რისხანებით უყურებდა. კიდევ ერთი წუთი და გულმა ვეღარ გაუძლო და გიჟივით შევარდა.

— ვინაა აქა? რაი ყვირილია?—წარმოსთქვა იმან ისე, თითქოს ქალის ყვირილზედ გეღვიძაო.

გაგი შეკრთა, ის თავის გუნებაში ათასრიგად ლანძღავდა ელგუჯას. რომელმაც დაუშალა ასეთს დროს და დაუპატიჟებლად შემოვარდა. მაგრამ სირცხვილისაგან ვეღარა მოახერხა-რა და მხოლოდ ეს-ღა უთხრა:

— არცვინა! მე ვარ, მე! კარის დასათვალიერებლად მოვედი... [illegible] კაიფიქრა: „დღეს თუ არა, ხვალ ხომ ჩემი იქნები“, და გამოუბრუნდა ელგუჯას:

— ახლა კი წავიდეთ, დავწვეთ! კარებს კლიტე დაადე, ისიც ეყოფა...

გათენდა დილა და მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი დაადგეს ყინვარწვერს.

გაიღვიძა დაძინებულმა სოფელმა, ხალხმა დაიწყო მოძრაობა: სოფელთან ერთად გაგის სახლშიაც ადგნენ. დედაკაცებმა გაიგეს ჩერქეზის ქალის ტყვედ მოყვანა და ერთი ჩურჩული გამართეს ამ შემთხვევის შესახებ: ყველას უნდოდა და ჩქარა ენახათ ტყვე, ჩქარა შეეტყოთ იმის ვინაობა, თავგადასავალი. ბოლოს შემოვიდა ერთი ბიჭი, მოიტანა კლიტე და გარდასცა დედაკაცებს

გაგიმა, ა-იქავ საწოლაში ქალაი არისო და ის გამოიყვანეთო, — უთხრა იმან.

ვინაა ის ქალი? მართლა ჩერქეზია?.. რამდენის წლისაა? ლამაზია თუ არა? — მოსცვივდნენ აქეთიქით დედაკაცები.

— აბა რაი ვიცი, მეც არ მინახავს... კარგად მოუარეთო გაგაიმა.

— გაგი რაიღა იქმნა? - ჰკითხა ვიღაცამ.

— გაგის კაცი რაიმე მოუვიდა და გათენებისას ხევსურეთს წავიდა.

— რაისთვის წავიდოდა?

კარგით-ღა, გაჰხედეთ იმ ქალსა, მშიერი იქმნება... — გააწყვეტინა ლაპარაკი დიასახლისმა. წადი-ღა, ჯაჯალავ, წაიღე კლიტე და გამოიყვანე!

ჯაჯალა იყო უმცროსი ამ სახლში და ამისათვის ყველას შეეძლო იმის ბრძანება და იმასაც უნდა აესრულებინა სხვების სურვილი. თუნდა ასე არ ყოფილიყო, ის დიდის სიხარულით წავიდოდა და გამოიყვანდა ტყვეს, ემსახურებოდა იმას და ყოველის ღონისძიებით ეცდებოდა იმის ნუგეშს, რადგანაც თითონ ჯაჯალაც ასეთივე ტყვეს ქალი იყო და იმას ახსოვდა თავის დედის ნაამბობი ტყვეს მდგომარეობაზედ და იმის გულის მოძრაობაზედ. იმან იცოდა ცოტაოდენი ჩერქეზული, რომელიც დედამ დაასწავლა.

ჯაჯალას შესვლაზედ ტყვე შეკრთა და მაშინათვე ფეხზედ წამოხტა. ჯაჯალა მივიდა, საჩქაროდ დასვა ისევ და თან თანაგრძნობით დაუწყო ლაპარაკი:

— იჯე, იჯე! დაღალული იქნები, — უთხრა იმან ჩერქეზულად.

ჩერქეზის ქალმა გაიკვირვა თავის ქვეყნის ენის გაგონება და სიხარულით წარმოსთქვა:

— მაშ აქაც ლაპარაკობენ ჩერქეზულად?

— რად არა!... ჰაი, ჰაი, რო ლაპარაკობენ... შენ ნუ გეშინიან, აქაც ისეთივე კაცები არიან, როგორც ჩერქეზში.

— მაშ არ მაწვალებენ, არ მომკლავენ?

— ბედშაო, განა ურჯულოები ვართ?.. შე ნუ გეშინიან.

— მე კი ისე შემაშინა წუხელ ერთმა კაცმა... ისეთი შეხედულობისა იყო, ისეთი თვალები ჰქონდა, რომ კინალამ გულს შემომეყარა... თუ ის ყმაწვილი ბიჭი დროზედ არ შემოსულიყო, უთუოდ მომკლავდა.

ჯაჯალა მიჰხვდა, რომ ამ ქალის შემშინებელი გაგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყმაწვილი ბიჭი ვიღა იყო, ვერ მოეაზრა.

— შენ ჩერქეზი ხარ? ჰკითხა ჯაჯალამ.

— ჩერქეზი ვარ.

— დედაჩემიც ჩერქეზი იყო!..

— მართლა?...

— მართლა... ისაც შენსავით იყო მოტაცებული... სახელად რაილა გქვიან?

— მზალო.[*]

— პური არ გშიან?

— არა.

— წავიდეთ, შესჭამე რამე, თორემ ეგრე გული გადაგელევა.

— სად წავიდეთ?

— ჩვენ დედაკაცებთან.

ამ სიტყვებით ისინი გამოვიდნენ და წავიდნენ სამყოფო სახლში[**], სადაც დედაკაცები მიეხვივნენ ახლად მოსულს ჩერქეზის ქალს და თავით ფეხებამდის დაუწყეს შინჯვა, თითქო ადამიანს პირველად ჰხედავდნენ.

ბოლოს ყველანი დამშვიდდნენ, დაადგნენ თავთავიანთ საქმეს და მზალოზედ ზრუნვა კი ჯაჯალას მიანდვეს.

მზალოს უკვირდა, რომ აქამდის არსადა სჩანდა ის ყმაწვილი ბიჭი, რომელიც ისე მოეწონა, რომელმაც ისე მოულოდნელად გულში ცეცხლი ჩაუგდო. იქმნება ისე სწრაფად გაჰქრა ელგუჯას სიყვარული, როგორც სწრაფად

---

*) ჩერქეზში ხშირად არქმევენ ქალებს სახელად „მზის შუქსა“, „ნათელას“ და სხვა. „მზალო“ ჰნიშნავს მთვარის შუქს.

**) სამყოფი სახლი —ჯალაბობის საერთო სახლი.

დაიბადა? ამაზედ უნდა ელაპარაკნა ვისთანმე, მაგრამ ვერ ჰბედავდა, ვერავის ენდობოდა... ის მახინჯი თვალებჩასისხლიანებული გაგი რაღა იქნა? ფიქრობდა ის, თუმცა კი ამის მოუსვლელობა ახარებდა.

გაგიმ და ელგუჯამ ძლივს მოასწრეს გამოსვლა სახლიდგან: რაწამს ერთი ცხენოსანი მოადგა გაგის ვალავნის კარებს, ჩამოხტა, საჩქაროდ, მოვიდა სახლის პატრონთან და შეატყობინა მთიულეთ-გუდამაყრელების არეულება, რომელთაც რუსები მოემწყვდიათ მთიულეთის ქალებში და სადაც საჩქაროდ [illegible] იმას, როგორც ერთის ხევის ხალხის მოთავეს. იქ მთიულები* შეყრილიყვნენ პატონისშვილის ალექსანდრეს თაოსნობით, რათა წინააღსდგომოდნენ რუსების მოძრაობას. გაგიმ იმ ღამესვე გასწია იქითკენ და ელგუჯაც თან წაიყვანა.

აი ეს იყო მიზეზი, რომ ელგუჯამ შორიდგან მაინც ვეღარ გადაჰკრა თვალი თავის შეუდარებელს ჩერქეზის ქალს, რომელმაც მთის მდინარესავით სისხლი აუჩუხჩუხა.

გზაზედ ელგუჯა ჰფიქრობდა თავის მშვენიერს მზალოზედ და გულში ყოველგვარს ლანძღვას უგზავნიდა მთიულებს ასე უდროოდ არეულობისათვის.

ელგუჯა მიდიოდა გზაზედ, მაგრამ გული კი შინ დარჩენოდა. იქ [illegible] შეეპყრო იმისი გონება იმ ქალს, რომ ათას საშვალებას ეძებდა შინ დაბრუნებისათვის... ბოლოს გადასწყვიტა, რომ ის დიაცსავით იქცევა და იმ დროს, როდესაც იმის მოძმენი საერთო მტერთან შებმას აპირობენ, ის შინისაკენ [illegible] საყვარელს ქალთან საარშიყოდ. ის ვაჟკაცისთვის შესარცხვენად უყურებდა ამისთანა დროს ტოლ-სწორების და საქმის თავის მორიდებას და შინ [illegible] ბაში მოფარებას... „კაცი ვარ, ქუდი მხურავს, წავალ, ვაჟკაცობას გამოვიჩენ, ვისახელებ თავს და სამსახურს გავუწევ თემობას. როცა შინ მშვიდობით დავბრუნდებით, მაშინ ვითხოვ გაგისაგან იმ ქალს და ისიც მომცემს".

ელგუჯას არ გაუმართლდა იმედი: ცხარე ბრძოლის მაგიერად, ხალხი საჩქაროდ დაამშვიდა სხვადასხვა საჩუქრებით მეორე მთაში ძალის მქონებელ მეპატრონემ, და გაგის ელგუჯასთან ერთად შინ დაბრუნება მოუხდა.

ამ დროს საქართველოში მოემატა კიდევ რუსის ჯარები, რომელთაც საჭირო ადგილები და სოფლები დაიჭირეს და იქამდის გაამაგრეს, რომ ყოველივე მოძრაობა მთის ხალხისგან შეუძლებელი შეიქმნა.

---

*) საზოგადოდ ჩვენს ლიტერატურაში შეცდომით მთის ხალხს მთიულებად უწოდებენ, მაშინ როდესაც ჩვენს საქართველოში მხოლოდ ერთს მაზრასა ჰქვიან მთიულეთი, მისი მცხოვრებთ — მთიულები.

გაგიმ დაინახა თავისი მდგომარეობა, დაინახა საითკენ უფრო სასარგებლო იყო იმისთვის და გადადგა რუსებისაკენ, რომლისათვისაც მისცეს აფიცრობა.

ეს ყველა ისე საჩქაროდ მოხდა და ისეთი მღელვარება და მდგომარეობა იყო მაშინ საქართველოში, რომ ყველას დაავიწყდა თავისი პირადი საქმე და მოვალეობა. რასაკვირველია, გაგისაც არ ასცდა ეს მდგომარეობა, რომელმაც გადაადებინა, თუ გადაავიწყა თავისი პირუტყული გულისთქმა ტყვის შესახებ. ამის მიზეზზით ელგუჯას დარჩა თავისუფალი დრო მზაღოსთან არშიყობისა, და ისიც სარგებლობდა, რამდენადაც ენის უცოდნელობა ნებას აძლევდა.

ჯაჯალა, რომელიც თარჯიმანობდა შეყვარებულებს შუა, და მზაღო დამეგობრდნენ ისერიგად, რომ დამალული აღარა ჰქონდათ-რა. რასაკვირველია, არც ელგუჯასთან იყო იმათი საიდუმლო დაფარული. შეყვარებულებმა გარდაწყვიტეს, რომ ელგუჯამ უნდა ითხოვოს მზაღო, მისცეს, რაც უნდა ურ[illegible] სთხოვოს გაგიმ და, თუ, ვინიცობაა, ეს უკანასკნელი არ დაჰყაბულდა, მაშინ ელგუჯა მოიტაცებდა თავის სატრფოს.

ასე მიდიოდა დღეები, კვირეები და საქმე როგორღაც ვერა ბოლოვდებოდა გაგის იქ უყოფნელობის გამო, რომელსაც ჩააბარეს რამდენიმე ჯარისკაცი და ეგზეკუციადა ჰგზავნიდნენ სხვადასხვა დამნაშავე მთის ხალხის ადგილებში. ამისათვის ის შინ მოსასვლელად ველარ იცლიდა და ელგუჯას ვერ მოესწრო იმასთან მოლაპარაკება.

ერთს მთვარიანს საღამოს, როდესაც მთელი მიხევეები სათიბად იყვნენ გასულნი, გაგის მთიბელებსაც დაენთოთ ცეცხლი, შემოეკიდნათ ქვაბით საკლავი (ცხვარი) და ვახშამს ამზადებდნენ. მთიბავი დედაკაცები და კაცები შემოსხდომოდნენ გარშემო არა ჩვეულებრივი მხიარულის სახით და ელოდნენ იმის მომზადებას. რაღაცა წარმოუთქმელი გრძნობა გამოითქმოდა იმათ პირისახეზედ. ყველა ამ ხალხს ჯერ კიდევ ვერ გამოერკვია, თუ რა მომავალი მოელით ახალის შემთხვევების გამო, და ამისთვის ძრწოლით მოელოდნენ მომავალს, რომელშიაც ჰხედავდნენ, მართლად თუ უსამართლოდ, სხვა ხალხისაგან, სხვა გვარტომისაგან თავიანთ თავზე ძალის მოტანას, გაბატონებას. ამ აზრის გავრცელებას ეხმარებოდა მაშინდელი ზოგიერთი ჩინოვნიკების ველური და პირუტყული ქცევა.

რა თქმა უნდა, რომ ამ მთიბავებში ახალი ტყვეც ერია. ეს გამოსულიყო განაპირებით და დაღონებულის თვალებით გასცქეროდა ყინვარ-წვერს, რო-

შელსაც მთვარის შუქი დასდგომოდა და მშვენიერ ფერად შეეცვალა დილის სურათი.

ხალხი დასხდა ვახშამზე, დაუძახეს მზალოსაც. ის იყო კერძებს აწყობდნენ ჯამებში, როდესაც ცელ მხარზედ გადადებული ერთი მთიბავი მოვიდა და ხმამაღლა შესძახა:

— გამარჯვება თქვენს საქმესა!

— გაღმერგძელოს ღმერთმა, უპასუხეს სტუმარს და მოიწვიეს ვახშამზე. გადმოჰხე, აქ გადმოჰხე! ადგილი მისცეს ელგუჯას.

საზოგადოდ მთაში ამგვარს შემთხვევაში ერთი მეორისაგან თავს არ ივიწროებს და მარტო მუშა თავისუფლად მიდის მეზობელ მუშებთან, დროებას ატარებს და პურსა სჭამს. ელგუჯა კი გაგის მთიბავებს კარგად იცნობდა, რადგანაც იმათთან ერთი სოფლელი იყო და ამას გარდა თავის ყარაულობაში ხშირად დადიოდა გაგის სახლში.

ვახშმის ჭამის შემდეგ, როცა ყველანი მიწვნენ-მოწვნენ და ღრმა ძილს შევიდნენ, ელგუჯა გაცურდა იმ მხრისკენ, სადაც მზალო იწვა ელგუჯას მისვლაზე იმან წამოჰყო თავი, მაგრამ რაკი იცნო, ხმა გაკმინდა. ელგუჯამ ანიშნა, რომ ის გაჰყოლოდა იმას და წყნარა, პარვით გასწიეს ბურაზული ტყისაკენ, რომელიც იქვე ახლომახლო იწყებოდა.

გარუმებულნი, სულგანაბულნი და ხმაგაკმენდილნი მიდიოდნენ, როგორც უსულო მოჩვენებანი, ვიდრე ტყეში შევიდოდნენ; მაგრამ რაკი ტყის სიხშირემ დაჰფარა ისინი და სხვის თვალი ველარ მისწვდებოდა, ელგუჯა ერთბაშად გამოუბრუნდა ქალს, მოჰხვია ძლიერი მკლავები, ჩაიკრა გულში და დაუწყო კოცნა. ეხლა თითოოროლა ესწავლა მზალოს ქართული და ეს აძლევდა იმათ საშუალებას უმოწმოდ ეთქვათ ერთმანეთისათვის თავიანთი გულის პასუხი. ვიანთი გულის მოძრაობა.

პირველის ტრფიალების შემდეგ, ელგუჯამ ოხვრით და მწუხარებით გამოუცხადა, რომ გაგის შუაკაცი გაუგზავნა მზალოს სათხოვრად, მაგრამ გოგომ უარი გამოუცხადა და ახლა სხვა საშუალებას აღარა ჰხედავს, რომ გაიტაცოს მზალო. ბოლოს დაუმატა:

— რას იტყვი შენა?.. წამომყვები, თუ არა?

მე ჩემი თავი შენთვის მომიცია, წამიყვანე, საცა გინდა...

თუშებში უნდა გაგიყვანო.

— სადაც გინდა.

— რომ მოგწყინდეს, მაშინ რაღასა იქ?

— ჩვენი მხრის ქალებს ძნელად შეუყვარდებათ, მაგრამ ვინც შეუყვარდებათ, ის იმის მბრძანებელია!... მიბრძანე, რაც გინდა

ამ სიტყვებზედ ელგუჯამ გატაცებულის კოცნით უპასუხა:

— მე ყველაფერი მოვამზადე... აქ ტყეში მყავს ცხენები და იარაღიც დამალული... გუდამაყრის ხეობაზედ ვერ წავალთ, იქ გზებიც შეკრულია და ვიწრო ხეობაც არის, მთიულეთზედ უნდა წავიდეთ.

— ეგ შენ იცი.

— მაშ ნუღარ ვიგვიანებთ, ჩემო მზეო!

— შენ იცი.

— ხომ არ გეშინიან, არა?

— შენთან?..— ისეთი, ხმით უპასუხა, რომ ელგუჯას შერცხვა.

ამ სიტყვებზედ ელგუჯამ სამჯერ წყნარად, მაგრამ ხანგრძლივ დაუშტვინა. ცოტა ხანმა გაიარა და იმათ წინ მოულოდნელად ერთი ყმაწვილი შეიარაღებული ბიჭი გადმოხტა.

— გივარგი, შენა?

— ჰო, მე ვარ.

— იარაღი რაი უყავ?

— აი აქაა!—უპასუხა ახალმოსულმა და მიაწოდა ერთი ხელი იარაღი.

— ცხენები?

— ცხენებიც, ა-იქ არიან,—უთხრა გიორგიმ და ანიშნა იქვე ხშირ ტყეზედ.

— მაშ წადი, მოიყვანე!

გიორგი ცხენებისათვის წავიდა, ელგუჯა კი წყნარა, ჩუმად და პირმოკუმული იჭურვებოდა. აშკარად სჩანდა, რომ იმას გარდაეწყვიტა ადვილად არავისთვის დაენებებინა თავისი მშვენიერი მზალო და, თუ გზაში ვინმე გადაელობებოდა, მაშინ იაფად არ დაუსვამდა ამ თავხედობას.

მოვიდა გიორგი, მოიყვანა ცხენები, რომლებზედაც შესხდნენ.

როდესაც ყველანი მზად იყვნენ წასასვლელად, ელგუჯა მიუბრუნდა გიორგის:

— გიორგი!

— რაი გინდა?

— მე საჭირბოროტო გზას დავადექ, მაი, შენ დაბრუნდი შინა!

— რას ანბობ? —გაიკვირვა იმან.

— ვინ იცის. რაი შემემთხვას, შენ რაისთვის-ღა უნდა გაიფუჭო თავი!

— ძმად განა იმად გავფიცულვარ, რომ ეგენი მითხრა, გულნაკლულა უპასუხა გიორგიმ, - კარგი-ლა, იარე, დროს ნულარ ვკარგავთ.

— მაშ მოსდიხარ?

მო... სადაც შენ მოჰკვდები, მეც იქ უნდა მოვკვდე.

— შენ იცი! —უპასუხა იმან და მოიხადა ქუდი.

— ღმერთო დიდებულო, წვერისა, სპარსთა ანგელოზო, შენ მოგვართე ხელი, შენი წყალობა გაგვატანე! —წარმოსთქვა ელგუჯამ.

ღმერთო, უადგილო ადგილას მოჰკითხე ამხანაგის მოლალატეს. დაუმატა 'გიორგიმ.

ამინ! — იყო ორთავესგან ერთად წარმოთქმული.

კიდევ რამდენიმე წუთი ასე ქუდმოხდილები დარჩნენ და ჩუმად ევედრებოდნენ იქაურს ხატანგელოზებს და ამ ვედრებაში იყო რალაცა დიდებული რალაცა მუქარა, რალაცა იმედი და ნუგეში.

ბოლოს ორთავე ქუდები დაიხურეს.

გაგვიძელ! -დასძახა ელგუჯამ.

გიორგიმ შემოჰკრა ცხენს მათრახი, იმას გაჰყვა მზალო და, ბოლოს. ელგუჯა.

გიორგის ბელადობით ჩუმად და სიფრთხილით მიდიოდნენ ჩვენი მგზავრები. სოფელ კობს, სადაც ყველაზედ მეტად ეშინოდათ, გასცდნენ მშვიდობიანად და გაუდგნენ გადასავალ მთებს. ისინი მიეშურებოდნენ მთიულეთის ჰალებისკენ, სადამდისაც უნდოდათ ლამე ჩაჰყოლოდათ, რადგანაც იმას იქით დაბურვილი ტყეები დაიწყებოდა, რომელშიაც თავის შეფარება შეიძლებოდა; ასე ჰფიქრობდნენ ჩვენი მგზავრები და ამისთვის წამდაუწუმ ცას შესცქეროდნენ, რომელზედაც ვარსკვლავებს დრო უნდა ეჩვენებინათ.

— გასწი, გივარგი, გასწი! ეუბნებოდა ელგუჯა თავის ბელადს. ცისკარი სულ გადაიხარა და ლამე კაიშაურშიაც ველარ ჩაგყვება.

— ღმერთი მოწყალეა, -- უპასუხებდა გიორგი და გადუქნევდა მათრახს თავის ერთგულს ცხენს, რომელიც მიჩაკჩაკებდა იმგვარის ძუნძულით, რომელსაც მთაში „მგლურს“ უწოდებენ. ამგვარი სიარული-გზას ძალიან ამოკლებს.

ალიონმა აიწია. დედამიწა განათდა. გამოჩნდა მშვენიერი ვაკე ქვეშ ალმართისა. აქ ბუნება სრულებით შეიცვალა მშვენიერის მდიდარის სურათებით. ველბუჩქებიან მინდორს გარს შემორტყმოდა ტყიანი მთები, რომელთ აქაიქ გაეჩეხათ მთიულებს, გაეკვეთათ სახნავებად და სათაურში გაემართათ თავიანთი ციხე-დარბაზი.

სასიამოვნო, გამაცოცხლებელი ნიავი, რომელიც განუწყვეტლივ დაჰქრის ამ ადგილებში, უგრილებდა შუბლს და უახლებდა, უღვიძებდა დაღალულს გონებას მოგზაურებს. წმინდა, ანკარა წყაროები ჩამოჩუხჩუხებდა და რაღაცა სიტკბოებით უალერსებდა კაცის ყურს. ჩიტებსაც გაეღვიძათ და ჰიკჰიკით ქებას ასხამდნენ ბუნების ძალას. ყველა ისე რიგად იყო მოწყობილი, რომ კაცს ანატრებდა აქ ჩამოხდომას, მწვადის შეშიშხინებას და ცოტაოდენ თვალის მოტყუებას. იმ ადგილებს ამგვარი მოქმედება არამც თუ მარტო ხალხზედ — პირუტყვებზედაც კი ჰქონდათ, რომლებსაც იტყუებდა მსუქანი, ნოყიერი, მწვანე ბალახი, შემკული ათასფეროვანი ყვავილებით და სურნელებით.

ელგუჯამ გაჰხედა ამ სურათებს და გული აუძგერდა... იმან დაჰნატრა ამ ბედნიერებს, რომელთაც თავისუფლათ შეეძლოთ ამ ადგილების მშვენიერებით დატკბობა.

ელგუჯა რომ ამ ფიქრში იყო და სრულებით გაეტაცნა ოცნებას, გიორგიმ ერთბაშად ცხენი შეაყენა.

— რაი ამბავია? ჰკითხა ელგუჯამ.

— აგერ ქვეშის აღმართთან რაიმე ცხენიანები ამოჩნდნენ... მაი, აქ ბუჩქებში მივაბრუნოთ ცხენები, თორემ მეტად განათდა.

— აგრე! მოკლედ უპასუხა ელგუჯამ და დაუწყო იქითკენ ცქერა. საითაც გიორგიმ ცხენიანებზედ უჩვენა.

ამათ გააბრუნეს ცხენები და შევიდნენ ბუჩქნარებში, რომლებიც იმათ საკმაოდ დაიცავდნენ კაცის თვალისაგან. იქ ჩამოხტნენ, გაშალეს ნაბადი და ზედ დასვეს მზალო. გიორგიმ წაიყვანა ცხენები ცოტა მოშორებით, ჩაუკრა თავები და საძოვარზედ მიუშვა; თითონ თოფი მოიმარჯვა, ფალია გამოუცვადა და ისე უზრუნველად წამოწვა მხართეძოზედ, თითქოს თავის სახლში იყო. ელგუჯა წყნარად გავიდა გზის ნაპირას და ისეთი სამზვერავი ადგილი დაიჭირა ბუჩქებში გზის პირად, საიდგანაც, თითონ უხილავი სხვისაგან, ყველაფერს ჰხედავდა, თვალყურის დევნა შეეძლო.

ცხენოსნები, რიცხვით ოცდახუთამდის, თანდათან ახლოვდებოდნენ იმ ადგილას და მოელავდნენ ისეთის წყობილობით, თითქოს საომრად გამზადებული იყვნენ. წინ მიუძღვებოდა ბელადი, მერმე ოთხოთხი ჯარჯარად დაწყობილიყვნენ.

როდესაც მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ცხენებით ელგუჯა თავის ამხანაგებით გადავიდნენ, უცნობი მგზავრების ბელადმა ცხენი ერთბაშად შეა-

ყენა და დაუწყო მიწას ჩხრეკა. სხვები წამოეწივნენ და ჰკითხეს გაჩერების მიზეზი. მოწინავემ უპასუხა:

- ცხენების კვალია და არ ვიცი, საით მოვიდოდა.

— აქ ცხენებს რაი უნდა! - სთქვა უფრო ჭაღარა-შერთულმა კაცმა, რომელიც უფროსობდა და რომელშიაც, ბრჭყვიალა პაგონებით, გაგის იცნობდით.

იმანაც დააყენა ცხენი, გადმოიხარა გვერდზედ და წარბებშეჭმუხვნილმა დაუწყო შინჯვა კვალს; გვერდით რამდენჯერმე აუარჩამოუარა, მაგრამ ისე კი, რომ თავის ცხენისათვის უწინდელი კვალი არ წაეშლევინებინა.

— სამნი ყოფილან! კვალი... კვალი აშკარაა... ცხენები დასაჭედები ყოფილან... - ნაწყვეტნაწყვეტად წამოიძახებდა ისე, თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდა. მართლადაც, თუ დააკვირდებოდით ახლად დანამულს მიწას, ადვილად შეამჩნევდით უნალო ცხენების ნაფეხურს და ჩლიქების იმგვარს ბეჭდებს, რომელსაც „ბაყაყს“ ეძახიან და რომელიც დედამიწას მხოლოდ მაშინ დაეტყობა, როდესაც ცხენი უნალოდ არის.

— ეს კაი კაცები არ უნდა იყვნენ! —წამოიძახა ბოლოს თავის აღებით გაგიმ.

— კაი კაცები რომ იყვნენ, გზას რად აგვიქცევდნენ?

— მანდეთ ბილიკი გზა ხომ არა მიდის-რა? მიუბრუნდა გაგი მთიულს, რომელიც თან ახლდა.

— არა, შენი კვნესა-მე, არა... მანდეთ გზას რაი უნდა: სოფელი არსად არის და არა ცხო! - იყო პასუხი.

— სოფლები როგორ არ არის, მაშ აი-ის რეებია? - ჰკითხა გაგიმ და გაუშვირა ხელი მთისკენ, სადაც აქაიქ გვერდებზედ მოჩანდა მთიულების სახლები.

— სოფლებია, შენი კვნესა-მე, მაგრამ გზა მაგაზედ არ არის... ეგეთი ხევი ჩამოუდის შუა, ლომისის მადლმა, რომ ფრინველიც ვერ გადაფრინდების.

მაშ, ისინი ამ ჭალაში უნდა იყვნენ!

— მაშ სად ეშმაკში წავიდოდნენ, რა ვიცი!.. ამ მთისაკენ ხევი არის, აქეთკენ ეგეთი კლდე, რომ კაცს გადახედვა შეჰზარავს.

ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი, როდესაც ზევით დაღმართებიდგან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა, რომელიც ძალზედ მოაჭენებდა. ის აღარც დაღმართებს უყურებდა, აღარც ღორღებს და ხევებს, სადაც ცხენისაგან ერთი ბორძიკი საკმაო იყო, რომ მხედარი სულით ხორცამდე დაკარგულიყო.

აშკარად ეტყობოდა, რომ ის რაღაცა საჭირო საქმეზედ მოდიოდა. ეს მხედარი დაინახა იქ მყოფმა ხალხმა და დაუწყო ყურება.

ელგუჯამაც, რომელიც მღელვარებით უყურებდა იქ მოსულებს, შეჰკრა თვალი ახალს მხედარს, და გულმა რაღაცა უსიამოვნება იგრძნო.

— ეგ, თუ იქნება, ჩვენი მდევარი უნდა იყოს!..

ელგუჯას ესმოდა ძალიან კარგად, რომ, თუ გაგიმ შეიტყო ქალის მოტაცება და იმათი აქ ყოფნა, მაშინ საქმე უსისხლოდ აღარ გათავდებოდა და ახირებული გაგი არაფრისთვის არ მოითმენდა ამისთანა სირცხვილს და უპატიურობას, როგორც იმის სახლიდგან ქალის მოტაცება. ელგუჯა თავის თავისათვის არ სწუხდა, იმან იცოდა, რომ ღირსეულად დაუხვდებოდა იმაზედ ძალის მომტანს, მაგრამ აქ, იმის გარდა, იყო ის, ვისიც ერთი ამოსუნთქვა ერჩივნა მთელს თავის სიცოცხლეს. აი ესა სტანჯავდა და გულს უთუთქავდა იმას. ამისათვისა ჰფიქრობდა ისე გამწარებული და ჭირის ოფლი გადასდიოდა, თორემ, მარტო რომ ყოფილიყო, ბევრს ფიქრს არ გამოუდგებოდა და აქამდისაც გაიცნობდა თავის თოფის სიმარჯვეს შარიანს მგზავრებს, რომელთაც თავი დაენებებინათ თავიანთ გზისათვის და გამოჰკიდებოდნენ ვიღაცა კაცების ცხენების კვალს.

ელგუჯას გული იმაზედ მოსდიოდა, რომ გაგი შესდგა იქ და კვალს შინჯვა დაუწყო, მაშინ როდესაც იმას გზა აუქციეს, დაუთმეს, მოერიდნენ და ამ შემთხვევაში კი, მთაში, მოსისხლე მტერიც ჩამოეხსნებოდა და აღარ გამოეკიდებოდა. სანამ ელგუჯა ამ ფიქრში იყო, ცხენოსანი მიუახლოვდა გაგის და იმის ამხანაგებს; ამათ კარგად იცნეს ეს ცხენოსანი.

— რაი ამბავი, მარტიავ? — შორითვე შესძახა გაგიმა.

— რაი-ღა რაი ამბავი, ელგუჯამ ქალი გაგვტაცა! სახლი შეგვირცხვინა, თავი მოგვჭრა .მთელს თემში...

— აჰუ... მაშ ელგუჯამ გაჰბედა? ელგუჯამა?!..

— ელგუჯამ, მაშ უცხომ ვინა?

— კაცები არ იყავით? ქალი როგორ-ღა მოატაცებინეთ? თქვე ქალაჩუნა დიაცებო, თქვენა!.. ქუდის მაგივრად ჩიქილა უნდა გეხუროსთ თავზედ... ფუი, თქვენს ნამუსს!

— ღამე გაიტაცა, ქურდულად, თორემ ჩვენც კი მამას შვილები ვართ.

მაშინადვე იფიქრა გაგიმ, როგორც გამოცდილმა კაცმა, რომ ამ ცხენის კვალს უეჭველად რომელიმე დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ელგუჯასთან, და მოიწადინა უეჭველად პოვნა ამ ცხენებისა და იმათი პატრონების დაჭერა.

ელგუჯამ წმინდად გაიგონა მარტიას და გაგის ლაპარაკი და გაეშურა გიორგისკენ, რათა შეეტყობინა, რომ იმათი დამალვა გამოაშკარავდა და [illegible] დაჭერას უპირობს. ამხანაგებმა მაშინვე ცხენებს თავი ანებეს, დასტაცეს ქალს ხელი და გაიქცნენ სიმაგრის მოსანახად, რომელიც აქ ახლომახლო უთუოდ უნდა ყოფილიყო. იმათ უნდოდათ ისეთი ადგილის პოვნა, სადაც ქალი უშიშრად შეეფარებინათ და მერმე... მერმე გაეცნობინათ ეს ხალხი, თუ რა „ჩვენ ბიჭებთან“ აქვსთ საქმე და რა ადვილია ორი თავგადადებული მოხევის ხელში ჩაგდება.

როგორც ზევით ვსთქვით, ეს მინდორი ერთის მხრით ისეთ ფიწალო კლდეს მიებჯინებოდა, საიდგანაც ფრინველი თუ ამოფრინდებოდა, თორემ კაცის ჩასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მეორე მხარეს მოდიოდა დიდი ხევი. სწორედ ამ კლდის თავზედ და ხევის აქედ იმათ იპოვეს ისეთი ადგილი, რომელსაც ეძებდნენ. ამ კლდის რამდენსამე ნაბიჯს აქეთ, თითქოს განკვეთ ამ [illegible] ხევისათვის, ამართულიყო პატარა გორაკი, რომელიც თავს დაჰყურებდა და ჰბრძანებლობდა იმ მინდვრის ნაპირებზედ. ამ გორაკის სათაურში, კბილისავით. სალი კლდეები აშვერილიყო და შუაში შეედგინათ პატარა ჩაღრბა, რომელზედაც თავისუფლად ოცი, ოცდაათი კაცი დაეტეოდა. რაწამს ნახეს ეს ადგილები, სიხარულით გაექანენ.

— ღმერთი ჩვენკენა და გიორგი! დაიძახა ელგუჯამ.

ერთი ავიდეთ-და იქა, მერმე ვუჩვენებთ იმათ თამაშას! – უპასუხა გიორგიმ.

მზალო, რომელიც, აქამდის ფერმიხდილი და გაჩუმებული, რაღაცა [illegible] მდგომარეობაში იყო, ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გამოიყვანეს სასოწარკვეთილებიდამ და ხმა ამოაღებინეს.

– მაშ აქ რომ ავიდეთ, აღარა გვინდა-რა, შიში აღარა გვაქვს?

ღმერთი მოწყალეა! – მისცა პასუხი ელგუჯამ.

რა უნდათ, რა, ჩვენგან? – ისეთის მწუხარებით წარმოსთქვა მზალომ, რომ კაცს გული აუდუღდებოდა.

რაი უნდათ? – იკითხა გიორგიმ.

ის უნდათ, რომ თითოთითოდ ძაღლებსავით ჩავხოცავთ აქა და ფრინველების საკორტნ მძოვრად დავყრით.

- მაშ ომი იქნება, უნდა დავხოცოთ ერთმანეთი?.. ღმერთო, ღმერთო!.. – მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა.

— ნუ გეშინიან, რომ ცხენებს იპოვნიან, იმითიც დაკმაყოფილდება გა[illegible]ს გაუმაძღარი თვალები; თუ მაინცდამაინც არ დაიშალეს და აქაც გვეწვივნენ, გეფიცები წმინდა გივარგის, ძვირათ დავუსვამთ თავიანთ გაუმაძღრობას!

— ეგეთ ცხარე დღეს დავაყენებთ, წვერის სპარს-ანგელოზის მადლმა, რომ თითონვე თავბედს იწყევლიდნენ.

ამ ლაპარაკში იმათ მიაღწიეს გორის თავს, სადაც გამაგრდნენ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო ორი კაცისაგან. მზალოს უჩვენეს ისეთი ალაგი, სადაც ტყვია ვერ მისწვდებოდა და დაარიგეს, რომ იმ ადგილს არ მოსცილებოდა. ბოლოს გაშალეს ნაბდები, ზედ დააყარეს ტყვიაწამლით სავსე მასრები და თოფებს საპირისწამლე შეუცვალეს. ბოლოს, როცა ეს მზადება გაათავეს, ელგუჯამ წამოიძახა:

— ეხლა გვეწვივნენ ჩვენი სტუმრები!.. კაი სტუმრები არიან, მაგრამ, ღმერთის მადლმა, ჩვენც კარგი მასპინძლები დავუხვდებით... არა, გივარგი?

— ჰაი, ჰაი, რომ დავუხვდებით! - იყო პასუხი.

ამ უკანასკნელმა შემთხვევებმა გაგი არა მცირედ დააფიქრეს. იმ დროს, როდესაც ეგონა, რომ თავის თვალთმაქცურის ქცევით ამაღლდებოდა, პატივსა და ძალას მოიპოვებდა; იმ დროს, როდესაც აფიცრობა მიიღო, დიდი „ხელმწიფე-იმპერატორის“ სამსახურში შევიდა, ვიღაცა ელგუჯა წინ გადასდგომოდა, შეერცხვინა იმისი სახელი, წაერთვა ქალი და საქვეყნოდ მასხარად გაეხადა. ასე ჰფიქრობდა, ასე სჯიდა გაგი და ის კი ვერ მოეხერხებინა, რარიგად გადაეხადა თავის შემრცხვენელისათვის. უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, ამგვარი შემთხვევისათვის გაგი შეჰყრიდა თემობას, ბჭეებს ამოირჩევდა და თემის დებულებას და გარდაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა, მაგრამ ეხლა ხომ უწინდელი დრო აღარ იყო!.. თემმა დაჰკარგა თავისი ძალა, ხალხის ნების ასრულება შეუძლებელი შეიქმნა და თითოეულს პირს ჩაუვარდა ხელში მისი ბედილბალზედ ზრუნვა. გაგიც ერთი ამ ძალის მქონეთაგანი შეიქმნა და, მაშასადამე, ელგუჯას თავხედობას მარტო უბრალო გადახდევინება არ ეყოფოდა; ის უნდა დასჯილიყო სამაგალითოდ და, რამდენადაც შეიძლებოდა, მო[illegible]ებულის წვალებით .

ამაზედ ჰფიქრობდა გაგი რამდენიმე ხანი და გარდაწყვეტილება ვერა მიიღო-რა. ბოლოს იმის დაღვრემილი შუბლი გაიშალა, პირისახეზედ რაღაც უპასუხნო ღიმილმა გაურბინა. იმან აიღო თავი და მკაცრის ხმით წამოიძახა:

— მარტია!

— შენი კვნესა-მე — უპასუხა მთიულმა და წადგა წინ.

-- გასწი შენ ეხლავ ქვეშეს და ნაჩალნიკს შეატყობინე, რომ რამდენიმე „ბუნტმა კაცმა“ იმ დროს, როდესაც მე ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურში ვიყავ, სახლი ამიკლეს და დედაკაციც მომტაცეს.

კარგი, შენი კვნესა-მე, კარგი!

— უთხარი, რომ ეგ ყველა იმისთვის ჩაიდინეს, რომ რუსების სამსახურში ვარ... შეატყობინე, რომ ეხლა იმ მოღალატეებს აქ მოვასწარით და ჯარები მოგვაშველოს, რომ დავიჭიროთ.

ჯარები? -- გაკვირვებით იკითხა მარტიამ.

- მაშ! ხელმწიფე-იმპერატორის მოღალატენი რუსის ჯარებმა უნდა დაიჭიროს!

-- ჯარები რად გვინდა, შენი კვნესა-მე, განა ჩვენ კი არ ვეყოფით? წყენით უპასუხა მარტიამ, რომელმაც გაგის სიტყვები დასამცირებლად მიიღო... - ერთი გვიბრძანე კია, და, ლომისის მადლმა, ღვთის რისხვას შევყრით, სად-ღა წაგვივლენ?

-- არა, რუსები უფრო აწვალებენ, -- მკაცრად წარმოსთქვა გაგიმ და მერმე თითქოს თავისათვის დაუმატა:

-- მარტო სიკვდილი რას კმარა!

— მტრები შენი არიან, შენი კვნესა-მე, და სისხლიც შენვე უნდა აიღო, ცხვები რაღად გვინდა?

-- იმად, რომ სამაგალითოდ აწვალონ, — მისცა პასუხად გაგიმ და შეიქმუხნა წარბები.

მარტიამ თავი ჩაჰკიდა და რაღაცა საგონებელში ჩავარდა; როგორც ეტყობოდა, ის არ ჩქარობდა გაგის სიტყვების აღსრულებას.

-- გასწი, რაღა!.. რაღას ელი?

მაშ, აგრემც შეგეწევა ლომისის მადლი, -- ქუდის მოხდით და ხვეწნით დაიწყო მარტიამ, — ნუ ჩავყრით რუსების ხელში... აბა, რაი მადლია ამათი წვალება?.. მტრები არიან - მოვკლათ და გადავჰყაროთ, ცხო რაღა გვინდა, თორემ, თუ იმათ ჩაუცვივდნენ ხელში, ურიებსავით აწვალებენ, აგრემც შემეწევა „პირი-მზე“.*)

აწვალებენ?.... ო, თუ კი აწვალებენ, ცხო რაღა მინდა! -- წამოიძახა გაგიმ, და პირუტყვული სურვილის ელვა გამოკრთა იმის თვალებში.

-- ნუ იზამ მაგას, შენი მუხლების ჭირიმე, ნუ!.. სათემოდ ლექსს გამოგვითქვენ, ლომისის მადლმა, და შევრცხვებით... ამოდენა ხალხს სამს კაც

---

*) „პირი-მზეს“ მთიულები თამარ-დედოფალს უწოდებენ და წმინდანად სთვლიან.

ზედ მოსვლა ვერ გაგვიბედნია, სიკვდილი არა?.. მიბრძანე და მარტო მე გადავალ. ხმალდახმალ, ო, შენი რისხვა არა მაქვს!

რამდენადაც მარტიას რცხვენოდა ეს გაუბედაობა, იმდენად მტრების სატანჯველში მიცემა არ ეთანხმებოდა იმის შეხედულებას, და იმისის აზრით რუსების ხელში ჩავარდნით კი ყველა კაცი უნდა დატანჯულიყო. მარტია არ იყო დამნაშავე, რომ იმას ისეთი აზრი შეედგინა ახალ გვარტომობის ხალხზედ, რადგანაც ის მოწმად დასწრებოდა იმ სამარცხვინო მოქმედებას, რომელსაც ზოგიერთი იმათ წარმომადგენლები ჩაიდენდნენ. მაგალითად, ის იყო დამსწრე ორი მთიულის ცემით სიკვდილისა, რომლებსაც ყაზახებმა უწყალოდ სცემეს გზის კეთებაში, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ერთს ყაზახს ცხენი წაუბორძიკდა. ზამთარში გზის მუშები თოვლის დროს არ გაუშვეს, რომ თავი შეეფარებინათ; ჩამოვიდა ზვავი და სამი კაცი დაახრჩო თოვლმა; დედა-კაცები შეაბეს მარხილებში და ცემა-ტყეპით ბარგს აზიდვინებდნენ";*) ეს იყო მოწამე, როგორც „ანანურში ერთმა ჩინოვნიკმა ორი ოსი დაიჭირა, ჩაუსვრიმა გეჯაში სხვადასხვა უწმინდურება", რომლის სახელის მოყვანასაც აქ ვერ ვბედავთ მკითხველის პატივისცემით, „და ის აჭამა ძალდატანებით".**)

მარტიას ამგვარი მაგალითები, მომხდარი სხვადასხვა პირებისაგან, მრავალი ჰქონდა და ამიტომაც ის ისე ჰფიქრობდა, როგორც დანარჩენი თავისი მოძმეები... ამის მიზეზით, თუმცა ელგუჯას მოქმედება, იმისი აზრით, ისეთი დანაშაულობა იყო, რომლისთვისაც უნდა დასჯილიყო და სისხლით გარდაწყვეტილიყო, მაგრამ იმის წვალებას და კაცობის დამცირებას მაინც უპატიოსნებად უყურებდა.

გაგის აზრი რუსების ყოფაქცევაზედ არ განერჩეოდა მარტიას აზრს და სწორედ ამ მიზეზით უნდოდა ელგუჯას იმათი ხელში ჩაგდება.

— გასწი, გასწი, რაღას უყურებ? – გაჯავრებით დასძახა იმას გაგიმ.

— წავალ, წავალ, შენი კვნესამე, – რაღაცა შეწუხებით უპასუხა მარტიამ და გააბრუნა ცხენი.

როდესაც ის გაბრუნდა და გზას გაემართა, გაგიმ ისევ მოაბრუნა და ჰკითხა:

— აქ, ახლომახლო, სიმაგრე თუ არსად არის?

---

*) იხილე თხზულება ბ-ნი დუბროვინის: დამატება — „მთიულების საჩივარი".

**) ბ-ნ, ბერჟეს თხზულება „საქართველოს რუსეთთან შეერთება", დაბეჭდილი ცალკე წიგნებად, და აგრეთვე „Обзоръ"-ში 1880 წელს.

როგორ არ არის. არის, — უპასუხა მარტიამ და გაიშვირა ხელი იმ გორაკისაკენ, სადაც ელგუჯა თავის ამხანაგებით ჩაესაფრა: აი იქ, ეგეთი სიმაგრეა, ლომისის მადლმა, რომ კაცს თუ ტყვიაწამალი ექმნა, მთელი წელიწადი ფიქრი არ უნდა

— კარგია, ახლა შეგიძლიან წახვიდე, ვინძლო ჩქარა იარო.

კარგი, კარგი, ჩქარა ვივლი, — უპასუხა მარტიამ, გააპრუნა ცხენი და გაჰქროლა

იმას პირისსახეზედ ეტყობოდა რაღაცა მწუხარება, ეტყობოდა, რომ იმისი აზრი რაღაზედაც მუშაობდა: ბოლოს ერთბაშად უკან მოიხედა, გაგის მხარეს, მრისხანედ დაუქნია მათრახი და შესძახა:

— არ გაიგონე ჩემი და ახლა დამაცა, შე „ბუგრიანო“!* ამ ადგილში გზა ცოტა ხვეულად მიდიოდა, ისე რომ მარტია აღარ უჩანდათ გაგის და მის ამხანაგებს. მარტიამ ერთი კიდევ მოიხედა უკან, იშვირა ფეხი, გადაფრინდა ის გაქენებულის ცხენიდამ და შურდულისავით შეერია ამ ბუჩქებში. ის გარბოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გორისაკენ, რომელზედაც ელგუჯა იყო: ხანდახან წამოიძახებდა რაღაცა სიტყვებს, რომელიც პირდაპირი ნაყოფი იყო იმის გახურებულის აზროვნებისა.

სიკვდილი არ კმარა, შე ცოდვიანო, განა? არ გვეყოფა იმათი სახლი... შენ იმათი წვალება გინდა და ვნახოთ... მაშ კარგი, მეც იქ მივალ ან მეც იმათთან მოვკვდები და ან დავიხსნი როგორმე!..

ამ სიტყვებით და მუქარით მარტია მიეშურებოდა აშკარა წადილით, რომ ელგუჯას შეერთებოდა და გაგის უპატიოსნო დამამცირებელის წადილისათვის გარდაეხადა.

ამ ხანში არც გაგი დარჩა უსაქმოდ. იმან გარდასწყვიტა, რომ სადადღეოდ ქვემიდამ ჯარი მოეშველება, მაგრამ, სანამ ისინი მოვიდოდნენ, მას დაწვრილებით უნდოდა ადგილის დათვალიერება, შესწავლა და შეტყობა თუ სად იმალებიან ისინი, ვისაც ისე დღის გამწარებას უპირებდა.

გაგიმ მისცა განკარგულება, რომ ხალხი გაიფანტოს, შევიდეს ამ ბუჩქებში და კარგად ათვალიეროს დამალულები. თუ ვინიცობაა შეხვდა სადმე, ეცადნენ, რომ ცოცხლები დაიჭირონ და იარაღის ხმარება არ გაბედონ, თუ საქმე განსაკუთრებით არ გაჭირდა.

ამგვარად ხალხმა პირჯვარი გარდიწერა, ახსენა თავიანთი სალოცავები, გაიფანტა და შევიდა ტყეში.

---

*) ბუგრიანო — მუწუკებიანო, ქაჩალო, უხეირო.

ყველა ჰგრძნობდა, რომ გაგის ბრძანების აღსრულება ძნელი არის და აკვადადებული, შეიარაღებული ხალხი ადვილად არ დაჰნებდებოდა. ისინი [illegible]დიოდნენ სიბრთხილით, თითქმის ყველა ბუჩქის შინჯვით და იმ მართოლ[illegible] მდგომარეობაში იყვნენ, რომელშიაც კაცს აყენებს საზოგადოდ ომი. [illegible] სიარულის შემდეგ ისინი შეჰხვდნენ სამს შეკაზმულს ცხენს, რომლე[illegible]იც დამშვიდებული, ფრუტუნით სძოვდნენ ბალახს. გაგი მისდევდა ამ ხალხს უკან და სადაც შესანიშნ რასმე შეამჩნევდა, იმ მხარეს გადადიოდა. ამ ყოფით [illegible]ებულნი, შუბლ-შეჰმუხვნილნი დადიოდნენ ისინი იმ ადგილებში, როდე[illegible]ც [illegible]არტიამ მიაღწია იმ გორაკსა, სადაც ელგუჯა იყო. გიორგიმ პირველმა [illegible]ჰკრა იმას თვალი და ჩაცმულობაზედ მაშინვე იცნო, რომ მომავალი მთიუ[illegible]ი [illegible]ნდა ყოფილიყო.

— ელგუჯავ! მოდი-ღა, აგერ მთიული რაიმე მორბის და არ ვიცი ვინ [illegible]ქმნება.

— აბა, სადაა? — გადმოიხედა ელგუჯამ. — მართლა, მთიული ყოფილა.

— მთიულეთს მოკეთე თუ არვინა გყავს? — ჰკითხა ისევ გიორგიმ.

— არა.

— მაშ ვინ იქნება?.. სამტროდ მოდის, თუ სამშვიდობოდ?

— აბა, რაი ვიცი!.. აი ეხლავ გავიგებთ, სთქვა ელგუჯამ და გადუშვი[illegible] თოფი, — შესდექ, თორემ, ღვთის მადლმა, მანდვე გაგაცივებ!

[illegible]არტია შესდგა და მშვიდობა შესძახა.

— ვინა ხარ, ან რაი გინდა? — ჰკითხა ელგუჯამ.

— მე მარტია ვარ, ხანდოს-ხეველი მთიული... ძმათ მწადის თქვენთან შე[illegible]ვა.

[illegible]რთავე მოხევეებს გაუკვირდათ უცნობი მთიულის ამგვარი წადილი.

— მარტიავ! ცოტა ფიქრის შემდეგ უპასუხა ელგუჯამ: — თუ გვატყუ[illegible]ი, უკან გაბრუნდი, კაი ვაჟი ხარ, მართალია, მაგრამ ჩვენც არ დაგი[illegible]ი, უკან, უკან, უბრალოდ თავს ნუ გაგვაფუჭებინებ.

— ლომისა იყოს თქვენი თავდები... თქვენს მოღალატეს დედამც შეერ[illegible]ოს [illegible]კოლად.

[illegible]ამ სიტყვების შემდეგ ელგუჯა მიუბრუნდა გიორგის და უთხრა:

— მე თოფის ნიშანს არ მოვაცილებ მარტიას, შენ კი ჩადი და ძმად შეეფიცე, ვინ იცის, იქმნება ეგეც ჩვენსავით შეწუხებულია და ამისთანა ალა[illegible]ს კი ერთი მეტი კაცი მთელი ლაშქარია.

გიორგიმ ხმაამოუღებლივ წამოაყენა თოფი ფეხზედ და გადმოეშვა გორაკიდან. ჩქარა ჩავიდა მარტიასთან და შორიახლო დადგა.

გზა მშვიდობისა! უთხრა გიორგიმ.

— მშვიდობა მოგცეს ლომისამა!

ავიხსნათ იარაღი და ძმათ გავიფიცნეთ;

აგრე, შენი კვნესა-მე.

ორთავ შემოიხსნეს იარაღი, დაყარეს მიწაზედ, მიკიდნენ ერთმანეთთან, ამოიღეს ტყვიები და გაცვალეს.

ამის შემდეგ გადაეხვივნენ ერთმანეთს და სამჯერ აკოცეს. მერმე შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ უკანასკნელს სულის ამოხდამდის ერთმანეთს არ უღალატონ. აიღეს ისევ იარაღი და ავიდნენ ელგუჯასთან, რომელიც თავის რჯულზედ შეეფიცა მთიულს ძმად. მარტიამ უამბო გაგის საქციელი, იმისი სურვილი და, რადგანაც მარტიამ ვერ იკისრა ამისთანა უპატიოსნო ბრძანების აღსრულება, ამისთვის მიჰმართა იმათ, რომ ან უშველონ რითიმე და ან ისიც იმათთან მოკვდეს.

ამ ლაპარაკში გორას მოახლოვდა გაგი თავის ხალხით, რომელთაც გადასწყვიტეს, რომ ელგუჯა აქ უნდა შეფარებულიყო, რადგანაც ველტყანებში ვერსად იპოვნეს. გაგი წამოდგა წინა და ხმამაღლა დაიძახა:

ელგუჯა, ვიცით, რომ მანდა ხარ დამალული, გადმოიხედე-ღა, ერთ-ორს სიტყვას გეტყვით!

ამ სიტყვებზედ პასუხი არავინ მისცა და ისევ გაგის მოუნდა ლაპარაკი.

აი, მშიშარავ, მშიშარავ!.. თუ ეგრე გეშინოდა ჩემი დანახვისა, ქალი რაღამ მოგატაცებინა?.. გადმოიხედე-ღა ერთ წამს, თუ დედაკაცი არა ხარ!

ამ სიტყვებმა გააცეცხლეს ელგუჯა, რომელიც მთლად ამართული გამოდგა კლდეზედა.

რაიც მშიშარა ვარ, ეგ შენც იცი, მაგრამ ღვთის მადლსა, გაგი, შენს სისხლში ნუ გაგვხვევ, დაგვანებე გზა... ქალი გამომიტაცნია, რაც თავმოწყობილებაა, ვადაგიხდი ურვათს და ჩამოგვეხსენ.

— ღმერთმა შენც შეგარცხვინა და თემიც!.. ეხლავ გამოდი აქა და უნამუსოც გამოიყვანე, თორემ სიცოცხლე მაქვს, შავი დღე შენ დაგაყენო!

— გაგი, თემს ნუ ჰლანძღავ, არაა წესი... არც დედაკაცის ლანძღვა არის ვაჟკაცის საკადრისი, თორემ, ღვთის მადლმა, სისხლი ყელში მოვიდა.

ამ მუქარამ გაგი გააცეცხლა და გადაავიწყა წინანდელი თავისი მოსაზრება.

ერთი უყურეთ მაგ ძაღლს, მაგას-და, რარიგ ლაპარაკი დაიწყო!.. ახალეთ ბიჭებო!

ამ სიტყვებთან ერთად ავარდა კვამლი და რამდენისამე თოფის ხმა მოისმა. ტყვიებმა ხრიალი მიიღეს იმ ალაგას, სადაც ელგუჯა იდგა. ამან მოასწრო გადაფრენა ქვების უკან და დაიძახა:

— მაშ აგრე, გაგი!?. რაკი არ დაგიშლია-და, ახლა ჩვენი ხლა ჰნახე... რაც აქ სისხლი დაიღვაროს, ის საიქიოს შენმა სულმა ზლოს!

გავარდა სამი თოფი და გაგის ამალიდამ სამი მსხვერპლი დაეცა დედამიწაზედ, რომელთაც სისხლი თქრიალით გასდიოდა იარებიდგან...

გაიმართა თოფის სროლა, რომლის შედეგიც იყო კიდევ რამდენიმე კაცის სიკვდილი გაგის მომხრეებიდგან; ამათ საქმე ისე გაუჭირდათ, რომ თავის შესაფარი ადგილები მონახეს.

ეს ხალხი გაიფანტა და მიეფარ-მოეფარა აქა-იქ გაფანტულს ქვებს და ხრამებს. თითონ გაგიმაც, რასაკვირველია, მოძებნა უშიშარი ადგილი და ლანძღვით და ქადნით მოელოდა დაბარებულს ჯარს. ის იმედს არა ჰკარგავდა, რომ, რამდენადაც უნდა გაგრძელებულიყო ამგვარი მდგომარეობა, ბოლოს ელგუჯა მაინც ხელში უნდა ჩაჰვარდნოდა, რადგანაც გაგი ამ ადგილებს არ მოშორდებოდა და გორაზედ მომწყვდეულებს ყოველის მხრით გამოსასვლელს გზას შეუკრავდა. სროლა მაინც არა სწყდებოდა, თუმცა ტყვიები უბრალოდ იკარგებოდა და თავის პირდაპირ დანიშნულებას ველარ ასრულებდა.

ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც გაგი მღელვარებით წამდაუწუმ ცას შეჰყურებდა და დაღვრემილი სახით წამოიძახებდა:

— რაი ღმერთი გაგიწყრათ აქამდე, რაი მოუვიდათ?.. აგერ შუადღეც გადავიდა... მარტია სადლა დაიხაფრა!?

ამ მღელვარების მიზეზი ის იყო, რომ გაგიმ აშკარად დაინახა შეუძლებლობა ელგუჯას და იმის ამხანაგების ან დაჭერა და ან დახოცვა; ადგილის მდებარეობამაც დაანახვა, რომ იმ მცირედის ხალხით, რომელიც გაგის ახლდა, ყველა მხარეს ვერ შეუკრავდა მომწყვდეულებს, და იმათ ადვილად შეეძლოთ ღამე გასხლტომოდნენ ყარაულებს და სამუდამოდ ხელიდგან წასვლოდნენ.

რამდენადაც გაგი აქ იტანჯებოდა, იმდენად გორაზედ მყოფთ ნუგეში ეძლევოდათ და იმედი ჰქონდათ, რომ ღამის სიბნელესთან ერთად იმათ გაეხსნებათ გზა და მშვიდობიანად გადარჩებიან თავიანთ მოსისხლეებს.

— ახლა დასვენებაც შეგვიძლიან, ლომისის მადლმა!! ისინი ველარც კი გაჩუჩუნდებიან.

— არა მგონია, რომ გაგიმ ეგრე მოისვენოს... იმას რაი ენაღვლება, თუ იმის საქმეზედ ცხვები გასწყდებიან! - უპასუხა ელგუჯამ.

— თითონ უკან იმალება და ცხვებს კი გვახოცინებს, — დაუმატა გიორგიმ.

— არა, შენი კვნესა-მე, არა, ეხლა ხალხი დამშვიდდა და გაგის აღარავინ დაუჯერებს. აი წელან, სანამ ხალხი შეხურებული იყო, მანამ იყო საშიში, თორემ ეხლა ფიქრი აღარ გვინდა, სთქვა ესა და დამშვიდებულმა, თითქოს თავის აზრის დასამტკიცებლად, გადმოიღო თოფი და დადო ნაბადზედ.

საღამო მოახლოვდა, რომ ეს სამი მეგობარი ისევ ამ მუსაიფში იყვნენ; ელგუჯა ერთბაშად წყნარა ჩამოცურდა თავის ადგილიდამ, წყნარა აიღო თოფი ხელში და გადაუწვა გორაზედ.

— რაი დაინახე? — ჰკითხა ჩუმად გიორგიმ, თითქოს ეშინოდა, რომ იმის სიტყვებს არ დაეშალა.

— აბა, ა-იქ გაჰხედე-ლა, - უთხრა იმან და გაუშვირა სწორედ კლდის პირისაკენ ხელი.

გიორგიმ და მარტიამ მიიხედეს იქით და გაშტერებულნი დარჩნენ: ედ კლდის პირზედ, სადაც მინდორი თავდებოდა, გაგი რამდენიმე ცხენოსნით მიაჭენებდა ქვეშეთისკენ.

— ეგ ძაღლი გაგი არაა, თქვენი ჭირიმეთ?.. სად ჯანაბაში მიდის?

ელგუჯა ამ ლაპარაკის დროს ნიშანში იღებდა გაგის.

— აბა რაი ვიცი, სად მიდის? ღვთის მადლმა, სადაც გინდა მიდიოდეს, მშვიდობით კი ვეღარ ჩავა. - ამ სიტყვებთან ერთად გავარდა თოფი, და თოფის ხმასთან ერთად გაგის ცხენი ყალყზედ შედგა, წატრიალდა და მხედართან ერთად გადავარდა კლდეზედ.

ეს ყველა ისე მოულოდნელად და საჩქაროდ მოხდა, რომ გაგის ამხანაგებმა შველა ვერ მოასწრეს და, როდესაც კლდეზედ გადაიხედეს, ხევში დაინახეს დაფლეთილ-დამახანჯებული კაცი და ცხენი.

გაგის მოსწყენოდა ჯარის და ნაჩალნიკის პასუხის ლოდინი და ეფიქრა თითონ წასულიყო იმათ სანახავად. იმან იცოდა, მართალია, რომ აქ ვეღარ მოასწრებდა ელგუჯას, მაგრამ, ამის სამაგიეროდ, ქვეით შეუკრავდა გზებს და იქ მაინც ჩაჰხოცავდა იმ ძაღლებს, რომლებიც ასე გაუძაღლდნენ და ამდენი ზარალი მისცეს. აი, ეს იყო მიზეზი, რომ გაგის ვხედავდით იმ კლდის ნაპირზედ, რომლიდგანაც ისე უბედური მგზავრობა მოუხდა.

გაგის ამხანაგები ჩამოხტნენ ცხენებიდგან, იჟღავჟღავეს, ილაპარაკეს და,

ბოლოს, გადასწყვიტეს, რომ წავიდნენ და ამ უბედურებაზედ ნაჩალნიკს შეატყობინონ, რადგანაც გაგის ვეღარ უშველიდნენ.

გაგის კლდეზედ გადავარდნა გორაზედ სიხარულით მიიღეს.

ლომისამ გაუმარჯოს შენს მკლავს! — ქუდის მოხდით შესძახა მარტიამ.

— ჰე! — ნიშნის მოგებით წარმოსთქვა გიორგიმ — ეგ ძაღლიც ჩაკვდა!

ელგუჯამ კი ჩამოიღო თოფი, გადიწერა პირჯვარი და დაღონებულის ხმით წარმოსთქვა:

— რაზედ შემოგვაკლა თავი, რაზედ!.. ღმერთს არ მოეტყუება, რომ ნებისნებად ჩემს მოძმეზედ ხელს არ მივიტანდი...

— მოძმე კი არა, მოღალატეა! — წარბებ — შეჭმუხვნით დასძახა მარტიამ: ძმებსაც უღალატა და თემობასაც!..

— ძაღლი იყო და ძაღლურად მოჰკვდა. ღმერთმა ტყვიაც არ აღირსა, იგი მურდლად* მოჰკლა.

ამ დროს სრულებით შემოღამდა, და იმათი წასვლის დრო მოახლოვდა. ელგუჯამ გასწია მზალოსაკენ, რომელიც უნდა მოემზადებინა და შეეტყობინა, რომ ერთი უპირველესი იმის მტერთაგანი აღარ არის [illegible]ზედ და რომ ეხვეღარავინ ~~გაჰყრის~~ იმათ.

მზალო, რომელიც დილიდგანვე ფერმიხდილი იჯდა დაჩვენებულს ალა-გულის-ხეთქით მოელოდა საქმის გათავებას. იმჟამად იმას ყოველი-ფერი ავიწყდებოდა და გაეტაცნა მარტო თავის მეგობრებზედ მზრუნველობას. იმას ეშინოდა - რომელსამე თავზედ ტყვიას მსხვერპლად არ წაეღო ერთერთი იმათგანი, რომლებიც ისე ვაჟკაცურად იცავდნენ ამ ქალის თავისუფლებას. ის მზად იყო გვერდს ჩამოსდგომოდა თავის მეგობრებს და იმათთან ერთად გაეყო ბედი და უბედურება, მაგრამ ის შეხედულება, რომელიც ჩერქეზებში მიელო და რომელიც ქალს სრულს მონობას აჩვევს, ნებას არ აძლევდა ელგუჯას სიტყვის გადასულიყო; ამისთვისაც იჯდა დაჩვენებულს ადგილს, თუმცა ასე გაძლება სიკვდილზედ უფრო ძნელი იყო იმისთვის. იქ ის ლოცულობდა, ეხვეწებოდა ღმერთს და, ყოველ სროლაზე შემკრთალი, შეშინებული წარმოუთქმელის სატანჯველით გულში, გამოვიდოდა საფარიდგან და შეჰხედავდა თავის მეგობრებს. როდესაც იმათ უვნებლებს და კარგად მყოფებს დაინახავდა, იმის სიხარულს ბოლო აღარ ჰქონდა. ის დაბრუნდებოდა თავის ადგილზედ, დაეცემოდა მუხლებზედ და მდუღარებას სწირავდა ღმერთს.

---

*) მურდალი—მკვდარი უზიარებლად, ან იმგვარი შემთხვევით მკვდარი, რომელსაც ხმალით ჭრილობა არა აქვს.

ის ლოცულობდა, მადლობას უხდიდა ღმერთს, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ იმის სათხოვარში არ გამოიხატებოდა სურვილი ერთის მხრიდგან ვისიმე სიკვდილისა და მეორიდგან კი გადარჩენისა; ის ითხოვდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავებულიყო, არავინ არ მომკვდარიყო და შეყვარებულის გულის მინიჭებულებით ყველასთვის სიხარულს, ბედნიერებას და მშვიდობას ისურვებდა.

ამ მდგომარეობაში იყო მზალო, როდესაც ელგუჯა დაინახა, რომელიც იმასთან მიდიოდა. რაწამს ქალმა თვალი მოჰკრა, სიხარულით გაექანა იმისაკენ და, გაწითლებული მეტის მღელვარებისაგან, კისერზედ ჩამოეკიდა.

გათავდა, წავიდნენ?.. ბრძოლა ხომ აღარ გექნებათ?.. ოჰ, ღმერთო! გმადლობ, გმადლობ, რომ მშვიდობიანად გადაარჩინე!

-- მზალო, ჩემო მზეო! —მღელვარებით წარმოსთქვა ელგუჯამ -- ნუ გეშინიან.

-- წავიდნენ, თავი დაგვანებეს?..

ჰო, ჰო!.. თავი დაგვანებეს!

მაშ წავიდეთ, წავიდეთ ჩვენცა, რაღას ვუყურებთ?

-- წავიდეთ, ჩემო გულო, წა!

ამ დროს მარტია და გიორგიც მოვიდნენ, ახსენეს ღმერთი და წყნარა ჩავიდნენ გორაკიდგან. დარწმუნებულნი, რომ იმათ არავინ უყურებდა, ისინი წყნარა, სიბრთხილით მიიპარებოდნენ ბუჩქებს შუა, სადაც დანარჩენი გზის კაცები ეგულებოდათ. ისინი მშვიდობიანად ჩავიდნენ ქვეშეთის დაღმართზედ და ეს ალაგებიც გაიარეს.

ქვეშეთის ცოტა ქვემოდან არის ერთი ეკლესია, რომელსაც „ნაღვარავი“ ჰქვიან. ის ადგილი მაშინ ტყიანი იყო, და იქ ბევრმა განდევნილმა მთის კაცმა შეაფარა თავი და გადარჩა იმ დროს უსამართლო დევნისაგან.

ჩვენი მოგზაურებიც აქ მოეშურებოდნენ, რადგანაც გათენებას მოელოდნენ და მეტს გზას ველარ გაივლიდნენ ღამით, და დღე სიარული კი ჯერ კიდევ საშიში იყო. როდესაც მოგზაურები დალაგდნენ, გიორგიმ და მარტიამ თოფები აიღეს და წავიდნენ საყარაულოდ. ელგუჯა და მზალო კი საყდრის გალავანში დარჩნენ. მთვარემ ამოყო წვერი და ნაზად მოჰფინა იქაურობა თავის სხივით.

-- აქ ხომ აღარ მოვლენ? ჰკითხა მზალომ ელგუჯას.

-- არა, არა.. ნუ გეშინიან.

-- მე კი ისე მგონია, რომ აქაც არ მოგვისვენებენ.

— არ მოგვისვენებენ-და, რაც იქ წაიღეს, აქაც იმას წაიღებენ!

— ახ ღმერთო! რატომ არ ჩამოგვეხსნებიან, რა უნდათ ჩვენგან, რა?..— მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა.

— ის უნდათ, ჩემო „ყველავ“, ისა, რომ შენ მეტისმეტად ლამაზი ხარ!— აღტაცებით უთხრა. ელგუჯამ და მიიკრა გულზედ.

— მაგრამ, ღვთის მადლმა,—გააგრძელა იმან.—მთელი ქვეყანა მტრად ხომ გადამეკიდოს, მაშინაც არავის დავუთმობდი შენს თავსა.

მზალომ ამ სიტყვებზედ დალუნა თავი, მთლად აენთო სიხარულის ცეცხლით და, თუმცა ტუჩები მთრთოლვარეედ ეძვროდნენ, სიტყვა კი ველარ წარმოეთქვათ, და ან რა უნდა ეთქვათ იმისთანა დროს?.. ეს იყო იმისთანა წამები, როდესაც კაცს მარტო გრძნობა შეუძლიან და მარტო ერთი შეხედვა, მარტო ერთი ამოქშენა მთელი წლის საუბარზედ მეტს იტყვის, მეტს აგრძნობინებს.

ისინიც გრძნობდნენ სრულს ბედნიერებას, რაღაცა უმაღლეს სიხარულს და უანგარიშოდ ეძლეოდნენ ამ მღელვარების მონებას. ელგუჯას თავი წყნარწყნარად მოეხარა, დაუახლოვდა ქალის ალგზნებულ პირისახეს, რომელიც რაღაც სასიამოვნოდ ულიტინებდა და რაღაც გამოურკვეველს მდგომარეობაში შეჰყვანდა. ერთი წამი კიდევ და მოულოდნელად, მოუფიქრებლად იმათი ტუჩები შეუერთდნენ ერთმანეთს და ორივ თავდავიწყებამ სრულიად დაიმონავა...

ამ ნეტარებაში იყვნენ, როდესაც გავარდა თოფი, რომელმაც შეყვარებულები გამოიყვანა იმ მდგომარეობიდგან. ამ თოფის ხმაზედ გავარდა კიდევ რამდენიმე თოფი და მოისმა ყვირილის ხმა იმ მხარეს, სადაც მარტია და გიორგი ყარაულად იდგნენ. ელგუჯა გაიქრა იმ მხარეს და იმის თვალებს წარმოუდგა შემაძრუწუნებელი სურათი, რომელიც არ მიემსგავსებოდა ამ რამდენისამე წამის წინ ნაგრძნობს მარტიას და გიორგის გარს შემოჰხვეოდნენ სალდათები, რომელთაც მამაცად იგერიებდნენ ეს ორი მეგობრობისათვის თავდადებული კაცი.

რამდენსამე კაცს, რომელნიც დარჩენილიყვნენ გაგის ამალიდგან, გორაკის მახლობლად, ელგუჯას და იმის ამხანაგების სათვალიერებლად, დაენახათ გაპარულები, მიჰყოლოდნენ ჩუმად უკან და გაქცეულების ბინა შეენიშნათ: ამაზედ შეეტყობინებინათ ნაჩალნიკისათვის, რომელსაც მკაცრი განკარგულება მოეხდინა და წაეყვანა მთელი როტა. აი ეს სალდათები გახლდნენ, რომლებიც მარტიას და გიორგის ბუზებსავით გარს ეხვეოდნენ.

ელგუჯა ხმალამოწვდილი გადახტა და გაქანდა თავის ამხანაგებისაკენ; წი რუსი გადუდგა და მიუშვირა შუბი. ელგუჯამ შუბს ხელი გაავლო, აიცდი და ისე მარდად და ძალზედ წამოუსვა იმას ხმალი კისერში, რომ ამ უბედურის ტანი და თავი ცალცალკე გაგორდნენ. რამდენისამე გაბრძოლების შემდეგ ელგუჯა შეუერთდა თავის ამხანაგებს, თუმცა ამ შეერთებამ ბევრი ალა რა უშველა-რა იმათ. იმ ადგილს, სადაც ისინი იდგნენ, ხალხი ერთბაშად შეჯგუფდა და ბურთსავით შეიკრა იქ, სადაც გამოურკვეველი მოძრაობა იყო როდესაც ხალხი გაიშალა, დედამიწაზედ რამდენიმე დამახინჯებული და დაჩეხილი მსხვერპლი გამოჩნდა. ამათ შორის იცნობდით ელგუჯას და იმის ორ ამხანაგს, რომლებიც უწყალოდ დაეცხავებინათ შუბებით... ელგუჯა გულაღმ პირდაღებული ეგდო და მკერდიდგან რამდენსამე ალაგას თქრიალით სისხლი გადმოსდიოდა. ერთი სალდათი მივიდა და კიდევ რამდენჯერმე ჩასცა შუბი...

რაღა თქმა უნდა, რომ მზალოს დაიჭერდნენ.·

მზალო დიდი დამნაშავესავით სიბრთხილით მიჰყავნდათ სალდათებს, რომლებიც შემთხვევას არ უშვებდნენ ისე, რომ უზრდელად არ დაეცინათ იმის მდგომარეობისათვის და არ გამოეჩინათ თავიანთი შეუბრალებლობა.

ქალი მისდევდა გამარჯვებულებს პირმოკუმული და გაფითრებული სახით. იმის მიმზიდველი, ჟუჟუნა თვალები მეტის მწუხარებით ცეცხლით გაში რალიყო და გარეგნულად გამოიხედებოდნენ. იმან ჯერ კიდევ არ იცოდ , თუ სადამდის მიეღწია დღევანდელს უბედურებას...

აი, იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც ძალა და სიმართლე ერთმანეთს შეებმოდნენ და ბრძოლის მსხვერპლნი ზოგი გულაღმა, ზოგიც პირქვე, შესაზარად დამახინჯებულნი, ეყარნენ: ზოგი მათგანი, ახლად აშლილის წვერ-ულვაშით, თითქოს გაღიმებულის პირისსახით, დასცინოდნენ ხალხის ამდენს უსამართლობას და ველურ ქცევას. ზოგს ვაჟკაცურის მკერდიდგან ჩამოეწყვიტა საკინძი და, თითქოს განგებ, გამოეჩინათ თავთავიანთი ვაჟკაცური ჭრილობა

ელგუჯაც, რომელსაც ჯერ კიდევ ხელი არ მოეშორებინა თავის ხმლისათვის, თითქოს ხელახლად საბრძოლველად იწვევდა თავის მტრებს, განაპირებით ეგდო. მზალომ მოჰკრა იმათ თვალი და წაიბარბაცა, მაგრამ ისევ ჩქარა შეიმაგრა თავი და შესდგა. ფერი შეეცვალა, მუხლებმა დაუწყეს ცახცახი...

გაიარე, გაიარე! —მკაცრად უბრძანა ერთმა სალდათაგანმა და. როდესაც ნახა, რომ იმისი ბრძანება აუსრულებელი დარჩა, უფრო მკაცრის და მბრძანებლის ხმით გააგრძელა:

— შენ, არ გესმის? გასწი, მეთქი!.. — და ამ სიტყვებთან ერთად ისე ძალზედ წაჰკრა თოფის კონდახი, რომ ქალი წატორტმანდა და თუ სხვა რუსს არ დაეჭირა, ღორღებში გადავარდებოდა.

მზალო შეკრთა მეტის ტკივილისაგან და გამწარებულმა ისეთის თვალით შეჰხედა ასე ერთგულად სამსახურის აღმსრულებელს, თითქოს იქვე გაქრობას უპირობდა.

— თვალებს რას აჭყეტ? გასწი, გასწი! — კიდევ უთხრა იმან, გაავლო ხელი და რამდენიმე ნაბიჯი ძალათი გადაადგმევინა. ამ დროს ის ერთბაშად გაუსხლტა ხელიდგან თავის ძალდამტანებელს და წარმოუთქმელ მწუხარე ღრიალით გაექანა ელგუჯასკენ, რომლისთვისაც უკანასკნელი მშვიდობა უნდოდა ეთქვა, მაგრამ იქამდის ვეღარ მიაღწია: ძალამ უღალატა და ღონემიხდილი იქვე დაეცა.

სალდათები მისცვივდნენ, ასწიეს ისე გულშემოყრილს და იქვე მომდინარს მთიულის ურემს შეუგდეს, რომელსაც უნდა წაეღო ბატონ ნაჩალნიკთან.

იმათ, გახარებულებმა „საისტორიო გამარჯვებით“, გასწიეს სიმღერით ქვე-ლეთისაკენ და მკვდრების დასამარხავად კი რამდენიმე მთიული დააგდეს, რომელთაც მარტო სალდათების დამარხვა ჰქონდათ ნაბრძანები და იმ „ბუნტი-ოცებისა“ კი — ისე დაყრა, რათა გამვლელ-გამომვლელს ენახა, თუ რაგვარ სასჯელს მიაღწევს ამგვარი მოუსვენარი ხალხი.

როდესაც სალდათები დაასაფლავეს, ყველანი წავიდწამოვიდნენ, მაგრამ, თაწამს ფეხის ხმა მიწყნარდა, ტყიდგან გამოვიდა ერთი მოხუცებული, ჭაღარა-ჯერთული კაცი და რამდენიმე ყმაწვილი შეიარაღებული მთიული. მოხუცებული მივარდა მარტიას და დაუწყო შინჯვა.

— მომკვდარა, მოუკლავთ ძაღლებს! — წარბებ-შეჭმუხვნით წარმოსთქვა იმან.

— სხვებიცა ნახე, შენი კვნესა-მე, ბერდიავ, სხვებიცა! თუ დაუხოცავთ, დავმარხოთ, ასე ნუ დავყრით, ნადირი გააფუჭებს, ქრისტიანები არიან.

ბერდიამ გაშინჯა გიორგიც, რომელზედაც იმედ-გარდაწყვეტილმა ხელი ჩაიქნია და გადავიდა ელგუჯაზედ. ამ უკანასკნელს დაუწყო კარგახანს შინჯვა, რამდენჯერმე გაუჩხრიკა ჭრილობები და კარგახანს დააკვირდა იმის პირისახეს.

— ა, ბედშავ ვაჟაო!.. სულ არ დაუხვრეტიათ!.. ამისთვის ყოფილა დედის ძუძუ ალალი!

— ცოცხალია, ცოცხალი? - გულის ძგერით ჰკითხეს ყმაწვილმა მთიულებმა, რომლებიც თავს დასდგომოდნენ ელგუჯას და მოწიწებით უყურებდნენ იმის ვაჟკაცობის ბეჭედს — გულში ჭრილობას.

— უფალმა უწყის! ჯერ კი სუნთქავს-და.

— ბერდიავ, ბერდიავ! ეგებ მოარჩინო ეს ვაჟი, ღომისის მადლსა.

— უფალმა უწყის! — კიდევ მოკლედ წამოსთქვა იმან და ისევ მიუდგა იარების შინჯვა და ჩხრეკას. — არც ერთი ჭრილობა სასიკვდილო არაა!

— მაშ იმედი გაქვს?

— უფალმა უწყის! ღვთისა და ნალვარევის ბრძანებას წინ ვერვინ წაუდგება!.. წადით, მათარებით* წყალი მოიტანეთ, ცდა ჩემი იქმნება, და უფლის ბრძანება კი აღსრულდება.

რამდენიმე მთიული გაიქცა იქვე წყაროსთან და მათარებით მოარბენინეს წყალი. სხვებმა მოუთხარეს საფლავი მარტიას და გიორგის, რომელთაც ერთად უპირობდნენ დასაფლავებას.

ბერდიამ მოჰბანა იარები ელგუჯას, ჩხირით გაშინჯა იმათი სიღრმე, მიმართულება, ამოიღო დაძენძილი კანაფი ჩანთიდგან, გასრისა მარილიან ერბოში და გაუკეთა „სანახავები“**. მერმე მოაყარა რაღაცა დანაყილი ბალღამი და შეუკრა ჭრილობები. კრიჭა შეკრული პირი გაუხსნა ხანჯლით და პირში რამდენიმე წვეთი რაღაცა წამლისა ჩაუშვა.

როდესაც ყველა ეს გაათავა, წყნარად დაიბანა ხელები და დამშვიდებულმა წარმოსთქვა:

— ნაბადი მოიტანეთ და „ქიმბრიანთ კარს“ წაიღეთ, იქ ნინიაისას მიიტანეთ, ის საიმედოა — დააწვენს თავის სახლში.

— კარგი, შენი კვნესა-მე, კარგი, თვალის დახამხამებაზედ ავიყვანთ! — წარმოსთქვა ერთმა და გაშალა თავისი თეთრი ნაბადი, რომელიც გვერდზედ კოხტად ჰქონდა მოგდებული. იმას მიეშველნენ რამდენიმე სხვა მთიულები, დაასვენეს ნაბადზედ ელგუჯა და ისე წაიღეს. სხვები კი, ბერდიას თაოსნობით, შეუდგნენ მარტიას და გიორგის დამარხვას.

როდესაც დახოცილები სამარეში ჩაასვენეს, ბერდიამ, როგორც უფროსმა, საჭიროდ დაინახა გამოსასალმებელი სიტყვის წარმოთქმა, რომელშიაც ის აქებდა მიცვალებულების გულადობას და ვაჟკაცურად სიკვდილს; ჰპირდებოდა, რომ ამგვარად სიკვდილისთვის საიქიოს დაუხვდებოდნენ იმათი წინაპარნი

---

*) მათარა—მეშისგან შეკერული საგზაო სტაქანი, რომელსაც შიგნიდგან წმიდა სანთელი აქვს გამოვლებული და წყალს კარგად იჭერს.

**) „სანახავს“ უკეთებენ იარაში ეჭმინდურების გამოსატანად და ბალღამის სამუშაოდ. აგრეთვე „სანახავი“ იარას პირს არ აკვრევინებს, ჭრილობას ძირიდგან აწყებინებს რჩენას.

და სიამოვნებით მიიღებდნენ იმათ „უკუნითი უკუნისამდე“ დაუვიწყარს მოქმედებას. ბოლოს სიტყვები შემდეგით გაათავა:

— ღომისის მადლმა, თითონ თამარ-„პირიმზე“ მიგიძღვებათ მეუფესთან!.. თავად უანბობს თქვენს ვაჟობას და თავის გვერდს სკამს დაგიდგამს... ვაი ამათ, რომ ადრე დაიხოცენით და თქვენი მარჯვენა ველარ გააცივებს მტრის გულს!.. გმარხავთ იმისთვის, რომ „ნადირს“* არ გაეფუჭებინა თქვენი პირისახე, მაგრამ, ღვთის მადლმა, უწინ ყორნები ამოგჭამდნენ თვალებსა თქვენისთანა ვაჟკაცებს აბა ყორნის მეტი რაი მიუდგება?** თქვენ ცხონება, დამრჩოთ -- დანახვა და გაგონება! - სისხლს სისხლი გასწმენდს, ვაჟკაცს — გულადობა, მტრისგან უშიშრობა! სცხონდით, სცხონდით, სცხონდით!.. — მერმე შეიჭმუხნა წარბები, აიღო სამჯერ მიწა და მიაყარა:

— მიწა ხართ და მიწად იქცევით! — ყოველ მიწის მიყრაზედ წარმოსთქვამდა ის.

ამ სიტყვების შემდეგ ჩუმად და წყნარად მიეხვივნენ იქ მყოფი მთიულები და საჩქაროდ ამოავსეს სამარე მიწით და დაღვრემილები, შეჭმუხვნილის სახით, შეუდგნენ მთებს, რომ პირველსავე შემთხვევაში ესენიც ასე ვაჟკაცურად და სასახელოდ დახოცილიყვნენ...

ამ ხანში მზალო მიიყვანეს ქვეშეთში, სადაც იდგა ნაჩალნიკი და კიდევ რამდენიმე ჯარის უფროსები. ჩერქეზის ქალი ხევშიაც კი ეუცხოვებოდათ და, წარმოიდგინეთ, აქ, მთის აქეთ, სადაც მმართველებად სხვა ქვეყნის ხალხნი იყვნენ, - რა მოქმედება უნდა ჰქონოდა?

ყველა, დიდი თუ პატარა, გარბოდა მზალოს სანახავად, რომელიც ერთიორად საინტერესო ჰხდებოდა იმისთანა შემთხვევის შემდეგ, როგორც იმისი პატაცება და იმისთვის ამდენი სისხლის დაღვრა.

წარმოიდგინეთ ქალის მდგომარეობა, რომელსაც გული სევდითა და ვარამით გავსებოდა და ითხოვდა სრულს მარტოობას, რათა თავისუფლად შესძლებოდა გულის „ამობოხრა“.

იმან ნახა თავისი გულითადი მეგობრები, თავისი სანატრელი ელგუჯა, ასე დამახინჯებული, დაჩეხილები, ვინ იცის, იქმნება ცოცხლებიც იყვნენ და ასე უპატრონოდ, მოუვლელად, უნუგეშოდ დაყრილები ცხარე მზეში. -- და იმას არამც თუ იმათზედ მზრუნველობის ნებას აძლევდნენ, არამედ იმდენადაც

---

*) „ნადირს“ არაიშვიათად მგელსაც უწოდებენ.

**) მთის ხალხის რწმუნებით, გულადად მოკლულ ვაჟკაცის თვალს ყორნის მეტი ვერ

იც არ უსვენებდნენ, რომ მარტოობაში თავისი ტანჯვა ცრემლებით შეემსუბუქებინა.

ყველას უნდოდა იმისი ნახვა, იმისი გაშინჯვა; ყველა ცდილობდა კარგად გაეშინჯათ იმისი სახე, იმის თვალები, წარბები და ამისათვის დაურიდებლად გარს ეხვეოდნენ იმას, პირდაპირ შესცქეროდნენ პირისახეში და ღიმილით ოხუნჯობდნენ იმის შესახებ, და ეს ოხუნჯობა არ იყო მოკლებული გარყვნილს, ცინიკურს აზრებს.

— რა ლამაზი ყოფილა! ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი! — წარმოსთქვა ერთმა აფიცერთაგანმა.

- ლამაზი და მერე როგორი ლამაზი! - გაზმორებით უპასუხა მეორემ.

— ეხლა ეგ რუსეთში რომ მყოლიდა... ლაზათიანს მარხილში შებმული ზარებით და ეჟვნებით ცხენები და სტრელნაში!.. — წარმოიდგინა კიდევ ერთმა.

— აბა, იქ იქნებოდა ამბავი, აი?

- ტუჩებს უყურეთ, ტუჩებს, მარჯანს არ მიუგავს!? ტუჩები რა, ერთი თვალებს შეჰხედეთ, თვალებს!

— ქალი კი არა, ცეცხლია, ცეცხლი!

ისე ჰშინჯავდა და ლაპარაკობდა ეს ხალხი, თითქოს ჩერქეზის ცხენ ჩაეგდო ხელში და იმის ასოების ღირსებ-ნაკლულოვანებას შეეხებოდა. [illegible] ნაჩალნიკიც მობრძანდა თავის ამალით. ის ყოველის ღონისძიებითა ცდილობდა, იქ მყოფების ყურადღება მიექცია თავის ღირსებისათვის. ამან, ზურგზე ხელებდაწყობილმა, აუარჩამოუარა ქალს, რამდენჯერმე ნიკაპზედ ხელი მოჰკიდა და ძალად მიაღებინა თავისკენ თავი. მერე გააცმაცუნა მსუნაგ ძაღლსავით პირი, მოილოკა ტუჩები და შემდეგ განკარგულება მოახდინა, რაც სატუსაღოში შეეგდოთ და ბრთხილად მოჰქცეოდნენ იმას. თითონ კი დაბრუნდა შინ და სადილად მიიპატიჟა აფიცრები, რომელთ წინაშეც, — „დღევანდელი გამარჯვების შემდეგ", - ღვინო კოკებრივ ისხმოდა.

ასე ქეიფით გაატარეს სალამომდის. აფიცრებმა, ღვინოზედ თავისუფლად მიშვებულებმა, ზედიზედ გადაჰკრეს აზარფეშები, თითქოს ეშინოდათ ასე მშვენივრად დროს გასატარებელი ხანი არ დაჰკარგოდათ; მითვრენ და იქვე თავმოჭრილებსავით მიეყარნენ.

თავს ინახავდა მარტო ნაჩალნიკი, ეს იყო მიზეზი, რომ სუფრიდგან მარტო ის ადგა მხოლოდ შეზარხოშებული. ამ დაპატიჟებით ხალხის მმართველს ჰსურდა, როგორც იქმნებოდა, თავიდგან მოეშორებინა სხვები, რომელთა

შეეძლოთ იმისი სურვილის დაშლა და ეს სურვილი კი იყო—უეჭველად და რაც უნდა მოჰსვლოდა -მზაროს პატრონად გახდომა. ის ჰფიქრობდა იმ წამიცდენს სიამოვნებაზედ, რომელიც ამ ქალს უნდა მოეტანა იმისთვის: ის ჰხატავდა თავის აზროვნებაში სხვადასხვა სურათებს, რომლების მოქმედებაც ადნობდა იმას და სიამოვნების სისუსტეში შეჰყვანდა.

მოვიდა ის დროც, როდესაც წარმოიდგინა, რომ თავის სურვილის აღსრულებაში მოყვანა შეიძლებოდა, და ამისათვის იმან დაიბარა თავისი ერთგული კაცი, გაგზავნა იმ ქალთან და მოაყვანინა, ვითომც ჩვენების ჩამოსართმევად.

-- წარბებ-შეჭმუხვნილმა ნაჩალნიკმა შეიყვანა ის თავის ოთახში, მაგრამ რაწამს კარები შეიკეტა, ერთბაშად მკაცრ მბრძანებლიდგან გარყვნილ არშიყად გარდაიქცა:

— შენ ძალიან უნდა გიხაროდეს, ჩემო კარგო, რომ მე მომეწონე,— უთხრა იმან და მოჰხვია ხელი.

ქალი ვერ მიმხვდარიყო, თუ რასა ჰნიშნავდა იმის საუბარი, მაგრამ, როდესაც გაიგო, ერთბაშად გაუხტა ხელიდგან და სწვდა ხანჯალს, რომელიც იქვე სტოლზედ ეგდო.

— შესდექ, თუ წერას არ აუტანიხარ! შესძახა მრისხანედ ქალმა და მომზადებული დადგა კედელთან.

ნაჩალნიკი მზაროს ისეთს გარყვნილ ქალად უყურებდა, რომელმაც ვიდრეა მოხევეებთანაც კი იკისრა გაქცევა, და ამისთვის დარწმუნებული იყო, რომ პირველშივე იმის სურვილის გამოცხადებას დიდ ბედნიერებად ჩასთვლიდა ისა. ამისათვისაც გაბედა ამ კაცმა პირდაპირ, დაურიდებლად თავისი არშიყობა. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში უნდა დამდგარიყო, როდესაც ქალისაგან ამისთანა წინააღმდეგობა დაინახა! ის რამდენსამე ხანს გაჩერებით შეჰყურებდა ამ გაცეცხლებულს ქალს, რომელსაც თვალები ცეცხლსავით ანთებოდა და მომზადებულიყო ყოველგვარ ბრძოლისთვის თავის ნამუსის დასაცველად. პირველ გაშტერების შემდეგ ნაჩალნიკმა გაიღიმა: იმას აზრში გაურბინა, რომ „ქალები ყოველთვისინ თავს ძალად ინაზებენ—და მზაროც ქალი იყო“.

— ნეტავი იცოდე, რა რიგად გიხდება ეგ ჯავრობა!..—უთხრა ნაჩალნიკმა,—სწორედ დასახატი ხარ!.. კარგია, გეყოფა ხუმრობა!..—ამ სიტყვებთან ერთად ხელის მოკიდება მოისურვა. ქალმა ისეთი ხმით შეჰყვირა და მოუქნია ხანჯალი იმ კაცს, რომ იმან საჭიროდ დაინახა უკან დახევა.

ყველა პატიოსანი კაცი, ამგვარ შემთხვევის შემდეგ, თუნდა ის მართლა სიყვარულითაც ყოფილიყო გატაცებული, თავს დაანებებდა ნამუსის დამცველ ქალს, მაგრამ „პატივსაცემს“ პირს კი ვერ შეაყენებდა ამგვარი საბუთები: იმას თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა — თავი დაენებებინა მზალოსათვის და, ოღონდაც თავის საწადელს კი მიეღწივა-და, ის რას დასდევდა ქალისაგან თვალების ბრიალს წინააღმდეგობის შემდეგ იმისთვის მზალო ერთიორად უფრო მიმზიდველი შეიქნა. მაგრამ როგორ მიეღწივა თავის სურვილისათვის? იმან ყველაზედ უკეთესად დაინახა თავის მოკატუნება და მიტყუებით მოქმედება, რადგანაც ნებაყოფლობით და ძალით არა გამოვიდა-რა.

-- მე ძალიან მოხარული ვარ, რომ მაგდენს დანაშაულობასთან გარყვნილი მაინც არა ყოფილხარ.

--- კარგი, შენ დაისჯები, როგორც ხელმწიფე-იმპერატორის მოღალატე. შენ და შენმა მეგობარმა მოკალით ერთგული აფიცერი, სხვები ძაღლებივით დავხოცეთ და შენც სიკვდილით დაისჯები.

— ელგუჯას შემდეგ მეც მოვკვდე-რა!...

— შენ გაწვალებენ, და გტანჯავენ, ჩამოგახრჩობენ...

- გიაურებმა წვალების მეტი რა იციან?.. თქვენ იმდენი ვაჟკაცობა ვინ მოგცათ, რომ კაცი პირდაპირ მოჰკლათ?.. თქვენ გულადები მაშინ ხართ, როცა ერთზედ ასნი მისდიხართ! დეე, სხვებს შეეშინდეთ მაგისი, მე არ მეშინიან!

ამ ლაპარაკის დროს ნაჩალნიკი თანდათან უახლოვდებოდა ქალს და, როდესაც ეს უკანასკნელი ლაპარაკით გატაცებული იყო, ნაჩალნიკმა გადასდგა უკანასკნელი ნაბიჯი, მისწვდა იმას ხანჯლიანს ხელში და მაგრა დაუჭირა მაჯა.

—- აა! — სიხარულით შესძახა იმან: — ახლაც წამიხვალ?

ქალმა ტკივილისაგან და ჯავრისაგან შეჰყვირა და უნდოდა განეთავისუფლებინა შეკავებული ხელი, მაგრამ ნაჩალნიკს ისე მაგრა მოეჭირა მაჯაზედ, რომ ძვლებს ჭახჭახი გაჰქონდა და თითები ხორცში ჩამსხდარიყო.

ტყუილად-ღა იბრძვი, ჩემო ჩერქეზო, ტყუილად, შენი ნაზი ხელიდამ ვეღარ დამსხლტება მე!

ქალი იბრძოდა და ღმერთს იწოდებდა მოწმად ამგვარ უპატიოსნო ძალდატანებისთვის. მაგრამ უპატიოსნოს თვით ღმერთიც განზედ უდგება და ხალხიც. იმას თანდათან აკლდებოდა ძალა, მკლავის ძარღვები უსუსტდებოდა და შეწუხარებით ჰხედავდა, რომ ჩქარა ბრძოლას ვეღარ შესძლებდა. ბოლოს მკლავი სრულებით დაუბუჟდა, თითები უნებლივ გაეშალა და ხანჯალი თავისთავად წკრიალით დაეცა ფეხებთან. აქ ქალმა დაუწყო მუდარა, ხვეწნა, აფიცებდა.

რაც კი საფიცარი ჰყვანდა, აბრალებდა თავის თავს, — მაგრამ რა საქმე ჰქონდა თავმოყვარეობისაგან გაზვიადებულს ნაჩალნიკს ან ხვეწნასთან, ან თხოვნასთან, ოღონდაც თავის მიზნისთვის მიეღწივა. ის მოელოდდა წუთის, თუმცა უპატიოსნოს, მაგრამ მაინც სიამოვნებას, და ეს საკმარი იყო, რომ ის დაყრუებულიყო რომელსამე კაცობრიულ სიტყვის ჩაგონებისათვის.

მკლავებიდგან გადავიდა ტანზედ და მაგრა მოჰხვია ხელები: ბრძოლა შექმნა უფრო მწარე, გაშმაგებული. ქალს ამ დროს თითქოს ღონე ემატებოდა გაუპატიურების შიშით, და კაცს კი — თავის უპატიოსნო სურვილის აღსრულების დაახლოვებით.

ასე იბრძოდნენ ორნივ, მაგრამ მზალოს ჩქარა დაეტყო, რომ თანდათან ღონე აკლდებოდა და აშკარად კაცი სჭარბობდა. კიდევ რამდენიმე წუთი და დასუსტებული, ძლივს-და მსუნთქავი მეტის მღელვარებით, დაღალვით, ქალი აიყვანა ნაჩალნიკმა, მიიყრდნო გულზედ და გამხეცებულმა დაუწყო ლოშნა. იმან მიიტანა ქალი იქვე მდგომ ტახტთან, რომელზედაც დასვა. აქ კიდევ რამდენჯერმე გაიბრძოლა მზალომ, მაგრამ ჩქარა ღონე-მიხდილი და თითქოს გულამოყრილი გადაესვენა ტახტზედ.

სიხარულის ღიმილმა დაუმახინჯა ნაჩალნიკს დაობებული და გამშრალი ტუჩები, და მხეცსავით მიჰვარდა იმას...

გათენდა მეორე დილა, და მზალო, ძალდატანებული, გაუპატიურებული, ლეჩაქ-მოხდილი, დაცემული და შერცხვენილი გადაეცა სალდათებს საპყრობილეში შესაგდებად.

იმ ღამეს ამ ქალმა დაჰკარგა ისა, რაც ყველაზედ უძვირფასესი არის ქალისათვის და რაც ატარებს იმათთვის უმანკოების ბეჭედს...

სალდათებმა, რომელთაც ჩაიბარეს მზალო, საჭიროდ დაინახეს მასხარად აგდება იმისი უბედურებისა. თავისუფალის ღიმილით ელანძღლანდარავებოდნენ იმას და ისეც მოწამლულს, დაშმაგულს გულში, კიდევ საწამლავს ასხამდნენ.

— რა ჰქმენ, გოგო, ნაჩალნიკმა ჩამოგართვა ჩვენება? ეუბნებოდა ერთი.

— კარგად გამოიძია, კარგად? — დასცინოდა მეორე. ქალი წითლდებოდა, თრთოდა და აღარ იცოდა, რა ექმნა, ან სად დაემალა თავი. ის იწოდა სირცხვილისაგან და სანატრელად ჰქონდა ამ ჟამად, მიწა გახეთქილიყო და თან ჩაეტანა ის, თუმც კი სიკვდილისაც ისე ეშინოდა, როგორც თითონ სიცოცხლისა, რადგანაც იმის ფიქრით, საიქიოს უეჭველად ელგუჯას უნდა შეჰყროდა და რაღა თვალით უნდა შეეხედნა იმისთვის! მართალია, ის არ იყო დამნაშავე, მაგრამ ხანჯალი ხომ ხელში ჰქონდა: თავის ძალის დამტანებელი

თუ ვერ მოჰკლა, თავის თავი როგორ-ღა დაირჩინა ცოცხალი?! მაშ ელგუჯა დაჰკარგა? სამუდამოდ! ის ვეღარ გაჰბედავდა საიქიოს იმასთან შეყრას. ასე ფიქრობდა მზალო და ამისთვისაც იმის სატანჯველი ერთიორად უმეტესი იყო. სანამ იმ ხალხისა. ვინც საიქიოსაგან რომელსამე მოსვენებას მოელის სხვის სიკვდილს შემდეგ სიხარულის იმედი მაინცა ჰქონდა, და ამასაც კი სიკვდილისაც ეშინოდა: სხვას საიქიოს სატრფოს ნახვის სიამოვნების იმედი ჰქონდა და ეს კი საიქიოსაც ისეთს სატანჯველს მოელოდდა, როგორც ხააქოს. ბოლოს მიაღწიევს საპყრობილეს, რომელშიაც შეაგდეს, და უფროსმა მცველმა საჭიროდ დაინახა კიდევ რამდენიმე საწამლავის ჩახსმა ამ ქალის გულში, თითქოს საკმარისი არ იყო ის ცეცხლი, რომელიც უწყალოდ სდაგავდა იმას.

-- აქა ბრძანდებოდეთ, ქალბატონო, სანამ ნაჩალნიკი კიდევ დაგიბარებს ჩვენების ჩამოსართმევად, — უთხრა მცველმა ღიმილით.

ამ სიტყვებზე სხვა აქ მყოფ რუსებმა გაიხარხარეს, და იქ მყოფი მთიულები კი დაფიქრდენ, შეიჰმუხვნეს წარბები და ჩურჩული დაიწყეს ერთმანეთში.

-- ღომისის მადლმა, ესეთიც არა გვინახია-რა!.. — წარმოსთქვა ერთმა: რა ამბები ხდება, გაბრიელავ? გინახავს როდისმე დიაცის ეგრე გაუპატიურება?

-- არა, არა, შენი კვნესა-მე, არც მინახავს და არც გამიგონია!.. თორემ მოსისხლე ხმალამოღებული ერთმანეთზედ რომ მისულიყო, დიაცი თავშალს გაუშლიდა შუაში და მაშინვე გაშველდებოდნენ ერთმანერთს, ესენი კი?.. აღარ გაათავა სიტყვები და ჩაიქნია ხელი.

- აბა, ქალის გატაცებაც ბევრჯერ მომხდარა, ძალადობაცა, მაგრამ, ისაც გაუტაცნია, ცოლადა სდომებია, თორემ ამისთანა საქმეს ვინ იზავდა? მაგისთანა საქმის ჩამდენს, „პირი-მზის“ მადლმა, მტერი თუ მოყვარე, ყველა მტრად გადაეკიდებოდა.

— ესენიც კი დასცინიან! -გაკვირვებით სთქვა კიდევ ერთმა.

ამ ლაპარაკში იყვნენ სატუსაღოს კარებთან მოგროვილი მთიულები, როდესაც იასაული მოვიდა და დასძახა:

რას უდგეხართ აქა? წამოდით, ბეგარა მოვიდა!

ჩვენ შეშა არ მოვუტანეთ ეხლა? ღმერთი აღარა გყავსთ?

- გამოიარეთ, გამოიარეთ, ნუ ჰლაპარაკობთ, თორემ ეხლავ ყაზახები მოვლენ და სულ მათრახით ტყავს გაგაძრობენ!

რაზედ გაგვაძრობენ, რას გვემართლებიან?..

-- მაშ ხელმწიფეს სამსახური არ უნდა? — ამაყად დაიძახა ნაცვალმა თითქოს მართლა ხელმწიფის სამსახური უსამართლობაში იყოს.

ცოტა ლაპარაკის შემდეგ მართლა მოვიდნენ ყაზახები და წაუშინეს მათრახებით ხალხსა, რომელიც გაიშალა და წავიდნენ ურმების შესაბმელად.

— ურჯულოები ყოფილან, ღმერთის მადლმა, ურჯულოები! ხარებს ჩლიქები წასცვივდათ ამდენის მუშაობით და მაგათგან კი შებრალება აღარ იქმნა ..

„ჩავცვივდით საგონებელში, როგორც კამბეჩი მორევში“ — პასუხის მაგიერ შეჰმღერა ერთმა მთიულმა, გაუკრა აპეური ხარს და გადაჰკრა სახრე, თითქოს იმაზედ უნდოდა ყველა ჯავრის ამოყრა ..

ამ ხანში ნაჩალნიკი გამობრძანებულიყო ბალკონზედ და საქართველოში ახლად შემოღებულ სასმელს (ჩაის) მიირთმევდა. იმისი პირისახე რაღაც სულელურს, თავმოყვარე სიამოვნებას გამოსთქვამდა. რამდენიმე მთიული შორიახლოს მინდორზე იდგა და ელოდა „ბატონს“ (ასე მაშინ ნაჩალნიკს ეძახდნენ), რომელსაც მოწყალება უნდა მოეღო და მოესმინა იმათი საჩივარი. ნაჩალნიკი დიდხანია რაცა ჰხედავდა იმათ, მაგრამ, ვითომც მეტის ამაღლებისათვის ხალხის თვალში, მეტს აცდევინებდა. ბოლოს მოიღო მოწყალება და ჰკითხა:

— ვინა ხართ თქვენა?

— ჩვენ ბედუანთ კახელები გახლავართ, შენი კვნესა-მე! — ქუდის მოხდით უპასუხეს იმათ.

— რა გინდათ?

— ყაზახები ჩაგვიყენეს, შენი კვნესა-მე, და იმათ გაგვატყავეს... ერბო აღარ შეგვარჩინეს და ყველი, ქათამი და კვერცხი.

— მაშ თქვენ ყაზახებზედა ჰბედავთ ჩივილს? ყაზახებო! — დაიძახა იმან და ამ სიტყვებზედ გამოცვივდნენ ყაზახები იქვე საყაზახოდგან.

— მათრახები ამათ, მათრახები!

ბრძანების აღმსრულებლებმაც დაუარეს სამართლის მძებნელ მთიულებს და ჩქარა გაფანტგამოფანტეს.

ის სიამოვნებით უყურებდა ამ სურათს, მაგრამ ეს სიამოვნება ჩქარა ჩაეშალა, რადგანაც მინდორზედ გამოჩნდა ერთი ვიღაც ოფიცერი რამდენისამე ყაზახით.

ის ჩამოხტა ცხენიდგან, მოვიდა ნაჩალნიკთან და გადასცა რაღაც პაკეტი. ნაჩალნიკმა გახსნა, წაიკითხა და გაფითრდა: იქ ეწერა ბრძანება, რომლითაც სვიმონა ჩოფიკაშვილი ინიშნებოდა ნაჩალნიკად მთის ხალხზედ, და ამ ძველს ნაჩალნიკს კი ქალაქში იბარებდა უმაღლესი მთავრობა.

არ გაუვლია რამდენსამე წამს, როდესაც ქვეშის დალმართზედ გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი და თამამად მოვიდნენ ნაჩალნიკის კარებთან. ისინი წყნარა ჩამოხტნენ, ამოვიდნენ ნაჩალნიკთან და ცივად მიესალმნენ იმას. ეს გახლდათ სვიმონა ჩოფიკაშვილი, გაგის სახლისკაცი და მოადგილე ძველის ნაჩალნიკისა, რომელსაც ადგილი უნდა ჩაებარა ამისგან.

II

ჩვენი მოთხრობისათვის საჭიროა გავაცნოთ სვიმონ ჩოფიკაშვილი.

საქართველოს რუსების მფარველობის ქვეშ შესვლამდისაც, სვიმონ ჩოფიკაშვილი იყო ერთი მიღებული კაცთაგანი მეფესთან. ამას ებარა მთელი ხევის ხალხი და ის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებდნენ, -- დარიალი.

ეს პირი ჯერ წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მაგრამ უკანასკნელ რჩევაზედ, რომელიც მეფის სასახლეში იყო გამართული, იმან შეიტყო მეფის გარდაწყვეტილი სურვილი და, როგორც მეფის ერთგულთაგანი, რომელსაც მეფის წადილის წინააღმდეგობა მომაკვდავ ცოდვად მიაჩნდა, დაჰმორჩილდა იმის ბრძანებას და მიემხრო შეერთების მსურველებს.

რჩევის შემდეგ ის ისევ თავის მთებში დაბრუნდა და, მეფის ბრძანებისამებრ, მიიღო თავის თავზედ ზრუნვა მომავალს რუსებზედ.

ის გულმოდგინედ ასრულებდა ამ სამსახურს და ცდილობდა — მეფე გიორგის აღსრულებოდა ის წადილი და ის სარგებლობა, რომელსაც ის და იმისი მომხრენი ამ მფარველობისაგან მოელოდნენ. ის ჩქარა შენიშნეს რუსებმაც, იმათ დაინახეს იმისი გავლენა მთაში და თავის მხრითაც მიანდეს სხვადასხვა განკარგულება ჯარების შესახებ. რასაკვირველია, ეს, იმათთვის სასარგებლო პირი, კიდეც დააჯილდოვეს და პირდაპირ მაიორის მუნდირით და ეპოლეტებით ააყვავეს იმისი მხარბეჭი.

ამგვარმა სვიმონის მდგომარეობამ შურში შეიყვანა გაგი, რომელსაც სამუდამო ზრუნვად შეექმნა სვიმონის დამცირება, რათა თითონ დაეჭირა იმისი ადგილი. ამისთვის გაგი შეუჩნდა ალექსანდრე ბატონიშვილს, დაარწმუნა, რომ რუსების შემოსვლის მიზეზი მარტო სვიმონ იყო, და ეს რომ არ ერეოდეს საქმეში და არ უშლიდეს, რუსების განდევნა ადვილი იქმნებოდაო. ბატონიშვილი წინადვე იცნობდა სვიმონს, როგორც ერთ სასარგებლო და ჭკვიან კაცს და ამისთვის იმის დაცემა იქამდის არ უნდოდა, სანამ იმის მომხრეობას არ სცდიდა

ალექსანდრემ, რომელსაც ხევსურეთში თავის მომხრე ჯარები შეეყარა, გამოუგზავნა კაცი სვიმონს და ითხოვდა მისგან სრულს მორჩილებას, ხევიდგან რუსების გარეკვას და ამ უკანასკნელებისათვის შემოსავლელ გზების შეკვრას. ამ ბრძანების აღსრულებისათვის მეფე ჰპირდებოდა დიდს პატივს და წყალობას, მაგრამ უკეთუ სვიმონ არ დაჰმორჩილდებოდა, მაშინ ემუქრებოდა სვიმონის სარჩოსაბადებელის გარდაწვას და ცოლშვილით ამოწყვეტას.

როცა დრო იყო, მეც ვიძახდი: რად გვინდა რუსები, მეთქი? მაგრამ მეფემ ბრძანა, შემოუშვიო, და მეც მეფის ბრძანებას საით გადავივლიდი? წარმოსთქვა სვიმონმა და დაჰკიდა თავი.

— მაშ ეხლა, ეხლა რას აპირობ?

ეხლა გვიან-ღაა, გვიან!..

— მაშ რა პასუხს აძლევ ბატონიშვილს, იმის მხარეს არ იჭერ?

არა.

რას ამბობ? ხომ სულ ამოგწყვეტავს, სახლკარს ამოგიწვავს!

რაი ვუყო? თუ რუსების შემოშვება არ გინდოდათ, მაშინ წინადვე უნდა გეფიქრათ, თუ არა და ეხლა როცა ყველა სიმაგრეები ხელში აიყარეს, მე საით-ღა განვდევნო?!

შენ გაიგე კარგად, რომ რუსებს მეფე მფარველობას სთხოვს, მაგრამ...

მეც ეგრე მგონია!.. აბა, რა ვუყო? მეფეს ეგრე უნდა, რაღაც მწუხარებით წარმოსთქვა სვიმონმა და დაეტყო, რომ ის მოქმედებდა თავის სურვილის წინააღმდეგ.

მოციქულები გაკვირვებულნი ყურს უგდებდნენ სვიმონის გარდაწყვეტილებას. ისინი იცნობდნენ სვიმონს მთის კაცად, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზედ უმაღლესი ჯილდო არის, და ეს კი თავის თავს და თავის ქვეყანას სხვა გვარტომის ხალხს მონად აძლევდა! მონად აძლევდა იმისთვის, რომ თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველო ვერ გადურჩებოდა რუსების ბატონობას.

მაშ რა პასუხს უთვლი ბატონიშვილს?

ბატონიშვილს?. მოახსენე ჩემგან ხვეწნა და მუდარა მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და შუაზე ნუ ჰყოფს საქართველოს ძალას თუ ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზმენ, მაგრამ, თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წარსულია!.. ჩავიდეს მეფესთან, მოუდგეს გვერდსა და, რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს, თორემ, თუ ეგრე მოვიქეცით, ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლაში დავიქანცებით, დავსუსტდებით, და რუსები კი

თავიანთ წადილს აასრულებენ... ჩავიდეს მეფესთან, ჩა! მეფე ღვთისგან არის დანიშნული. იმის გულის პასუხს კაცი ვერ მიჰხვდება, მეფეს ყველა უნდა ემორჩილებოდეს.

— უბრთხილდი, სვიმონ, ბატონიშვილი განრისხდება მაგ პასუხით, და მაშინ შენ ველარავინ გიხსნის.

რა ვუყო!.. მეფის ბრძანებას და სურვილს ვერ ვუღალატებ, ვერ გადავალ და, თუ მეფე ბრძანებს, მარტო მე შევებმი რუსებს.

ამ პასუხით გაისტუმრა იმან შუაკაცები, რომელთაც ბატონიშვილს სრულებით სხვარიგად გადასცეს ამ სიტყვების აზრი. იმათ ჩააგონეს, რომ სვიმონ ჰღალატობს სამშობლოსაც და თითონ მეფესაც, რომ სვიმონს თავის ბჭყვრიალა ტანისამოსზედ გაუცვლია ხალხის მოსვენება და თავისუფლება.

ბატონიშვილმა გამოისტუმრა ჯარები სვიმონის დასასჯელად და გაგის ჩააბარა იმათზედ უფროსობა. ეს ამბავი შეატყობინეს სვიმონს და ის თავის ცოლშვილით გაიხიზნა ჩერქეზში, თავის ცოლის სამშობლოში, სადაც რამოდენიმე ხანი დარჩენა მოუხდა.

სვიმონს ისე საჩქაროდ მოუხდა თავის სახლიდგან გაქცევა, ისე მოულოდნელად, რომ ძლივს მოასწრო ცოცხალი თავის გახწევა და საქონელი, სიმდიდრე თუ სხვა ბარგი, ყველაფერი იქ დარჩა და შეიქმნა შემოსულ ჯარისაგან განადგურებული

სვიმონის სახლი გაცარცვეს, მერმე ცეცხლი წაუკიდეს და, რისაც წაღება ვერ შეჰსძლეს, სულ შიგ ჩაწვეს. აი ეს იყო მიზეზი, რომ სვიმონ აქამდი არ სჩანდა და არ მოქმედებდა.

სვიმონ სწორედ იმ ხანში დაბრუნდა შინ, როდესაც ელგუჯამ ქალ გაიტაცა და გაგი კლდეზედ გადააგდო. ამავე ხანში დანიშნეს მთის ხალხის ნაჩალნიკად და, როგორც მეფე გიორგიმ, ისე რუსის მთავრობამაც, — დიდის პატივით მიიღეს, წყალობით უნდოდათ აღედგინათ იმისი დაცემული ოჯახი. თუმცა გაგი შორი ნათესავი იყო სვიმონისა, მაგრამ იმის მემკვიდრე არც ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც თითონ გაგი უშვილო ამოსწყდა და, არც არავინ ახლო ნათესავი არ დარჩენია. ამისათვის, როგორც სხვა საცხოვრებელი, მზალოც სვიმონის საკუთრებად უნდა გამხდარიყო.

სვიმონმა ჩაიბარა ნაჩალნიკობა, შეუდგა ახალს სამსახურს და ჩქარა ისეთი გავლენა და ძალა მოიპოვა საზოგადოდ მთის ხალხში, რომ ყველა შიშითა და კრძალვით უყურებდა.

რაკი სვიმონის ამბავი და სიჩუმის მიზეზი შევიტყეთ, ეხლა შეგვიძლიან დავუბრუნდეთ ისევ ჩვენი მოთხრობის გმირებს და თითონ მოთხრობის მდინარეობას.

მზალო შეაგდეს საპყრობილეში და, როდესაც ის მარტოკა დარჩა, მხოლოდ მაშინ შეიძლო თავისუფლად თავის მწუხარებას მისცემოდა: პირველი გაშტერების, გაბრუების შემდეგ, დიდხანს შეგუბებულ ცრემლებს გზა გაეხსნა, და დაიწყო ტირილი ცხარე ქვითინით.

ამ ტირილის დროს იმას აგონდებოდა ყველა შემთხვევა თავის წარსულიდგან და, როდესაც რომელიმე სურათი თვალწინ წარმოუდგებოდა, ის ტიროდა გულადუღებით. ვერ მოასწრებდა აღძრული გრძნობის მიწყნარებას, გამოხატული სურათის გატარებას, — იმის გუნებაში წარმოსდგებოდა ახალი სურათი, უფრო სანატრელი, უფრო სასიამოვნო და უფრო შესანიშნავი დასაცაგავად, და ცოტა ხანს შეწყვეტილი ცრემლები ისევ მდუღარედ ღაპალუპით გადმოედინებოდა.

ყოველგვარ მწუხარებას ცრემლები უფრო შეამსუბუქებს ხოლმე და კაცს დაამშვიდებს თუ დაუჩლუნგებს გრძნობის ძალას და ჩაგდებს დალალულსავით რაღაცა მდგომარეობაში. როდესაც მზალომ კარგა გული იჯერა ტირილით, როდესაც იმის დალალულმა ტვინმა ვეღარ შესძლო თავისუფლად მუშაობა, — ის მიეგდო და დაიძინა.

კარგა ხანს იმას არავინ აწუხებდა, რადგანაც ყველანი გართული იყვნენ ახალი ნაჩალნიკის დანიშვნით და ძველის გამოცვლით.

იქმნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც საპყრობილეში შევიდნენ და მზალოს გამოუცხადეს, რომ იმას ნაჩალნიკი იბარებდა.

ქალს გული გადაუტრიალდა: იმან არ იცოდა ძველი ნაჩალნიკის გამოცვლა და მოელოდა ისევ იმ ძალადობას და დამცირებას, რომელიც ამ რამდენისამე ხნის წინად მიაყენეს.

— არ წამოვალ, არა! — შესძახა იმან და სიანჩხლით და შიშით დაიწყო ცახცახი.

— წამოდი, თორემ ძალად წაგიყვანენ და უფრო ცუდია.

— უკაცურებო, გიაურებო! . სხვა მაგის მეტი რა შეგიძლიანთ?.. ლეჩაქები მაინც დაიხურეთ, თქვენ კაცები კი არა, დედაკაცები ხართ, დედაკაცები!.. ვაჟკაცისაგან დედაკაცის ძალადობა?!. წყეულიმც იქმნებით, წყეული, თქვე გიაურებო, თქვენა!

— წამოდი, წამოდი! — მკაცრად გაუმეორეს იმას.

მზალო შესდგა ერთს წუთს, გაიღიმა და თვალები რაღაც ცეცხლით აენთო, სჩანდა, რომ იმის თავში რაღაცა აზრმა ელვასავით გაირბინა.

— მაშ თქვენ გინდათ, რომ წამოვიდე?. კარგი, კარგი... წამოვალ, წავიდეთ ჩქარა!... საჩქაროდ და მთრთოლარეს ხმით წარმოსთქვა იმან და გაჰყვა გამოგზავნილ კაცს.

ის მოელოდდა, — თავის მტარვალს ჰნახავს, რომელსაც გადახდევინებას უპირობდა და ემზადებოდა ამისათვის. მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი მდგომარეობა, როდესაც ძველი ნაჩალნიკის მაგივრად, სვიმონი დაჰხვდა, რომელმაც ჩერქეზულად, ტკბილად უთხრა:

— შენ უბედურება შეგმთხვევია, მე გულითადი მწუხარე ვარ იმ უკაცურობისა. ვისაც შენთვის ეს ჩაუდენიათ, დიაცურად მოქცეულან!

— ღმერთო, ღმერთო! — ამის მეტი ვერა წარმოსთქვა-რა ქალმა და ჩაეკეცა მუხლები, სვიმონ მიეშველა, დასვა ტახტზედ და დააცადა იქამდის. სანამ ქალი გულს გაიმაგრებდა.

— მე მინდა გამოვისყიდო ის უკაცურება, რომელიც შენთვის ჩაუდენიათ: მთხოვე, რა გინდა?

მზალომ შეჰხედა მადლობის თვალით და გული სიხარულით აევსო ამ ალერსიანის სიტყვებისაგან.

— მიშველე, მიშველე, დამიხსენ ამ გიაურების ხელიდგან? — შესძახა მწუხარებით ქალმა.

— ეხლა ნუღარ გეშინიან, შენ ველარას გიზმენ.

მზალომ, ამდენი მწუხარებისა და ამდენი დამცირების შემდეგ, ძლივს გაიგონა ტკბილი სიტყვა და ამასთან თავის სამშობლო ენაზედ. იმას კიდეც ეჭირვებოდა ეს დამშვიდებული სიტყვები, რომელმაც მკურნალ ნექტარად დაუარა იმის დაჩაგრულ გულს და არეულ გონებას.

ის სიხარულმა ალიტაცა, აალელვა და პირველი იმისი სიტყვები შეეხო იმ საგანს, რომელსაც ყველაზედ მეტად შეეპყრო იმის გონება.

— ელგუჯა, ელგუჯა! წამოიძახა იმან: — მოკლეს, ისე გადააგდეს... დამარხვის ნებაც აღარ მისცეს.

— ჩვენი მთის ხალხი იმას ისე არ დააგდებდა, დაუმარხავს!.. — წარბებშეჰმუხვნით წარმოსთქვა სვიმონმა.

რაწამს ეს მხარე დააკმაყოფილა მზალომ, მაშინვე იმას თავში სხვა აზრმა გაურბინა, სხვა ფიქრი, მწუხარებით სავსე, აღეძრა.

– იქმნება ცოცხალი იყო?—წამოიძახა იმან და სახე დაეპრანჭა მწუხარებით,—იქნება ცოცხალი დამარხეს?

— ჩვენმა ხალხმა ცოცხლისა და მკვდრის გარჩევა კარგად იცის. ცოცხალს არ დაჰმარხავდნენ...

— მაშ ცოცხალი რომ დარჩენილიყო, რას უზამდნენ?— ჰკითხა და გულის კანკალით დაუწყო პასუხს ლოდინი.

— ჩვენი ხალხი მტერთან შეუბრალებელი არის, სანამ ის ღონიერია, მაგრამ, თუ მტერი დასუსტდა, უბედურებაში ჩავარდა, მაშინ იმასთან მტრობა დიაცობად მიგვაჩნია. ამას გარდა ელგუჯას აქ მტრებიც არავინ ჰყოლია, თუ ის ცოცხალი გადარჩა, ვინმე აღმოუჩნდებოდა და შეიფარებდა.

— მართლა, მართლა?.. ელგუჯა, ელგუჯა ცოცხალი იყო! იმას წაიყვანდა ვინმე... დიახ ცოცხალი იყო... მე თითონ ვნახე, სუნთქავდა, კიდეც გაინძრა, კიდეც ამოიოხრა!.. — გატაცებით ლაპარაკობდა მზალო, რომელსაც იმედმა წარმოუდგინა სხვადასხვა შეუძლებელი სურათები. ის იმ დროს ისე გატაცებული იყო, რომ ყველა ოცნებით წარმოდგენილი ნამდვილი ჭეშმარიტებად მიაჩნდა და აღგზნებული აზროვნობის წარმოდგენა ნამდვილ მომქმედად მიაჩნდა, თორემ ელგუჯას მართლადაც რომ ამოეოხრა, განძრეულიყო, დაჰლაპარაკებოდა, მზალო იმ დროს ისეთს გარემოებაში იყო, რომ ვერაფერს შეამჩნევდა.

— შენ ჰლაპარაკობ ჩვენს ენაზედ, შენ ჩერქეზის ქალი გყავს ცოლად, შენ გესმის, როგორ შეუძლიანთ ჩვენი მხრის ქალებს სიყვარული... შემიბრალე, მიანახვინე ელგუჯა, შეიტყე სად არის და გამიშვი, მე მოვუარო.

— ელგუჯამ მე სახლისკაცი მომიკლა, იმას ჩემი სისხლი ჰმართებს!— წარმოსთქვა სვიმონმა.

— ალაჰ!—წამოიძახა მზალომ, რომელიც სვიმონს თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა გაგის ნათესავად: მაშ გაგი, გაგი შენი ნათესავი იყო? – ჩემი ნათესავი იყო, მაგრამ შენ ნუ გეშინიან მაგისი, მე რომ ელგუჯას კარგამყოფს შევყროდი, მოვკვლავდი, მაგრამ ეხლა, ეხლა სხვა არის!.. ის თუ მკვდარი არ არის, სიკვდილთან გასწორებულია.

— მაშ სიკვდილს რომ გადარჩენილიყოს, რას უზამ?—გულის ძგერით უპასუხა ქალმა.

— თუ კარგად იქმნა, მოვკლავ, და თუ დაშავებულია, ნახევარ კაცზედ სისხლის აღება არ ღირს, – ეგ კაცის შესაშენი არ არის!

— რისთვის, რისთვის მოჰკლავ, რა დააშავა იმან?

— სახლისკაცი მომიკლა.

მართალია, მაგრამ თითონ უპირობდნენ მოკვლას.

მაინც სისხლი ჰმართებს ჩვენი.

შეიბრალე, შეიბრალე! გევედრები, შენი ცოლის, შვილების გულისათვის!

— არ შემიძლიან.

— ღმერთო, ღმერთო! შენ დააკელ იმას რომელიმე სხეული და ცოცხალი კი შეინახე! — წარმოსთქვა მზალომ და დაიწყო გულმხურვალედ ლოცვა, რომლის დროსაც მდუღარებით იბანებოდა.

სვიმონს ჩქარა გული მოულბო ამ სურათმა

— გაგი ბოროტი იყო და ბოროტად გაიარა იმისმა დღეებმა, — წყნარად დაიწყო სვიმონმა: — მე იმის სისხლი არც კი უნდა მომეძებნა, მაგრამ ჩვენი მთის ჩვეულება მოითხოვს, რომ სისხლი არ შევარჩინო. ელგუჯა რომ მკვდარი იყოს, მაშინ იმის გვარიდგან უნდა მომეკლა ვინმე. ეხლა მე შენ გაძლევ სიტყვას, რომ უკანასკნელს საშუალებას ვიხმარებ და სისხლს აღარ დავღვრი. მე შევყრი სამების სამჯეოში თემობას, და რასაც ხალხი გადასწყვეტს, დავემორჩილდები.

თუმცა ამგვარად სისხლის გარდაწყვეტა მოხდებოდა ხოლმე მთაში, მაგრამ ეს ისეთი ძნელი საქმე იყო, იმდენი შუაკაცებისა და ხვეწნის შემდეგ მოხდებოდა, რომ ერთი წელიწადი მაინც გაივლიდა და სვიმონი კი, ის სვიმონი, რომელიც იმავე მთის ჩვეულებაში იყო გაზრდილი, ერთბაშად ასე ჩქარა ჰმორჩილდებოდა ელგუჯას შერიგებას. რასაკვირველია, ამის მიზეზი იყო იმის გულკეთილობა და ჰკუის გამჰრიახობა, მაგრამ გაგის სიკვდილს უფრო ღვთის სამართლიანს რისხვას აწერდა და ელგუჯას კი ღვთის სურვილის აღმასრულებელ იარაღად უყურებდა.

როდესაც ესენი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც სვიმონის მ[illegible]რის შეუბრალებელი გული თითქმის დაჰმონებოდა მზალოს ცრემლებს, — ამ დროს ქიმბარიანთ კარს, ნინიას სახლის დერეფანში იწვა ერთი ავადმყოფი და თავდავიწყებაში რაღაცას ჰბოდავდა. იმისი შეხვეული თავი, ფერმკრთალი სახე ადვილად დაგარწმუნებდათ, რომ ეს კაცი დაჰრილი უნდა ყოფილიყო.

— მზალო! მზალო! საშინელის ხმით წამოიძახა იმან და წამოიწივა.

მოხუცებული მთიულის დედაკაცი, რომელიც აქამდის თავით უჯდა და თხილის შტოთი მოუსვენარს ბუზებს უგერებდა, ეხლა მისწვდა და მიაწვინა ისევ. ავადმყოფი დაჰმორჩილდა მოხუცს, რადგანაც მეტის სისუსტისაგან ბრძო-

ლა ველარ შესძლო. ავადმყოფი გადაესვენა საგებელზედ და ცოტა ხანს მიჩუმდა. დედაკაცი კი რაღაცა წარმოუთქმელის მწუხარებით დიდხანს დაჰყურებდა იმას. ბოლოს თვალები თითქოს გაუბრწყინდა, და კილოზედ მარგალიტის მარცვალივით გადმოეკიდა ცრემლი. გადმოვარდა ის, იმას მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე და დაუწყო ნაკადულსავით დენა.

ამ ბებერს მოაგონდა თავისი შვილი, რომელიც ამ რამდენისამე ხანის წინად მტრის უსამართლო ხელს გაეციებინა და გაეციებინა ისე, რომ დედის ხელი ვერც კი მიჰკარებოდა თვალების დასახუჭად.

რამდენადაც ეს მოხუცი მეტს უყურებდა დაჭრილს ვაჟკაცს, იმდენად მეტის მზრუნველობით ეკიდებოდა იმას.

რასაკვირველია, მკითხველები მიჰხვდებოდნენ, რომ ეს დაჭრილი ელგუჯა უნდა ყოფილიყო და იმის მომვლელიც ერთი გულკეთილი მთიული დედაკაცთაგანი.

ცოტა ხანს კიდევ ისე მისუსტებული იწვა ელგუჯა და მერმე წყნარად გაახილა თვალები.

— სადა ვარ, რა ამბავია? — იკითხა იმან დასუსტებულის ხმით და დაუწყო მოხუცებულს დედაკაცს ყურება.

— ნინიასასა ხარ, შე ბედშავო, ნინიასასა! უპასუხა მოხუცმა.

— ნინიაისას? — გაკვირვებით წარმოსთქვა იმან და მერმე დაუმატა: — ვინ ნინია არის, ან რაი მინდა აქა?

— გაყუჩდი, გაყუჩდი! ექიმმა თქვა, ლაპარაკი გაწყენსო.

— მაშ ავადა ვარ?.. ჰო, მეც არ მიკვირდა, ასე ღონე რამ წამართვა, მეთქი... ამ ხელს რაიღა მოჰსვლია, ველარ დამიძვრია კი-და.

— არც რა, არც რა, მაგ მხარეს თუ იწექ და დაგიბუჟდა.

— დამიბუჟდა? კიდევ წყნარად იკითხა იმან და ჩაფიქრდა. იმას ჯერ კიდევ ვერ მიეცა ანგარიში თავის თავისთვის და დასუსტებული სხეული ნებას არ აძლევდა გონებას წარსულის შემთხვევის ანგარიში მიეცა. მერმე თითქოს თავში გაუელვა რაღაცა აზრმა, შესდგა ცოტა ხანს კიდევ და იმას მოაგონდა ყოველისფერი!

— მზალო, მზალო რა უყვეს! -წამოიძახა იმან ისეთის ხმით, რომელსაც ძნელად წარმოიდგენდით ავადმყოფისაგან; ისე ძლიერი, ისე შესაწუხებელი იყო იმისთვის ეს მოგონება, რომ ტკივილები გადაავიწყა და ზეზე წამოდგომა შეიძლო. დედაკაცს შეეშინდა და გარედ გამოვარდა ვისიმე დასაძახებლად. იმას პირველი შეჰხვდა სწორედ ის ყმაწვილი მთიული, რომლის ნაბდითაც მოიტანეს ელგუჯა.

— არიქა, მათიავ! მიშველე, შენი კვნესა-მე, მიშველე! — შესძახა დედაკაცმა.

— რაი ამბავია? დაუძახა მთიულმა და გაეშურა დედაკაცისაკენ, რომელმაც აუხსნა, რაშიაც მდგომარეობდა საქმე.

ის საჩქაროდ შევიდა სახლში, რომელშიაც ელგუჯა პირველის შებრძოლების შემდეგ დასუსტებული ტახტზედ მიწოლილიყო და მკლავისგან სისხლი წავარდნოდა. მათე მიეშველა, გაასწორა ქვეშსაგებზედ, ჭრილობის შეკრულობა გაუმაგრა.

ელგუჯას თუმცა სისხლი შესწყდა, მაგრამ მეტის მწუხარებით ცრემლები გადმოსდიოდა.

— კარგია, იყუჩე! — დასძახა მათიამ და შეიჭმუხა წარბები: — დიაცნი ტირიან, ვაჟკაცი კი სისხლს იღებს, — დაუმატა იმან ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ჰო, მართალს ამბობ, დიაცნი ტირიან, და ვაჟკაცი კი სისხლს იღებს! გაიმეორა ელგუჯამ, მოიწმინდა თვალები, და ამ დღიდგან იმის თვალზედ ცრემლი აღარ გაბრწყინვებულა.

ცოტა ხანმა გაიარა; ელგუჯამ სიჩუმე ველარ გასძლო და იკითხა თავის სანატრელ მზალოს ამბავი.

მათიამ თავიდგან ბოლომდე ყველაფერი უამბო და აუწერა იმისი ამხანაგების, მარტიასი და გიორგის, გმირული სიკვდილი. ბოლოს უამბო მზალოს მდგომარეობა, თუმცა ზოგიერთი დაწვრილებითი შემთხვევა კი დაუმალა, რადგანაც იმას ეშინოდა ამ ამბავს მეტისმეტად ცუდი მოქმედება არა ჰქონოდა ავადმყოფზედ.

— ეხლა ის ქალი სვიმონთან არის და ეგრე უვლიან, ლომისის მადლ როგორც თავის შვილსა, ერთი ჩქარა მორჩი და კიდევ გავიტაცებთ ი

ამ სიტყვებზედ ელგუჯას სიამოვნების ღიმილმა გაუარა პირი-სახეზე, რომელიც ისევ ჩქარა გაჰქრა და წარმოსთქვა:

— რაი-და უნდა მოვრჩე ნახევარი კაცი! ხელი მე აღარ გამაჩნია და ფე

— ნუ გეშინიან, შენი კვნესა-მე, ნუ! ბერდია ამბობს: ისე მოვარჩენო, როგორც დედის მუცლიდგან დაბადებულაო.

მართლადაც, ელგუჯა განსაცვიფრებელის სასწაულით არამც თუ სიკვდილს გადარჩა, არამედ იმის ჭრილობები ისე ბედნიერად მოშხდარიყო, არც ერთს სიცოცხლისათვის საშიშს ან დასახიჩრებულს ადგილს არ შეჰხებოდა.

— გივარგი მომიკლეს, მარტია მომიკლეს, მე რაღად მინდოდა თავი ცოცხალი? — გააგძელა ელგუჯამ და გაახრჭიალა კბილები.

— იმად, რომ იმათი სისხლი აგეღო.

— მართალს ამბობ, მართალს! ღმერთმა იმიტომ გადამარჩინა, რომ იმათი სისხლი ავიღო! და გეფიცები წმინდის გივარგის, თუ ღმერთმა ცოცხალი გადამარჩინა, იმათ სისხლს არ შევარჩენ.

— აი შენი კვნესა-მე, შენი! — გატაცებით წამოიძახა მათიამ: — ვაჟი იყავ და ვაჟური სიტყვაც სთქვი!

— ღონივრები არიან, მათიავ, ღონივრები... რაი ქმნას ერთმა ათასთან? — წარმოსთქვა ელგუჯამ და ისევ დაფიქრდა.

— კაცს კაცზედ მეტი ღონე არა აქვს, შენი კვნესა-მე, არა, ღომისის მადლმა!.. ერთს ერთი ტყვია გააცივებს. ჩვენც თითო გამოვარჩიოთ ხოლმე და მთაში კიდევ არ დალეულა ვაჟები, ძმობილებს კიდევ ვიშოვით.

— ვაჟები კი არიან, მაგრამ პირი აღარ არის, კაცს ველარ გაუგია: ვინ მტერია და ვინ მოყვარე... მაგრამ რაი ვუყოთ, თუნდა დუნია ჩემ მტრად გადაიქცეს, არცვის არ შევარჩენ იმათ სისხლსა.

— ღომისის მადლმა, მეც მოგყვები... ნაღვარევი იყოს თავდები, სადაც შენ მოჰკვდე, მეც შენთან დავლიო სული!

— მთიულნი ვაჟკაცნი ხართ, კაცს არ უღალატებთ, უსამართლობას ვერ მოითმენთ!.. მაგრამ ჩემი გულისთვის ორთ გაიშავეს დღე, ორთ დალიეს უდროვოდ სული, შენ რაისთვის-ღა უნდა გადაგკიდო პირი!

— აბა რა პირი იქნება ამ სიცოცხლეზედ უარესი!.. და ველარ შეგვინახავს და ცოლი! ბარემ სულ დავიხოცნეთ?

— მართალს ამბობ, მართალსა! დავიხოცნეთ, თუ სიკვდილის დღე მოსულა. კაცი ერთხელ დაიბადება, ერთხელ უნდა მოკვდეს... სახელით მაინც დავიხოცნეთ, თუ აგრეა! — წარბებ შეჭმუხვნით წარმოსთქვა ელგუჯამ.

ამ უკანასკნელ სიტყვებზედ შემოვიდნენ კიდევ რამდენიმე მთიული. რომლებიც, მთის ხალხის ჩვეულებისამებრ, მოსულიყვნენ ავადმყოფის საკითხავად. ყველანი მიესალმნენ ელგუჯას და ამ სალამში რაღაცა მოწიწებით ექცეოდნენ. იმ ხალხში იყო გამოხატული ის პატივისცემა, რომელსაც მოიპოვებს ხოლმე უსამართლოების მსხვერპლი და ამ უსამართლოების წინააღმდეგობას თავის გმირულის ვაჟკაცობით დაამტკიცებს.

თუმცა თითონ ელგუჯას დღევანდლამდის არ იცნობდნენ, მაგრამ დღეს ისინი ჰხედავდნენ იმის იარებს, ესმოდათ იმისი ღომური გულადობა, უშიშრობა, — და ეს საკმაო იყო, რომ იმას ხალხის პატივისცემა მოეპოებინა.

უეჭველად ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში, სადაც „ვაჟაი ნახჩი სჯობია“ და სადაც რიგიანი ქალი არ გათხოვდებოდა იმისთანა კაცზედ, რომელსაც თავ-პირი დამახინჯებული არ ექნებოდა დაჭრილობის ნიშნებით.

ლაპარაკი სულ ერთსა და იმავე საგანზედა ბრუნავდა და ეს საგანი იყო ხალხის მდგომარეობა იმ ხანებში. ყველას რომელიმე უსამართლოება და ძალის მიტანა იმათზედ გაეგონა, ყველა იმათზედ ლაპარაკობდა. ყველას ეტყობოდა გულის ღრენა და აშკარა სურვილი შეერთებისა, ერთად შებრძოლება იმ ხალხის შემაწუხებელ მდგომარეობასთან, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა და ისე ფესვებს იმაგრებდა. . ხალხს ერთი იმედი-ღა ჰქონდა და ეს იმედი იყო სვიმონა ჩიფიკაშვილი, რომლის სახელიც, ხალხის რწმუნებით, „ხელმწიფის კარზედ იყო დაწერილი“ და რომელიც ეხლა იმათ მაზრის მმართველად იყო. მაგრამ რა შეეძლო იმას, იმდენ ბედის მძებნელ ხალხთან, რომელთაც ხელი აეღოთ სინიდისსა და ნამუსზე და გამოქცეულიყვნენ საქართველოში, რომ ასცდენოდნენ თავიანთ ქვეყანაში კანონით დასჯას; გამოქცეულიყვნენ საქართველოში, ჩაევდოთ მმართველობა ხელში და ისე შემაგრებულიყვნენ, რომ თითონ მთავრობისაგან დანიშნულ მოთავეებსაც ვერა გაეწყოთ-რა იმათთან.

ამავე ხანში გავარდა ხმა, რომ გიორგი მეფეს ვიღაცა შუა კაცები გაუგზავნია რუსეთში, რომ ეს ხალხი სანდო პირები არ არიან და უეჭველად დაღუპვენ თავიანთ ქვეყანას და ხალხსაო. ეს ხმები უფრო ამღელვარებდა ხალხს, რომელიც დაჩვეული იყო საქვეყნო საქმის ერის დაკითხვით გარდაწყვეტას, და ეხლა კი რაღაცა საჩუმათო ხდებოდა.

ელგუჯა დარწმუნდა, რომ ხალხის აზრი ერთდება, იმათი კანტა-კუნტად ამოჩენილი გულის მღელვარება გროვდება და ეკვანძება ერთმანერთსა; ის დრო, როდესაც ხალხი გრგვინვასავით ერთს ხმად გამოაცხადებს თავის უკმაყოფილებას, შორს აღარ იყო.

როდის იქმნება ეს დღე, როდის? — წამოიძახა ელგუჯამ, როდესაც მარტო მათიასთან დარჩა.

— რაი დღე?

— ის დღე. როცა ყველა ხმალს გაივლებს ხელსა.

— ღმერთმა უწყის!

ამ დროს ნინია შემოვიდა და მეგობრებმა შესწყვიტეს ლაპარაკი.

ნინიას დაფიქრებული პირისახე ამტკიცებდა, რომ რაღაცა საწუხარო ამბავი უნდა სცოდნოდა იმას. ის შემოვიდა, დაჯდა, წყნარად ჯიბიდგან ამოიღო ჩიბუხი, გამობერტყა ხელის გულზედ, მერე ამოიღო ქისა, გაფშვნიტა თამ-

პაქო, ჩაჰყარა ჩიბუხში და ისევ ისე აუჩქარებლად დაუწყო ტალკვესს კვესება. მოუკიდა ჩიბუხს, გამოუშვა რამდენჯერმე კვამლი და ამოიოხრა.

— ელგუჯავ, თუშებში უნდა გაგგზავნო! დაიწყო იმან.

ელგუჯამ კარგად ვერ გაიგო ნინიას სიტყვები და გაშტერებული უყურებდა.

— მართალია, ეხლა შენ დასუსტებული ხარ, მაგრამ, რაი ვუყოთ, ცხოფრივ არ იქმნების... ძველი ნაჩალნიკი ჩასულა ქალაქში და დაუბეზღებიხარ. ეხლა იქიდგან კაცები გამოუგზავნია, რომ — ცოცხალი, თუ მკვდარი — იქ უნდა წაგიტანონ.

— აჰუ, ნინიავ, აჰუ!... მაგისთვის როგორ ჰგზავნი ცოცხალ-მკვდარს თუშებში? — წამოიძახა მათიამ: — ერთს სტუმარს ველარ შევინახავთ? მაშ თავი ცოცხალი რაღად გვინდა? გავსწყდეთ ყველანი და სტუმარი კი შევინახოთ.

— ჰაჰაი! — ჩაცინებით წარმოსთქვა ნინიამ: — ჩვენებურები იყვნენ, კიდევ დაჩვენებდი, როგორ ვატრიალებდი ფრანგულსა, მაგრამ ჯარს რაი ვუყო?... ვერც სტუმარს დავიხსნით და ჩვენს თავსაც უბრალოდ წავახდენთ.

— ეგ უსჯულოები სტუმარზედაც ხელს გვაღებინებენ? არა, ნინიავ, არა! ჩვენი სოფლის სიკვდილი იქმნება, რომ ერთი სტუმარი ვერ შევინახოთ და სხვებს მივაყენოთ კარზედა.

— იყუჩე, ვაჟო! შენ ჯერ ბავშვი ხარ და სისხლი გიდუღს...

— ნინიაისი, შენი სტუმარი ვარ და, რაც გინდა, ის მიყავ! — წარმოსთქვა ელგუჯამ: — შენ უფროსი კაცი ხარ და, რაიცა შენ გინდა, იმას თავს ვინ გადაუვლის.

— ლომისა იყოს მოწამე, რომ არ იქმნების.

— კარგია, მათიავ, წმინდის გივარგის თავით გეხვეწები — გაყუჩდი!.. — მიუბრუნდა ელგუჯა: — მე მოვრჩები, თუ მოვკვდები, უფალმა უწყის, და ჩემით ვის რაი ლა სისხლის დაღვრა გინდათ?.. ისეც ცოტა სისხლი არ დაიქცა!

— სტუმარი, სტუმარი ცხოთ მივაყენოთ კარზედა? — არ ისვენებდა მათია, — სიკვდილი არაა!

— იყუჩე! წარბებ-შეჭმუხვნით და მბრძანებელის ხმით წარმოსთქვა ნინიამ: — დღეს მე ვარ უფროსი და მე აგრე მინდა.

ამ სიტყვებმა თითქოს ენა ჩაუგდეს მათიას, რომლისთვისაც, როგორც ყველა მთის ხალხისათვის, უფროსის ბრძანება, უფროსის ნება ხმაამოუღებლად და გადაუბრუნებლად უნდა ასრულებულიყო.

განა მე კი არ მესმის, რომ ესეთის ავადმყოფის ცხოთა კარს მიყენება სირცხვილია, მაგრამ გაჭირებამ მოიტანა და აგრე უნდა იყოს... შენ, მათიავ, ამაღამ მოამზადებ რამდენსამე მარჯვე ბიჭებს და გაისტუმრებ ხარანაულისას... ისე კი წადით, რომ გუდამაყრის ხეობას ღამე ჩაგყვესთ და მერმე ფიქრი აღარ გინდათ!

როგორცა სთქვა ნინიამ, ისე მოიქცა მათიაც. საღამოსთვის მოამზადა რამდენიმე მთიულის მარჯვე ბიჭები, გააკეთეს, დაწნეს ფოთლიანი თხილის შტოების საკაცე, სილბილისთვის ზედ გაშალეს თივა და ზეიდგან ნაბადი. ყველა ამ სამზადისში ეტყობოდა წარმოუდგენელი მზრუნველობა.

როდესაც ყველაფერი მომზადდა, მათია შევიდა ელგუჯასთან და დაითხოვა დედაკაცები, რომლებიც იქ ისხდნენ. მარტოკა რო დარჩნენ, მიუბრუნდა ელგუჯასა და უთხრა:

— ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... ვინ იცის, ვინ მოკვდება, ვინ დარჩება!.. სათქმელი თუ არა გაქვს-რა?

— მათიავ, ღვთის მადლმა, ძმაზედ უკეთესად გიყურებ მე შენა...

— შენს მოღალატეს მტერზედ მოქნეული ხმალი ტარშიმც გაუტყდება, — უპასუხა მათიამ.

— აბა, რაი დაგიმალო, ვინ იცის, რამდენს მთას იქით მივდივარ და გული კი აქ მრჩება...,

ლომისა შეგეწევა, ჩქარა მორჩები და ისევ აქ მოხვალ.

— მოვრჩები, თუ არა, — ეგ უფალმა უწყის, მაგრამ გული კი მიღონდების აქედგან წასვლით.

რადა, შენი კვნესა-მე, რადა?

— ვაჟკაცისთვის გულჩვილობა სიკვდილია, და ცხოს არც ვეტყოდი, მაგრამ შენ რაი დაგიმალო: მიყვარს, ძალზედ შემიყვარდა.

— გიყვარდეს, შენი კვნესა-მე, გი!.. გული ცხოს როდის ეკითხების.

სანამ აქ ვიყავ, ასე მგონია, ის ჩემთან არის. მეთქი, დამშვიდებული ვიყავ და ეხლა!.. — ჩაიქნია ხელი და ამოიოხრა.

— ეხლა რაიღა?

— ეხლა თითქოს გულიდგან რაღაცა მწყდების! აქამდისინ ხმა მაინც მოდიოდა იმაზედ, ეხლა ვინ-ღა რას შემატყობინებს, ვინ-ღა რას გამაგებინებს!

ღმერთი იყოს შენი თავდები, როგორც ძმა, ისე დავიჭერ იმაზედ თვალყურსა... შენ ნუ-რა გენაღვლება-რა... ჩვენი ხალხი სულ მიდის-მოდის თუშებში, და სიტყვას მოგაწვდენ ხოლმე.

— არიქა, არიქა, მათიაისი, თორემ სულ დავილევი, - წამოიძახა ავადმყოფმა.

— შენთვის ძმა დამირქმევია და, თუ შენს გულის საყვარელს ვუღალატო, დედის ძუძუსთვის მეღალატნოს!..

— შენი ჭირიმც დამილევია, შენი! ეხლა თუნდ ცის კიდურთან გავალ, ჯავრი აღარ მექმნება .. არას გაუჭირებ, თუ შენ ცოცხალი იქმენ.

— ცხო რაღა გინდა, მითხარ?

— ცხო?.. წარმოსთქვა ელგუჯამ და დაიწყო აჩქარებული ქშენა.

იმას ეტყობოდა, რომ ეს ლაპარაკიც სირცხვილისაგან უჭირდებოდა და ეხლა უფრო ძნელად წარმოსათქმელი სიტყვები მოსდგომოდა გულს. მათიამ შეამჩნია ეს მდგომარეობა.

— რად მიმალავ რასმე, რად არ მეუბნები?.. განა შენი ძმა არა ვარ?.. როგორც ღმერთს არ ეღალატება, ისე შენ! თუ არ მენდობი?

აჰუ! მაგას როგორ ამბობ?! შენც რომ არ გენდო, მაშ ვიღას ვენდო?

— კარგი, მითხარ ყველა.

— აგრე, აგრე!.. არას დაგიმალავ... მზალო დიაცია, დიაცი მალე მოტყვდება... მაშ შენი წამოსვლა ჩემთან საჭირო არ არის; მე რაი მინდა, თქვენებურებიც წამიღებენ და შენ კი ქვეშეს გადი.

— მერე?

— ნახე, როგორც იყოს, ნახე! უთხარ, რომ ცოცხალი ვარ, მე ისევ ისე მიყვარს და, თუ ღმერთმა გადამარჩინა, თავს არ დავანებებ... მაგრამ... მაგრამ, თუ მიღალატა, თუ ქვეყანაში გამაწბილა, ქუდი მომხადა, მაშინ... მაშინ იმას ორი თვალის მეტი ველარა იხსნის-რა.

— კარგი, შენი კვნესა-მე! წავალ, სიცოცხლეედ რომ დამიჯდეს, ვნახავ და ვეტყვი, ყველას ვეტყვი...

— მე ვიცოდი, რომ შენ დამიჯერებდი! — წარმოსთქვა იმან და თვალები გაუბრწყინდა სიხარულის ცეცხლით.

მზალოს მისწვდებოდა იმისი სიტყვები, ის გაიგონებდა და თავის ტუჩებით წარმოსთქვამდა ელგუჯას სახელს! განა მეტი ბედნიერება იქმნებოდა შეყვარებულისთვის?

იმ წუთებში ის ისე გატაცებული იყო ამ ფიქრებით, რომ მზალოს მშვენიერი სახე, ნაზი ტანი, ყუყუნა თვალები ეხატებოდა გონებაში და ისიც შესცქეროდა გატაცებით, გაუმაძღრად წარმოდგენილს სურათს; ჰკოცნიდა და ჰკოცნიდა იმას და ბოლო აღარა ჰქონდა ციურს სიამოვნებას!..

მთიულებმა, რომელნიც შემოვიდნენ და მოაგონეს წასვლის დრო, გამოიყვანეს ელგუჯა ამ ტკბილი ოცნებიდამ...

ყველანი მოემზადნენ, ელგუჯა წყნარად ჩააწვინეს საკაცეში, რომელიც ასწია ოთხმა ღონიერმა მთიულმა, და გასწიეს. აქეთიქით მისდევდნენ ათ-თორმეტი მთიული თოფებით. ყველაზედ წინ მიუძღოდა მათია, როგორც ბელადი.

ასე მიდიოდნენ იმ ადგილამდის, სადაც გზა უნდა გაყოფილიყო და მათია ქვეშისაკენ გაბრუნებულიყო. იქ ცოტა შეისვენეს.

მათიამ დაუძახა ყველას, რათა დაეცალათ ტყვიები და ძმად გაფიცულიყვნენ როდესაც ყველა ეს გაათავეს, ერთბაშად წამოიძახა:

— დედამც შეურთავს ცოლად, ვინც ერთმანეთს უღალატოს!

დედამც შეურთავს!.. — გაიმეორეს სხვებმა და გაემართნენ თავიანთ გზას: მათია — ქვეშესაკენ და დანარჩენნი თუშებისაკენ.

მზალო შევიდა სვიმონის სახლში სრულიად დარწმუნებული, რომ მოსვენებას მოიპოვებდა და დრო დარჩებოდა ეფიქრა სანატრელს ელგუჯაზედ და თავის მდგომარეობაზედ, მაგრამ იმედმა უღალატა.

მართალია, თვითონ სვიმონ ექცეოდა ტკბილად, იმისი ცოლი ეალერსებოდა მზრუნველის კეთილის გულით, მაგრამ სახლობაში, რომელნიც გავსებული იყო სხვადასხვა დამონებულის, ხასიათ-გაფუჭებული მოსამსახურეებით, ათას გულშოსაკლავს და დამჩაგვრელს უსიამოვნობასა ჰხედავდა. იმას აშკარად დასცინოდნენ, მასხარად იგდებდნენ იმის წარსულს უბედურებას ძველ ნაჩალნიკთან, და ეს ყველა იბადებოდა შურისაგან.

ყველასა ჰყვანდა თავის ამორჩეული, ყველა უარშიყდებოდა ვისმე და ისინი კი აშკარად უპირატესობას აძლევდნენ მზალოს, და ეს ცოტა მიზეზი არ იყო, რომ აეთვალწუნებინათ საბრალო ქალი.

თუნდა ეს ასეც არ ყოფილიყო, რამდენისამე დღის უბედურებამ მზალოს ისე გაუტეხა გული, რომ თითონაც ეჭვიანი, დაუნდობელი შეიქმნა, და ყველგან თავის თავზედ სიცილს ჰხედავდა.

მართლაც, რა იქმნება ისეთი სატანჯველი, როდესაც კაცს იქამდის გაუტყდება გული, პირდაპირ ველარ შეჰხედოს მეორეს იმ შიშით, რომ სხვის სახეზედ დაცინება არ დაინახოს?

ამას გარდა იმის სატანჯველს ემატებოდა კიდევ ელგუჯაზედ ფიქრი, რომელზედაც ხმა მისწდომოდა და იცოდა, რომ ის არ მომკვდარა და, დაჭრილი, ვილაცა გულკეთილი მთიულის სახლში წევს.

— არ მომკვდარა, მართალია, მაგრამ იქმნება იმ დროს, როდესაც ის ზედ ჰფიქრობდა, ელგუჯა სულმობრძავი იყო, სულსა ჰლევდა... იქმნება უკანასკნელ სიტყვებში სიყვარულით ახსენებდა მზალოს სახელს! ჰფიქრობა ის და ეს ფიქრები ნეტარების და მწუხარების ჟრუანტელს დაუტარებდა ანში... მერმე წარმოუდგებოდა: თუ ელგუჯამ იცის იმისი უბედურება, თუ ზიზღით და წყევლით ახსენებს იმის სახელს, — და ეს ფიქრები ლახვარსავით უვლიდა გულში.

ვერავის ანდობდა თავის გულის დარდს, ვერავის უბედავდა, და ყველა წუხარება უგროვდებოდა: ეს ამძიმებდა და ერთიორად მეტად სტანჯავდა.

ამბობენ, — და სწორეც არის, — რომ კაცის მწუხარებას ისე ვერა შეამსუქებს-რა, როგორც მოლაპარაკება, მინდობა მეორე პირთან ამ თავის მწუებისათ. მზალოს კი ისეთი პირი არავინ ჰყვანდა და ყველა ფიქრი, ყველა აზრება უნდა ჩაბექდილიყო იმის გონებაში, გრძნობიანი გულის ცეცხლით ქოს გამომცხვარიყო ის და, სამუდამოდ მეჩოთირე, მტანჯველ გრძნობად ჩენოდა გულში.

ერთს მთვარიანს საღამოს, მზალო გამოსულიყო და იქვე სახლთან მღვ ლის ხესთან თავის ფიქრებს ძლეოდა. მშვენიერი ბუნება კაცის გრძნოს უალერსებდა რაღაცა გულდამამშვიდებელის ძალით. ზაფხულის სითბო შეცლებოდა მსუბუქის ნიავით, რომელიც ნაზად გაურბენდა ფურცლებს და ამოვნო შრიალს ასტეხდა. აქაიქ მოფენილი ყვავილები დამატკბობელს სურებას გამოსცემდნენ, აძლევდნენ ქარსა და ისიც ჰფენდა ყოველს ალაგას. ლომაზლო წყარო ჩამოჩხრიალებდა და თითქო ნანას ეუბნებოდა დაძინებულს ბას.

მზალო იდგა და შესულიყო რაღაცა უგრძნობელ მომხიბლველს მდუმაბაში

იქვე ახლოს მყოფი ბუჩქები თითქოს ქარისაგან შეინძრა და ისეც გაჭრა მზალოს წინ. ქალი ისე შეჰკრთა, ისე შეაშინა ამ მოულოდნელობამ, ხმა ველარ ამოიღო და გაშეშებულსავით დარჩა თავის ალაგას.

— შენ და ღ მე ძმა! — შესძახა კაცმა მისვლის უმალეს.

— რა გინდა ჩემგან, ვინა ხარ? თავი დამანებე! შეშინებულის და მთრთოეს ხმით ეუბნებოდა ქალი: — მაშორდი, თორემ დავიყვირებ!

— იყუჩე, ქალაუ!.. სამშვიდობოდ მოვსულვარ!.. შენს მოღალატეს ლოუღალატოს!

ქალს კიდევ ვერ გაეგო, რას ელაპარაკებოდნენ და ყოველის ღონისძიებითა ცდილობდა თავიდგან მოეშორებინა ეს კაცი.

შენი არა მინდა-რა, გამიშვი, გამიშვი!

მე ძალადობას არ ვხმარობ დიაცთან ძალადობა რა ვაჟკაცის წ[illegible]

- მაშ რა გინდა, რა?.. რაისთვის თავს არ მანებებ?

იმისთვის, რომ სიტყვა მაქვს, ელგუჯამ დამაბარა.

- ელგუჯამ! - გიჟსავით წამოიძახა და გაშტერებულმა. დაუწყო ყ[illegible] მთიულს მათიას.

-- ჰო, ელგუჯასვანა! ის ჩემთან ძმად ნაფიცია, შენც და-ძმობას [illegible] ნები.

ელგუჯა, ელგუჯა!.. მაშ გადარჩა, კარგად არის, არ მომკვდარა? გულის კანკალით ჰკითხავდა მზალო.

-- ღომისის მადლმა, რომ კარგად არის: სულ შენზედ ლაპარაკობს, სუ[illegible] შენს გონებაშია.

მაშ უყვარვარ?!.. არ დავიწყებივარ? მითხარ, გაფიცებ რაც კი [illegible] გყავს.

— ელგუჯაი ვაჟაია, ვისაც ერთხელ შეიყვარებს, სამარეც ველარ [illegible] ავიწყებს.

- მორჩება? კარგა შეიქმნება?.. მითხარი! ოჰ, ღმერთო! აგრე [illegible] რად ჰლაპარაკობ? - ეუბნებოდა მზალო, რომელსაც უნდოდა, რომ განუ[illegible] ლივ ეამბო იმისთვის ყველაფერი დაწვრილებით, რაც კი შეეხებოდა [illegible] ჯას ცხოვრებას, და ეს სურვილი ისე ძლიერი იყო, რომ ლაპარაკსაც [illegible] ლიდა მათიას, წამდაუწუმის კითხვით საუბარს აწყვეტინებდა.

- ელგუჯა ეხლა თუშებში გავგზავნეთ: იქ უფრო უშიშარს ალაგ[illegible] ნება და წამს სრულებით მორჩება, მაშინვე ჩამოვალთ და წაგიყვანთ. [illegible] მაბარა ელგუჯამ: ჩემი ფიქრი ნუ გექმნებისო, მე ეგრე არ დაგაგდებო... [illegible] ლო. შენც არ დამივიწყოო.

- წამიყვანე, წამიყვანე, ეხლავ!... ის ავად იყოს და მე გვერდი[illegible] ვყვანდე, რაი ჩემი სიცოცხლეა!

იყუჩე, იყუჩე! შენი წაყვანა ეხლა საით იქმნება?.. შენ რომ იქ იქ[illegible] ელგუჯა შენის ცქერით სულ დაილევა.

მაშ რაი-ღა მეშველება მე დალუპულსა? საით-ღა უნდა გავუძლ[illegible] უნახაობას?.. რაც იმას მომაშორეს, ეხლა პირველად მესმის იმაზედ ასე დ[illegible] რილებით ამბავი.

ღომისა იყვეს შენი თავდები, ოღონდაც შენ მშვიდობიანად იყავ და მალ-მალ შეგატყობინებ ელგუჯას ამბავს.

— ჰო, ჰო! შემატყობინე! მადლია შენთვისაც...

მაშ მშვიდობიანად იქმნები? დაიფიცე!

— ოღონდაც ელგუჯას მშვიდობიანად ნახვა მეღირსოს, და მე... მე ცხორაი-ღა მინდა?

ამ მუსაიფით გაათავეს და დასდვეს პირობა, რომ მათია ყოველ შაბათს ოვა და საღამოობით მზაღოსთან ერთად შეიყრებიან ამ წიფლის ქვეშ. ამ პირობის შემდეგ ისინი გაიყარნენ, მზაღო დამშვიდებული, რამდენადაც შეიძლება დამშვიდება იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ის იყო, და მათია კი — ითქოს გახარებული თავის მეგობრის სურვილის აღსრულებით.

მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ამ გაყრის შემდეგ მათიას ნამდვილი ხარულის მაგივრად, რაღაცა სევდა მოაწვა გულს და თითონაც ვერ გაეგო, უ რასა ჰგრძნობდა და რა უნდოდა?...

ამ დროსვე სვიმონის სასტუმროში იყვნენ შეყრილნი თემის უფროსი კაცები, რომელთაც სისხლის სამართალი გარდაეწყვიტათ ელგუჯასა და სიმონისთვის. ყველანი ჯოხებით, თმა-წვერ-გათეთრებულები, ისხდნენ სკამებზედ და დამშვიდებულ დარბაისლურად სჯიდნენ ამ საწუხარო შემთხვევას. ერთი, ყველაზედ უფროსი, ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას და დანარჩენები ისეთის კრძალვით და პატივისცემით ეპყრობოდნენ იმას, რომ კაცი გაშტერებული დარჩებოდა.

იქ იყვნენ მოწმები, მოჩივარი სვიმონ ჩოფიკაშვილი და ელგუჯას შორეული მოკეთეები, იმის მხრით მოლაპარაკენი.

სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი, თითქოს ცალ-ცალკე კრებას შეადგენდა და ჩუმად სჯიდნენ, ლაპარაკობდნენ გასარჩევ საქმეზე; მოხუცი თავმჯდომარე წამოდგა, მოიხადა ქუდი, წყნარა პირჯვარი გადაიწერა და სთქვა:

— სმენა იყოს და გაგონება!

ერთბაშად ყველანი წამოდგნენ და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ კაცი ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდა.

— ხალხნო და ჯამაათნო! თქვენ ყველამ იცით, რაისათვისაცა ხართ აქ შეყრილი. ორი მოსისხლე გვარი უნდა გაასამართლოთ... თუ ვინმე ერთ-ერთი ხრის ან მოწინააღმდეგე ხართ, ან მოკეთე, მაშორდით თემის ყრილობას: აცის გული რბილია! მიდგომ-მოდგომით არ წარმოსთქვათ... თორემ ცოდოა ალხის წინაშე სირცხვილი... საიქიოს ჯოჯოხეთი ერგების იმას, ვინაა ეგე-

თი, გაგვშორდით! ვინაა ეგეთი, გაგვშორდით!... ვინაა ეგეთი, გაგვშორდით!

ამ სიტყვების შემდეგ რამდენმამე კაცმა დაიხურა ქუდი და გავიდნენ საბჭოდგან.

ამას შემდეგ მოხუცმა ისევ დაიწყო:

— ღმერთო დიდებულო, ღმერთო! ხევ-მთიულეთის ჯვარ-ანგელოზნო! თქვენ წინაშე აქა ვართ შეყრილი თემის ხალხი... თქვენ მოგვეცით ძალა და ჩაგვაგონეთ, რომ ჩვენის უგუნურობით, უსამართლობა რაიმე არ მოვახდინოთ!

ამინ, შენს მადლსა! —დაიძახეს დანარჩენებმა.

და თუ ჩვენში გამოვიდა ვინმე ისეთი, რომ მიდგომით სიტყვა დახარჯა, სწორე ჩვენება არ მოგვცა, რაიმე დამალა, -თქვენი რისხვა გააყოლეთ შვილის შვილამდე.

-- ამინ, შენს მადლსა! -კიდევ იყო ხალხის პასუხი.

ისეთი კაცი გამოაკლე ტოლ-სწორებს, აცოცხლე დიდიხანს, მაგრამ სამასხაროდ გახადე, მოსვენებას ნუ მისცემ!

— ამინ, შენს მადლსა!

— აბა ახლა კი დასხედით, თქვენს ღმერთს შეხედეთ, თქვენს სულს გაუბრთხილდით, დაფიქრდით და ისე თქვით!

ხალხმა დაიხურა ქუდები და მშვიდად დალაგდა. ყველას პირი-სახეზედ ეტყობოდა განსაკუთრებით დაკვირვება თავიანთ მოვალეობაზედ და ესმოდა კარგად, რა მნიშვნელობაც ჰქონდა იმათ სიტყვებს მთელს ორ საგვარეულოსთვის.

პირველად გამოიწვია თავმჯდომარემ სვიმონ ჩოფიკაშვილი, როგორც მოჩივარი. სვიმონ გავიდა შუა ადგილს, მოიხადა ქუდი, დაიჩოქა ცალ მუხლზედ და დაიწყო თავისი საჩივარი, რომელშიაც გამხატა გაგის სიკვდილის მიზეზში ამტყუნებდა ელგუჯას და ითხოვდა გასამართლებას.

იმის შემდეგ გამოწვიეს ელგუჯას შორეული ნათესავები, როგორც დამცველები იმის გვარეულობის ინტერესისა.

ისინიც, როგორც სვიმონ, ისე გავიდნენ შუა ადგილას, დაიჩოქეს და ამტკიცებდნენ, რომ ელგუჯას ხელით არ იყო მოკლული გაგი და სისხლის ძიება ამ შემთხვევაში არ ეკუთვნოდა ჩოფიკაშვილებს.

როდესაც ორთავ მხრისაგან მოისმინეს ჩვენება, თავმჯდომარე ისევ წამოდგა და საჭიროდ დაინახა რამდენისამე სიტყვის წარმოთქმა.

— ხალხო, სმენა იყოს და გაგონება!.. დღეს ჩვენ ისეთი დღე მოგვადგა, რომ ჩვენ თითონაც ვეღარ გაგვიგია, რაი ჭირი დატრიალდა?! ალა-მაჰმადის დროსაც არ გვქონია ეს გაჭირვება... გეხვეწებით ამ მოხუცის თავით, უბრთხილდით ერთმანეთს, უბრალოდ მტრობას უბრთხილდით! იქმნება ხვალ და ზეგ ეგეთი დღე დაგვადგეს, რომ თითოს თავი ათასად დაგვიფასდეს. . მშვიდობიანობას ეცადეთ, თქვენი ჭირიმეთ, მშვიდობიანობას!

ამ სიტყვების შემდეგ გამოიწვიეს მოწმები, რომელთაც ჩამოართვეს ჩვენება.

მერმე დაიბარეს მზალო, როგორც ერთი უმთავრესი მოწამე, რომლისაგანაც გაგება უნდოდათ — ძალით იყო გატაცებული, თუ ნებით გაჰყვა თავის საქმროს. მაგრამ ქალი ვერ დააჯერეს და იმის საკითხავად ორი კაცი გაგზავნეს, რომელთაც მოიტანეს შემდეგი პასუხი:

— ის ქალი ამბობს, რომ თავის ნებით გაჰყვა, უყვარდა და იმისთვის; რომ ღვთისგან იმედი არა ჰქონდეს ელგუჯას გადარჩენისა, მაშინ ის თავს მოიკლავდა, რათა საიქიოსაც კი იმას არ მოჰშორებოდა.

ამ პასუხის შემდეგ ბჭეების მეტი ყველანი დაითხოვეს და დაიწყეს განსჯა და აწონა ყველა ჩვენებისა და გაგონილისა.

რაკი მოსამართლენი მარტოკა დარჩნენ, ისევ დაიყვნენ ჯგუფებად და იწყეს ერთმანეთში მოლაპარაკება.

მერმე შეგროვდნენ ისევ, უხუცესმა დაიჭირა თავისი ადგილი, სხვები უფროსობით ჩამომწკრივდნენ გვერდით და უფროსობითვე დაიწყეს თავიანთის აზრის წარმოთქმა. ასე რიგად გასტანა რამდენიმე საათმა, რომლის შემდეგაც დაიბარეს მოჩივარ-მოპასუხის მხარე თემის ყრილობის გარდაწყვეტილების გამოსაცხადებლად.

როდესაც ისინი შემოვიდნენ და ადგილი დაიჭირეს, უხუცესი წამოდგა და უთხრა მოჩივრებს შემდეგი:

— თქვენის თხოვნით და სურვილით ჩვენ შევიყარენით აქ თემის კაცნი და რაიცა უფალმა გვაგონა, ისე გავასამართლეთ. ჩვენი გარდაწყვეტილება უნდა მტკიცედ ასრულდეს თქვენგან და, თუ ვინმე მოინდომოს თემის გაუგონრობა, ის გაგდებული იქმნების თემისაგან, აღარ ჩაითვლების ჩვენ სისხლად და ხორცად; აღარც ექმნების ადგილი ჩვენ კერასთან. უნდა დაიფიცოთ ამაზედ!

რაისთვის არა, დავიფიცავთ!.. თემის სიტყვა საით გატყდების! — უპასუხეს მოჩივრებმა.

შემოიყვანეთ დეკანოზები, ბრძანა თავმჯდომარემ. ამ სიტყვებზედ შემოვიდა ორი დეკანოზი, რომელთაგანაც ერთს ეჭირა ხელში მერდინის დროშა, რომელზედაც ასხმული იყო სხვადასხვა სიდიდის ხატები, ჯვრები, ზარები და სხვადასხვა შეწირული ნივთები, მეორესაც ვერცხლის ჯვარი მერდინშივე შეხვეული. იმათ შემოსვლაზედ ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და ქუდები მოიხადეს. დეკანოზები მივიდნენ და დადგნენ უხუცესის აქეთიქით. ყველანი რომ დამშვიდნენ, ისევ უხუცესმა დაიწყო პირველი სიტყვა:

— მოდით, დაიფიცეთ!

— მოჩივრები მივიდნენ, პირჯვარი დაიწერეს, მუხლი მოიყარეს და ხელი მოჰკიდეს დროშას.

ღმერთო დიდებულო! — დაიწყო ერთმა დეკანოზმა: — ღმერთო, ივანე ნათლისმცემელო, წვერისა სპარსთა-ანგელოზო, ხევის სამებაო, ღუდის ყოვლად-წმიდაო, ლომისის მთავარ-მოწამეო, შენი მადლი შეაწიე ამ ხალხსა!

— ამინ. შენს მადლსა! იყო პასუხი.

— შენ არიდე შფოთი და მწუხარება, შენ ჩამოაგდე ამის შემდეგ მშვიდობიანობა ჩვენ თემობაში!

— ამინ, შენს მადლსა!

— საშვილიშვილოდ გააყოლე შენი წყალობა საქართველოს ერთგულსა, თემის პირის შემნახსა, ძმა-ნათესავის გამტანსა, საწყალის შემბრალებელსა, მშვიდობიანობის დამთესსა!

— ამინ, შენს მადლსა!

თემის პირის გამტეხს კი, ნათესავის დაუნდობელს, მამულის და მეფის მოღალატეს ნუ მისცემ ნურსად მოსვენებას!

— ამინ, შენს მადლსა!

— ნუ მისცემ ამისთანა კაცს ნურც სახლს, ნურც თავშესაფარს, ნურც კეროს, ნუ მოაკვლევინებ ნადირს, ნუ გაამარჯვებინებ მტერზედ!

— ამინ, შენს მადლსა!

— აბა, ემთხვიეთ ხატებს! — გაათავეს დეკანოზებმა და დააჟღრიალეს ზარები.

ხალხი, რომელიც აქამდის დაჩოქილი იდგა, ეხლა წამოიშალა, მოჩივრები კრძალვით და მოწიწებით ემთხვივნენ დროშას, ჯვარს და დაიჭირეს ისევ თავიანთი ადგილი.

უხუცესი (თავმჯდომარე) წამოდგა და კრების შემდეგი გარდაწყვეტილება გამოაცხადა:

„ელგუჯამ მართალია ქალი გაიტაცა და ამითი სირცხვილი მიაყენა ფიკაშვილის სახლს, მაგრამ ძალადობა არ უხმარია, და ქალი თავისის ნე- ით წაჰყოლია.

„გაგი შეჰხვედრია წინ და თავისის სახლის პატივის დაცვისთვის შეჰბმია ლგუჯას, და იმასაც თავის ამხანაგებით თავიანთ თავის დასაცველად იარაღი მარია, რომლის შედეგიც რამდენისამე კაცის სიკვდილი ყოფილა.

„ელგუჯას გაგის ცხენი დაუჭრია და ამ მიზეზით გაგი გადავარდნილა ლდეზედ და დამსხვრეულა.

„მერე რუსის ჯარებს დაუხოცნიათ ელგუჯას ამხანაგები, თითონ ელგუ- მძიმედ დაუჩეხიათ და ქალი წაურთმევიათ.

„ჩვენ ჩვენის გონებით, ჩვენის ჭკუით გავასამართლეთ ეს ხალხი და გა- ვწყვიტეთ:

„რადგანაც გაგის ამალაში დახოცილები ორი ყოფილა ჩვენებური, ელ- ჯას ამხანაგების სიკვდილი იმათ სისხლში.

„გაგის კლდეზედ გადავარდნა არ არის პირდაპირი ელგუჯას ხელით სიკვ- ლი, და სისხლი არ ეძიება ამისთვის. ამის სამაგიეროდ ელგუჯას ჩამოერ- ას მამული და მიეცეს სვიმონ ჩოფიკაშვილს... სვიმონმა თავის მხრით გაი- ას ელგუჯას სააქიმო.

„ელგუჯას ნათესაობა, თემის კაცების დასწრებით, მოვიდეს ხარითა და უდით გაგის საფლავზედ შესახვეწად.

„ქალი დარჩეს სვიმონს, როგორც ნასყიდი, და, თუ ელგუჯამ წაყვანა ინდომა, ურვადად გადაგვიწყვეტია ორმოცი ძროხა.

„ამის შემდეგ ელგუჯას და სვიმონის გვარეულობაში ჩამოვარდეს ძმობა, ობლობა და სიყვარული“. ეს სიტყვები ყველასაგან მიღებული იყო წესიე- ს მორჩილებით, და მასუკან გაიშალა „სიფრო“ პურის საჭმელად, რო- ლზედაც სადღეგრძელოები უწყვეტლივ ისმოდა.

მზალო გულის კანკალით ელოდა ამ გარდაწყვეტილებას, თუმცა წინადვე იმედებული იყო სვიმონისაგან!..

წარმოიდგინეთ ქალის სიხარული, როდესაც იმან გაიგო, რომ ელგუჯას ცოცხლეს აღარავინ შეეხებოდა და ისიც ცოცხალი დარჩებოდა მართალია, არ არგუნეს ელგუჯას და ურვადი ისეთი დაუდვეს, რომ იმის გარდახდა უძლებელი იყო, მაგრამ, გათხოვების ნება რომ მიეცათ გათხოვდებოდა ანა თითონ? ეგ თითონაც კარგად არ იცოდა, თუმცა მზად იყო დღესვე თა- შეეწირა თავის სიყვარულის საგნისთვის.

ამჟამად იმას დაჰვიწყებოდა თავის თავი და მხოლოდ თვალწინ ედგა ელგუჯას სიცოცხლე, რომელსაც ბედნიერების მოპოება შეეძლო.

გაიარა ამ ღამემ და იქ მყოფთ ცხოვრებამ მიიღო ისევ ჩვეულებრივი მდინარეობა: მუშა ხალხისათვის დადგა ისევ ის მთრთოლარე მოუსვენრობა, რომელიც თითქმის ჩვეულებად გარდაექცათ იმ უბედურ წლების ხალხს.

ერთს დღეს მზალო გარედ იჯდა და საჩოხე მატყლსა სჩეჩდა. იმას გვერდით ეჯდა ჯაჯალა. ის დედაკაცი, რომელიც მზალოს პირველ მოყვანაში ალერსიანის სიტყვით შეჰხვდა. ჯაჯალა ამ დღეებში მოსულიყო მეორე სოფლიდგან და ისევ თანაგრძნობით ექცეოდა, ისევ ისე გულმხურვალედ ეკიდებოდა მზალოს საქმეს და მდგომარეობას, როგორც უწინ.

როდესაც ისინი ერთად მუშაობდნენ და ერთმანეთს უამბობდნენ სხვადასხვა ამბებს თავიანთ ცხოვრებიდგან, ერთბაშად სიტყვა გაწყვიტეს, ფეხზედ წამოდგნენ იმათ დაინახეს სვიმონა, რომელიც იმათკენ მიდიოდა.

დედაკაცებს რომ გაუსწორდა, ის შესდგა და ჯაჯალა წყლისთვის გაგზავნა, რომელიც სირბილით გაეშურა თავის ბატონის ბრძანების ალსასრულებლად.

მზალო და სვიმონ მარტონი დარჩნენ: ეს უკანასკნელი მიუბრუნდა ქალს:

— მადლობელი ხარ თემის გარდაწყვეტილებისა? სისხლი ალარ დაიღვრება. თემი გონიერია, შენი წყალობა ნუ მომიშალა ღმერთმა!

— არ იცი ეხლა, სად არის ელგუჯა?

ამ კითხვაზედ ქალი შეშინდა, ეგონა, რომ სვიმონ სისხლის საძიებლად ეძებდა იმის სადგურს, და გაფითრდა.

— ნუ გეშინიან, მითხარ! მე სიტყვა მოგეც, რომ იმის სიცოცხლე დაფარულია... თუნდა ეგრეც არ ყოფილიყო, თემის გარდაწყვეტილება ჩემთვის გაუტეხელია.

— მე რაი ვიცი?—კიდევ უნ[illegible]ბად წარმოსთქვა მზალომ.

— შენ იცი და, თუ იმისთვის კეთილი გინდა, უნდა გამაგებინო.

— არ ვიცი, არა, შენი ჭირიმე!

— არ გინდა სთქვა, შენი ნებაა,—მე ძალას ალარ დაგატან, მხოლოდ იმას კი გეტყვი, რომ შეატყობინო, მოშორებით წავიდეს. მე თითონაც გავაგებინებდი, მაგრამ მეშინიან, ხალხში არ გავარდეს ხმა, რომ მე ვიცი, საცა ელგუჯა იმალება.

— თემმა ხომ მოგარიგათ, შენ ხომ ალარ ემტერები, და რისი ლა უნდა ეშინოდეს?

-- შენ ბავშვი ხარ ჯერა... მე მყავს მტრები და ჩემი მტრები ელგუჯას მტრებიც არიან.

— მე არ მესმის, რას ანბობ?

– ამას, რომ ძველი ნაჩალნიკი ჩავიდა და ცდილობს -ყველანი დაარწმუნოს, რომ ელგუჯამ ჩემის დარიგებით მოჰკლა გაგი, და ვითომც ელგუჯას ეხლა მე ვმალავ...

— მაშ რაი-ღა გვეშველება? შეშინებით წარმოსთქვა მზალომ.

-- ისა, რომ, როგორც იყოს, გააგებინო ეს ამბავი ელგუჯას, ის გიჟი არაა, თითონ იპოვის საშუალებას.

-- ვისის პირით შევთვალო, საით გავაგებინო?--კიდევ იეშმაკა მზალომ.

— ეგ ჩემი საქმე არაა... - უპასუხა სვიმონმა ისეთის კილოთი, რომ ადვილად დარწმუნდებოდით, რომ იმან ყველაფერი იცოდა, მაგრამ არ უნდოდა რომელიმე მოსაზრების მიზეზით თითონ ემოქმედნა.

სვიმონ წავიდა. რაწამს ის მოეფარა იქვე აშენებულს საიასაულოს, ჯაჯალა სირბილით მოვიდა და ლიტრით მოიტანა წყალი.

-— რა იქმნა ბატონი?

—- წავიდა... იმან შენ განგებ გაგგზავნა, ჩემთან ლაპარაკი უნდოდა... -უპასუხა მზალომ და გარდასცა, რაზედაც იმათ ლაპარაკი ჰქონდათ. მერმე გამოუტყდა, რომ წარსულ შაბათს ერთი მთიული, სახელად მათია, იყო და იმან ყველაფერი უამბო ელგუჯაზედ.

მერმე ლაპარაკი გადავიდა სხვადასხვა საგნებზედ, რომელიც შეეხებოდა იმათ წარსულ ცხოვრებას. მზალოს ეჭირვებოდა ისეთი მეგობარის მიშველება, როგორიც ჯაჯალა იყო, რადგანაც იმის გულს ამდენი მარტოობა აღარ შეძლო და მოგროვებული ნაღველი ითხოვდა გარედ გამოსვლას.

როდესაც ენა მოიჯერეს ლაპარაკით, გულს ჩამოჰხადეს მომეტებული ბარგი და ცოტაოდნად დაამშვიდეს, წავიდნენ შინ, სადაც მზალო ეხლა უფრო გულადად შედიოდა, რადგანაც ისეთს ქომაგს და მეგობარს ჰხედავდა გვერდით, როგორიც იყო ჯაჯალა.

იმათ გარდაწყვიტეს, რომ შაბათამდის, როგორც იქმნება, მოითმენენ და შაბათს მათიასაგან გაიგებდნენ ელგუჯას ამბავს დაწვრილებით, გაატანენ იმისთვის საჩოხეს, რომელიც უთუოდ საშაბათოდ ამ ორ ქალს უნდა მოესწრო.

როდესაც ესენი ამ გაცხარებულ საქმეში იყვნენ, მათიას ცხვარი გაერეკა საძოვარზედ. თითონ დაყუდებული შვინდის კომბალზედ უყურებდა. ცხვრე-

ბი, ერთი ერთმანეთის შურით, ერთმანეთს გადაურბენდნენ წინა და გაუმაძღრად სწიწკნიდნენ ბალახს.

ცხვარი ძოვნით მიდიოდა წინ და ჰშორდებოდა მწყემსს, რომელიც ისევ იმ ადგილს გაუნძრევლად იდგა და ერთის ალაგისთვის მიექცია თვალები. საკვირველი იყო, რომ, ყოველთვის მუყაითი მათია, განთქმული მწყემსი, რომელიც ერთს ბიჯსაც არ მოჰშორდებოდა თავის საქონელს — დღეს ასე ჩაფიქრებულიყო და მისციებოდა ერთს ალაგს. იქმნება ის გაიტაცა ბუნების მშვენიერმა სურათმა, რომელიც იმის თვალწინ იხატებოდა? არა, ის იმ დროს არც იმ ამაყად აყუდებულს მთებს ჰხედავდა, არც მშვენივრად გადაფენილს ტყეებსა, არც ნაჩხატებს, რომელიც ჩხრიალით თეთრ რძესავით ქაფდებოდა, გადმოდიოდა კლდეებიდამ და ათას წინწკლებად იფანტებოდა, არც მწვანედ მოდებულს ველებს, რომელნიც ათას ფერის სურნელოვან ყვავილებით შეემკო ბუნებას. მაშ რა უნდა ყოფილიყო იმ ჟამად ისე მიმზიდველი და გამტაცებელი იმის გონებისა?

ეს რამდენიმე დღეა, რაც იმას ეს ჩვეულება დასჩემდა და ჯერ თითონაც კარგად ვერ გამოერკვია, რა მიზეზი იყო ამისი, თუმცა ყოველ ამ დაფიქრებასთან ერთად თვალწინ წარმოუდგებოდა, ხოლმე მღიმარე სახე მშვენიერი ქალისა, რომელიც თავის ჟუჟუნა თვალებით, მათიასავე უნებურად, იზიდავდა და იმის გონებას, სანამ თავდავიწყებამდის არ მიიყვანდა. რა ამ მდგომარეობამდის მივიდოდა, ისეთს სანატრელს, თუმცა ტანჯვით სავსე, გრძნობაში შედიოდა, რომ იმასთან გაყრა წარმოუთქმელი უბედურება იყო მათიასთვის.

ვისი იყო ის სურათი, რომელმაც ისე მაგრად შებოჭა მათიას ქვის გული?

ის გახლდათ ლამაზი ჩერქეზის ქალი, ელგუჯას სატრფო, რომელიც მათიას უნებურად სოლსავით ჩაჰსჯდომოდა გულში.

პირველში მათიას ეგონა, რომ ეს სიყვარული იყო დაძმური, რომელიც დაბადებულიყო ელგუჯას მდგომარეობის თანაგრძნობით; მაგრამ რამდენიც ხანი გადიოდა, რამდენსაც მეტს აკვირდებოდა ამ საქმეს და ცდილობდა თავიდამ მოეშორებინა მზალოს სახე, იმდენად ის უფრო ცოცხლად ეხატებოდა გონებაში. იმას უნებურად სწყუროდა მზალოსთან განუშორებლად ყოფნა, იმის ყურება, იმის ალერსი.

უბრალოდ არწმუნებდა მათია თავის თავს, რომ ის მაცდურმა შეიპყრო, რომელმაც უნდა ალალატებინოს ძმობას, მეგობრობას და წესსა; უბრალოდ ცდილობდა შეეყენებინა თავის გრძნობა, რომელსაც დღითი დღე ემატებოდა ცეცხლი და უმეტესად ადუღებდა იმის სისხლს. ყოველ ამ გვარ ძალდატანე-

ბის შემდეგ თავის თავზედ დაუმორჩილებელი გრძნობა უმეტესის ძალით იბადებოდა, უმეტესის ძალით იჩენდა თავს.

ამ რამდენსამე დღეში მხიარული, მოცინარი, უზრუნველი მათია შეიქმნა დაფიქრებული, დაღონებული. იმისმა ყმაწვილობის, კარგადმყოფობის დამამტკიცებელმა ფერმა, დაჰკარგა თავის სიწითლე და შეიცვალა რაღაცა ავადმყოფ ფერად

მეზობლები უყურებდნენ მათიას, უკვირდათ იმის ცვლილება და ვერ მიმხვდარიყვნენ ამის მიზეზს როდესაც მათიას ვინმე დაელაპარაკებოდა ამ საგანზედ, ის პასუხის მაგივრად ამოიოხრებდა, გააკეთებდა ყალიონს და ძალზედ წევას დაუწყებდა. თუ ვინმე მოახერხებდა აელაპარაკებინა, მაშინ ის პირდაპირ პასუხს მაინც არ აღიარებდა, ლაპარაკს სხვა საგანზედ გადაიტანდა, თითქმის ეშინოდა თავის გრძნობის ვისთანმე გაწილადებისა.

მათია ჯერ კიდევ დაფიქრებული იდგა, როდესაც ერთი კაცი გამოჩნდა მოპირდაპირე მთის წვერზედ და ხტუნა-ხტუნაობით დაეშვა თავქვე; როგორც ეტყობოდა, ისიც მთიული უნდა ყოფილიყო და მწყემსი. იმას, უეჭველია, შეემჩნია მათია და ამისათვის პირდაპირ იმისაკენ დაეჭირა გზა.

როდესაც მოახლოვდა იმ ადგილს, სადაც მათია იყო, ის გაშტერდა და გაკვირვებით დაუწყო ყურება მათიას და იმისაგან დაშორებულს ცხვარს, რომელიც, დაფანტული, ტყეში შესულიყო, და პატრონი კი დაფიქრებული თავისათვის იდგა. მწყემსის ამგვარმა უყურადღებობამ ახლად მოსული იქამდის აღელვა, გააჯავრა, რომ გულმა კელარ მოუთმინა და შესძახა:

— მათიაუ! ჰა, მათიაუ!

მათია შეკრთა, ჩამოისო პირზედ ხელი და მიიხედ-მოიხედა. აშკარად ეტყობოდა, რომ ის ინსტიკტიურად მოქმედებდა.

— რაი მოგსვლია, მათიაუ!.. ცხორი დაილუპა! აგერ ტყეში შესულა.

— რა ვუყო, — ჩაფიქრებით წარმოსთქვა იმან.

ამდროს ახალმოსული მიუახლოვდა მათიას და შეტევით უთხრა:

— რას სჩადი, ცხორი გაგპარვია, არ გესმის?

— აბა, რა ცხორი? საით წავიდა? წამოიძახა მათიამ და, რა თვალი შეჰკრა ტყეში შემავალ ცხვარს, მაშინვე გაიქცა იმათკენ.

ახალმოსული მწყემსი გაშტერებული დარჩა, მერმე წამოიძახა: — თუ გაგიჟდა! — და ისიც უკან გამოუდგა, რათა ეშველა მათიასთვის ტყიდგან ცხვრების გამორეკა.

როდესაც ორნივე გამოვიდნენ და ცხვრებიც გამოიყვანეს ტყიდგან. მხოლოდ მაშინ იცნო მათიამ ახალმოსული, რომელიც იმათი მწყემსი იყო და ხარანაულებისას გაეგზავნათ

მოხვედი მშვიდობით, ივანე! მიესალმა მათია.

მოგცეს მშვიდობა ლომისამ! — იყო პასუხი.

რასა იქს ელგუჯაი?..

— კარგადაა.

ექიმი დააყენეს?

— ეგეთი ექიმი დააყენეს, ლომისის მადლმა, რომ თემობაში ბადალი არა ჰყავს!

— რას ამბობს, ჩქარა მორჩებაო?

— ორ-სამ კვირაზე ფეხზე წამოვაყენებო.

ღმერთმა ქნას, გისმინოს ლომისამ! ჩემთან ხომ არა დაგაბარა-რა? ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მათიამ

— აბა შენთანაც რო არა დაებარებინა-რა, მაშ ვისთან-ღა დააბარებდა? დღე ერთია და შენი გონება ათასი... — უთხარი მათიასო, რომ ჩქარა შეატყობინოს თავისი ამბავიო... მნახოსო.

ვნახავ, ვნახავ! — რაღაცა მწუხარებით წარმოსთქვა მათიამ.

შენი ძმობის იმედი მაქვს, რომ რაიც სიტყვა გითხარ, ისე აასრულებო

ჰაი, ჰაი, რომ ავასრულებ! მაშ არ ავასრულებ? იმის სიტყვა გაუტეხელი ბეჭედია ჩემთვის! რაღაცა გაშმაგებით წარმოსთქვა მათიამ და მერე დაუმატა: — შენ ამ ცხორ მიჰხედე, დაღალული იქმნები, კიდეც დაისვენებ და ცხორსაც უყურებ; მე კი სხვაგან საქმე მაქვს და იქ წავალ. ჯალაბობაში თუ მიკითხეს, უთხარ: მატყლის ვაჭრები მოვიდნენ-თქო და იმათ გაჰყვა ქვეშეთს-თქო.

აგრე, შენი კვნესა-მე!

— ცხორი წყალზედ ჩააბრუნე, იქ უფრო გრილია, დეეყრება რიყეზე.

ამ სიტყვების შემდეგ ჩოხის კალთები ჩაიკეცა ქამარში, გადაიგდო თოფი მხარზედ და გასწია ქვეშეთისაკენ.

ის მიდიოდა ჩქარა, გაქანებული, მაგრამ ჩქარა მისვლის სურვილი თითქოს გზას უგრძელებდა, და მოუთმენლად წამოიძახებდა: „აღარ გათავდა ეს ბაიალმანი!" მზე რომ გადაიწვერა, იმან მიაღწია ქვეშეთს და, რადგანაც ცოტა ადრე იყო და არ უნდოდა ვისმე შეჰხვედრიყო; ამისათვის ის დაიმალა

იქვე ტყეში და გულის ძგერით მოელოდა იმ წუთს, როდესაც სანატრელს მზალოს დაინახავდა.

თუმცა ერთი რამ აშინებდა მათიას: — ეს ის იყო, რომ სანახავად დანიშნული დღე შაბათი იყო და ის კი მისულიყო პარასკევს. რასაკვირველია, ეს შიში შიემატა იმის მოუთმენელს მოლოდინს, და სატანჯველი ორთიორად გაუცხარდა.

— რომ არ მოვიდეს, მთელი ღამე აქ უნდა გავშეშდე! — წამოიძახებდა თავისთვის და მერმე ისევ დაუმატებდა: — ლომისა მოწყალეა, ის ჩააგონებს და გამოვა.

გაიარა საათმა, ორმა, მაგრამ, თითქოს განგებ, არავინ სჩანდა. ყოველ წუთის გავლაზედ იმას მოთმინება ეკარგებოდა და მომეტებულად იჩენდა შეყვარებული კაცის ნიშნებს — იმედგარდაწყვეტილებას და იმედს.

ბოლოს ეს იმედიც დაჰკარგა და მზად იყო, პირდაპირ წასულიყო სვიმონის სახლში, სადაც მზალო იყო, თუმცა აშკარად ჰხედავდა გარს შემორტყმულს დარაჯებს, რომლებიც ყოველ ღამე უყურებდნენ ნაჩალნიკის სადგურს.

ის იყო ფეხი გადადგა იქ მისასვლელად, როდესაც დაინახა იმისკენ მომავალი ორი ქალის სურათი, რომელთაც დააშლევინეს მოუფიქრებელი გარდაწყვეტილების აღსრულება. იმათ დანახვამ მათიას სული გააკმენდინა და გულის ძგერა შეუყენა. ის მოეფარა ხეს და ცოტა ხანს ძგერისაგან შეყენებულმა გულმა ხელახლად დაუწყო მოუთმენლად ძგერა და სუნთქვა კაუხშირდა; კანკალმა აიტანა, როგორც ციებით ავადმყოფი, და მზად იყო გადავარდნილიყო, მოეხვია ძლიერი ხელები მზალოსთვის და დაეკოცნა იმ გაშმაგებულის თავდამავიწყებელის გრძნობით, რომლის გადმოცემაც სიტყვით არ შეიძლება.

ქალები, რომლებშიაც მზალოს და იმის მეგობარს ჯაჯალას იცნობდით, მიკიდნენ ხესთან და ცოტა ხანს შესდგნენ.

— აი, ზედ ამ ალაგზედ, — დაიწყო მზალომ, — ზედ ამ ალაგზედ პირველად გაახარა ჩემი გული მათიას სიტყვებმა. პირველად გავიგე სიმართლით ელბუჯას ამბავი.

ამ სიტყვებმა მათიას დანასავით გაუარეს და მწარედ დასერეს იმისი გული; მაგრამ ჩქარა დაჰმორჩილდა ბედს.

— იქნება გატყუებს მათიაი, სხვისგან მოგზავნილი არ იყოს! — გააწყვეტინა ჯაჯალამ.

— მატყუებს?.. რაისთვის მატყუებს!.. არა, ის ეგეთი კაცია, რომ ვინც ერთხელ ჰნახავს, მაშინათვე მიენდობა... არა, იმან დაძმობა მითხრა, და მრწამს მისი სიტყვა.

— არც მოსტყუვდები, ლომისის მადლმა! წამოიძახა მათიამ, რომელმაც სიამოვნებით გაიგონა საყვარელ ქალისაგან ეგეთი ნდობა.

შენ მე მენდობი და სიცოცხლედ რომ დამიჯდეს, ვერ მოგატყუებ, ვერ გიღალატებ.

ამ სიტყვების შემდეგ ის წყნარად, ჩუმად მივიდა ქალებთან და წყნარად უთხრა:

— საღამო მშვიდობისა!

ქალებს ისე შეეშინდათ, რომ გაქცევაც კი დააპირეს, მაგრამ რა მზალომ თვალი შეჰკრა მათიას და იცნო, სიხარულით გაექანა. ჯაჯალა მოჰშორდა იმათ.

— მათიავ, მათიავ! გენაცვალოს ჩემი თავი! — უთხრა მზალომ და მოავლო ხელი.

მათიაც კანკალებდა და მღელვარება ნებას არ აძლევდა, ხმა ამოეღო. პირველსავე ხელის მოკიდებაზედ იმას ეგონა ცეცხლის მოხვედრა ხელში, რომელიც განუწყვეტლად, რაღაცა ძალით, გადადიოდა მათიას ხელებში, [illegible] და გულში, თავში, მთელს სხეულში, თავბრუსა ჰხვევდა და შეჰყავნდა ბურანში. გონება და აზროვნობა ჰღალატობდა... იმან მოჰხვია მკლავები, მიიკრა გულზედ და გამშმაგებულმა რამდენჯერმე აკოცა. მზალო შეშინებული გამოუსხლტა მათიას ხელიდგან და გაჩერდა იქვე.

— რას სჩადი, არა გრცხვენიან? — ყვედრებით უთხრა იმან: — შენ მე და-ძმობა მითხარ, მე შენ გენდე და...:

ჰო, ჰო, მე შენ და-ძმობა გითხარ, — წარმოსთქვა მათიამ, რომელიც გონს მოვიდა, და, თუ გიღალატო, სადაც არ მოველოდე, ღმერთმა იქ მიმკითხოს.

ქალი დამშვიდდა, დარწმუნდა, რომ ეს გატაცება ძმური გრძნობა იყო; კაცმა კი იფიქრა, რომ ამ გვარი ბედნიერების ღირსი არ ყოფილა, და ღმერთს სხვის სასიხარულოდ გაუჩენია მზალო.

— მე დღეს არ მოველოდდი, უთხრა მზალომ.

დღეს მოვიდა კაცი, ელგუჯას ამბავი მომიტანა, მეც ველარ მოვითმინე, დღესვე წამოველ.

მერე, რაი ამბავი მოგივიდა?

— ელგუჯა კარგად არის .. მოკითხვა შემოუთვლია შენთვის. რაი უჭირს ბედნიერს?.. სამარის პირს რომ ყოფილიყო და შენი სახელი გაეგონა, გამობრუნდებოდა.

დამირჩა შენი თავი, მათიავ, რომ შემატყობინე იმის ამბავი.

- ჩქარა ადგებაო.

— მაშ სულ კარგად იქმნება, ზეზე ადგება?

— ადგება, ადგება, მაგის ფიქრი ნუ გაქვს.

— მოუკვდა ჩემი თავი! იქნება მომვლელიც არავინა ჰყავს!

— რატომ არა ჰყავს, დობილებს გაიჩენდა.

— დობილებს? - ჰკითხა მზალომ და ეჭვმა გაურბინა გულში.

— რად გაგიკვირდა? - ჰკითხა მათიამ და ჰმუნვით დაუწყო ყურება.

— არა, მე არ გამკვირვებია .. შერცხვა მზალოს: – მაგრამ რა ვიცი, რიგზედ მოუვლის ვინმე?

— მაშ მე რომ დაჭრილი ვიყო, შენ არ მომივლიდი? — ჰკითხა მათიამ და დაღონებულმა დაუწყო ყურება.

— მე არ მოგივლიდი? მე დღესვე მზად ვიყავი თავი გადამედო შენთვის. თუ შენ გაჭირვებიდგან დაგიხსნიდი, ერთს წამს არ დავფიქრდებოდი, სიცოცხლეს შეგწირავდი.

ვიცი... შენ მართალს ამბობ.

- მართალს, ეგრემც შემეწევა ღმერთი!

— შენ კეთილი გულისა ხარ, შენ ყველა გაჭირვებულს აგრე მოექცეოდი! — წარმოსთქვა ოხვრით მათიამ, რომელსაც უნდოდა, რომ მზალოს იმისათვის სხვა გრძნობა ჰქონოდა და არა მარტო უბრალო კაცთმოყვარეობა.

ამ სიტყვების შემდეგ რამდენსამე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც დაარღვია ჯაჯალას მოსვლამ.

— წავიდეთ ჩქარა, შინა გვკითხულობენ, უთხრა იმან მზალოს.

— აი ეს მათიაი არის, ჩემ ძმად ნაფიცი.

ჯაჯალამ თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა

— ღვთის მადლმა, ეგრე მიამა შენი ნახვა, როგორც მზის ამოსვლა, . წყნარის თავის დაკვრით უთხრა ჯაჯალამ.

შენი ნახვა მეც გამიხარდა, ლომისის მადლმა, – იყო პასუხი.

— ჩემი დობილის ძმობილი ჩემიც ძმობილია. ცხო, რასა იქ, თავით, ჯალაბობით, საქონლით?

დამირჩა შენი თავი

რაი ამბავი მოგვიტანე ელგუჯასი?

მშვიდობა, მშვიდობა.

ხვალ კიდევ მოხვალ? ჰკითხა მზალომ.

— თუნდა სულ აღარ წავალ ამ ტყიდგან, არა, ლომისის მადლმა!

— ჰაი, მათიაის! ხვალ ამ დროს გამოდი აქა, ჩოხას მოგცემთ, და კვირას წადი ელგუჯასთან, ის ჩოხაც წაუღე და შენ თითონაცა ნახე.

— ავრე.

— შენ უფრო დაწვრილებით ანბავს შეგვატყობინებ. შენ თითონაც ხომ გინდა ელგუჯას ნახვა?

— ჰაი, ჰაი, რომ მინდა!

— წავიდეთ. წავიდეთ, — ისევ გააწყვეტინა ჯაჯალამ, — თორემ თქვენ ხვალამდისაც ვერ გაათავებთ ელგუჯაზედ ლაპარაკს, და შინ კი გვეძახიან.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი გამოესალმნენ ერთმანეთს და დასდვეს პირობა მეორე დღეს იმ ალაგას შეყრილიყვნენ.

კარგა ხანმა გაიარა იმათ გაყრის შემდეგ, მაგრამ მათია ისევ ისე იდგა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

ბოლოს მოიაზრა, რომ იმ ღამეს იქ ტყეში გაატარებდა, მეორე დღეს მოხუცს რასმე მოიგონებდა, გავიდოდა დუქნებში და ამაობაში საღამოც მოაღწევდა.

— წავალ, ადგილს ამოვირჩევ და მივწვები! — ოხვრით წარმოსთქვა მათია და შევიდა ტყეში.

დაჩვეული ღამე გარედ გატარებას, ის მიწვა ერთს მინდორზე და დახუჭა თვალები. დაძინებას აპირობდა, მაგრამ ძილი, თითქმის განგებ, დაჰკარგოდა და ყურებში თითქოს ვიღაც ჩასჩჩინებდა: „შენ გინდა დაიძინო, მაგრამ მე არ დაგაძინებ: შენ გინდა ის ქალი გადაივიწყო, მაგრამ მე არ გადაგავიწყებ!“

ამოიოხრა და გადაბრუნდა მეორე გვერდზედ. მთვარე, რომელიც იმ ღამეს, თითქოს განგებ, ისე გაკაშკაშებულიყო, ჰფენდა დედამიწას თავის სხივებს და კაცის გულს აგონებდა თავის მღელვარებას, მწუხარებას. მათიას გადაბრუნებაზედ მთვარის შუქი პირდაპირ პირისახეზედ მიადგა და ძალათი თვალები გაახელინა. ის ამობრუნდა გულაღმა და დაუწყო მთვარეს გატაცებით ყურება, რომელიც თანაგრძნობით უალერსებდა იმის გახურებულს გრძნობას და ეუბნებოდა: „შენ უბედური ხარ და მე, მარტო მე თანაგიგრძნობ შენ. მე მომენდე.. მე არასოდეს არ გაგცემ, მარტო მე შემიძლიან შენი საიდუმლოს შენახვა“...

ასეთი მოქმედება ჰქონდა მთვარეს მათიაზედ, და იმანაც გაშალა თავისი გული, თავისი გრძნობა და ყველა, ყველაფერი მიანდო იმ საერთო შეყვარებულთ მოწამეს.

მაშ ვისთან უნდა გამოტეხილიყო, ვისთვის უნდა ეთქვა, რომ თავისი ძმად ნაფიცის მიჯნური, რომლისათვისაც დაძმობა უთქვამს, იმას შეჰყვარებია იქამდის, რომ გონებიდამ ჰშლის, სულს უხუთავს და მოსვენებას აღარ აძლევს? ამ წვალებით გაატარა მთელი ღამე, მაგრამ მათიას თვალს ძილი არ მოჰკარვია. დაიწყო ღამემ დღისაგან გაყრა, და მათია ფეხზედ წამოდგა; მივიდა იქვე ახლოს წყაროსთან და რამდენისამე მუჭა წყლით გაიგრილა გახურებული შუბლი და თვალები, ახსენა ღმერთი და გაშინჯა თოფი, რომელსაც ფალია დაჰნოტიებოდა, და გამოუცვალა. ერთბაშად ტყიდგან მოესმა რაღაცა ფაჩიფუჩი, თითქო ხმელ წოწკებს ვიღაცა ამტვრევდა. ცოტა ხანმა გაიარა და რამდენსამე ნაბიჯზედ დათვის ღრიალი შემოესმა, და ამ ღრიალთან გამოჩნდა უზარმაზარი მხეცი, ისიც პატარა ბელით.

ძნელად იქმნება ისეთი საშიში მხეცი, როგორც დათვი, როდესაც ის თავის შვილებით არის და იმათ რომელსამე განსაცდელში ჰხედავს. საზოგადოდ მშიშარა და კაცის დანახვაზედ უკუ მიუხედავად გამქცევი, თუ დაჭრილი არ არის, შვილებთან ის ჰხდება მძვინვარი, შეუპოვარი და თავგანწირულობით იბრძვის.

აქედგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა განსაცდელშიაც უნდა ყოფილიყო მათია.

მათიას არამც თუ შეეშინდა ამ მოულოდნელობისა, — კიდეც გაუხარდა.

დათვს შეეძლო იმის სიკვდილი, მაგრამ ამჟამად ეს სასიხარულოც კი იყო იმისთვის.

დათვი გამოვიდა თუ არა, შესდგა ბღუილით, დაღუნა თავი, თითქოს მიწას ჰსუნავდა, და ძრიელის ტოტებით დაუწყო მიწას თხრა, თითქოს სამარეს უმზადებდა ვისმე.

მათიამ რამდენიმე ნაბიჯი უკან წარსდგა, მოეფარა მოჭრილს ხეს, მოამზადა თოფი და ხანჯალი ნახევრამდის ამოსწია. ეს ყველა ისე დაწყნარებით მოამზადა იმან, თითქოს იქ არაფერი ამბავი იყო და კიდეც მოელოდა ამ შემთხვევას.

— გინდა შენი ძალა გამოსცადო?... მობრძანდით, ვნახოთ...— ამ სიტყვებთან ერთად მათიამ ჩახმახი წამოაყენა; დათვმაც თითქოს იგრძნო ბრძოლის მოახლოვება და შედგა უკანა ტოტებზედ. რამდენსამე წუთს ისინი თვალითა ჰზომავდნენ ერთმანეთს და განრისხებულნი ცეცხლსა ჰყრიდნენ თვალებიდგან: კაცი და მძინვარე მხეცი აპირობდნენ შებმას!

რამდენიმე წუთიც. --და დათვი საზარელის ღრიალით გადმოხტა. იმის გადმოხტომასთან ერთად გავარდა თოფი და დათვი ყირამალა გადატრიალდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და ეძგერა მათიას. მათიამ თვალის დახამხამების უმალკე თოფი გადააგდო იქით, გაიკრა ხანჯალს ხელი და მიაგება წინ. მხეცი და კაცი ორნივ ვაგორდნენ დედამიწაზედ, რომელზედაც რამოდენიმე ხანი იბრძოდნენ და ფართხალებდნენ. მერმე ორნივ გაჩუმდნენ და რამდენსამე ხანს ისე გაუნძრევლად დარჩნენ. ბოლოს კაცი წამოდგა გამარჯვებული, თუმცა არც ის დარჩენილიყო უნიშნოდ და იმის მხარს ეგრძნო დათვის კბილების ძალა, რომელიც სიკვდილს შეეყენებინა. სწორედ იმ დროს, როდესაც მხეცს კბილები მოევლო მათიასთვის, ამის ხანჯალსაც შიგ გულში გაევლო მხეცისთვის და ძალა დროზედ დაედუნებინა.

მათია წამოდგა, გაწმინდა თავის ხანჯალი, ჩააგო ქარქაშში და მერმე მოიპანა და შეიხვია თავისი მსუბუქი ჭრილობა. მივიდა, გაშინჯა დათვი, რომელსაც მკერდში მოჰხვედროდა ტყვია, მაგრამ შიგნით ველარ შეეტანებინა, ვერ დაემორჩილებინა.

ამ შემთხვევამ მათია ცოტაოდენად გაართო, მაგრამ, რაწამს ბრძოლას მორჩა და ფათერაკი აიცდინა, იმის აზრები ისევ მზალოს მიუბრუნდა და გულმა შფოთვა დაუწყო. იმან იფიქრა, რომ ის დათვს გაჰხდიდა ტყავსა, წაუღებდა სვიმონს საჩუქრად და ამითი იმას შეეძლო არამც თუ ეხლა, ყოველთვის თავისუფლად სიარული სვიმონის სახლში. როგორც მოიაზრა, ისეც მოიქცა: გაჰხადა ტყავი, წამოიკიდა ზურგზედ და გაიტანა ქვეშეთს, სადაც სვიმონი სახლის გვერდით მინდორზედ იყო და რამდენსამე მთიულს ელაპარაკებოდა. რაწამს ნაჩალნიკმა დაინახა ასეთი საჩუქარი და გაიგო მათიასაგან დათვის ასე ვულადად სიკვდილი, დიდად იამა და ჰკითხა:

-- თუ არ დაგგლიჯა?

-- არა, შენი კვნესა-მე, ისე ცოტა რამ გამკენწლო.

— იქმნება ძალიან ხარ?

არა, შენი კვნესა-მე, არა მინდა-რა.

წაიყვანეთ ეს და კარგა პური აჭამეთ, დაასვენეთ — დაღალული იქნება! — უბრძანა სვიმონმა იქვე მყოფს იასაულებს: — მაგრამ ვისი ხარ შენა?

მე, შენი კვნესა-მე, ნადიბაიძე გახლავარ.

--- ვისი შვილი?

ნინიაისი, შენი კვნესა-მე.

— ნინია მთელს მთიულეთში განთქმულია თავის ვაჟკაცობით და გულადობით... მე მიხარიან, რომ ღირსეული შვილი გამოუხველ... წადი, წადი, დაისვენე, დღეიდგან ჩემი სახლი შენთვის ღიაა: როცა გინდოდეს, მოხვიდოდე.

— შენი ჭირი მომცა ლომისამ!—თავის დაკვრით უპასუხა გახარებულმა მათიამ, რომლისთვისაც ყველაზედ მომეტებული წყალობა ეს იყო.

რა მათია შეიყვანეს სასტუმროში, რომელიც სვიმონს ცალკე ჰქონდა გამართული, მაშინათვე ყველანი მიეხვივნენ და დაუწყეს—კაცს მილოცვა, დათვის ტყავს კი - სინჯვა, რომლის თავი, კბილები და ტოტები განსაცვიფრებელი სიდიდისა იყო. მზალომაც გაიგო მათიას გამარჯვება და იქ მივიდა, მაგრამ იმის შიშით, რომ მათიასაგან იმისი ცნობა სხვებს არ გაეგოთ, მოშორებით და მოკრძალვით იდგა.

— გაიარე, ქალაუ, ჯაჯალას უთხარ: სტუმარს საჭმელი მოუმზადოს!—უთხრა იმას ერთმა იასაულთაგანმა.

მზალო სიხარულით გაიქცა, რათა მითი მაინც გამოეცხადებინა მათიასთვის თავისი თანაგრძნობა. ჩქარა მოუტანეს სადილი, ჩქარა მოშორდნენ იასაულები და დანარჩენი ხალხი მათიას, რომელიც მარტო მზალოს და ჯაჯალას დარჩა. ისინი წრფელის გულით ულოცავდნენ მთიულს და უხაროდათ იმისი ამგვარი გამარჯვება, რომელმაც ვაჟკაცობის და გულადობის სახელი შესძინა თავიანთ მეგობარს. მათიას თუმცა უხაროდა ეს მდგომარეობა, მაგრამ იმის სახეზედ მაინც სიამოვნების ღიმილი არ მოსულა.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გადარჩი!—მეხუთედ და მეექვსედ ეუბნებოდა მზალო.

— რაის მაქანისი ვარ, რომ გადავ[illegible]?—უპასუხა დაღონებულმა მათიამ და ჩაფიქრდა.

— ალალია შენი დედის ძუძუ!—უთხრა ჯაჯალამ:—ღმერთსაც შეურგია შენთვის! მერმე მიუბრუნდა დათვს:—აუ, რანაირად პირი ღაულია,—გაიკვირვა იმან!

— რომ მოვეკალ, იქმნება უკეთესი ყოფილიყო!—ისევ იმ გულდაუთქვით წარმოსთქვა მათიამ.

— რაისთვის, რაისთვის?—შეტევით მისწვდნენ ქალები.

— ისე!—მხრების აწევით, ბედშავად უპასუხა იმან და ჩაღუნა თავი.

ცოტაოდენ სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ მზალომ:

— ჩოხას „ბატარა“ სირმა-ღა აკლია, მზის ჩასვლამდის გავათავებთ.

— თქვენ იცით.

— მაშ ხვალ წახვალ?

ჰაი, ჰაი, რო წავალ! შენის გულისთვის იქ კი არა, ლომისის მადლმა, ჯოჯოხეთშიაც კი ჩავალ.

რაია, ბერა! შენ სულ შენი ელგუჯა გაგონდება!..— შეეხუმრა ჯაჯალა: პური მაინც შეაჭამე.

ამ სიტყვებზედ მათიამ მადლიერის თვალით შეჰხედა.

რაი ხარ, ღვთის მადლმა!—გაწითლებით და მორცხვათ უთხრა მზალომ.

მაშ რაღა? სულ ელგუჯა და ელგუჯა! ბატარა დაასვენე.

არა მინდა რა, შენი კვნესა-მე! თუკი თქვენ როგორმე გაგახარებთ, ეგ ჩემთვისაც სიხარულია.

სადილი გაათავეს. მათია დაიბარა სვიმონმა, რომელსაც ძალიან მოეწონა და იასაულად უნდოდა; ქალები კი წავიდნენ და გულმხურვალედ, ფაცი-ფუცით მოეკიდნენ საქმეს.

საღამოზედ ჩოხა მზად იყო და მათიამ წაიღო ელგუჯასთან.

იქმნებოდა ელეხების ვახშმობა, როდესაც მათიას გამოუჩნდა ხარანაულების სახლი და მოესმა ძაღლების ყეფა. იმ დროს ის თავის განუშორებელს ფიქრში იყო და ძაღლების ხმაურობამ შეაკრთო. ის შესდგა და წამოიძახა:

— რა პირით უნდა შევხედო ელგუჯას?..—და მერმე დაუმატა: რაი ჩემი ბრალია, მიყვარს და რაი უნდა ვქმნა!...

იმასა სტანჯავდა ის გრძნობა, რომელიც ცეცხლსავით უვლიდა გულში და რომლის მოშორებაც უნდოდა, მაგრამ ძალა აღარ სწვდებოდა. ყოველი იმის სხეული, ყოველი ასო, ყოველი ნიჭი მზალოს შეეპყრო, დაემორჩილებინა, და თავის დახსნის შეცდა მხოლოდ მომეტებული წვალება-ღა იყო მათიასთვის. ერთი აზრი-ღა ამაგრებდა იმის თავს და ეს აზრი იყო: ძმად ნაფიცის წინაშე მოვალეობა. მაგრამ, ვინ იცის, დიდხანს შესძლებდა ამით ბრძოლას?

ის მივიდა ხარანაულების სახლთან და სახლის პატრონს შეუძახა. ძაღლები გადმოესივნენ იმას, მაგრამ ყმაწვილმა თუშმა, რომელიც გადმოეშველა, მოაშორა ისინი და შესძახა:

გზა მშვიდობისა, მათიავ!

მშვიდობა მოგცეს უფალმა!

ისინი შევიდნენ შინ, იმ საწოლში, რომელიც ელგუჯასთვის დაეთმოთ. წარმოიდგინეთ ამ უკანასკნელის სიხარული, როდესაც მათია დაინახა. იმან

აღარ იცოდა სიხარულით რა უნდა ექმნა და როგორ მოჰქცეოდა; არ იცოდა საიდგან დაეწყო ლაპარაკი ან როგორ მიჰსალმებოდა.

მათიაც სწორედ ამავე მსგავსს მდგომარეობაში იყო, თუმცა იმათ სხვადასხვა სრული მოპირდაპირე საბუთი ჰქონდათ.

ათასჯერ ერთსა და იმავე საგანზედ იწყებდნენ ლაპარაკს და ყოველთვის გაუთავებელი ჰრჩებოდათ.

ელგუჯას ნაწრთობს და გამოცდილს, გამაგრებულს აგებულებას, ადვილად აეტანა თავისი ჰრილობა და ეხლა ზოგიერთს ალაგას იარები არ დაჰხუროდა, თორემ სრულებით კარგად იყო და თავისუფლად ხიარული შეეძლო ოთახში.

პირველი მისალმების შემდეგ სტუმრებს ვახშამი მოუტანეს და უფროსი ხარანაულიც იქ შემოვიდა. რა ვახშამზედ დასხდნენ, ლაპარაკი გადავიდა თემის ყრილობაზედ და იმათ გარდაწყვეტილებაზედ, რომელმაც ელგუჯა სრულიად გაალარიბა და ულუკმოდ დააგდო.

— ელგუჯავ!.. — დაიწყო ხარანაულმა: — ღმერთს ლუკმა მოუცია ჩემთვის, ღვთის მოწყალება არა მაკლია-რა ცხორანიცა მყავს... დასახლდი აქ. დადეგ ცხორში და დაგიზიარებ იმათ.

— დამირჩა შენი თავი! ღმერთიც იმად გაძლევს საცხოვრებელს, რომ ეგეთი ხარ.

— მართალის გულით გეუბნები, აგრემც ხელს მომიმართავს ლაშარის ჯვარი!

— არა, შენი ჭირიმე, მე ერთს უბედურს გზასა ვარ გამოკიდებული და ეე უბედურად გავიარო!

— რაი გინდა ჰქმნა, თემის გარდაწყვეტილებას ხომ არ შეებმი?

თემის წინააღმდეგობა საით იქმნების?.. თემის სიტყვა ღვთის ბძანებაა, კაცი ვერ გადავა იმას.

— ვაჟკაცს ვაჟური სიტყვა ექმნება! — მოუწონა ხარანაულმა.

— რაი ვიცი! დედამიწა დიდია და ცა მაღალი, ყველას დაიტევს.

მა, აგრე ნუ, ელგუჯავ! გაურია სიტყვა მათიამ: — ხარანაულნი შეძლებული გვარია, დადექი მაგათთან, მოკეთდი, დამშვიდდი და მერმე, რასაც ღმერთი გვაგონებს, ისა ვქმნათ.

— ეგრე ჰქმენ, ეგრე, ელგუჯავ! — დაუმატა ხარანაულმა: აქ დაგაქორწილებ, თვითონ მე მოგგვრი ქალსა!.. ლომისის ჯვრის მადლმა, ვისაც შენ დამისახელებ, იმას მოგგვრი. აი დედიჩემის ღმერთსა, ქალს როგორ ვინმე დაგიჭირს! ჩემი ბალღები შენთვის სულ გასწყდებიან!

— ამას ამორჩეულიცა ჰყავს, — მოაგონა მათიამ; — ეს იმას ველარ ულალატებს.

— მაშ ის მოუყვანოთ! — წამოიძახა ხარანაულმა მხიარულად, ჩაიტეხა ქუდი და დაუმატა: — თითონ მე წამოგყვებით მაყარში... ყაბულს არა ხარ?

ბევრი უარის შემდეგ ელგუჯა დაჰყაბულდა, დადგა ხარანაულებისას, რომელთაც, მათიას დასწრებით, ოთხმოცი ცხვარი დაუზიარეს ელგუჯას.

მათიამ, ელგუჯამ და კიდევ რამდენმამე ყმაწვილმა ბიჭებმა პირობა დასდვეს, რომ რაწამს ელგუჯა ცოტა უკედ შეიქმნებოდა, მზალოს მოიტაცებდნენ.

მათია ჩამოვიდა შინ და გზიურ ქვეშეთს გაემართა, სადაც ელგუჯას ამბით მზალო უნდოდა გაეხარებინა. ის პირველში თითონაც ხარობდა ქალის ამგვარად გახარებას, მაგრამ რამდენადაც უახლოვდებოდა ქვეშეთს. იმდენად გული ელეოდა. იყო ისეთი წუთიც, როცა სრულებით გამობრუნებას და გადაკარგვას აპირობდა იმ ადგილებიდგან, სადაც ასეთი სატანჯველი აუტყდა.

— სიტყვა!.. ფიცი!.. — იტყოდა ის გამწარებული და გააგრძელებდა გზას.

ამ ხანში მზალოც და ჯაჯალაც მათიას და ელგუჯაზედ ლაპარაკში იყვნენ. ისინი სხვა გოგოებთან ერთად წასულიყვნენ იქვე ჰალაში თხილის და მარწყვის მოსაკრეფად. ჰალაში ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ და ისე დაიფანტნენ. შუადღემ მოაღწივა და ჩამოცხა. ქალები მივიდნენ არაგვის პირზედ, იქ ჩრდილში დასხდნენ, რომელიც მოსდებიყო იმ ადგილს იქვე მდგარის ხეებიდგან.

იმათ თითქოს მოსწყენოდათ ერთმანეთთან საუბარი და ეხლა ვაჩუმებულნი თავთავიანთ ფიქრს ეძლეოდნენ.

— ძალიან გიყვარს ელგუჯა? — ბოლოს გააწყვეტინა სიჩუმე ჯაჯალამ და დაუწყო ყურება მზალოს.

— მაგას რაი-ლა კითხვა უნდა? განა შენ არ იცი?

— ის ჩემი ძმაა და ძმასავით მიყვარს.

— ის ყველა ქალს შეუყვარდებოდა! — ოხვრით დაუმატა ჯაჯალამ და გაჩუმდა.

მზალომ, რომლის პირისახეზედაც ღიმილი გამოიხატა, გაჰხედა იმას და ერთბაშად წამოიძახა:

— გონჯია მათიაი, გონჯი!

— რაი სთქვი ეგა! — წამოწევით და გაკვირვებით შეჰხედა ჯაჯალამ.

— გონჯია მეთქი მათია, იმავე ხმით გაიმეორა მზალომ.

იმას გაუელვა თავში აზრმა, რომ ჯაჯალას მოსწონდა მათია და გუნებაში გაურბინა ბავშურმა სურვილმა, რომ ის გაეჯავრებინა.

— ჰხუმრობ! - უპასუხა ჯაჯალამ და მიეყუდა ხეს.

— კი არ ვხუმრობ, მართალს ვამბობ, იმაზედ ქალი არ გათხოვდებოდა!

— რად არა?

— იმად, რომ გონჯია.

— დიაღ, გონჯია!.. შენი ელგუჯაი ემჯობინება, არა? — ვეღარ მოითმინა ჯაჯალამ.

— ჰაი, ჰაი, რომ სჯობს! მათია რაი კაცია?

— რაისთვის ჰლაპარაკობ აგრე, ღვთის მადლსა? — წყენით უპასუხა ჯაჯალამ.

ამაზედ აჰყვნენ ისინი ერთმანეთს და საქმემ იქამდის მიაღწია, რომ ჯაჯალამ ტირილი დაიწყო და იმითი გამოააშკარავა თავისი გრძნობა. მზალოს არ უნდოდა იმისი წყენა და ამისთვის ის მოეხვია ჯაჯალას ყელზედ და დაუწყო კოცნა.

— ავაიმე, ჯაჯალაუ! რას სჩადი!.. მე გეხუმრებოდი, და შენ კი მართლა ტირილი დაიწყე!.. დაჩუმდი, შენაი ჭირიმე, დაჩუმდი!.. ღვთის მადლმა, რომ ალალ დას არ ეყვარება მათია ისე, როგორც მე მიყვარს.

მაგრამ უბრალოდ აჩუმებდა მზალო ჯაჯალას, რომელსაც ღაპალუპით გადმოსდიოდა ცრემლები და ამბობდა:

— არავის არ უყვარვარ, ყველას ვეჯავრები, შენც კი გეჯავრები!

კაცი ვერ იტყვის, როდემდის გაგრძელდებოდა ქალების საუბარი, თუ იმათ სხვა დედაკაცების ხმაურობა,--რომლებიც შეყრილიყვნენ შინ წამოსასვლელად და იმათ ეძახდნენ, — არ მოსმენოდათ.

ჯაჯალამ საჩქაროდ მოიწმინდა თვალები, შესდგა რაოდენსამე ხანს და უყურებდა დაღონებულს მზალოს, რომელმაც არ იცოდა, რითი გაესწორებინა თავისი შეცდომა, უნებურად ჯაჯალას წყენინება. ასე იდგნენ კიდევ რაოდენსამე ხანს, თითქოს ერთმანეთთან გაბუტებულები იყვნენ; მერმე შეჰხედეს ერთმანეთს, ორთავ გაიღიმეს და მოეხვინენ ერთმანეთს. ორთავეს ერთმა და იმავე აზრმა გაუელვა თავში, - და ეს აზრი შეეხებოდა ჯაჯალასაგან მათიას სიყვარულს. ამ დროს კიდევ მოისმა სხვების ძახილი, და ისინი გაიქცნენ რაღაცა გულის კანკალით.

როდესაც ისინი მივიდნენ, ჯაჯალამ დასძახა სიმღერა, იმას სხვებმა მისცეს ბანი და ასე გასწიეს შინისაკენ. ჯაჯალას ქალამნებში ქვიშა ჩასცვინო-

და და უშლიდა სიარულს, ის დაჯდა გზის პირს, გაიხადა ქალამნები და ბერტყვა დაუწყო ამაობაში იმისი ამხანაგები კარგა დაშორდნენ და მოეფარნენ ცხვირწამოწვდენილ კლდეს. ჯაჯალა სცდილობდა ჩაეცვა ქალამნები და მოსწევიყო ამხანაგებს, მაგრამ, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, როცა კაცი ჩქარობს, უფრო უგვიანდება, - იმას ველარ ჩაეცვა ქალამანი, და „ძაბრიგანა“* მეათედ უსხლტებოდა. შორიახლო ტყეში შუბი გამოჩნდა, რომელიც წყნარწყნარად ირხეოდა, და გზაზედ გამოვიდა ვილაცა რუსის ყაზახი, რომელსაც ჯაჯალა გვერდით უნდა გაევლო. ჯაჯალას შეეშინდა, წამოავლო ქალამანს ხელი, მაგრამ ყაზახმა შეჰხედა მას და ჩუმად გასცდა რაოდენიმე ნაბიჯი. იქ შესდგა ცოტა ხანს, მოაბრუნა ცხენი და ჩამოხტა. მივიდა ქალთან, რომელმაც შიშით ალარ იცოდა, რა ექმნა.

— კარგი, კარგი, მარუშკა, უთხრა იმან დალმექით, რომელიც ღიმილს მოასწავებდა.

— დაგიბრმეს თოლი! გამიშვი, მომეცალე გზაზედ! — შესძახა ქალმა და გაემართა წასასვლელად.

— რა გაყვირებს, აი ფულს მოგცემ, უთხრა იმან წინ გადალობით და ამოილო ჯიბიდგან კაპიტიანი, რომლისათვისაც სარკიდგან ანაფხეკი ვერცხლის წყალი წაესვა და ვერცხლისფრად დაეფარა.

— არ მინდა, არა, თქვენგან სიხარულიც არ მინდა, არამც თუ ფული. მომშორდი!

- რასა ჰკივი?.. აქ არავინ არის და არც არავინ მოგეშველება, აილე უყურე როგორი ვერცხლის მანეთია... მოდი შენის ნებით მაკოცე, თორემ ინანებ.

ქალს არ ესმოდა რუსული, მაგრამ კარგად ჰხედავდა, რომ ამ ყაზახს ჩვეულებრივი უპატიოსნება განეძრახა გულში და ძალდატანება მოეწადინა.

-- რაიღა მეშველება, მე დალუპილს! წამოიძახა ჯაჯალამ და მეორე მხარეს გატრიალდა გასაქცევად.

საგულის ბოლოები, რომელიც ქარზედ გაფრიალდა, ყაზახს პირდაპირ ხელში მოჰხვდა და იმანაც მაგრა მოჰკიდა და მიიზიდა თავისკენ; ჯაჯალამ, რა დაინახა, რომ ის ველარ გაექცეოდა, გამობრუნდა, დაუწყო იმას თავპირში ცემა, მაგრამ გამხეცებულმა ყაზახმა მაგრად მოჰხვია მკლავები, აიყვანა ქალი ხელში და დადორბლილის ტუჩებით დაუწყო ლოშნა. ქალი იბრძოდა, რაც კი ღონე ჰქონდა, მაგრამ რა გაუხდებოდა კაცთან, რომელსაც გადაეწყვიტნა უექ-

---

*) წუღის ჩასაცმელი ტყავი.

ველად იმისი გაწბილება. ჯაჯალას ღონე უსუსტდებოდა ბრძოლაში და იქამდისაც კი მისულიყო, რომ რუსმა სიხარულის კივილით გადააქცია ისა, მაგრამ იმ წუთში ვიღასიც ღონიერი ხელი წამოსწვდა კისერში, გადაატრიალა იქით და ბურთსავით დასცა.

ჯაჯალამ შეჰხედა და დაინახა მათია, რომელიც თითქოს მიწიდგან ამოსულიყო დედაკაცის კივილზედ და ასე დროზედ მოესწრო იმისთვის.

-- წადი შინ! -- თითქმის ბრძანებით შესძახა მათიამ იმას და გაუბრუნდა რუსს.

ქალმა წინააღმდეგობა ველარ გაჰბედა და დარცხვენილი გაიქცა შინისაკენ.

-- აი შე ძაღლო, შე დიაცო, შენა!.. ცხო რაი შეგიძლიანთ, თუ არ დიაცთან ბრძოლა! — შესძახა მათიამ ყაზახს.

ყაზახი წამოდგა და ჩვეულებისამებრ გამოიჭიმა, რაკი ძალა დაინახა.

-- დამნაშავე ვარ, ბატონო! -- წამოიძახა შეშინებულმა ყაზახმა.

-- დამნაშავე კი არა, ძაღლი ხარ და ძაღლსავით და უნდოდ იქცევით! აბა ახლა სცადე შენი ძაღლობა! — ყაზახი ისევ გამოჭიმული იდგა, მაგრამ, რა შეჰხედა მათიას განრისხებულ სახეს და ამოღებულ ხანჯალს, ის მაშინვე დაეცა მუხლის ჩოქზედ და დაუწყო ხვეწნა:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, თქვენო ბრწყინვალებავ! მომიტევეთ, მოიღეთ ღვთიური მოწყალება!

მათია ყურს არ უგდებდა, მიდიოდა იმაზედ, მაგრამ, რა შეჰხედა იმის შიშისგან დამახინჯებულს სახეს, ზიზღით წარმოსთქვა:

— მე ხანჯალს პირუტყვებზედაც კი ვხმარობ, მაგრამ შენზედ კი არ წავბილწავ, არ გავმურტლავ, ცოდოა ხანჯალი.

მერე მივიდა, შეუკრა ხელები, აჰყარა იარაღი, გახადა შალვარი და ისე შესვა ცხენზედ, რომელიც დააყენა გზაზედ და გაუშვა.

ყაზახი გახარებული ამგვარად გადარჩენით, სიხარულით მიაჭენებდა ქვეშეთისკენ, მაშინ როდესაც მათია ზიზღით უყურებდა იმას და იძახდა:

-- სხვა კაცს რომ მოჰსვლოდა ეგეთი საქმე, მაშინ ის თავად ეცდებოდა ცხენიდგან მაინც გადმოვარდნილიყო, თავი გაეხეთქა ქვაზედ და აგრე სასაცილოდ კი არ გამხდარიყო... ეგ კი, უყურეთ, როგორა ჰხარობს!.. აჰუ! შეგირცხვათ კაცობა, — ხელის ჩაქნევით წამოიძახა იმან.

ამ დროს ყაზახმა მიაღწივა ერთს ფერდოს, რომელიც მუდამ იშლებოდა და წვრილწვრილად ჩამოდიოდა გზაზედ. ვნახოთ, რაღამაც იჭექა და მოხეთქილი კლდე წამოვიდა სრიალით. ამ ხმაზედ ცხენი დაფრთხა და განზედ გაჰ-

ხტა, ყაზახმა თავი ველარ დაიჭირა და გადმოეკიდა ცხენიდგან, უბედურმა უზანგოდამ ფეხი ველარ დაახწია, რომელმაც ცხენი უფრო დააბრთხო. იმან აითრია პატრონი და უკანა ფეხით თავი მთლათ დაუნაყა და პირისახე შესაზარად დაუგლიჯა.

— რაისაც ღირსი იყო, ლომისამაც ისე მოუმართა ხელი... ძაღლს ძაღლური სიკვდილი მიერგება! -სთქვა იმან და გამობრუნდა. იმას გულში სიბრალულის ნაპერწკალმაც კი არ ვაუარა, იქამდის აბეზარს მოსულიყო არამც თუ მარტო მათია, არამედ ყველა იმ დროის მთის ხალხი.

იმან ზიზღით გადაჰყარა ყაზახის ტანისამოსი და იარაღი, რომელსაც ისე უყურებდა, როგორც უწმინდურს რასმე და გასწია თავის გზაზედ.

ქვეშეს ის შევიდა თავისუფლად, რადგანაც ეხლა მალვის მიზეზი აღარა ჰქონდა. მზაღო მოელოდა, რადგანაც ჯაჯალას შეეტყობინებია იმისი მოსვლა, თუმცა თავის შემთხვევაზედ კი ყოველისფერი დაემალა.

იმათ დიდხანს ლაპარაკი არ დასცალდათ, რადგანაც მათიას სვიმონმა დაუძახა. მზაღომ გაიგო მხოლოდ, რომ ელგუჯა კარგად არის, ჩქარა მორჩება და იმას გაიტაცებენ, რადგანაც ელგუჯას ურვადის მიცემა არ შეუძლიან.

მათია შევიდა სვიმონთან, რომელიც სავარძელში იჯდა და რაღაცა ქაღალდებს ჰკითხულობდა.

— საღამო მშვიდობისა, — თავის დაკვრით უთხრა მათიამ იმას.

— ო, მათია!.. გამარჯვება შენი! . როგორა ხარ?

— შენი კვნესა მომცა ლომისამ, კარგად!

— მამაშენს არ დაეკითხე: გაყენებს იასაულად თუ არა?

— რად არა, შენი კვნესა-მე! — შენთან ხლების ღირსიც არა ვარ.

— შენ მე მომეწონე და კიდევაც ჩაგწერე იასაულად... ცხენით გინდა იყო, თუ ქვეითი?

— ჩემთვის რა ბედენაა, შენი კვნესა-მე... როგორც შენ გინდა.

— მაშ კარგი, მე ცხენიანად ჩაგწერ და შენ კი ქვეითი იქნები. თუ ცხენი დაგჭირდა როდისმე, ერთერთს ჩემ ცხენზედ შესჯდები.

— შენ იცი, შენი კვნესა-მე!

— ეხლავე შეგიძლიან დარჩენა, თუ შინ ჩასვლა მოგინდება!

— შინ ჩასვლა მომინდება, შენი კვნესა-მე... მე აქ ახლო სოფელში ვიყავ. საქმე მქონდა და მამაჩემს სიტყვა უნდა ჩავუტანო.

— აგრე ჰქმენ...

მათიამ თავი დაუკრა და გაბრუნებას აპირობდა, მაგრამ სვიმონმა ისევ მოაბრუნა:

— ელგუჯა მართლა თქვენსა იწვა?

მათია შეკრთა ამ მოულოდნელს კითხვაზედ, რადგანაც ეგონა, რომ სვიმონი გაუწყრებოდა ამისთვის, მაგრამ თავი ჩქარა შეიმაგრა და ამაყად უთხრა:

— იწვა, შენი კვნესა-მე.

— მართლა ძმადა ხარ იმასთან გაფიცული?

— ვარ, შენი კვნესა-მე.

სვიმონმა სიამოვნებით შეხედა მათიას ასეთ გულადობას, მაშინ როდესაც იმან კარგად იცოდა, რომ ელგუჯა სვიმონის მოსისხლე იყო და, სვიმონს რომ მოენდომა, მთიული ცოცხალი ველარ გავიდოდა.

-- ეხლა სადღა არის?

— არ ვიცი, შენი კვნესა-მე.

— არ იცი?—ჰკითხა სვიმონმა და დაუწყო გამომცდელის თვალებით ყურება.

— არა.

— იცი, რა გითხრა, მათიავ? მე შენთან ძმად გაფიცვა მინდა.

— თუ შენი კვნესა-მე! რა ღირსი ვარ შენთან ძმობას!

— ეგ მე ვიცი... პირდაპირ მითხარ: რად არ გინდა ჩემთან ძმობა?... ვაჟკაცი პირდაპირი უნდა იყოს.

მათია გასწორდა და ამაყად შეჰხედა სვიმონს.

— შენ რაისთვის-ღა არ მეუბნები პირდაპირ?

— მეც პირდაპირ გეტყვი.

— მაშ კარგი... მე შენთან ძმობა იმისთვის არ მინდა, რომ ელგუჯასთან ვარ ნაფიცი და შენ კი ჩემი ძმობილობა იმის დასაღუპად გინდა. იმას კი ჩემგან ისე არ ეღალატება, როგორც ღომისას. ჩემგან ფიცი არ გატყდება, თუნდა დღესვე ჩამომახრჩო... ეხლა გითხარ ყველა... უთხარ დამიჭირიან, შემკრან, დამხვრიტონ და მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, ფიცს ვერ გავტეხ.

— ნუ ჩქარობ, ვაჟო! -- უთხრა სვიმონმა და წყნარად ამოიღო ნაწილები, რომელიც გულზედ ეკიდა: --- ამათ გეფიცები. რომ ღალატი არ გავივლო გულში... არც ეგეთი კაცი ვარ, ღვთის მადლმა, რომ ღალატით ვიცხოვრო. მე ყველა ვიცი — ისიც ვიცი, ეხლა ელგუჯა სადაც არის! მე იმის გატანჯვა, სიკვდილი არ მინდა, ღმერთი იყოს შენი თავდები.

-- მა რაი გინდა? - გაშტერებით იკითხა მათიამ და დაუწყო ყურება.

— შენა მკითხავ, გინდა შეიტყო — რაი მინდა? კარგი, მეც ყველას გეტყვი: მართებლობა ელგუჯას ხელმწიფის მოღალატედ უყურებს და იმის დაჭერა, ან სიკვდილი განუზრახავს, მეც მომივიდა ქაღალდი, რომელშიაც იწერებიან, ხალხს გამოუცხადო, რომ ვინც ელგუჯას ცოცხალს დაიჭერს, ორმოც ვერცხლის მანეთს მისცემენ, და ვინც მოჰკლავს, იმას ოცდახუთს.

— და მე ან უნდა მოვკლა, ან ცოცხალი უნდა დავიჭირო, არა? — თითქმის დაცინვით წარმოსთქვა მათიამ.

— ბალღო, შენ გული წმინდა გაქვს და სიტყვა წინ გირბის!

— რაი ვუყო, შენი კვნესა-მე! .. მე თუ კაცთან მტრობა მექმნა, შევ გადავახდევინებ, სხვას შემწეობას არა ვსთხოვ... ფულის გულისთვის ძმას ვერ ვუღალატებ, ვერა, ღომისის მადლმა!

— ვიცი, ვიცი მათიაუ, და იმისთვის განდობ ჩემს გულის პასუხს
თუ კი იცი, მაშ რაღა მცდი, შენი კვნესა-მე!?

— იმად, რომ ელგუჯა უნდა გადავარჩინოთ.

— შენ გინდა ელგუჯა გადაარჩინო? — გაკვირვებით წამოიძახა მათიამ, რომელიც სრულებით აერია სვიმონის სიტყვებს.

— გიკვირს?

— ჰაი, ჰაი, რო მიკვირს!

— ელგუჯა მეტად ვაჟკაცია, რომ კაცმა სასიკვდილოდ გამოიმეტოს.. ის ჩემი მეზობელია, ჩემთვის სირცხვილია იმის სიკვდილის სურვილი.. დაჯერე, ღმერთი იყოს შენი თავდები, მე არ მინდა იმის სიკვდილი.

— შენ რომ სხვა იყო, არ დაგიჯერებდი, — ცოტა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა მათიამ: — მაგრამ შენი მჯერა... მითხარ, რაი გინდა ჩემგან?

სვიმონს სიამოვნება გამოეხატა პირისახეზედ და ღიმილით უთხრა:

— მაშ ყური დამიგდე... მე არ შემიძლიან ეს ქაღალდი არ გამოვაცხადო და ქვეყანაში ავი კაცი კი არ დაილევა .. საქვეყნოდ რომ გახდეს ეს ქაღალდი, მე მეშინიან, ფულმა არ დასძლიოს ვინმე და არ მოჰკლან ელგუჯა!

— ეგეთი ჩვენში არც ვინ არ გამოვა, ამაყად უპასუხა მათიამ.

— მეც აგრე მგონია, მაგრამ სიბრთხილეს თავი არ სტკივა... შენ შეყარე შენი მეგობრები, რომლებზედაც იმედი გქონდეს, მოიყვანე აქ და იმა გამოვუცხადებ! ისინი ჯვარს დაუსმენ ამ ქაღალდს და ისე დავუბრუნებ ქალაქში, რომ მეც გასამართლებელი საბუთი მქონდეს.

ვის გაჰგზავნი, შენი კვნესა-მე?

ქაღალდებს... ვაიგე ეხლა?

გავიგე, შენი კვნესა-მე.

— ეხლაც არ გამეფიცები ძმად?

— ეხლა ჩემი თავი, როგორც გინდოდეს, ისე იმსახურე, შენი კვნესა-მე. მათია გაჩვენებს, რომ ის მთიულია და იცის მეგობრობა!

ერთმა კვირამ ჩამოიარა ამ შემთხვევის შემდეგ, როდესაც სვიმონის სახლში მათია და სვიმონი სახლის პატრონის, მოხუცი კაცების დასწრებით, ძმად იფიცებოდნენ

როგორც სვიმონს უნდოდა ბრძანების ხელის მოწერა, მათიამ სწორედ ისე მოუხერხა და ამის შემდეგ ის დადგა იასაულად.

ეს შემთხვევა მათიას პირველში უხაროდა, რადგანაც მზალოსთან უფრო დაახლოვდებოდა და ყოველთვის იმის ცქერა შეეძლო თავისუფლად, მაგრამ, საუბედუროდ, ისე არ მოუხდა, როგორც ეგონა.

მზალოს ყოველდღიური შეხვედრა იმას კი არ ამშვიდებდა, უფრო ამღელვარებდა და უდუღებდა სისხლს. საკმარისი იყო იმისთვის ერთი შეხედვა, ერთი დალაპარაკება, ერთი ღიმილი მზალოსაგან, რომელიც გააფითრებდა მათიას და მიიყვანდა იმ მდგომარეობამდე, როდესაც თავისი თავი ავიწყდებოდა და ადვილად შეეძლო ყოველი დანაშაულობა მოეხდინა.

ამავე დროს, მზალოს სასიხარულოდ, ელგუჯას კარგად-მყოფობაზედ ხმა მოდიოდა. ჯაჯალა, რომელსაც გაგიჟებით, უანგაროდ შეუყვარდა მათია, იტანჯებოდა ჩუმად, განმარტოებით, რადგანაც აშკარად ამჩნევდა მათიასაგან მზალოს სიყვარულს. ყველაზედ მეტად ამას სტანჯავდა მათიასთან შეყრა და ლაპარაკი, რადგანაც მთიულის სიტყვები ყოველთვის მზალოს ისე ნაზად და სიყვარულით შეეხებოდა. ჯაჯალა იტანჯებოდა და ხანდახან იქამდისაც კი მივიდოდა, რომ კინაღამ შესძახებდა: „რადა მტანჯავ, რას მემართლები?“ მაშინ როდესაც მათიას არც იმის დატანჯვა უნდოდა, ვერცა ჰხედავდა ამ სატანჯველს.

გულდანაღვლილი ჯაჯალას ვერ გაებედა გაჩუმებულიყო, არ ეპასუხა მათიასთვის, და თუმცა მძიმე, ძალიან მძიმე იყო იმისთვის მზალოზედ ლაპარაკი, მაინც ელაპარაკებოდა.

ერთს დღეს მათია მეტად დაღონებული იყო, თუმცა განსაკუთრებითი დაღონების მიზეზი არა ჰქონდა, და ცხოვრების მდინარეობა არაფრით არ შეცვლილიყო. ერთს მშვენიერს საღამოზედ, როდესაც სვიმონ ფასანაურში წასულიყო ყაზახის სიკვდილის გამოსაძიებლად და დამნაშავეების მოსაძებნად, ქვე-

შეთში რაღაცა სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, თითქმის ბუნებაც კი გაჩუმებულიყო და რაღასაც მოელოდა.

მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, მშვენიერი ბუნება იზიდავდა კაცს განმარტოებულს ოცნებისთვის. მათია გამოვიდა საიასაულოდგან, წყნარად გაიარა მინდორი და მივიდა არაგვის პირს, რომელიც თავის ჩხრიალით თითქოს უალერსებს დაძინებულს ბუნებას.

ეს ხმა ამ მყუდროებაში ისე უალერსებდა, ისე უყვავებდა მათიას, რომ იმის რკინის გული მოალბო და აღუძრა ათასგვარი ფიქრი, ერთიერთმანეთზედ სასიამოვნო, ერთიმეორეზედ სანატრელი, შეუძლებელი. ის შევიდა ოცნებაში და წარმოიდგინა თავისი თავი ბედნიერად, რომელსაც ალერსით ახარებდა მზალო იმ წუთებში. ის დარწმუნებული იყო, რომ ამ ქალს მარტო ის უყვარდა, მარტო იმაზედ ჰფიქრობდა და ქვეყანაზედ არავისზედ არ გასცვლიდა იმას!.. ის თავის ოცნებამ იქამდინაც კი გაიტაცა, რომ საყვარელი ქალი მთელის თავის მშვენიერებით თვალწინ წარმოუდგა. ის ხელსა ჰკიდებდა ნაზ ტანს, შეჰყურებდა მშვენიერს ჟუჟუნა თვალებში და პირი ისე ახლოს მოეტანა, რომ თითქმის სუნთქვასაც ჰგრძნობდა. მათიას თვალწინ ეხატებოდა გიშრის ფერი თმები, რომელიც ქარს გაეწეწა, წყნარად არხევდა, ჰხვდებოდა იმის პირისახეს და სასიამოვნო ღუტუნით ნეტარების მღელვარებას აღუძრავდა... ის ნიავის მსგავსის ჩურჩულით, სავსე კრძალვით და უმანკოებით წარმოსთქვამდა ფიცს სამუდამო სიყვარულზედ და ერთგულობაზედ. მათია დარწმუნებული იყო, რომ ეს ყველა არ იყო ოცნების ნამუშევარი, რომელშიაც გულს ისე დაეჯალდა ჭკუა, რომ თავის სასურველს სურათებს წარმოუდგენდა ცოცხალ მოქმედებად...

როდესაც მათია ამ ნეტარებაში იყო, ერთმა კაცმა გამოჩქიფა არაგვი, ამოვიდა გორაზედ და მათიას წინ გაჩერდა. ახალმოსულმა დაუწყო იმას ყურება და უკვირდა, რომ მათია არავითარს ყურადღებას არ აქცევს იმას და თითქოს არც კი ამჩნევს.

— მათიაუ, მათიაუ! — უთხრა იმან და ხელი დაადო მხარზედ. ამ სიტყვებზედ მათია ისე შეკრთა, რომ ახალმოსული უფრო მომეტებულად შეაკრთო.

— რაი მოგივიდა, მათიაუ!? მე ვარ, ველარ მიცანი?

— ჰა!.. შენა ხარ... ჰო, შენა, შენა!.. — და ამ სიტყვებთან ერთად წინ გაუშვირა ხელები.

ახალ მისულს ეგონა, რომ იცნო და ხელის ჩამორთმევას და გადახვევას აპირობდა. მაგრამ მათია ისევ ისე იდგა. ის მხოლოდ მაშინ მოვიდა გრძნობას, როდესაც ელგუჯამ მკლავი დაუჭირა და დაუწყო ნძრევა.

— ვინა ხარ? - ოხვრით გეეშვებინა ისა და უკან მიდგა.

- ბედშაო ჩემო თავო!... რაი მოგსვლია, ველარ მიცან?

მაშინ მათიამ შეხედა, დაინახა, რომ იმის წინ ელგუჯა იდგა.

მკითხველს შეუძლია წარმოიდგინოს, რა სატანჯველად უნდა ემოქმედა ამ შემთხვევას მათიაზედ? იმ სანატრელის მდგომარეობიდგან, მერე სწორედ ამ დროს, როდესაც ოცნებას ისე სასიამოვნოდ გაეტაცნა, ის გამოჰყვანდა ამ ოცნებიდგან იმ კაცს, რომელსაც ეკუთვნოდა მზალო და რომლისათვისაც შეუბმელად, უცოდველად უნდა დაეთმო!... არამც თუ მარტოკა უნდა დაეთმო, არამედ თითონ უნდა მიეცა შემწეობა, ეშველა იმათ შეერთებისათვის.

გრძნობა გაივსო, სატანჯველი ნაღველად გადმოვიდა ნაპირზედ და მათიას აგრძნობინა თავისი მდგომარეობა. იმან თავი ველარ დაიჭირა და, თითქმის ქვითინით, გადაეხვია თავის ძმად ნაფიცს, რომელმაც თავის ნახვის სიხარულად მიიღო მათიას ქცევა.

— ელგუჯა, ელგუჯა, შენი კვნესა-მე!...

— კარგი-ღა, მათიავ, ღვთის გულისთვის გაჩუმდი!... რაი მოგსვლია, ბედშაო?

— არაფერი, არაფერი! — დარცხვენით წარმოსთქვა იმან და შეიმაგრა გული: ცხო როგორ ხარ, საიდამ?

— ვმადლობ უფალს, კარგად...

— ხომ სრულებით მორჩი, აღარა გტკივა-რა?

— ვმადლობ უფალსა... თავად რაღასა იქმ?

— მე რაღა საკითხავი მაქვს? რაი მიჭირს? — მწარის ღიმილით უპასუხა იმან.

— ცხო რა ამბავია?

— არც რა.

— მზალო როგორაა? რად არას მეუბნები იმაზედ?

— მზალო?.. ის? რაი უჭირს ბედნიერსა, კარგადაა... შენ გელოდდა, შენს გონებაში იყო სულ! საჩქაროდ დაიწყო მათიამ, რომელსაც ამ საგნის შეხება ისე ამღვრევდა: — წავიდეთ! ეხლავ გამოვიყვან!..

ამ სიტყვების შემდეგ ისინი წავიდნენ იმ წიფელთან, რომლის გვერდითაც მათიამ პირველად ჰნახა მზალო. ელგუჯა იქ დააგდო და თითონ კი გაეშურა მზალოსკენ.

ელგუჯა მოუთმენლად ელოდდა იმის მოსვლას, და თითო გავლილი წუთი ერთ წლად ეჩვენებოდა. ერთბაშად გაიშრიალა რაღაცამ და ელგუჯას მკლავებში თითქოს მიესვენა გონება დაკარგული მზალო.

შენა ხარ, შენა!? კიდევ მშვიდობით გხედავ!? ეუბნებოდა გატაცებით მზალო.

დამშვიდდი, ჩემო ყველავ! ნუ გეშინიან. ეხლა აღარ გავიყრებით... გცივა?.. რა გაკანკალებს ეგრე?

— არა, არა მცივა, არა...

ბოლოს, როცა იყო, იმათი გრძნობა დაადგა თავის დონს და ელგუჯამ უთხრა:

— მზალო, მოემზადე. მე შენს გასატაცებლად ჩამოვედი!

— ჩემს გასატაცებლად? — თითქოს შეკრთა მზალო.

— ჰო! შენს გასატაცებლად... რად შეგეშინდა? — ჰკითხა ელგუჯამ და დაკვირვებით დააცქერდა იმას

— არა, არა, მე არ შემშინებია... შენთან რის უნდა მეშინოდეს!..

— მაშ რას ამბობ. რად გაგიკვირდა?

— არ გამკვირებია... არა, მაგრამ... ვაი თუ კიდევ გამოგვეკიდნენ, კიდევ ის ვაივაგლახი მოხდეს... შენ ერთხელ გადარჩი, ახლა კიდევ ხელმეორედ...

— ჩემო ყველავ!.. — მოხვევნით გააწყვეტინა ელგუჯამ: — შენ სულ ჩემზედ ჰფიქრობ!

— არა, არა... ეგრე მეყვარები, ნუ გამიტაცებ!..

— ეგ შეუძლებელია ჩემგან...

— შეუძლებელი?.. აგრე უნდა იყო, აგრე... დამიჯერე, თავი დამანებე... მე უბედური ვარ, იმდენი მსხვერპლიც კმარა.

— ათი იმდენი მსხვერპლის შეწირვა რომ მომიხდეს, მე შენ თავს მაინც ვერ დაგანებებ.

— არ ვღირვარ მაგად, არა! — წამოიძახა მზალომ და ტირილით მიეყრდნო ელგუჯას გულზედ. ის სტიროდა მდუღარედ, რაღაცა თრთოლით და აღელვებით. აშკარადა სჩანდა, რომ იმას რაღაცა მძიმე ლოდად აწვა გულზედ, რომლის გამოთქმა უნდოდა და ვერც გაებედნა.

ელგუჯა დაღვრემილი, შეწუხებული უყურებდა იმას და თითქოს იმასაც ეგრძნო მზალოს მდგომარეობა.

„იქნება აღარ უყვარვარ?..." გაუელვა თავში ელგუჯას.

როდესაც მზალომ გული მოიჯერა ტირილით, ელგუჯამ წყნარად მოიშორა გულიდგან, დაუჭირა პირისახე,ააწევინა თავი და პირდაპირ შეხედა თვალებში.

— მზალო! შენ რაღაცა გაქვს ჩემგან დამალული, პირდაპირ რაც არ მეუბნები? ხვალ თუ ზეგ ჩემი ცოლი იქმნები, განა ცოლს დამალული უნდა ჰქონდეს რამე?

მზალოს ჟრჟოლამ გაურბინა ამ სიტყვებზედ; იმან დაჰხარა თავი და რაღაც წაიბუტბუტა.

— ვაჟკაცს პირში გამაგრება უნდა, — მითხარ ყველა!

მზალო ებრძოდა თავის გრძნობას, მერმე ერთბაშად დაეცა მუხლზედ და ერთბაშად წამოიძახა:

— დამნაშავე ვარ... თავი უნდა მომეკლა!

ამ სიტყვებზედ ელგუჯამ ხანჯალს გაივლო ხელი, მაგრამ თავი შეიკავა, ისევ დაიკრიბა გულხელი და ისე შეჰმუხვნილი უყურებდა.

— რაში? მითხარ!

მზალო მოუყვა თავის გაწბილების ამბავს, რომელზედაც ლაპარაკი მთელ ცოცხლედ ულირდა.

— ეხლაც არ დარწმუნდები, რომ შენი ღირსი არა ვარ?

— ბარემ, ბარემ მინდოდა, რომ აგრე მეთქვა, მაგრამ რაი ვქმნათ; რომ ყვარხარ, მიყვარხარ... ჩემ თავზედ მეტად!.. — ელგუჯამ მიიკრა გულზედ მზალო და დაუწყო გაშმაგებით კოცნა.

რამდენისამე დღის შემდეგ ხარანაულების მთაზედ შედიოდა მეფიონი, რომელშიაც ელგუჯას თავის საცოლე მზალოთი იცნობდით. მაყრებმა შესძახეს:

„მოვდივართ, მოგვიხარიან,
მოგვყავს დედალი ხოხობი!“

III

ელგუჯა და მზალო დასახლდნენ ხარანაულებისას, სადაც მტერი ისე ადვილად ვერ მიუდგებოდა; მაშასადამე, იმათი ცხოვრება უნდა წასულიყო ტკბილად და მშვიდობიანად. ელგუჯა დადიოდა ცხვარში და თავის მეყაითობით და სიბრთხილით აკვირვებდა ყველას. მზალოს თითქმის ყოველ დღე იმასთან აში აჰქონდა „ჯერი“*. ისინი დასხდებოდნენ იქ რომლისამე მთის ფერდოზედ ან სერზედ მაღლა, მაღლა, ისე მაღლა, რომ ბევრჯერ ნისლი და ღრუბლი იმათ ქვეით მოიქცეოდა, და მაშინ იმათ ამაყად შეეძლოთ ეთქვათ, რომ ღრუბელს ფეხითა სთელენ! აქ ხუჰრობდნენ, ხარობდნენ, იცინოდნენ.

---

*) „ჯერ“-ს საჭმელს ეტყვიან.

ასე გადიოდა დღეები, კვირეები...

ამ დროს ორი ამათი მეგობარი ქვეშეთში ერთრიგის ცეცხლით იწოდნენ, თუმცა ამ ცეცხლის ამღგზნებელნი იმათთვის სხვადასხვანი იყვნენ.

ესენი გახლდნენ მათია და ჯაჯალა, — მათია, რომელსაც არ ავიწყდებოდა მზალო და ჯაჯალა, რომელიც თავგანწირულებამდის მისულიყო მათიას სიყვარულით.

მზალოს მოტაცებისთვის სვიმონს განსაკუთრებითი ყურადღება არ მიუქცევია და ოითონ მდევარი, რომელიც გამოუყენა გაქცეულებს, ხალხის დასანახავად იყო გაგზავნილი და სწორედ ამ აზრით მდევარის მოთავედ დანიშნა მათია, რომელიც უეჭველად შემწეობას მისცემდა ელგუჯას და არასოდეს არ გამოეკიდებოდა, როგორც მოსისხლე თავის მტერს. ეს ყველა იცოდა სვიმონმა და სწორედ ამისათვისაც დანიშნა მათია მდევარის მოთავედ.

სწორედ ამ ხანებში მოიტანეს ამბავი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ეს ხმა მსწრაფლად გავარდა ხალხში და მთელი საქართველო შეარყია.

რასაკვირველია, რომ მთაც არ დარჩა უგრძნობლად და უბრალოდ ამ საერთო მოძრაობის დროს, და აქაც ისეთი მთრთოლარე დღეები დადგა, როგორც დანარჩენ საქართველოში. მათიასთვის ეს საგანი კიდევ იმითი იყო უფრო გადაჭარბებით საინტერესო, რომ ყველაზედ ხშირად ჰხვდებოდა რუსებს და იმ დროის ჩინოვნიკების უთავბოლო და არაიშვიათად უსამართლოდ მოქმედებას. ამას ემატებოდა კიდევ ყაზახების და სალდათების მხეცური ქცევა. რასაკვირველია, დაშინებულებს არ უნდოდათ ეს შეერთება.

ამ მდგომარეობით ისარგებლეს ალექსანდრე ბატონიშვილის ზოგიერთ მომხრეთ და დაინახეს საუმჯობესო წუთად ხალხის ასაჯანყებლად. ისინი ყველა შესაძლო და შეუძლებელს ხმას ავრცელებდნენ ხალხში და უფრო ამღელვარებდნენ ისეც გულამღვრეულს მთიულებს, მოხევეებს და ფშავ-ხევსურებს...

ჯალაბაურნი ამ დროში ერთი განთქმული გვართაგანნი იყვნენ მთიულეთ და მოხუცს აბდია ჯალაბაურს დამსახურებული ჰქონდა დიდი პატივი და სახელი. ის საქმე, რომელშიაც ეს მოხუცი მიიღებდა მონაწილეობას, უეჭველა თავვამობმული შეიქმნებოდა და ყველა მთიული დაუფიქრებლად, სრულ ნდობით მიემხრობოდა.

ერთს დღეს აბდიას კალოზედ შეყრილიყო რამდენიმე მთიული და რაღ ცას ლაპარაკობდნენ. ყველას პირისახეზედ ეტყობოდა ჩაფიქრება, ჰმუნვარ ბა; ეტყობოდა, რომ იმათ ყრილობის საგანი მეტად აღელვებდა: არც ჩვე ლებრივი სიცილი და ხუმრობა, არც სიმღერა, არც ოხუნჯობა! არაყიც კ

უეჭველი საჭიროება ყოველგვარი ყრილობისა, არსადა სჩანდა. ყმაწვილი მთიულებს აერჩიათ უფროსების მოშორებით ალაგი და იქ შეგროვილიყვნენ; ყველა ამათგანს ეჭირა ხელში რომელიმე იარაღი, რომელსაც ისე უვლიდნენ, სწმენდავდნენ და მართავდნენ, როგორც „გულის საყვარელს“.

აშკარად სჩანდა, რომ ის კრება არ იყო ჩვეულებრივი. უეჭველად განსაკუთრებითი რაღაცა ამბავი ხდებოდა, და ეს ამბავი უნდა შეჰხებოდა საერთოდ ყველას, რადგანაც იქ ჰხედავდით გაოფლიანებულს, დაღალულს ცხენებს, რომელთაც თავისი პატრონები შორის ადგილებიდგან უნდა მოეყვანათ.

ამ კრებას წამდაუწუმ ემატებოდნენ ახალახალი მოსულები, რომლებსაც ჩუმად წინ მიეგებებოდნენ, ჩუმად მიესალმებოდნენ და ჩუმადვე მიაცილებდნენ: მოხუცს -- მოხუცებთან და ყმაწვილს ყმაწვილებთან.

ბოლოს მოისმა სიმღერის ხმა და გამოჩნდნენ დეკანოზები დროშებით, რომელთაც სამასამდის შეიარაღებული ხალხი, ქუდმოხდილი, სიმღერით მოსდევდნენ. ეს ხმა იყო რაღაცა დიდებული, ვაჟკაცური, მაგრამ შემაწუხებელი, რომელიც შიგ გულის საძირკვლიდგან მოსწყდებოდა და მაღალის ბანით გრგვინვასავით გაივლიდა.

კალოზედ მყოფი ხალხი წამოცვივდა ფეხზედ, მოიხადეს ქუდები და პირჯვრის წერით წინ მიეგებნენ.

ყველანი მოწიწებით მიდიოდნენ, ყველანი გულმხურვალედ უყრიდნენ მუხლს იმ წმიდა დროშებს, რომელთაც არაერთხელ გასძღოლოდნენ წინ ბრძოლის ველზედ და არაერთხელ დაებრუნებინათ იქიდგან გამარჯვებულნი და სახელოვანნი.

დროშები მოაბრძანეს კალოზედ და დააბრძანეს ნიშთან, რომელიც იქვე კალოს ნაპირზედ იყო აშენებული უბრალო ქაჭებისაგან. დეკანოზები მოუდგნენ გვერდს და დანარჩენი ხალხი კი გაიშალა მინდორზედ, რომელიც იქვე, ცოტა კალოს ქვეით, გადაშლილიყო. ცოტა ხანმა გაიარა სიჩუმეში და მოისმა ზარების ჟღრიალი.

– ამწყალობნებენ, ამწყალობნებენ! შეიძრა ხალხი. ყველამ მიაქცია თვალები დეკანოზებისაკენ და ქუდებმოხდილებმა დაიჩოქეს.

დეკანოზებმა დაიწყეს ხალხის დამწყალობნება, რომელშიაც ხვეწნას გამოსთქვამდნენ ღმერთთან და წმინდანებთან, რომ მათ არ დაეგდოთ თავისი ხალხი და დაჰხმარებოდნენ იმათ გაჭირვებაში, დაეხსნათ მტრის ხელიდგან და მფარველად ჰყოლოდნენ უბედურებაში; ეხვეწებოდნენ, რომ იმათ ვალოჩი-

ნათ თავისი სასწაული, როგორც მრავალჯერ გამოუჩენიათ და ქართველი ხალხისათვის თვალები აუხილავთ...

ამის შემდეგ რიგი მოვიდა იმათი „შეკვრისა“ (წყევლისა), ვინც მოღალატე გამოვიდოდა და ვინც ამ მოღალატეს ან დაიფარავდა, ან დაინდობდა და ან რომელსამე შემწეობას მისცემდა.

ყოველ ამ სიტყვაში სჩანდა საერთოდ ხალხის სურვილი, საერთო გულის ძგერა, გულის ნაღველი, რომელიც შეგუბებულიყო დიდი ხნის სატანჯველით, რომელიც ვეღარაფერს დაემაგრებინა, გადმოეხეთქა გარს შემოზღუდული სიმაგრე და ისეთის სიჩქარით მოსდებოდა მთელ ხალხს.

ყოველ დალოცვის შემდეგ აღელვებულ ხალხში გრგვინვასავით გაივლიდა:

„ამინ, შენს მადლსა!“

და ეს საერთო ფიცი, საერთო უბედურებისაგან გამოხმობილი ხმა, თითქოს ერთიორად ამხნევებდა, აგულადებდა და ამაგრებდა იქ მყოფთა...

დალოცვა და ფიცი რო გათავდა, აბდია წამოდგა და ავიდა დეკანოზებთან. იმას აჰყვნენ რამდენიმე მოხუცი; დანარჩენი ხალხი კი გაიყარა თავთავის საზოგადოებად, და თითოეულ საზოგადოებიდგან რიგრიგად გამოვიდოდა წინამძღოლელი და მედროშე, მივიდოდა დროშასთან, რომელიც აბდიას ეჭირა, მოუყრიდა მუხლს, ემთხვევოდა და ჩაიბარებდა. შემდეგ ჩამოვიდოდა და თავის საზოგადოებაში შეერეოდა, რომელიც მიეშურებოდა დროშის მთხვევას და პატივით მიღებას.

აშკარად სჩანდა, რომ ამ ხალხს დიდი რწმუნება ჰქონდა თავიანთ დროშებისა და იმათი პატივისცემა იქამდის მიდიოდა, რომ ადვილად არც დაჰკარგავდა და არც დაანებებდა ვისმე; არამც თუ დაანებებდა ვისმე ამ სახალხო ნიშანს, ის დიდიდგან პატარამდის გასწყდებოდა და იმას კი არ დაჰკარგავდა.

როდესაც ეს ყველა გათავდა, — მედროშეებმა ჩაიბარეს დროშები, სხვადასხვა თანამდებობის პირნი იქმნენ ამორჩეულნი, ხალხი თითქოს დაწყნარდა.

ამ წუთიდგან მეთაურები უბრალო ხალხისაგან ერთბაშად გადაიქცნენ ისეთს მბრძანებლებად, რომლების სიტყვასაც ყოველის უარის უთქმელად ასრულებდა, და ამორჩეულებიც ჰგრძნობდნენ თავიანთ ძალას და მნიშვნელობას.

აბდია გავიდა ცალკე და დაიძახა:

— მეთაურნი აქ მოვიდნენ!

იმის სიტყვები ხალხში გამეორდა რამდენჯერმე, და ისინიც თითოთითოდ ამაყად გამოდიოდნენ და მოდიოდნენ აბდიასთან.

როდესაც ყველანი შეგროვდნენ, ისინი დასხდნენ განსაკუთრებით მარტონი და დაიწყეს სჯა თავიანთ მდგომარეობაზედ.

-- ხალხო! გაიგეთ, რომ რუსის ხელმწიფესთან გაგზავნილები დაბრუნდნენ?

— გავიგეთ, შენი კვნესა-მე, გავიგეთ!

— მეფე გიორგის სიკვდილიც გაიგეთ?

-- ეგეც გავიგეთ, შენი კვნესა-მე!

-- გაიგეთ, შუა კაცებს რაიც პასუხი მოუტანიათ?

— გავიგეთ, მაგრამ კარგად ვერ ჩაგვისმენია.

— აი, ქალაქიდგან მოსული სტუმარი თითონ გეტყვისთ! — წყნარად წარმოსთქვა აბდიამ შეჭმუხვნილის სახით და მიუბრუნდა იქ შორი-ახლო მდგომს მთიულს: -— წადი, სტუმარი მოიყვანე აქა!

მოვიდა სტუმარი, რომელიც ქართლულს ტანისამოსში იყო ჩაცმული და სულ თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებული. იმის მოსვლაზედ ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და მიესალმნენ. იმანაც დაბლად დაუკრა თავი.

— მშვიდობა ვაჟკაცს მთიულებს! — უთხრა იმან.

— ნუ მოგიშალოს ლომისამ მშვიდობა! — იყო საერთო პასუხი.

აბდიამ მიიპატიჟა ქართლელი თავის გვერდით. ყველანი დალაგდნენ.

— სტუმარო, -დაიწყო აბდიამ, — ამ ხალხს გაგონება უნდა, რაი ამბავი ხდება საქართველოში... მართლა გვიღალატეს, მართლა გაგვყიდეს?

— მართალია, მართალი... დღეის იქით თქვენ ვეღარ იხილავთ თქვენს მეფეს, თქვენ აღარ გეყოლებათ თქვენი საკუთარი მეფე.

ამ სიტყვებმა ნაპერწკალივით გაიარა ხალხში და იქამდის აღელვა, რომ კარგმა ხანმა გამოიარა, სანამ ახალმოსულს ლაპარაკის დრო დარჩებოდა.

— გაჩუმდით, გაიგონეთ! — უთხრა აბდიამ, და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ ყველას გაგონილი გაქვსთ, რომ განსვენებულმა მეფემ გიორგიმ შუაკაცები გაჰგზავნა რუსეთს იმ პირობის შესაკრავად, დასამტკიცებლად, რომლითაც რუსები უნდა დარჩენილიყვნენ ჩვენში. ჩვენ ყველას ისე გვქონდა გაგებული და გარდაწყვეტილი, რომ რუსეთს, როგორც მართლმადიდებელ ხალხს, ძმური ხელი უნდა გამოეშვირა ჩვენთვის და შეერთებულის ძალით წინაღვდგომოდით მაჰმადიანებს, მაგრამ მეფე მაინც ჩვენი უნდა გვყოლოდა. ამის სამაგიეროდ, ჩვენ უნდა შეგვენახა ის ჯარები, რომელიც საქართველოში იქმნება და ცოტაოდენი მახტის მაგიერი ხარჯი გვეძლია იმათთვის.

- რად გვინდოდა ისინი, შენი კვნესა-მე? ათასჯერ ყვოფილვართ გაჭირვებაში, მაგრამ ჩვენვე მოგვიშორებია თავიდგან! --წარმოსთქვა რამდენმამე პირმა.

მაგაზედ ეხლა ლაპარაკი გვიანაც არის და მეტიცა. მეფემ და ხალხმა აგრე დაინახეს უკეთ, აგრე ამჯობინეს თავის ქვეყნისთვის და აგრე გარდასწყვიტეს... ამ პირობების შესაკრავად მეფემ გაჰგზავნა შუა-კაცები, რომლებიც დაბრუნდნენ და ქალაქში სწორედ მეფის სიკვდილის დღეს შემოვიდნენ. ისინი ჯერ ისევ ვერაზედ იყვნენ, ქალაქში არ შემოსულიყვნენ და მეფე არ ენახათ, როდესაც, ჩვენდა ვაგლახად, მეფემ დალია უმანკო სული. . დიაღ, მეფემ დალია სული, და იმის უკანასკნელი ჟამი მნახველთ გულს მოუკლავდა, ისე იტანჯებოდა განსვენებული: იმის სიკვდილის შემდეგ შემოვიდნენ ქალაქში რუსეთს გაგზავნილი კაცები და მაშინდელმა მართებლობამ გამოაცხადა მეფე გიორგის სურვილად — საქართველოს რუსეთის მფლობელობის ქვეშ შესვლა!.. ეს ხმა ზარსავით დაგვეცა თავს, რადგანაც ჩვენ რუსეთისგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად ყმებად კი გარდავიქეცით. . მართლა მეფემ გარდასცა საქართველო, თუ გაგზავნილებმა გამოცვალეს ქალალდები და მეფე კი ქალაქში მოწამლეს, როგორც ხმა გამოვიდა, — ეხლაც არავინ იცის...

ამის შემდეგ პირობა შეჰკრეს, რომ მომდინარს რუსის ჯარს, რომელიც ათიოდ დღეზედ უნდა ჩამოსულიყო, გზები ისე შეუკრან ფასანაურის ვიწროებში, რომ ველარც წინ წავიდეს და ველარც უკან; მოხევეებს შეატყობინეს, რომ იმათაც დარიელის ხეობა შეჰკრან და რუსი აღარ გადმოაჭაჭანონ.

ამ სიტყვებზედ ისინი დაიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ გზების შესაკრავად დანიშნულ ადგილებში.

მარტო ერთი მათია, რომელიც, სხვათა შორის, ამ ხალხში იყო, დარჩა იმ ადგილზედ და ცოტა ფიქრის შემდეგ გასწია ელგუჯასკენ.

მშვენიერად გამწვანებულს ფერდოზედ ლამაზად შეფენილიყო ქალალდივით თეთრი ცხვარი და წყნარ-წყნარად მოვიდ-მიდიოდა ალმა. ორი ყოჩი ქვეით ჩამორჩენილიყვნენ და თავგანწირვით იბრძოდნენ, რადგანაც რომელიმე „შიშაქი“*) სადაოდ გაჰხდომოდათ და არც ერთი თავს არ ინანებდა, ოღონდაც გაბედნიერებულიყვნენ იმის მოწონებით და არჩევით. ყოჩები უკან-უკან წავიდოდნენ, გაუდგებოდნენ ერთმანეთს განზედ და, როდესაც საკმაოდ დაშორდებოდნენ, კამარით და ლაზათიანის ხტუნაობით, ყელმოღერებულები გაექანებოდნენ და ერთი ერთმანეთს რქებით და შუბლით თავგანწირვით დაე

---

*) „შიშაქი“ — დედალი ცხვარი.

ტაკებოდნენ; მერმე გაბრუებულები ფრუტუნით გაიქნევდნენ თავს და ისევ ხელმეორედ გაუდგებოდნენ ერთმანერთის, რათა ხელახლად ეცადათ თავიანთ რქების, კისრის და თავის ძალა. იქამდის მიდიოდა იმათი თავგანწირულება და სურვილი გამარჯვებისა, რომ ბევრჯერ, შეტაკების შემდეგ, ორნივ გაბრუებულნი გადაიქცეოდნენ უკან და რამდენიმე ხანი ისე ეყარნენ. გარეშე კაცს რომ შეეხედნა იმათ ბრძოლისათვის, ეგონებოდა, რომ მებრძოლებმა შუაზედ გაიხეთქეს შუბლებიო, მაგრამ მწყემსი, რომელიც ფარას სათავეში მოჰქცეოდა სიამოვნების სახით უყურებდა იმათ ბრძოლას. ის ყოჩების გაშველებას არც კი სცდილობდა, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ ყოჩების გაშველება არ შეიძლება, რომ ერთი იმათგანი გამარჯვებული არ შეიქმნება, სანამ ერთს იმათგანს არ ეღირსება ალერსიანის ყმუყუნით გავლა თავის ტურფა შიშაქის წინ, და მეორეს კი, დარცხვენილს და თავდახრილს, — ფარაში დამალვა.

მწყემსი დაყრდნობილიყო თავის შინდის კომბალზედ და დასცქეროდა ცხვარს, რომელსაც მეტად წინ არ უშვებდა, რომ უფრო გულიანად ეძოვათ, და უკანებისთვის მეტად არ ექელათ ბალახი.

მაღლობზედ დიდს ქოფაკს, გაბანჯგლულის ფეხებით და შესაზარის შეხედულობით, ამოერჩია ალაგი და იქიდგან ჰდარაჯობდა ცხვარს.

ერთბაშად ძაღლი წამოვარდა, შეჰყმუვლა და გაექანა ერთი ქედისკენ, რომლიდგანაც ამოჩნდა ერთი დედაკაცი. ძაღლი მივიდა იმასთან, დაუწყო ლაქუცობა, ყეფა და ხტუნაობა; ეტყობოდა, რომ ის სიხარულს ჰგრძნობდა ახალმოსულის ნახვით. ქალიც თავის ნაზის ხელებით უალერსებდა და უყვავებდა იმას. რაწამს მწყემსმა თვალი მოჰკრა მომავალს ქალსა, სახემ გაუღიმა და თუმცა დიდი ხანი იყო, რაც ამგვარად ხარობდა ხოლმე, მაგრამ თითქოს შეყრის პირველი დღე იყოს, -გულმა ისე დაუწყო ძგერა.

ისინი მივიდნენ ერთმანეთთან, სიხარულით მოეხვივნენ და დასხდნენ. ქალმა მოიხსნა გუდა, ამოალაგა ხაჭაპურები, ყველი და ქადა. პირველის ალერსის შემდეგ დაიწყეს პურის ჭამა.

— ქალაუ, მთიულეთით თუ არავინ მოსულა?—ჰკითხა ელგუჯამ, რომელიც, უეჭველია, იცნო მკითხველმა.

— არა, — უპასუხა ქალმა.

— რაისთვინ იგვიანებენ?—წამოსთქვა ელგუჯამ და დაფიქრდა.

— სოფელში კი ამბობენ, რაიმე არეულობა არის მთიულეთსაო.

— არეულობა?

— ვაჟები ლაშქრად ემზადებიან.

მეფისას რას ამბობენ, ვინა დგება?

არ ვიცი... ხალხი გიორგისა გლოვობს, ყველა უფროსებმა წვერი დაიყენეს.

— რას გვარგებს წვერის დაყენება?..

ამ დროს ძაღლი, რომელიც იქვე იწვა და ენაზებოდა მზალოს, წამოვარდა და გაანჩხლებული, ყეფით გაექანა გზისაკენ, სადაც ერთი მთიული მგლურის ნაბიჯით შემოვიდა. თუშური ქუდი კოხტად გვერდზედ მოჰქცეოდა და ამშვენებდა იმის ყმაწვილს პირისახეს, ჩოხის კალთები აკეცილი განიერს ღვედის ქამარში ისე, როგორც სიარულში და ომის დროს იკეთებენ; ქამარზედ მოდიდო ხანჯალი ჰქონდა ჩამოკიდებული. სასწრაფო და საპირისწამლე, მხარიღლივ გადაკიდებული, ამტკიცებდნენ, რომ ის მეომარი უნდა ყოფილიყო: გაშიშვლებული თოფი, მხარზედ კრიალებდა. მთელი იმისი მიხვრა-მოხვრა ამტკიცებდა სიამაყეს და გულადობასა. ისე შეკრული, გაბრთხილებული და მოხდენილი მოდიოდა, რომ მტერსაც კი სასიხარულოდ მიაჩნდებოდა იმისი ნახვა და დამიზნებულს თოფს შეაყენებდა, რომ საკმაოდ დამტკბარიყო იმის მშვენიერებით.

— მათია, მათია!—წამოიძახა ელგუჯამ, რაკი მთიული დაინახა და გაექანა იმისაკენ. ძაღლი გაშმაგებით დაეძგერა.

— ჰა, აზგამო, შე ბაითალმანო! აზგამ! დასძახა ელგუჯამ ძაღლს, რომელიც მაშინვე გამობრუნდა და კუდი დაუშვა.

— ბედშავო! აფთარავ! მოკეთე ველარ გიცვნია?...—უფრო მშვიდობიანად დაუმატა იმან.

— ელგუჯას გამარჯვება!—შემოსძახა მათიამ.

— გაგიმარჯოს, მათიაუ!

ამ დროს მზალოც მოვიდა, მაგრამ ვაი იმ მოსვლას!.. რაწამს მათიამ თვალი მოჰკრა, მაშინვე ფერი შეეცვალა და წაბარბაცდა.

— რაი მოგივიდა?—მიეშველა ელგუჯა.

— არც რა, არც რა!.. თავს რეტი რამე დამესხა...—უპასუხა მათიამ და წყნარად თვალებ-დაშვებული მიუბრუნდა მზალოს:

— დას გაუმარჯოს!

— აუ, ბედშავო ჩემო თავო, მე კი გული გამიხეთქე-და, რაღა გამარჯვებისა?.. დაჯექ, დაჯექ, არ წაიქცე! —ეუბნებოდა მზალო.

— არა მიშავ-რა, შენი კვნესა-მე! ცხელი დღეა, მზემ ძალა თუ დამატანა.

— წადი-ღა, წყაროდგან წყალი მოიტანე! – უთხრა ელგუჯამ მზალოს, რომელიც საჩქაროდ გაბრუნდა.

— ნუ ისჯები, შენი კვნესა-მე, ნუ, არა მინდა-რა, გაიარა!.. წარმოსთქვა მათიამ, რომელიც თავს ძლივს-ღა იმაგრებდა.

იმ დროს ის ჰგრძნობდა ჯოჯოხეთის ცეცხლს, წამებას და სატანჯველს, რაც კი ადამიანისათვის გაჩენილა ამ სოფლად.

ისინი მივიდნენ ბინასთან, დასხდნენ და დაიწყეს ლაპარაკი.

რა ამბები ჰხდება მთიულეთს? — დაუწყო ელგუჯამ.

— რაი ამბავი, – ომი იქმნება.

— ომი!? — სიხარულით წამოხტა ელგუჯა.

— ჰო, ომი.

— ვისთან?

— რუსებთან.

— ძლივს!.. აბა ახლა გამოჩნდება, ვინც ვაჟკაცია!

ამ სიტყვებზედ მზალო შეჰკრთა და წყნარად ჰკითხა:

— შენც წახვალ ომში?

— მე? მე ყველაზედ მეტი მიზეზი მაქვს... ჩადი შინ და ხარანაულთ უთხარ, ცხორს მოეპატრონოს, მე იქ წავალ, საცა ჩემი ტოლ-სწორები იქნებიან...

მზალო წამოდგა, ჩუმად გამოესალმა მათიას და თვალებში ცრემლმორეული გაემართა გზას.

მათია და ელგუჯა კი დაფიქრებულნი, გაჩუმებულნი დარჩნენ; ბოლოს უკანასკნელს გულმა ვეღარ მოუთმინა და უთხრა მათიას:

— პატარა ხანს ცხვარზედ თვალი დაიჭირე, შინ რამე დამავიწყდა, წავალ, იმ ქალას მოვეწევი და ვეტყვი!

— აგრე, - იყო მოკლე პასუხი.

ელგუჯა გამოუდგა თავის ცოლს, რომელსაც ჩქარა მოეწია.

— ქალაუ, მოიცადე-ღა!

მზალო შესდგა და მადლიერის თვალებით შეჰხედა.

— რაი გინდა?

— მე სოფელში აღარ ჩამოვალ და აქედგან წავალ პირდაპირ.

— კიდევ ომი, კიდევ ხალხის წყვეტა! — წამოიძახა მზალომ გულის კანკალით.

— რაი ვუყოთ, მტერს – პასუხი უნდა, ძალის მომტანს -- წინააღმდეგობა.

— ჩამოხვიდოდი, ბალღებს მაინც გამოეთხოვებოდი, — უთხრა მზალომ, რომელსაც ვერ დაეთმო თავისი ქმარი.

— მეტი ნახვა მეტი მწუხარებაა. ბალღებს რაი უნდათ? კეთილი მეზობლები არ გამოგელევათ, და შენ კი თავს არ დაანებებ, არ დაჰყრი...

— აუ! რას მეუბნები?

— იმას, რომ შენ ფიცი უნდა მომცე... ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... ვინ იცის, ცოცხალი მოვალ, თუ არა... თუ მომკლეს, მამობაც შენ უნდა გაუწიო და დედობაც.

— უწინამც დღე დაგველევა, სანამ მაგ დღეს შევესწრობოდეთ.

— ვინ იცის... ვაჟკაცი ნამუსისა და ბრძოლისთვის არის გაჩენილი, დედაკაცი — შვილების აღსაზრდელად... მაშ შემომფიცე, რომ აასრულებ შენს მოვალეობას — შენს შვილებს თავს არ დაანებებ.

— ვფიცავ შენს თავს! — ძლივს წარმოსთქვა მზალომ, ტირილით ჩაეკრა გულში და ისე დარჩნენ რამოდენსამე ხანს.

— კარგი, კარგი! — ღმერთი მოწყალეა... კიდევ შევიყრებით მშვიდობით...

მზალომ მაგრად მოჰხვია ხელები და თრთოლვით, თუმცა თავშეკავებით, სტიროდა; ელგუჯასაც გული დაულბა და თითონვე ეშინოდა, რომ ჩქარა არ გაწყვეტილიყო ეს სასიამოვნო სიყვარულის ჯაჭვი, მაგრამ მოაგონდა თავისი მოვალეობა, გაიფიქრა: „გულჩვილობა დიაცთ წესია“, — და წყნარად გააშვებინა ხელები ცოლს, შეჰხედა თვალებში, მოეხვია, გატაცებით აკოცა და საჩქაროდ გამობრუნდა.

— დაიცა, ცოტა კიდევ! სათქმელი მაქვს რაიმე! — დაიძახა მზალომ, მაგრამ გვიან-ღა იყო: ელგუჯა გადაეფარა იქვე ახლო მყოფს ქედს. ის მიეშურებოდა თავის ძმად-ნაფიცისკენ, რათა გვერდს მისდგომოდნენ თავიანთ მოძმეთ და ერთად წინააღსდგომოდნენ შემაძრწუნებელს უსამართლოებას

ჩქარა ამოვიდნენ ხარანაულების ბალღები, რომელთაც ჩაიბარეს ცხვარი.

ელგუჯამ და მათიამ გასწიეს მთიულეთისკენ.

გზაში ისინი აგროვებდნენ თავისავით თავგამოდებულ ბიჭებს.

სანამ დანიშნულ ალაგას მივიდოდნენ, ოცამდის ბიჭები შეიყარნენ, მაგრამ ისეთი ბიჭები, რომელთაგან ერთი ათად დაფასდებოდა.

ისინი პირველს შეყრაშივე ძმად გაიფიცნენ, დასდვეს პირობა, რომ ყველანი ერთად გადაიქცნენ და ერთის სახელით იმოქმედონ, ერთისთვის ყველამ გადასდოს თავი და ყველასთვის ერთმა.

მაგრამ ეს ფიცი საჭიროც არ იყო; ისინი თავიანთის აღზრდით, თავის შეხედულებით და ჩვეულებით თავიანთ მოვალეობად ჰხედავდნენ ერთმანეთის შველას, ერთმანეთისთვის თავგადადებას. ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში. რომელიც დედის ძუძუსთან ერთად სწოვენ და ინერგავენ აზრს ამხანაგის მოღალატობის სირცხვილსა; იმ ხალხში. რომლის ზღაპარი, თუ ლექსი, თუ რამ საგანზედ, ამ საგანზე ტრიალებს და უნერგავს გულში ამ ამაღლებულს შეხედულებას.

ეს არის ეხლა აბდია უნდა ენახათ, შეეტყობინებინათ იმისთვის თავის აზრი და საუბარი ჰქონოდათ იმაზედ, თუ რარიგად უნდა ემოქმედნათ.

— მაშ გავწყდეთ ყველანი და სირცხვილს კი ნუ შევირჩენთ! — წამოიძახა ელგუჯამ.

— გავწყდეთ, გავწყდეთ! — იყო საერთო პასუხი.

— რაი-და ვიქმნებით, თუ ჩვენი მეფეც აღარ გვეყოლება?

— არცარა...

— მერმე როგორ მოუკლავთ ულმერთოებს?.. მოუწამლავსთ!

— სიკვდილი მოღალატეებს!

ამ დროს მოვიდა ერთი მთიული, რომელიც სვიმონს გამოეგზავნა მათიასთან.

— გამარჯვება ვაჟებს! — მისვლის უმალეს წამოიძახა იმან.

— გაგიმარჯოს! — იყო პასუხი.

— მათიაი აქაა?

— აქა ვარ, რაი გინდა?

— სვიმონმა გამომგზავნა, მათიას უთხარი, აბდია და სხვა უფროსი კაცები წამოიყვანოს და ეხლავე აქ ამოვიდესო.

— რას იტყვით, ვაჟებო? - ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მათიამ ამხანაგებს

— სვიმონ კაი კაცია, ის ღალატით არ მოექცევა... ადი აბდიასთან, როგორც იმან გითხრას, ისე მოიქეც. მაგრამ ძალიან კი მაინც ნუ ენდობი სვიმონსა, რუსის სამსახურშია...

იქმნებოდა ღამის რვა საათი, როდესაც ქვეშეთში, სვიმონის სახლის კარებზედ, რაღაცა მოძრაობა იყო. შეკაზმული ცხენები და შებმული ურმები ამტკიცებდნენ, რომ აქ ან ვიღაცანი მოსულიყვნენ და ან მიდიოდნენ.

თითონ სვიმონიც, ჩაშალვარებული, მთლად შეიარაღებული, რაღაცა მღელვარებაში იყო და ეტყობოდა, რომ სადღაც მიემზადებოდა და მოუთმენლად რაღაცას თუ ვიღასაც ელოდდა.

წამდაუწუმ შედიოდნენ და გამოდიოდნენ იმასთან სხვადასხვა პირები, რომელთაც ჩუმად, იდუმალად მოელაპარაკებოდა და ისტუმრებდა.

ათჯერ მომეტებულად ეკითხა ბიჭისთვის: „ხომ არ მოსულანო?“ თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ, თუ მოსულიყო ვინმე, მაშინვე შეატყობინებდნენ. ბოლოს ბიჭი საჩქაროდ შემოვარდა და შეატყობინა იმის მოსვლა, ვისაც ისე სულსწრაფობით მოელოდდა სახლის პატრონი.

— შემოიყვანე, ჩქარა, რაღას ელი? უთხრა იმან და ბოლოს დაუმატა: — სანამ ის აქ იქმნება, არავინ შემოუშვა!

ბიჭი გავიდა, გაიღო ხელახლად კარები და შემოვიდა მათია, მთლად შეიარაღებული. იმის ჩაცმულობა, უკან გადაკეცილი ჩოხის კალთები და ყველა საჭირო საომარი იარაღი ამტკიცებდა, რომ ის სადმე ლაშქრად უნდა ყოფილიყო.

— მადლობა ღმერთსა! — მოუთმენლად წარმოსთქვა სვიმონმა: — რა ჰქმენ? მიამბე ჩქარა!

— ვნახე ყველანი, შენი კვნესა მე, — უპასუხა იმან.

— უთხარი?

— ჰაი, ჰაი, რომ ვუთხარ.

— მერე რა გითხრეს?.. არ წამოვიდნენ?

— არა, შენი კვნესა-მე!.. ისინი ამბობენ, რომ თუ ხალხისთვის კეთილი გინდა, შენ თითონ ჩამოხვალ აქაო.

— მე?! უნდა ვიახლო იმათ?! — გაკვირვებით და ამაყად წარმოსთქვა იმან.

— ჰაი, ჰაი, რომ უნდა წახვიდე!

— როგორ?.. შენც მაგას ამბობ?.. მე, დღეს მთაში პირველ კაცად ვითვლებოდე და მე უნდა წავიდე იმათთან?

— აბდიამ შემოგითვალა, შენი კვნესა-მე: „დღეს ისეთი ძნელი საქმე აწევსო კისერზედ მთიულთ უფროსებს, რომ ერთ დამთქნარებასაც ვერ მოსცილდებიან თავიანთ ადგილებს! თუ შენ მართლა კეთილი გინდაო, ან ხალხისათვის ან მამულისათვის, მაშინ ჩვენთან ჩამოსვლას არ დაიზარებო“. ამ სიტყვებმა არა მცირედ დააფიქრეს სვიმონ, რომელმაც რამდენჯერმე გაიარგამოიარა ოთახში და შესდგა მათიას წინ. სვიმონს პასუხი ვერ გადაეწყვიტა, რადგანაც მართლა მოსაფიქრებელი იყო მისვლა აჯანყებულ მთიულებთან, რომლებიც სვიმონს არ ენდობოდნენ, როგორც მართებლობის ერთს წარმომადგენელს და, მაშასადამე, იმის მომხრეს.

ამ აღელვებაში, ამ საერთო არეულობაში მცირედი ეჭვის შეტანაცა კმაროდა, რომ კაცის სიცოცხლე ჩალად აღარ დაფასებულიყო. გამწარებულებს სამართლიანად თუ უსამართლოდ შეეძლოთ თავი ისე წაეკრათ, როგორც ქათმისთვის. სვიმონ არ იყო ლაჩარი და სიკვდილს ბევრჯერ შეჰყროდა პირდაპირ, მაგრამ უბრალო სიკვდილი, თავგაუმართლებლად შთამომავლობის წინაშე, მხოლოდ უბრალო ეჭვის გამო, არ უნდოდა. ამასთან ერთად ის კაცი იყო და აგონდებოდა თავის ცოლშვილი, რომლებიც ხალხის სიბრაზის უეჭველის მსხვერპლად შეიქმნებოდნენ, თუ იმას აუტყდებოდა რამე. ის მამულის შვილი იყო, ქართველი და ქართველურის გრძნობით. თავის მოვალეობადა ჰხედავდა მისულიყო ხალხში და გაჭირვებაში გვერდს მოსდგომოდა თავის მოძმეებს, თუნდა ეს სიცოცხლედაც დასჯდომოდა. მაგრამ იმან ერთხელ და სამუდამოდ გარდასწყვიტა იმ აზრების აღსრულებას შესდგომიყო, რომლებიც ხალხისათვის, იმის აზრით და შეხედულობით, სასარგებლო იქნებოდა.

იმან ამოიოხრა, მივიდა ახლოს მათიასთან და გარდაწყვეტით უთხრა:

— კარგი, წამოვალ.

ამ სიტყვების შემდეგ გავიდა იმ ოთახიდგან, მოამზადა სახლობა, რომელიც გაისტუმრა ლარსის სიმაგრეში, ოსების მებატონეებთან.

გამოსალმებაში გულმა ვერ მოუთმინა და უმოწმოდ, ცალკე ოთახში, მიიკრა გულში თავისი ცოლი, რომელსაც, გაჩუმებულს და გაფითრებულს, ისიც ველარ გაებედნა, რომ ეკითხა, თუ რა ჰხდება და რას უნდა მოელოდეს? აღელვებულმა სვიმონმა მხურვალედ დაჰკოცნა თავისი შვილები და გუნებაში გაუარა აზრმა: „ვინ იცის, კიდევ ეღირსება თქვენს მშობლებს თქვენი გულზედ ჰიკვრა?“ გაიფიქრა ეს, და გულში რაღაცა ადუღდა და მოედო მთელს აგებულებას.

ისა ჰხედავდა, რომ სუსტდებოდა, მაგრამ მოაგონდა მამული, მოძმენი, რომლებიც ისეთს გაჭირვებაში იყვნენ და ხელის გაქნევით წამოიძახა:

— წადით, წადით! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! — ამ სიტყვების შემდეგ ურმები გაჭრიალდა და გაჰყარა შვილები მამას, რომელიც საჩქაროდ გამობრუნდა და დამშვიდებულის ნაბიჯით შევიდა მათიასთან.

— მზადა ვარ, წავიდეთ, ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა!

ისინი შესხდნენ ცხენებზედ, გაიყოლეს კიდევ ერთი მთიული და გასწიეს აბდიასკენ, სადაც უფროსი ხალხი და ლაშქრის მეთაურები შეყრილიყვნენ.

არავინ არ მოელოდა, რომ სვიმონ პატონი, — როგორც მაშინ მთის ხალხი ნაჩალნიკს ეძახდნენ, და ამასთან დასაჩუქრებული და დაყვავებული რუსის

მართებლობისაგან, — არ გასწყრებოდა და თითონ მოვიდოდა ხალხთან. წარმოიდგინეთ იმათი გაკვირვება, როდესაც იმათთან შევიდა ერთი დარაჯთაგანი და გამოუცხადა სვიმონის მოსვლა.

აბდია და რამდენიმე მოხუცი გამოეგებნენ გარედ, სადაც მიესალმნენ სვიმონს დიდის მოკრძალებით და პატივით.

— ბატონო სვიმონ! ძვირფასი სტუმარი ხარ ჩვენთვის, ლომისაა მოწამე... მე მიხარიან, რომ ჩემს ქოხში გხედავ, — დაბლა თავის დაკვრით უთხრა აბდიამ.

— მთიულნი ვაჟკაცნი არიან, სტუმართ მოყვარულნი! ჩემთვის სახელია შენისთანა მასპინძელი, — ზრდილობიანად უპასუხა მოსულმა.

— აი, შენი კვნესა-მე, ჩემი სახლი, მობრძანდი, შენ ბატონი და ჩვენ ყურმოჭრილი ყმები! — ამ სიტყვებით აბდიამ შეიპატიჟა სახლში, სადაც ქვაბით საკლავი[*] ჯერ კიდევ საკიდლიდგან არ გადმოეღოთ და წყნარად ჩუხჩუხებდა.

სტუმარმასპინძელნი დასხდნენ და სიჩუმე ჩამოვარდა რამოდენსამე ხანს. ყველანი როგორღაც უხერხულად გრძნობდნენ თავს.

აბდიაუ! მე დაგიბარეთ, მაგრამ თქვენ არ მოხვედით. არ მენდენით, თუ რა იყო? — დაიწყო სვიმონმა.

— არა, შენი კვნესა-მე, შენ როგორ არ გენდობოდით? შენც ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი, განთქმული ვაჟკაცობით და გულადობით... შენ როგორ არ გენდობით?

— მაშ რად არ მოხვედით?

— იმად, რომ უფროსები ვინც არიან, ჯარის მოთავედ არიან ამორჩეულები და თავთავის ალაგას თავს ვერ დაანებებდნენ.

— დღეს თქვენ უფროსად მე ვარ დაყენებული, და რაკი მე გიბარებდით, უნდა ამოჰსულიყავით.

— უფროსად? — ამაყად წარმოსთქვა აბდიამ: — შენ ცხო ხალხისაგან ხარ დაყენებული უფროსად, და ჩვენ კი ჩვენი ხალხისაგან ვართ ამორჩეულნი... შენი ქომაგნი სტუმრად არიან მოსულნი, დღეს თუ ხვალ უნდა წავიდნენ და ჩვენ კი მემკვიდრენი ვართ... უფროსები ჩვენგან არიან ამორჩეულნი, რად უნდა მოსულიყვნენ შენთან?

ვაჟკაცს ვაჟკაცური სიტყვა ექნება! თემის გარდაწყვეტილებას მეც დავმორჩილდი და მოვედ.

---

*) საკლავს — ცხვარს ეტყვიან.

— მაშ ჩვენი ხარ, შენი კვნესა-მე? — სიხარულით წამოიძახა აბდიამ.

— ცოცხალიც და მკვდარიც! ღმერთია გულთა მხილველი.

— ღმერთი, მე და ჩემმა ღმერთმა!

— მაშ რასაც აპირობთ, რატომ მე კი არ მატყობინებთ? გგონიათ მე კი არ მეწვის გული მამულისათვის? გგონიათ მე კი არ ვხედავ, რომ ვიღუპებით? მაგრამ აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.

— მაშ რას აგვირჩევ? რას გვეტყვი?

— ჯერ დაწვრილებით გამაგებინეთ, რას ჰშვრებით, რას აპირობთ და მაშინ ერთად ვარჩიოთ ძმებსავით.

— ძმებსავით, შენი კვნესა-მე, ძმებსავით!

— აბა, მაშ დაიწყეთ!

— ეგ მარტო მე არ შემიძლიან. აი უფროსები აქ არიან; მაგათაც დავეკითხნეთ.

— მაშ, მაშ, მაგათაც უნდა დავეკითხნეთ!

— უფროსნო და მეთაურნო, რას იტყვით?

ამ კითხვის შემდეგ რამოდენსამე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, მერმე წამოდგა ერთი და დაიწყო:

— ჩვენ დასამალი არა გვაქვს-რა. ჩვენ გარდავწყვიტეთ, რომ ან გავწყდეთ და ან ისევ ჩვენი მეფე გვეყოლოს... ვინც თავისს თავს ქართველად უყურებს, უნდა მოგვიდგეს, ვინც არ მოგვიდგება, ის წყეული იქმნება, მოღალატე, მოძმეთ გამყიდი, იუდის კერძი.

— ქართლი თაობს და ჩვენ საქართველოს ნაწილი ვართ, უკან ვერ დავდგებით.

— ეგ ყველა კარგი, მეც მაგ აზრისა ვარ, მაგრამ რას აპირობთ? — დაიწყო ისევ სვიმონმა.

— ხალხო, ვუთხრათ ყველა? — იკითხა კიდევ აბდიამ.

— ვუთხრათ, ვუთხრათ! დასამალი რაი გვაქვს?

ამის შემდეგ აბდიამ უამბო სვიმონს, როგორც ქალაქიდგან მოსული სტუმრის ნალაპარაკევი, აგრეთვე თავიანთი გარდაწყვეტილება გზების შეკვრაზედ.

სვიმონ ჩაფიქრდა ამ სიტყვებზედ და რამოდენიმე ხანი ისე დარჩა.

— ხალხო! — დაიწყო იმან: — მე მგონია, რომ თქვენში ისეთი ვერავინ გამოვა, რომა სთქვას: „სვიმონს სიკვდილისა ეშინიან, სვიმონს თავისი თავი თავის ხალხზედ და ქვეყანაზედ მეტად უყვარს!“ ვფიცავ რაც კი სალოცავები მაქვს, ვფიცავ რაც უფრო ძვირფასად მიმაჩნია და ქვეყნად — დღესვე რომ მეი-

ძლებოდეს ჩემი ცოლ-შვილის მსხვერპლად მოტანით მამულის დახსნა, არ შევიბრალებდი იმათ, მე თითონ ჩემის ხელით ყელებს დავსჭრიდი, მაგრამ ეგ არას უშველის მამულს. ვერცა რას მარტო ჩვენ ვუშველით, თუ ყველანი არ შევგროვდით, არ შევვერთდით. თქვენ შეტყობილი გაქვსთ, რომ ქართლი აჯანყებულა და მე კი ზედმიწევნით ვიცი, რომ ქართლი თავბრუდახვეული ჯერ ყიზილბაშებისაგან, ახლა ამ ახალი მოულოდნელობით, შინაურის განხეთქილებით და უკმაყოფილებით, მთვრალსავით გარეტიანებული არის. იქ თითონაც არ იციან რა დაიწყონ, ვის მიმართონ?.. თუ ქართლში ფხიზლად ვინმე დარჩენილა, ისინიც ცალკე არიან: ხედავ საქმის დაწყობის შეუძლებლობას და ამისთვის დროს ელიან...

ხალხი სულგაკმენდილი ყურს უგდებდა იმის ლაპარაკს, მაგრამ, რაწამს ლაპარაკი გაათავა, ყველას უნდოდა პასუხის მიცემა.

— ქართლი აღსდგა, ქართლი ეხლა ომობს, — დაიწყო ერთმა, — და ჩვენც მხარი უნდა მივსცეთ!.. ნუ გაუშვებთ, ვაჟებო, მომდინარს ჯარს, თორემ ეგენიც ჩავლენ და ისეე ჩვენ მოძმეთ დაუწყებენ ჟლეტას!

— მართალს ამბობს, მართალს! — დასთანხმდნენ ყველანი.

— ხალხნო! მომწონს თქვენი თავგანწირულობა მამულისთვის, მაგრამ ყველაზედ უწინ დაფიქრება და გონივრება ეჭირვება იმ ხალხს, ვინც უფროსებად იქნებიან ამორჩეულნი. დამიჯერეთ, მოდით — ქალაქს გავგზავნოთ კაცები, შეიტყონ, გაიგონ, რაი ანბავი ჰხდება იქ ან სხვაგან საქართველოში, და რაიც ამბავი მოგვიტანონ, ჩვენც იმისდა გვარად დავიჭიროთ საქმეები.

ეს სიტყვები მოეწონა ყრილობის მომეტებულს წილს, მაგრამ გაბრთხილებულმა აბდიამ წარმოსთქვა:

— ვაჟებო, ეგრე არ იქნება!.. სვიმონმა სთქვა, ჩვენი კაცები გავგზავნოთ, დეე შეიტყონ ქართლის ამბავი, მაგრამ ჯარის გაშვება მაინც არ შეიძლება. ჯარი ვიმწყვდიოთ და, სანამ კაცები სიტყვას არ მოგვიტანენ, მანამდის ნურც გავუშვებთ და ნურცა რას ვავნებთ, თუ საქმე არ გაგვიჭირდეს.

— ჰი, შენი კვნესა-მე, შენი, აბა ეგ არის სიტყვა აი! — მოუწონეს ყველამ.

სვიმონიც დაჰყაბულდა ამაზედ და ფიცი ჩამოართვა, რომ, სანამ კაცები არ დაბრუნდებოდენ პასუხით, მანამ მთიულები ხელს შეინახავდნენ და თუ, ვინიცობაა, ქართლი მართლა აჯანყებულა, მაშინ შეერთებულმა ხალხმა ერთგულად გასწიოს უღელი. მაშინ სვიმონიც თავის მხრით მიდგომის, თავგადადების პირობას აძლევდა.

ამ საღამოზედვე რამდენიმე მარჯვე ბიჭი ამოარჩიეს, დააფიცეს და საჩქაროდ გაჰგზავნეს ქართლში ამბის შესატყობად. ყრილობა დაიშალა. ლაშქრის მოთავეები თავ-თავიანთ ბანაკზედ წავიდნენ, სვიმონი კი ქვეშეთს დაბრუნდა, სადაც რუსის ჯარი უნდა მიეღო.

იყო დილის ათი საათი, როდესაც ქვეშეთში რაღაცა განსაკუთრებითი მოძრაობა იყო. მრავალი მოხევეების ურმები, დატვირთული სალდათების ბარგით, ჩამოდიოდა ქვეშეთის დაღმართში, თუმცა თითონ ურმის პატრონები არსად სჩანდნენ და იმათ მაგიერ სალდათები და ყაზახები მოერეკებოდნენ ხარებს.

მხოლოდ ერთს ურემზედა სჩანდა რამდენიმე მოხევე, გულაღმა დაკრულები და ცემით თავპირ-დამტვრეულები. იმათ მოსდევდნენ რამდენიმე თოფიანი სალდათი და ერთი აფიცერი.

ესენი ჩამოვიდნენ ქვეშეთში, ამოვიდნენ მინდორზე და იკითხეს ნაჩალნიკი, რომელიც მაშინვე გამოვიდა იმათთან.

აფიცერმა შეატყობინა, რომ ყველაფერი და ყველანი მშვიდობიანად მოიტანა, მოიყვანა და ცოტა ხანს შემდეგ სიბრთხილით გაუმხილა, რომ ცოტაოდნად მოხევეებმა გააჯავრეს და იმან მკაცრი განკარგულებით ჩქარა დააშვიდა ისინი. რამდენიმე იმათგანი, როგორც დამნაშავენი, შეკრულები მოიყვანა აქ ნაჩალნიკთან, რათა გადაეხდევინებინა იმას.

კაცები, რომელნიც ძლივს-ღა იძროდნენ ცემისაგან, ახსნეს და მოიყვანეს იქ. სვიმონმა შეჰხედა იმათ თუ არა, გულმა ვეღარ გაუძლო და შეტევით უთხრა აფიცერს:

— განა შეიძლება ეგეთი მკაცრი მოქცევა? თქვენ სულ ააჯანყებთ ხალხს მაგგვარის ქცევით!

— მეტი ღონე არ გახლდათ, თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ! ასე რომ არ მოქცევულიყავ, ბარგი გაღმოსატანი დამრჩებოდა.

— მოითმინეთ, მოწყალეო ხელმწიფევ! მე გამოვიძიებ ყველას, შევიტყობ და თქვენს უმართებულო ქცევას უეჭველად ქალაქში ვაცნობებ. თქვენ ხალხის მომხრობის მაგიერ, თითქოს განგებ, ყოველის ღონისძიებით სცდილობთ დაშორებას და რუსებსა და იმათ შუა სიმძულვარის ჩამოგდებას. არა, შეჰხედეთ, ეს რა არის! — უჩვენა იმან მოხევეების მკლავები და ფეხები, რომელთათვისაც საბელი ისე ულმერთოდ წაეჭირათ, რომ, ურმის რყევის გამო,

თითქმის ძვლამდის გადაესერა ხორცი, რომელიც ნაკუთნაკუთად ჩამოჰკიდებოდა და უწყალოდ დაემახინჯებინა დაკრულები.

— რაი ღმერთი გაგიწყრათ, რაი მოგივიდათ? — მიუბრუნდა სვიმონ ცოცხალმკვდარს მოხევეებს.

— რაი ვიცით! — კვნესით და ოხვრით უპასუხეს იმათ: — საქონელი გამოვუშვით ჯვართვაკეს, ვაძოებდით, მოვიდნენ ეგენი და დაგვიწყეს ცემა... რაღაცას გვეუბნებოდნენ, მაგრამ ვერა გავიგეთ-რა... სული ტკბილია, შენაი ჭირაიმე, ვინც გაქცევა მოასწრო, ძაღლსავით სიკვდილს ის ირჩია, და ვინც დაგვიჭირეს, აი ასე გაგვხადეს.

— მაგათ ხარები გამოუშვეს და გაქცევას აპირობდნენ, — უპასუხა სვიმონს აფიცერმა თავის გასამართლებლად: — ეგენი ბრიყვი ხალხია, გაუზრდელნი, განა მაგათ დაეჯერებათ რამე?

— კარგი, კარგი, მაგას მერმე გავარჩევთ! — წარბებშეჭმუხვნით გააწყვეტინა სვიმონმა და უბრძანა იქ მყოფს იასაულებს, რომ მოხევეები დაეწვინათ სადმე და ექიმი დაეყენებინათ.

ამ დროს გამოჩნდა ჯარი, რომელიც წყნარად ჩამოდიოდა არაგვის პირზედ, სადაც წინა კაცები საჭმელს უთუთქავდნენ, და იქა ჰბანაკდებოდნენ.

ჯარის უფროსი ჩამოხტა სვიმონთან, რომელიც რიგზედ, როგორც მთის კაცს შეჰშვენოდა, გაუმასპინძლდა.

— მე უნდა მოგელაპარაკოთ, — უთხრა სვიმონმა ჯარის უფროსს, რა წამს სადილი გაათავეს.

მითხარით! უპასუხა იმან და ამაყად გადაწვა სავარძელზედ.

ჯარის უფროსი, როგორც ყველა იმ დროს რუსის მმართველები, პირველად იყო გადმოსული საქართველოში და, რასაკვირველია, ის არც ხალხს იცნობდა და არც იმათ ზნეობას და ჩვეულებას. იმას ჩაგონებული ჰქონდა ხალხის გარეგნული შეხედულება, რომელზედაც მარტო ძალით და მკაცრობით შეიძლება მოქმედება, და ამისათვის საქართველოში პირველსავე ფეხის შემოდგმაზედ ამ აზრის ხელმძღვანელობით დაიწყო მოქმედება.

ხალხი აჯანყებულია, თქვენი მგზავრობის გაგრძელება არ შეიძლება.

— მაგას ვნახავთ! ღიმილით წამოიძახა იმან.

შეიცადეთ რამოდენიმე ხანს აქ, და გაძლევთ სიტყვას, რომ მშვიდობიანად გაივლით.

— ეხლაც წინ ვერავინ გადაგვიდგება! — მკაცრად უპასუხა იმან.

— თქვენ არ იცნობთ მთის ხალხს და იმიტომ ჰლაპარაკობთ ეგრე. ისინი ვაჟკაცნი და გულადნი არიან.

— რუსის იარაღს წინ ვერავინ გადუდგება.

— მე კი ვიცი, თუ წახვედით, საქმე გაგიჭირდებათ.

— მაგას თქვენც გაიგებთ.

-- მე შეგატყობინეთ ყველაფერი და ახლა ხელები დამიბანია.

— ნუ სწუხართ, ნუ!.. მე ჩემის ჯარით მთელს საქართველოს მოვივლი და წინ გადადგომასაც ვერვინ გამიბედავს.

სვიმონს ეშინოდა ხალხის ამ ჯართან შეხვედრა, შეტაკება, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ამ ბრძოლიდგან არავითარი სარგებლობა არ გამოვიდოდა ხალხისათვის და მხოლოდ უბრალოდ დაიღვრებოდა სისხლი. ჯარის მოთავე კი ჰკვეხდა, რომ იმის ხმალს წინ ვერავინ აღუდგებოდა, ნამეტნავად „გაუთლელი ბრიყვი მთიულები, რომელთაც იარაღად ჯოხების მეტი არა გააჩნდათ-რა“.

— მაშ არ იჯერებთ ჩემ რჩევას?— ჰკითხა სვიმონმა.

-- აჰ! გავათაოთ მაგაზე ლაპარაკი, არა ღირს. სვიმონ გამობრუნდა გულნაკლულად და თავისთვის წაიბუტბუტა:

— მიჰბრძანდი და ჰნახავთ თქვენ დღესა!

იმან ძლივს მოასწრო გასვლა, შემოვიდა ის აფიცერი, რომელიც ბარგთან მოსულიყო. ის შემოსვლის უმალ გამოიჭიმა კარებთან და ელოდა თავის უფროსთან საუბრის დაწყებას. უფროსმა, რომელსაც სთვლემდა, გაახილა თვალები, შეჰხედა ახლად შემოსულს ლა ისევ განსვენებას მიეცა. როდესაც მოიგუნება და საკმაოდ მოაცდევინა, იმან გაახილა ისევ თვალები, შეჰხედა აფიცერს, რომელიც ისევ ისე გამოჭიმული იმავე ადგილზედ იდგა.

— როგორ იმგზავრე?

— კარგად, თქვენო აღმატებულებავ!

— გზაში უსიამოვნება ხომ არა გქონდა-რა?

— მეურმეები ცოტა გამიჯიუტდნენ, მაგრამ მე მალე მოვაჰკვიანე

— მაგათთან, რაც შეიძლება მკაცრად, ბატონო აფიცერო, მკაცრად! დაყვავებით არა გამოვა-რა.

— მე ისინი ურმებზედ დავაკვრევინე და ისე ჩამოვიყვანე აქა,-- სიამოვნების ღიმილით მოახსენა წაქეზებულმა აფიცერმა.

— კი არ აცემინე?--ჰკითხა ღენერალმა ისეთის ხმით, თითქოს წყალი მოსწყურებოდა და იმას ითხოვდა.

— ცოტაოდენი.

— ცოტაოდენი კი არა, კარგად უნდა გეცემათ, რომ სამუდამოთ დაჰხსომებოდათ.

— ნაჩალნიკმა ამისათვისაც საყვედური მომცა, — ბრთხილად გაუტარა სიტყვა გამოქნილმა აფიცერმა.

— რაო? წარბებშეჭმუხვნით ჰკითხა იმან, თუმცა ძალიან კარგად გაიგონა, რაც აფიცერმა მოახსენა.

— მე იმას მოგახსენებდით, თქვენო აღმატებულებავ, რომ ნაჩალნიკმა საყვედური მომცა-მეთქი მაგისათვის.

— როგორ? ჩემს აფიცერს?.. ვერ უყურებთ მაგას! რა უყავით დაჭერილები? — უფრო მკაცრად იკითხა იმან.

— ნაჩალნიკს გადავეც, თქვენო აღმატებულებავ!

— დამიძახეთ ნაჩალნიკს!.. ერთი კარგად გავაწკეპლინო ის დაჭერილები... წადით, დამიძახეთ!

— ნაჩალნიკსაც უბრძანეთ რამე, თორემ, მე მგონია, თქვენო აღმატებულებავ, რომ ეგენი მეტად თავს გავლენ.

— რასაკვირველია, რასაკვირველია... წადით, აქ გამომიგზავნეთ ნაჩალნიკი!

აფიცერი გაბრუნდა და მათი აღმატებულება კი, რომელმაც რამდენჯერმე წამოიძახა: „ვერ უყურებთ იმას, ჩემს აფიცერს, აფი..., აფიცე...“ — სიტყვა ვეღარ დაასრულა, ძილმა წასძლია და განსვენებას მიეცა.

საღამოზედ ნაჩალნიკს და ღენერალს ამ საგანზედ დიდი საუბარი და ლაპარაკი ჰქონდათ, მაგრამ სვიმონმა მაინც არ დაანება მოხევეები და, ისეც შეწუხებულნი და დასუსტებულნი, გადაარჩინა გადახდევინებას.

დაღამდა და ყველანი განსვენებას მიეცნენ. ჯარის ბანაკზედ აქაიქ აანთეს ცეცხლი და მიიღეს სხვადასხვა სახელები. დარაჯად მდგარს სალდათებს დაღალვისაგან თავი ძლივს-ღა ეჭირათ და ძალზედ სთვლემდნენ.

გარშემო სრული სიმშვიდე და მყუდროება ჩამოვარდნილიყო, რომელსაც ცხენების იშვიათი ფრუტუნი და საჭმლის ხრამუნი თუ დაარღვევდა. არ ეძინათ მხოლოდ იმ მთიულებს, რომელნიც თვალყურის დასაჭერად გამოეგზავნათ შეთქმულ მთიულებს. ისინი რუსის ჯარს გარს შემორტყმოდენ და თვალს არ აცილებდნენ იმათ მოძრაობას.

ამ თვალყურის დამჭერთ შორის ელგუჯა და მათიაც ერთი მხრიდგან ტყეში იდგნენ და ხმაგაკმენდილნი თავიანთ მოვალეობას ასრულებდნენ.

ცოტა ხანმა გაიარა ასეთ სიჩუმეში, როდესაც ფოთლებმა გაიშრიალეს. ელგუჯა და მათია შეჰკრთნენ და ერთმანეთს ხელი წაჰკრეს. იმათ კარგად იცოდნენ, რომ აქ სიბრთხილით უნდა მოქცეულიყვნენ, რათა ღამის მშვიდობიანობა არ დაერღვიათ და ჯარისთვის არ შეეტყობინათ, რომ იმათა ჰყარაულობენ.

— თოფი არ „ახალო“*,—წასჩურჩულა ელგუჯამ.

— არა,—წყნარადვე უპასუხა მათიამ და ორთავ ხანჯლებზედ ხელი გაივლეს და მოეფარნენ დიდროვანს ხეებს.

მოისმა კიდევ შრიალი და აშკარად ადამიანის გაბრთხილებული ფეხის ხმა გაარჩიეს.

— გამოდი-და, გამოდი, ვიღაცა ხარ და ჰნახავ, რაი მოგივა! თავისათვის წაიტუტუნა ელგუჯამ.

იმან ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც იქვე ხეებში გამოვიდა ერთი პატარა ბიჭი მთლად შეიარაღებული თავიდგან ფეხებამდის. იმის გამოსვლაზედ ორივ ამხანაგნი გადმოხტნენ და გზა გადაუღობეს.

— ვინა ხარ?—ჩუმად ჰკითხა ელგუჯამ და ხელი გაავლო.

— რაში გეკითხებათ, ვინცა ვარ?— უპასუხა იმან: – მოკეთე კი ვარ, და ცხო რაი გინდათ?

— აქ რაი გინდა, რად მოსულხარ?—მკაცრად ჰკითხა ელგუჯამ, რომელსაც აკვირვებდა ახალ-მოსულის ნაზი ხმა.

— იმად, რომ თქვენთან მოვკვდე, – იყო მოკლე პასუხი.

— განა გვიცნობ ჩვენა?—მეტისა და მეტის გაკვირვებით ჰკითხავდა ელგუჯა.

— ჰაი, ჰაი, რო გიცნობთ! შენ ელგუჯა ხარ, მოხევე, ა-ისაც მათია — მთიული,—და გაიშვირა ელგუჯას ამხანაგისკენ ხელი.

— შენც მოხევე ხომ არა ხარ?

— ჰაი, ჰაი, რომ მოხევე ვარ.

— იცი რაი გითხრა, ბალღო, შენ ბედს აუგდიხარ, თორემ აქ რაი მოგიყვანდა? წადი, დაბრუნდი შინა, შენს ჯალაბობას მიჰხედე და შენ ცოდო-ბრალს ნუ გვაყურებინებ!

— შინ საით წავალ? მამა მყვანდა ე მაგათ მომიკლეს, ძმა მყვანდა— ზამთარში თოვლს დაახრჩობინეს და მე სადღა უნდა წავიდე?.. ბარემ მეც მომ-

---

*) „ხლა“—სროლასა ჰნიშნავს.

კლან და გათავდების... არა, ელგუჯაისი, მაგათ ჩემი სისხლი ჰმართებთ და სისხლი უნდა ავილო!

— კარგი, ბალღო, კარგი! ბალღი ხარ, მაგრამ ვაჟკაცსავით ჰლაპარაკობ, ვაჟკაცმა სისხლი უნდა აილოს.

— ლომისის მადლმა, რომ ამისთანა ბალღსაც პირველად ვხედავ! – გატაცებით წამოიძახა მათიამ.

— მაშ კარგი, წამოდი ჩვენთან! — უპასუხა ელგუჯამ.

იმათ გაიგეს ყველაფერი, როგორც ჯარის რიცხვი, ისე ურმებისა და ცხენებისა, ალიონმაც აიწია, და იმათ გასწიეს თავიანთ ბანაკისაკენ. როდესაც გათენდა, შეჰხედეს ბალღს და ისინი გაშტერებულნი დარჩნენ, რადგანაც იმას თავპირი სულ მოთუთხნული ჰქონდა თოფისწამლის კვამლით, თუმცა ეს მაინც ვერ უშლიდა სახის სინაზეს... გათენდა კიდეც, როდესაც რუსებისაგან სვიმონთან გაგზავნილმა კაცმა მიაღწია იმ ადგილს, სადაც ზემომხრისკენ მთიულებს გზები ჰქონდათ შეკრული და ფხიზლად ჰყარაულობდნენ.

გაგზავნილი კაცი მიდიოდა პირდაპირ, მოურიდებლად, თითქოს არავითარი მღელვარება, არეულობა არ მომხდარიყო იმ ალაგებში. ის მივიდა იმ ადგილს, სადაც ხშირი თხილის ფოთლები გზაზედ გადმოშვერილიყო და იმათ თავებს ერთმანეთში გაეხლართათ შტოები. მიმავალმა ერთბაშად იგრძნო, რომ ვიღაცამ კისერში წაავლო ძრიელი ხელი, მაგრად მოუჭირა და წამოიძახა:

— ვინა ხარ?

— მე შუაკაცი ვარ.

— სტყუი! — მკაცრად გააწყვეტინეს იმას და რამდენიმე მთიული გარს შემოეხვივნენ.

— მიმიყვანეთ თქვენს მოთავესთან და მაშინ შეიტყობთ.

— წავიდეთ, მაგრამ თუ გვატყუებ, ლომისის მადლმა, ღვთის რისხვას შეგყრით!

ამ სიტყვების შემდეგ მთიულებმა წაიყვანეს ეს კაცი თავის მოთავესთან, რომელმაც, რამდენისამე კითხვის შემდეგ, თავისუფლად გაუშვა სვიმონთან მიმავალი კაცი.

იმას დიდხანს მგზავრობა არ მოუნდა, რადგანაც, რაწამს გაეგო სვიმონს მთიულებისა და რუსების შეტაკება, მაშინვე გამომგზავრებულიყო. კარგად მოთენდა, როდესაც გაგზავნილი კაცი სვიმონს შეჰხვდა და სიხარულით შესძახა:

— არიქა, შენიჭირიმე, რუსების წინააღმდეგობას აპირობენ!

— რა ხალხს აყენებენ მეთაურად, რა ხალხს!—მწუხარებით წარმოსთქვა იმან და მერმე დაუმატა: —არ გაიგონეს ჩემი და რაი ვუყო?.. ბევრი დაიხოცა?

— ბევრი, შენიჭირიმე, ბევრი!

— კიდევ სისხლი!.. მაგას ვერიდებოდი და ვერ ავაცდინე... რაი უნდა ჰქნას მარტოკა ბედშავმა მთიულ-მოხევემ? მარტო ეგენი სწყდებიან, და ქართლი კი ჩუმად არის...

ამგვარის ლაპარაკით იმათ მიაღწიეს შეკრულ ალაგს, სადაც იქ მყოფი მთიულების უფროსები გამოეგებნენ სვიმონს.

— გამარჯვება ვაჟებს!—მისძახა სვიმონმა.

— გამარჯვება მოგცესთ ღმერთმა!—ერთხმად უპასუხეს.

— თქვენ არ დამპირდით, მანამ ქართლში გაგზავნილი კაცები არ მოგვივა, ხელს არ გავძრავთო?.. მთიულნი სიტყვის ხალხია, რისთვის გასტეხეთ პირი? რად გადახვედით სიტყვას?

— რა ვქნათ, შენი კვნესა-მე, ძალად გასვლას აპირობდნენ და ჩვენც არ გავუშვით.

— აბა ახლა რაღათი უშველოთ?.. ხომ სულ უბრალოდ გადავიმტერეთ!

— ამაზედ მეტს რაღას გვიზამენ, შენი კვნესა-მე?

— ეგ სალაპარაკო არ არის. საქართველოშიაც აგერ, ვინც განდეგილნი ყოფილან, დაუჯერიათ*. უნდა შევრიგდეთ როგორმე, თორემ საქმე გაჭირდება.

— შერიგება არ იქმნების, შენი კვნესა-მე, სანამ გაგზავნილები არ მოგვივლენ საქართველოდგან.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მოვიდა ერთი მთიული. იმისი დაღალვა და აჩქარებული ქშენა ამტკიცებდა, რომ რაღაცა საშური საქმე უნდა ჰქონოდა.

— მეთაურნი სად არიან?—იკითხა იმან მოსვლის უმალვე.

— აქ ვართ, რაი გინდა?

— აბდიამ გამომგზავნა თქვენთან.

— რაი ამბავი?

— გაგზავნილი კაცები მოვიდნენ ქალაქიდგან...

— მოვიდნენ? რაი ამბავი მოგვიტანეს? - მისცვივდნენ მოსულს აჩქარებით.

— საქართველო მშვიდობით არის! – წამოიძახა იმან და ჩაჰკიდა თავი.

---

*) „მასალები საქართველოს ახალი ისტორიისათვის", თხზულება პ. გ. ბუტკოვისა. ფურცელი 379.

ამ სიტყვებს ისეთი მოქმედება ჰქონდა იქ მყოფებზედ, რომ ხმა ჩაუწყვიტა ყველას ერთბაშად. დიდხანს დარჩნენ ისე ჩუმად, თითონ მოსულსაც ვერ გაებედნა სიტყვის წარმოთქმა და ვერც იქ მყოფებს კითხვა. ყველას ისე ეგონა, რომ ახლად მოსულის სიტყვებზედ იყო დამოკიდებული საქართველოს ბედ-იღბალი და იმის პირის დანძრევასთან ერთად ისინი მოელოდნენ ღვთის რისხვის დაცემას თავიანთ თავზე. პირველ შეკრთომის წუთმა რომ გაიარა, ერთმა მეთაურმა აიღო მაღლა თავი, შეჰხედა ყველას დაღონებულის თვალით და წამოიძახა:

— ვაენო! დასაკლავს ხარს რაიღა ყურება უნდა?.. გვიანბოს, რაც მოგვედის!

— ჰაი, ჰაი, გვიანბოს! —წამოიძახეს სხვებმა მოუთმენლად.

— საქართველოში ცოტა რაიმე ხალხი მისდგომოდა იულონს და ფარნაოზ ბატონიშვილებს, მაგრამ ისინიც ერთმანეთსა სჭამდნენ და ჰგლეჯდნენ. ეხლა იმერეთისკენ ყოფილიყვნენ და იქ იულონი დაუჭერიათ და ფარნაოზ კი გაქცეულა სადმე*. ეხლა აბდიამ შემოგითვალათ, დაიმალენით და რუსს გზა მიეცით.

— ქალაქი, ქალაქი რაიღას ჰშვრება?

— ქალაქი რაიღას შვრება?.. ქალაქმა მშვიდობიანად მიიღო რუსები...

სანამდის ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, სვიმონ ფერმიხდილი ჩუმად იდგა და ყურს უგდებდა. კაცი ვერ გაარჩევდა იმის პირისახეზედ — ახარებდა ეს ხმა იმას, როგორც ერთს რუსეთის მოსამსახურეს, თუ სხვა რამ გრძნობა აღელვებდა.

— სხვა რაღა დაგაბარა აბდიამ? — იკითხა სვიმონმა მღელვარებით.

— უნდა დავიმალნეთ და წავიდეთ ჩვენ — ჩვენს სახლებში.

— ვაჟებო, მო, მეთაურნი ავიდეთ აბდიასთან და კარგად გავიგოთ, რაიც ამბავია!

— წავიდეთ, წავიდეთ!

— მეთაურნო! — დაიწყო ისევ სვიმონმა: — წადით აბდიასთან, მე წავალ რუსის ჯარში და სანამ არ ამოვიდე, თქვენც გთხოვთ და აბდიასაც, გარდაწყვეტილება არა მიიღოთ-რა!

— კარგი იქმნება, შენი კვნესა-მე, კარგი!

სვიმონი შეჯდა ცხენზედ და გასწია რუსების ბანაკისაკენ, სადაც მოუთმენლად ელოდნენ იმას.

---

*) სხვათა შორის იხილე ბუტკოვის „მასალები საქართველოს ახალი ისტორიისთვის“ ტ. III, ფურც. 376.

გაიგო თუ არა რუსის ჯარის მოთავემ იმისი მოსვლა, მაშინვე გამოექანა და უთხრა:

— ბატონო სვიმონ! დაგვიხსენ ამ მდგომარეობიდგან!.. ასე რომ მცოდნოდა, როგორ არ გავიგონებდი თქვენს რჩევას!

— მაგისთვის ცოდნა კი არა, რწმუნება არის საჭირო: ჩვენი ხალხი გულწრფელია და თუნდაც რომ არ თანაგვიგრძნობდეს, მაინც, რაკი სიტყვით შეგეკვრება, უეჭველია გიერთგულებს უკანასკნელ სულის ამოხდამდის...

— მაშ კარგი, — განაგრძო სვიმონმა, — მე წავალ, მხოლოდ თქვენც თქვენის მხრით უნდა ყოველი ღონისძიება მოიხმაროთ შეღავათი მისცეთ მთის ხალხს.

— გაძლევთ პატიოსანს სიტყვას, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე მაგ საგანზედ იქმნება ცდა.

ამის შემდეგ სვიმონმა უამბო ყოველი შევიწროება და უსამართლოება, რომელიც კი აქვსთ მიყენებული ამ ხალხს, რომელიც ყველაზედ ხშირადა ჰხვდება მომავალს რუსებს და რომელიც ყველაზედ საჭიროა იმათ მოძრაობისათვის. აქედგან გამოჰყვანდა აშკარა შედეგები, რომ ამ ხალხს დაყვავება უნდა და უფრო კაცობრიული და მეგობრული ქცევა.

— აი, მაგალითად, თქვენი ერთი აფიცერი, რომელიც ისე უსამართლოდ მოექცა მეურმე მოხევეებს, თქვენ არც კი დასტუქსეთ.

— მართალს ამბობთ, მართალს!

ბოლოს სვიმონ გამოეთხოვა იმას და წავიდა აბდიასთან, სადაც ყველანი შეყრილიყვნენ.

პირველი მისალმების შემდეგ, სვიმონმა დაიწყო ლაპარაკი საზოგადოდ საქართველოს მდგომარეობაზედ, სადაც იმის შვილები თავ-რეტდასხმულნი გაყოფილიყვნენ ათას დასებად, ჰგლეჯდნენ და ჰფლეთდნენ ერთმანერთს, და ამის გამო, ყველაზედ საჭირო, საერთო საქმე რჩებოდა უკან, მაშინ როდესაც პირადი საქმე კი გამოდიოდა წინ. ისარგებლა გაგზავნილის კაცებისგან მოტანილის ამბით და ბოლოს გაათავა იმითი, რომ ეხლა მარტო მთიულებს, მოხევეებს და საზოგადოდ მთის ხალხს ვერა გაუვა-რა და ბრძოლით, წინააღმდეგობით მხოლოდ მომეტებული მტრობა ჩამოვარდება იმათ, და რუსებს შუა.

— მეტი რაი ღლე გვაქვს, შენი კვნესა-მე, უნდა დავიშალნეთ! — წარმოსთქვა აბდიამ.

— ჰო, უნდა დავიშალნეთ, მაგრამ უნდა დავარწმუნოთ, რომ მეგობრობა მოგვიწადინია იმათთან.

— ამ გვარს საქმეში მაგგვარი ქცევა ვერ ჩაითვლება პატიოსნების წინაღმდეგობად.

— შენ იცი, შენი კვნესა-მე, შენ! რაიც გინდა ისა ჰქმენი... ეხლა ჩვენ ყველანი შენ გენდობით! — წარმოსთქვა აბდიამ: — არა, ვაჟებო?

ჰაი, ჰაი, ვენდობით? — იყო საერთო პასუხი.

ამის შემდეგ ბევრი ხანი აღარ გამოსულა, როდესაც გათენდა და სვიმონმა გამოსწია რუსის ჯარისაკენ. მთიულებმა გაუხსნეს იმათ გზა და გახარებული რუსები გავიდნენ ამ „ჯოჯოხეთის ადგილებიდგან“.

ერთს ცივს საღამოს, როდესაც ყინვას გაეჭირხლა ხეები და ჰთლად გაეთეთრებინა მთა და მინდორი, სვიმონის სახლში წამდაუწუმ შედიოდა სხვადასხვა მოხუცი ხალხი, რომელსაც თან შეჰქონდა შინაური არაყი, ხაბიზგინები, ქათამი, ღორის გვერდები და სხვადასხვა რიგად მომზადებული მძეხვები. ესენი მოდიოდნენ, მთის ჩვეულებისამებრ, სვიმონის მოსაკითხად, რომელიც მძიმე ავადმყოფი შექმნილიყო.

ისინი ისხდნენ ავადმყოფის გარშემო და ცდილობდნენ იმის ნუგეშის ცემას და გამხნევებას. გაჩაღებულს ბუხარს გუგუნი გაჰქონდა მხიარულად და სრულებით არ შეედარებოდა იქ მყოფების დაღონებულ პირისახეს.

იქვე იდგა სვიმონის ცოლი, რომელსაც გული უდუღდა თავის ქმრის მდგომარეობაზე, მაგრამ, საზოგადო მთის ჩვეულებებისამებრ, ვერ გაებედნა გზის მიცემა შეგუბებულის ცრემლებისათვის. სვიმონის ორი შვილი, ერთი თოთხმეტის წლისა, მეორეც იმისი მომდევნო, თავს ადგნენ საკითხავად მოსულს უფროსებს და შინაურს არაყსა სთავაზობდნენ.

იქვე, სვიმონთან ახლოს, თავთან, იჯდა მოხუცი ღინჯა, განთქმული მეფანდურე და მელექსე, რომელიც მოსულიყო სვიმონის გასართობად და ყოველს სიმის ჩამოკვრაზედ რაღაცა სამწუხარო ხმას აღებინებდა ფანდურს...

სვიმონ, დასუსტებული მძიმე ქშენით, იწვა ქვეშსაგებში, დაღონებული ყურს უგდებდა ღინჯას სიტყვებს და შესცქეროდა თავის შვილებს.

ამ დროს ღინჯამ ჩამოჰკრა ფანდურს და კვნესით, მწუხარებით დასძახა:

„ღარიბობა და ობლობა
ორივე გამომივლია;
სჯობს ღარიბობა ობლობას,
ობლობა მეტად ძნელია!“

— ობლობა... ობლობა... ძნელი არის, ძნელი! — მიხრწნილის, დასუსტებულის ხმით წარმოსთქვა სვიმონმა და ცრემლები მოერია თვალებში.

— რას დაჰღონდი, ბედშავო ჩემო თავო! განა აგრე უნდა! — უთხრა ღინჯამ: — რაი გაშინებს რაი გიჭირს სამაგისო?

— არ მეშინიან, ღინჯავ, არა!... ეს ობლები მებრალება! — წარმოსთქვა ავადმყოფმა და გაიშვირა ხელი ბავშვებისაკენ: — ბევრი მტრები მყავს.

— ვაჟკაცს მტერი არ დაელევის!

— ბატარეებს დამიღონებენ, ღინჯავ, დამიღონებენ!

— ნუ სჯავრობ მაგაზედ, სვიმონაისი, ეგეთი დედა ჰყავთ მაგათა, ღვთის მადლმა, რომ ვაჟკაცსაც გაუჭირდება მაგოდნობა.

— რა ჰქმნას მარტო დედაკაცმა?

— მაი, მაგას კი თავი დაანებე, სიმონაისი, და მე შენი შვილების სადღეგრძელოდ, ემ უფროსების ხათრით, შაირიგე ელგუჯაი, ნუ ამოაკვეთინე ფეხი თავის მამა-პაპის ადგილზედ, კიდევ დაანახვე თავის ქვეყნის ღრუბელი!

— ელგუჯაი?.. მე არ ვეჩხუბები იმას... რაიც თემმა გარდასწყვიტა, მე იმას არ გადავცილებულვარ.

— ბჭედ ამორჩეულნი გულჩვილობას ვერ მიჰყვებიან! ისინი სამართალს სჭრიან, მოსამართლე გულჩვილი არ იქმნების, ქრისტიანი კაცი კი გულკეთილი უნდა იქმნას, რასაც მოსამართლე ვერ მოუტევებს.

— ჰაი, ჰაი, მართალს ამბობ, მაგრამ განა ღმერთი ვართ, რომ ეგრე მოუტეოთ?

— ჰაი, ჰაი, რომ ღმერთი არა ვართ, მაგრამ ღვთის სიტყვას კი უნდა მივხედოთ.

— შენი შვილების დღეგრძელობისთვის, — წყნარად და მოკრძალებით წარმოსთქვა სვიმონის ცოლმა, — შეირიგე!

სიმონ ცოტა ხანს გაჩუმდა, აშკარად ეტყობოდა, რომ იმის გულში ბრძოლა აღძრულიყო კაცობრიობისა და ჩვეულების შუა. ბოლოს წყნარად წარმოსთქვა:

— ხმა ღვთისა და ხმა ერისა .. ამდენი ხალხი მეუბნებით... იყოს!... ისე იყოს, როგორც თქვენ გინდათ.

— აი შენი ჭირიმე, შენი! ღვთის მადლმა, რომ დიდი კაცი ხარ და დიდი ჭკუა გქონია... უფალი არ დაგიკარგავს...

— უფალი, იმისმა მადლმა, — წარმოსთქვა სვიმონმა და გადაიწერა პირჯვარი.

— მაშ შემოვიყვანოთ?.. ქალბატონმა შვილობილად უნდა აიყვანოს.

— თქვენ იცით.

— ნუ დაგიკარგოს წმინდა გივარგიმ! — სიხარულით წამოიძახა ღინჯამ და მიუბრუნდა იქ მყოფს ერთს მოხუცს:

— წადი, შემოიყვანე!

ხალხს ისე რიგად უხაროდა ელგუჯას სამშობლოში დაბრუნება, რომ დიდი თუ პატარა, ყველა სვიმონის სახელს ჰლოცავდა.

ცოტა ხანს შემდეგ გაიღო კარები და წყნარად შემოვიდა ელგუჯა, რომელსაც რამდენიმე მოხუცი კაცი მოუძღოდა. სვიმონის ცოლი, რომელიც აქამდის ფეხზედ ტრიალებდა, „მარტო-შკამში“ დასვეს დედაკაცებმა და გარს შემოეხვივნენ. ელგუჯა მივიდა პირდაპირ იმასთან, დაიჩოქა ცალ მუხლზედ და უთხრა:

— შენ დედა და მე შვილი.

ქალმა გადაიწია გვერდი და გამოიჩინა ძუძუ, რომელსაც ელგუჯამ სამჯერ დაადგა კბილი. იქ მყოფნი ამ ჩვეულებას კრძალვით და მოწიწებით უყურებდნენ: ყველანი ქუდ-მოხდილები იდგნენ, იწერდნენ პირჯვარს და წამოსთქვამდნენ რაღაცა ლოცვებს.

ელგუჯა ჯერ კიდევ დაჩოქილი იყო, როდესაც სვიმონის ცოლმა ნაზის ხმით წარმოსთქვა:

— ელგუჯაუ, დღეის შემდეგ შენ ჩემი შვილი ხარ, ჩემის რძით გაზრდილი.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი მოეხვივნენ ერთმანერთს და, როგორც ნამდვილი დედა — შვილი, ისე დაჰკოცნეს ერთმანერთი. ბოლოს დედობილი წამოდგა, მოჰკიდა ხელი ელგუჯას, მიიყვანა მომაკვდავ თავის ქმართან, დააჩოქა ტახტის წინ და უთხრა:

— აი შენი შვილი, დალოცე.

სვიმონმა გადმოიღო გახურებული ხელი, დაადო თავზედ და რამდენიმე ხანი ჩუმად, გრძნობით უყურებდა იმას.

ვინ იცის, რა გრძნობა აღელვებდა იმის გულს, რა სურათები წარმოსდგებოდა უკანასკნელს წუთებში?

— ელგუჯაუ! — დალალულის ხმით დაიწყო სვიმონმა: — დღეის იქით შენა ხარ სისხლი ჩემის სისხლისაგან და ხორცი ჩემის ხორცისაგან! ვინც შენ გაწყენინებს, მე მაწყენინებს, ვინც შენ დაგკრის — მე დამკრის. დღეის იქით შენა ხარ ჩემი შვილი და ნათესავი ჩემის გვარეულობისა. უღალატოს ღმერთმა იმას, ვინც ჩვენში ერთმანერთს უღალატოს!

— ამინ! წარმოსთქვა ელგუჯამ.

— ხალხო!—დაიძახა სვიმონმა: — თემმა გადასწყვიტა მე და ელგუჯას საქმე, და მეც დავყაბულდი და ვერც გადაველი თემის სიტყვას. თემის სურვილი — ღვთის სურვილია: რაიც თემს უნდა, ის უნდა იქმნას...

— ღვთის სიტყვას ამბობ, უფლის მადლმა!—მოუწონეს იქ მყოფთ.

— მე შემეძლო ათი... ოცი... ასი კაცი გამეფუჭებინა და ელგუჯა კი ცოცხალი არ გამეშვა, მქონდა სამაგისო ძალა.

— ჰაი, ჰაი, რომ გქონდა?

— მაგრამ მეც კი არ გადაველ თემის სიტყვას .. გახსოვდესთ, ხალხნო, რომ თემის სიტყვა ვერ გატყდება, ვერა!.. თემის სიტყვას ყველანი ისე უნდა დაჰმორჩილდნენ, როგორც ღვთის სიტყვას!

— ჰაი, ჰაი! რომ უნდა დაჰმორჩილდნენ.

— მე ბევრი სიცოცხლე აღარ დამრჩენია, დაიხსომეთ ჩემი საუბარი: თემობა არის ერთობა, ერთად ჭირსაც, ლხინსაც გაატარებთ... ელგუჯა!.. თემმა მთელი შენი მამული სათიბსახნავით, საძოვრით მე მარგუნა.

— ალალი იყოს, როგორც დედიშენის ძუძუ! — უპასუხა ელგუჯამ წყნარად.

— არა, ელგუჯაუ!.. შენ დაგეშავებინოს რამე, შენი ბალღების რაი ბრალია? იმათ მე ულუკმოდ ვერ დავსტოვებ... მაგრამ ჩემს მკვდარსაც უნიშნოდ ვერ დავკარგავ. ჩემი დაკლებულის ნიშნად დამიგდია ჩემთვის ხევთაშუის სათიბი. შენც კარგად იცი, რომ სახელად ჰქვიან იმას სათიბი, თორემ იქ ღორღის მეტი არა არის-რა და არც გამოსადეგია... ის სათიბი დამიგდია ჩემი მკვდრის ნიშნად... დანარჩენი, რაც კი შენი მამულია, შენთვისვე დამიბრუნებია, ამ უფროსი ხალხის მოწმობით.

— გიშველოს უფალმა!—ერთხმად წამოიძახა გახარებულმა ხალხმა.

— შენი ჭირის სანაცვლო იყოს, შენი ჭირიმე, ჩემი მამულიც და ჩემი თავიც! რად მინდა მამული, შენა მყვანდე ცოცხალი, თორემ რაი გამიჭირდება? —უპასუხა ელგუჯამ.

ამის შემდეგ იმან აკოცა ხელზედ სვიმონს, რომელიც მისუსტებული მიწვა თავის საგებელზედ და დახუჭა თვალები.

ამ დროს კარებში მოისმა რაღაცა ხმაურობა და ერთბაშად გაიღო ოთახის კარები ხრიალით. ყველას გაუკვირდა ეს ამბავი, რადგან მთაში საზოგადოდ ავადმყოფთან მტერიც კი პატივით და მოკრძალებით შედის ხოლმე. ერთ-

ბაშად იმათ თვალწინ წარმოუდვათ რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი და ის ძველი ნაჩალნიკი ბ. ც., რომელიც სვიმონმა გამოსცვალა.

— მე უმაღლესის მთავრობის მონდობილობით უნდა ჩამოგართვათ თქვენ ნაჩალნიკობა და გამოძიება მოვახდინო ზოგიერთ თქვენგან ჩადენილს უკანონო მოქმედებაზედ! — მკაცრად უთხრა იმან სვიმონს და გაიარგამოიარა.

— რაკი უმაღლეს მთავრობას მოუნდვია, მეც უნდა დაგმორჩილდეთ... მე მაინც მოველოდი მაგას... იმდენი გულმოდგინე მოსამსახურე გამოჩნდნენ, რომ ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ გთხოვთ ხვალამდის დამაცადოთ... ავად ვარ... სუსტად.

— მე მაგის გარჩევაში ვერ შევალ, დღესვე უნდა მოგცეთ რაოდენიმე კითხვა იმ ჯარის შესახებ, რომელსაც თქვენის მიზეზით ფასანაურის ვიწროებში დაეცნენ მთიულები.

— ჩემის მიზეზით? — ჰკითხა ავადმყოფმა და მიაქცია სიცხისაგან აღგზნებული თვალები.

— დიაღ, თქვენის მიზეზით... თითონ ჯარის უფროსი ამტკიცებს მაგას.

— ჯარის უფროსი? — გაკვირვებით წამოიძახა სვიმონმა და პირისახეზედ ალმური აედინა.

— დიაღ, ჯარის უფროსი ამტკიცებს მაგას და, რამდენად მართალია იმის სიტყვები, ამას კი გამოძიება აღმოაჩენს.

— ის კაცი, რომელიც ღმერთსა და სჯულსა ჰფიცულობდა, რომ ქალაქში ჩასვლის უმალვე ეცდება მთის ხალხის გაჭირვების შემსუბუქებას, ჩავიდა და მაბეზღებს! მაგრამ რას უნდა ვღირსებოდი მაგის მეტს? — სიკეთისთვის სიკეთე ვის უქნია, ნათქვამია.

— ამას გარდა, მე ნაბრძანები მაქვს, რომ ყოველი ღონისძიება მოვიხმარო, რამდენადაც შესაძლო იქმნება, მკაცრად დავსაჯო აჯანყებულების მოთავეები.

ამ სიტყვებმა ლახვარივით გაუარეს სვიმონს გულში და თვალწინ წარმოუდგა თავის მოძმეთა მდგომარეობა, რომელთ ბედილბალი უვარდებოდა ხელში ისეთს კაცს, რომელმაც არ იცოდა იმათი ჩვეულება, ხასიათი, და, მაშასადამე, სრულებით უმნიშვნელო მოქმედება მათი ჩაითვლებოდა აშკარა წინააღმდეგობად. სვიმონ ჰკვნესოდა მწუხარებით, უნდოდა ეთქვა, დაეძახნა:

მთის ხალხი გულკეთილი, მართალი, პატიოსანი ხალხია. ის ღირსი არ არის დაუნდობლობის!

მაგრამ თავის მოპირდაპირეს შეჰხედავდა, პირზედ ცივი ოფლი გადმოედინებოდა და თავმოყვარეობა სიტყვას აწყვეტინებდა. ბოლოს როგორც იყო, დასძლია თავის თავმოყვარეობა და გულმა ველარ გაუძლო.

— იქონიე გულკეთილობა! ნუ მოექცევი მკაცრად მთის ხალხსა!.. ჯავრობით და ავგულობით იმათთან არა გამოვა-რა... თორემ, თორემ... სიტყვები ველარ გაათავა და გადავარდა უკან.

– წყალი, წყალი! დაიძახა ახლად მოსულმა ნაჩალნიკმა, რომელსაც თითქოს კაცობრიული გრძნობა აღუძრა ამ სურათმა.

იმის ყვირილზე შემოვარდა სვიმონის ცოლი და სხვა მოსამსახურეები; მისცვივდნენ სვიმონს და დაუწყეს ბრუნება.

ნაჩალნიკმა შეჰხედა იმას, მიჰხვდა, რომ დრო აღარ იყო ლაპარაკის გაგრძელებისა და წყნარად გავიდა ოთახიდგან...

შემოეხვივნენ სვიმონს გარეშემო. ის მობრუნდა მხოლოდ იმისთვის, რომ უკანასკნელი მშვიდობა ეთქვა თავის ცოლშვილისთვის, თავის მეზობლებისათვის და ისე გათავებულიყო...

დაიძრა მთელი მთის ხალხი და მოდიოდნენ სვიმონის სატირლად. მიცვალებული დაესვენებინათ „სამეფო სახლში“ და გარს შემოჰხვეოდნენ ქირისუფალნი, თმა-გაწეწილნი. ახლად მოსულნი დედაკაცები კარებშივე მწკრივდებოდნენ, გადიგდებდნენ უკან თავშალს და ერთხმად თავპირში ცემით იძახოდნენ: „დადაი“! და წყნარად წასდგამდნენ ნაბიჯს წინ. ამ ხმაზედ სახლიდგან უპასუხებდნენ მიცვალებულის გარშემო მყოფი დედაკაცები თავპირში ცემით იქამდის, სანამ ახლად მოსულები არ მიაღწევდნენ ცხედარს და სამჯერ გარშემო არ შემოუვლიდნენ.

მერმე აიღეს თოფი, რომელიც მკვდარს გულზედ ედო, გადასცეს ერთს დედაკაცს, საუკეთესო მოლექსეს, ამან დაიწყო ლექსად თქმა სვიმონის ცხოვრებისა. იმის სიტყვებს ბანს აძლევდნენ სხვა დედაკაცები და ასე ზარით ტიროდნენ. ყოველი მოქმედება სვიმონის სიცოცხლეში იყო მოხსენებული ამ საქვეყნოდ წარმოთქმულს სიტყვაში და სანაქებო მოქმედება მაგალითად მსმენელთათვის. ამასთან ერთად იყო მოგონებული სახელები იმ გარდაცვალებული გმირებისა, რომელნიც ვაჟკაცობით, სამშობლოსათვის და ხალხისთვის თავგანწირვით, ანუ რომელიმე სამსახურის გაწევნით იყვნენ განთქმულნი, და ეს მოგონება მსმენელებში აღვიძებდა სურვილს, რომ ისინიც ღირსნი გამხდარიყვნენ ამგვარის მოგონებისა.

როდესაც მოლექსე-მოტირალმა გაათავა, თოფი ისევ მიცვალებულს დაადვა გულზედ და ყველანი შეჩუმდნენ რამოდენსამე ხანს და ამ სიჩუმეში მოისმა ფანტურის წყნარი გლოვის ხმა და ზედ ქვითინით დაძახილი.

— ელგუჯა მოდის, ელგუჯა! – შეიქმნა ხალხში ჩურჩული და მოძრაობა.

შემოვიდა ელგუჯა ფანტურით ხელში, თმაგაწეწილი და მკერდგადალეღილი. პირისახეზედ ეტყობოდა ნამდვილი მწუხარება და მღელვარება. ის შესდგა შუა ადგილას და ჩაჰკრა ფანტურს „დაძახილისა“, რომლის ხმამაც ჰაერში გაირბინა რაღაცა გულის-გამტაც კვნესით. პირველში იმან დაიწყო ზუზუნი, ტუჩებმოკუმულმა; სიმწარით ამ ტუჩებს თითქოს მოკვნეტას უპირობდა, და ამ სურათმა ისე დაიმორჩილა იქ მყოფნი, რომ ბუზის გაფრენასაც კი გაიგებდით. ყველა ჰგრძნობდა, რომ ეს მწუხარება იყო ნამდვილი, გულიდგან მოწყვეტილი, და ამისათვისაც ისე დაიმორჩილა მსმენელნი ელგუჯას პირველმავე სიტყვებმა და თითონ ზუზუნიდგანვე ჟრუანტელი დაუტარა სხეულში.

ელგუჯამ ჩაჰკრა კიდევ ფანტურს და დასძახა:

„შენ რომ გვშორდები, გმირთ-გმირო,
რაღას გვიპირობ ჩვენაო?
გიყურებთ, გული დუღდებისო,
ძლივს-და გვესძრევის ენაო...
წავიდა ჩვენი კაცობა,
ვეღარ ვიხილოთ ლხენაო,
ბღავის ცხორი და ბატკანი,
სადღაა იმათ სმენაო!?...

გაათავა და ფანტური უკუაგდო. დააცქერდა უძილობით და ცრემლით დაწითლებულ თვალებით მიცვალებულს და ისე უყურებდა იქამდის, სანამ ცრემლები ღაპაღუპით არ გადმოეკიდებოდა. მერმე წარმოსთქვა შეწუხებულის ხმით რამდენიმე გულჩამთუთქველი სიტყვა და გაათავა ხელის ჩაქნევით და სიტყვით --„აჰუ!“

მივიდა რამდენიმე ყმაწვილი ბიჭი ამ უკანასკნელ სიტყვებზედ, გამოაბრუნეს და მიიყვანეს კარებთან: გაუკეთეს ჩიბუხი და უთხრეს:

-- მოსწიე, მოსწიე! გულს გიპოვნის.

დერეფანზედ, სადაც გრძელი ჰაჰები ეწყო სკამების მაგიერ, ისხდა მოხუცი ხალხი და სვიმონის ნათესავები, ყავარჯენებით ხელში და მწარედ დაღონებულები. ყველა იგონებდა სვიმონის ცხოვრებიდგან რომელსამე შემთხვევას.

ამ დროს ერთი უმცროსთაგანი გამოჩნდა ეზოს კარებში და დაიძახა:

— სტუმრები მოდიან!

დერეფანში მსხდომი ჭირისუფლები და რამდენიმე მოხუცი კაცი წამოდგნენ, წყნარის სიარულით გაიარეს ეზოს კარი და გაეგებნენ სტუმრებს. ესენი მოდიოდნენ წყნარად, თვალებზედ ქუდებ-ჩამოფხატულები და ყავარჯენებით ხელში. რაწამს სტუმარ-ჭირისუფლები დაუახლოვდნენ ერთმანერთს, დამწკრივდნენ ერთმანერთის პირდაპირ, დაებჯინენ თავიანთ ყავარჯენებს და ისე ჩუმად იდგნენ რამოდენსამე ხანს. კარგა ხანმა გაიარა ამ სიჩუმეში. ბოლოს ერთმა მოხუცმა, სტუმართაგანმა, აიღო თავი და მიუსამძიმრა:

— აი, მოგიკვდა ჩემი თავი! — თქვა იმან: — ის არა სჯობდა, ჩემი სიკვდილი გაგეგონათ?.. ბრალია, ღვთის მადლმა, რომ ხევის განმანათლებელი მოგვაკლდა!..

— სულ უფლის ნებაა, თორღავ! რა ვუყოთ! — უპასუხა უფროსმა ჭირისუფალმა: — თქვენ იყავით მშვიდობით, სიკვდილს ხელი არ შეეშვირების...

— კარგი მოკვდა, ღვთის მადლმა, კარგი! მაგრამ რაი ვუყოთ? — „კარგისა კარგი მოკვდება, კარგივე წამოიზრდება“, — ანუგეშა თორღამ.

— რაი-ღა ვართ უმაგისოდ, თორღაისი, რაი? გადმახედით, თქვენი ჭირიმე, აგერ დერეფანზედ დარიგდით.

გაუძღვა მასპინძელი და ეს ხალხიც დერეფანზედ აიყვანა, სადაც დასხდნენ და ყალიონის წევით მუსაიფში გაერთვნენ.

რამდენიმე ყმაწვილი ბიჭი მივიდა სახლის კარებთან, გაიხსნეს საყელოს ღილ-კილო, გადაიღეღეს გული და საყელოები იქამდის ჩაიწიეს, რომ კისერი სრულებით გატიტვლებული დარჩათ.

— მათრახები! — დაიძახეს იმათ და უმცროსებმა მაშინვე აასრულეს იმათი სურვილი.*)

მარჯვენა ხელი დაიჭირეს ეს მათრახები, მარცხენა ხელი დაიფარეს შუბლზედ. უკან გადაქნევით ისე დაიკრეს, რომ ტარი გადაიზნიქა თავზედ და ფოჩებმა გამოიღო ძალზედ ტყლაშანი კისერში მოხვედრით. ამ ხმაზედ გამოვიდა რამდენიმე დედაკაცი, რომლებიც დამწკრივდნენ იმათ უკან და ერთმა დაიძახა:

— ვაი, დადაი!

---

*) ამგვარი მათრახი კეთდება მარტო დაწნული ღვედისაგან; სიგრძით იმოდენაა, რომ ნიკაპიდან თავზე გადავლებული კისრამდის სწვდებოდეს; ბოლოზედ უკეთდება ხელის გულის სიბრტყედ, მრგვლად, მეში ფარჩუმი (ბილო) ორ-სამპირად; ის წმინდა სანთლით არის გასანთლული და ყოველ დაკვრაზედ საშინელი ტყლაშანი მოისმის.

სხვებმაც ბანად მიაძახეს:

— ავ, დადაი! -და ამ სიტყვების დაბოლოებასთან ერთად მათრახები ჰხვდებოდა კისერში კაცებს და დედაკაცებს კი—სილები ლოყებში, რომლის ხმაც, შეერთებული „დადაის“ ძახილთან, საზარლად გამოისმოდა. ყოველ მათრახის დაკვრაზედ პატარა ნაბიჯს წარსდგამდნენ მემათრახეები და იმათ მიმყოლი დედაკაცები, რომელთაც ასე წყნარის სიარულით უნდა შემოეარათ მკვდრისათვის სამჯერ.

პირველივე მათრახის დაკვრაზედ მემათრახეებს კისერში აუბურცდათ, მეორე და მესამე დაკვრაზედ კი აბურცებული ადგილები დასკდა და სისხლი ჩუხჩუხით ამოდიოდა, მაგრამ იმათ მაინც მოუარეს სამჯერ, გავიდნენ შუა ყანაში, გადაყარეს მათრახები და გული მჯიღის დაკვრით წამოძახეს—ვაჰი! და გავიდნენ.

სვიმონის სოფლელმა დედაკაცმა ამის შემდეგ პურის საჭმელად დაიპატიჟეს სხვა სოფლიდგან მოსული დედაკაცები და კაცები კი—კაცებმა, ასე რომ სვიმონის სახლში მარტო შინაურები-ღა დარჩნენ.

მათია, რომელიც ისიყო ქვეშეთიდგან გადმოსულიყო, ისე ღრიალებდა როგორც ბავშვი. თუმცა იმ მთის ხალხის ჩვეულებით, რომელიც ქართველ გვარ-ტომობას ეკუთვნის*), ვაჟკაცისათვის სახელხოდ ტირილი, და განსაკუთრებით ხმამაღლად, სირცხვილია.

როგორც იყო გათავდა ის არეულობა, რომელიც მოახდინა სვიმონის სიკვდილმა იმის სახლში. სვიმონის ცოლს გვერდით ჰყავნდა მარტოკა მზაღო, რომელიც თანაუგრძნობდა იმის მწუხარებას და არა შორდებოდა.

ელგუჯა და მათია დადიოდნენ დაღონებულნი, რადგანაც ძალიან კარგად ჰხედავდნენ -- რა ძვირფასი დასაკლისიც დააკლდათ.

ხევში და მთიულეთში მოისმოდა ათასნაირი უსამართლოება ახალი ნაჩალნიკის დანიშვნის შემდეგ, რომელიც ამ ხანში გამოძიებას ახდენდა მთიულთ არეულობაზედ. საქმემ იქამდის იარა, რომ ელგუჯასაც ჰხვდა რიგი, და ბატონი ნაჩალნიკი, რომელიც ისეც გულამღვრეული იყო იმაზედ, ცდილობდა უეჭველად გადაეხადა; ამისათვის იმან გამოგზავნა კაცები ელგუჯას დასაჭერად. კარგა ღამეს გაეცლო, როდესაც ერთს პატარა ოთახში კერაში ცეცხლი ბჟუტავდა და საკიდელზედ შემოკიდებული ქვაბი წყნარად ჩუხჩუხებდა. ორი კა

---

*) ამ გვარივე ჩვეულება ქისტებსაცა აქვსთ. მხოლოდ ჩერქეზები და ოსები კი შორიდგანვე ღრიალს მოჰყვებიან, და იმათი გაჩუმება მარტო დაღალვას შეუძლიან.

ცი, ვაჟკაცურის პირისაახეებით, დალონებულნი ისხდნენ კერასთან და ჩიბუხს სწევდნენ.

— ხვალ „თოფის ხმა უნდა გავტეხოთ“*, — დაიწყო ერთმა.

— დროა, შენი კვნესა-მე, ელგუჯავ, თორემ სულ დალონდნენ მონადირეები, — უპასუხა მეორემ.

— ჰაი, ჰაი, რო დალონდნენ! აგერ როგორი ზამთარია... თოვლმა ნადირები სულ ბარად ჩამორეკა.

ეს მეგობრები ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც მზალომ შემოაღო კარები და შემოვიდა.

— მოხვედი? — ჰკითხა ელგუჯამ.

— მოვედ, ძლივ დავაძინე სვიმონის დედაკაცი. ბედშავი! ეს ღამეები სულ ძილი არ მიჰკარებია იმის თვალებს.

— არ მიეკარებოდა, შენი კვნესა-მე, არა! ხელმწიფის სწორი კაცი იყო იმისი ქმარი.

— მოიტა-ლა ვახშამი, ხვალ ადრიან უნდა ავდგეთ, ცხოგან სოფელში წასვლა მინდა საკლავებისათვის, თორემ რაც აქ გვყავს, გაჩანდაგებულები არიან და არ დაიკვლის.

— აგრე! — უპასუხა მზალომ და მიუბრუნდა თაროს, საიდგანაც დაიწყო ჩამოლაგება წმინდად მორეცხილის და გასუფთავებულის ბაკნებისა. ერთბაშად მოუბრუნდა ელგუჯას და უთხრა:

— მართლა, ქალბატონი შემოგეხვეწა, ამაღამვე წავიდეს საკლავებისათვის, თორემ ხვალ არ დაუგვიანდესო და არ შევრცხვეთო.

— რაი ბედენაა?.. ვახშმათ უკან წავალ! — უპასუხა ელგუჯამ.

მათიამ, რომელიც ჩუმად იყო ამ დროს და ლაპარაკში არ ერეოდა ერთბაშად წამოიძახა:

— შენ აქ იყავ, ელგუჯავ, მე წავალ...

— ბედშავო, ჩემო თავო! რას ამბობ? სტუმარი კაცი საქმეზედ უნდა გააგზავნო!.. რას მეუბნები?

— არა მიშავს-რა, შენი კვნესა-მე, არა, მე რაღა სტუმარი ვარ?

— არა, მათიაისი, არა, შენ არც კი იცი, ვისთან მიხვიდე.

---

* ხევში მკვდრის დასაფლავების შემდეგ სოფელში თოფს ვერვინ ისვრის, სანამ ჭირისუფლების შესანდობრად და მოსახსენებლად ნიშანს არ დააყენებენ. ამას ეძახიან „თოფის ხმის გატეხას“.

ამ დროს მზალომ მოიტანა ჩირაღი, გაანთო ცეცხლზედ, კედელში გაამაგრა და „სიფროს“ დალაგება დაუწყო. მათიას პირი-სახეზედ რაღაცა ფერმკრთალობა ეტყობოდა და ტუჩები როგორღაც უცნაურად უთრთოდა. ის ისე გასწორდა თავის სკამზედ, რომ ჩირაღის შუქი პირზედ აღარ მისდგომოდა, მაგრამ ელგუჯამ შეამჩნია ფერის შეცვლა და მონაწილეობითა ჰკითხა:

— მათიაუ, რაი მოგსვლია?

-- არც რა, შენი კვნესამე, არც რა! – უპასუხა იმან და ხმაში კანკალი დაეტყო.

— ავად თუ არა ხარ? ე მან ხმაც გიკანკალებს რასმე!

-- ცივა, მაჟრჟოლებს...—მოკლედ უპასუხა იმან.

– მოიტა-ღა, ქალო, ტყავი! —მიაძახა მზალოს ელგუჯამ და მერმე მათიას მიუბრუნდა: —წამოისხი, ავად არ გაჰხდე.

-- არა მინდა-რა, შენი კვნესა-მე, არა. მაგრამ ტყავი მაინც წამოისხა, მოიკუჭკა კიდეც, მაგრამ ამ სათბუნებელმა არც ფერი მოჰგვარა იმას და არც ის თრთოლა დაუყენა, რომელიც აღძრულიყო იმის სხეულში.

-- აბა ეგრე უნდა წასულიყავ საკლავებისთვის? — უსაყვედურა ელგუჯამ.

ვახშამი მზად არის, სთქვა მზალომ და ჩაუდგა შუაში სამ-ფეხი „სიფრო“.

-- მოიტა, არაყი გვექმნება, გაათბე ცოტა.

დაიწყეს პურის ჭამა, მოასწრო გამთბარმა არაყმაც. საკვირველი ეს იყო, რომ მათია, რომელიც ძალიან იშვიათად ჰსვამდა არაყს და ძალიან ცოტას, ეხლა მეექვსე თუ მეშვიდე ყანწსა სცლიდა და დათრობა არ ეტყობოდა.

ელგუჯას უკვირდა მათიას მოქმედება, მაგრამ, რადგანაც იმისი დაღონების მიზეზს სვიმონის სიკვდილში ჰხედავდა და გამხიარულება უნდოდა, ამისთვის არას ეუბნებოდა.

— აბა, —დაიწყო ელგუჯამ, —შენ ეგრე შეექეც ე მანდ ცეცხლა-პირს და მე-კი წავალ. შუშა დამტვრეულია, შეაყარე რამდენიც გინდოდეს.

მერმე მიუბრუნდა მზალოს და წყნარად უთხრა: —თბილად დაუგე საბანგობანი: ავად როგორმე არის და არ გაცივდეს.

ელგუჯა გამოეთხოვა მათიას, თოფი გადიგდო მხარზედ, აიღო ჯოხი და ყაბალახი და გავიდა. მზალომ ჩირაღით ხელში მიაცილა კარებამდის, სადაც ელგუჯა შესდგა, გამობრუნდა მზალოსკენ, გაიღიმა და გადაეხვია... მზალო თავდახრილი მთლად გაწითლდა სიამოვნებისაგან.

ელგუჯა წავიდა. ქალმა ურდული გაუგდო კარებს, შემოვიდა და ცეცხლის პირს დაჯდა.

მათიამ წყნარად გაჰხედა იმას და შეამჩნია სიწითლე და გაიფიქრა: „ბედნიერია!“

ისინი დიდხანს ისხდნენ ისე ჩუმად. მათია ჩაცივებით გაჰყურებდა იმას, თითქოს თვალებით შეჭმას უპირობდა. თავდახრილი და თვალებდაშვებული მზალო იჯდა და აშკარად ჰგრძნობდა, რომ უყურებდნენ. ეს ყურება ეჩოთირებოდა, უშლიდა იმას, მაგრამ თავის აღები ველარ მოეხერხებინა; უნდოდა ლაპარაკის დაწყება, მაგრამ ხმა ვერ ამოეღო...

რასა ჰფიქრობდა იმ დროს მათია? რა აზრები ტრიალებდა იმის თავში? —კაცი ძნელად გამოიცნობდა: მხოლოდ ხანდისხან შუბლის შეჭმუხვნაზედ და თვალების გაბრწყინვებაზედ შეამჩნევდით, რომ იმის ფიქრები საამო არ იყო და საკმაოდ სტანჯავდა იმას. ხანგამოშვებით ის აიღებდა არყით ყანწს და ოხვრით შეჰსვამდა. ჩირაღი ჩამოვარდა კედლიდამ და გახარებული მზალო, —რომ ვანძრევის მიზეზი მიეცა, —წამოვარდა, მიჰვარდა ასაღებად, მაგრამ მათიამ დაასწრო, აიღო ჩირაღი და ცეცხლში ჩააგდო.

მზალო შესდგა, შეჰხედა და შეეშინდა იმისი, მაგრამ ხმა მაინც ვერ ამოიღო. ისევ წყნარა გამობრუნდა და დაჯდა თავის ალაგას.

— ქალაუ, არ გებრალები? - წყნარის ხმით წარმოსთქვა მათიამ და ცრემლები მოერია თვალებში.

— რას ამბობ?.. —ჰკითხა მზალომ.

— იმას, რომ დავილიე!.. სანთელივით ჩამოვდნი!.. მოსვენება ვერსად მიპოვია...

— ავად თუ არა ხარ?

— ავად ვარ და შავადა! საკეთილო რა-ღა მაყრია!

— რაისთვის, რაი გტკივა?

— ისა, რომ შენ მიყვარხარ!.. — ერთპაშად გაშმაგებით წამოიძახა მათიამ.

მზალოს ნერწყვი გაუშრა პირში, ხმა გაუწყდა და პასუხი ველარ მოეხერხებინა.

— რას მიყურებ გაშტერებით?.. გძულვარ, გეჯავრები განა?.. ახია ჩემზედ, მე თითონაც მძულს ჩემი თავი, მე თითონაც მეჯავრება!.. მასხარაი ნიადაგ სამასხაროა... აბა რაი საყვარელი ვიქნები, დაძმობის გაუტანელი, ამხანაგის მოღალატე?.. სასიკვდილო ვარ, მაგრამ ჩემის ხელით თავი საით მოვკლა!..

— მათიაუ, რას ამბობ? ელგუჯასთან შენ ძმად ნაფიცი ხარ, ფიცნაჭამი... ჩემთან დაძმობა გაქვს ნათქვამი.

— და-ძმობა?.. ლომისამ დასწყევლოს ნათესავობის მომგონი!..

- ღმერთს ნუ აწყენ, მათიაუ!

სადაა ღმერთი?.. თუ ღმერთია, რად შემაყვარა შენი თავი?.. რად არ მომაშორებს ამ სიყვარულს, რომელმაც კაცი კაცობით გადამაგდო.

-- შენი პირობა, შენი სიტყვა?

-- აკი მეჭირა ჩემი პირობა იქამდის, სადამდისაც შევიძელ!.. აღარ შემიძლიან ამის მეტი... შენ ამები მაცდურად და გულით აღარ მშორდები...

— რა გიყო? რაი ვქნა? მე ელგუჯას ვერ ვუღალატებ; იმას ქუდს ვერ მოვხდი.

ვერ უღალატებ? – წარმოსთქვა იმან მწარედ და ჩაიცინა: — მაშ იმას ხომ უღალატებ, ვისაც ძმას ეძახი... გაიგე, ჩაისმინე... ვკვდები, ქალაუ! ვილევი!

ეს სიტყვები ისეთის კვნესით წარმოსთქვა, რომ მზალოს შიშის ჟრუანტელმა დაურბინა სხეულში.

— ათასჯერ მომივიდა თავში, რომ ელგუჯა მომეკლა, მაგრამ შენი წყენების მეშინოდა, თორემ ღმერთს, ძმობას, ფიცს ყველას იქით გადავდებდი.

მზალო ჩუმად იდგა და კანკალებდა. იმან აღარ იცოდა, რა ეთქვა, ან კ რა უნდა ეთქვა მარტოკა ქალს იმ კაცისთვის, რომელიც სიგიჟემდის მიეყვანა სიყვარულს? რა უნდა ეთქვა იმ კაცისთვის, რომელსაც მთელი წლობი სიყვარული გულში ეტარებინა, ცდილიყო ყოველის გზით ამოეფხვრა ის თავის გულიდგან, მაგრამ თითონ ეს გრძნობა გამხდარიყო იმის მბრძანებლად

-- არას მეტყვი? ბედშავო ჩემო თავო! ერთი სიტყვა წამლად მაინც როგორ არ მოგეპოება იმ კაცისთვის, ვისაც შენ ძმას უძახი?.. ცული მაინც ა ღე და დამკარ თავში.

— მათიაისი, დაჩუმდი... უფალს არ მოეტყუების, რომ მიყვარხარ...

-- გიყვარვარ?—ალტაცებით წამოიძახა მათიამ, მოხვია მკლავები და დ უწყო კოცნა: — მაშ გიყვარვარ? გიყვარვარ?..

–– მოიცა, დამაცადე...–– შეშინებით ეუბნებოდა მზალო, მაგრამ მათი იმას ყურს არ უგდებდა. იმისთვის საკმაო იყო იმ სანატრელი სიტყვის გაგონება იმ ტუჩებიდგან, რომლისათვისაც „კაცმა კაცობა დაჰკარგა“, როგორ თითონ იძახდა.

— დამაცადე... დაღუპილს რაი-ღა მეშველება!..

— ერთხელ, ერთხელ კიდევ მითხარი ეგ სიტყვა, ერთხელ კიდევ გამაგონე!..

— გამიშვი!.. გითხრა... გეუბნები—მიყვარხარ ისე, როგორც ძმა.

— ძმა?!..—ამ სიტყვაზე მათიამ მკაცრად ხელი ჰკრა და მოშორდა მზალოს.

— მაშ ეხლაც მოვსტყუვდი... ეხლაც მიღალატა იმედმა?..

— ჩემი ძმა ხარ, მათიავ, რას ჩადი? სხვას რომ ძალა მოეტანა, შენ უნდა დამხმარებოდი და შენ თითონ რას ჰშვრები? სირცხვილი არაა?

— კარგი... გაჩუმდი!.. აიღე ცული და დამკარი თავში!

— თუ გაგიჟდი?

— მაშ ელგუჯას მოვკლავ!

— რას ამბობ?—გაშტერებით წარმოსთქვა მზალომ.

— შენი მზე დამიფიცნია... რაიცა გინდა, ის ირჩივე... გინდ მომკალ, არა და ამაღამვე ელგუჯას მზეს დავაბნელებ...

— მათია, მათია!—ტირილით დაეცა მუხლებზე მზალო, რომელსაც გონება დაუბნია მათიას სიტყვებმა.

— ამაღამ ან ჩემი დედა უნდა ატირდეს ან ელგუჯასი...

— რადა, რა დაუშავებია იმას შენთვის?... რას ემართლები!.. ძმასავით გიყურებს.. მე მომკალ!...

არავინ იცის, რითი გათავდებოდა ეს ამბავი, თუ კარების ბრახუნი არ მოჰსმოდათ.

მათია შეჰკრთა, წამოვარდა ფეხზედ და ხანჯალამოწვდილი გაექანა კარებისკენ.

— ა—ა, აგერ თითონ, წერას მოუყვანია ის!—დაიძახა იმან.

მათიამ გაალო კარები, მაგრამ მაშინვე გაკვირვებული უკან მიდგა, რადგანაც, ელგუჯას მაგიერ, იმას შეჰხვდა რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი, რომლებიც გამოეგზავნა ნაჩალნიკს ელგუჯას დასაჭერად.

იმათ ისარგებლეს მათიას შეკრთომით და შევიდნენ სახლში.

— შენა ხარ ელგუჯა?—ჰკითხა ერთმა ყაზახთაგანმა მათიას, რომელსაც ამოღებული ხანჯალი ისევ ხელში ეჭირა და გაშტერებული შეჰყურებდა.

სხვა ყაზახებს თოფები წამოეყენებინათ ფეხზედ და ისე მიეშვირათ მათიასთვის გულში.

— მე ელგუჯა არა ვარ!—უპასუხა იმან და გასწორდა.

— ჩააგე ხანჯალი!

— ხანჯალი?—ჩაცინვით უპასუხა იმან: — რაისთვი?

— ჩააგე-მეთქი!

— რაისთვი ჩავაგო? თქვენ რაი საქმე გაქვსთ ჩემს ხანჯალთან?.. თქვენ ელგუჯას ეძებთ, და ის შინ არაა!

— სტყუი! — დაუბაკუნა ფეხები ყაზახმა: შენა ხარ ელგუჯა და შიშით ჰმალავ შენს სახელს.

-- ლომისის მადლმა, ელგუჯა არა ვარ, თორემ არც მაგდენს გალაპარაკებდით.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, მზალო გამოვარდა შეშინებულის სახით და მუხლებზედ მოეხვია განრისხებულს ყაზახს, მაგრამ ამან მკაცრად ხელი ჰკრა იმას და უბრძანა ყაზახებს:

— დაიჭირეთ! — და უჩვენა მზალოზე.

ამ დროს მათია გადახტა უკან და მოეფარა იმ კასრს, რომელიც იქვე ქერით სავსე იდგა. ყაზახებმა წაიწიეს წინ, მაგრამ მათიამ კედლიდგან თოფის ჩამოღება მოასწრო, გადმოუშვირა თავის საფარიდგან და შემოსძახა:

— შედეგით, ლომისის მადლმა, თორემ, ვინც თქვენგანი ფეხს წამოდგამს, იმას მზე გაუშავდება!

— ელგუჯა! დაყარე იარაღი, გირჩევთ, თორემ უფრო ცუდად მოგივა საქმე!

— იარაღს კი არ დავყრი-და, მომკალით, თუ შეგიძლიანთ... თუ არა-და, რაი გინდათ ჩემგან? მე ელგუჯა არა ვარ, მე მათია ვარ.

— მაშ დაიჭირეთ ეს ქალი! — უბრძანა ყაზახებს იმათ მოთავემ და უჩვენა მზალოზედ, რომელიც კედელს აჰკროდა და ცახცახებდა შიშისაგან.

ყაზახები მისცვივდნენ, შეიპყრეს ისა და წივილკივილით გაათრიეს გარედ. მათიას თვალები ცეცხლივით აენთო, რაკი მზალო იმ ყოფაში დაინახა... და გონებადაბნეული, ანგარიშმიუცემელი, გადმოხტა თავის საფარიდგან. ის მიჰვარდა მოთავე ყაზახს და ისე ძალზედ ჩასცა ხანჯალი, რომ ტარამდის ჩასვა იმის მკერდში. დაჭრილმა დაიღრიალა საზარელის ხმით და უსულოდ დაეცა დედამიწაზედ.

— ეხლაც უბრძანე დედაკაცების დაჭერა! — ნიშნმოგებით დაუძახა მათიამ.

გავარდა თოფები, მაგრამ მათია არა ჰგრძნობდა — დასჭრეს ის თუ არა, და გაექანა დანარჩენებისაკენ. იმას თვალწინ ჰყავნდა მარტოკა მზალო, რომელსაც ყაზახები მიათრევდნენ, და ამისთვის ის იბრძოდა გამწარებით, მაგრამ ის ჩქარა ჩაიგდეს შუაში, შემოეხვივნენ გარშემო და დაუწყეს ხმლებით კუწვა.

ელგუჯა, რომელიც ახლო სოფელში იყო, პირველსავე თოფის ხმაზედ, გარედ გამოვიდა და, რა შეიტყო, რომ იმათ სოფელში თოფის სროლა ასტყდა, მაშინვე გამოსწია იქითკენ.

გზაში რამდენიმე ბიჭი მიეგება იმას და შეატყობინეს მათიას სიკვდილი და ყაზახებისაგან იმის დასაჭერად მოსვლა. ის სულ აენთო ამის გაგონებით და გამოსწია უფრო ჩქარა.

— ელგუჯავ, სად მიხვალ? ისინი შენს დასაჭერად მოვიდნენ, — უთხრეს იმას და წინ გადაეღობნენ..

— ჩემ დასაჭერად?.. ვნახოთ, ვნახოთ! — უპასუხა იმან და გააგრძელა გზა.

— რასა იქმ, შე ბედშაო, რასა? იმდენს ხალხში მარტოკა რა უნდა გაჰხდე?.. ნუ მიხვალ, მაი, დაბრუნდი!..

— მაშ სტუმრის სიკვდილი შევარჩინო?

— შენც მოგკვლენ და ა-ის იქმნება.

— თუ მომკვლენ, ალალი იყოს, კაცი ერთხელ დაიბადების და ერთხელ უნდა მოჰკვდეს! — წამოიძახა იმან და წამოვიდა.

იმის დაყენება ვერა ღონისძიებით ვერ მოახერხეს, თუმცა ბევრი ურჩიეს და ეხვეწნენ.

ელგუჯა, რომელიც საზოგადოდ მოაზრებული და გაბრთხილებული კაცი იყო, ეხლა მიდიოდა ანგარიშ-მიუცემელი მტერზედ...

ის შეეპყრო მხოლოდ ერთს აზრს — და ეს აზრი იყო მხოლოდ ის, რომ იმას სტუმარი მოუკლეს და ამისთვის სისხლი უნდა აიღოს, თუნდა ამ საქმისთვის თავის გადადებაც მოჰხდომიყო.

ამ აზრებით ის ჩამოვიდა თავის სახლთან სწორედ იმ დროს, როდესაც მკვდარს მათიაზედ ვიღაცა უპატიოსნო თავის ხმლის მჭრელობასა სცდიდა. იმას მოქნეული ხმალი ჯერ კიდევ ჰაერში მოჰქონდა სტვენით, როდესაც ხანჯლით გულგაჭრილი, დაეცა მათიას მკერდზედ. ელგუჯამ მოუღო იმას ბოლო და დასძახა:

— ეს ერთი, მათიაუ!.. ნუ გეშინიან, ჯერ კიდევ ბევრს შემოგავლებ თავსა. ამ სიტყვებით ის დაერია დანარჩენ ყაზახებს.

ყაზახებმა მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს ელგუჯა, როდესაც იმან სამიოდ კაცი წააქცია ხანჯლით. აქამდის იმას, სიბნელის გამო, ვერ არჩევდნენ, და ისე შეუნიშნავად შემოჰპაროდათ, მაგრამ რაკი დაინახეს ვიღაც კაცი, ხანჯალამოწვდილი, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა, მოუბრუნდნენ იმას.

ელგუჯამ შეუტია იმათ, მაგრამ ერთი-ორი კაცის დაჭრის შემდეგ ის დაეცა მათიას გვერდით თავ-შუაზედ გახეჩილი.

— მზალო! მათია! შვილებო!.. იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც სულის დალევასთან ერთად იმან წარმოსთქვა...

ასე გათავდა ამ უბედურთ სიცოცხლე, რომლების გულიც სიყვარულის ცეცხლით სდუღდა და იმდენს მოელოდა დაუნდობლის სოფლისგან...

გაიარა წელწადებმა, საქართველოში დამყარდა რუსის მართებლობა და კანონები. ხალხი დამშვიდდა, დაიწყო ახალი ცხოვრება; საუკუნოებით დაღალული ბრძოლისაგან, ის თითქმის დასვენებას ეძლეოდა. ერთობა წყნარწყნარადა ჰქრებოდა და, იმის სამაგიეროდ, ყველანი, თითქოს განსაკუთრებით, ეხვეოდნენ თავთავიანთ საკუთარს სახვევში.

დაივიწყეს ბევრი წარსული ჩვეულება, წარსული აზრები, ურომლისოდაც მაშინ ცხოვრების შეძლება არ ეგონათ. დაივიწყეს ელგუჯა და მათიაც, როგორც სხვა მათი მედროვე ხალხი.

გარდაიცვალა სვიმონის ცოლი და იმის ადგილი დაიჭირა იმის უფროსმა რძალმა, რომლის ქმარიც სამხედრო სამსახურში შესულიყო და ისე ბედნიერად ჰმსახურებდა.

მართებლობამ დაიწყო ბატონყმობის, გვარტომობის და მამულებზედ დავების გარჩევა. იმ საქმეების არეულებაში, როგორც მაშინ იყო, ყველა ცდილობდა მეტი კაცები დაეწერა თავიანთ სახელობაზედ ყმად, მეტი მამული დაეჭირა და თავადთა სიაში ჩაწერილიყვნენ, რომელსაც განსაცვიფრებლის გამოცდით ახერხებდნენ.

ერთს დღეს სვიმონის უფროსი შვილი დაბრუნებულიყო სამსახურიდგან შინ, რადგანაც იმის მამულსა სწვეოდა ჩინოვნიკი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ყმებისა და სახელმწიფო გლეხკაცების კამერალური აღწერის შედგენა.

რასაკვირველია, ამგვარს შემთხვევაში, გულუხვი ქართველი მებატონეს სახლი ისე არ დადგებოდა, რომ მსუქანი ვახშმები, გალაზათიანებული კარგის კახურის ღვინით არ გაემართა.

ამისათვის სვიმონის სახლში იყო გამართული ლაზათიანი ნადიმი იმ პირისათვის, რომლის კალმის მოსმაზედაც იყო დამოკიდებული გლეხკაცთ ყურმოჭრილ ყმად, თუ თავისუფლად, გახდომა.

გლეხკაცები, დარწმუნებულნი, რომ უპატრონოდ, უბატონოდ, ე. ი. უმოსარჩლოდ, იმ ხანში დარჩენილი, როდესაც დიანბეგ და ნაჩალნიკს უსულოდ შეეძლოთ, რაცა ჰსურდათ, ის ექმნათ, — ცხოვრება წვა და დაგვა იყო, გარბოდნენ და უცხადებდნენ რომელსამე შეძლებულ და ძალა-მქონებელ მებატონეს ყმობას. ამგვარად ისინი ჰხდებოდნენ სხვადასხვა პირების საკუთრებად.

როდესაც ჩინოვნიკმა გაათავა თავისი მუშაობა, თქვენ რომ თვალი გადაგევლოთ იმის რვეულისათვის, საბატონო ყმების სიაში ამოიკითხავდით: „მზალო ნასყიდაშვილისა თავის ორი შვილით!“.

დიაღ, — მზალო შეიქმნა, თავის შვილებით ერთად, მებატონის საკუთრებად, და ეს ხალხი ამ შემთხვევამ ჩააყენა ისეთს მდგომარეობაში, რომ, სხვათა შორის, გულის ძგერით მოელოდდა იმ დროს, როდესაც ბატონყმობის გადავარდნის ხმა გრგვინვასავით გაისმა საქართველოში, და ათას წამებულთ ლოცვით თვალები მიაპყრობინა ზეცისაკენ.

გასამეორებელი და სავარჯიშო კითხვები: გადმოეცით ა. ყაზბეგის ბიოგრაფია. დაასახელეთ მისი მთავარი თხზულებები, რომლებშიაც ავტორი აგვიწერს მთიელთა ბრძოლას თავისუფლებისათვის რუსთა წინააღმდეგ. დაასახელეთ მისი თხზულებები, რომლებშიაც აწერილია ასეთივე ბრძოლა მთის ხალხისა შორეულ წარსულში. დაახასიათეთ მთავარი გმირები „ელგუჯა“-სი და „ხევის ბერისა“. გადაიკითხეთ „მოძღვარი“, „მამის მკვლელი“, „განკიცხული“ და „ელეონორა“; დაახასიათეთ მათი მთავარი გმირები და თან აღნიშნეთ, როგორ აგვიწერს ავტორი თავის მოთხრობებში ბუნების სურათებსა და სხვადასხვა მოვლენებს, აგრეთვე ადამიანის სულის სხვადასხვა გვარს მოძრაობას; კერძოდ, როგორ გვიხატავს იგი სიყვარულის გრძნობას, მის შეჯახებას მოვალეობის გრძნობასთან და სხვ.; დასასრულ. აღნიშნეთ ის ადგილები ყაზბეგის მოთხრობებში, სადაც დახატულია ბრბოს პსიხოლოგია.

წერითი სავარჯიშოები: 1. სიყვარული ა. ყაზბეგის ნაწერებში. 2. ბუნება ალ. ყაზბეგის თხზულებებში. 3. სიყვარული და მოვალეობა მოთხრობაში „ხევის ბერი გოჩა“.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ალ. ყაზბეგის შემოქმედების კრიტიკული შეფასება ჩვენ მოგვეპოება კ. აბაშიძის „ეტიუდებში“ (ტ. II, გვ. 79—123 ; იხილეთ აგრეთვე ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (მეცხრამეტე საუკუნე), თბილისი, 1913 წ., გვ. 177—198. ყაზბეგის თხზულებების სრული კრებული გამოცემულია 1904 წელს ტფილისში „ცნობის ფურცლისა„ და „მოამბის“ რედაქციის მიერ; ამ კრებულს დართული აქვს ვრცელი ბიოგრაფია ალ. ყაზბეგისა, დავ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი.

სარჩევი.

გვერდი.

I **აკაკი წერეთელი** — ბიოგრაფია 3.

1 მგოსნის პიროვნება:

1. ჩემი თავგადასავალი 5.
2. ამაო ძებნა 35.
3. სალამური 37.
4. უდარდო კაცი 37.
5. ციცინათელა 38.
6. ჩემო თავო, ბედი არ გიწერაა 39.
7. ჩონგური 40.
8. ორი სურათი 41.
9. სასოწარკვეთილება 43.
10. გამოფხიზლება 45.
11. სიმღერა 45.
12. სიმღერა 46.
13. აღმართ-აღმართ მივდიოდი 46.
14. ნატვრა 47.
15 პოეტი 48.
16. განთიადი 49.
17. ჭაღარა 50
18. ყარიბი 51.
19. ავადმყოფი მგოსანი 51.
20. მწუხრი 5[illegible]
21. მომაკვდავის ჩვენება 53.
22. სულიკო 60.
23. ქებათა ქება [illegible]
24. დიდება მაღალთა შინა 64

2. მშობელი ერის აწმყო, წარსული და მომავალი.

25. მოგონება 64.
26. იმერული ნანინა 66.
27. ბოდვა 68.

28. პანორამა . . . 73.
29. თორნიკე ერისთავი . 76.
30. თამარ ცბიერი . 91.
32. პატარა კახი . 130.
33. მომავალი სიხარული 156.

3. ზღაპრები და სინამდვილე:

34. ალექსი . . 159.
35. დამურა . . 178.
36. გამზრდელი . . . . 179.
გასამეორებელი კითხვები . . 185.
II **გიორგი წერეთელი**—ბიოგრაფია . 187.
1. მგზავრის წერილებიდან (რამოდენიმე ნაწყვეტი) . 189.
2. რუხი მგელი . . . . . . 197.
3. მამიდა ასმათი . . . . . 220.
გასამეორებელი კითხვები . . 248.
III **ალექსანდრე ყაზბეგი**—ბიოგრაფია . 249.
1. ელისო . . 251.
2. ხევის ბერი გოჩა 279
3. ელგუჯა . . . 347.
გასამეორებელი კითხვები 475.

შეცთ[illegible]ასწორება.

გვერ. 68	დაბეჭდილია:	უნდა იყოს
	იმერელი ნანინა	იმერული ნანინა